

ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები

ზმნის უღლება



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქართული ენის ინსტიტუტის შრომები

# ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები

ზმნის უღლება

*წერილების კრებული*



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**სარედაქციო კოლეგია:** პროფ. ლ. ბარამიძე, პროფ. გ. გოგოლაშვილი,  
პროფ. დ. თვალთვაძე, პროფ. ვ. იმნაიშვილი, პროფ. დ. მელიქიშვილი,  
პროფ. რ. ქურდაძე, პროფ. **ზ. ჭუმბურიძე (რედაქტორი)**

**შემდგენელი:** მ. მელიქიძე, რ. ჭუმბურიძე

**რეცენზენტები:** პროფ. რ. ზეკალაშვილი  
პროფ. ვ. იმნაიშვილი  
პროფ. ს. ომიადე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISBN 978-9941-13-179-0 (pdf)

## რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებულში მოთავსებული სამეცნიერო შრომების უმეტესი ნაწილი საკმაოდ დიდი ხნის წინათ გამოქვეყნდა მცირეტირაჟიან სამეცნიერო ჟურნალებში და თანამედროვე მკითხველისათვის ძნელად ხელმისაწვდომია. ამვე დროს მათი გაცნობა ჰუმანიტარული ფაკულტეტების, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, რომელთაც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსი ეკითხებათ, სავალდებულოა. ამით არის ნაკარნახევი ამ წერილების გამოცემა ცალკე კრებულად.

ამგვარი კრებულების გამოცემის ტრადიცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კარგა ხანია არსებობს. ამ მხრივ ენათმეცნიერების დარგში სანიმუშოა „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გამოცემული 1956 წელს პროფ. ვ. თოფურიას რედაქციით.

ქართული ენის ისტორიის კურსი თბილისის უნივერსიტეტში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იკითხება. ამავდროულად სტუდენტებს უტარდებათ სემინარებიც. ასე რომ, ამ სასწავლო კურსს უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის თეორია და პრაქტიკა უმაგრებს ზურგს. უნივერსიტეტში მისი შემოღების მოთავე იყო პროფესორი აკაკი შანიძე – ძველი ქართული ენის კათედრის დამაარსებელი და გარდაცვალებამდე მისი გამგე. მან შეადგინა პირველი პროგრამა და თვითონვე შეუდგა ლექციების კითხვას ამ საგანში. მას განზრახული ჰქონდა ამ საგნის სახელმძღვანელოს დაწერაც, მაგრამ დიდი დატვირთვის გამო საამისოდ ვერ მოიცალა.

შემდეგ ამ კურსს თბილისის უნივერსიტეტში აკაკი შანიძის სიცოცხლეშივე კითხულობდნენ მისი მოწაფეები: მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ლელი ბარამიძე, კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე და სხვები. რომელთაც ხელენიფებოდათ და განზრახულიც ჰქონდათ ერთობლივი სახელმძღვანელოს შექმნა ამ საგანში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

სურათი ზედმეტად რომ არ გავამუქოთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სალიტერატურო ენის სწავლების საქმეს, ისევე როგორც ძველი ქართული ენის სწავლების საქმეს, თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია პროფ. ივანე იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიულმა ქრესტომათიამ“ (ტომი I), რომელსაც ახლდა ვრცელი ენობრივი მიმოხილვა და ტაბულები. იგი რამდენჯერმე გამოიცა (1949 და 1953 წლებში – ერთ წიგნად, 1970–1971 და 1981–1982 წლებში – ორ წიგნად). აქვე უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ივანე ქავთარაძის მონოგრაფიული ნაშრომები: „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში“ (1954წ.) და „ქართული ენის ისტორიისათვის“ (1964წ.).

ქართული ენის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფით პირველად გამოიცა პროფ. ზურაბ სარჯველაძის წიგნი „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხების“ სახელწოდებით (1975წ.), მეორედ – „ქართული სალიტერატურო ენის

ისტორიის შესავალის“ სახელწოდებით (1984წ.) ცალკე წიგნებად არის გამოცემული აგრეთვე პროფ. კორნელი დანელიას შრომების კრებულები: „ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან“ (ტ. I – 1998 წ., ტ. II – 2009 წ.). ახლახანს ცალკე წიგნად გამოიცა აგრეთვე პროფ. ლელი ბარამიძის „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები“ (2008წ.).

აქ აღარ ჩამოვთვლით სხვადასხვა მკვლევართა მონოგრაფიულ ნაშრომებს, რომლებიც ქართული ენის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს ეძღვნება და ცალკე წიგნებად არის გამოცემული. მათი მოძიება ბიბლიოთეკებში ასე თუ ისე შესაძლებელია, ხელახლა გამოცემა კი ჯერჯერობით განუხორციელებელ ოცნებად რჩება.

მცირე მოცულობის ნაშრომების ცალკე კრებულად გამოცემაც არ არის იოლი საქმე, რადგან ასეთ ნაშრომთა რაოდენობა დიდია, თემატიკა კი – ვრცელი.

წინამდებარე კრებული თემატური პრინციპით არის შედგენილი და მხოლოდ იმ ნაშრომებს მოიცავს, რომლებიც ქართული ზმნის უღლების საკითხებს ეხება. ცხადია, ამ თემაზე არსებულ ყველა ნაშრომს ერთი კრებული მაინც ვერ დაიტევდა. ამის გამო შემდგენლები იძულებულნი იყვნენ, ზოგი ნაშრომი რამდენადმე შეეკვეცათ, ზოგის დაბეჭდვა კი სამერმისოდ გადაედოთ.

წერილები დალაგებულია თემატურად იმ თანმიმდევრობით, როგორც ამას ითვალისწინებს სასწავლო პროგრამა, ერთსა და იმავე თემაზე დაწერილ ნაშრომებში კი დაცულია მათი პირველი პუბლიკაციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ დაწერილ ნაშრომებში, ბუნებრივია, აქა-იქ შეინიშნება ნაირფეროვნება ორთოგრაფიული და გრამატიკული ნორმების მხრივ, რაც ხელუხლებლად არის დატოვებული. გასწორდა მხოლოდ კორექტურული შეცდომები.

ვფიქრობთ, ამ სახით წარმოდგენილი ეს კრებულები გარკვეულ დახმარებას გაუწევენ ჩვენს ახალგაზრდობას მშობლიური ენის ისტორიის უკეთ გაცნობის საქმეში.

**ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები  
და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის**

(წინასწარი მოხსენება<sup>1</sup> ნიმუშების დართვით)

I.

კარგა ხანია, რაც გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისათვის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად ეგრეთ წოდებული დამხმარე სამეცნიერო დარგების, ქართული ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა, ქრონოლოგიისა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესწავლა და შექმნა იყო აუცილებელი. ამიტომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მეტადრე კი მას შემდეგ, რაც ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა, ამ ქართული სამეცნიერო დარგების სისტემატურს შესწავლას ვანდომებდი დროს.

ეს შესწავლა საუნივერსიტეტო კურსების სახით ჩამოყალიბდა, რომელსაც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ვუკითხავდი ჩვენ სტუდენტ-ისტორიკოსებს. ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა და ნუმიზმატიკის შესახები გამოკვლევა უკვე იმდენადაა დამთავრებული, რომ დასაბეჭდადაც მზადაა.

ამ დამხმარე სამეცნიერო დარგების შესწავლის დროს ბევრი საყურადღებო საკითხები წამოიჭრა და ზოგიერთი გადაწყვედა კიდევ. ზოგი საკითხის გაღრმავებულმა დაკვირვებამ ისეთი შესაძლებლობა წარმოშვა, რომლის შესახებ წინათ ქართველ მეცნიერს მხოლოდ ოცნება შეეძლო. დღევანდელი ჩემი მოხსენება ეხება სწორედ ერთ ისეთს აღმოჩენას, რომელიც ქართული პალეოგრაფიის მეთოდური შესწავლის შედეგი გახლავთ.

ქართული პალეოგრაფიის შესწავლის დროს, როდესაც, ერთი მხრით, ქართული დამწერლობის ისტორიულმა განვითარებამ, მეორე მხრით, სხვა ერთა დამწერლობასთან შედარებითმა ანალიზმა მაფიქრებინა, რომ ქართული ასომთავრული ბანი თავშეკრული უნდა ყოფილიყო, მე პროფ. ალ. დიდებულისძეს ვთხოვე ბოლნისის სიონის წარწერის ნეგატივი გაეძლიერებინა, რომ მქრთალად გამოსული ადგილები და ასოების მოხაზულობა დაბეჭდვის დროს მკაფიოდ გამოსულიყო. ჩემს ხელში მყოფ წარწერის დანაბეჭდში ის ადგილი, სადაც ასო ბანი გვხვდება, ისე გარკვევით არ ჩანდა, რომ ამ პალეოგრაფიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი საკითხის უეჭველი გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილიყო.

რადგან მცხეთის ჯვრის ეკლესიის VII ს. წარწერის ბანს თავი ოდნავ აქვს გახსნილი, ამიტომ საგულისხმო იყო, თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა ამ ასოს ბოლნისის

<sup>1</sup> მოხსენებული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1923წ. 10 თებერვალს და ოდნავ შევსებული იბეჭდება.

სიონის წარწერაში, რომელიც მცხეთის ჯვრის წარწერაზე უფრო ძველი ძეგლის შთაბეჭდილებას ახდენდა.

პროფ. ალ. დიდებულიძემ თავისი განსაკუთრებული ღონეობით ამ წარწერის ნეგატივი მართლაც ისე გააძლიერა, რომ დანაბეჭდზე ის ადგილიც, სადაც ასო ბანი იყო, სრული სიმკაფიოთ გამოჩნდა<sup>1</sup>, და ბანი მართლაც, როგორც მისი მოხაზულობის ისტორიული განვითარებისა და სხვა ერთა უძველეს პალეოგრაფიულ ძეგლებთან შედარებით მოსალოდნელი იყო, თავშეკრული აღმოჩნდა.

ამ გარემოებამ ბოლნისის სიონის საკურთხეველის სარკმლის ზემოთი წარწერის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა პალეოგრაფიული თვალსაზრისითა და მისი ქრონოლოგიური სიძველე სრული უეჭველობით ცხადყო.

მაგრამ რომ ახლად გამორკვეული პალეოგრაფიული დაკვირვება უცილობელ დებულებად შექმნილიყო, ყველა ცნობილს თრილიანსა თუ ქრონოლოგიურად განსაზღვრულ წარწერებსა და ხელნაწერებს გადაშინჯვა დავუწყე. გამოირკვა, რომ თავშეკრული ბანი მართლაც მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული აქეთ უკვე აღარ გვხვდება. მაშასადამე, ცხადი ხდებოდა, რომ ბოლნისის სიონის წარწერა თავისი ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული თვისებით ყოველ ეჭვს გარეშე VII საუკუნეზე უწინარესი უნდა ყოფილიყო. მე მაინც ვშიშობდი, შეცდომა არ მომსვლოდა და ისეთ ძეგლებს ვეძებდი კიდევ გადასაშინჯავად, რომელიც X საუკუნეზე უწინარესი უნდა ყოფილიყო.

## II.

ამ ეჭვში და ძიებაში მყოფს ერთი ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ორი ფურცელი მომაგონდა, რომლის ფოტოტიპური სურათი ჩემ სტუდენტობის დროს მქონდა ნანახი. ამ ნაწყვეტების დამწერლობის დიადი გარეგანი სახე იმ დროიდან მოყოლებული გულსა და მეხსიერებაში მქონდა ჩარჩენილი და ახლა, როდესაც ყოველს უძველესს, X საუკუნეზე უწინარესს, ძეგლს ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა, გადავწყვიტე გამეშინჯა და მენახა, თუ რა იყო იქ დანერილი და განსაკუთრებით, როგორ იწერებოდა იქ ის ასო ბანი, რომლის მოხაზულობის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ქართული პალეოგრაფიისათვის ცხადი გახდა.

ეს ის პალიმფსესტი იყო, რომლის ფოტოგრაფიული სურათი 1897 წ. ზაფხულში მაშინ პრივ.-დოცენტად მყოფს და ან პროფ. და აკად. ნ. მარს მოუვიდა ფოსტით.

ამ ოქსფორდის ბოდლეიანის ბიბლიოთეკიდან დ<sup>რ</sup> ა. ნეაბაუერის მიერ გამოგზავნილი ეტრატის ცალ-ცალკე ფურცლის – პალიმფსესტის ფოტოგრაფიულ სურათში ტექსტი წვრილი ასოებით ებრაულად, ხოლო გარდიგარდმო მიმართულებით მსხვილი ასომთავრული ანბანით ქართულად ნაწერი აღმოჩნდა. უეჭველია, ეს ორი ფურცელი ნ. მარს ინგლისურიდან ქართული ტექსტის წასაკითხავად ჰქონდა გამოგზავნილი. მაგრამ ამ ორ ნაწყვეტს მან, როგორც ეტყობა, ყურადღება არ მიაქცია, ან იქნებ იმიტომ, რომ პრივ.-დოცენტის (ან აკადემიკოსი) პ. კ. კოკოვცოვის პირველი აზრის მსგავსად, ძირითად ნაწერად ებრაული მიიჩნია, ქართული კი მერმინდელად

<sup>1</sup> პროფ. ალექ. დიდებულიძეს ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ.



და უმნიშვნელოდ ცნო, ან იქნებ პალიმფსესტის ნაკითხვის სიძნელის გამო. ასე იყო თუ ისე, ამ ორი ნაჭერი ეტრატის ფოტოგრაფიული სურათი ნ. მარმა გადასცა ებრაული ტექსტის წასაკითხავად პ. კოკოვცოვს. პრივ.-დოც. კოკოვცოვმა ჯერ ამ პალიმფსესტის თავდაპირველ ტექსტად ფოტოტიპიური სურათების მიხედვით ებრაული ცნო («еврейского текста, как кажется, насколько можно судить по фототипиям, первоначального в рукописи»).

მიღებული ნაწერების შესწავლამ ცნობილი რუსი ჰებრაისტი დაარწმუნა, რომ ხელთ იერუსალემის თალმუდის ნაწყვეტები ჰქონდა, რომელი თხზულებისაც მანამდის მხოლოდ უვარგისი ხელნაწერები არსებობდა. პ. კოკოვცოვმა პალეოგრაფიული ნიშნებით ფრაგმენტების XI ს. დამლევის ნაწერად და ამის გამო თალმუდურ ხელნაწერთა შორის უძველეს ძეგლად ცნო.

ამგვარი დასკვნის შემდგომ ის შეუდგა მიღებული პალისფსესტების ნაწერის ნაკითხვას და 1899 წ. ტექსტი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა კიდეც<sup>1</sup>. მაგრამ შემდეგ, როდესაც თავისი გამოკვლევა უკვე დაბეჭდილი ჰქონდა, მან, პალიმფსესტის მდგომარეობით გამოწვეულ ტექნიკურ მოსაზრებათა გამო, თავდაპირველი აზრი შეიცვალა და საგანგებოდ დართულ დამატებაში ქართული სამართლიანად ებრაულზე უძველესად და პირვანდელად აღიარა<sup>2</sup>.

ეს თხზულება თვით პ. კოკოვცოვისაგან, რომელთანაც მე უნივერსიტეტში ასურულსა ვსწავლობდი, ცალკე მონაბეჭდად მივიღე. თუმცა ჩემს უნივერსიტეტში სწავლის დროს ქართული ენის კათედრის წარმომადგენელი პროფესორი იყო, მაგრამ ლექციები თითქმის სრულებით არ იკითხებოდა და 1899 წ., როდესაც მე უკვე უკანასკნელ კურსზე ვიყავი, ასომთავრული დამწერლობიანი ძეგლების ნაკითხვას მიჩვეული არ ვიყავი. ახლაც კარგად მაგონდება, რამდენად ძნელი იყო ჩემთვის მაშინ ამ პალიმფსესტის გარჩევა. თითო-ოროლა ასოს გარდა, როგორც მახსოვს, რამდენიმე წინადადების ან სიტყვის ერთად ამოკითხვა გადაულახავი დაბკოლება აღმოჩნდა. პრივ.-დოც. კოკოვცოვს თავის დანართში ქართული ტექსტის დროის შესახებ ვითარცა არა სპეციალისტს, რასაკვირველია, მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ იგი ებრაულზე ადრინდელი უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>, ე. ი. XI ს.-ზე უწინარესი. მაგრამ სახელდობრ რა დროისა იყო იგი, ეს გაუგებარი იყო ჩემთვისაც. ის გარემოება, რომ პრივ.-დოც. ნ. მარმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, მაფიქრებინებდა, რომ ეს ორი ნაწყვეტი ქართული მწერლობისათვის, ალბათ, უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, და შემდეგშიც მათი ნაკითხვა აღარ მიცდია. მაგრამ ამ პალიმფსესტის ასოთა დიადი მოხაზულობა მაინც გონებაში მქონდა ჩარჩენილი.

ახლა, როდესაც ქართული დამწერლობის ყოველს უძველეს ძეგლს ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა, მისი გასინჯვა და ნაკითხვა გადავწყვიტე. თუმცა პროფ. პ. კოკოვცოვის მიერ მოცემული ცალკე გადმონაბეჭდი მთელ ჩემ წიგნთსაცავთან ერთად 1917 წლის დამლევს დაილუპა, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთსაცავს სა-

<sup>1</sup> Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда: *Записки Восточн. Отд. Русск. Арх. Общ.*, XI, გვ. 195-205.

<sup>2</sup> Дополнение к статье «Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда», *ibid.*, გვ. 413.

<sup>3</sup> იქვე.

ბედნიეროდ პეტერბურგის საარქეოლოგო საზოგადოების გამოცემის მთელი სერია აქვს და ამის იმედი მქონდა, რომ ჩემთვის საჭირო ფოტოტიპებს ვიპოვიდი.

მართლაც წარსული 1922 წლის დეკემბრის დამლევს პროფ. პ. კოკოვცოვის წერილს მივაგენი. საკმარისი იყო შინ ამ ორი ფოტოტიპიური ფურცლის გაშინჯვას შევდგომოდი, რომ პირველივე დაკვირვებიდან ამ ძეგლის უაღრესი მნიშვნელობა ცხადი გამხდარიყო: ასოები „ყ“ და „ჯ“ თავშეკრული იყო ყველგან. ქართული პალეოგრაფიის შესწავლის დროს კი უკვე გამორკვეული მქონდა წარწერებისა და ხელნაწერების მიხედვით, რომ ამგვარი მოხაზულობის „ყ“ და „ჯ“ მხოლოდ VII-VIII სს. იხმარებოდა. ამის გამო ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რომ ოქსფორდის ეტრატის ნაწყვეტები VII-VIII საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჩემთვის სრულებით მოულოდნელი გარემოების გამორკვევის შემდგომ ძვირფასი პალისფსესტის კითხვას გულდასმით შევეუდეგი და ახლა უკვე განსაკუთრებით ბანს ვეძებდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვნივ სვეტის მე-9 და 10 სტრიქონებში ორჯერვე „ბ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამონეული სიხარულისა და მღველვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო.

ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედგა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ახლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა! მღველვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყოს ის, რასაც ვკითხულობდი.

სრული სიფრთხილით წარმოებულმა პალიმფსესტის გულდასმით ნაშლილი ქართული ტექსტის ამოკითხვამ და დაწერილის ენის საგულისხმო თუმც განმაცვიფრებელმა, მაგრამ შორეულ წარსულში მოსალოდნელმა თვისებებმა დამარწმუნეს, რომ პირველი დაკვირვება მცდარი არ იყო და ამ ნაწყვეტების როგორც დამწერლობის პალეოგრაფიული, ისე თვით ნაწარმოების ენის ნიშნები მათ სიძველეს ცხადყოფდნენ სურლი უეჭველობით. რამდენჯერაც კი არ გადავიკითხავდი ამ ორი ეტრატის ნაჭრის ფოტოტიპიას, ეს რწმენა უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ჩემი სიხარული გაორკვეცებული იყო, როდესაც გამოვარკვიე, რომ ამ ნაწყვეტში შენახული გვქონდა დაბადების ტექსტი, სახელდობრ იერემიას XVII, 26 – XVIII, 8.

უკვე უეჭველი იყო, რომ ბოდლეიანის წიგნთსაცავში ქართული დამწერლობისა და ენის ჯერჯერობით მაინც უძველესად მისაჩნევი ძეგლის ორი ნაწყვეტი ინახებოდა. კერძოდ პეტერბურგში წინათაც მოსულა ამბავი, რომ ინგლისში, იქნებ იმავე ოქსფორდშივე, ქართული პალიმფსესტების ნაწყვეტები უნდა ყოფილიყო, რადგან მათ შორისაც შესაძლებელია ზოგიერთი ამავე დროისა და მნიშვნელობის გამომდგარიყო, ამიტომ უკვე გადაწყვეტილი მქონდა ოქსფორდის წიგნთსაცავისათვის მიმელოცა, რომ ის უძველესი ქართული ხელნაწერის ორი ნაწყვეტის მფლობელი იყო, და თანაც მეთხოვა ამავე ხასიათის ქართული ასომთავრულით ნაწერი პალიმფსესტების ფოტოგრაფიული სურათები გამოეგზავნათ. მაგრამ შემდეგ გადაწყვიტე, რომ ჯერ აქ, საქართველოს დედაქალაქში, დაცული პალიმფსესტები გადაამუშინჯა და გამოემრკვია, თუ აქ რაღა დროის ძეგლები იყო შენახული.

III.

ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმში რომ ბ. მოსე ჯანაშვილმა გადმოიღო პალიმფსესტები, პირველი ორი ხელნაწერი ნუსხა ხუცურით აღმოჩნდა და ჩემთვის ამჟამად საყურადღებო არ იყო. მაგრამ საკმარისი იყო მესამე ხელნაწერი გადამეშალა, რომ მშვენიერ ასომთავრულად ნაწერ გადარჩენილს ტექსტში ოქსფორდის პალიმფსესტივით საყურადღებო ძეგლის მოლოდინი აღმძვროდა. მისი სწრაფი გადაფურცვლის დროს იმავე უკვე კარგად გამორკვეულს პალეოგრაფიულსა და ლინგვისტურს თვისებებს ვეძებდი: თავშეკრულ ბანსა, ყარსა და ჳეს და მეორე პირის სუბიექტურსა და მესამე პირის ობიექტურს თავსართებს. ხელნაწერის გადაშინჯვის დროს ყველა ეს ნიშნები უძველესს, შემდეგ გადარეცხილს, ტექსტში აღმოჩნდა და ამგვარად ცხადი შეიქმნა, რომ ეს ხელნაწერიც ქართული დამწერლობისა და მწერლობის უძველეს ძეგლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მეოთხე და მეხუთე ხელნაწერი-პალიმფსესტებიც იმგვარივე თვისებებისანი აღმოჩნდნენ და დაახლოებით იმავე დროისა უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც ოქსფორდის პალიმფსესტი უნდა იყოს დაწერილი. ამ გზით ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენ ამ მხრივ ოქსფორდზე გაცილებით უფრო ბედნიერი და მდიდრები ვართ და უკვე 2000 გვერდამდე უძველესი ქართული ძეგლების პალიმფსესტები გვაქვს. ქართული პალიმფსესტების ამგვარი მნიშვნელობის გამორკვევის შემდგომ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კატალოგში პალიმფსესტებად მოხსენებული ხელნაწერების გაშინჯვაც აუცილებელი გახდა. ქართველთა შორის ნ.კ.გ. საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგი მოკლე ცნობებს შეიცავს და იქ თვით ყველა ეტრატის ხელნაწერების დათვალიერება იყო საჭირო, რისთვისაც განსაკუთრებული მუშაობა უნდა მოწყობილიყო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 30-მდე გადაშინჯულ ხელნაწერ-პალიმფსესტთა შორის თუმცა ბევრი საყურადღებო აღმოჩნდა, ზოგი ენის მხრით და ზოგი კიდევ პალეოგრაფიულად, მაგრამ ისეთი, რა დროისა და თვისებებისაც ვეძებდი, არ ჩანდა. უკვე გადანყვეტილი მქონდა, რომ ამ საზოგადოების ხელნაწერთა შორის ძებნა უნაყოფო უნდა ყოფილიყო, რომ მუზეუმის გამგის თანაშემწემ ირ. სონლულაშვილმა შემატყობინა სასიხარულო ამბავი ჩემთვის საყურადღებო ხელნაწერ-პალიმფსესტის აღმოჩენის შესახებ. ამ ხელნაწერის გადაშინჯვამ მისი ცნობის სრული სიმართლე დაადასტურა<sup>1</sup>. ამგვარად, ჩემ ხელში უკვე ოთხი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ხელნაწერი იყო. ამ უხვმა და მშვენიერმა სამკალმა ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტების უფრო ზედმიწევნითი დათარიღება და ყოველმხრივი შესწავლა აუცილებელი გახდა.

ჩემ მიერ დამზადებული ქართული პალეოგრაფია რომ გამოქვეყნებული იყოს\*, ან იმედი მქონდეს, რომ მისი ახლო მომავალში გამოცემა მოხერხდებოდეს, მე შემდეგ სიტყვა მოკლედ მომეჭრა. მაგრამ ახლანდელ პირობებში ამგვარი იმედი ვგონებ ამას უნდა იყოს და ამის გამო იძულებული ვარ ჯერ VI-VII სს. უთარილო ძეგლების

<sup>1</sup> უნივერსიტეტისა და საისტორიო საზოგადოების მუზეუმების სათავეში მდგომთ, პატივცემულთ მ. ჯანაშვილსა, ს. გორგაძესა და ირ. სონლულაშვილს დახმარებისათვის გულითადად მადლობას მოვასხენებ.

\* [ივ. ჯავახიშვილის წინამდებარე გამოკვლევა დაიბეჭდა 1923 წელს, ხოლო მისი „ქართული პალეოგრაფია“ – 1926 წელს. რედ.]

დათარიღების მეთოდოლოგიას შევეხო, ხოლო შემდეგ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ქრონოლოგიურს განსაზღვრას შევეუდგე.

იმ ფრიად დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც უთარილო წერილობითი ნაშთების ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის მათს პალეოგრაფიულს თვისებებსა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეული ყოფილიყო პალეოგრაფიული ნიშნების თვალსაზრისით ძირითადად მისაჩნვეი ძეგლებისათვის. ამგვარ ძეგლებად უძველესთა შორის უეჭველია ბოლნისის სიონის კონქის სარკმლის თავზე ასომთავრული ამობორცვილი დამწერლობით გამოყვანილი წარწერა და მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქანდკებათა ჩაჭრილი წარწერები უნდა ჩაითვალოს<sup>1</sup>. მაგრამ არც ერთი ამ ძირითადად მისაჩნვე წარწერათაგანი დათარიღებული არ არის ან, უკეთ რომ ვთქვათ, ამჟამად მაინც არც ერთს თარიღები არ უჩანს. ამის გამო თუ ჩვენ გვსურს, რომ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღების მეთოდი შეძლებისამებრ შეუმცდარი გამოდგეს, სწორედ ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერები უნდა გვქონდეს საკმაო ზედმინევილობით დათარიღებული.

#### IV

[.....]

#### V.

[.....]

ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერების დათარიღება საშუალებას გვაძლევს ქართული პალეოგრაფიისათვის და ენათმეცნიერებისათვის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გადავწყვიტოთ. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მრგვლოვანი ასომთავრულით ნაწერი უთარილო ძეგლების დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა სამი ასოს მოხაზულობასა აქვს, სახელდობრ, ბანისას, კიესას და ყარისას. ამათგან ბანი, როგორც ახლა გამოირკვეა, უძველეს ხანაში თავშეკრული იწერებოდა, შემდეგ კი მას თავი გაეხსნა ჯერ ოდნავ, შემდეგ თანდათანობით სრულებითაც. რაც უფრო მერმინდელია ძეგლი, ბანს საზოგადოდ მით უფრო მეტად აქვს გახსნილი თავი. გამოსარკვევი იყო, თუ სახელდობრ როდის გაეხსნა ამ ასოს თავი, რომ ამ ნიშნის მიხედვით უძველესი უთარილო ძეგლების დათარიღება შესაძლებელი გამხდარიყო.

ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის წარწერაში, როგორც დავრწმუნდით, ბანი ჯერ კიდევ სრულებით თავშეკრულია, ე. ი. V ს. დასასრულსა და VI ს. დამდეგს ამ ასოს ძველი მოხაზულობა წინანდებურად დაცული აქვს. ხოლო ქობულ-სტეფანეს მცხეთის ჯვრის წარწერაში ბ უკვე ოდნავ თავგახსნილია. ეს წარწერა, როგორც გამოირკვეა, VII ს. შუა წლებს ეკუთვნის.

მაგრამ რადგან ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბანს თავი პირველად სწორედ ამ წარწერის ამოკვეთის დროს გაეხსნა და თანაც ვიცით, რომ ამ-

<sup>1</sup> ამ წარწერების შესახებ იხ. პროფ. აკ. შანიძის „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის წმარებისა წმონების წინ ქართულ ზმნებში“, „უნივერსიტ. მოამბის“ ამავე [III] -ში, გვ. 276-279, სადაც ამ წარწერების შესახებ მწერლობა დასახელებული.

გვარი პროცესი დამწერლობაში თანდათანობით ხდება და მისი დასაწყისი უფრო ხელნაწერებშია საძებნელი, ვიდრე ეპიგრაფიკაში, ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ბანს თავი უნდა VI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და VII ს. პირველ ნახევარს შორის ხანაში გახსნოდა. რადგან ქობულ-სტეფანეს წარწერის ბანს თავი თუმცა ოდნავ, მაგრამ უკვე მკაფიოდ თავგახსნილი უჩანს, ამიტომ პროცესის დასაწყისი დაახლოებით VI ს. დამლევსა და VII ს. დამდეგს არის უფრო მოსალოდნელი.

ქართული ენათმეცნიერების, სახელდობრ, ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისათვისაც ბოლნის-მცხეთის ჯვრის წარწერები ძეგლების დასათარიღებლად საყურადღებო ქრონოლოგიური საფუძვლის შექმნის საშუალებას გვანვძიან. პროფ. აკ. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბოლნისის სიონის ორსავე წარწერაში, რომელთაგანაც ერთი დავით ეპისკოპოსს, მეორე კი აზარუხტს ეკუთვნის, და მცხეთის ჯვრის დემეტრე ჰპატოსის წარწერაში მესამე პირის ობიექტურ თავსართად ჰაეს მაგიერ ხანია ნახმარი<sup>1</sup>. დავით ბოლნელი ეპისკოპოსის წარწერა, როგორც გამორკვეული გვქონდა, ან V ს. დამლევს, ან VI ს. დამდეგისა უნდა იყოს, 506 წ. ახლო ხანისა. აზარუხტის წარწერის დათარიღებისათვის სამწუხაროდ არავითარი დასაყრდნობი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ვგონებ ან ცოტა მერმინდელია, ან დაახლოებით იმავე ხანასვე უნდა ეკუთვნოდეს. მაინცდამაინც იგიც VI საუკუნის ძეგლია. მცხეთის ჯვრის დემეტრე ჰპატოსის წარწერაც ქრონოლოგიურად დაახლოებით განსაზღვრული გვაქვს და 591-600 წწ. შუა უნდა იყოს ამოჭრილი. ქართული ენის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ ადარწერსე ჰპატოსის წარწერაში დემეტრეს წარწერის მსგავსად მეოხ ხეყავ კი არ არის, არამედ მეოხ ეყავ, ე. ი. მესამე პირის ობიექტური თავსართი ხანი აღარ მოიპოვება.

როგორც ქვემოთ გამორკვეული იქნება და ახლად აღმოჩენილი ხელნაწერებიც ამას უცილობლად ადასტურებენ, ხან თავსართის ჯერ ჰაედ ქცევა და შემდეგ ხმოვნების წინ სრული გაქრობა ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საერთო მოვლენა ყოფილა. გამოსარკვევია მხოლოდ ამ მოვლენის დასაწყისის ხანა და თარიღი. ადრწერსე ჰპატოსის წარწერა სწორედ იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ზემოაღნიშნული მოვლენის დათარიღების საშუალებას გვაძლევს. რაკი იგი, როგორც დავრწმუნდით, 626-634 წწ. უნდა იყოს ამოჭრილი და ამ წარწერაში ხანი უკვე აღარ მოიპოვება, დემეტრე ჰპატოსისაში კი ხანი წინანდებულად იხმარება, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ხანის გაქრობის პროცესი VII ს. პირველ მეოთხედში დაწყებულია. რასაკვირველია, ამგვარი მოვლენა ერთბაშად არ ხდება და თანდათანობით ვრცელდება ხოლმე, ამის გამო მისი ზედმიწევნითი დათარიღებაც შეუძლებელია. საფიქრებელია, რომ ხანი საქართველოს რომელსავე კუთხეში უფრო ადრეც, უკვე VI ს. დამლევსაც ჰაედ გადაქცევის პროცესს დასდგომოდეს იმ დროს, როდესაც განათლებული წრეების უმრავლესობა ძველს გამოთქმასა და მართლწერას მისდევდა, იმგვარადვე როგორც VII ს. მეორე მეოთხედშიც, როდესაც უკვე ხანის გადაგვარების პროცესი ადრწერსე ჰპატოსის წარწერით არის დამოწმებული, და შესაძლებელია სხვებსა და უეჭველია საქართველოს

<sup>1</sup> იხ. მისი 1922 წ. 23 მაისს საქართველოს საისტორიო საზოგადოების სხდომაზე „ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშების“ სათაურით წაკითხული მოხსენება, რომლის ერთი ნაწილიც თბილისის უნივერსიტეტის მოამბის ამავე (2) ნიგნშია დაბეჭდილი სათაურით: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის წმარებისა წმოვნების წინ ქართულ ზმნებში“, გვ. 262-281.

ზოგს კუთხეებში მერმეც კარგა ხანს ხანის ხმარებისათვის თავი არ მიენებებინათ. ცხადია მხოლოდ, რომ ხან თავსართის გარდანივების პროცესი VII ს. პირველი ნახევრის დამლევისათვის უკვე სრულებით მკაფიოდ ყოფილა გამოხატული.

VI

[.....]

VII

ამ ხელნაწერთა შესახებ მოკლე ცნობებისა და ზემონათქვამის შემდგომ, რაკი ქართული პალეოგრაფიისა და ენათმეცნიერების დებულებანი უკვე გათვალისწინებული გვაქვს, ახლად აღმოჩენილი ძეგლების დათარიღებაც შეიძლება. ყველა ამ ხელნაწერ-პალიმფსესტების დამახასიათებელ თვისებას დამწერლობის თვალსაზრისით თავშეკრული ბანი შეადგენს. რასაკვირველია, უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ ეს ხუთივე ხელნაწერი პალიმფსესტია, ე. ი. ისეთი ძეგლი, რომელსაც ძველი ნაწერი შემდეგში გულმოდგინედ ჯერ გადარეცხილი, ხოლო შემდეგ გადაფხეკილი აქვს ისე, რომ ხშირად ეტრავტი ფხეკისაგან სრულებით გამჭვირვალე გამხდარა, ზოგან კი გახეულია. ცხადია, ამგვარი რეცხვა-ფხეკისაგან ყველაზე მეტად ასოთა წვრილი ხაზები უნდა დაზიანებულიყო და მართლაც დაზიანებულა კიდეც. ამის გამო ასოთა პირვანდელი, დაწერის დროის, მოხაზულობის სრული და უტყუარი სურათის წარმოდგენა ამ ხელნაწერთა მხოლოდ გულდასმით შესწავლის შემდგომ შეიძლება. ერთსა და იმავე ასოს სხვადასხვა ადგილას გაშინჯვითა და კარგად შენახულ მოხაზულობასთან შედარების წყალობით დარწმუნდებით, რომ ამ ასოს პირვანდელი სახე გადარეცხვა-გადაფხეკის დროს უმეტეს შემთხვევაში დაზიანებულა. ეს გარემოება უნდა უეჭველად გათვალისწინებული გვექონდეს ამ ჩვენი პალიმფსესტების პლეოგრაფიულად დაფასების დროს.

ბანს თავის ზევითი ხაზი ხელნაწერებში კალმის სუბუქი მოსმით და ამის გამო წვრილად, ბენვის მსგავსად ჰქონდა ხოლმე გამოყვანილი და სხვებზე მეტად და უფრო ხშირად, რასაკვირველია, ამ ასოს სწორედ ეს ნაწილია გადარეცხვა-გადაფხეკის დროს დაზიანებული. ამიტომ ადამიანმა რომ ამ გარემოების გაუთვალისწინებლივ ჩვენი პალიმფსესტების გადაშინჯვა დაიწყოს, ერთის შეხედვით **ბანი** თავგახსნილი ეჩვენება. მაგრამ საკმარისია იგი ხელნაწერებს კარგა დააკვირდეს და ამ ასოს მოხაზულობა სხვადასხვა ადგილას ერთიმეორეს შეადაროს, რომ ერთსა და იმავე გვერდზე ან ფურცელზე, და ხელნაწერში გადარეცხვა-გადაფხეკის გამო მრავალ თავგახსნილად ქცეულთა შორის ეს ასო მკაფიოდ თავშეკრულიც ნახოს. ეს გარემოება კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ხელნაწერებში თავდაპირველად მის პალიმფსესტად ქცევამდე **ბანი** ყველგან თავშეკრულიც ნახოს. ეს გარემოება კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ხელნაწერებში თავდაპირველად მის პალიმფსესტად ქცევამდე **ბანი** ყველგან თავშეკრული მოხაზულობისა უნდა ყოფილიყო. ეს პალეოგრაფიული ნიშანი, **ვიესა** და **ყარის** მოხაზულობა, მეტად კი ბანის თავშეკრულობა, როგორც ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლამ დაგვარწმუნა, შეიძლება უთარილო ძეგლების დასა-

თარიღებლად იყოს გამოყენებული. რადგან **ბანი** მხოლოდ VI ს. დამლევამდე იწერებოდა თავშეკრული, მაინცდამაინც VII ს. პირველი ნახევრის მიწურულში უკვე ცხადად თავი გახსნილი ჰქონდა, ამიტომ ხუთივე ზემოდასახელებული ქართული პალიმფსესტი VII ს. დამდეგზე უგვიანესი არ უნდა იყოს და VI ს. უნდა მიეკუთვნოს.

ამ ხელნაწერების პალეოგრაფიული შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ასოთა მოხაზულობის ზოგიერთი თვისებების გამო ყველა ერთი დროისანი არ უნდა იყვნენ, არამედ ზოგი უფრო ძველი ჩანს, ზოგი შედარებით უფრო მერმინდელი. მომავალში ამის მკაფიოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იქნება, მაგრამ წინასწარ მოხსენებაში ამაზე საუბარი შორის ნაგვიყვანდა.

ენის თვისებების მხრივაც, მესამე პირის ობიექტურ თავსართად ჰაეს მაგიერ **ხანის** ხმარებაც, როგორც დავრწმუნდით, ქრონოლოგიურად განსაზღვრისათვის გამოსადეგი ნიშანია. მცხეთის ჯვრის წარწერებიდან ცხადი შეიქმნა ჩვენთვის, რომ უკვე VII ს. პირველი მეოთხედისათვის **ხანი** აღარ იხმარებოდა. ხოლო ჩვენ ხუთსავე ხელნაწერ პალიმფსესტში არამცთუ ამ მხრივ რაიმე რყევა არ ემჩნევა, პირიქით **ხანი** გაბატონებულია მტკიცედ ობიექტურ პრეფიქსად ყველგან და მეორე პირის სუბიექტური თავსართისათვისა ჰაეს მაგიერ **ხანივე** ყველგან. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ენის ამ თვისებებით ეს ძეგლები, თუ ყველა არა, სახარების ტექსტი მაინც, VI საუკუნეზე უწინარესი უნდა იყოს და შეიძლება V საუკუნეს მიეკუთვნოს.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ პალეოგრაფიულისა და ენის ნიშნების ძალით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ხუთივე პალიმფსესტი, ვითარცა ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, V-VI საუკუნეებისად უნდა იყოს მიჩნეული<sup>1</sup>.

როდესაც ყველაფერი, რის ნაკითხვაც ჩვენს პალიმფსესტებში აღჭურვილი თუ აღუჭურველი თვალთ შესაძლებელი იყო, უკვე გადმოწერილი მქონდა, რადგან ხხ. 89 და 844 იმდენად გადარეცხილ-გადაფხეკილია, რომ თავდაპირველი ნაწერის ამოკითხვა უიმედო საქმედ ჩანდა, ამიტომ, ან ამ პირველხარისხოვანი ძეგლების უდიდესი ნაწილის ნაკითხვაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგველო, ან ქიმიური დამუშავების საშუალებით მისი ძველი ტექსტის გაცხოველება და ნაკითხვა გვეცადნა. სათანადო დასტურის შემდგომ, მეორე გზა ვარჩიე და ამისთვის პროფ. იოველ ქუთათელაძეს ვთხოვე, რომ გამოერკვია, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ამ პალიმფსესტების პირვანდელი ნაწერის გაცხოველება. იგი დიდი ხალისით შეუდგა ამ საკითხის შესწავლას და სრული სიფრთხილით წარმოებული ცდების წყალობით გამოარკვია, რომ საქართველოში უძველეს ხანაში და შემდეგში X-XII სს-შიაც ლითონის, რკინისაგან შემზადებული, მელანი უხმარიათ. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა ხელნაწერები ქიმიურად ისე დაემუშავებინა, რომ ძველი ტექსტის აღდგენის დროს მერმინდელი არ დაზიანებულიყო. მრავალგზის ცდის წყალობით პროფ. ქუთათელაძემ ისიც მოახერხა, რომ ეტრატს დამუშავების შემდგომაც ფერი საგრძნობლად არ შესცვლოდა, თავდაპირველი ტექსტი კი, სადაც წინათ სრულებით გადაფხეკილი არ აღმოჩნდა, იმდე-

<sup>1</sup> ჩემი მოხსენება უკვე ანცობილი იყო, როცა ს. გორგაძემ შემატყობინა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ეტრატის 3992 ნომერ ხელნაწერში, რომელიც მთლად პალიმფსესტია, სხვადასხვა დროის ტექსტებს შორის VI საუკუნის ხანმეტი ნაწერებიც აღმოჩნდა 40 გვერდამდე, რისთვისაც დიდად ვმადლობ. მართლაც, **ბანი** თავშეკრულია (გვ. 36, სვ. 2, სტრიქ. 4). და გვხვდება: „ხანიჭოს“ (ფ. 13), „მიხუგება“ (17), „ხუპატიოსნეს“ (45).

ნად გამოაშკარავდა, რომ მისი ნაკითხვა იქაც, სადაც წინათ ასოთა ნაალაგევის მეტი არაფერი ეტყობოდა, შესაძლებელი გახდა<sup>1</sup>.

## VIII

ახლა ამ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების მნიშვნელობაზე დავგვრჩა მხოლოდ სათქმელი. ვითარცა საქრისტიანო მწერლობის უძველეს ძეგლებს, მათ მნიშვნელობა აქვთ, რასაკვირველია, საერთოდ მეცნიერებისათვისაც – სახარებისა, დაბადებისა და აპოკრიფულ ნაწარმოებთა ტექსტის ისტორიისა და კრიტიკისათვის, მაგრამ მეტადრე ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვისაა ძვირფასი ეს ძეგლები, მისთვის უნდა შეიქმნეს ქვაკუთხედად.

როგორც ქართული დამწერლობისა და მწერლობის ძეგლები, ეს ხელნაწერები არაერთი ქართული ენათმეცნიერებისა, მწერლობისა და კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებასაც გვაძლევენ.

წინასწარ მოხსენებაში, მეტადრე როდესაც ყველა ტექსტი ჯერ ნაკითხული არა მაქვს, რასაკვირველია, მხოლოდ საზოგადო შთაბეჭდილების გამოთქმა შემიძლია. ამიტომ ამჟამად მხოლოდ მოკლედ და ისიც მარტო უმთავრეს საკითხებს შევხები იმ იმედით, რომ შემდეგში, როდესაც ახლად აღმოჩენილი ტექსტები გამოიცემა, ყველა საგულისხმო საკითხი უფრო ვრცლად და სრული დასაბუთებით იქნება განხილული.

რამდენადაც ნაკითხული ტექსტებიდან ირკვევა, ამ V-VI სს. ძეგლებში ჩვენ დაბადებისა (1 მოსესი, იგავნი სოლომონისნი და იერემიასი), სახარებისა და აპოკრიფული საქმე მოციქულთას ქართული თარგმანი გვაქვს შემონახული. ამ უკანასკნელ ნაწარმოებში პავლე, ანდრია და პეტრე მოციქულის მოღვაწეობაა აღწერილი. ამასთანავე რამდენადაც გადარჩენილი ნაწყვეტებიდან დასკვნა შესაძლებელია, განსაკუთრებული ყურადღება მოთხოვრებაში პავლესა აქვს მიქცეული. საქართველოში ჯერ კიდევ X ს. დასასრულსა და XI ს. დამდეგს აპოკრიფული თხზულებებით ყოფილან დაინტერესებულნი. ამას გიორგი ბერის ეფთვმე მთანმინდელისადმი მიმართული შეკითხვაც მოწმობს, ამ გიორგი ბერის შეკითხვაზე ეკლესიისაგან შეუწყნარებელ და დაგესლილ წიგნთა შესახებ ეფთვმე მთანმინდელი თავის პასუხში ამგვარ წიგნთა შორის ახალი აღთქმის რამდენსამე აპოკრიფსაც ახასიათებს: „სხუა არს წიგნი „სიყრმე უფლისა“ და არცა მას შეიწყნარებს და „მოციქულთა ცხორებანი“ ზოგნი განრყუნინი არიან მწვალებელთაგან. წმიდისა მათე მახარებლისაჲ სხუაჲ რამე არს და წმიდისა ანდრიაჲსი იგმაგი“<sup>2</sup>. პავლე მოციქულის „ცხორება“ ეფთვმე მთანმინდელს მოხსენებული არა აქვს. ახლად აღმოჩენილის მსგავსი შინაარსის ნაწარმოები ალბათ ამ დროს უკვე აღარ არსებობდა. სხვა ქრისტიან ერთა მწერლობაშიაც მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია შერჩენილი. მართალია, ჯერჯერობით არც ქართულადა გვაქვს მთლიანად ეს ძეგლი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ძლიერდება იმის გამოც, რომ ასეთს

<sup>1</sup> ყველა ამისათვის სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია პროფ. ი. ქუთათელაძეს ჩემი უღრმესი გულითადი მადლობა მოვახსენო.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, 83.



ძველს ხელნაწერშია იგი შენახული. უფრო ვრცლად ამ თხზულებაზე საუბარი შემდეგში გვექნება, როდესაც თვით ტექსტიც დაიბეჭდება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ ხელნაწერებს სახარებისა და ქართული დაბადების თარგმანის ისტორიისათვის. ჩვეულებრივ მიღებული იყო, რომ სალმრთო წერილის ქართული თარგმანი V ს. ეკუთვნის; პროფ. ნ. მარმა 1899 წ. სალმრთო წერილის ქართული ტექსტი სომხურიდან უძველეს დროს ნათარგმნად გამოაცხადა<sup>1</sup>, მაგრამ შემდეგში თავის 1913 წ. და 1914 წ. დაბეჭდილს ორს შრომაში ამ შეხედულებაში თვალსაჩინო შესწორება შეიტანა<sup>2</sup>. იგი ფიქრობდა, რომ ქართული ტექსტი სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმნი იქნებ ისეთ დროსაც, როდესაც ქართულსა და სომხურს ეკლესიათა შორის უკვე განხეთქილება იყო მომხდარი, ე. ი. VII-VIII საუკუნეებშია<sup>3</sup>. ავტორს სამწუხაროდ თავისი აზრი მკაფიოდ არ აქვს გამოთქმული და ის საზოგადოდ სალმრთო წერილზე ლაპარაკობს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში დაბადების თარგმანს უნდა გულისხმობდეს, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ სახარება და ახალი აღთქმის სხვა ნიგნები VII-VIII სს-მდე გადმოუთარგმნელი ჰგონებოდა. თავის 1914 წ. შედგენილს სომხურ-ქართული სალმრთო წერილის თარგმანთა შთამომავლობითს შტოშიც ნ. მარს პირველი თარგმანი V-VII საუკუნისად აქვს აღნიშნული<sup>4</sup>. მაშასადამე, V ს-ში რაიმე უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, უფრო საფიქრებელია, რასაკვირველია, სახარება. ამგვარად, თუ სახარება არა, დაბადება მაინც ნ. მარს ქართულად VII-VIII სს-ში მიაჩნია ნათარგმნი. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ამ აზრის სრულ უსაფუძვლობას ცხადყოფს. ის გარემოებაც, რომ მოსეს პირველი ნიგნი, იგავნი სოლომონისნი, და იერემია წინასწარმეტყველი VI ს. ხელნაწერში გვხვდება, ვგონებ უფლებას უნდა გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ მთელი დაბადება ამ დროს უკვე სრულად უნდა ყოფილიყო ნათარგმნი. მაშასადამე, თუ V ს-ში არა, VI ს-ში მაინც უნდა იყოს დაბადება ქართულად გადმოთარგმნილი. რასაკვირველია, მით უმეტეს V ს-ში, თუ ამაზე უწინარეს არა, სახარება ქართულად ნათარგმნად უნდა ვიგულისხმოთ.

## IX

ამ VI ს. ხელნაწერების და V-VI სს. ძეგლთა ქიმიურ დამუშავებამდე და დამუშავების შემდგომ წაკითხვამ ქართული V-VI სს. სამწერლობო ენისა და სალმრთო წერილის ქართული თარგმანის რედაქციების შესწავლის საშუალებაც მოგვცა. გამოიკვია, რომ

<sup>1</sup> Из поездки на Афон: *Журн. Мин. Нар. Просв.* 1899, №3, 12-15.

<sup>2</sup> „До сих пор обычный текст армянского перевода, так называемая вульгата, считается подлинником V-го века, и тем же временем готовы датировать грузиноведы наличный грузинский перевод, хотя бы в древнейших до нас дошедших списках. Все это на самом деле не так“ (Заметки по текстам св. писания: Христианский Восток. II вып., 163). უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ნ. მარს ამ საკითხის შესახებ თავის მრავალ პატარ-პატარა ნაწერებში ერთიმეორის საწინააღმდეგო და შეუთანხმებელი აზრი აქვს გამოთქმული და არა ჩანს, თუ მისი რომელი აზრია საბოლოო.

<sup>3</sup> «Перед нами стоит большой очередной вопрос, именно когда переведен грузинский текст?.. не восходит ли грузинский текст к А<sub>1</sub> (Армянской версии I), а не к А (Армян. вульг.), т. е. не длилось ли культурно-литературное общение грузин и армян и после традиционно освещаемого разрыва христианской церкви в Армении и Грузии? (Эчмиадзинский фрагмент древнегрузинской версии Ветхого Завета: Христ. Восток, II, 388, აგრეთვე II, 163).

<sup>4</sup> Христианский Восток, II, 387.

ქართულს ზმნას მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ამ დროს ყოველთვის ხანი ჰქონია და არა ჰაე. ამგვარადვე მესამე პირის ობიექტურ თავსართად ხანივე ყოფილა და არა ჰაე. ეს ცხადად მტკიცდება ქვემოთმოყვანილი ორიოდე მაგალითით და უფრო ამ მოხსენებასთან დართული V-VI სს. ტექსტების ნიმუშებით. მაგ., მეორე პირის სუბიექტური თავსართი: «ხგონებ, ვითარმედ შევიდა» (ბ.737, გვ. 337), «რ<sup>ა</sup> გულისხმა ხყოთ, რ<sup>ა</sup> აღდგა მკოვდრეთით» (იქვე, გვ. 323), «ოკოვეთოვ ხავასხებდით მათ რომელთაგან ხესავთ კოვალად მოლებასა» (ბ.86), «მიხილე შჯოვლი» (ბ.737, გვ. 335). მესამე პირის ობიექტური თავსართის მაგალითები, ე. ი. როდესაც ზმნას დამატება მიცემით ბრუნვაში ახლავს, ან იგულისხმება, თუ სუბიექტური I პირია: „აღსასროვლსა ხვტყოდი ნათესავთა მიმართ ანოვ მეოვფებათა აღლებად“ (ოქსფორდის ბოდლ. პალიმფს.), „მიხოვეც ჴორცი ჩემი და სისხლი ჩემი მათოვს“ (ბ.737, გვ. 244). „რ<sup>ა</sup> მიხოვემსგავსნეთ ჩოვენ პატიოსანსა მას მოძლოვარსა“ (ბ.737, გვ. 329), – თუ სუბიექტი მე-3 პირია: „ხრქოვა მას ოვფალმან“ (ბ.737, გვ. 239, 242, 245, 323 და ბევრგან სხვაგანაც), „ხრქოვა მათ პეტრე“ (იქვე, გვ. 327), „ცოდვილნიცა ცოდვილთა ხავასხებედ, რ<sup>ა</sup> მოილონ სნორი“ (ბ.8). „შეხერაცხოვ მას ცოდვა“ (ბ.737, გვ. 245), „რომელი ხირეკდეს, განხელოს“ (ბ. 844, გვ. 87v და 82r), „ხეკიცხევედეს მას დიდითა ბასრობითა“ (ოქსფორდის ბოდლ. პალიმფს.) და სხვა. შედარებითი ხარისხის თავსართიც მაშინ „ხუ“ ყოფილა, მაგ. „ხოვმჯოვებს არს ერისა, რ<sup>ა</sup> არა ხოლო მარტო“ (ბ.737, გვ. 240). „რაოდენად ხოვფროს მამამან თქუენმან ზეცათამან მოვცეს“ (999, ფ. 135 b). უკუთქმითი ნაწილაკის თავსათადაც მაშინ ხუ უხმარიათ, მაგ. „ხოვრჯოვლო“ (ბ.737, გვ. 325). მამასადამე, საღმრთო წერილის უძველეს ქართულ თარგმანს ახასიათებს ხანების ხმარება პრეფიქსებად.

პროფ. აკაკი შანიძემ ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების ამა 1923 წ. 1 აპრილის სხდომაზე ნაკითხულს მოხსენებაში ამისდა მიხედვით მშვენიერი განმარტება მოუძებნა ერთს ტერმინს, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ცნობილს ანდერძშია ნახმარი, რომლის გასაგებად არაერთი თეორია იყო წინათ შექმნილი. მან აზრი გამოთქვა, რომ როდესაც გიორგი მთაწმიდელი ამბობდა „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა“-ო<sup>1</sup>, „ხანმეტ“ სახარებად სწორედ ამგვარს ხანებით დახასიათებული სახარების ქართულ უძველეს თარგმანს გულისხმობდა<sup>2</sup>. პროფ. აკ. შანიძის „ხანმეტის“ მნიშვნელობის ამგვარი ახსნა, უეჭველი, სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს და ამის გამო შემდეგში საღმრთო წერილის ქართული თარგმანის ახლად აღმოჩენილ უძველეს რედაქციას ხანმეტს ვუნოდებთ ხოლმე.

## X

ბოლო დრომდის უძველესად X ს. თარიღიანი სახარების ხელნაწერები ითვლებოდა. შემდეგ, როდესაც ადიშის, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, შატბერდის სახარება აღმოჩნდა, მისი პირველი თარიღის 897 წლისდა მიხედვით, უძველესად უკვე ეს IX

<sup>1</sup> თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 207.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში („მოამბის“ ამავე ნომერში, ქვემოთ).

საუკუნის დამლევის ტექსტი უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მაგრამ ამ ძეგლს მეორე, ქრისტესით აღნიშნული, თარიღიც მოეპოვებოდა და აქ იგი 1001 წ., ე. ი. XI ს. დამდეგს დაწერილად იყო გამოყვანილი. ამის გამო ერთი ამ თარიღთაგანი მცდარი უნდა ყოფილიყო. და ალ. ხახანაშვილი და ე. თაყაიშვილი ქართული ქრონიკონით მოყვანილ თარიღსა თვლიდენ ჭეშმარიტად, ნ. მარს კი მეორე თარიღი მიაჩნდა უფრო სწორედ. იმ სახით, რა სახითაც ამ ხელნაწერმა ჩვენამდის მოაღწია, ამბობს იგი, ადიშის სახარების ტექსტი უფრო 1001 წლისაა, ვიდრე 897 წლისაო<sup>1</sup>. შემდეგ ადიშის სახარების დროის შესახებ ნ. მარს უფრო გადაჭრითაც აქვს თავისი აზრი გამოთქმული და ამ შემთხვევაში თავისი მსჯელობა მას ამ ხელნაწერის ტექსტის ენაზე ჰქონდა დამყარებული: ყოვლად შეუძლებელია ეს ტექსტი IX საუკუნისად მივიჩნიოთ<sup>2</sup>.

ზოგიერთი იქ ნახმარი სიტყვა და ფორმა მას ახალ ქართულისად ჰქონდა გამოცხადებული, რომლის მსგავსი IX ს. ხელნაწერში ნ. მარის აზრით არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ე. თაყაიშვილმა ჯერ შატბერდ-ადიშის სახარების ანდერძში მოხსენებული ისტორიული პირების მოღვაწეობის დროის გათვალისწინებით დაამტკიცა უცილობლად, რომ ამ ხელნაწერში ქართული ქრონიკონით აღნიშნული თარიღი იყო სწორი და ამის გამო იგი უეჭველია IX ს-ში დაწერილი ძეგლია. შემდეგ იგივე საკითხი ე. თაყაიშვილმა ენის თვალსაზრისითაც განიხილა.

თუ რამდენად შემცდარი იყო ნ. მარის თავის მსჯელობის დროს ქართული ენის ძველი და ახალი ფორმების დახასიათებას რომ ცდილობდა, ე. თაყაიშვილმა იმავე შატბერდის (ადიშის) სახარების ფოტოტიპური გამოცემის წინასიტყვაობაში გამოარკვია.

მან ნ. მარისაგან ახალ ქართულ ფორმებად და სიტყვებად ცნობილი ფორმა-სიტყვები X ს. ხელნაწერში ამოკითხული მაგალითებით ძველ ქართულში არსებულად ცხადყო. მაგრამ რადგან თვით ადიშის სახარებაც ნ. მარს XI საუკუნის დამდეგისად მიაჩნდა, ამგვარი საბუთი მას, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილებდა. მაინც სრულებით სამართლიანად ამბობდა ე. თაყაიშვილი, ჩვენ ისე ნაკლებად გვაქვს ძველი, IX ს. ძეგლების ენა შესწავლილი, რომ რა არის ძველი და რაა ახალი, ჯერ ძნელი სათქმელიაო<sup>3</sup>. ახლა, როდესაც IX ს. ხელნაწერთა მაგიერ ხელთა გვაქვს VI ს. ოთხი ხელნაწერი თავდაპირველი ხანმეტი ტექსტებითურთ, სრულებით ცხადი ხდება ნ. მარის ამ კატეგორიული განცხადებებისა და მსჯელობის უსაფუძვლობა. ეჩმიადინის ფრაგმენტის ქართული დაბადების ტექსტის განხილვის დროს, მაგ., მან დაბადების ბაქარისეულ გამოცემაში ნახმარი „ებრ“ ძველად გამოაცხადა, ომკ-ათონის დაბადებაში ნახმარი „მსგავსად“ კი მდაბიურ ახალ ქართულად ცნო<sup>4</sup>. ეს ვთომცდა ახალი ქართული სიტყვა სწორედ უძველეს, VI ს. ხელნაწერებშიც იხმარება.

ამგვარადვე შატბერდ-ადიშის სახარებისა და ხანმეტი სახარების ტექსტების შედარებამ დამარწმუნა, რომ ადიშის სახარება მართლაც ძველი IX ს. ძეგლია და უმეტეს შემთხვევაში ხანმეტი სახარების ტექსტის რედაქციას მისდევს. მაგრამ შედარებითი შესწავლა, ჯერჯერობით მაინც, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ხანმეტის რედაქ-

<sup>1</sup> „В дошедшем до нас виде текст скорее 1001 г.“ (Из поездок в Сванию: *Христ. Восток*. II, вып. I, 26).

<sup>2</sup> „Адишская рукопись грузинского Евангелия считается древнейшею по одной из двух дат: состояние текста показывает, что согласиться с такой древнею датой, как IX век, нет никакой возможности“ (Заметки по текстам св. Писанию: *Христ. Восток*. II, вып. II, 172).

<sup>3</sup> Материалы по Археологии Кавказа, XIV, 18-19, Москва, 1914.

<sup>4</sup> „Вульгарное ново-гр. „მსგავსად“: Эчмиадзинский фрагмент... *Христ. Восток*. II, 387.

ციასა და შატბერდ-ადიშის სახარებას შორის ისეთი განსხვავებაა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ხანმეტი რედაქციის შემდგომ და შატბერდის სახარების გადანერამდე, ე.ი. მაინცდამაინც IX ს-მდე, კიდევ რალაც რედაქცია უნდა ყოფილიყო. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ზოგან ხანმეტსა და შატბერდის ხელნაწერთა ტექსტებს შორის თვალსაჩინო განსხვავებაა და ზოგჯერ ასეთ შემთხვევებში მერმინდელი, X ს. სახარების ტექსტები, მაგ. ტბეთისა, ხანმეტს მისდევს, შატბერდ-ადიშისა კი არა, რადგან გიორგი მთაწმიდელს სახარების პირვანდელ და უძველეს რედაქციათა შორის ხანმეტის შემდგომ საბანმიდური აქვს დასახელებული, ამიტომ შესაძლებელია ეს ხანმეტისა და შატბერდის ხელნაწერის შუა მომხდარი რედაქცია, რომლითაც უკანასკნელის ტექსტი ზოგიერთ შემთხვევაში პირველისაგან განსხვავდება, სწორედ საბანმიდური რედაქცია იყოს.

ასეთი განსხვავებული ადგილები ხანმეტსა და შატბერდ-ადიშის სახარებათა ტექსტებს შორის, რამდენადაც ჯერჯერობით დასკვნა შეიძლება, შედარებით მაინც ხშირი არ არის და უკანასკნელი ჩვეულებრივ ხანმეტ რედაქციას მისდევს მხოლოდ უხანებოდ. ამ უკანასკნელი გარემოების გამო საფიქრებელია, რომ შატბერდის ხელნაწერის გადამწერს ხელთ ხანმეტი სახარების ტექსტი ჰქონდეს. შატბერდ-ადიშის სახარებას რომ დედნად მართლაც ხანმეტი სახარება უნდა ჰქონოდა, ამის კვალი, თუ ფოტოტიპიური გამოცემა ნამდვილ ვითარებას არ ამახინჯებს, თითქოს თვით ადიშის ხელნაწერშიაც კია შენახული. მაგ., იონეს თავის სახარების XXI, 14 წერია: „ესე სამგზის განხეცხადა იჴ მოწაფეთა მთ“<sup>1</sup>. ზმნა „განხეცხადა“-ში ხანი გადამწერს ნაუშლია, მაგრამ მისი ნაალაგევი გარკვევით მოჩანს. ეტყობა დედანში გადამწერს ამოუკითხავს „განხეცხადა“ და ამ შემთხვევაში დავინყებია, რომ გადამწერის დროს ხანი უნდა გამოეტოვებინა, და ისევე დაუნერია, როგორც მეხსიერებაში ჩარჩენია.

მაგრამ შემდეგ, ალბათ, გადანაწერის გადაკითხვის დროს, თავისი გულმავინწყობის შეცდომა შეუმჩნევია და ხანი ნაუშლია. მართლაც „ხანმეტს“ სახარებაში ეს ადგილი ასევე იკითხება: „ესე სამგზის გამოხეცხადა“ და სხვა. გასაკვირველიც არაფერია, რომ IX ს. ხანმეტი სახარების ტექსტი ყოფილიყო, რადგან გიორგი მთაწმიდელის ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ამგვარი ხელნაწერები მის დროსაც, XI ს-შიც ყველგან ყოფილა.

რადგან ჩვეულებრივ ხანმეტი რედაქციის მიმდევარი შატბერდის სახარების ტექსტი, ზოგჯერ მაინც, განსხვავდება და ასეთ შემთხვევაში იქნება იგი, როგორც აღნიშნული გვქონდა, საბანმიდური რედაქციის ტექსტს იმეორებდეს, ამიტომ ცხადი ხდება, რომ შატბერდ-ადიშის სახარების ტექსტი ორი რედაქციის შერეულ შენაერთებ ტექსტს უნდა წარმოადგენდეს. ამგვარი აზრი თავისდათავად რომ არაფერს შეუძლებელსა და დაუჯერებელს არ შეიცავს და მაშინდელ საქართველოში ამნაირი მუშაობა იშვიათი არ ყოფილა. ამას თვით გიორგი მთაწმიდელის მისდროინდელ და მერმინდელ ქართულ გადამწერთადმი, მიმართული ვედრებაც ამტკიცებს:

„ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ და... ღთისათჳს სიტყვათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“-ო. ხოლო თუ რომელიმე ადგილი არ მოგეწონოთ, „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, „ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა“, მუნით დაწერეთ და ღთისათჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ“-ო. თუ გიორგი მთაწმიდელი იძულებული იყო

<sup>1</sup> იხ. ფოტოტიპიური გამოცემა (Материалы по Археологии Кавказа, XIV, მოსკოვი, 1914).

თავისი დროინდელი გადამწერლებისათვის ეთხოვა ღვთის გულისათვის სახარების ტექსტის გადანერის დროს ხანმეტისა, საბანმიდურისა და ჩემ შენამებულ სახარებათა ტექსტი ერთი-ერთმანეთში არ აურიოთ, არამედ ერთ-ერთი მათგანი აირჩიეთ და ის გადაინერეთო, ცხადია, ეს მაშინ, ჩვეულებრივი თუ არა, ხშირი მოვლენა მაინც უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს ამგვარ სხვადასხვა რედაქციათა ტექსტის ერთმანეთში გარევა IX საუკუნეშია მოსალოდნელი და ჩვეულებრივ მიღებული იქნებოდა.

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელის ზემომოყვანილი ანდერძის მოწმობით ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ XI ს. მეორე ნახევარშიაც კი ხანმეტი სახარებანი არამცთუ დაცული ყოფილა, არამედ სარგებლობდნენ კიდევ და თვით ქართული სახარების ტექსტის ასეთს მკაცრს შემნამებელს, როგორც გიორგი მთაწმიდელი იყო, შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მაშინდელ ქართველებს სახარების ტექსტისათვის დედნად ხანმეტი რედაქციის ხელნაწერები აეღოთ. მაგრამ როგორ? ამ დროს და, რასაკვირველი 4 საუკუნით ამაზე უწინარესაც იქ, სადაც ხანმეტს რედაქციაში ზმნაში, აგრეთვე შედარებითი ხარისხისა და უკუთქმითი ნაწილაკის თავსართებად ხანი ისმოდა და ინერებოდა, ეს ბგერა აღარ ისმოდა. მაშ როგორ შეიძლებოდა, რომ ხანმეტი სახარების ნაწერი XI ს. დედნად ყოფილიყო გამოყენებული? ცხადია ისე, რომ გადანერის დროს ეს ხანები, სადაც ისინი უკვე აღარ იხმარებოდნენ, გადამწერს ზეპირად თითონვე უნდა გამოეტოვებინა. სხვა გზა წარმოუდგენელია და შატბერდ-ადიშის სახარების ზემომოყვანილი მაგალითიც ამავე გარემოების დამამტკიცებელია. ანრა საკვირველია, რომ ხანმეტსახარებათა ტექსტები XI საუკუნემდე შენახული ყოფილიყო, როდესაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების მერმინდელი ტექსტი XII-XIV საუკუნეებისად არის მიჩნეული, როდესაც, მაშასადამე, ძველი თავდაპირველი ხანმეტი ნაწერის გადარეცხვა-გადაფხეკა და ეტრატის პალიმფსესტად შემზადება უნდა ვიგულისხმოთ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ჯერ კიდევ XI-XIV სს-მდე ხანმეტი ხელნაწერები დაცული ყოფილა საქართველოში. ქართული პალეოგრაფიის დასაბეჭდად დამზადებულ სახელმძღვანელოში სათანადო წერილობითი წყაროსდა მიხედვით გამორკვეული მაქვს, რომ XII საუკუნეში ჩვენში, თვით საეკლესიო წრეებშიც მრგვლოვან ასომთავრულ დამწერლობას იმდენად გადაჩვეული ყოფილან, რომ ამ დამწერლობით ნაწერი ჩვეულებრივი ტექსტების წაკითხვაც კი თურმე უძნელდებოდათ, ამის გამო იძულებული ყოფილან მრგვლოვანი ასომთავრულით ნაწერი ძეგლები უკვე ნუსხა-ხუცურით გადაწერინებინათ. ამ დროიდან მოყოლებული ასომთავრულიანი ხელნაწერები მონასტრების წიგნთსაცავებში, ცხადია, უკვე უქმად უნდა დებულებოდა და სხვათა შორის ხანმეტი ხელნაწერების პალიმფსესტად გამოყენებისა და საზოგადოდ მათი დაღუპვისათვის, რასაკვირველია, ამ გარემოებასაც უნდა შეეწყოს ხელი.

XI

[.....]

XII

პროფ. აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1912 წ. სტუდენტობის დროს აღნიშნა, რომ მეორე პირის სუბიექტური თავსართი ზმნებში ქართულ კილოებშია დაცული. ამის შემდგომ ამავე გარემოებას ძველ ქართულში პროფ. იოს. ყიფშიძემაც მიაქცია ყურადღება. მესამე პირის ობიექტური თავსართის ბუნების გაგებაც აკ. შანიძის ღვაწლს შეადგენს, რომელმაც ამ ორ საკითხს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი კილოების მეთოდურ შესწავლაზე დამყარებული მშვენიერი მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა<sup>1</sup>. ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. პროფ. აკ. შანიძის ამ ნაშრომში კვლევა-ძიების ისტორიული გზაა არჩეული, იგი ქართული სიტყვიერების ძეგლთა ენის შესწავლაზეა დამყარებული.

ამნაირმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ პროფ. აკ. შანიძე შემდეგ ძირითად დებულებამდის მიიყვანა:

„ძველ ქართულში მეორე პირის სუბიექტური ნაწილაკი არის პრეფიქსი **ჰაე**“, რომელიც „წმონის წინ ქართულში ადვილად იკარგება“, ხოლო ენის წვერისმიერ ბგერათა ან აფრიკატების წინ **სანად** და **შინად** იქცევა ხოლმე მხოლოდ ბრძანებით კილოს... მეორე პირში არავითარი თავსართი არ სჭირდება, არამედ იგია წმინდა თემა ნამყო სრულისა თუ ნამყო უსრულისაგან აღებული“<sup>2</sup>. ერთგვარ გამონაკლისს მხოლოდ ორი ზმნა შეადგენს: „ვარ“ და „ვვალ“, რომელთაც მეორე პირში ხანი აქვთ (**ხარ** და **ხვალ**), იმის მაგიერ, რომ პირველს დაჰკარგოდა **ჰაე**, ხოლო მეორეს შეჰრჩენოდა იგი“<sup>3</sup>. ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ პროფ. აკ. შანიძე ამბობს: ცხადია..., რომ **ხანი**, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (**ხარ**, **ხვალ**) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის, იგი ნასესხები უნდა იყოს რომელიღაც სხვა კილოსაგან, რომელსაც ხანის პრეფიქსად ჰმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღვლილებაშიაც საზოგადოდ<sup>4</sup>. თანამედროვე ქლი ცოცხალი კილოების შესწავლამაც პროფ. აკ. შანიძე დაარწმუნა, რომ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ბევრ კილოში, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, ახლაც შენახულია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა თუშური, მოხეური და ხევსურული კილოები, რომელთაც ამგვარ პრეფიქსად **ხ** და **ლ** აქვთ, მაგ., მოვქსოვე, მოხქსოვე, – დავფარე, დახფარე, – დავბარე, დალბარე, – ვნახე, ღნახე, – ვავადობ, ღავადობ და სხვა<sup>5</sup>. მეცნიერული სიფრთხილის გამო აკ. შანიძეს ამ გარემოებამაც ვერ შეაცვლევინა თავისი ძირითადი დებულება, რომ მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად **ხანი** უცხო კილოს კუთვნილება უნდა ყოფილიყო და არა ძირითადისა. პროფ. აკ. შანიძემვე ძველი ძეგლების ენის მეთოდური შესწავლისა და დაკვირვების შემდგომ გამოარკვია, რომ როდესაც დამატება მიცემითს ბრუნვაში ახლავს ზმნას (თუ იგულისხმება), მაშინ ამ მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად იგივე ბგერა **ჰაე** ემატება, რომელიც

<sup>1</sup> სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა.

<sup>2</sup> იქვე, 3-5.

<sup>3</sup> იქვე, 17-20.

<sup>4</sup> იქვე, 130.

<sup>5</sup> იქვე, 158-171.

ყველა ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ წესებს ემორჩილება, მაგ. „ჰკითხა მას, ჰკითხა დედასა თვსა, ვჰკითხე მას“ და სხვა<sup>1</sup>.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, როდესაც მე სვანურის აგებულების შესწავლას პეტერბურგში ჩემ ამხანაგ სვან ივ. თ. ნიჟარაძის დახმარებით ვცდილობდი, აზრი დამებადა, რომ თავდაპირველად ქართულ სამწერლობო ენაშიც სვანურის მსგავსად მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ხანი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობდი, რომ თვით პირველი პირის სვანური თავსართი ხვ, რომლის ნამდვილი ბუნება და მნიშვნელობა მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იყო და მხოლოდ ახლა ხანმეტი ნაწერების აღმოჩენის შემდგომ გამოირკვა, საერთო ქართულსაც ოდესღაც უნდა ჰქონოდა. მაგრამ ეს სვანურის აგებულების ზეგავლენით წარმოშობილი უბრალო მოსაზრება იყო, რომლის დამტკიცება არ შემეძლო და ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემთვისაც. მხოლოდ როდესაც პროფ. აკ. შანიძემ გამოარკვია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თანამედროვე კილოებსაც მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ხ და ლ აქვთ შენახული, ამის შემდგომ უკვე შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ ხ ქართული ენის საერთო მოვლენად ჩაგვეთვალა. როდესაც საქართველოს ორ-სამ ასეთ ერთიმეორისაგან დაშორებულს თემში ერთგვარი მოვლენა გვაქვს შენახული<sup>2</sup>, რომლის კვალიც ძველ ქართულშიც ემჩნევა, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ასეთ მოვლენებში საერთო ქართული მოვლენა ვეძიოთ. ამ მეთოდით ვხელმძღვანელობდი საერთო ქართული უძველესი წარმართობის შესწავლის დროს და ვფიქრობ, რომ მის სიფრთხილთა და წინდახედულობით გამოყენებას შეიძლება ნაყოფიერი შედეგი მოჰყვეს ხოლმე. ამიტომ პროფ. აკ. შანიძის ზემოაღნიშნული თხზულების შესახებ საჯარო პაექრობის დროს გამოვთქვი კიდევ ჩემი აზრი, რომ სვანური და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი კილოებისა და „ხარ“ – „ხვალ“-ის ნაშთი ძველ სამწერლობო ქართულში, უფლებას გვაძლევს ხანი მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად ქართული ენის თავდაპირველ საერთო მოვლენად ვიგულისხმოთ. მაგრამ ამის დამამტკიცებელი მოვლენის ხილვა მაშინ მე მხოლოდ შორეულს წარსულში მიმაჩნდა შესაძლებლად ისე, რომ როდესაც პროფ. აკ. შანიძემ 1922 წელს კერძო საუბარში მოხსენების წაკითხვამდე ყურადღება მცხეთის ჯვრის დემეტრე ჯპატოსის წარწერაზე მიმაქცევინა, რომ იქ „მეოხხეყავ“ -ია ამოჭრილი, ეს მოვლენა ისტორიულად ცნობილს ხანაში ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო რო ეჭვიც კი დამებადა, აქ ხომ მრჩობლწერითი, ანუ დიტოგრაფიული შეცდომა არ იყო. მაგრამ ამგვარი ეჭვის უსაფუძვლობას ბოლნისის ორი წარწერა ამტკიცებდა, სადაც ამგვარივე ფორმებია ნახმარი.

<sup>1</sup> სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა.41-45.

<sup>2</sup> ესლა ირკვევა, რომ ხანის ხმარება ქართულ თანამედროვე კილოშიც კი ყოფილა შენახული. ამ მხრივ საყურადღებოა ხალხური მწერლის იაგორ ტეტუნაშვილის ენა, რომელიც თავის დაბეჭდილს თხზულებებში ასე წერს: „ხყვანდეს“, „შემსვლელს ქალს თვალს მოხკრამდა“ და სხვ. (იხილე მისი „ცხოვრების გზაზე“, თბილისი, 1922, I, გვ. 86 და 90). ამ გარემოებაზე და თხზულებაზე ჩემი ყურადღება ბ-მა იოს. ჭეიშვილმა მიამქცია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

პროფ. აკ. შანიძემ ამ ნარწერებში ნახმარი ხანიც ქართულის ერთ-ერთი დიალექტური წრისა თუ კილოს კუთვნილებად ჩასთვალა<sup>1</sup>. პირადად მე ჩემი ძველი ჰიპოთეზი უფრო სამართლიანად მიმაჩნდა, მაგრამ მასალა იმდენად მცირე იყო, რომ მასზე დამყარებას შეუძლებლად ვთვლიდი და ამ აზრის გამართლების მოლოდინი ისევ მხოლოდ შორეულ წარსულში მქონდა. ახლად აღმოჩენილმა V-VI სს. ხანმეტმა ძეგლებმა ცხადყვეს, რომ ასე შორს წასვლა საჭირო არ იყო და რომ ხანი მართლაც ქართული საზოგადო სამწერლობო ენის კუთვნილება ყოფილა.

შესაძლებელია, აქ კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრას, თუ როგორ მოხდა, რომ ხანი შემდეგში გაქრა და ზოგს, მათ შორის უპირველესად აკად. ნ. მარს, აზრი დაებადოს კიდევ, ვითომც ამ მოვლენაში მაინც „სვანურობი“-დან გადმოქართულების პროცესთან გვეკონდეს საქმე? ამ საკითხის განხილვის დასამთავრებლად ამჟამად ესლა გვაქვს მარტო გასარჩევი.

### XIII

VI ს. და VIII-IX სს. ხელნაწერთა ენის განხილვა მართლაც ცხადყოფს, რომ VII ს-ში ქართულ სამწერლობო ენას ცვლილება დასტყობია: მე-2 პირის სუბიექტური და მე-3 პირის ობიექტური თავსართები **ხ**, ორი შემთხვევის გარდა, ჰაედ შეცვლილა<sup>2</sup>. რასაკვირველია, ეს ერთბაშად არ მოხდებოდა და შესაძლებელია ამგვარი პროცესი სასაუბრო ენაში უკვე VI ს-ში დაწყებულიყო, იმგვარადვე როგორც, ცხადია, აქა-იქ შესაძლებელია **ხ** VII საუკუნის დამლევსა და VIII საუკუნის დამდეგსაც, ხოლო კილოებში უფრო ხანგრძლივად ყოფილიყო წინანდებურად ნახმარი.

გამოსარკვევია მაინც, თუ რა მოხდა მაშინ, ენის წიაღში წარმოშობილი ერთგვარი რევოლუცია იყო, თუ ბუნებრივი განვითარების პროცესთანა და ევოლუციასთანა გვაქვს აქ საქმე?

ენის სფეროში რევოლუცია შესაძლებელია ჯერ ერთი შინაგანი მიზეზებით ყოფილიყო გამოწვეული საკუთარ კილოკავთა ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და განწყობილების შეცვლით, როდესაც ამავე ერის რომელიმე ახალი, წინათ საერთო ეროვნული ცხოვრებისათვის უმნიშვნელო და საერთო შემოქმედებას მოშორებული, ტომი უპირატესობას მოიპოვებდა და თანაც თავისი ტომის კილოკავის გაბატონებით საერთო ენასაც საგრძნობ კვალს დააჩნევდა. მეორე მხრით, ენის რევოლუციები გარდაქმნა შესაძლებელია სრულებით გარეშე და უცხო ძალისა და ენის შემოჭრისა და გავლენის შედეგი ყოფილიყო, როდესაც დაპყრობილი ერი იძულებული ხდებოდა გაბატონებული ერის უცხო ენა შეეთვისებინა მისი სრულებით განსხვავებული აგებულებითა და ენოვანი ფსიქიკითურთ. ასეთ შემთხვევაში იმის გარდა, რომ დამონებული ერი უნებლიეთ დამპყრობელის სიტყვებს მრავლად ითვისებდა, თავისი ენის სინტაქსურ წყობილებასაც და თვით სიტყვათა აგებულებასაც ხშირად უცხოურის ზეგავლენითა და მსგავსადა ცვლიდა ხოლმე. რაც უფრო ხანგრძლივი და მკაცრი იყო დამპყრო-

<sup>1</sup> ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის წმარებისა წმოვნების წინ ქართულ ზმნებში (უნივერსიტეტის მოამბის ამავე ნომერში[2], გვ. 280-281).

<sup>2</sup> საისტორიო საზოგადოების წიგნთსაცავში ერთი პალიმფსესტია, რომელსაც ჰაეს ხმარება ახასიათებს. პროფ. აკ. შანიძე ამზადებს მისი ტექსტის გამოცემას.



ბელი ერის ბატონობა, მით უფრო ძლიერი იყო ხოლმე ენის რევოლუციური ცვლილების პროცესი, რომელიც შეუღლება-შერევის წყალობით შეიძლებოდა ნაწილობრივი ან სრული გარდანივებით და თვით გადაშენებითაც დამთავრებულიყო. უცხო ენის ბატონობით წარმოშობილი გარდაქმნა გაცილებით უფრო ძლიერი იყო ხოლმე, ვიდრე შინაგანი, ტომობრივ ძალთა განწყობილების ცვლილებისაგან წარმომდგარი.

სიძლიერის ინტენსივობის მხრივ ზეგავლენისა და გარდაქმნის პროცესი შეიძლება სამ საფეხურად დაიყოს. პირველი ყველაზე სუსტი ზეგავლენისა და ნაწილობრივი გარდანივების მომასწავებელი საფეხური უცხო ენის სიტყვების უხვად შეთვისებით - გამოიხატება და განისაზღვრება ხოლმე, მეორე, უფრო თვალსაჩინო გავლენის მომასწავებელი საფეხური უკვე ენის ფსიქიკის საგრძნობი შეცვლით გამოიხატებოდა, როდესაც სიტყვათა სინტაქსური წყობილება და ურთიერთშორისი დამოკიდებულება გაბატონებული უცხო ენის ფსიქიკისა და სინტაქსისა და მიხედვით იცვლებოდა. ამგვარი ცვლილება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც დამონაგებულ თუ დაპყრობილ ერს დამპყრობელი ერის ენა იმდენად შეთვისებული აქვს, რომ მასაც სასაუბროდ ხმარობს. მესამე, უკვე ენის გარდანივება-გადაგვარების მომასწავებელი, საფეხური თვით ენის მორფოლოგიური აგებულების ცვლილებასაც შეიცავს ხოლმე. რომელი ამ სამი პროცესთაგანი გვაქვს ქართულ სამწერლობო ენაში, როგორც იგი ახლა გვეხატება V-VI სს. და VIII-IX სს. ძეგლებში? ლექსიკურად, შეიძლება ითქვას, მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. იშვიათი შემთხვევაა, რომ VIII-IX სს. სახარებისა და სხვა წიგნების ხელნაწერებში სრულებით ახალი სიტყვა იყო შეტანილი. სინტაქსურადაც V-VI სს. და VIII-IX სს. ხელნაწერთა და ძეგლთა ენაში არ ემჩნევა, რომ რაიმე თვალსაჩინო განსხვავება მოიპოვებოდეს. აგებულების მხრივაც ქართულ სამწერლობო ენას ამ საუკუნეთა განმავლობაში არავითარი არც გარდანივებისა და არც გარდაშენების პროცესი არ ემჩნევა და, მაშასადამე, არც ერთი ამ საფეხურთაგანის მსგავსი მოვლენა იმ ცვლილებაში, რომელიც V-VI სს. და VIII-IX სს. ქართულ სამწერლობო ენას ახასიათებს, არ მოიპოვება. პირიქით, არც მორფოლოგიურად და სინტაქსურად, არც თვით ლექსიკურად არავითარი განსხვავება არ ჩანს. ჩვენ თვალწინ მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებაა, ისიც სრულებით კანონიერი და მარტო მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტურ თავსართებსა, შედარებითს და უარყოფით ნაწილაკებში.

ეს გარემოება ცხადყოფს, რომ VII-VIII სს. ქართულ ენას რევოლუციით გამოწვეული გარდანივება და გარდაქმნა კი არ გამოუვლია, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი ევოლუცია, ფონეტიკური ცვლილება.

ამგვარად, ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ V-VI სს. სახარებისა, დაბადებისა და სხვა ძეგლების ტექსტი სვანურად კი არ არის დანერილი, როგორც ამას „წინასწარმეტყველებდა“ და უცილობელ ჭეშმარიტებად აცხადებდა პროფ. ნ. მარი, არც სანახევროდ სვანურ კილოკავზეა ნათარგმნი, როგორც ეს პროფ. რ. ბლექს ნ. მარის ზეგავლენით სჩვენებია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართულად. ახლად აღმოჩენილი ხანმეტი ტექსტები იმდენადვე სვანური არ არის, რამდენადაც არავის ფიქრად არ მოუვა V და VI სს. მარტიროლოგიური ძეგლები, - იაკობ ხუცესის თხზულება „წამებაა შუშანიკისი“ და ევსტათე მცხეთელის მარტვილობა, - სვანურად გამოაცხადოს. ახლა, როდესაც ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რა ენით და როგორც უწერიან ქართველებს V-VII სს-ში, თითქმის შეუმცდარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მერმინდელ გადა-

მწერთაგან ჩადენილ შეცდომებს გარდა, იაკობ ხუცესის ნაწარმოებშიცა და ევსტათე მცხეთელის მარტვილობაც სწორედ იმგვარად უნდა ყოფილიყო დაწერილი, რა ენითაც მათ ჩვენამდის მოაღწიეს, მხოლოდ ხანებიანად, და ამ მხრივ მათი ნაწერის პირვანდელი სახის აღდგენა უკვე ამიერიდან დაუძლეველ სიძნელეს არ წარმოადგენს.

#### XIV

ხანმეტ ძეგლთა აღმოჩენამ ცხადყო, რომ ქართული ენის ისტორიული განვითარების საფეხურების შესახებ მიღებული შეხედულებაც უნდა შეიცვალოს, თუ წინათ გვეგონა, რომ ქართულ სამწერლობო ენას ორი მთავარი საფეხური ჰქონდა, – ერთი უძველესი კლასიკური, V-XII ს-მდე, მეორე ამდროიდან მოყოლებული გარდამავალი, რომელიც XIX ს-ში ახალ ქართულით დამთავრდა, ახლა ირკვევა, რომ ქართული უძველესი კლასიკური სამწერლობო ენის დასაწყისი საუკუნეთა წყვილადში გვეკარგება, ხოლო მისი ბატონობა VII ს. დამდეგამდის აღწევს, დაახლოებით VII-VIII სს-იდან იწყება უკვე ქართული სამწერლობო ენის განვითარების მეორე საფეხური, რომლის დამახასიათებელ თვისებას ხ თავსართების, სუბიექტურის მეორე პირისა და ობიექტურის მესამე პირისა, ჰაედ შეცვლა და სხვა ფონეტიკური ცვლილებები შეადგენს. როდემდის გრძელდებოდა ეს ხანა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

კულტურული თვალსაზრისითაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ფრიად საყურადღებო არის და საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას გვაძლევენ. ხელნაწერები, როგორც ეს გადარეცხვის მიუხედავად და შემდგომაც კარგად ეტყობა, ლამაზი, მშვენივრად ჩამონაკვეთილი მრგვლოვანი ასომთავრული დამწერლობით არიან გამოყვანილი. აშკარაა, რომ ამ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი მუშაობა უძღოდა წინ. მარტო იმიტომ კი არა, რომ ასოები გასაოცარი ერთგვარობითა და მოხდენილობით არიან განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ ამ V-VI სს-თა ძეგლებში უკვე მრგვლოვანი დამწერლობის საუცხოოდ ჩამონაკვეთილი ნიმუში გვაქვს. მაშასადამე, მრგვლოვანი დამწერლობის პირველი დასაწყისი რამოდენიმე საუკუნით უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო რადგან მრგვლოვანი დამწერლობის წინამორბედად და წარმომშობელად ჩვეულებრივ კუთხოვანი დამწერლობა იყო და ქართული უძველესი კუთხოვანი ნუსხა-ხუცურიც თავისი არსებობითაცა და თვისებებითაც ნათლად ამტკიცებს, რომ საქართველოშიც კუთხოვანი ხუცური ასომთავრული უეჭველად უნდა ყოფილიყო, ცხადი ხდება, რომ ამ კუთხოვანი ასომთავრული დამწერლობის მხატვრული ჩამონაკვეთილობისა და მითუმეტეს დასაწყისი ხანა მრავალსაუკუნეთა სიღრმეში უნდა ვეძიოთ. აქამდის, სანამ V-VI სს-ის დამწერლობის ძეგლები თითო-ოროლა ასოს სახით გვქონდა შენახული ფულებზე და მხოლოდ ერთი მ-სტრიქონიანი წარწერა მოგვეპოვებოდა, ამგვარი აზრი შეიძლება სათუოდ ყოფილიყო მიჩნეული, ახლა კი VI ს. ხელნაწერთა მთელი რიგის აღმოჩენისა და მათი მშვენიერი მრგვლოვანი ასომთავრული დამწერლობის შემდგომ ქართული წერითი ხელოვნების დასაწყისის საპატიო ხნიერება უკვე უეჭველ გარემოებადა ხდება.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ VI ს. ხელნაწერები ასეთ მშვენიერ ეტრატზეა ნაწერი, რაც გადარეცხისდა მიუხედავად მაინც ცხადად ემჩნევა, რომლის დიდ ფურცლებზე ორ ან ერთ სვეტად, მდიდრულად, ფარო და გაშლილი წერით, ადგილის დაუზო-

გველად ტექსტია გამოყვანილი. ეტყობა, მაშინ საქართველოს კარგი ღირსების სანე-  
რი მასალა, ეტრათი და მელანი უხვად ჰქონია. ესეც ასე თუ ისე მაშინდელი განათლე-  
ბული ქართველი წრეების ქონებრივი სიმდიდრის მაჩვენებელია.

შემდეგ ეფრემ მცირისგან ვიცოდით და აქამდის დარწმუნებულიც ვიყავით,  
თითქოს განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში პირველად  
სწორედ ეფრემ მცირეს შემოეღოს. VI ს. ახლად აღმოჩენილი ძეგლები ცხადყოფენ ამ  
აზრის უსაფუძვლობას, რადგან განკვეთილობისა თუ სასვენი ნიშნები აქაც უკვე იხ-  
მარება. სამი სხვადასხვა აზრის მქონებული ნიშანი მაინც მოიპოვება. ეს გარემოება  
იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ იგი თავისდათავად მაშინდელ საქართველოში  
ერთგვარი გრამატიკულ-სამნიგნობრო მოძღვრებისა და სკოლის არსებობის მო-  
მასწავებელია.

## XV

კიდევ ბევრის მხრით შეიძლება დახასიათდეს ახლად აღმოჩენილი ძეგლების  
მნიშვნელობა, მაგრამ ჩემი ისედაც გრძელი მოხსენებით ისე მოგქანცეთ და მეც იმ-  
დენად დავიღალე, რომ საუბარი უნდა შევწყვიტო.

ჩვენ წინ დიდი რთული სამუშაოა: ამ ტექსტების ნაკითხვა და ღირსეული გამო-  
ცემა და, იმედი მაქვს, რომ ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-  
ნი, ამ ჩვენი ვალდებულების პირნათლად ასრულებას ვეცდებით. სახარება-დაბადე-  
ბისა და საზოგადოდ საღმრთო წერილის ძეგლების შესწავლა ისტორიკოსის საქმე არ  
არის, არამედ ენათმეცნიერთა და მწერლობის ისტორიკოსებისა და ჩვენი სპეცია-  
ლისტები სათანადოდ გამოიყენებენ ამ ფასდაუდებელს განძს. იქნებ ბედმა გაგვილი-  
მოს და ამ პალიმფსესტთა შორის ისტორიული ძეგლებიც აღმოჩნდეს. მაინცდამაინც  
ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ამ მიღწეულობით დავკმაყოფილდეთ, არამედ უნდა გა-  
ორკვეცებული ხალისითა და ენერგიით განვაგრძოთ ძიება. გზა, სადაც უნდა ვეძიოთ  
უძველესი ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, უკვე გამორკვეულია:  
პალიმფსესტები და დედამიწის სიღრმეში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და  
საინტერესოს გვიქადიან. თუ ახლაც, როდესაც ჩვენ ხელნაწერთა სისტემატურ აღ-  
წერილობას მხოლოდ ვინყებთ და არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჩვენში იშვიათად  
თუ შეუწუხებია დროთა განმავლობაში მინაში ჩაფლული ნაშთები, ასეთი უხვი სამკა-  
ლი გვაქვს, მე დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევა-ძიება ქართულ მეცნიერებას  
ბრწყინვალე აღმოჩენათა შესაძლებლობას უქადის, რომელიც ჩვენი ისტორიის უძვე-  
ლესი ხანის საუკუნეთა სიღრმის წყვიადის გაფანტვას შეაძლებინებს.

*ივანე ჯავახიშვილი*

*თბილულებანი თორმეტ ტომად,*

*ტ. IX, 1996, გვ. 263-352*

*(იბეჭდება შემოკლებით)*

აკაკი შანიძე

ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა  
ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში

უკვე გამორკვეულია, რომ ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულში მოეპოვება მხოლოდ მიცემით დამატებიან ზმნებს, ე. ი. ისეთ ზმნებს, რომელნიც დამატებას მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ არა მარტო ანმყოში, არამედ ნამყო სრულშიც<sup>1</sup>. გამორკვეულია ისიც, რომ ამ პრეფიქსს ქართულში საერთოდ რამდენიმე სახე აქვს (**ჰ, ა, ხ, ღ, ს, შ, ზ, ჟ**, რომელთაგანაც ძველ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ მხოლოდ **ჰ, ს და შ** გვხვდება), მაგრამ მისი ხმარება მხოლოდ თანხმონით დაწყებული ფუძეებით არის განსაზღვრული. რაიცა შეეხება ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს, აქ ობიექტური პრეფიქსი (თეორიულად **ჰ**) იკარგება, იკარგება როგორც ძველს, ისე ახალ სალიტერატურო ენაში და აგრეთვე ცოცხალ კილოებშიც<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. ტფილისი, 1920.

<sup>2</sup> ინგილოურში, როგორც ეს მ. ჯანაშვილის მიერ ჩანერილი ტექსტებიდან ჩანს, [ძველი სა-ქართველო, ტ. II, განყოფილება მეოთხე, გვ. 181-210], არის ისეთი ფორმები, სადაც კაცს ეგონება, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებასთან გვაქვს საქმე ხმოვნის წინ. ეს არის სახელდობრ ის შემთხვევები, როდესაც ჰაე ჩნდება უნის წინ ანლაუტში ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ჰუყვარს, ჰუხარიან, ჰუმღერის, ჰუყვივის, ჰუყარაულებენ, ჰუნდოდა, ჰუთხრა, ჰუნახი, ჰუნუხნი, ჰუფიქრი (ან ჰუფიქრნი), ჰუჭამი, ჰუნჩობი, ჰუქნი, ჰუნახნი, ჰუკითხნი, ჰუთქომ, ჰუვაზირები, ჰურბენი, ჰუკრავ, ჰუპოვნიაც, ჰუცხოვრიაც და მისთ. მაგალითად: „კატას აქ ნაწნავი და ტყი პირებზე ჰუტრიანნი, ჰუნადირნი, ჩიტებ, თავებ ჰუჭერი“ (184); „სანყალ ქეჩის ამთონ ჰუნახნი, ჰუნჩონნი, ჰუცოდინნი, რუმ ნიკობიბეით თავ ჰუცნობები, კარ გაღებინები“ (190); „მეჩონგურე ჰუნახი; ჰუკრავს, აგე ჰუკრავს“ (195); „კარს ჰუყარაულებენ... სახლში შაასლელა მინამს არ ჰუმობენ“ (196); „ფრინებელ ერთმერთს ჰუმღერის, ჰუყვივის“ (198) და სხვ. მაგრამ:

ჯერ ერთი: რა წამს ზმნას პრევერბი გაუჩნდება და, მაშასადამე, ანლაუტის უნი ინლაუტში მოექცევა, მაშინვე დაიკარგება ეს ჰაე: დანახი, დაზახნი, ჩამოგდი, აყონი, ნაყონი, ალიაც, და-უჭერიაც, ნაუქცევიაც, დაუგლეყიაც, აკიდნი, მიცი, დაყურა, მოუშალა და მისთ. მაგალითად: „აულიაც, ხუთ ყონ მიუციაც, ამმა საკლავ არ აქოყ, – საკლავი კოლა ზაღლებს კლონ. ჰუთქომ“ (195).

ამიტომ გვაქვს ასეთი ფორმები: ჰუნწავე (202) და მოუწავე (202), ჰუნახნი (190) და დაზახნი (189; 181), ჰუნახი (182) და დანახი (181; 202) ჰუჭერი (185) და დაჭერი (202) და მისთ.

მერე მეორე: ინგილოურში, იმავე ტექსტების მიხედვით, არ იხმარება ჰაე არც ანისა და არც ენის წინ, სადაც თეორიულად აგრეთვე მოსალოდნელია O:

ა: აქ, აქონდა, აკოცა, ნაყარეს, ვერ დააკლებს, თავ გაანებ, დაამირწყდა, თოლს არ აშორებდა, მიაკრა, გამართო, აჭმევს, დაანახა, დაადარა, დაავალა და სხვ.

ე: ეყურებ, ეზახიან, შეეფერებ, ესახლა, ებნებოდა, ექნა, ელაგა, დეერიდა, ჩეყყარა, გეყყო, დეეცა, შეეცოდა, „წელ-ფეყ დეეზრა. თავ-ტან გეყყინა“ (205), „ნიკოჲ დეეგლიჟა, შეეჭამა, დეეზინა, მიეპარა“ (190) და მისთ.

მესამე: ჰაე ჩნდება ინგილოურში აგრეთვე მაშინაც, ა) როცა ვი ჯგუფისაგან, სახელებში თუ ზმნის ფორმებში, წარმომდგარია ანლაუტის უ: ჰურ („ვირი“), ჰუც („ვიცი“), ჰუტყუ („ვიტყვი“), ჰუთხოვ („ვითხოვ“), ჰუქეფებ („ვიქეფებ“), ჰუპოვნით („ვიპოვნით“), ჰუქ („ვიქ“), ჰუჭრი („ვიჭრი“) და სხვ.

მაგრამ ხმოვნის წინ მარტო მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი როდი იკარგება; იკარგება აგრეთვე მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსიც, რომელსაც ისეთივე ფონეტიკური სახეები აქვს, როგორც მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსს. მხოლოდ აქ ერთი გამონაკლისი მოიპოვება: ესაა **არის** ზმნა, რომელსაც დღემდისაც კი დაუცავს სუბიექტური პრეფიქსის ხმარება ხმოვნის წინ მეორე პირის ფორმებში: **ვ-არ, ხ-არ, არი-ს**. მაგრამ ეს ერთი ზმნა ყველგან და ყოველთვის განმარტოებით დგას, რადგანაც მისი უღლება არც ერთი ცნობილი კილოს უღლების ნორმებს არ ეგუება: ხმოვნის წინ არა გვაქვს სხვა შემთხვევა მეორე პირის სუბიექტური ნიშნის შენახვისა. სამაგიეროდ შეიძლება მას პარალელები მოვუძებნოთ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შემთხვევებიდან ხმოვნების წინ. ეს პარალელებია: **ხერთვის, ხეყავ, შეხენიე და შეხუაბო**.

### 1. ხერთვის

ქართულში არ მოიპოვება ზმნის ფორმა **ხერთვის**, მაგრამ მოიპოვება ამ ფორმისაგან ნაწარმოები სახელი **ხერთვის-ი**. რას ნიშნავს იგი? ს. ორბელიანის ლექსიკონით **ხერთვისი** არის „ზღვათა და წყალთა საშუალი ადგილი ხმელი“. ამ განმარტებაში „წყალი“ უთუოდ მდინარის მნიშვნელობით არის ნახმარი და, მაშასადამე, ს. ორბელიანის ახსნის დღევანდელი თარგმანი იქნება: ზღვებსა და მდინარეებს შორის მდებარე ხმელი ადგილი. მაგრამ ზღვებსა და მდინარეებს შორის მდებარე ხმელი ადგილი ჩვენთვის დღეს შეიძლება კუნძულიც იყოს და ნახევარ-კუნძულიც, იმისდა მიხედვით, მთლად არის იგი შემოფარგლული წყლით, თუ არა. რომელი მათგანი აქვს სულხანს მხედველობაში? თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ **ხერთვისი** მას მიაჩნია კ უ ნ ძ უ ლ ი ს ა და ჭ ა ლ ა კ ი ს სინონიმად (მისი განმარტება კუნძულისა ასეთია: ხერთვისი, ჭალაკი, ხოლო **ჭალაკისა**: კუნძული, გინა ჭალა), შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას **ხერთვისი** დღევანდელ კ უ ნ ძ უ ლ ა დ ესმოდეს. მაგრამ არა! ასეთი გაგება იქნებოდა დღევანდელ ცნებათა გადატანა ძველს დროში და ჩვენი შეხედულების მოხვევა სულხანის თავზე. თუმცა ახალ ქართულში განსხვავებული გვაქვს კ უ ნ ძ უ ლ ი და ნ ა ხ ე ვ ა რ -კ უ ნ ძ უ ლ ი , მაგრამ ძველ ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ უნდა ყოფილიყო და იქ ერთი და იგივე სიტყვა (**ხერთვისი** იქნებოდა იგი, **კუნძული**, თუ **ჭალაკი**) გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც კ უ ნ ძ უ ლ ი ს , ისე ნ ა ხ ე ვ ა რ -კ უ ნ ძ უ ლ ი ს ა ლსანიშნავად. ასეთი განურჩევლობა კ უ ნ ძ უ ლ ი ს ა და ნ ა ხ ე ვ ა რ -კ უ ნ ძ უ ლ ი ს ა ძველ ქართულში გასაკვირი არ არის, რადგანაც იგი მარტო ძველ ქართულს როდი ახასიათებს: მსგავსივე მოვლენაა არაბულშიც, სადაც ةجزء ერთსაც აღნიშნავს და მეორესაც; კერძოდ ةجزء شؤامدინარეა,

ბ) ან როცა ვე ჯგუფისაგან მიღებული გვაქვს ანლაუტის ო: ჰრყავ (← ვეყავ = „ვიყავ“).

აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ინგილოურში, მოსე ჯანაშვილის მიერ ჩანერი-ლი ტექსტების მიხედვით, ჰავს ნარმოშობას თავკიდურის უნის წინ ზმნის ფორმებში არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უძევს, არამედ იგი წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა იმგვარადვე, როგორც იმავე ჰავს გაჩენა უნისა და ონის წინ ანლაუტში და, მაშასადამე, ლაპარაკი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შესახებ ხმოვნების წინ, ინგილოური მასალების მიხედვით, შეუძლებელია.

რომელიც ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს ისტორიაში არაბული ფორმითაც გვხვდება<sup>1</sup>. არც თუ ძველ ბერძნულშია ძალიან გარჩეული კ უ ნ ძ უ ლ ი და ნ ა ხ ე ვ ა რ კ უ ნ ძ უ ლ ი . თუმცა აქ ნახევარკუნძულისათვის სპეციალურად ჯერძითაც (ანუ ჯერძითაც) (ანუ ჯერძითაც) (ანუ ჯერძითაც) რაიცა ქართულად ხმელეთ-კუნძულს ნიშნავს, მაგრამ მაინც ვწოდებ, ი, აღნიშნავს არა მარტო კუნძულს საკუთრივ, არამედ ნახევარ-კუნძულსაც. ეს ცხადად ჩანს, მაგალითად, პელოპონესის ნახევარ-კუნძულის სახელწოდებიდან, რაიცა ეტიმოლოგიურად პელოპის კუნძულს ნიშნავს: Πελοπόννησος, ი = Πέλοπος ვწოდებ. მამასადამე, სულხანის ხერთვისის ახსნაში ჩვენ უნდა დავინახოთ როგორც კუნძული, ისე ნახევარ-კუნძული.

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის პირველ გამოცემაში (1840 წ.) ხერთვისი ახსნილია კუნძულად (остров, ile), რაიცა უნდა ეყრდნობოდეს ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა -ნ ი ს განმარტებას, რომელიც გაგებულა არა ისე, როგორც იგი თვით ს უ ლ ხ ა ნ ს ესმოდა, არამედ შიგ ჩადებულია ახალი მნიშვნელობა. მეორე გამოცემაშიც (1887-90 წ.წ.) მისი ქართული ახსნაა ჭ ა ლ ა კ ი , კ უ ნ ძ უ ლ ი , ხოლო რუსული თარგმანია *перешеек, остров*. ეს *перешеек*-ი ცოტა ვერ უდგება იქვე მოყვანილ ქართულ ახსნა-განმარტებას („ჭალაკი, კუნძული“) და არ ვიცი, საიდან მომდინარეობს და რას ემყარება იგი. დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს ამ უკანასკნელ გამოცემაში ადგილიც კი მოჰყავს, სადაც ხერთვისი უნდა გვხვდებოდეს: ეს ყოფილა „ტიმ. 36“. ეს „ტიმ“. უნდა იყოს ალბათ „მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“, რომელიც დაბეჭდა პლ. იოსელიანმა ტფილისს 1852 წელს. მაგრამ ვერც ამ წიგნის 36 გვერდზე და ვერც საზოგადოდ სადმე ამ წიგნში მე ვერ ვიპოვე ხერთვისი. ტ ი მ ო თ ე ამ თავის „მოხილუაში“ ჩვეულებრივ ან ჭ ა ლ ა კ ს ხმარობს (23, 20; 24, 4; 31, 1; 103, 17; 123, 20; 124, 3; 125, 9, 12-13; 174, 19; 179, 7, 10, 13, 15, 16-17, 22; 180, 6; 184, 13; 185, 1) ან კიდევ კუნძულს (25, 17; 53, 21; 103, 1-2; 116, 5; 121, 5-6; 123, 23). ერთ ადგილას, მაგალითად, იგი წერს: „მიერ წარვედით კუნძულსა სუბუქსა და მიერ ჭალაკსა კუნძულსა (sic) როდოსს“ (125, 15-17)<sup>2</sup>.

ხ ე რ თ ვ ი ს ი რომ კ უ ნ ძ უ ლ ი ა , ან ნ ა ხ ე ვ ა რ -კ უ ნ ძ უ ლ ი , ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მართლაც დავიმონწოთ ძველი ძეგლები.

<sup>1</sup> ჯ ა ზ ი რ ე თ ი (ბროსეს გამოცემა, გვ. 127, 23; მარიამ დედოფლისეულ რედაქციაში, \*345, გვ. 148, 18, შეცდომით ჯ ა ზ ა რ ე თ ი იკითხება), ანუ ჯ ა ზ ი რ ა (ბროსეს გამოცემა, გვ. 135, 24, 25, 28, 31; 137, 25 = მარიამ დედოფლ. რედ. \*366-367, გვ. 162, 22, 25: 163, 2, 7).

<sup>2</sup> საღვთო წერილის ქართულ თარგმანშიც ჩვეულებრივ ჭალაკი იხმარება (მცხეთის დაბადებაშიც, თ. ჟორდანიასეულ ხელნაწერშიც, მოსკოვის გამოცემაშიც). დაბ. 10, 5; ფსალმ. 71, 10; 96, 1 (ასეა ფსალმუნის ძველ ხელნაწერშიც, სიძვ. მუზ. 38); ესაია 11, 11 23, 2; 23, 6; 24, 15; 41, 1; 42, 10; 42, 12; 42, 15; 49, 1; 51, 5; 59, 18; 66, 19; იერ. 2, 10; 25, 22; 31, 10; ეზეკ. 26, 15; 26, 18; 27, 3; 27, 6; 27, 7; 27, 15; 27 35; 39, 6; დან. 11, 18; სოფ. 2, 11; საქმე 13, 6; 27, 26; 28, 7; 28, 9; 28, 11; გამოცხ. 1, 9).

კ უ ნ ძ უ ლ ი უკვე ვეფხის ტყაოსანშია ნახმარი (დ. კარიჭაშვილის გამოც. [1920] 584, 2 = კა-კაბაძის გამოც. 564, 2 = აბულაძის გამოც. 540, 2), საიუბილეო გამოც. 601, 2.

### ხერთვისი კუნძულია

ა) გრიგოლ ნოსელის ერთ წიგნში, რომლის თარგმანიც ორ რედაქციად არის მოღწეული, ერთ რედაქციაში ხერთვისი იკითხება, ხოლო მეორე რედაქციაში – ჭალაკი.

არამედ ჯერ იყო ჭეშმარიტად, რაათა განიმზადოს სამეფო პირველ და მაშინლა გამოჩნდეს მეფე. და ვითარ განმზადა დამზადებელმან ყოველთამან საუნჯე სამეფო, – და არს ესე ქუეყანა, ზღუა და ხერთვისნი, ესე ცაა, რომელი არს მაგრილობელ მათ ზედა, დაიუნჯა საუნჯესა ამას ყოველი სიმდიდრე („კაცისა შესაქმისათს“<sup>1</sup>, ძველი რედაქცია, შენახული შატბერდის კრებულში, გვ. 11 b).

არამედ პირველ სამთავროსა ჯერ-იყო შემზადება და ესრეთლა შემოყვანება მეფისაო. ხოლო ვინათგან ყოველთა დამზადებელმან ვითარცა სამეფო ეზონი ესრეთ განუმზადნა მეუფედ ყოფადსა მას ზღუა და ჯმელი და ცაა და ქუეყანა და ჭალაკნი<sup>2</sup> და მდინარენი და ვითარცა სართული და კამარა მოდრიკა მათ ზედა სამყარო ესე ყოველად შუენიერი და სამეფოთა ამათ შინა სიდიდრე პირად-პირადი დაუუნჯა [„დაბადებისათს კაცისა“, ახალი რედაქცია გიორგი მთაწმიდლისა. წერა-კითხვის საზ. მუზეუმის ხელნაწერი 1358 (ფ. 146); აგრეთვე 2666 (რვ. 13, გვ. 3); 272 (გვ. 223) და 120 (გვ. 121)].

ბ) ტიმოთე ეპისკოპოსის წამებაში<sup>3</sup> ვკითხულობთ:

ხოლო გულის-თქუმაჲ საეშმაკოჲ დაენერგა გულსა დომენტიანოს მეფესა ჰრომისასა, რომელი იყო შემდგომად ნერონ მეფისა. ესე აღეგზნა რისხვითა დიდითა ზემო ჯსენებულსა ამას ზედა წმიდასა იოვანეს ღრმთის-მეტყუელსა და შურითა საეშმაკოთა განდევნა იგი ქალაქით ეფესოთ და უბრძანა, რაათა დაემკდროს იგი ჭალაკსა პატმონისასა, რომელი არს ერთი შეცვულთა ხერთვისთაგანი<sup>4</sup>. აქ მოყვანილ ციტატაში სიტყვა „შეცვული“ შეიძლება ორნაირად გავიგოთ: იგი უნდა იყოს ან დაცული სამხედრო ძალებით (რომაელები ხომ იქ პყრობილებს გზავნიდენ), ან კიდევ გარემოცული, ირგვლივ შემორტყმული წყლით. წამების გამომცემელი პროფ. კ. კეკელიძე უკანასკნელ განმარტებას უჭერს მხარს და მეც ასე მგონია და, მაშასადამე, ტექსტის უკანასკნელ სიტყვებში „რომელი არს ერთი შეცვულთა ხერთვისთაგანი“ უნდა იგულისხმებოდეს კუნძული დღევანდელი მნიშვნელობით, ირგვლივ გარემოცული

<sup>1</sup> ამ ძეგლში რომ ხერთვისი გვხვდება, ამ გარემოებაზე ჩემი ყურადღება მიაქცია ვარლ. თოფურიამ.

<sup>2</sup> ჭალაკნი. ასე იკითხება 1358 ნომერში. 272-სა და 266-ში იკითხება ჭალაკნი, ხოლო 120-ში ჯერ ჭალაკნი ყოფილა და შემდეგ ბანი ჭარად გადაუსწორებიათ.

<sup>3</sup> ვინ იცის, ეგების ამ ტიმოთეს წამებას გულისხმობდა ლექსიკოლოგი დ. ჩუბინაშვილი რომელიმე ხელნაწერის მიხედვით, როცა იგი ხერთვისის მნიშვნელობის გამორკვევისათვის რომელიღაც ძეგლს იმონებდა.

<sup>4</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი. კიმენი. ტ. I, ტფილისი 1918, გვ. 105, 13-18.

წყლით. მაგრამ, თუ კი შეიძლება, რომ ხერთვისი იყოს „შეცვული“ (ე. ი. კუნძული), ალბათ შეიძლება, რომ იგი იყოს აგრეთვე „შეუცავიც“ (ე. ი. ნახევარ-კუნძული). და, მართლაც, ასეთი მნიშვნელობითაც არის იგი ნახმარი ძველ ძეგლებში.

### ხერთვისი ნახევარ-კუნძულია

ა) ევფემიანე და ალექსის ცხოვრებაში ვკითხულობთ:

პოვა მუნ ნავი ჴუამალდი და შევიდა მას შინა და ჰრქუა მენავეთა მათ: ნარვემარ-თნეთ ასურეთა, სადა-იგი არს ხერთვისი და ხატი ღმრთისაჲ. და ნარვიდეს მიერ და განვიდეს ლავდიკიად და პოვნეს მოგზაურნი მეკარაულენი და შეევედრა მათ და ნარვიდა ხერთვისად ასურეთისა, სადა-იგი არს ხატი ღმრთისაჲ<sup>1</sup>. აქ ასურეთის ხერთვისად ნაგულისხმევია მესოპოტამია, ანუ შუამდინარე, რომელიც მართლაც ნახევარ-კუნძულს წარმოადგენს დიჯლასა და ევფრატს შუა. სწორედ მესოპოტამიაში მდებარეობს ურჰა ქალაქი ანუ ედესა, სადაც, გადმოცემის თანახმად, თითქო იყო ხელთ-უქმნელი ხატი, რომელზედაც საუბარია მოყვანილ ციტატში.

ბ) ნმ. მიქაელის წამებაში ვკითხულობთ: „მიუგო მონაზონმან [ამირმუმლსა] და ჰრქუა: ოთხნი კიდენი ოთხთა სახარებათანი და ათორმეტნი ნაწილნი ათორმეტთა მოციქულთანი, რომელ არიან ესენი: სინდეთი და ჰინდოეთი, ნუბეთი და აფრიკეთი; გუთეთი და საბერძნეთი, ბურღანეთი და ქერსონეთი, აფხაზეთი და ხაზარეთი, დელამეთი და ფარღანეთი, – ესე არიან ზღვს-კიდენი; ხოლო თქუნენ, სარკინოზნი, მპყრობელნი ხართ ერთისა ხერთვისისანი და უმრავლესნი ერნი ქუეყანისა თქუნისანი მორწმუნენი არიან უფლისა ჩემისა და შენნიცა მსახურნი წარჩინებულნი მნიგნობარნი და მკურნალნი მოსავნი მწსნელისა ჩემისანი“<sup>2</sup>. მოყვანილი ადგილიდან ცხადია, რომ ხერთვისი უნდა იყოს ნახევარ-კუნძული, ასე რომ „თქუნენ, სარკინოზნი, მპყრობელნი ხართ ერთისა ხერთვისასანი“ დღევანდელ ენაზე გადმოთარგმნით იქნება: თქვენ, სარკინოზებს (ე. ი. არაბებს), გიპყრიათ ერთი ნახევარ-კუნძული.

გ) ჯუანშერს თავის ისტორიაში ორჯერ აქვს ნახმარი **ხერთვისი**. ერთ ადგილას იგი მოგვითხრობს:

(მარიამ დედოფ. რედ.)

ენყუნეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკსა, რიყესა ხერთვისსა (\*351, გვ. 152).

(ანა დედოფ. რედ.)

ენყუნეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა (რვეული ი, გვ. 15).

მარიამ დედოფლისეულ რედაქციაში უკანასკნელი სიტყვა პატივს ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ და, როცა ქარაგმას გავხსნით და ძველ ორთოგრაფიასაც აღვადგენთ, მივიღებთ: „ჭალაკსა, რიყესა ხერთვისისასა“. ანა დედოფლისეულ რედაქციას მისდევს თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერიც, მაგრამ აქ უკანასკნელი სიტყვის ფორმაა არა ხერთვისისა, არამედ ხერთვისისა: „ენყუნეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“ (ქართლის ცხოვრება, I, პეტერბ. 1849, გვ. 129). ამ ადგილმა ცოტა-

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, პ. ციტი., გვ. 162, 1-5.

<sup>2</sup> პროფ. კ. კეკელიძე, პ. ციტი., გვ. 170, 7-14.



ოდნად საგონებელში ჩააგდო მ. ბროსე, რომელმაც იგი ასე გადათარგმნა: „Le combat s'engage, au bord de la mer, dans l'île caillouteuse de khertwis“ და თანაც ასეთი შენიშვნა დაურთო<sup>1</sup>: „სიტყვა ხერთვისი, რომლის წარმოშობა მე არ ვიცი, სულხანის ლექსიკონის მიხედვით არის „ზღვათა და წყალთა საშუალი ადგილი ხმელი“ და, მაშასადამე, კუნიძული, სომხ. კუნიძ. სპერი, სადაც ქართველებს დაუხვევიათ, არც თუ ეგრე ახლოა ზღვასთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგი დაახლოვებია ლაზიკის ნაპირს. ესეც კია, რომ, მემატანის მოთხრობის მიხედვით, ლაპარაკი უნდა იყოს, ცხადია, არა ზღვაში მდებარე კუნძულზე, არამედ, უეჭველია, ქვეყნის რომელსამე ნაწილზე, რომელიც რამდენიმე მიმდინარე წყალს შორის არის მოქცეული და რომელსაც ხერთვისი ერქმეოდა, როგორც არის ამავე სახელის მქონე ციხე იქ, სადაც საკუთრივ მტკვარს ხერთვისი მდინარე, რომელსაც ვახუშტი ჯავახეთის მტკვარს უწოდებს“. ამ შენიშვნის მეორე ნაწილი მხოლოდ იმდენად არის სწორი, რამდენადაც იგი საზოგადოდ ხერთვისის სემანტიკას ეხება. მაგრამ ბროსე ცდება, როცა იგი, ახალი ქართულის გავლენით, ბრძოლის ასპარეზს ზღვას ამორებს. მართლაც და: სადა აქვს ჯუანშერს წარმოდგენილი ომი: ზღვის ნაპირზე, თუ ზღვისაგან მოშორებით? დავუკვირდეთ მის მოთხრობას. ვახტანგმა განაცხადა თურმე: „აღვდგეთ აქაჲთ და დავიბანაკოთო ზღუასა სომხითით კერძო, რაჲთა გუაქუნდეს ჩუენ გზაჲ ჭირისა და ლხინისაჲ“-ო. ამის შემდეგ თურმე „ალიყარა ლაშქარი იგი გარემოს ქალაქისა და ვლეს ხუთისა დლისა სავალი სომხითით კერძო და დადგეს სპერით კერძო“<sup>2</sup> (ქართ. ცხოვრ., I, 1849, გვ. 128). რაკი ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ „ენყუნეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“ (ან „რომელ არს ჭალაკსა, რიყესა ხერთვისისასა“), ცხადია, ჯუანშერის წარმოდგენით, ომი მომხდარა ზღვის პირად, რიყეზე, მაგრამ ეს ზღვის პირი თავისი მდებარეობით ყოფილა ჭალაკი, ე. ი. ამ შემთხვევაში ნახევარ-კუნძული, რომელიც ერთი მხრით შესაძლოა მდინართაც იყო შემოფარგლული. მაშასადამე, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ადგილი ყოფილა ხერთვისი და შეიძლება, რომ სახელადაც მას საკუთრად ხერთვისი ერქვა. ამ შემთხვევაში კი ბუნებრივი იქნებოდა მისი **ხერთვიშ-ად** გადაკეთება ჭანურ-მეგრულ წესზე, როგორც ეს ანა დედოფლისეულ ხელნაწერში იკითხება (დასახელებულ მიდამოებში ხომ ჭან-მეგრელთა ტომები მოსახლეობდნენ), რომ აქ უბრალო შეცდომა არ გვქონდეს.

დ) მეორე ადგილას ჯუანშერი მოგვითხრობს:

(მარიამ დედოფ. რედ.)

ცნეს სპარსთა, რამეთუ დამძიმდა ვახტანგ, და მოაოჯრეს ტფილისი და არმაზი ქალაქი; ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოჯრეს, რომელი-იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისისა იყო (\*397-398, გვ. 183).

(ანა დედოფ. რედ.)

ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ, მოაოჯრეს ტფილისი ქალაქი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელნი ზღუდესა გარეგნით იყვნეს, მოაოჯრნეს, რომელნი-იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისისა იყო (რვეული იწმ, მეოთხე გვერდი ბოლოდან).

<sup>1</sup> histoire de la Géorgie, I, გვ. 171.

<sup>2</sup> მარიამ დედოფლისეულსა (\*346-347, გვ. 149) და აგრეთვე ანა დედოფლისეულ რედაქციაშიც ეს ადგილი ცოტაოდენად შერყვნილია.

გამოდის, მაშასადამე, რომ სპარსელებს, ჯუანშერის აზრით, მცხეთისთვის რომ ვერა დაუკლიათ რა, მოუოხრებიათ მისი ზღუდის გარეშე ადგილი „რომელი-იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისსა იყო“, ე. ი. მუხრანიდან მოკიდებული რაც კი მტკვარსა და არაგვს შუა ნახევარ-კუნძულსავეთ მდებარე ადგილები იყო. მ. ბროსეს **ხერთვისი** აქ კიდევ უფრო ფართოდ ესმის: მისთვის იგია „არაგვსა, მტკვარსა და ქსანს შორის მდებარე ადგილი“<sup>1</sup>. მაგრამ მე მგონია, რომ ხერთვისის საზღვრები აქ მხოლოდ მტკვრით და არაგვით უნდა შემოისაზღვროს. არსაიდან არა ჩანს, რომ ჯუანშერს ქსანიც ჰქონდეს მხედველობაში. **ხერთვისი** მისთვის, უეჭველია, ორ წყალს შუა მდებარე ადგილია. მართალია, ამ ორ წყალთაგან იგი მხოლოდ არაგვს ახსენებს, მაგრამ ცხადია, რომ მეორე მდინარედ მას მტკვარი აქვს ნაგულისხმევი.

ძველი ტექსტების მონიშნებით, მაშასადამე, **ხერთვისი** აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კუნძულს, ისე აგრეთვე ნახევარ-კუნძულსაც, რომელთა დიფერენციაცია მაშინ არც არსებობდა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ **ხერთვისი** თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარკუნძული და არა კუნძული, თანაც ისეთი ნახევარ-კუნძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით (ან მდინარის ზღვასთან შეერთებით) არის წარმომდგარი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი **ხერთვისი** საკუთარ სახელად იქცა ქართულში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თავი.

**ხერთვისი** დღესაც გეოგრაფიული სახელია და იგი რამდენიმეჯერ გვხვდება. მაგალითად, ხუთ-ვერსიან რუკაზე, რომელიც გამოცემული იყო კავკასიის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, ამ სახელწოდებით (Хертвиси, Хертвись) ხუთი სოფელია აღნიშნული:

1. ჯ ა ვ ა ხ ე თ შ ი , იქ, სადაც მტკვარს ახალქალაქის წყალი ერთვის.
2. ფ ო ც ხ ო ვ შ ი , წურწყაბიდან 15-იოდე ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით.
3. კ ლ ა რ ჯ ე თ შ ი , არტანუჯის აღმოსავლეთით, ათიოდე ვერსის მანძილზე.
4. ა ქ ა რ ა შ ი , სადაც ქოროხს აჭარის წყალი ერთვის (= ზედა ხერთვისი?).
5. ა ქ ა რ ა შ ი ვ ე , მაჭახელის წყალზე (ქვედა ხერთვისი).

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ **ხერთვისი**, როგორც გეოგრაფიული სახელი, გაცილებით უფრო მეტია საქართველოში, ვიდრე რუსულ ხუთ-ვერსიან რუკაზეა აღნიშნული. მაგალითად შემიძლია დავასახელო

6. ჟ ი ნ ვ ა ნ ს გაღმა მდებარე ადგილი, სადაც ფშავის არაგვს მთიულეთის არაგვი უერთდება და რომელსაც **ხერთვისი** ჰქვია. იგი დასახელებულ რუკაზე აღნიშნული არ არის.

თუ ყურადღებას მივაქცევთ ზემორე ჩამოთვლილი ადგილების მდებარეობას, ვნახავთ, რომ ყველანი მდინარის პირად იმყოფებიან; მეტსაც ვიტყვი: ყველანი შერთულ მდინარეებს შორის არიან მოქცეულნი; „არიან მოქცეულნი“-მეთქი, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა: „უნდა იყვნენ მოქცეულნი“, რადგანაც უეჭველად და დანამდვილებით ამის მტკიცება ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი ხერთვისის შესახებ შემიძლია: არაგვისა, მტკვრისა და ქოროხისა. ერთ მათგანს ვახუშტი ბატონიშვილი ასე ნიშანდობლივ აგვიწერს: „სად ერთვის მტკვარს ჯავახეთის მტკვარი, ამ ორს მდინარეს

<sup>1</sup> Histoire de la Géorgie, I, გვ. 198, შპმ. 4.

შორის არს ხერთვისი: მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკვრის სამხრით<sup>1</sup>. სხვა ხერთვისებსაც ალბათ ასეთივე მდებარეობა აქვთ, თუ, რასაკვირველია, რომელიმე მათგანი სხვა ხერთვისიდან გადმოსახლებული ხალხის მიერ გაშენებული არ არის და სახელიც იქიდან, ძველი ხერთვისიდან, გადმოტანილი და ახალშენის მდებარეობის შეუფერებლად დარქმეული არ არის. ერთი სიტყვით, **ხერთვისს** უნდა მოველოდეთ ჩვეულებრივ მხოლოდ იქ, სადაც მდინარე მდინარესვე ან ზღვას **ერთვის**.

**ერთვის** – აი ის ზმნის ფორმა, რომელთანაც ეტიმოლოგიური კავშირი აქვს **ხერთვისს**<sup>2</sup>. რომ ეს კავშირი უდავოა, ამას ერთთავად ისიც ადასტურებს, რომ **რთვა** ზმნისაგან სხვა გეოგრაფიული სახელიც გვაქვს ნაწარმოები, სახელდობრ შერთული, რომელიც სოფელია დიდისა და პატარა ლიახვის შესართავთან. ოღონდ შერთული ახალი ფორმაა, ძველად კი იგი მრავლობით რიცხვში ყოფილა ხმარებული: შერთულნი, შერთულთა, როგორც ამას გვიჩვენებს შემდეგი ადგილი ქართლის ცხოვრებისა:

(მარიამ დედოფ. რედ.)

თვთ თავადი სურტანი დადგა კარბსა და მერმე ჩამოდგა შერთულთა (\*501, გვ. 271-272)<sup>3</sup>.

(ანა დედოფ. რედ.)

და თუით თავადი სურტანი დადგა კარბს და მერმე ჩამოვიდა შერთულთა (რვ. კ ე, გვ. 5).

ამ სიტყვის ეტიმოლოგია, დაკავშირებული სოფლის ოროგრაფიულ მდებარეობასთან, ჯერ კიდევ ვახუშტის აქვს სწორად განმარტებული, რომელიც წერს: „ვარიანს ზეით ერთვის ლიახვის აღმოსავლეთიდან პატარა ლიახვი, ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული“-ო<sup>4</sup>.

მაშასადამე, **ხერთვისი** სულ სხვანაირად ნაწარმოები სახელი ყოფილა, ვიდრე მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში **ის** სუფიქსი აქვთ: არანისი, ბირთვისი, ბოლნისი, დათვისი, ეგრისი, თუხარისი, კრწანისი, ლარგვისი, მანგლისი, მარილისი, ნიჩბისი, ოლთისი, პანკისი, რუისი, საცხენისი, ტფილისი, ურბნისი, ფარცხისი, ქსოვრისი, ყინწვისი, ყორნისი, ცერონისი, ნავკისი და სხვანი, იმიტომ რომ ხერთვისში – **ის** დაბოლოებაში მე-3 პირის ნიშანი შედის (**ი-ს**), ჩამოთვლილ სახელებში კი **ის** ნათესაობითის ბრუნვის ნიშანია. ეს ნათეს. ბრუნვა ამ შემთხვევაში გამოწვე-

<sup>1</sup> ლეოლრაჭიული აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. პეტერბურგი, 1842, გვ. 96.

<sup>2</sup> **ხერთვისის** ეტიმოლოგიური კავშირი **ერთვის** ფორმასთან გათვალისწინებული ჰქონია ი. როსტომაშვილსაც, რომელსაც ოღონდ ხანი შეცდომით შემოკლებული ხევი (სცილ. ჯევი) ჰგონია. ჯავახეთის ხერთვისის შესახებ იგი წერს: «Хертвис – слово грузинское. Образовалось оно из двух слов: х сокращенное хеви – река, вода и эртвис (ერთვის) – соединяется. И действительно, Хертвис стоит как раз у соединения р. Топараванки с Курой, на левой стороне первой и на правой – второй» (Ахалкалакский уезд в археологическом отношении: Сборник материалов, XXV, 115). რომ ხსენებული ავტორის მიერ მოყვანილი ეტიმოლოგიის პირველი ნაწილი შეცდომაა, ამას ამტკიცებს თუნდაც მარტო ორთოგრაფია სიტყვისა: ხერთვისი (და არა ჯერთვისი). ამგვარი ორთოგრაფიით ეს გეოგრაფიული სახელი გვხვდება, მაგალითად, ქართლის ცხოვრებაში (ტ. I, ბროსეს გამოცემა 1849, გვ. 26, 23).

<sup>3</sup> თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერი მარიამ დედოფლისეულ რედაქციას უჭერს მხარს: „და თვთ თავადი სულტანი დადგა კარბს და მერმე ჩამოდგა შერთულთა“ (ბროსეს გამოც., 131, 10).

<sup>4</sup> Op. cit., გვ. 250.

ულია საზღვრული სიტყვის მიერ, რომელიც შემდეგ დაკარგულა<sup>1</sup>, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მსგავს ნარმოებაში მსაზღვრელთან ერთად შენახულია აგრეთვე საზღვრულიც: **ახო [აწო]** (ბარის აწო), **გორი** (იფნის გორი), **თავი** (რუსთავი, წყაროს თავი, ხიდის თავი), **კარი** (ღარღის კარი, ხიდის კარი, ტაშის კარი, ლეზაის კარი), **პირი** (არაგვის პირი, რუის პირი), **უბანი** (ვარდის უბანი), **ყანა** (დოლის ყანა), **ყური** (ლალის ყური), **ციხე** (ველის ციხე, ლასტის ციხე, მწყერის ციხე, ტურის ციხე, უფლის ციხე), **ძირი** (ტახტის ძირი, ციხის ძირი), **წყარო** (კოდის წყარო), **ჭალა** (ხევის ჭალა), **ხევი [წევი]** (კავთის ხევი, კისის ხევი), **ხიდი [წიდი]** (ტინის ხიდი), **ჯუარი** (ციხის ჯუარი) და სხვ.

ეგების გვერდით: შეიძლება კი, რომ ზმნის ფორმა გამოყენებულ იქნეს ქართულში სახელად? – რატომ არა! იქნება ჩვენი პასუხი. თავი რომ დავანებოთ ისეთ ზმნის ფორმებს, რომლებიც საკუთარ სახელად ქცეულა ქართულში, როგორცაა: **ღვთისა ვარ, მინდი (მინდია), გამიხარდი, მახარე, გამახელა, გინდრა** (=გინდ რა), **მეწყინა** (ქალის სახ.), **კმარა** (ქალის სახ.), **მინდა** (ქალის სახ.), **ქალუნდა** (=ქალი უნდა)<sup>2</sup>, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ იმისი მაგალითებიც, რომ სახელად აწმყოს თხრობითის მესამე პირის ფორმა იყოს ქცეული იმგვარადვე, როგორც **ხერთვისი**; ესენია: **ღირს-ი**, **არს-ი** და **მსგავს-ი**. ამ მაგალითებში **ღირს-ისა** და **არს-ის** ნარმოება ნათელია [**ღირს-ი** = **ღირს** + **ი**: **ვ-ღირ**, **ჰ-ღირ**<sup>3</sup>, **ღირ-ს**. **არს-ი** = **არ-ს** + **ი**: **ვ-არ**, **ხ-არ**, **არ-ს**]. შეიძლება მხოლოდ **მსგავს-მა** ჩაგვაგდოს საგონებელში. ამ უკანასკნელი სიტყვის ნარმოება რომ გამოვარკვიოთ, იგი ორად უნდა გავყოთ: **მს** + **გავსი**. პირველ ნაწილში თითქოს გვაქვს შეკვეცილი **მას**, მეორეში კი – **ჰგავს** ზმნის ფორმა. მაშასადამე, **მსგავსი** მიღებული უნდა იყოს **მას ჰგავს** ჯგუფისაგან ანისა და **ჰავს** დაკარგვით და ინის დართვით სახელობითი<sup>4</sup>.

რაკი საკითხი ყოველ მხრივ არის განხილული, ეხლა, მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ხერთვისი**, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წყლები შესართავთან მდებარე ადგილი, შემდეგ ორ წყალს შუამდებარე ადგილი, აქედან მეორე **ნახევარ-კუნძული** და, უკანასკნელ, **კუნძული**, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ზმნის ფორმა მესამე სუბიექტურ-ობიექტური პირისა აწმყოს თხრობითი მხოლოდით რიცხვში: **ხერთვის**. ამ ფორმის დღევანდელი შესატყვისია **ერთვის**, რომელიც ვნებითა თავისი ნარმოებით და რომელსაც დამატება აქვს მიცემითში: **ერთვის მას**. დღევანდელი **ერთვის** ისტორიულად **\*ჰერთვის** ფორ-

<sup>1</sup> ამის ანალოგიები მოიპოვება აგრეთვე მეგრულშიცა და სვანურშიც.

<sup>2</sup> **ქრისტესა**-ც ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან **ქრისტესია** მიღებული ჩანს აქედან: **ქრისტესი არს**, თუმცა შესაძლებელი კია, რომ ანი აქ კნინობითის ფორმისა იყოს, როგორც სახელებში: გოგია, პეტრია, პავლია, დათია, თეკლია, ნინუა და სხვ.

თითქო ასეთივე ნარმოებისაა **არაშენდა** სოფლის სახელიც.  
<sup>3</sup> **ვღირ**, **ჰღირ** – ეს ძველი ფორმებია, რომელთა ნაცვლად ახალ ქართულში ვღირვარ და ჰღირხარ გვაქვს.

<sup>4</sup> საეჭვოა, რომ **მსგავს-ის** წინარე ფორმა **მის-ი** + **ჰგავს-ი** იყოს და არა **მას** + **ჰგავს-ი**. კიდევ უფრო საეჭვოა, რომ **მანი** აქ აქტიურ მიმღებობათა ფორმების ანალოგიით იყოს განვითარებული, ხოლო **სანი** ჰავს ბგერინაცვლობას ენოდეს, ე. ი. სხვანაირად რომ გამოეხატოთ, თითქო **მსგავსი** = **მ** + **ჰგავს-ი** → **მ** + **სგავს-ი**.

უნდა აღნიშნულ იქნეს განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ძველ ქართულში არა გვაქვს შემთხვევა სანის ასმილაციისა განთან: **მსგავსი**, **ემსგავსა** და სხვ. (და არა მზგავსი, ემზგავსა და სხვა). შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ იმავე ზმნის ფუძისაგან მეორე სახელიც გვაქვს ნანარმოები: **იგავი (ი-გავ-ი)**.

მისაგან არის წარმოშობილი, როგორც ამას თანხმომიანი ზმნების უღლების ნორმები გვიჩვენებს. **ჰერთვის**-თან შედარებით **ხერთვის**-ი დიალექტური ფორმაა მხოლოდ: **ჰაე** (\***ჰერთვის** → **ერთვის**) და **ხანი** (**ხერთვის**) მესამე პირის ობიექტური ნიშნებია და ერთიმეორის ბგერინაცვალნი.

საკითხავია: შეიძლება კი ქართულში საზოგადოდ ასეთი დიალექტური ფორმა? გვაქვს კი რაიმე მსგავსი წარმოება კიდევ, რომ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი ხმოვნის წინ მართლაც შენახული იყოს **ხანის** სახით რომელსამე ზმნის ფორმაში? – გვაქვს, როგორც გვარწმუნებს შემდეგი მაგალითები.

## 2. ხეყავ

მცხეთის ჯვრის საყდრის წარწერებში ორჯერ არის ნახმარი ზმნა, რომელსაც თემა ხმოვნით ეწყება და დამატებაც აქვს მიცემითში: ერთია ადრწერსე ვიპატოსის წარწერაში, ხოლო მეორე – დემეტრე ვიპატოსისაში. ორივე ვიპატოსი მთავარანგელოზებს ევდრება: ადრწერსე გაბრიელს, დემეტრე კი მიქაელს. ორივე ვიპატოსის ვედრება მთავარანგელოზებისადმი ერთნაირად არის შედგენილი. განსხვავება, თუმცა მცირეოდენი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი, მოიპოვება მხოლოდ ზმნის ფორმაში.

(ჩრდილო აღმოსავლეთის სარკმელზე) (სამხრეთ-აღმოსავლეთის სარკმელზე)  
წმიდაო გრიგოლ მთავარანგელოზო, წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო,  
ადრწერსეს ვიპატოსსა მეოხ ეყავ. დემეტრეს ვიპატოსსა მეოხ ხეყავ.

არც ა. ნატროშვილსა<sup>1</sup> და არც ე. თაყაიშვილს<sup>2</sup>, რომელთაც მოყვანილი აქვთ წარწერები, აღნიშნული არა აქვთ, რომ მიქელ მთავარანგელოზისადმი მიმართულ ლოცვაში იკითხება **მეოხ ხეყავ** და არა **მეოხ ეყავ**, როგორც ისინი კითხულობენ. მაგრამ, რომ წარწერაში ორი ხანია (**მეოხ ხეყავ**) და არა ერთი (**მეოხ ეყავ**), ამას ამტკიცებს დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ამჟამად ტფილისის უნივერსიტეტის ფოტოგრაფიულ კაბინეტშია დაცული (18800/796)<sup>3</sup>. ამასვე ამტკიცებს იგივე წარწერა, მოყვანილი ბართოლომეს ნუმიზმატიკურ-არქეოლოგიური წერილების ბოლოს დართულს მესამე ტაბულაზე მეოთხე ნომრად, და აგრეთვე თვით ტექსტშიც დაბეჭდილი, რომლის შესახებაც იგი ამბობს: შესაძლებელია, რომ უკანასკნელ სტრიქონებში ისეთივე ფორმულა იყოს, რომლითაც თავდება მარჯვენა სურათის ლეგენდა<sup>4</sup>, მაგრამ ესეც კია, რომ მე კარგად გავარჩიე ორი **ხ**, რომლებიც აქ ერთურთს მისდევენ<sup>5</sup>. მაშასადამე ორი ხანის არსებობა უდავოა და ფორმა **მეოხ ხეყავ** დამონმებულია წერილობით. აქ, მართლაც, მეტად იშვიათი მოვლენა: ხანის სახით ხმოვნის წინ შენახულია ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა; ობიექტური მესამისა, და არა სუბიექტური მეორე პირისა, ვინაი-

<sup>1</sup> Мцхета и его собор Свѣти-цховели, 1901, გვ. 19.

<sup>2</sup> ჯვრის მონასტრის წარწერები: „სახალხო ფურცელი“, 1914, 8 ივლისი, 32.

<sup>3</sup> შემდეგ იგი შევიდა საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

<sup>4</sup> მარჯვენა მხარეს იმავე ტაბულაზე ბართოლომეს მოჰყავს ადრწერსე ვიპატოსის ვედრება გაბრიელ მთავარანგელოზისადმი.

<sup>5</sup> "Il est possible que dans les dernières lignes se retrouve la même formule qui termine la légende du tableau de droite, mais pourtant j'ai bien distingué les deux **х** qui se suivent ici" (Lettres numismatiques et archéologiques, relatives à la Transcaucasie é crites par le général J. Bartholomaei. S.-Petersbourg 1859, p. 80).

დან **მეოხ ხეყავ** – ეს ბრძანებითის კილოა, ბრძანებითის ფორმას კი სუბიექტური პრეფიქსი არ უნდა. აქ გასაკვირველი მხოლოდ ის არის, რომ იგივე მოვლენა არ არის დადასტურებული მეორე ანალოგიურ ნარწერაში, რომელიც ადრენერსე ვიპატოსს იხსენიებს. რას ნიშნავს ეს? ეგების აქ უბრალო შეცდომაა ნარწერის ამომჭრელისა და როგორც ადრენერსეს ნარწერაში, ისე დემეტრესამიაც იკითხებოდეს ნამდვილად **მეოხ ეყავ**? სწორედ ასე უნდა დაგვეყენებინა საკითხი, რომ მცხეთის საყდრის **ხეყავ** ფორმისათვის არ მოიპოვებოდეს ანალოგიური ნარმოება იმაზე ადრინდელის ბოლნისის სიონის ნარწერებში და თანაც არა ერთი, არამედ ორი.

### 3. შეხენიე

ბოლნისის სიონის საკურთხევლის სარკმლის თავზე, გარედან, უძველესი ასოებით გამოყვანილია შემდეგი ნარწერა, რომელშიც ჩახატულია წრეშემოვლებული ჯვარი.

ქრისტე, დავით ეპ[ისკ]ოპო[ს]ი კრებულთურთ და ამას ეკლესიასა შინა  
შენდა მიმართ თავყანისმცემელნი შეინყალენ და მ[შ]რ[ომ]ე[ლ]თა ამას  
ეკლე[სი]ა[ს]ა შინა შ[ე]ხენიე იი

ეს ნარწერა პირველად გამოაქვეყნა ბროსემ ბართოლომეს მიერ მისთვის გაგზავნილ წერილში<sup>1</sup>. მაგრამ ზოგი რამ იქ ვერ არის გარჩეული. ნარწერა ნაწილობრივ დაზიანებულია და ზოგ ჩემ მიერ ამოკითხულ სიტყვასაც განმარტება უნდა.

**თავყანისმცემელნი.** ეს სიტყვა კარგად იკითხება. ეს ძველი და საყურადღებო ფორმაა, სადაც ვინისაგან ნარმოშობილი **ვ (თავ-ყანის-მცემელი → თავყანისმცემელი)** ჯერ კიდევ თავის ადგილზეა და არ გადასულა ყარს შემდეგ. პირვანდელი ვინი დამონმებულია, მაგალითად, თემესტიას ნარწერაში მცხეთის ჯვრის ეკლესიის დედათა საყოფლის კარზე, შიგნით მხარეს, სადაც იკითხება: **თავყანისა ცემელად დედათა.**

**მშრომელთა,** აქ პირველი ასო მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს. მეორე ასო სრულებით აღარ არის, მესამისა ისევ ნაწილია შენახული, მეოთხე და მეხუთე კარგად ირჩევა, მეექვსისა ცოტადაა დარჩენილი, სამი უკანასკნელი კი სრულად არის დაცული. ჩემი აზრით, აქ უნდა იკითხებოდეს **მშრომელთა.** თუმცა ამაში მთლად დარწმუნებულიც არა ვარ და ცოტა ეჭვი კიდევ რჩება, მაგრამ კიდევ უფრო საეჭვოა **მდგომელთა** და სულ არ უდგება **მლოცველთა.** ბართოლომეს გადმონერჩილის მიხედვით ბროსეს აქ ამოუკითხავს **მხლდ მთლთა** და, როგორც ფრანგულის თარგმანიდან ჩანს, იგი ასე გაუგია: **მხოლოდ მართალთა** (“il n’y a que les justes qui...”), მაგრამ ასეთი რამ სულ მთლად უადგილოა.

**შეხენიე.** ამ სიტყვაში შინი ცოტა დაზიანებულია, ხანს თავში ამოტეხილი აქვს, მაგრამ ძალიან კარგად ჩანს და არავითარ ეჭვს არ ბადებს. რაიცა შეეხება წილს, მას აღარაფერი შეჰრჩენია თავის გარდა, რომელიც, კონტექსტი რომ არა, ტარის თავადაც შეგვეძლო მიგველო. ამ სიტყვის თანხმონენები **შხნ** რომ კარგად არის ნაკითხული, ამას, ერთი მხრით, ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ს ნ ა ნ ა კ ი თ ხ ი ც ა მ ტ კ ი ც ე ბ ს : მ ა ს ვ ე რ გა უ რ კ ვ ე ვ ი ა ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ო რ მ ა და **შეხენე[ბიან]** დაუნახავს.

<sup>1</sup> Lettres de M. Bartholomaei relatives aux antiquités géorgiennes: *Mélanges asiatiques*. T. II, S-Petersbourg 1856, p. 323.

იი. ნარნერის ბოლოს რომ ორი ინი ზის, ამის შესახებ კი რა მოგახსენოთ. აქ მოსალო-  
დნელია ან ქრონიკონი, ან კიდევ **ამჰნ**, უფრო კი უკანასკნელი. კაცი იფიქრებდა, რომ აქ  
სწორედ ეს სიტყვაა გამოყვანილი ისოფსეფიურად, როგორც ეს ბერძნებსა და კოპტებს  
სჩვევიათ<sup>1</sup>, მაგრამ ამ შემთხვევაში იი გვაძლევს ან ასს (10 X 10), ოცს (10 + 10) და არა გა-  
მოდის რა, ვინაიდან **ამჰნ** სიტყვის ასოების რიცხვები შეადგენს ოთხმოცდა ცხრამეტს (1 +  
40 + 8 + 50 = 99) და ერთი გვაკლია, ხოლო, თუ **ამინ**-ად წავიკითხავთ, რაიცა მეტად საეჭვო  
გამოთქმა VI-VII საუკუნისათვის, მაშინ ერთით მეტს მივიღებთ (1 + 40 + 10 + 50 = 101)<sup>2</sup>.  
შეიძლება, უკანასკნელ, ის აზრიც გამოვთქვათ, რომ ამ ორ უკანასკნელ ასოში ნარნერის  
ამომჭრელის სახელი იმალებოდეს, მაგრამ ეს აზრი კიდევ უფრო ნაკლებ მისაღებია.

რამდენადაც საეჭვოა ამ ნარნერის უკანასკნელი იი, იმდენად უეჭველია და  
ცხადი **შეხენიე**. აქაც ბრძანებითის ფორმაა ვნებითი გვარის ზმნისა, რომელსაც  
ფუძე აგრეთვე ხმოვნით ეწყება. დამატება მასაც მიცემითში აქვს („მშრომელთა“) და  
ამ დამატების აღსანიშნავად ზმნაში მოიპოვება ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა  
**ხანის** სახით. აქ, მაშასადამე, ისეთივე მოვლენაა, როგორც მცხეთის ჯვრის საყდრის  
ნარნერის **მეოხ ჰეყავ** ფორმაში, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

#### 4. შეხუაბთ

იმავე ბოლნისის სიონის მეორე ნარნერაში, რომელიც მოთავსებულია ჩრდილო-  
ეთის კარის თავზე ერთ გრძელ სტრიქონად, მოთხრობილია კარის შებმის ამბავი.  
ნარნერა დაზიანებული ყოფილა ჯერ კიდევ Du Bois-ს დროს, რომელსაც იგი გადმო-  
უწერია და ბ რ ო ს ე ს თ ვ ი ს გადაუცია<sup>3</sup>. ბ რ ო ს ე მ ი გი გამოაქვეყნა ამ გადმონაწე-  
რის [მიხედვით და საჭიროდ აღარ დაინახა, რომ ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ს მიერ გადმონერი-  
ლის მიხედვითაც გამოეცა იგი მეორედ<sup>4</sup>. ნარნერაში იკითხება:

[შენენი]თა [ქ]სითა მე ფარნ [- - -] და აზარუხტ შეხუა[ბ]თ ე[ს]ე კარ[ი  
სა]ლოცველად ს[ულ]თა [ჩუენთათჳს].

ზმნის ფორმა ამ ნარნერისა **შეხუაბთ** კარგად იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ  
ბანი დაზიანებულია. დ ვ ი ბ უ ა ს ტაბულაზედაც აგრე იკითხება და ტექსტშიც (გვ.  
107), სადაც მხოლოდ კორექტურული შეცდომაა: **ჰოლოჩოლო** ნაცვლად ამ ფორმისა:  
**ჰოლოჩოლო**. მაშასადამე, ნაკითხული სწორად არის და არავითარი ეჭვი არ არის, რომ  
ზმნის ფორმაა **შეხუაბთ**. ეს ფორმა ასეთ წინადადებაში: მე ფარნ[- - -] და აზარუხტ  
**შეხუაბთ ესე კარი**. დღევანდელ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, ეს იქნება: „მე,  
ფარნ[- - -]მა, და აზარუხტმა შევაბით ეს კარი“<sup>5</sup>. **შევაბი** მიცემით დამატებიანი ზმნაა

<sup>1</sup> V. Gardthausen, *Griechische Paläographie*<sup>2</sup>, Bd. II, Lpz. 1913, p. 309.

<sup>2</sup> ამენ მოგვცემდა ოთხმოცდა თექვსმეტს (1 + 40 + 5 + 50 = 96).

<sup>3</sup> Explication de diverses inscriptions (Extrait des *Mémoires de l'Académie Impériale des sciences de St.-Petersbourg*. VI-ième. Sc. politiques etc. t. IV). St.-Petersbourg 1838, p. 107, Pl. XI, N31.

<sup>4</sup> *Mélanges asiatiques*, t. II. p. 323.

<sup>5</sup> აქ რომ კარის შებმაზეა საუბარი, ასეთი მაგალითი სხვაც შეგვიძლია დავასახელოთ: მღვიმევის  
ეკლესიის კარზე, რომელიც ამჟამად საქართველოს მუზეუმში ინახება, სწერია: „ამა კარისა  
შემბმელსა იერუსალიმის თემით მოსულსა აბესალომს ლომინას ძესა და მისსა მეუღლესა შეუნდოს

(შევაბი მას იგი), რომელსაც ახალ ქართულში ინი აქვს განვითარებული ბოლოში; ძველ სალიტერატურო ქართულში ეს ინი საჭირო არ იყო. ამ ძველი სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით შებმა ზმნის უღლება ნამყო სრულის თხრობითი კილოს მესამე ობიექტურ პირში ასეთი იქნება: შევაბ, შეაბ, შეაბა, შევაბთ, შეაბთ, შეაბეს. ამ ფორმებში თეორიულად ყველგან მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი იგულისხმებ ჰაეს სახით: \*შევჰაბ, \*შეჰაბ, \*შეჰაბა, \*შევჰაბთ, \*შეჰაბთ, \*შეჰაბეს. ხმოვნის წინ ჰაე, რასაკვირველია, უნდა დაკარგულიყო ქართულის საზოგადო ტენდენციის მიხედვით და დაიკარგა კიდეც, მაგრამ რომელიღაც კილოში ეს ჰაე ხანად ქცეულა და ამის გამო პირველი პირის ფორმას მრავლობით რიცხვში მიუღია ასეთი სახე: შევხაბთ. ვ ქართულში მეტად მოძრავი ბგერაა, რომელიც შეიძლება გადაისვ-გადმოისვას სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოებაში. შევხაბთ ფორმაში მას ადგილი უცვლია ხანისათვის და წარმომდგარა შეხვაბთ, რომელშიც შემდეგ ეს ვინი უკვე უმარცვლო უნად ქცეულა: შეხუაბთ. ვინის უმარცვლო უნად ქვევა გასაკვირი არ არის, რადგანაც იგივე მოვლენაა მოვალს – მოვიდა ზმნაში, სადაც მეორე პირისათვის ძველ ქართულში ასეთი ფორმები მოიპოვება: მოხუალ (← ხვალ), მოხუედ (← მოხვედ), მოხვდე (← მოხუიდე ← მოხვიდე). მამასადამე, ბოლნისის სიონის წარწერის შეხუაბთ ფორმაშიც შენახული გვაქვს ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ხანის სახით, რომელსაც ოლონდ ადგილი უცვლია და პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსის წინ მოქცეულა.

\*\*\*

ზემორე განხილულს ოთხ ზმნის ფორმაში (ხერთვის, ხეყავ, შეხენიე და შეხუაბთ) ქართულს შემოუნახავს, მამასადამე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. ეს ნაშთები სრულ ანალოგიას წარმოადგენს არს ზმნის მეორე პირის ფორმასთან მიმართებით (ხარ), სადაც აგრეთვე შენახული გვაქვს ნაშთი მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნის წინ. ეს ორი პრეფიქსი – სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა – თუმცა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს მორფოლოგიურად, მაგრამ მათ ერთსა და იმავე ფონეტიკურ ვითარებაში ერთი და იგივე ბგერითი სახე აქვთ. ამიტომ თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ერთის ხმარება რომელიმე სახით მეორის ხმარებასაც გულისხმობს იმავე სახით. ამ გარემოების წყალობით ხარ ფორმის გვერდით მოსალოდნელი იყო და კიდეც აღმოჩნდა ანალოგიური წარმოებანი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსით ხმოვნის წინ. ასე და ამგვარად, ყველა ეს ფორმები: ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხენიე და შეხუაბთ ერთიმეორეს მხარს უჭერენ და ამჟღავნებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს, ანუ კილოს ეკუთვნიან.

1922 წ. ნოემბერი  
[ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II  
(1922-1923), გვ. 262-281]

დმერთმა ამინ: ამინ:“ (შდრ. Г. Церетели, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью: Материалы по археологии Кавказа, VII, 94).



## უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო

### ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში<sup>1</sup>

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის ამავე ტომში (II, გვ. 262-281) დაბეჭდილია ჩემი პატარა გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“<sup>2</sup>, რომელიც დამყარებულია უმთავრესად მცხეთის ჯვრის საყდრისა და ბოლნისის სიონის წარწერების ენის გარჩევაზე<sup>3</sup>. აღნიშნული გამოკვლევა დაიბეჭდა ჩემი პეტროგრაფიის ყოფნის დროს<sup>4</sup>. როდესაც ჯერ კიდევ მოსკოვში ვიყავ, იანვარში 1923 წელს, ერთ დღეს დილით პროფ. კ. კელიძის<sup>5</sup> უკითხავს ჩემთვის: რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე სა-

<sup>1</sup> ეს შენიშვნა მოფიქრებულია პეტროგრაფიის, დაწერილია გზაში და წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე რუსეთიდან დაბრუნების მეორე დღეს, პირველ აპრილს 1923 წელს, ამ სათაურით: „გიორგი მთაწმიდლის ერთი საყურადღებო მოწმობა“. მოხსენება აქ იბეჭდება რამდენადმე შევსებული სახით.

<sup>2</sup> ამ ტომში გვ. 267-281.

<sup>3</sup> მცხეთის ჯვრის საყდრის წარწერების შესწავლისათვის ხელთა მქონდა ფოტოსურათები (ერმაკოვისა და ტიხონოვისა) და, ამას გარდა, ორჯერ (1919 და 1922 წწ.) თვით მონასტერშიც ვიყავ.

ბოლნისის წარწერებს ადგილობრივ გავეცანი ივნისში 1920 წელს, როდესაც სამეცნიერო მიზნით იქ გავემგზავრენით პროფ. გ. ჩუბინაშვილი და მე მხატვარ თ. ქვინეთურთ (Th. Kühne). 16 ოქტომბერს 1921 წელს უკვე დამზადებული მქონდა დასაბეჭდად პატარა შენიშვნა ამ სათაურით: „ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა მცხეთის ჯვრის საყდრისა და ბოლნისის სიონის წარწერებში“ მაგრამ იგი თავის დროზე ვერ დაიბეჭდა. მასში ჯერ კიდევ არ იყო **ხერთვისი**; იგი არ იყო არც მაშინ, როცა 23 მაისს 1922 წელს საქართ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების სხდომაზე მოხსენება წავიკითხე ამ სათაურით: „ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშები“ და, სხვათა შორის, მცხეთა-ბოლნისის წარწერების ხანთან ფორმებზე შევჩერდი დაწვრილებით. **ხერთვისის** ეტიმოლოგია გამოირკვა ჩემთვის მხოლოდ 1922 წელს, შემოდგომაზე (ენკენისთვის ბოლო რიცხვებში), როდესაც მე იროდიონ სონღულაშვილთან ერთად დიღმის ხეობაში ვმოგზაურობდი სამეცნიერო მიზნით და ერთი ღამე დიღომში გავათეთთ მისი პურადი ძმის ივანე მღვდლის სახლში, რომელმაც საუბარში თავისი არანისში ყოფნა მოიგონა, ფშაურ ამბებზე ჩამოაგდო ლაპარაკი და, სხვათა შორის, უინვანს გაღმა მდებარე ხერთვისი ახსენა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ხერთვისის** „ერთვის“ ფორმასთან ეტიმოლოგიური კავშირისთვის ალლოა უღია ა. ხახანაშვილს, რომელიც თავის კრიტიკაში კ. ჰანის კავკასიის გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ (К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географических названий: Сборник материалов, вып. XXXX. 1909) შემდეგს ამბობს: „ხერთვისი მას წარმოუყენებია ხერთვისიდან = остров (?)! [ეს ჰანს ალბათ ბროსედან აქვს ამოღებული. ა. შ.]. ჩვენ ვუკავშირებთ სიტყვას პერთვის (შეერთვის), სადაც თავსართი **ჰ** გამაგრებულია **ხ**-ად (შეადარე შენ ხ-არ)“ [„განათლება“ 1910, მარტის ნომერი, გვ. 144 ბ. ამაზე ყურადღება მიმაქცევინა ა. გენკომ, რომელსაც ამისათვის მადლობას მოვახსენებ].

<sup>4</sup> გაგზავნილი ვიყავ ექსპერტად, მონაწილეობა მიმელო საკითხის განხილვაში, რომ საქართველოს გადმოსცემოდა ქართული სიძველეები და, კერძოდ, ხელნაწერები.

<sup>5</sup> პროფ. კ. კელიძის ექსპერტად იყო გაგზავნილი რუსეთში ქართული სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემის საკითხის გამო.

უკუნის ნარწერით ასე თხუთმეტიოდე სტრიქონიო, და მე ამაზე მიპასუხნია<sup>1</sup>: „სულ ხანე-  
ბით იქნება სავსე“-მეთქი. მე ამის საბუთს, მართალია, მცხეთა-ბოლნისის ნარწერების  
ფორმები მაძლევდა, მაგრამ აბა რას ვიფიქრებდი, თუ ამ დროს თბილისში პროფ. ი. ვ.  
ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. პალეოგრაფიული საკითხების კვლევა-ძიების დროს ყურადღებას მი-  
აქცევდა ოქსფორდის ქართულ-ებრაულ პალიმფსესტს და შიგ უძველესი ქართული ტექ-  
სტების ნიმუშების აღმოჩენის გამო მას სიხარულისაგან გული შეუნუხდებოდა! რას წარ-  
მოვიდგენდი, თუ ამ სასიხარულო ამბავს<sup>2</sup> მოჰყვებოდა რევიზია ქართული პალიმფსესტე-  
ბისა ჩვენს წიგნთსაცავებში და აღმოჩენა იმავე პროფ. ი. ვ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. მიერ უძ-  
ველესი ქართული ლიტერატურის ძეგლებისა! როგორ ვიფიქრებდი, თუ ზემორე დასახე-  
ლებულს ჩემს გამოკვლევაში მოყვანილს რამდენსავე გასაკვირალ ფორმას ასე მალე გა-  
მოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, ოღონდ არა მინიდან ამოღებული ქვების ნარწე-  
რებში<sup>3</sup>, არამედ გადარეცხილ-გადაფხეკილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკ-  
ვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენების გამო, რომ სტამბაში უდროოდ  
დაბერებულს ორიოდ სიჭაბუკის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებით!

უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა ფართო ჰორიზონტებს გვიშლის  
თვალნი მრავალ მხრივ. თუ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება მათი ქრონოლოგიურად  
განსაზღვრა სრული ზედმინვენობით, ის მაინც ცხადია, რომ აქ, ყოველ შემთხვევაში,  
არაბობამდინდელ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის  
წინა ხანებში (ე.ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა  
არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან,  
ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადაურჩენია პალიმფსესტებს.  
ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის ის-  
ტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც. ამიერიდან ქართული ისტორიული დიალექ-  
ტოლოგია მკვიდრ საფუძველს პოულობს და შესაძლებელი ხდება მრავალი ბუნდო-  
ვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გამორკვევა.

ერთი ასეთ საკითხთაგანია ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული  
ტექსტების შესახებ, რომელიც დაცულია მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში და  
რომელიც აქამომდე გაუგებარი იყო.

<sup>1</sup> როგორც მანვე მომაგონა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.

<sup>2</sup> ცნობა ამ ამბის შესახებ მე უკვე პეტროგრადში მივიღე 1923 წლის 17 მარტს პროფ. გ. ახვლედი-  
ანისაგან 5 მარტის თარიღით გამოგზავნილ წერილში, რომელიც შეზავებული იყო ნახევრად ხუმ-  
რული კილოთი და რომლის შინაარსი პირველ ხანებში ბუნდოვანი იყო ჩემთვის. მხოლოდ როდესაც  
წერილში ნახსენების აკად. პ. კოკოცოვის მიერ გამოცემულის ოქსფორდის პალიმფსესტის ფოტო-  
ტიპები მოვძებნე, სიხარულისაგან (მოგეცესთ ლხენა!) მეც ძალზე ამიჩქროლდა გული, რადგანაც  
იმ წამსვე მცხეთა-ბოლნისის ნარწერათა ასოების მსგავსი მოხაზულობანი და ზმნის ფორმები მეცა  
თვალში.

<sup>3</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ, მცხეთა-ბოლნისის ნარწერების ფორმებით დაინტერესებულმა, მე,  
პროფ. გ. ახვლედიანისა და უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებული  
ოთხი კაცის დახმარებით (თოფურია ვ., ჩიქობავა ბ., ჯაკობია გ., ჯანაშია ს.), 13 ივნისს 1922 წელს  
სასინჯი ხასიათის გათხრა ვანარმოვე ზედაზენს გადაღმა საგურამოს ქასურის წმ. გიორგის  
ეკლესიის ნანგრევებისა იმ მიზნით, რომ ზემოდან ჩამოვარდნილი და მიწაში დაფლული ნარწერიანი  
ქვები ამოგვეღო და უძველესი (VI-VII საუკუნეთა) ეპიგრაფიკული მასალები გავვემრავლებინა, რა-  
თა მცხეთა-ბოლნისის ნარწერების ფორმების შემონმება შესაძლებელი ყოფილიყო, წინასწარმა  
გათხრამ მხოლოდ იმ მხრივ გაამართლა მოლოდინი, რომ ერთი ნარწერიანი ქვა მართლაც  
ამოვიღეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვის ზედაპირი ისე შეეჭამა მიწას, რომ ნარწერა თითქმის მთლად  
გადაღუულიყო და მხოლოდ თითო-ოროლა ასოს გარჩევა შევძელით.

\* \* \*

ეს ცნობა მოიპოვება გიორგი მთაწმიდლის ანდერძში, რომელიც დართული აქვს (იოანეს თავის ბოლოს) მისი რედაქციით გამართულს ქართული სახარების ტექსტს, რომელიც მას ბერძნული ტექსტის მიხედვით შეუსწორებია. ანდერძი კარგად არის ცნობილი და რამდენიმეჯერაც არის გამოქვეყნებული: პირველად იგი გამოსცა მ. ბროსემ (გელათის სახარების მიხედვით)<sup>1</sup>, შემდეგ დ. ბაქრაძემ (ლაბსყალდის სახარების მიხედვით)<sup>2</sup>, შემდეგ მ. საბინინმა (გელათის სახარების მიხედვით)<sup>3</sup>, მერმე გ. წერეთელმა (გელათის სახარების მიხედვით)<sup>4</sup>, მერმე თ. ჟორდანიამ (ლექსუმურისა და ბრეთის სახარებათა მიხედვით)<sup>5</sup>, შემდეგ ა. ცაგარელმა (გადმობეჭდა დ. ბაქრაძისაგან)<sup>6</sup>, მერმე კვლავ თ. ჟორდანიამ (ახალციხურისა და მოქვის სახარებათა მიხედვით)<sup>7</sup>, შემდეგ მ. ჯანაშვილმა (გადმობეჭდა ოდნავ შემოკლებით საბინინისაგან)<sup>8</sup>, შემდეგ ე. თაყაიშვილმა (ვანის სახარების მიხედვით)<sup>9</sup>, მერმე ა. ხახანაშვილმა (ლაბსყალდის სახარების მიხედვით)<sup>10</sup> და, უკანასკნელ, ნ. მარმა (ეჯმიანინის სახარების მიხედვით)<sup>11</sup>. ანდერძი ყველა გიორგისეულ რედაქციაში ერთნაირად როდი იკითხება: იგი ორი (ჯ და ჟ) სახითაა ჩვენამდე მოღწეული<sup>12</sup>.

ჯ

გელათისა (A)<sup>13</sup>, ვანისა (B)<sup>14</sup>, ლექსუმისა (C), ლაბსყალდისა (D)

ჟ

ბრეთისა (E), ახალციხურისა (F), მოქვისა (G), ეჯმიანინისა (H), სიძველ. მუზეუმისა 41 (I)<sup>15</sup>, უბისისა (K)<sup>1</sup>

<sup>1</sup> Rapports sur un voyage archéologique etc. (3-ème livraison), S-Petersbourg 1851. XI Rapp., 25.

<sup>2</sup> Сванетия: „Записки Кавк. отделения“ русс. географ. общества, VI. ტფილისი, 1854, გვ. 74.

<sup>3</sup> საქართველოს სამოთხე. პეტერბურღი 1882, გვ. 488.

<sup>4</sup> Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря: „Древности Восточные“, т. I, вып. 2. Москва 1891, გვ. 261.

<sup>5</sup> ქრონიკები (I). ტფილისი 1893, გვ. 207.

<sup>6</sup> Сведения о памятниках..., т. I, вып. 3. СПб 1894, გვ. XXVII-XXVIII.

<sup>7</sup> ქრონიკები, II. ტფილისი 1897, გვ. 89 და 173.

<sup>8</sup> განქიქება და განმარცვლ: ი ვ ე რ ი ა 1899, 3 აგვ. 164; (ცალკე ამონაბეჭდი) ქართული მწერლობა. წიგნი I. ტფილისი 1900, გვ. 113-114.

<sup>9</sup> არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები: მ ო ა მ ბ ე 1900, დეკემბერი, II, გვ. 14; ცალკე ამონაბეჭდი (წიგნი პირველი). ტფილისი 1907, გვ. 14.

<sup>10</sup> Сванетские рукописные евангелия (Приложение к „Материалам по Археологии Кавказа“. Вып. X. Москва 1904), გვ. 15.

<sup>11</sup> Христианский Восток, I (1912), გვ. 120.

<sup>12</sup> ვარიანტთაგან მოყვანილია უმთავრესები. გამცემების ცხადი შეცდომები მხედველობაში არ არის მიღებული.

<sup>13</sup> ბროსეს. საბინინისა და გ. წერეთლის გამოცემათა გარდა, მე მქონდა კიდევ პროფ. კ. კეკელიძის მიერ გადმოწერილი პირი გელათის სახარების ანდერძისა.

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი გამოცემის გარდა, მე ხელთა მქონდა აგრეთვე თვით ვანის სახარებაც.

<sup>15</sup> თ. ჟორდანი, Описание I, 36; ა. ხახანაშვილი. Сванет. рукописн. евангелия, გვ. 16 შნშ. (აქაც და იქაც მოყვანილია ანდერძის დასაწყისი).

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი<sup>1</sup> ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე<sup>2</sup> სულიერთათა და ბერძნულთა სახარებითადა<sup>3</sup> შეგვწამებია ფრიადითა გამონულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ<sup>4</sup>, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყვათა ნუ სცვალებთ, არამედ ვა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ; და თუ არა რაჲმე გაშუნდეს<sup>5</sup>, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია<sup>6</sup> და კეთილად – ხანმეტნიცა<sup>7</sup> და საბანმიდურნიცა, – მუნით დაწერეთ და ღთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ<sup>8</sup>. და გლახაკისა გეორგისთჳს<sup>9</sup>, რწ ესე ვთარგმნი<sup>10</sup>, ლოცვა-ყავთ!

**ვარიანტები:**<sup>1</sup> + ჩუენ C;<sup>2</sup> ვიეთთამე CD;<sup>3</sup> სახარებათა C;<sup>4</sup> სწერდეთ C;<sup>5</sup> ბაქრაძე შეცდომით კითხულობდა „გაქუნდესთ“ და ამ შეცდომას იმეორებდნენ ა. ცაგარელი და ხახანაშვილი;<sup>6</sup> თარგმნილ არს C;<sup>7</sup> ბროსე და საბინინი შეცდომით კითხულობდნენ: ხონმეტნიცა;<sup>8</sup> ნუ განჰრევთ C;<sup>9</sup> გისთჳს AC;<sup>10</sup> რწ ესე ვთარგმნი] – C.

როგორც ამონაწერიდან ჩანს, გეორგი მთაწმიდლის ღვაწლი სახარების ქართული ტექსტის საბოლოოდ დადგენის საქმეში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი: ერთ (C) შემთხვევაში ისე გამოდის, თითქო მას სრულიად ახალი თარგმანი მოეცეს, მეორე (D) შემთხვევაში კი მას მიეწერება ძველად ნათარგმნი ტექსტის შეწამება ბერძნულთან და შესწორება, ე. ი. რედაქტორობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანდერძის C რედაქციაში არა მარტო თავშია ნათქვამი, ახლად გვითარგმნიაო, არამედ (ლექსუმურ ხელნაწერს გარდა) ბოლოშიაც განმეორებულია იგივე აზრი: „და გლახაკისა გეორგისთჳს, რომელი მან ესე ვთარგმნი, ლოცვა-ყავთ“-ო.

საყურადღებოა თავისთავად გამორკვევა იმისა, თუ როგორ ესმოდა გეორგი მთაწმიდელს თავისი მოღვაწეობა, როგორ აფასებდა მას და როგორი იყო მისი ანდერძის პირვანდელი სახე, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს და არც ეხება ჩვენს პირდაპირ საგანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ, თუ ლიტერატურულ ფაქტებს გავითვალისწინებთ, უფრო დასაჯერებელია გეორგის რედაქტორობა, ვიდრე მისი

ესე<sup>1</sup> საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ<sup>2</sup> ესე წმიდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია<sup>3</sup>, არამედ ფრიადითა<sup>4</sup> იძულებითა ძმათა<sup>5</sup> ვიეთმე<sup>6</sup> სულიერთათა<sup>7</sup> ბერძნულთა სახარებათადა<sup>8</sup> შეგვწამებია<sup>9</sup> ფრიადითა გამონულილვითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე<sup>10</sup> დაწერეთ. თუ<sup>11</sup> ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა<sup>12</sup> აქა სწერია, ეგრე<sup>13</sup> დაწერეთ; და თუ არა რაჲმე გაშუნდეს<sup>14</sup>, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია<sup>15</sup> და კეთილად – ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა, – მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ<sup>16</sup>! და გლახაკისა გისთჳს ლოცვა-ყავთ!

**ვარიანტები:**<sup>1</sup> ესე – G;<sup>2</sup> რომელ E; <sup>3</sup>მითარგმნია (?) K;<sup>4</sup> ფრიადითა] – H;<sup>5</sup> ძმათა] – H;<sup>6</sup> ვიეთთამე FG;<sup>7</sup> სულიერთა F; <sup>8</sup> სახარებათა FGH; <sup>9</sup> შეგუმონმებია H;<sup>10</sup> ეგრეთ H, ესე E;<sup>11</sup> და თუ EG;<sup>12</sup> ვითარცა FG;<sup>13</sup> ეგრეთ H;<sup>14</sup> გაშუნდეს H;<sup>15</sup> თარგმნილ არს E;<sup>16</sup> ნუ განჰრევთ F, ნუ გარევთ G.

<sup>1</sup> უბისის სახარების ანდერძის დასაწყისის სიტყვები მოყვანილი აქვს ე. თაყაიშვილს: Археол. путеш., разыск. и заметки; Сборник материалов, XLIV, Отдел III, стр. 34= Археологич. экскурсии, разыскания и заметки V, 1915 (отд. отт.), стр. 34.

მთარგმნელობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთარგმნელადვეა გამოყვანილი ვანის სახარების ანდერძშიც, რომელსაც მოსდევს მეტად მნიშვნელოვანი მინაწერი მისი გადამწერლისა, რომელსაც თავისი გადმონაწერი სახარება აჰყავს თვით გიორგი მთაწმიდლის იმ ავტოგრაფამდე, რომელიც „ნუსხად მდებარე“ ყოფილა „დიდსა წიგნის საცავსა“: ათონის ქართველთა მონასტერში. აი რას ვტყობილობთ ამ მინაწერში<sup>1</sup>:

„საყუარელნო, ჯერ-არს, რაჲთა წმიდისა ამის სახარებისა ვითარებაჲ განემარტოს სინმიდესა თქუენსა, და არა თვთმჯულობით ჰგონოთ შეცვლაჲ სიტყუათაჲ წმინდისა ამის სახარებისა ანუ ანდერძისათაჲ, არამედ ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი სახარებანი, მთაწმინდით აღწერილნი და გამოსახულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი, საეკლესიოსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იწმარებენ, აღწერილნი არიან, და არა მისგან, რომელი თვთ გიორგი თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის საცავსა, არამედ მისგან გარდაწერილისაგან. და მას<sup>2</sup> ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულოვანებაჲ აქუს და ვჰგონებ, რომელ თვთმჯულობით ვითემე ეკადროს მას შინა შეცვლაჲ სიტყუსაჲ, გინდა ანდერძისაჲ, ვიდრე მწერლისაგან განრყუნად. ხოლო ჩუენთა ამათ შინა ჟამთა დიდი მოლუანეთა შორის ბერი ზაქარია მი-რაჲ-ვი-და მთასა წმიდასა, ძიება-ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს და პოა დიდსა წიგნის საცავსა შინა და აღივსო სიხარულითა. და მიერ გარდმოეწერა შატ-ბერდელსა ხუცესსა სტეფანეს და, აღმო-რაჲ-ვიდა რომანას, მე ჴელ-ვყავ ცოდვილმან იოვანე აღწერად, რამეთუ ადრითგან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა. ან ვინცა სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ ნენტილითა და ჰატივთა ზედა მეორითა სიტყუთა, რამეთუ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“.

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს აქ მოყვანილი ცნობა, რომელიც შეეხება „თვითმჯულობით“ ცვლილებათა შეტანას გიორგისეული სახარების ტექსტში, რადგანაც გიორგისეული რედაქციის ტექსტები ჯერ-ჯერობით არ არის შედარებული და შენამებული ერთმანეთთან. რაიცა შეეხება ანდერძს, იგი მართლაც შეცვლილია, ყოველ შემთხვევაში ორი რედაქციით არის ჩვენამდე მოღწეული<sup>3</sup>.

უნდა გავიხსენოთ ერთი გარემოება: იმავე გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნული ტექსტის მიხედვით შესწორებული დავითნის ანდერძიც იმგვარადვე იწყება, როგორადაც სახარების ანდერძის **ჯ** სახე: „წმიდანო და ღმერთ-შემოსილნო მამანო და ძმანო, რომელნიცა წმიდათა ამათ დავითთა მიემთხვნეთ, ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩემთაჲთა ვთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად მე, გლახაკმან გიორგი უღირსმან ხუცეს-მონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა. თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძნულთა დედათადა დავითის თარგმანთაგან შეგწამებია ფრიადითა გამოწულივითა და გამოძიებინ-

<sup>1</sup> იგი გამოცემულია პირველად ე. თაყაიშვილის მიერ [არხეოლ. მოგზ. და შენიშვნანი: მოამბე 1900, დეკემბ. II, 15-16; ცალკე ამონაბეჭდი (წიგნი პირველი) ტფილისი 1907, გვ. 15-16].

<sup>2</sup> თითქო ასე უნდა ვიკითხოთ: და (ა)მას (უნდა იგულისხმებოდეს „გარდაწერილი“).

<sup>3</sup> ეგებ ვინმემ თქვას: ვინ იცის, იქნებ ანდერძის ორივე სახე თვით გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნოდესო: ჩვენ ვიცით ხომ, რომ მან სამჯერ შეანამა ქართული ტექსტი ბერძნულს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველი შენამების შემდეგ მას არ უნდა ჰქონოდა იმდენი შესწორება შეტანილი, რომ ეთქვა, ეს მთლად ახალი თარგმანიაო, მაგრამ მეორე შენამებისა და, განსაკუთრებით კი, მესამის შემდეგ მას საამისოდ მეტი საბუთი უნდა ჰქონოდაო; ასე რომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ პირველი შენამების შემდეგ ანდერძს ერთი სახე ჰქონოდა, უკანასკნელის შემდეგ კი – სხვაო. საეჭვოა.

თა<sup>1</sup>. აქაც, მაშასადამე, ახლად თარგმნაზეა ლაპარაკი. რა თქმა უნდა, არც დავითნია გიორგის მიერ სულ ახლად ნათარგმნი: საფუძვლად მასაც ძველი თარგმანები უძევს, რომლებიც გ. მთანმინდელს შეუსწორებია მხხჰჰ ოდ ბერძნული ტექსტის მიხედვით, მაგრამ მაინც ამბობს: ახლად ვთარგმნეო. გვეფიქრა, ვითომ დავითნის ანდერძიც განგებ შეცვლილია ვისმე მიერო, ეს მეტისმეტი ეჭვი იქნებოდა. რადგანაც სახარების ანდერძის **ჯ** სახე და დავითნის ანდერძი ერთი მეორეს ძალიან კარგად უდგება, ამიტომ შეიძლება სწორედ **ჯ** სახე ჩავთვალოთ გიორგისეულად, ხოლო **ჟ** სახე გადამკეთებელს მივანეროთ. ამიტომ მართლაც შეიძლება დავუჯეროთ ვანის სახარების გადამწერს, როდესაც იგი ამბობს, რომ „ანდერძი ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“-ო. მაშასადამე, თავში სამი სიტყვის ჩამატება („არა თუ... არამედ), ხოლო ბოლოში სამის გამოკლება („რომელმან ესე ვთარგმნე“), მართლაც, „თვთშჯულობით“ შეტანილი ცვლილება უნდა იყოს. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ ცვლილება რედაქციული ხასიათისაა, რომლის შემდეგაც გიორგის ღვანლი სახარების საბოლოო რედაქციის დადგენის საქმეში მეტი სისწორით არის გადმოცემული, ვინაიდან მისი ნამუშავევი არსებითად არა ახალი და დამოუკიდებელი თარგმანი იყო, არამედ ძველი თარგმანის გასწორება. მართლაც, აბა როგორ უნდა შეენყნარებინათ მაშინდელ საეკლესიო წრეებს, განსაკუთრებით კი კონსერვატულ ნაწილს, გიორგის მიერ ცოტა გაზვიადებული წარმოდგენა თავის ღვანლზე და მოენონებინათ მისი სიტყვები „ახლად გვთარგმნია“ ან „რომელმან ესე ვთარგმნე“, მით უმეტეს, რომ ეს არც შეეფერებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას და, ამას გარდა, არც ჰქონდათ ძველ რედაქციებს იმდენად დაკარგული ნდობა, რომ ასეთი სიტყვები მისაღები ყოფილიყო ფართო წრეებისათვის, რომლებიც სწორედ ძველ რედაქციებს იყვნენ შეჩვეული<sup>2</sup>?

როგორიც უნდა იყოს საქმის ნამდვილი ვითარება ამ მხრივ, იგი ჩვენს პირდაპირ საკითხს ოდნავადაც ვერ შეცვლის: ანდერძის ორსავე რედაქციაში ერთნაირად იკითხება ის ადგილი, რომელიც შეიცავს ცნობას ახლად აღმოჩენილის უძველესი ქართული ხელნაწერების შესახებ: „და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად – ხ ა ნ მ ე ტ ნ ი ც ა და ს ა ბ ა ნ მ ი დ უ რ ნ ი ც ა , – მუ-ნით დაწერეთ და ღმრთისათვის ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ“. „პირველითგან წმიდად და კეთილად თარგმნილ“ სახარებათაგან გიორგი მთანმინდელი ასახელებს ორ რედაქციას: ხანმეტსა და საბანმიდურს, რომელთა გაგებაში მკვლევარნი სხვადასხვა აზრისანი იყვნენ.

<sup>1</sup> დავითნის ანდერძი მთლად აქვს მოყვანილი მ. საბინის ნიკ. ჩუბინაშვილისეული ხელნაწერის მიხედვით (საქართველოს სამოთხე, გვ. 487-488) და მ. ჯანაშვილს მზეჭაბუკის დავითნიდან, რომელიც გადანერვილია **XV** საუკუნის მინურულში („განქიქება და განმარცვლა“: ივერია 1889, 3 აგვისტო, 164; „ქართული მწერლობა“, I. ტფილისი, 1900, გვ. 107-111).

ანდერძის თავის გამოცემის დროს ჩვენ ხელთ გვექონდა ხუთი ხელნაწერი: სიძველ. მუზეუმისა 350, 351, 914, საისტ. და საეთნ. საზოგ. მუზეუმისა 16 და ნერა-კითხვის საზოგ. მუზეუმისა 2601.

<sup>2</sup> უფრო საეჭვოა, რომ ამისი წინაუქმო ყოფილიყოს, ე. ი. თითქო გიორგი მთანმინდელს ეკუთვნოდა **ჯ** რედაქცია ანდერძისა, რომელიც შემდეგ **ჟ**-დ გადაეკეთებინოს იმ ნაწილს საეკლესიო პირებისას, ასე ვთქვათ „პროგრესისტებს“, რომელთაც ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში ბერძნული შაბლონი შემოჰქონდათ და რომელთაც გიორგი მთანმინდელი „ფრიადი იძულებით“ დაითანხმეს, ქართული ტექსტი ბერძნულთან შეედარებინა და შეემონმებინა; გადაეკეთებინოს იმ მიზნით, რომ სახელი გაეტეხათ უფრო და ნდობა დაეკარგათ ძველი რედაქციებისათვის, ხოლო გიორგისეული რედაქცია ამით უფრო ავმაღლებინათ ხალხის თვალში.

კაცმა რომ თქვას, ამ ორ ტერმინში მკვლევართათვის ნაკლებ დაბკოლებას „საბანმიდური“ წარმოადგენდა, თუმცა მის განმარტებაშიც არ იყო სრული თანხმობა: მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საბანმიდური არის საბანმიდაში შემუშავებული რედაქციაო, ჩვენებით არავის უჩვენებია მაინც კონკრეტულად, თუ რომელი სახარება უნდა ვიგულისხმოთ სახელდობრ საბანმიდურ რედაქციად და რას წარმოადგენს იგი ფორმით და შინაარსით, ან რა განსხვავებაა მასა და სხვებს შორის.

რაიცა შეეხება „ხანმეტს“, იგი ხომ დაუძლეველი ტერმინი აღმოჩნდა და ყველამ თავისებურად გაიგო იგი:

მ. ბროსე ხანმეტში კომენტარიებს ხედავდა<sup>1</sup>.

დ. ბაქრაძეს ხანმეტი მიაჩნდა სახარების დანართად. იგი მას ამ სიტყვით თარგმნიდა: *с прибавлениями*, თუმცა, ალბათ, ეეჭვებოდა ასეთი გაგება, როდესაც კითხვას სვამდა: ხანმეტად ხომ არ უნდა გავიგოთ ის, რაც სახარებაში შევიდა და ტექსტს არ ეკუთვნისო<sup>2</sup>?

ა. ცაგარელი გამოეკამათა დ. ბაქრაძეს და ის აზრი გამოთქვა, რომ ამ ტერმინით უნდა გავიგოთ თითქოს სრული სახარება და არა გამოკრებული სახარება, როგორცაა თვით გიორგის მიერ თარგმნილიო<sup>3</sup>.

ბუნდოვანი იყო ამ ტერმინის მნიშვნელობა აგრეთვე თ. ჟორდანიასთვისაც, რომელსაც ხანმეტი პირველად გეოგრაფიულ პუნქტად მიაჩნდა, თუმცა ეს ცოტა ეეჭვებოდა და კითხვით ნიშანს უსვამდა<sup>4</sup>, ხოლო შემდეგ წერდა: „სიტყვა „ხანმეტი“ აღნიშნავს ფრიად ძველს, თუ ეს ლექსი გეოგრაფიული სახელი არ არის“-ო<sup>5</sup>.

მ. ჯანაშვილს „ხანმეტი“ ზოგჯერ მეტი ეგონა და ამიტომ რთული სიტყვის ნაწილები ცალკე-ცალკე დანერა („ხანმეტი, ხანნაკლები“)<sup>6</sup>.

<sup>1</sup> აღნიშნულ ადგილს იგი თარგმნიდა: „Copiez aussi convenablement les *commentaires* et indications de S.-Saba“ და შემდეგ თავის აზრს ასე ხსნიდა: „On voit que Giorgi a traduit les quatre Evangiles sur le texte grec, en y joignant les *commentaires* ხონმეტნი (?) et d'autres notes qu' il avait trouvées dans les originaux de S/-Saba“ (XI-ème Rapp., 26).

<sup>2</sup> „Под словом *хонмეტни* не разумеется ли все то, что вошло в евангелие и что однако не относится к его тексту“? (Сванетия, 77)

<sup>3</sup> Под *х а н м е т и* „по мнению Бакрадзе разумеется евангелие с прибавлениями; но не вернее ли будет допустить, что этим разумеется просто полное евангелие, а не только евангелие, состоящее из дневных чтений, вроде перевода самого Георгия?“ (Сведения, III გვ. XXVIII-XXIX).

<sup>4</sup> ქრონიკები, I, 207.

<sup>5</sup> ქრონიკები, II, 173.

<sup>6</sup> ზემორე მოყვანილი ადგილი, ახალ ქართულზე რომ გადმოვთარგმნოთ, მას ასე ესმოდა: და თუ ჩვენი შრომა არ „გშენდეს“, დაინერეთ პირველითგან წმიდად, კეთილად და ხანმეტად თარგმნილ სახარებათაგან და საბანმიდურებიდამო“. მერმე იმონმებს საეკლ. მუზეუმის (ამჟამად საქართველოს მუზეუმის A ფონდის) ტყავზე დანერილი სახარების (357) ერთ მინაწერს, სადაც გადამწერელი ამბობს: გაძლევთ სახარებასა მართალსა და უფროსს მზისა ბრწყინვალესა, ახლად განმენდილსა წისა მამისა ჩვენისა მიერ გ'ი მთანმიდელისა, რომელსა შ'ა არა არს ერთიცა ასო მრუდი და ნაკლული და არცა მეტი-ო, და თავის მხრით დასძენს: «მართლაც-და, მეათე საუკუნის უწინარეს თარგმნილ სახარებაში „მეტიც“ ბევრია და „დაკლებულიც“ არა მცირე. თვით ათონს ნათარგმნშიაც კი დარჩენილა „მეტი“, მაგ. „მოციქულთა საქმის“ მე-2 თავის მე-2 მუხლში გვხვდება სახელი „უჟიკნი“, რომელიც სხვა ერთა სახარებაში არ მოიპოვება» (განქიქება და განმარცვლა: ივერია 1899, 3 აგვ. 164; ქართული მწერლობა, I, 1900, გვ. 114-115; შდრ. გვ. 66, 112).

პროფ. კ. კეკელიძემ „ხანმეტი“ დრო-მეტად გაიგო და მას ქრონოლოგიური მნიშვნელობა მისცა<sup>1</sup>, ხოლო პროფ. ნ. მარმა ტერმინის პირველ ნაწილში სპარსული **ხანა**<sup>2</sup> დაინახა, რომელიც სომხური **ტუნ**-ისა<sup>3</sup> და არაბული **ბეით**-ის<sup>4</sup> მნიშვნელობასთან დაკავშირებით მუხლად გაიგო, „ხანმეტი“ მუხლ-მეტად ახსნა და სცადა კიდევ, რომ ასეთი ახსნა დაესაბუთებინა<sup>5</sup>.

არც ერთი ამ განმარტებათაგანი სწორი არ არის, ვინაიდან ხანმეტი, რომელიც ასე საცილობელი გამხდარა, ნამდვილად სულ სხვასა ნიშნავს. ამ ტერმინის გაგება და უცილობლად და ეჭვ-მიუტანლად მისი მნიშვნელობის გამორკვევა შესაძლებელი ხდება ახლად აღმოჩენილ უძველეს ქართულ ძეგლთა ფორმების გათვალისწინებით; სახელდობრ:

პალიმფსესტების სახით ჩვენამდე მოღწეულის არაბობამდენდელი ლიტერატურული ძეგლების ენას ერთი რამ ახასიათებს, რომელიც მას მეტად განასხვავებს აქამომდე ცნობილი ხელნაწერების ენისაგან. ეს არის **ხანების ხმარება** პრეფიქსებად სამი ფუნქციისათვის: ზმნებში მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის გამოსახატავად; ხოლო სახელებში ზედსართავთა შედარებით-ალმატებითი ხარისხის საწარმოებლად. მართალია, როგორც ნაშთები ასეთი მოვლენისა, **ხ** დღევანდლამდეც კი გვექონდა შემორჩენილი რამდენიმე სიტყვაში; მაგ., **არს** და **ვალს** ზმნაში მეორე პირის სუბიექტის გამოსახატავად დღესაც იგივე **ხანია** (**ხ**-არ, მი-**ხ**-ვალ), მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად კი ხანს ჩვენ დღევანდლამდე ერთს გავრცელებულს გეოგრაფიულ სახელში ვხმარობთ, რომელიც არის **ხერთვისი** და რომელიც ექვს ადგილას მაინც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში<sup>6</sup>; ხოლო შედარებით-ალმატებითი ხარისხის წარმოებისათვის **ხანის ხმარების** კვალი შემორჩენილია **ხუცეს** ში, რომლის მეგრული შესატყვისია **უჩაში** („უფროსი“) და სვანური **ხოშა** („უფროსი“) და რომელიც ჩვეულებრივი ნორმების მიხედვით უნდა გვექონოდა ამ სახით: **\*უცესი** (← \*ჰუცესი) და არა **ხუცესი** ან მით უმეტეს **უხუცესი** (მრჩობლი პრეფიქსით)<sup>7</sup>. მაგრამ ეს მხოლოდ მცირეოდენი ნაშთია ოდესღაც ერთ კილოში საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენისა, რომელმაც, როგორც უკვე ვიცოდით, ბოლნისის სიონისა და

<sup>1</sup> „ხანმეტი обозначает редакцию «более древнюю (хანი + мети), чем сабанмидურნი, которой она противопоставляется» (Иерусалимский канонарь VII века. ტფილისი გვ. 310).

<sup>2</sup> خانه სახლი.

<sup>3</sup> տուն სახლი; მუხლი.

<sup>4</sup> بيت სახლი; მუხლი.

<sup>5</sup> „Что же касается «ханмет», то объяснение его приходится искать в составе самих евангелий, отличавшихся излишком («мет») «хан»-ов. Различные версии евангелия, как известно, отличались одни систематическим недохватом, другие – излишком определенных стихов. «Стих» в древности, так в эпоху перевода творений Ипполита, да и потом, у грузин назывался მუჭლი. Позднее «стих» по-грузински гласит ტაეპი, но так называются собственно стихи в светской поэзии; стихи св. Писания называется «домами», так у армян - տուն. В грузинском в хан в значении «стиха» имеем, пожалуй, персидское خانه «дом», употреблявшееся, судя по словарю, и в значении стиха (ср. خن). Появление слова иранского происхождения в церковной терминологии грузин не могло бы вызвать никакого недоумения, если бы сравнительные исследования самих грузинских версий поддержали наше предположительное толкование“ (კ. კეკელიძის მიერ გამოცემულის „იერუს. განჩინებისა და განნესების“ წიგნის კრიტიკაში: Христианский Восток. I. 121).

<sup>6</sup> ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართ. ზმნებში (ტფ. უნივ. მოამბე, II, გვ. 262-281) [ამ ტომში გვ. 267-281].

<sup>7</sup> აკად. ნ. მარმა სწორედ აღნიშნა, რომ **ხანი ხუცეს**-ში არ არის ძირეული, მაგრამ იგი შეცდა, როცა **ხუცეს**-ი ქართულში სვანურიდან ნასესხებ ფორმად აღიარა



მცხეთის ჯვრის წარწერებში იჩინა თავი მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებში. ეს კია ოლონდ, რომ ამ წარწერებში ხანი მხოლოდ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ფუნქციის მატარებელია (**მეოხ ხეყავ, შეხენიე, შეხუაბთ**). რაიცა შეეხება მის ორ სხვა ფუნქციას, ეს წარწერებით დამოწმებული არ არის, სამაგიეროდ ახლად აღმოჩენილ უძველეს ხელნაწერებში უხვად გვხვდება იგი სამივე ფუნქციით<sup>1</sup>. ფრიად დამახასიათებელია ამ ძეგლებისათვის, რომ ხანის ხმარება თითქმის სისტემებზე არის გატარებული ინიან ვნებითში<sup>2</sup>.

პრეფიქსის ხანები აღნიშნულ ხელნაწერებში გვხვდება როგორც ხმოვნების წინ, ისე აგრეთვე თანხმოვნების წინაც, მაგრამ ზედსართავთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმებში იგი მხოლოდ ხმოვნის წინ მოდის (**ხ-უ**), ხოლო ზმნებში – იქაც და აქაც. **IX-XI** საუკუნეთა ქართული ძეგლების ენაში ამ ხანების ადგილას თანხმოვნების წინ ან **ჰაე** იხმარება (მამის ბგერების წინ), ან კიდევ **სანი** და **შინი** (დედის ბგერების წინ), ხოლო ხმოვნების წინ თეორიულად მოსალოდნელი **ჰაე** სრულებით დაკარგულია.

არაბობამდენდელი ძეგლების ენამ, პირის ნიშნების ხმარების თვალსაზრისით, არ იცის ზმნების დაყოფა მათი დასაწყისი ბგერების მიხედვით ხმოვნიან და თანხმოვნიან ფუძეებად, ხოლო თანხმოვნიან ფუძეებში კიდევ მამისა და დედის ბგერათა გარჩევა, როგორც ეს არის **IX-XI** საუკუნეთა და მერმინდელ სალიტერატურო ენაში, ან ზოგიერთ დღევანდელ კილოში; აქ ხმოვნისა თუ თანხმოვნის წინ, მამის ბგერისა თუ დედის ბგერის წინ<sup>3</sup>, ყველგან და ყოველთვის ორი ერთსახე პრეფიქსის ფუნქციას ასრულებს ხანი.

ამის მაგალითებს მრავლად იპოვის კაცი პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენების ბოლოს დართულს უძველესი ქართული ტექსტების ნიმუშებში<sup>4</sup>. აქ მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ადგილს და, რომ ნათელი იყოს, თუ რა არსებითი განსხვავებაა უძველესი წერილობითი ძეგლების ფორმებსა და მერმინდელი სალიტერატურო ენის ფორმებს შორის, პარალელურად მოვიყვან იმავე ადგილებს მეცხრე-მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ძეგლების ორთოგრაფიით.

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს (ტფ. უნივ. მოამბე, II, გვ. 348), რომ ყოფილა აგრეთვე შემთხვევა ხანის უარყოფითი უ ნაწილაკის წინ ხმარებისა, მაგრამ ხანი აქ ანალოგიურად განვითარებული ჩანს, რასაც ამტკიცებს სვანურ ფორმებთან შედარება: **უმჩა** („უბერებელი“), **უდგარა** („უკვდავი“), **უტისა** („დაუბრუნებელი“) და სხვ.

<sup>2</sup> ამაზე სპეციალურად სხვა დროს გვექნება საუბარი, როდესაც სუბიექტურ-ობიექტური პრეფიქსების საკითხი განხილული იქნება მეგრულ-ჭანურ და, განსაკუთრებით, სვანურ მასალებთან შედარებით. ეხლა აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ინიან ვნებითში ხანების გაჩენას სვანური ფორმები არ უჭერს მხარს.

<sup>3</sup> **მამის ბგერები** ვუნოდე იმ თანხმოვნებს, რომელთაც **IX-X-XI** საუკუნეებისა და მერმინდელ ძეგლებში მეორე პირის სუბიექტურ და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად **ჰაე** მოუდის წინ; ეს თანხმოვნებია: **ყ ყ ღ ხ კ ქ ს ზ შ უ ნ რ ლ ვ მ პ ბ ფ**, სულ ცხრამეტი თანხმოვანი (მეოცე იქნებოდა თეორიულად **ჰ**, რომ ამ ბგერით ერთი ზმნა მაინც იწყებოდა), ხოლო **დედის ბგერები** დავარქვი იმ თანხმოვნებს, რომელთა წინ ზმნებს იმავე პრეფიქსებად **ჰაეს** მაგივრად მისი ბგერისნაცვალის სანი აქვთ; ესენია: **ტ დ თ ნ ძ ც ქ ჯ რ**, სულ ცხრა თანხმოვანი (სამი უკანასკნელის წინ სანს ხანდახან **შინი** ენაცვლება). ამ სახელწოდებათა საფუძველი ის არის, რომ **მამა** სიტყვის თანხმოვანი (**მ**) პირველ ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო **დედა** სიტყვისა (**დ**) კი – მეორეს (ა. შანიძე, სუბ. პრეფიქსი და სხვ., გვ. 183). [ამ ტომში ეს ნაწილი არ არის გადმობეჭდილი].

<sup>4</sup> «ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე», II, გვ. 371-391.

სახარება მათესი<sup>1</sup>  
(VII, 1-16)

V-VII სს.

1. A ნუ დახშვით, რაჟთა არა დახისაჯნეთ.
2. რამეთუ რომლითა ხშვით, მითცა ხისაჯნეთ და რომლითა საწყაულითა მიხუნყვიდეთ, მოგენყოს თქვენ.
3. რაჟსა ხხედავ ნუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუ[ალსა შენსა დი]რესა არა ხხედავ?
4. ანუ ვითარ ხეტყვ ძმასა შენსა: მაცადე და აღმოგილო ნუელი იგი თვალთ შენით და აჰა აგერა დირ[წ] ეგე || AB თუალსა შინა შენსა გიც<sup>3</sup>?
5. ორგულო, აღმოიღე-ღა პირველად დირ<sup>4</sup> თუალისაგან შენისა და მაშინ ხიხილო აღმოღებად ნუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
6. [ნ]უ მისცემთ სინმიდესა ძალთა, ნუცა დახუდებთ<sup>5</sup> მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა<sup>6</sup>, რაჟთა არა [დათ]რგუნონ იგი ფერჯითა მათითა<sup>7</sup> და მოგექცენ<sup>8</sup> და განგხეთქდენ<sup>9</sup> თქუენ.
7. ხითხოვდით და მოგექცეს თქუენ, ხეძიებდით და ხპოოთ<sup>10</sup>, ხირეკდით და განგელოს თქუენ.
8. რამეთუ ყოველი რომელი ხითხოვს<sup>11</sup>, მიიღის<sup>12</sup>; || B და რომელი ხეძიებს, პოვის;

IX-XI

1. ნუ და[ჰ]შვით რაჟთა არა დაისაჯნეთ.
2. რამეთუ რომლითა (ჰ)შვით, მითცა ისაჯნეთ და რომლითა საწყაულითა მიხუნყვიდეთ, მოგენყოს თქუენ.
3. რაჟსა (ჰ)ხედავ ნუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუალსა შენსა დირესა არა (ჰ)ხედავ?
4. ანუ ვითარ ეტყვ ძმასა შენსა: მაცადე და აღმოგილო ნუელი თვალთ შენით და აჰა ეგერა დირ<sup>4</sup> ეგე თუალსა შინა შენსა გიც<sup>3</sup>?
5. ორგულო, აღმოიღე-ღა პირველად დირ<sup>4</sup> თუალისაგან შენისა და მაშინ ხიხილო აღმოღებად ნუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
6. ნუ მისცემთ სინმიდესა ძალთა, ნუცა დაუდებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, რაჟთა არა და-თრგუნონ იგი ფერჯითა მათითა და მოგექცენ და განგხეთქდენ თქუენ.
7. ითხოვდით და მოგექცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ.
8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვს, მიიღის; და რომელი ეძიებს, პოვის; და რომელი ირეკს, განელის.

<sup>1</sup> ეს ერთი ადგილი მათეს სახარებიდან ორი ხელნაწერის მიხედვითაა დაბეჭდილი:

A – საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. მუზეუმის 999 და B – თბ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის 844. მათ შორის განსხვავებანი მოიპოვება და აქვეა ნაჩვენები ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი :

<sup>3</sup> თუალსა შინა გიც; <sup>4</sup> დირ<sup>4</sup> იგი; <sup>5</sup> ნუცა [და]ხუდებთ; <sup>6</sup> -ში ეს სიტყვა თითქო მხოლობითში უნდა იყოს (ღორსა), როგორც მომდევნო ზმნის ფორმების გათვალისწინებით შეიძლება ივარაუდოს კაცმა; <sup>7</sup> რაჟთა არა დათრგუნონ იგი ფერჯითა მათითა – ; <sup>8</sup> თითქო: მოგექცეს; <sup>9</sup> [განგ]ხეთქდეს; <sup>10</sup> ხპოოთ ; <sup>11</sup> ხითხოვს; <sup>12</sup> მოიინ; <sup>13</sup> შკლთა (?); <sup>14</sup> თქნთაჲ; <sup>15</sup> რაოდენ; <sup>16</sup> ხუფროს; <sup>17</sup> მოხცეს; <sup>18</sup> რომელნი ხითხოვდენ; <sup>19</sup> გიყუნ; <sup>20</sup> წინანარმეტყუელნი; <sup>21</sup> შეხ[კ]დოდეთ; <sup>22</sup> რამეთუ ფართო არს ბჰჰ და ვ – (დაზიანების გამო); <sup>23</sup> მიგიყუანის; <sup>24</sup> მიხიყვანის; <sup>25</sup> პოონ ცრუ-წინანარმეტყუელთა მათგან B.

V-VII სს.

- და რომელი ხირეკს, განხელის.
9. ხიოს-მე ვინ თქუნგანი კაცი, რომელი (?) ხთხოვდეს ძმ მისი პურსა, ქვაჲ ნუ მიხცესა მას?
10. ანუ თუ [სა] თევზსა ხთხოვდეს, გუელი ნუ მიხცესა?
11. უკუეთუ თქუნ უკეთურთა ხიცით ნიჭისა კეთილისა || AB მიცემაჲ შვილთა მათ<sup>13</sup> თქუნთა<sup>14</sup>, რაოდენად<sup>15</sup> არა ხუფროს<sup>16</sup> მამამან თქუნმან ზეცათამან მოგცეს<sup>17</sup> კეთილი, რომელი ხთხოვდეს<sup>18</sup> მას.
12. ყოველივე რაჲცა გნებავს, რაჲთა გიყონ<sup>19</sup> თქუნ კაცთა, ეგრეცა თქუნ ხყოფდით მათა მიმართ, რამეთუ ეგრე არს შჯული და წინანარმეტყუელი<sup>20</sup>.
13. შევიდოდეთ<sup>21</sup> ინროსა მას ბჭესა, რამეთუ ფართო არს ბჭჳ და ვრცელ<sup>22</sup> არს გზაჲ, რომელმან მიიყუანის<sup>23</sup> წარსანყმედელად, და მრავალ || A არიან, რომელნი შე[ვ]ლენან...
14. B რამეთუ ინრო || AB არს ბჭჳ და წულილ გზაჲ, რომელმან მიიყუანის<sup>24</sup> ცხოვრებად, და მცირედ არიან, რომელთა პოვიან<sup>25</sup> იგი.
15. ხეკრძალენით ცრუ-წინანარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუნდა || B სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან არიან მგელნი მტაცებელნი.
16. ხოლო ნაყოფ[ისა] მათისაგან ხიცნე[თ] იგინი (იქვე, გვ. 375-380).

IX-XI

9. იყოს-მე ვინ თქუნგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძმ მისი პურსა, ქვაჲ ნუ მიხცესა მას?
10. ანუ თუ თევზსა სთხოვდეს, გუელი ნუ მიხცესა?
11. უკუეთუ თქუნ უკეთურთა იცით ნიჭისა კეთილისა მიცემაჲ შვილთა მათ ქვენთა, რაოდენად არა უფროს მამამან თქუნმან ზეცათამან მოგცეს კეთილი, რომელი სთხოვდეს მას!
12. ყოველივე რაჲცა გნებავს, რაჲთა გიყონ თქუნ კაცთა, ეგრეცა თქვენ ჰყოფდით მათა მიმართ, რამეთუ ეგრე არს შჯული და წინანარმეტყუელი.
13. შევიდოდეთ ინროსა მას ბჭესა, რამეთუ ფართო არს ბჭჳ და ვრცელ არს გზაჲ, რომელმან მიიყუანის წარსანყმედელად, და მრავალ არიან, რომელნი შევლენან...
14. რამეთუ ინრო არს ბჭჳ და წულილ გზაჲ, რომელმან მიიყუანის ცხოვრებად, და მცირედ არიან, რომელთა პოვიან იგი.
15. ეკრძალენით ცრუ-წინანარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუნდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან არიან მგელნი მტაცებელნი.
16. ხოლო ნაყოფისა მათისაგან იცნნეთ იგინი.

სახარება მარკოზისი  
(IX, 46)

V-VII სს.

17. ამოიღე იგი. ხუმჯობჳს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა ვიდრე ორითა თუალითა და შთაგდებად გეჰენიასა. (იქვე, გვ. 381).

IX-XI სს.

17. ამოიღე იგი. უმჯობჳს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა ვიდრე ორითა თუალითა და შთაგდებად გეჰენიასა.

სახარება ლუკასი  
(II, 18-19)

V-VII სს.

18. და რომელთა ხესმოდა, ხუკრდა სიტყუა იგი მწყემსთა მათ [მ]ათა მიმართ.  
19. ხოლო მარიამს დახემა რხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვსსა (იქვე, გვ. 382).

IX-XI სს.

18. და რომელთა ესმოდა, უკრდა სიტყუა იგი მწყემსთა მათ მათა მიმართ.  
19. ხოლო მარიამს დაემა რხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თვსსა.

სახარება იოვანესი  
(XXI, 10-11)

V-VII სს.

10. ხრქუა მას იესუ: მოიღეთ თევზთა მაგათგანი, რომელი ხიპყართ ან.  
11. გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოხორევდა ბადესა მას ქვეყანად [სავსესა] დიდ-დიდითა თევზითა (იქვე, გვ. 388).

IX-XI სს.

10. ჰრქუა მას იესუ: მოიღეთ თევზთა მაგათგანი, რომელი იპყართ ან.  
11. გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოიორევდა ბადესა მას ქვეყანად სავსესა დიდ-დიდითა თევზითა.

მოყვანილი ფორმების შედარებით ცხადი ხდება, რომ უძველესი ძეგლების ენასა და გიორგი მთაწმიდლის სამწერლო ენას შორის განსხვავებას უმთავრესად პრეფიქსული **ხანები** ქმნის: იქ, სადაც უძველეს ხელნაწერებში **ხანია**, გიორგი მთაწმიდლის ენაზე ან **ჰაე** არის (მამის ბგერების წინ), ან არა და **სანი** და **შინი** (დედის ბგერების წინ), ან კიდევ სულ არაფერი (ხმოვნების წინ). განსაკუთრებით დიდია ეს განსხვავება ხმოვნებისა და დედის თანხმოვნების წინ. თავისი დროის სალიტერატურო ძეგლებზე სკოლა გავლილ გიორგი მთაწმიდელს არ შეიძლება თვალში არ სცემოდა ძველი ტექსტების **ხანები** და ყურში უცნაურად და მეტად უჩვეულოდ არ მოჰსმოდა გამოთქმა **ხანიანი** ფორმებისა, სადაც **ხანი** მისთვის, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო. ზედმეტი იყო იგი არა თუ გიორგისა და მისი დროის ლიტერატორთათვის, არამედ უფრო ადრეც, მეცხრე და მეათე საუკუნეების მწერალთათვისაც, რომელთაც, ალბათ, საშინლად ეჩოთირებოდათ **ხანიანი** ფორმები. მართლაც, როგორც გვიჩვენებს ენა სინა-რაითის მამათა მოსრვისა, რომელიც გამოცემულია უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერის მიხედვით (სახელდობრ, სინას მთაზე დაცული 864 წლის მრავალთავიდან)<sup>1</sup>, უკვე მეცხრე საუკუნეში ყოფილა უკუგდებული **ხანის** ხმარება პრეფიქსებად. და თუ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იყო უარყოფილი **ხანიანი** ფორმები სალიტერა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი. კიმენი. I. ტფილისი 1918, გვ. 28-44.

ტურო ენაში სახმარებლად, მით უმეტეს დასაწერი და უარსაყოფი უნდა ყოფილიყო იგი მეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობის დროს. რაკი უძველესი ტექსტების ხან თავსართები ზედმეტი იყო მეცხრე-მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, რომლებზედაც აღზრდილი იყო გიორგი მთაწმიდელი, ამიტომ გასაგებია, რომ ამ გამოჩენილ მწერალს მათთვის სახელად **ხანმეტი** ეწოდებინა<sup>1</sup>. აი ეს არის ნამდვილი მნიშვნელობა ამ ტერმინისა, რომლებიც ამდენ ხანს ასე გაუგებარი იყო. ამიტომ, როდესაც გიორგი მთაწმიდელი თავის სახარების ანდერძში ამბობს: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა“-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ჩვენი სახარება პირველითგან წმიდად და კარგად არის თარგმნილი, ისინიც, რომლებშიც ზედმეტი ხანები მოიპოვება, და ისინიც, რომლებიც საბანმიდურები არიანო.

რომელია სახელდობრ გიორგი მთაწმიდლის მიერ მოხსენებული საბანმიდური იმ სახარებათა ცალებში, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ გიორგის წინა დროინდელი ხანიდან, ამის თქმა ჯერჯერობით გადაჭრით არ შემიძლია, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ გიორგი მთაწმიდლის მიერ დასახელებულ ოთხთავის **ხანმეტ** რედაქციად უნდა ვიგულისხმოთ უთუოდ პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ პალიმფსესტებში აღმოჩენილი უძველესი ტექსტი სახარებისა, რომელსაც ხანის „ზედმეტი“ ხმარება ახასიათებს პრეფიქსების სახით.

მამასადამე, გიორგი მთაწმიდლის სახარების ანდერძში ჩვენ მოგვეპოვება ძვირფასი ცნობა უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესახებ და მათი ენის სხარტული დახასიათება.

### ჰამეტობა ადიშის სახარებაში<sup>2</sup>

უძველესი ქართული ხელნაწერების აღმოჩენამ მრავალი საკითხი წამოაყენა და ერთბაშად წასწია წინ ჩვენი ისტორიისა, ლიტერატურისა, ენისა და პალეოგრაფიის შესწავლის საქმე. ჩამოთვლილი სამეცნიერო დარგების მუშაკთა შორის ამ ამბავმა გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ზოგიერთ ძველ დებულებათა და შეხედულებათა საფუძვლიანი გადასინჯვა<sup>3</sup>. მართალი იყო ჩემი კორესპონდენტი, რომელიც რუსეთში მყოფს მწერდა, რომ ქართულ ფილოლოგიაში რევოლუცია ხდებო.

<sup>1</sup> მისაღებია პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ გამართული სჯაბასის დროს გამოთქმული მოსაზრება, რომ **ხანმეტი**, როგორც ტერმინი ალბათ გიორგი მთაწმიდელზე ადრეც უნდა ყოფილიყო ხმარებული უძველესი ქართული ტექსტების აღსანიშნავად.

<sup>2</sup> წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე 28 მაისს 1923 წელს.

<sup>3</sup> ქართული ენის განვითარების ისტორია (საზოგადოდ და, კერძოდ, პრეფიქსების ხმარების მხრივ) მე ისე არა მაქვს წარმოდგენილი, როგორც ეს პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებაშია მოცემული (ნახე მისი „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“: «ტფ. უნივერსიტეტის მოამბე», II, გვ. 365-367). ჯერ კიდევ მრავალი რამეა გამოსარკვევი, რომელიც ეხება კილოების ტერიტორიალურ გავრცელებას და

ამ რეკოლუციის ერთი ეტაპთაგანია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ერთი პალიმფსესტის ამოტივტივება (ხელნაწერი 1329), რომელიც განსაკუთრებით ძვირფასია და საყურადღებო იმიტომ, რომ იგი ჯერჯერობით თითქმის განმარტოებით დგას ენის ფორმების მხრით.

აღნიშნული პალიმფსესტი ჯერ ქიმიურად დამუშავებული და ძველი ტექსტი გაცხოველებული არ არის, მაგრამ ისე ამოკითხული რამდენიმე ადგილი მაინც საკმაოდ საბუთს გვაძლევს, გავითვალისწინოთ მისი დიდი მნიშვნელობა და ჯეროვნად დავაფასოთ იგი. ამ ძეგლის ენაზე დანვრილებით ახლო მომავალში მექნება საუბარი. ეხლა კი ორიოდ სიტყვით მოვჭრი: როგორც ჩანს, ძველი ტექსტი, დაახლოვებით მერვე საუკუნისა, წარმოადგენს ნაწყვეტებს „იერუსალიმის განჩინების და განწესების“ წიგნიდან, რომელშიც მოყვანილი ყოფილა საკითხავები სახარებიდან. ენა ამ ძეგლისა იმით არის საყურადღებო, რომ შიგ მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის გამოსახატავად იხმარება არა **ხანი**, არამედ **ჰაე**, რომელიც (ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად) ხმოვნების წინაც კი შენახულია: ჰიცოდე, მიჰუგო, ჰუბრძანა, დაჰუტევა, ჰთნდა, დაჰთესი, ე. ი. იხმარება ისეთი ფორმები, რომელთა მიხედვით შეიძლება ამ ძეგლის ენას (და აგრეთვე მსგავსი მოვლენით დახასიათებულ სხვა ძეგლების ენასაც, თუ კი ასეთები აღმოჩნდება) **ჰაემეტი** ვუნოდოთ, გიორგი მთაწმიდლის **ხანმეტის** ანალოგიით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ **ჰაემეტ** ძეგლშიც **ინიან** ვნებითში **ჰაე** გვხვდება იმგვარადვე, როგორც ხანმეტ ტექსტებში **ხანი: ჰიყო || ხიყო**.

უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოება: აღნიშნული პალიმფსესტის ენას რამდენადმე მხარს უჭერს ადიშის სახარებაც<sup>1</sup>, რომელიც, როგორც საბოლოოდ გამოარკვია პროფ. კ. კეკელიძემ, გადაწერილია მეცხრე საუკუნის დასასრულს, ვინაიდან მის თარიღებში არავითარი წინააღმდეგობა არ არის, – სამივენი (სოფლის დასაბამითგან, ქრისტესით და ქართული ქრონიკონით) ერთურთს უდგებიან და ყველანი 897 წელს გვაძლევენ<sup>2</sup>. ეს 897 წელს შატბერდში გადაწერილი და ადიშში დაცული სახარება<sup>3</sup>, როგორც ეხლა ირკვევა, გადაწერილი ყოფილა ჰაემეტი დედნიდან, რადგანაც გადამწერელს რამდენიმე შემთხვევაში უნებურად **ჰაე** გაჰპარვია ხმოვნების წინ<sup>4</sup>. ეს დარჩენილი კვალი **ჰაეს** „ზედმეტად“ ხმარებისა ბევრ რასმე ამჟღავნებს. ვიდრე ხმოვნებზე გადავიდოდე, უნდა შევეხო **ჰაეს** ხმარებას თანხმოვნების წინ, რადგანაც ჰაემეტობის ნიშნები აქაც არის.

დაჯგუფებას ძველ საქართველოში, მათს ერთურთზე გავლენასა და მონაწილეობის მიღებას სალიტერატურო ენის შექმნაში, რაზედაც სხვა დროს გვექნება საუბარი.

<sup>1</sup> როდესაც ეს წერილი დაინერა (1923), მაშინ ადიშის ოთხთავი გამოცემული იყო ფოტოტიპირურად: *Материалы по археологии Кавказа*. т. XII. Москва 1916. ამჟამად იგი გამოცემულია სტამბურადაც: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (= ძველი ქართული ენის ძეგლები, 2), 1945.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება (ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 393-397).

<sup>3</sup> სოფელია სვანეთში (სვანურად **ჰადიმ** ითქმის).

<sup>4</sup> საეჭვოა, რომ დედანი კი არა, არამედ თვით გადამწერი ყოფილიყოს ჰაემეტი კილოს წარმომადგენელი.

ადიშის სახარებაში ორი ერთსახე პრეფიქსის აღსანიშნავად ჰაეს ხმარება მარტო მამის თანხმოვნებით კი არ არის განსაზღვრული, არამედ იგი იხმარება აგრეთვე დედის თანხმოვნების წინაც, თუმცა აქ შემთხვევა მისი ხმარებისა მაინც და მაინც ხშირი არ არის – აქ უფრო საქმე გვაქვს ძველი მოვლენის ნაშთთან, ვიდრე ცოცხალი რამის სისტემებზე ხმარებასთან. აი მაგალითები:

და ჳერთითა **ჰცემდეს** და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს და ეტყოდეს (მათე 26, 67); რაჲსათჳს მეზვერეთა თანა და ცოდვილთა **ჰჭამთ** და ჰსუამთ (მარკ. 2, 16); და ნაყოფი არა **გამოჰცა** (მარკ. 4, 7); რამეთუ რომლითა საწყაულითა **ჰწყვიდეთ**, მითვე მოგენყოს თქუნ (მარკ. 4, 24); და ვერცა პურის ჭამად **ჰცალნ** (მარკ. 6, 31); ხოლო თქუნ **ჰთქვთ** (მარკ. 7, 11); რამეთუ აღდგენ ცრუ-ქრისტენი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და **ჰცენ** სასწაულებ და ნიშებ საცთუნებელად (მარკ. 13, 22); რაჲთა **ჰჭამო** ზატიკი იგი (მარკ. 14, 12); **განჰძარცვეს** ძონეული იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი თჳსი (მარკ. 15, 20); რამეთუ **წარჰძლუე** წინაშე პირსა უფლისასა (ლუკა 1, 76); ხოლო მონაფჳნი მისნი **მოჰჭრიდეს** თავსა ჳოილისასა (ლუკა 6, 1); რაჲ **ჰჭამოთ** (ლუკა 12, 22; 12, 29); რომელნი **შეჰჭამენ** სახლსა ქურივთასა (ლუკა 20, 47); რამეთუ **ჰჭამეთ** პურისა მისგან და განსძელით (იოვანე 6, 26); არა თუ **ჰჭამოთ** ჳორცი ძისა კაცისაჲ (იოვანე 6, 53); **ჰწყურის** თუ ვისმე, მოვედინ ჩემდა (იოვანე 7, 37); თქვენ **ჰწუხდეთ**, ხოლო მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გექმნეს (იოვანე, 16, 20).

არის შემთხვევები, როცა ჰაე პრეფიქსს თან ახლავს **სანიც** იმავე დედის ბგერების წინ, ე. ი. შემთხვევები, როდესაც ასიმილაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, არამედ გარდამავალ საფეხურზე დგას. აი მაგალითები: ესე მიუჳდა პილატეს და **მოჰსთხოვნა** ჳორცნი იგი იესუჲსნი (მათე 27, 58); აჰა ლელჳ იგი, რომელსა **ჰსწყევი**, განჳმა (მარკ. 11, 21); თაყუანის-ჰსცეს მას (ლუკა 24, 52); და ნუგეჰინის-ჰსცემდეს მას (იოვანე 11, 31).

კაცმა რომ თქვას, დედის თანხმოვნების წინ ჰაეს ხმარება პრეფიქსებად მარტო ადიშის სახარებაში როდი გვხვდება. არის შემთხვევები მისი ხმარებისა მერმინდელ ძეგლებშიც, როგორცაა ათონისა და ტბეთის სახარება, ათონის დაბადება, იოვანე ბოლნელის ქადაგებანი და სხვა, მაგალითად: აღჰწიო, თაყნის-ჰცა, თაყუანის-ჰცემედ, წარმოჰცა, მოჰჭამდენ, დაჰძვა, რომლებიც მოყვანილია უკვე ჩემს გამოკვლევაში პრეფიქსების შესახებ<sup>1</sup>, მაგრამ ეს მოვლენა იქ მოქცეულია სხვა ანომალიებს შორის და ამით დაჩრდილულია მისი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს, როგორც ნაშთებს იმ დროიდან, როდესაც ყველგან ჰაე ყოფილა **ა<sub>2</sub>-ადაც** და **ო<sub>3</sub>-ადაც** ხმოვნებისა თუ თანხმოვნების წინ, მამის ბგერებისა თუ დედის ბგერების წინ. განსაკუთრებით ხშირია მერმინდელ (IX-XI საუკ.) ძეგლებში დედის ბგერათა წინ გარდამავალ საფეხურზე (სრულ ასიმილაციამდე) მდგომი მოვლენები, როდესაც ჰაეს თუმცა მთლად არ უნდა ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო დაახლოებული გამოთქმის მხრით **სანთან**, რომ ამ ახალი ბგერის გამოსახატავად ერთი საგანგებო ნიშნის მაგივრად

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, §53 [ამ ტომში გვ. 211-212].

ორი უხმარიათ (ჰს)<sup>1</sup>. სწორედ ასე უნდა გავიგოთ ეხლა **ჰს** ჯგუფის წარმოშობა დედის ბგერებით დაწყებულ ზმნებში: ჰსცა, ჰსტირთ, მიჰსდედა, ჰსთნდა, ჰსთქუ, ჰსთხოვდეს, ჰსძინავს, შეჰსძინა, დაჰსცხა და მისთანანი<sup>2</sup>, რომლებიც მეათე საუკუნისა და მერმინდელ ძეგლებშიც კი ხშირად გვხვდება<sup>3</sup>.

რა თქმა უნდა, ადიშის სახარებაში სრული ასიმილაციის შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ნაწილობრივისა ანუ სრული გადარჩენისა ასიმილაციისაგან, მაგრამ ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივია როგორც ამ სახარებაში, ისე მერმინდელ ძეგლებში და ამიტომ მაგალითების მოყვანა ზედმეტად მიმაჩნია.

ადიშის სახარება განსაკუთრებით იმით არის ძვირფასი, რომ მას შემოუნახავს რამდენიმე მაგალითი მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ **ჰაეს** სახით. მცირეა ამ შემთხვევათა რიცხვი, მაგრამ დიდია მათი მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპებისა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხების გამორკვევისათვის. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ჩამოვთვალო ყველა ისინი და თითო-ოროლა პარალელიც მოვუყვანო მათ სხვა ადგილებიდან იმავე ფორმების უპრეფიქსოდ ხმარებისა, რათა ნათლად იყოს გათვალისწინებული, რომ **ჰაეს** ხმარება აქ უფრო ტრადიციაზე დამყარებული და შემთხვევითი მოვლენაა, ვიდრე ნორმალური და ჩვეულებრივი.

**1. და არა თავ-ჰუყოს მამასა თვსსა** (მათე 15, 6). ეს ერთად-ერთი მაგალითია ამ რთული ზმნის ჰაეთი ხმარებისა, სხვაგან კი ჰაე ყველგან დაკარგულია. შდრ.: თავ-უყავ მამასა და დედასა (მათე 15, 4); თავუყავ მამასა შენსა და დედასა (მათე 19, 19); თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა (მარკოზ. 7, 10). უკანასკნელი სამი მაგალითი ბრძანებითის ფორმებს წარმოადგენს, მაგრამ, რადგანაც ზმნას მიცემითის დამატება მოეპოვება, პრეფიქსი მესამე პირისა თეორიულად ყველგან უნდა ვიგულისხმოთ, მაშასადამე, აქაც; ფაქტიურად კი გადარჩენილია მხოლოდ ერთ მაგალითში, რომელიც თავშია მოყვანილი.

**2. არც მე გითხრა თქუნ, რომლითა ჯელმნიფებითა (ა)მას ჰქემ** (მათე 21, 27). ამას შეიძლება დავუპირისპიროთ, მაგალითად, შემდეგი ადგილი მარკოზიდან: არცა მე გითხრა თქუნ, რომლითა ჯელმნიფებითა ვიქმ ამას (მარკ. 11, 33), მაშასადამე, აქ გვაქვს ჩვენ პარალელური ფორმები: **ვიქმ** და **ჰქემ**; ერთში არ არის ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა, მეორეში კი არის. **ჰქემ** ფორმაში ჰაე გადმოსულია ვინის წინ, რომელიც შემდეგ უმარცვლო უნად (უბრჯგუდ) ქცეულა და ინთან შეერთებით **ჰ** მოუცია: \*ვჰიქმ → \*ჰვიქმ → \*ჰუიქმ → \*ჰქემ.

**3. თქუნ ნუ ჰირქუამთ თავთა თქუნთა მოძლუარს, რამეთუ ერთ არს თქუენი მოძლუარი** (მათე 23, 8). **ჰირქუამთ** ფორმაში ჰაე შეიძლება ორგვარად გავიგოთ: ან როგორც სუბიექტური პრეფქსი მეორე პირისა, ან კიდევ როგორც ობიექტური მესამე პირისა, რადგანაც ამ ფორმაში ორივე პირია გამოხატული. ყოველ შემთხვევაში ჰაე მოსალოდნელია, მაგრამ იგი არ არის დადასტურებული მეორე

<sup>1</sup> ზოგიერთ თანამედროვე კილოზე (ქართლურზე, ფშაურზე) დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ჰაე ასოთი გამოხატული ბგერა ა ბგერისაკენ უნდა ყოფილიყო გადახრილი ხმოვნებსა და დედის ბგერებს შორის.

<sup>2</sup> იქვე, §49, გვ. 106-112 (ამ ტომში გვ. 198-203).

<sup>3</sup> ანტონ კათალიკოზის უკიდურესი გადაჭარბება, რასაკვირველია, მხედველობაში მისაღები არ არის.



მსგავს შემთხვევაში ცოტა ქვემოთ: და მოძღვარ(ს) ნუ ირქუამთ თავთა თქუენთა, რამეთუ ერთ არს მოძღუარი თქუენი ქრისტჳ (მათე 23, 10).

**4, 5. უცხო ვიყავ მე და შემინყნარეთ მე; შიშველ ჰყავ და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილეს ჰყავ და მოხუედით ჩემდა** (მათე 25, 35-36). აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯერ ვიყავ არის ნახმარი, შემდეგ ჰყავ მოსდევს, მერმე ისევ ვიყავ არის და ბოლოს კვლავ ჰყავ სწერია, ე. ი. ორჯერ ჰყავ არის და ორჯერაც ვიყავ. „ვიყავ“ ვნებითი ფორმაა ზმნისა, რომელსაც მოქმედებითში მიცემითის დამატება არ მოეპოვება, ამიტომ არც ვნებითში აქვს იგი და, მაშასადამე, არც ობიექტური პრეფიქსია მოსალოდნელი. მაგრამ ხანმეტ ტექსტებშიც ჩვეულებრივია ხიყო (და არა იყო) და ჰაემეტ ხელნაწერშიც (1239) ჰიყო ფორმა იკითხება. ამიტომ პირველ პირში ბუნებრივია ჰყავ ფორმის მიღება, სადაც ჰაესა და ვინს ერთიმეორისათვის ადგილები გაუცვლიათ, რასაც შედეგად მოჰყოლია ფონეტიკური ცვლილება ვინისა: \*ვჰიყავ → \*ჰვიყავ → \*ჰუიყავ → \*ჰყავ.

**6. ხოლო ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი** (მარკოზ 6, 19). აქ ერთი შეცდომა მოჰსვლია გადამწერს: მას ჰეროდია უნდა დაენერა და შეცდომით ჰეროდე დაუნერია. თუ ამ შეცდომას გავასწორებთ, მაშინ მოყვანილი ადგილი ასეთ სახეს მიიღებს: ხოლო ჰეროდია ჰე მ ტ ე რ ა მას და უნდა მოკლვად მისი. ზმნას მიცემითის დამატება აქვს და შესაფერისი ობიექტური ნიშანიც მოეპოვება ხმოვნის წინ, რა თქმა უნდა, როგორც ნაშთი.

**7. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუშლია მოვიდა და ჰუყვეს მას რაოდენიცა უნდა, ვითარცა წერილ არს მისთვის** (მარკ. 9, 13). მშვენიერი მაგალითია ჰაეს შენახვისა ხმოვნის წინ, მაგრამ აბა შევადართო ამას შემდეგი წინადადება: ხოლო იგინი აღივსნეს მანკიერებითა და ზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა უყვეს რა იესუს (ლუკა 6, 11).

**8. სიტყუასა მას რომელსა ჰუეტყოდე, მან დასაჯოს იგი დღესა მას უკუანაესკნელსა** (იოვანე 12, 48). ჰუეტყოდე სიტყვაში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ენი გამოჰრჩენია გადამწერს და თავზე დაუნერია შემდეგ, მაგრამ ჰაე კი თავიდანვე კარგად გამოუყვანია. აქაც ისეთივე მაგალითი გვაქვს სუბიექტურ-ობიექტური პრეფიქსების ადგილის გაცვლა-გამოცვლისა, როგორც ზემოთ ჰქქმ და ჰყავ ფორმებში: \*ვჰეტყოდე → \*ჰვეტყოდე → ჰუეტყოდე.

**9, 10. დგეს მუნ მსახურნი იგი და მონანი და ეგზნა, რამეთუ ყინელ იყო, და ჰიკუსოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ჰიკუსოდა** (იოვანე 18, 18). ჰაეთი მხოლოდ აქ არის ეს ზმნა ნახმარი, სხვაგან კი ჰაე არ არის: და სიმონ-პეტრე დგა მუნ და იკუსოდა (იოვანე 18, 25); დაჯდა იგი მსახურთა თანა და იკუსოდა მგზებელსა მას (მარკოზ 14, 54); სახარების სხვა რედაქციებში ამ ადგილებში იკითხება: ტფებოდა, ტფებოდეს, რომლის სინონიმებია ჰიკუსოდა (ან იკუსოდა, იკუსოდა) და ჰიკუსოდეს. თავისი ფორმით ეს ზმნა ვნებითია და ამიტომ ჰაე აქაც ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც ჰიყო და ჰყავ ფორმებში.

11. **ჰევედრებოდეს პილატეს, რაათა დამოსრნენ<sup>1</sup> წვენი მათნი და აღიხუნენ** (იოვანე 19, 31). შდრ.: და ევედრებოდეს მას, რაათა შე- ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა; და რომელთა შეახეს, ცხონდეს (მათე 14, 36); ევედრებოდა მას და ეტყოდა (ლუკა 5, 12) და სხვ.

მაშასადამე, ადიშის სახარებაში სულ არის თერთმეტი შემთხვევა ჰაეს პრეფიქსად ხმარებისა ხმოვნების წინ: **თავ-ჰუყოს, ჰჳქმ, ნუ ჰირქუამთ, ჰჳყავ** (ორჯერ), **ჰემტერა, ჰუყვეს, ჰუეტყოდე, ჰიკუსოდეს, ჰიკუსოდა** და **ჰევედრებოდეს**. ამათან მხოლოდ ერთ ფორმაში შეიძლება გაგებულ იქნეს ჰ მეორე პირის სუბიექტურ ნიშნად (**ნუ ჰირქუამთ**), და ისიც საეგებიოდ, რადგანაც ზმნას დამატებაც აქვს მიცემითში, დანარჩენ შემთხვევებში კი იგი ყოველგან მესამე პირის ობიექტური ნიშანია. ეს ობიექტური ნიშანი განსაკუთრებით ნათელია შემდეგ ფორმებში: **თავ-ჰუყოს, ჰჳქმ, ჰემტერა, ჰუყვეს, ჰუეტყოდე** და **ჰევედრებოდეს**. რაიცა შეეხება ჰაეს გარენას ვნებითის წარმოებაში (**ჰჳყავ, ჰიკუსოდა, ჰიკუსოდეს**), ეს ცალკეა განსახილველი, რომ გამოირკვეს საზოგადოდ, მოეპოვება ობიექტურ პრეფიქსს ინიან ვნებითში სხვა რაიმე საფუძველი, თუ აქ უბრალო ანალოგიასთან გვაქვს საქმე.

*[ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. II.  
(1922-1923), გვ. 399-424]*

---

<sup>1</sup> ხელნაწერში „დამოსრნენ“ იკითხება.

## ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის

1923 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ქართველთმეტყველებისათვის. ქართული მწერლობის ხნიერება თვალსაჩინოდ გაიზარდა, ქართული ენათმეცნიერების წინ ახალ პრობლემათა წყება გადაიშალა, და ზოგი ძველი საკითხი და მისი გადაწყვეტა ახალი გაშუქებით მოგვევლინა.

საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს: იგინი დაცულია პალიმფსესტებში; პირველთა აღმოჩენა ეკუთვნის პროფ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს , მეორისა კი – პროფ. ა. კ. შ ა ნ ი ძ ე ს .

ჯერ კიდევ 1920 წელს თავის გამოკვლევაში „პრეფიქსები ქართულს ზმნებში“ პროფ. ა. კ. შანიძემ ქართული ზმნის სტრუქტურის ერთი ძირითადი და რთული თავისებურება გააშუქა. საკმაო ზედმინევილობით გამოიკვია, რომ: 1) „ძველს სალიტერატურო ქართულში (იგულისხმება მე-X-XI ს. სამწ. ენა (ა. ჩ.) მესამე პირის დამატების აღსანიშნავად მიცემით დამატებიან ზმნას აქვს პრეფიქსი, რომლის ბგერითი სახე სხვადასხვა ფონეტიკური პირობების მიხედვით არის ჰ(-) || ს(შ) (იხ. „პრეფ. ქართ. ზმნ.“ გვ. 83) და 2) იმავე ძველ სალიტერატურო ქართულში მეორე პირის სუბექტის გამოსახატავად ზმნას აქვს ისეთივე პრეფიქსი: ჰ(-) || ს(შ), ესე იგი: ობექტური პრეფიქსი მესამე პირისა მიცემით დამატებიან ზმნებში ფონეტიკურად იგივეა, რაც სუბექტური პრეფიქსი მეორე პირისა საზოგადოდ. ორსავე შემთხვევაში **ამ პრეფიქსის ძირითადი სახე არის ჰაე; – ხმოვნის წინ იგი სრულიად იკარგვის, ხოლო თანხმოვანთა ერთი კატეგორიის ე. წ. მამის ბგერების წინ** (ჴ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, ს, ზ, შ, ჟ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ, ფ) მას თავისი სახე შენარჩუნებული აქვს, ე. წ. დედის ბგერების წინ (ტ, დ, თ, ნ, ძ, ც, ჯ, ჭ, ჩ) **ასიმილაციის გამო გვევლინება სანის ან შინის სახით.**

პროფ. ა. შანიძის იმავე გამოკვლევაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე ამ პრეფიქსის ვითარება კილოებში: პრეფიქსის ძირითად სახეებს და მათ ვარიაციებს კილოებმა შეჰმატეს: ა, ხ, ლ, ზ, ტ.

ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ფორმებს: „ხარ, ხუალ“; მათ შესახებ იგი წერს: „ხანი, როგორც სუბექტური პრეფიქსი მეორე პირისა (ზმნებში: „ხარ, ხუალ“) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის; იგი ნასესხები უნდა იყოს რომელიღაც სხვა კილოსაგან, რომელსაც ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღვლილებათაშიც, საზოგადოდ“ (Op. cit. გვ. 130).

მანვე აღნიშნა, რომ მცხეთის ჯვრის საყდრის და ბოლნისის სიონის წარწერებში რომ გვხვდება ფორმები: 1) მეოხ ხეყავ (ჯვრის საყდ.) 2) შეხენიე და 3) შეხუაბთ (ორი უკანასკნ. ბოლნის.), – ამათში მოცემულია ნაშთის სახით ხანი, როგორც ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა (ხმოვნის წინ). (იხ. „ნაშთები მესამე პირის ობექტ. პრეფიქსმარებისა ხმოვნების წინ: ტფ. უ ნ ი ვ ე რ ს . მ ო ა მ ბ ე , ტ. II, გვ. 262-281).

იმავე წერილში ავტორმა მოგვცა „ხერთვის“ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი და ხანი მიიჩნია აგრეთვე ობექტურ პრეფიქსად (ხ-ერთვის: იგი მას...).

„ყველა ეს ფორმები: ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხენიე და შეხუაბთ ერთიმეორეს მხარს უჭერენ და ამჟღავნებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ან კილოს ეკუთვნიანო“, წერდა პროფ. ა. შანიძე 1922 წელს (იხ. ზემოხსენ. წერილი: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. II, გვ. 281).

რამოდენისამე თვის შემდეგ კი 1923 წლის დამდეგს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა პალიფმესტების რიგი, სადაც ამ ხანის ხმარებას უკვე სისტემური ხასიათი აქვს, ხოლო იმავე გაზაფხულში პალიფმესტების რევიზიისას პროფ. ა. შანიძე ნააწყდა ჰაემეტობით დახასიათებულ ერთ ძეგლს<sup>1</sup>.

ტერმინი „ხანმეტი“, „ჰაემეტი“ სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ამ ძეგლების დაფასების ნაყოფია. პრეფიქსული ხანი თუნდაც მეცხრე-მეათე საუკუნის სამწერლობო ქართულის თვალსაზრისით უადგილოა, „მეტია“ აგრეთვე ჰაეც შემთხვევათა მთელს რიგში: ხმოვნების, „დედის“ ბგერების წინ და სხვ. (იხ. ქვ.).

„ხანმეტი“ – ტერმინით ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავდა ისეთ ძეგლებს, როგორებიც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა; ეს პირველად გამოარკვია პროფ. ა. შანიძემ (იხ. მისი ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნეში“: ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 398 შმდ.).

მოგვყავს ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები:

I ხანმეტი: ...ნოკოკოვე ხზოვნავთ და ხიტყვთ რაე ვჭამოთ. ანოკ რაე ესოკათ. ანოკ რაე შევიმოსოთ, რ(ამეთუ) ამას ყოველსა წარმართნი ხეძიებედ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. II, გვ. 375).

...ოკოკოვეთოკ არა ხისმინოთ ჩემი... არა აღხილოთ ტვრთი და შეხვდოდით ბჭეთა ი(ერუსალეა)მისათა დღესა შაბათთასა აღხოკავზნე ცეცხლი ბჭეთა (იქვე, გვ. 373).

...სადა იგი მატლი მათი არა დახესროკლების და ცეცხლი არა დახემრტების რ(ამეთუ) ყ(ოვე)ლი ცეცხლითა დახიმარილოს (იქვე, გვ. 381).

...რაოდენად ხოვფროს მამამან თქოვენმან ზეცათამან მოგცეს კეთილი (იქვე, გვ. 377)...

ხოვმჯობეს არს შენდა ერთითა თოვალითა შესლვად სასოვფეველსა (იქვე, გვ. 381).

II ჰაემეტი: და მოილო შვიდი იგი პოკრი და ჰმადლობდა და განტეხა და მიჰსცემდა მონაფეთა მისთა რ(ამთ)ა დაჰოვგონ. ხ(ოლო) მათ დაჰოვგეს ერსა მას და ჰაქოვნდა თევზი მცი(რ)ედ და იგიც აკოვრთხა და ჰოვბრძანა მათ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. III, გვ. 379).

და აღვიდა მათ თანა ნავსა და დაჰცხრა ქარი იგი და ჰოვმეტ(ეა)სად დაჰოვკვრდებოდა მონაფეთა მისთა (იქვე, 378).

...შევიდა სადა იგი ჰიდვა მკოვდარი... (იქვე, გვ. 377).

...ჰოვმჯობ(ეა)ს არს შენდა... (იქვე, გვ. 370)<sup>2</sup>.

ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლებს პრეფიქსის ხმარებაში მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებთან შედარებით შემდეგი რამ ახასიათებს:

<sup>1</sup> ა. შანიძემ აღნიშნა ჰაემეტობის ნაშთები ადიშის სახარებაში (იხ. მისი „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“).

<sup>2</sup> წარმოუდგენელი ტექნიკური სიღუბნის გამო ქარაგმებიანი სიტყვები იძულებული გავხდით სრულად დაგვეწერა: ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებშია ჩასმული სათანადო ნანილი; ფრჩხილებში მოქცეული ეა (ეა) კიდევ იმავე მიზეზით მერვე ენის აღნიშვნის მოვალეობას კისრულობს!

1. პრეფიქსი აქ ერთი სახისაა: ხანი – ხანმეტში, ჰაე – ჰაემეტში; მომდევნო ბგერასთან ასიმილაციას ადგილი არა აქვს, – მაშინ, როდესაც მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში პრეფიქსის ძირითადი სახე ჰაე სან – შინადაც არის წარმოდგენილი (იხ. ზემოთ).

2. ხმოვნების წინ არა მარტო ხანი, არამედ ჰაეც შენახულია<sup>1</sup>, – მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში ხმოვნების წინ ჰაე იკარგვის.

3. როგორც ხანი, ისე ჰაე პრეფიქსების სახით გვევლინებიან ვნებითი გვარის ზმნებში; – ამას მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში ადგილი არა აქვს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

4. ხანი – ხანმეტებში, ჰაე – ჰაემეტებში წინ დაერთვის ხარისხის აღმნიშვნელ უნს ზედსართავ სახელებში; მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში ასეთ შემთხვევაში მხოლოდ უნი გვაქვს:

ამგვარად: ხანს – ხანმეტში, ჰაეს – ჰაემეტში იწვეს: 1. დამატება მას, მათ: O<sub>3</sub>; 2. ქვემდებარე შენ, თქუენ: S<sub>2</sub>; 3. ვნებითი გვარის ზმნის ყველა პირი და 4. შედარებითი ხარისხი ზედსართავი სახელებისა.

უკანასკნელ ორს შემთხვევაში მეცხრე-მეათე საუკუნის ქართულს პრეფიქსი არა აქვს; ეს გარემოება ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება; შედარებითი ხარისხის ფორმანტი თავში უნია; ვნებითის მწარმოებელი კი ინი და ენი (იპოვა, დაინერა, იკლა; ეპოვა, დაენერა, ეკლა...); ცხადია, ჰაემეტის ჰაე-პრეფიქსი აქ ხმოვნების წინ ისევე დაიკარგებოდა, როგორც იკარგება იგი ხმოვნების წინ, როცა მეორე პირის სუბიექტურ ან მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად გვევლინება. ასე რომ ხანმეტის ხანისა და ჰაემეტის ჰაეს ფუნქციათა სიჭარბე მეათე საუკუნის სინამდვილეში შედარებით მხოლოდ მოჩვენებითია: ხმოვნების წინ რომ ჰაე-პრეფიქსი არ დაკარგულიყო, მეათე საუკუნეში პრეფიქსი ჰაე ოთხსავე ზემოხსენებულ შემთხვევაში გვექნებოდა. მორფოლოგიური სტრუქტურა არ შეცვლილა; განსხვავებულობა ფონეტიკურმა მომენტმა გამოიწვია.

ზოგიერთი შენიშვნები ამ განსხვავებული სახეობისათვის შედარებითი ხარისხის წარმოებისას ხ || ჰ-ეს ხმარების გარკვევა ხანმეტში – დაკავშირებულია ამ ხარისხის მწარმოებელი ფორმანტების გენეზისის გარკვევასთან. შეიძლება თავკიდური ხუ || ჰუ მესამე პირის ნაცვალსახელის ფორმამდი ადიოდეს; დაბოლოებაში კი ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება გვქონდეს; მაშინ შედარებითი ხარისხის ფორმა იქნებოდა სინთეტური მთლიანობა, რომლის ერთი ელემენტი, – თავკიდური – იგი-ს აზრს ატარებდა, დაბოლოება კი აღნიშნავდა რასთან შედარებით იყო იგი მეტი „ქვალიტატურობის“ მატარებელი<sup>2</sup>.

ეს ყველაფერი ჰიპოთეტურია და საეგებისო, უფრო სარწმუნოდ კი მიგვაჩნია შემდეგი: შედარებითი ხარისხის თავკიდურში გამოყენებული ძირი უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული ან იდენტური იმ ელემენტთან, რომელიც პრეფიქსად არის გამოყენებული ზმნებში (O<sub>3</sub> და S<sub>2</sub>); მათი ბედის ერთნაირობა გვაფიქრებინებს ამას, მაგრამ თვით ამ ფორმანტის გენეზისი ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს. ამიტომაც მაზე აქ არ შევჩერდებით.

<sup>1</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰაე ჰაემეტში ხშირად იკარგვის ხმოვნების წინ; ეს „უნესობა“ ააშკარავებს, რომ აღმოჩენილი ჰაემეტი ძეგლი იმ ხანისაა, როცა ჰაეს ხმარება უკვე შეირყა; მზადდება ნიადაგი შემდეგი დროის სამწერლობო ფორმებისათვის. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. შანიძე: „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“; ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 354-363.

<sup>2</sup> შდრ. მეგრული კონსტრუქცია: ჯაში უმაღალაში, ქუაში უმანგარაში – „ხისა უმაღლესი“, „ქვისა უმაგრესი“.

ვნებითი გვარის ზმნის ხ || ჰ-ესათვის საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: ზმნაში ხ || ჰ-ეს ინვევს ან ქვემდებარე შენ, თქვენ, ან დამატება – მას, მათ, – ე. ი. იგი არის ან სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა, ან ობიექტური მესამისა.

საკითხავია ვნებითის ხანი სუბიექტურია თუ ობიექტური? როგორც ხანმეტში – ხანი, ისე ჰაემეტში – ჰაე ყველა პირებში გვხვდება; ეს გვაიძულებს დავასკვნათ, რომ იგი სუბიექტური პრეფიქსი არ უნდა იყოს: თვით სვანურში, სადაც ხან – სუბიექტური პრეფიქსის სახითაც გვევლინება, მას ადგილი აქვს პირველსა და მეორე პირში, მაგრამ მესამე პირში – არა: მი ხუარი, სი ხარი, ეჯა არი... ახლად აღმოჩენილ ძეგლებში ხ || ჰ პრეფიქსი ვნებითი გვარის ზმნებში მესამე პირშიაც გვხვდება: ხიყო, ხიყოვნეს... ხიპოვა... აქ პრეფიქსის სუბიექტურობა გამორიცხულია; გვრჩება მეორე შესაძლებლობა: ხ || ჰ ვნებითში ობიექტური ჩამომავლობისაა.

როგორ ავხსნათ ეს ფაქტი? არის ორი შესაძლებლობა:

1. ვნებითი გვარის ზმნები, როცა ენით ინარმოება, მოითხოვს დამატებას მიცემითში: დაეკლა იგი მას, დაენერა იგი მას ზედა, ენოდა იგი მას, ებრძანა იგი მას... ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა აქ, როგორც ყოველ მიცემით-დამატებიან ზმნასთან, საერთო წესით გამართლებულია. უნდა დავუშვათ, რომ ვნებითის ინით წარმოების შემთხვევებში ხ || ჰ – პრეფიქსი ენით წარმოებული შემთხვევების ანალოგიით არის გადმოღებული: ხენერა, ხეკლა, ხეპოვა-ს ანალოგიით: ხინერა, ხიკლა, ხიპოვა...<sup>1</sup>

2. მეორე შესაძლებლობა უფრო რთულია და ნაკლებ მოსალოდნელი. მაინც არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც მისი გათვალისწინების საჭიროებას გვიკარნახებს.

საქმე შემდეგშია: მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში მესამე პირის დამატებას შეუძლია გამოიწვიოს ობიექტური პრეფიქსი ჰ || ს || შ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიცემით ბრუნვაშია დასმული, ხოლო თუ სახელობითს ბრუნვაშია – პრეფიქსს არ ინვევს: მან სთხოვა მას იგი, მაგრამ მან კლა იგი<sup>2</sup>; მეორე და პირველი პირის დამატება კი სათანადო ობიექტური პრეფიქსებით (გ, მ) არის წარმოდგენილი, იქნება იგი მიცემითს ბრუნვაში თუ სახელობითში: იგი გკლავს შენ, მკლავს მე; მან გკლა შენ, მკლა მე...

კითხვა იბადება: ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თავდაპირველად ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ჩნდებოდა მაშინაც, როცა დამატება მესამე პირისა სახელობითს ბრუნვაში იყო, და რომ ამ მხრივ მესამე პირი არ იდგა განცალკევებით პირველი და მეორე პირისაგან?! ხანმეტის ხანი, ჰაემეტის ჰაე ინით ნაწარმოებ ვნებითი გვარის ზმნებში (შეხიმუსრა იგი, ხიპოვა იგი...) მაშინ იქნებოდა მოქმედებითი გვარის ფორმიდან ვნებითში მექანიკურად გადმოსული?!

ამის საწინააღმდეგოდ თითქოს ყველაზე უფრო ის ლაპარაკობს, რომ ახლად აღმოჩენილ ძეგლებში დამატება მესამე პირისა სახელობითს ბრუნვაში არ ინვევს ობიექტურ პრეფიქსს, და ბუნებრივია, თუ ვიტყვით: ხ || ჰ – პრეფიქსი რომ ყოფილიყო გამონვეული მესამე პირის დამატებით სახელობითს ბრუნვაში იგი უწინარეს ყოვლისა მოქმედებითი გვარის ზმნაში უნდა გვექონოდა და არა ვნებითისაში. მაგრამ ეს არგუ-

<sup>1</sup> ასე ხსნის ამ მოვლენას პროფ. ა. შანიძე; იხ. მისი „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელ. ქართ. ენ. ისტორიისათვის“: ტფ. უნივერსიტეტი, მოამბე, ტ. III, გვ. 359.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ ვრცლად ა. შანიძე, სუბ. პრეფ. მეორე პირისა და ობიექტ. პრეფ. მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილ. 1920, გვ. 24 და შემდ.

მენტი აბსოლუტური არ არის; ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა მოვლენის პირველადი სახე დაიკარგა, ხოლო სეკუნდარი შენახულ იქმნა; მაგალითად, ჩვენ ახლა ვამბობთ და ვწერთ: იგინი იყვნენ: ნარი ამ ფორმაში **მექანიკურად** არის გადმოსული მოქმედებითი გვარისაგან, როცა დამატებად იყო მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა ნი-დაბოლოებით წარმოებული: მათ ყვეს იგი, მაგრამ: მათ ყვენეს იგინი... აქედან: იგინი იყვენეს მისა მიერ (თანამედრ. იყვენენ)<sup>1</sup>. უკანასკნელს შემთხვევაში („მათ ყვენეს იგინი). ნარი ამჟამად არ იხმარება; ახლა ჩვენ ვწერთ და ვამბობთ: მათ ყვეს იგი, იგინი; ამისდა მიუხედავად, მოქმედებითი გვარის გარკვეულს ფორმაში წარმოშობილი ეს ნარი, ვნებითში **მექანიკურად** გადაბარგებული, შეენახა ენას ამ უკანასკნელს ფორმაში: იყვენენ – სეკუნდარ შემთხვევაში, ხოლო პირველად მის „სამშობლოში“ იგი მოისპო.

ამგვარად, შეუძლებელი არ არის ხ || ჰ სახელობით დამატებიან ზმნებში მოქმედებით გვარში დაკარგულიყო, ხოლო ვნებითს იგი შეენახა.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ორი მეტად საინტერესო გარემოება, რომელიც ა. შ ა ნ ი ძ ი ს ხსენებულ გამოკვლევაში მოიპოვება:

1. ჩვენ ვხვდებით მეცხრე-მეათე საუკუნეში სახელობით დამატებიან ზმნებს, რომელთაც ობიექტური პრეფიქსი მოეპოვებათ; მკვლევარის აზრით, ეს ზმნები თავდაპირველად მიცემით დამატებიანნი ყოფილან; ამას ცხადჰყოფს ვნებითის წარმოება ენის საშუალებით, რაც მიცემით დამატებიანი ზმნების თვისებაა. დროთა ვითარებაში მათ სინტაქსური კონსტრუქცია შეცვლიათ, მორფოლოგიური აგებულება კი შეუნახავთ; ასეთი ზმნები: დაჰბადა, დაჰმარხა, ჰმართა, დაჰწერგა, ჰგონა, დაჰჰმა, დაჰჰსნა, სთესა, დასთხია<sup>2</sup>... რაც უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, ფაქტი ის არის, რომ ახალ კონსტრუქციაში ძველი აგებულება შერჩა ზმნას (თუნდაც დამწერლობაში); სახელობით დამატებიანს გააჩნია ისეთი თვისება, რომელიც მხოლოდ მიცემით დამატებიანს შეჰფერის.

2. უფრო საგულისხმოა მეორე ფაქტი; ანმყო დროში ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა მოეპოვება ზმნას უსათუოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამყო სრულშიაც მოითხოვს დამატებას მიცემითში; ხოლო თუ იგი მოითხოვს დამატებას მიცემითში მხოლოდ ანმყო დროში, მაშინ ობიექტური პრეფიქსი შეიძლება იყოს ან არა: აქ ორი ტიპის ზმნები გვაქვს; **ჰყოფს** ტიპისა, რომელსაც აქვს ობიექტური პრეფიქსი და **ქადაგებს** ტიპისა, რომელსაც პრეფიქსი არა აქვს<sup>3</sup>.

ზედმიწვენილობა რომ დავიცვათ, ორივე ფაქტიდან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: დამატების ქონა მიცემითს ბრუნვაში **არ არის არც აუცილებელი და არც საკმაო პირობა** ობიექტური პრეფიქსის გაჩენისათვის.

რომ **აუცილებელი** არ არის, ეს ჩანს „დაჰბადა“ – ტიპის ზმნებისაგან: მხოლოდ ვნებითში მიცემით დამატებიანობა საკმაო აღმოჩნდა მოქმედებითში სახელობით დამატებიან ზმნას ობიექტური პრეფიქსი გასჩენოდა; რომ იგი **საკმაო** არ არის, ამას მოწმობს „ქადაგა“ – ტიპის ზმნები: ანმყოში დამატება მიცემითშია, – ობიექტური პრეფიქსი კი ზმნას არ მოეპოვება.

<sup>1</sup> იხ. ა. შანიძე, ხსენებული ნაშრომი, გვ. 12, შენიშვნა.

<sup>2</sup> იხ. ა. შანიძე, იქვე, გვ. 74-83.

<sup>3</sup> ორივე ტიპის ზმნების მაგალითი და მათი განხილვა იხ. იქვე, გვ. 85-105.

რას ნიშნავს ეს გარემოება? მხოლოდ იმას, რომ **მიცემით დამატებიანსა და სახელობით დამატებიან ზმნებს შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს.**

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები უფრო ბლომად რომ გვექონოდა და მათში „დაჰბა-და“ და „ქადაგა“ ტიპის „ანომალიები“ რომ აღმოჩენილიყო, ვნებთის ხანის ახსნის მეორე შესაძლებლობა არც ისე უსაფუძვლო იქნებოდა<sup>1</sup>.

ამჟამად კი ეს მეორე შესაძლებლობა მხოლოდ შესაძლებლობაა, რომლის სანინალმდეგოდ მეტი მოსაზრების მოყვანა შეიძლება, ვინემ სასარგებლოდ; მაგრამ საკითხად იგი მაინც რჩება. – პირველი შესაძლებლობა კი, როგორც უფრო ბუნებრივი და მარტივი, უფრო დასაშვებად უნდა ჩაითვალოს.

რომელ შესაძლებლობასაც არ დაუშვებთ, ანალოგიის მომენტს ვერ გამოვრიცხავთ. და ეს კი ნიშნავს: ხან პრეფიქსის ლიტერატურული ფიქსაცია მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა მისი ხმარება რაციონალ საფუძველს მართო არ ემყარებოდა: მექანიკურ-ანალოგიური წარმოება იყო უკვე ფეხგადგმული... აქედან კიდევ ზოგიერთი დასკვნების გაკეთება შეიძლებოდა ამ პრეფიქსის ბუნებისა და ისტორიული ჰასაკის შესახებ, მაგრამ ეს ძალიან შორს წავიყვანდა.

დავუბრუნდეთ სხვა მორიგ საკითხებს. ერთი ასეთი საკითხია აღმოჩენილი ძეგლების დათარიღება.

რაც შეეხება ამ ძეგლების „ხნიერობას“, პროფ. ივ. ჯავახიშვილი ხანმეტ ტექსტებს VI საუკუნისად სთვლის, პროფ. ა. შანიძეს ჰაემეტი ძეგლი VIII საუკუნისად მიაჩნია. პირველი – ძეგლების პალეოგრაფიულ თავისებურებებს ემყარება: ვჟეს, ყარისა და განსაკუთრებით ბანის თავშეკრულობას; პროფ. ივ. ჯავახიშვილი მცხეთის ჯვრის ქობულ-სტეფანეს წარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებათა გამო დაასკვნის: „ქობულ-სტეფანეს მცხეთის ჯვრის წარწერაში **ბ** უკვე ოდნავ თავგახსნილია: ეს წარწერა, როგორც გამოიკვავა, VII ს. შუა წლებს ეკუთვნის, მაგრამ რათგან ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბანს თავი პირველად ამ წარწერის ამოკვეთის დროს გაეხსნა და თანაც ვიცით, რომ ამგვარი პროცესი დამწერლობაში თანდათანობით ხდება და მისი დასაწყისი უფრო ხელნაწერებშია საძებნელი, ვიდრე ეპიგრაფიკაში, ამიტომ უფრო სწორე იქნებოდა დაგვეკვინა, რომ ბანს თავი უნდა VI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და VII საუკუნის პირველ ნახევარს შორის ხანაში გახსნოდა (იხ. მისი „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II. გვ. 334).

ამრიგად: რაკი თავშეკრული ბანისათვის terminus post quem non VII საუკუნის პირველი ნახევარია, და რაკი აღმოჩენილ ტექსტებში ბანი თავშეკრულია<sup>2</sup>, ტექსტები მე-VI საუკუნისად უნდა მივიჩნიოთ (იხ. აღნიშ. წერილი: იქვე, გვ. 343)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> აღმოჩენილ ტექსტებში მოიპოება ორიოდე მაგალითი ამ მხრივ ფრიად საინტერესო, როგორც მაგალითად: მიხიყვანის (მან იგი). იხ. ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 389, ასეთ შემთხვევებს სხვა დროს დავუბრუნდებით.

<sup>2</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ გადარეცხა-გადაფხეკის გამო ბანი ზოგჯერ თავგახსნილის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ პალიმფსესტად ქცევამდი ბანი მაინც თავშეკრული უნდა ყოფილიყო (იხ. იგივე წერილი, გვ. 343).

<sup>3</sup> მე-VIII საუკუნის პირველი ნახევრის თუნდაც წარწერის, მაგრამ მაინც ერთადერთი ბანის თავგახსნილობა ძნელი საფიქრებელია იმის ურყევ საბუთად გამოდგეს, რომ ამის შემდეგ თავშეკრული ბანი აღარ გვექნებოდა, სამწუხაროდ, პალეოგრაფია-ეპიგრაფიკას სინამდვილის ისეთ სფეროსთან



მრავალ საკითხთა შორის, რომელთა დასმა ასეთი ძეგლების აღმოჩენით აუცილებელი ხდება, ამთავითვე ყურადღებას იქცევს ხანმეტობის „სადაურობის“ და მისი ჰაემეტობასთან ურთიერთობის საკითხი. აღვნიშნავთ აქ აკად. ნ. მარრის, პროფ. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. აკ. შანიძის შეხედულებებს.

აკად. ნ. მარრის შესახებ აქ მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს ლაპარაკი, რამდენადაც საღვთო წერილის ქართულად თარგმნის შესახებ გამოთქმულმა მისმა აზრებმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დატოვონ, თითქოს აკად. ნ. მარრის ნაწერებში ხანმეტობის ინტუიციური ანტიციპაცია იყოს მოცემული<sup>1</sup>. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ზემოხსენებულ წერილში დანვრილებით იხილავს აკად. ნ. მარრის შეხედულებებს ამ საკითხის შესახებ და სხვათა შორის სამართლიანად შენიშნავს, რომ აკად. ნ. მარრს არა ერთხელ გამოუთქვამს ამ საკითხის შესახებ ერთმანეთის სანაღმდეგო აზრი. იგი ჩერდება აკად. ნ. მარრის აზრზე; მისი მიხედვით: „მე-V-VI ს. ქრ. შემდეგ სომხეთში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ სვანები, აქ პირველად იაფეტურ ენაზე აღმოცენდა ქრისტიანული მწერლობა; რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო ბევრია მასში „სვანიზმები“ და კითხვაც კი არის დასმული, ხომ არ ითარგმნა საღვთო წერილი პირველად „სვანურ“ ენაზე, რომელიც მხოლოდ შემდეგ თანდათანობით დაუახლოვდა ქართველთა მშობლიურ ენას, თუმცა მაინც მრავალი ირაციონალი მოვლენა შეგვიჩინა, რომელიც სვანურს ეკედლებათ“. ამაშია მოცემული აკად. ნ. მარრის სვანურობის თეორიის დედა აზრი 1915 წლის ვერსიით<sup>2</sup>.

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით პროფ. ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად უარყოფს, რომ აღნიშნულ პერიოდში სომხეთში სვანებს ეცხოვროს ან იქ სვანური ლაპარაკი ყოფილიყო (იხ. მისი დასახელ. წერილი, გვ. 357-359). ისტორიის საბუთი უპირდაპირდება ფილოლოგიური ანალიზით შთაგონებულ ინტუიტიურ დაშვებას;

---

არა აქვს საქმე, სადაც ინდივიდუალი ფაქტის ანალიზი ზოგადი წესის გამოყვანის შესაძლებლობას ეჭვმიუტანლად იძლეოდა. ასე რომ, დათარიღების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ჯვარციმიდან 974 წლით დათარიღებულ ძეგლშიც („დავითნი“ – ტფილ. უნივერ. სიძველ. საცავის ხელნაწ. 38) ვხვდებით სავსებით თავშეკრულ ყარებს, ბანებსაც – საკმაო ხშირადაც, მაგრამ ამავე ძეგლის ერთ ნაწილში, რომელიც განსხვავებული ხელით არის დაწერილი, ასეთი ბანი, ყარი არ მოიპოვება: ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ძეგლში სხვაგანაც თავშეკრული ყარის, ბანის წერა ანაქრონიზმის წარმოადგენს და ამ ასოთა ნორმული განვითარების საფეხურების მხილებად ვერ ჩაითვლება.

ეს შენიშვნები დაწერილი გვქონდა, როცა მოქ. სარგის კაკაბაძის აზრს გავეცანით, პატივცემული ისტორიკოსი ზემოხსენებული „დავითნის“ მაგალითებს ემყარება და დაასკვნის: „ეს გარემოება (ე. ი. რომ თავშეკრული ყ, ჯ, ბ გვხვდება – ა. ჩ.) ცხადად ამტკიცებს, რომ საკითხი ხსენებული ასოების მოხაზულობის ისტორიულად განვითარების შესახებ ჯერ კიდევ საჭიროებს ახალ დაკვირვებებს და მასალებს... (იხ. მისი „საისტორიო ძიებანი“. ტფილ, 1924, გვ. 5).

968 წლით დათარიღებულ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში, რომელიც საისტორიო საზოგადოების მუზეუმში მოიპოვება (3124), ნუსხური ისეთი გარკვეული სახით არის ჩამოყალიბებული, რომ ბუნებრივად გვაფიქრებინებს: მისი წინამორბედი მთავრულის განვითარება ამ დროს უკვე კარგა ხნის დასრულებული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ „დავითნის“ ხსენებულ შემთხვევებზე დამყარება არ შეიძლება. თავშეკრული მთავრული ყ, ჯ, ბ-ის წერა ჩვენ ახლაც შეგვიძლია, მაგამ ამას ხომ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ამ ასოთა მოხაზულობის ისტორიის გამოსარკვევად!

<sup>1</sup> ასე უყურებს საქმეს მაგალ. დ-რი რ. ბლეიკი. იხ. ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 361.

<sup>2</sup> იხ. „Яфетические названия деревьев и растений“ И. А. Н. 1915 г. გვ. 945.

ასეთ შემთხვევაში ისტორიის სიტყვა გადამწყვეტი უნდა იყოს; ამდენადვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის პოზიცია ურყევეა<sup>1</sup>.

მაგრამ კითხვა იბადება: რომელ „სვანებზე“ ლაპარაკობს აკად. ნ. მარრი? არის თუ რა ეს ცხენისწყლისა და ინგურის ხეობათა თავში მცხოვრები „ტომი“? „სვანიზმები“, „სვანური ენა“ აკად. ნ. მარრს ბრჭყალებში აქვს მოქცეული; ცხადია, აქ ერთგვარ რყევას აქვს ადგილი. ბუნებრივად მიგვაჩნია ამიტომაც გავითვალისწინოთ მისი შეხედულება ორი წლის შემდეგ; ეს მით უფრო საჭიროა, რომ, ჯერ ერთი, მას არ შეხებია პროფ. ივ. ჯავახიშვილი და, მეორეც, რაც არსებითია, აქ საკმაოდ განსხვავებული აზრია გამოთქმული; მასთანვე უფრო გარკვეული. მხედველობაში გვაქვს აკად. ნ. მარრის: *Грузинская поэма: «Витязь в Барсовой Шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема* (Изв. Рос. Акад. Наук. Петроград. გვ. 415-506).

აქ მესხებზეა ლაპარაკი. ამ ტომის ისტორიული ბედის გათვალისწინებასთან დაკავშირებით ახალი პერსპექტივაა გადამღილი. ბიბლიის მოსოხი, ასურელთა და ქალდეების მუშკები კავკასიაში შემოდიან იმ გზით, სადაც შემდეგ მესხეთი გვექონდა. მათ ჩრდილოეთით კავკასიონის ქედისთვის მიუღწევიათ და კიდევ გადასცილებიან მას. ჩრდილო-დასავლეთით მესხებს შავი ზღვის ნაპირებისთვის მიუღწევიათ – ეს „აბასხებია“, შემდეგ ქართულს გამოთქმაში აბხაზად || აფხაზად ქცეული. „აბხაზთა აღმოსავლეთით, – წერს აკად. ნ. მარრი, – იგინი შეერივნენ სონებს ანდა მოვიდნენ რა მათთან შერევის შემდეგ სამხრეთიდან, დამკვიდრდნენ სონების ანუ სვანების სახელით. ორი საემიგრაციო ტალღის მოცილების შემდეგ, რომელმაც შეადგინა აფხაზეთი ანდა დამკვიდრდა სვანეთში, მესხები ანუ მოსოხები დიდხანს განაგრძობდნენ სამხრეთშიც ყოფნას. მათი მოსახლეობა შევიწროვდა სამხრეთით და თანდათანობით იგინი იკავებენ მტკვრის ზემო აუზს, მესხეთად წოდებულს... მესხეთში დარჩნულ ამ მესხებზე აგრეთვე მოახდინა გავლენა სონთა მეგრულ-ჭანურმა ტომმა, რომელნიც (სონები) შეერივნენ მათ და შექმნეს სონ-მესხთა ნარევი ტომი, რომელსაც აგრეთვე სომეხს უძახოდნენ. შემდეგში ქართველებმა ეს სახელი გადაიტანეს არმენებზე“...<sup>2</sup>

მაშასადამე, გამოდის, რომ: 1. სონი – მეგრულ-ჭანური ტომია; მესხი პლუს სონი გვაძლევს სონს ანუ სვანს, თანამედროვე სვანეთის მკვიდრს: იგივე მესხი პლუს სონი გვაძლევს „სომეხს“. არა ჩანს აქ ნათლად, მესხების ემიგრაციული ტალღა სვანეთისკენ მოძრაობისას შეერია სონებს, თუ ეს შერევა მოხდა მესხების წინანდელ ადგილ-

<sup>1</sup> მეტად საინტერესოა, რომ ერთი წლის შემდეგ აკად. ნ. მარრი თავის ზემოხსენებულ შეხედულების სრულიად უარყოფელ გარემოებას თვითვე აღნიშნავს: „Со II-го века до Р. Хр. римские и греческие писатели знают сванов там же приблизительно в тех же пределах, где застаем и мы“... იხ. მისი: К дате эмиграции Мосхов из Армении в Сванию: Изв. Ак. Наук, 1916, Петроград, გვ. 1682.

<sup>2</sup> «Восточнее от абхазов они смешались с сонами или, явившись с юга по смешении с ними, осели под названием сонов или сванов. По отделении двух эмиграционных волн, образовавших Абхазию или осевших в Свании, месхи или мосохи продолжали еще долго пребывать и на юге. Постепенно границы их южного расселения с’узились и сосредоточились по верхнему бассейну Куры, в области называвшейся грузинами Месх-ет-ი..... На этих месхов тоже повлияло мегрело-чанское племя сонов, которые смешались с ними и образовали смешанное племя сон-месхов, называвшееся также сомехами. Название «Сомех» грузинами впоследствии было перенесено на армян»... Изв. Акад. Наук. 1917, გვ. 439-40.

სამყოფელში; და თუ ეს უკანასკნელი შესაძლებლობაა სწორი, რატომ ეწოდა მას ერთს შემთხვევაში სვანი, მეორეში კი სომეხი?!

და, ალბათ, ეს ბუნდოვანობა გამოწვეულია მით, რომ აქ ისტორია ისტორიული ფაქტების მიხედვით კი არ იწერება, არამედ ტერმინების ფილოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით ხდება ისტორიულს სინამდვილეში ჰიპოთეტური ფაქტების ინტროექცია!

ყოველს შემთხვევაში ამ ჰიპოთეზის იმანენტი ლოლიკა გვავალებს გავაკეთოთ სათანადო დასკვნა: თუ მესხეთში „სომხური“ ენა იყო (და არა სვანური, როგორც ფიქრობდა აკად. ნ. მარრი ორი წლით ადრე), საღვთო წერილიც ამ „სომხურზე“ უნდა ეთარგმნათ. აკად. ნ. მარრიც პირდაპირ ამბობს: „საღვთო წერილი პირველად სონ-მესხურსა ან „სომხურ“ ენაზე ითარგმნაო; მაშინ ეს სომხური ენა ჯერ კიდევ იყო თავისთავადი, თუმცა არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქართული სასაუბრო ენა (речь) უკვე ახდენდა მასზე გარკვეულ გავლენასო“... (Изв. АН. Наук. 1917, გვ. 446).

ეს ერთი შეხედვით თითქოს ეგუება აკად. ნ. მარრის მიერ 1913 წელს გამოთქმულ აზრს, როცა იგი წერდა: „საღვთო წერილი ითარგმნა „სომხურ“ კილოზე... რომელიც ან V საუკუნეშია მთლიანად სვანური ენის კილოდ უნდა მივიჩნიოთ, ან, თუ კი ის იყო ამ ხანებში გაქართულებული, მასში ყოველ შემთხვევაში მრავლად უნდა ვიგულოთ სვანური ენის იმ კილოს ნაშთები, რომელიც ოდესღაც ძირითადი იყო სომხეთში“ (Xp. Bost. II 23-24).

ამგვარად აქაც „სომხურზე“ ლაპარაკი, ისევე, როგორც ოთხი წლის შემდეგ გამოსულს ნაწარმოებში. მხოლოდ ამ „სომხურზე“ წარმოდგენა განსხვავებულია: 1913 წლის „სომხური“ საუკეთესო შემთხვევაში სვანურის კილოა (ან სვანიზმების მატარებელი-დაა!), 1917 წლის სომხური კი „ლიგატურაა“: მასში მესხური და სონური შედის, და რაც უფრო საყურადღებოა, იგი უკვე ენად იხსენიება და არა კილოდ, როგორც ის 1913 წელს იყო. არაფერია ნათქვამი მისი სვანურობის შესახებ.

ამრიგად: 1913 წელს „სომხურის“ განმარტება ხდება სვანურის საშუალებით, 1915 წლის ვერსია მხოლოდ სვანურობაზე ლაპარაკობს („V-VI ს. ქრ. შემდეგ „სომხეთში“ სვანები ცხოვრობდნ...“); ალბათ „სვანურ ენაზე“ ითარგმნაო. 1917 წელს კი სომხურ ენაზე თარგმნაა მოთხრობილი, სვანურობის არაფერი ისმის.

სინამდვილის ასე გაგება აკად. ნ. მარრის მხრივ ბუნებრივია: „სომხური“ ხომ სონურისა და მესხურის (უკეთ ვთქვათ: სონთა და მესხთა) შერევის შედეგია: სონები – მეგრულ-ჭანური ტომია; მისი შერევით მიღებულ „ლიგატურაში“ სვანიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ მეორე კომპონენტი – მესხი დახასიათდება ასეთი რითიმე, თუ იგი თან ატარებს მას. ასე რომ სომხურის შედგენილობის ახალი გაგება a priori გამორიცხავს სვანურობაზე ლაპარაკის შესაძლებლობას. მართალია, იმავე სონთა და მესხთა შერევამ მოგვცა სვანები, მაგრამ სვანთა გენეზისის ასეთი გაგებით უკვე ითქვა ის, რომ სვანური სხვის გასარკვევად აღარ გამოდგება; თვით მისი გარკვევა სხვა ცნების ნიადაგზე უნდა მოხდეს: ეს ცნებაა მესხი, კომპონენტი როგორც სვანის, ისე „სომეხის“.

ასე რომ: 1917 წლის ვერსია ახალი ფაზაა აკად. ნ. მარრის შეხედულებაში: 1913-სა და 1915 წელს სვანური იყო მიჩნეული იმ გარკვეულ ოდენობად (a), რომელსაც გასაგები უნდა გაეხადა გაურკვეველი იქსი (x) – „სომხური“, 1917 წელს სვანური თვით არის გასარკვევი იქსი (x), ხოლო მის ამოსაცნობად აკად. ნ. მარრს წამოშვებულ იქსს მე-

სხური: ამის საშუალებით უნდა გაიშალოს როგორც სვანური: იქსი (x), ისე „სომხური“ იგრეკი (y). მამასადაძმე, მომავალში მოსალოდნელი იყო, რომ ლაპარაკი იქნებოდა „სომხურობაზე“ და მით „მესხურობის“ შესახებ<sup>1</sup>. ამიტომ სრულიად გაუგებარია, როდესაც დ-რ რ. ბლეიკის ცნობასთან დაკავშირებით აკად. ნ. მარრი ამბობს: ...თუ კი ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ტექსტი იყო ნახევრად სვანურ თქმაზე შედგენილი, რა ენაზე უნდა ყოფილიყო იგი დანერგილი V-VI საუკუნეში?<sup>2</sup> (იხ. ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებულ გამოკვლევაში: ტფ. უნ. მოამბე ტ. II, გვ. 361).

ამით აკად. ნ. მარრი უბრუნდება შეხედულების იმ ფაზას, როცა „სომხური“ სვანურის ნიადაგზე იყო ახსნილი; მაგრამ ამით უარყოფს მეორე უფრო ახლობელ საფეხურს, სადაც თვით სვანური მესხურამდე იყო დაყვანილი. საეჭვოა, რომ თეორიის ასეთი დაუდევრობა მის მეცნიერულ ღირებულებას რასმე ჰმატებდეს...

თავი რომ დავანებოთ აკად. ნ. მარრის შეხედულების ამ სხვადასხვაობას, ტერმინოლოგიურ ბუნდოვანობას და შინაგან წინააღმდეგობას, მთავარი აზრი შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: საღვთო წერილის თარგმნა არ მომხდარა პირდაპირ იმ ენაზე, რომლის ორგანული განვითარება IX-X საუკუნის ძველი ქართულია: იყო რაღაც კილო (თუ ენა?), შემდეგში გაქართველებული, რომლის მწერლობით იყო გაშუამავლებული უცხოდან თარგმნა. აკად. ნ. მარრის შეხედულებათა ოდისეაში ეს **აზრი** არ იცვლება. რომელი იყო ეს კილო? ამაზე პასუხის გაცემით კი იწყება აზრთა კალეიდოსკოპური ცვალებადობა: ეს ხან „სომხური“ კილოა სვანური ენისა, ხან თვით სვანურია, ხან კიდევ სომხური ენა, მესხურისა და სონურის შერევით წარმომდგარი...

სანამ პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ერთის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია: ხანმეტობასთან დაკავშირებით როცა სვა-

<sup>1</sup> ჩვენ გვერდს უვლით აქ საკითხს, თუ რამდენად გარკვეული ოდენობა თვით ეს მესხური. ვერ შევჩერდებით აქ იმაზეც, თუ რამდენი, იაფეტიდოლოგიისათვის დამახასიათებელი პრინციპული თვისება აშკარავდება ამ კერძო საკითხის ბედში.

<sup>2</sup> მესხსა და სომეხს აკად. ნ. მარრი უბრუნდება სხვათა შორის ერთ-ერთ თავის გამოკვლევაში: *Астрономические и этнические значения двух племенных названий армян (Записки Восточного Отделения, т. XXV)*. აქ სომხური ენის ანალიზთან დაკავშირებით მესხიცა და სომეხიც ფრიად განსხვავებული გაგებით არის წარმოდგენილი... «Термин someq... сваномех, не что иное, как сибилантиная разновидность hay-hayk-a хай (o) хайка, будучи гибридным – в составе so-son) эквивалента термина hay (< haup) и meq... эквивалента термина hayk» (გვ. 242) და კიდევ: «Есть еще название армян – грузинское: someq, также этнический термин, до сугубый по составу. Каждое независимое название по природе принадлежит одному из племен входивших в племенной состав армянского народа» (ibid. გვ. 240). ასე რომ: წინანდელი მეგრულ-ჭანური ტომი „სონი“ აქ შეუთანაბრეს hay-ს, „მესხი“ – hayk-ს, უკანასკნელთა შესახებ ვტყობილობთ, რომ „იგინი დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ერს წარმოადგენდენ, არა ნაკლებს, ვინემ რასები ანუ ურარტუ. ... რომ ეს ერი იყო თავისთავადი: წარმოშობით იყვნენ იაფეტიდები და ქართველებს ენათესავენოდენ იმდენად, რამდენად უკანასკნელნიც იაფეტიდებს წარმოადგენენ... მესხების ქართველიზაცია მოხდა საშუალო საუკუნეებში (ibid. გვ. 239). ერთადერთი დასკვნა, რომლის გამოტანა მიუდგომელ მკითხველს შეუძლია, არის ის, რომ ახალი გაგებით თეორია მეტს როლს აკუთვნებს ამ მესხს. სხვაფრივ კი ეს მესხი რჩება მეტაფიზიკურ რაობად, სუბსტანციად, რომლის არც ერთი ატრიბუტი ჩვენ არ უწყით, გარდა იმისა, რომ ის იყო დიდმნიშვნელოვანი იაფეტიური ტომი თუ ერი, ე. ი. პოზიტიურად რომ „ვთარგმნოთ“: ეს სუბსტანცია არის ნაწილობრივი გამოვლენა იმ მეორე უფრო ზოგადი სუბსტანციისა, რომლის ატრიბუტები კიდევ უფრო ძნელი გასათვალისწინებელია... და ეგრე ad infinitum.

ჩვენთვის აქ განსაკუთრებით ის არის საინტერესო, რომ ქართული სამწერლობო ენის გაჩენის შესახებ ახალ გაგებასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

ნიშნებზეა ლაპარაკი, პრეფიქსებში მსგავსების გარდა, განსხვავებაც არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი: ხანმეტ ტექსტებში, ისევე როგორც სვანურში, ხანი არის ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა; პირველი პირის ობიექტიც ორსავე შემთხვევაში მანით აღინიშნება, მეორე პირისა კი ხანმეტში, ისე, როგორც ძველსა და ახალს ქართულში, განია, სვანურში კი ჯინი: **გადმოლების** თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა...

პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის საკუთარ გაგებას უპირდაპირებს აკად. ნ. მარრის შეხედულებას; მისი აზრი მარტივი და მკაფიოა: ხანი დიალექტიზმი კი არ არის არამედ ზოგადი ქართული მოვლენა: იგი ახასიათებდა საერთოდ ქართულს მისი კილოკავებითურთ<sup>1</sup>; ხანმეტ ძეგლებში მოცემულია უძველესი ფორმაცია იმ ენის, რომელსაც ჩვენ დღემდე ძველი ქართულის სახელით ვიცნობდით. არც მორფოლოგიურად (პრეფიქსების გამოკლებით), არც სინტაქსურად დღემდის ცნობილი ძველი ქართულისაგან ეს ხანმეტი ძეგლების ენა არ განირჩევა; ცხადია, პრეფიქსების მხრივ განსხვავება ენის ფონეტიკურ ცვალებადობას მიეწერება; ევოლიუციის პროცესში ხან პრეფიქსი ჰაედ იქცა, ჰაედ დიფერენციაცია კი IX-X საუკუნის ძეგლებში გვაქვს მოცემული: **ჯერ ხანი, მერე ჰაე, მერე ამის დიფერენციაცია; განვითარება გარდატეხის გარეშე**: – აი პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულების დედა-აზრი. (იხ. მისი წერილი უნივერ. მოამბე, ტ. II, გვ. 360-367)...

უდიდესი არგუმენტი პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრის სასარგებლოდ ის არის, რომ პრეფიქსებს გარდა, სხვა მხრივ ხანმეტ ტექსტებს მართლაც არავითარი **თვალსაჩინო** განსხვავება არ ახასიათებს IX-X საუკუნის ძეგლებთან შედარებით, – უდიდესი არგუმენტი მის **წინააღმდეგ** კი ის არის, რომ სრულებით გაუგებარია: როგორ მოხდა, რომ ფონეტიკურმა ცვალებადობამ თავი იჩინა მხოლოდ გარკვეულს გრამატიკულს კატეგორიაში – პრეფიქსებში, და არ შეეხო სხვა ელემენტებს?! ფონეტიკური ცვალებადობის ძირითადი თვისება სწორედ ის არის, რომ მისთვის არ არსებობს ფუძე, ძირი, ფორმანტი, ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია, არამედ მხოლოდ ბგერა: თუ ცვლილების პროცესი დაიწყო, იგი უკან არ დაიხევს ამა თუ იმ კატეგორიის წინ და ყველგან იჩენს თავს<sup>2</sup>.

და კიდევ: როგორ მოხდა რომ ხანი პრეფიქსებში ყველგან გადაგვარდა ჰაედ, ხოლო ორს შემთხვევაში: „ხარ“ და „ხუალ“ ზმნაში „გაქვავდა“ და დღემდის მოაწია?!

ამას გარდა: ცნებისათვის „საერთო ქართული“, საფიქრებელია, რომ მასში პრ. ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს „პრაქართულს“, ე. ი. იმ ზოგად ენობრივ სხეულს, რომლის დიფერენციაციაა გადაშლილი ჩვენს წინ ქართული ცოცხალი კილოების, მეგრულისა და სვანურის სახით.

სვანურში გვაქვს ხან პრეფიქსი, ხევესურულშიაც იჩენს იგი თავს საგანგებო პირობებში. გვაქვს თუ არა უფლება აქიდან დავასკვნათ, რომ ხან პრეფიქსი „პრაქარ-

<sup>1</sup> სხვათა შორის, პროფ. ივ. ჯავახიშვილი სვანურს კილოკავად იხსენიებს (იხ. მისი წერილი, ტ. ვ. უნივერ. მოამბე, ტ. II, გვ. 360). მაგრამ არა თუ კილოკავად, არამედ კილოთაც მისი აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, თუ მის კორელატად ავიღებდით „ზოგად ქართულს“ მასში მეგრულ-ჭანურის ჩარიცხვით, ხოლო მისი მოთავსება თანამედროვე ცოცხალ კილოებთან (მაგალ. ხევესურულთან, ინგილოურთან, ფერეიდნულთან...) ერთ სიბრტყეზე ენათმეცნიერების თვალსაზრისით სრულებით დაუშვებელი რამ არის.

<sup>2</sup> ეს გარემოება აღნიშნა კიდევ პრ. ა. შანიძემ თავის წერილში „ჰაემეტი ტექსტები და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ ტ. ფ. უნივერ. მოამბე, ტ. III, გვ. 354. – გარეკახურსა და ქიზიყურში მაგალ., ჩვენ გვაქვს ამჟამად სანის დასუსტება მთელს ენობრივ ფრონტზე.

თული“ მოვლენაა? პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დადებითად უპასუხებს ამ საკითხზე: ფაქტი ხანმეტი ტექსტების არსებობისა სწვევს მისთვის ამ საკითხს (იხ. ხსენებ. წერილი, გვ. 363, 364).

მაგრამ შეიძლება ხანმეტობის ხანზე დამყარება? იგი ხომ პრობლემაა და არა ფაქტი, **რამდენადაც მისი გენეზისის საკითხი ისმება!** სამსჯავროს წინაშე დგას იგი; და განაჩენის გამოტანისას ბრალდებული თვით ხომ ვერ მისცემს ხმას? მას შეუძლია მხოლოდ ჩვენება მისცეს, და ეს ჩვენება როდია სავსებით გარკვეული: თუ მივიჩნევთ ხან პრეფიქსს ზოგად ქართულ მოვლენად, დავუშვებთ, რომ ამ ზოგად სამემკვიდრეო ქონებას წარმოადგენს იგი უძველესს სამწერლობო ქართულში, – ხანმეტში, ჩვენ წინ აღიმართება ის ორი საკითხი, რომელზედაც ზემოდ არის ლაპარაკი; მათ აუხსნელად ხანმეტობიდან ჰაემეტობაში გადასავალი გზა დახშულია. ხანმეტის ჩვენების ის ინტერპრეტაცია, რომელსაც პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი იძლევა, ამრიგად ჩიხით თავდება.

ხანმეტობის ჩვენების გარეშე კი საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ცოცხალ ენობრივ მოვლენებს ღია უნდა დავემყაროთ: გვრჩება ქართული ცოცხალი კილოები, მეგრული, სვანური. და თუ სვანურის ხანი და ხევსურულის სეკუნდარი, განსაკუთრებულს პირობებში ფონეტიკური გზით მიღებული ხანი ჰზადებენ ფსიქოლოგიურ დისპოზიციას, ხან-პრეფიქსი პრაქტულად („ზოგად ქართულ მოვლენად“) დავსახოთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი ის ფაქტი, რომ ხანი არ არის სხვა არც ერთს აღმოსავლურსა თუ დასავლურს ქართულს ცოცხალს კილოებში და მით უმეტეს მეგრულში.

ამრიგად ხანის „ზოგად ქართულ მოვლენად“ გამოცხადება დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება

სხვანაირად უყურებს საქმეს პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე . მისი აზრით „განსხვავება ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებს შორის იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენად დიალექტური. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს, ხანმეტი ტექსტი ერთ კილოზეა დანერგილი და ჰაემეტი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ სწვევს საკითხს იმის შესახებ, თითქოს ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე“<sup>1</sup>.

ჰაემეტ ძეგლებში ჩვენ გვაქვს **ხარ** და არა „ჰარ“: ხანმეტი ფორმა და არა ჰაემეტი; ეს მონიშნავს, ჩვენის აზრით, რომ **ლიტერატურულად** არა მარტო აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით, არამედ საერთოდ, ხანმეტი უსწრებს ჰაემეტს, იგი უფრო ხნიერია ჰაემეტზე, ვინაიდან ძნელი დასაშვებია, რომ ჰაემეტ კილოს ხანმეტისაგან **მწერლობის გარეშე** ესესხა ეს ფორმა.

ამას გარდა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს შეხედულებას, საერთოდ მრავალმხრივ მკვიდრ ნიადაგზე მდგომს, მძიმე ტვირთად აწევს მოვალეობა ახსნას: ერთი კილოს (ხანმეტის) ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობა, როცა მეორე კილოს (ჰაემეტის) ნიადაგში შობილმა შესცვალა, რათ არ იჩინა თავი განსხვავებამ პრეფიქსებს გარდა სხვა ელემენტებისა.

<sup>1</sup> იხ. პროფ. ა. შანიძის ზემოხსენებული წერილი: ტ ფ . უ ნ ი ვ . მ ო ა მ ბ ე , ტ. III, გვ. 361.

მენტებში: მაგალითად, სუფიქსებში (როგორც ზმნის, ისე სახელის), სინტაქსში, და სხვ. ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ამ პრეფიქსების მხრივ არსებობდა მათ შორის განსხვავება?!

აკად. ნ. მარრის, პროფ. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. აკ. შანიძის შეხედულებათ ზოგადად რომ გადავავლოთ თვალი, ერთი გარემოება მიიქცევს ყურადღებას: როგორც აკად. ნ. მარრი, ისე პრ. ა. შანიძე მიუხედავად მრავალმხრივი განსხვავებისა ქართული სამწერლობო ენის წარმოშობის საკითხში „დიალექტურ“ თეორიას იცავენ (თუ შეიძლება ასე ითქვას): აკად. ნ. მარრი დედუქტიურად, ზოგადი მოსაზრებებით, ლექსიკური მასალის ანალიზით მიდის ამ აზრამდე და, მიუხედავად იმისა, რომ მრავალს ერთმანეთის საწინააღმდეგო კონკრეტულ შინაარსს სდებს საკითხის გადწყვეტისას, ზოგად ფორმულას მაინც უცვლელად სტოვებს; მისი დასაყრდენი თითქმის მხოლოდ ლექსიკა იყო ხანმეტ ძეგლების აღმოჩენამდე<sup>1</sup>.

პროფ. ა. შანიძე კი სადისერტაციო გამოკვლევის („პრეფიქსები ქართულს ზმნებში“) გამოქვეყნებიდან (და უფრო ადრეც) მოყოლებული ნაშთების ანალიზით მიემართება იმ შეხედულებისაკენ, რომელიც მან ჩამოაყალიბა ჰაემეტი ძეგლის გამოცემის განმარტებაში; ესეც დიალექტური თეორიაა, მიღებული ინდუქტიური გზით, მორფოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით.

განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ თუმცა სხვადასხვა დროს, მაგრამ უსათუოდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი „დიალექტური თეორიის ამ წარმომადგენლებს ლეონტი მროველის ცნობა აგონდებათ, – რომ „უწინ ქართლოსიანთა ენა იყო სომხური და შემდეგ შეიქმნა ქართულიო“, და, თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ორივე მკვლევარი ამ ცნობის გააზრიანებას ცდილობს.

პრ. ა. შანიძე წერს: „...შეიძლება აიხსნას ის უცნაური ანაქრონისტული ადგილი ლეონტი მროველის ისტორიულს ნარკვევში, სადაც ვკითხულობთ: „აქამდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლს შინა, მაშინ ქართულთა დაუტევეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული“ (მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება გვ. 12-13). ეგების ამ სიტყვებით ყრუდ იყოს გადმოცემული ისტორიული ფაქტი, რომ პირველად ქართული სამწერლობო ენა გაჩნდა სომხითის (ხანმეტ) კილოზე, ხოლო შემდეგ ეს კილო მიტოვებულ იქმნა და მის ნაცვლად ქართლის (ჰაემეტი) კილოზე განაგრძო ლიტერატურული განვითარება“ (იხ. ზემოხსენ. წერილი, უნივერს. მოამბე, ტ. III, გვ. 361).

აკად. ნ. მარი კი წერს: „მეხუთე საუკუნის სომეხთა მეტყველება რომ მიგვეჩნია მთლიანად სვანურის კილოდ, ...მაშინ ძალაუნებურად მოგვაგონდებოდა ქართულ მათიანეთა ცნობილი ჩვენება, რომელსაც უარყოფენ როგორც შეუსაბამო მტკიცებას. სწორედ ქარ-

<sup>1</sup> „ხანმეტ ძეგლების აღმოჩენამდე“ იმიტომ ვამბობთ, რომ „მესხურის“ გაგება იაფეტური თეორიის „განვითარებასთან“ (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ევოლუციასთან) დაკავშირებით იძლევა ახალ შესაძლებლობას ძველი ფორმულების ახალი შინაარსით ასავსებად. იხ. შენიშვნა 2, გვ. 77 და, თუმცა დ-რ რ. ბლეიკის წერილთან დაკავშირებით აკად. ნ. მარრის მიერ გამოთქმულ აზრს „არქაული“ მოტივები ეტყობა, მაინც შიში გვებადება – ვაი თუ ახალი თეორიული ექსტაზის კულმინაციამ შეუსაბამოდ ჩათვალოს ეს ძველი გაგება: ნარსულის უარყოფა იაფეტიდოლოგიაში განვითარებად იწოდება.

თულ მატთან ერთ-ერთ ვერსიაში ამტკიცებენ, რომ ქართველები ლაპარაკობდნ სომხურად (по сомехски), შემდეგ კი ამეტყველდნ ქართულად. მეცნიერული კვლევა-ძიების აღნიშნულ მსვლელობასთან დაკავშირებით ეს ნიშნავდეს იქნება (это значило бы), რომ თავდაპირველად ქართველების საეკლესიო-სამწერლობო ენად ქართველთათვის იყო სომხური, ე. ი. „სომეხის“ (sic) სვანური ენა; გარკვეული მომენტიდან დაწყებული მათ ეკლესიის სალიტერატურო ენად აქციეს თვისი მშობლიური ქართული ენა.<sup>1</sup>

„**დიალექტურ**“ თეორიას უპირისპირდება პროფ. ივ. ჯავახიშვილის „უნიტარი“, თუ შეიძლება ითქვას, – თეორია.

ამჟამად ძნელია გადაჭრით თქმა, რომელი მათგანი უკეთ ხსნის არსებულ სინამდვილეს; ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლები სამწერლობო მხოლოდ განსაზღვრული ოდენობისა არის ჯერჯერობით აღმოჩენილი. მაინც შეიძლება ერთი რისამე აღნიშვნა: ხანმეტობის გენეზისის ახსნას დიალექტური თეორიის ნიადაგზე უფრო ნაკლები დაბრკოლებები ელობება; ხანმეტი სამწერლობო ქართულის შემდეგი ევოლუცია კი უნიტარი თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს; სხვანაირად რომ ვთქვათ: დიალექტური თეორია (უმთავრესად, პროფ. ა. შანიძის აზრი გვაქვს მხედველობაში) ძლიერია, რამდენადაც იგი ხანს დიალექტური წარმოშობისად მიიჩნევს, ხანის „გაჩენას“ დიალექტს მიაკუთვნებს, მაგრამ სუსტი, რამდენად მის „დაკარგვას“ აგრეთვე დიალექტურ ნიადაგზე ხსნის: ჰაემეტზე გადასვლა იგი იძულებული ხდება გარდატეხით ახსნას, რომელიც სამწერლობო ენამ განიცადა. ეს გარდატეხა კი ენას არ ეტყობა. გარდატეხის უარყოფიდან გამოდის „უნიტარი“ თეორია; დღემდე არსებული ფაქტები უსათუოდ ლაპარაკობენ პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრის სასარგებლოდ; მაგრამ როდესაც ამ ფაქტიდან მკვლევარი დასკვნას აკეთებს, არც ოდესმე გვქონია დიალექტიზმთან საქმეო, ძნელი დასაძლევია ხდება დაბრკოლებათა რიგი.

დიალექტური წიალიდან სამწერლო ენაში დამკვიდრებული ხანი (ალბათ მაშინ, როცა ეს დიალექტი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა სამწერლობო ენის შექმნაში) – სამწერლობო ენიდან **ჩამოშორებულ** იქნა ისე, რომ თვით ეს ენა არ შეცვლილა; ასეთია ის შთაბეჭდილება, რომელიც იბადება ზოგიერთ გარემოებათა გათვალისწინებით. ამით ნავარაუდევია შემდეგი ხანებისათვის უცხო მორფოლოგიური ელემენტის ჩამოცილება, ე. ი. რეფორმის გატარება ამ პრეფიქსის მიმართ, რადგანაც იგი მეტად ეუცხოვებოდა შემდეგს ხანებში გაბატონებულ კილოთა თვისებას. მაგრამ ასეთი შემარიგებელი გაგება იძულებულია მთელ რიგს კითხვებზე გასცეს პასუხი: მართლა რეფორმა, ე. ი. შეგნებული ჩარევა მოხდა თუ არა? ან შეიძლება ეს არ მოხდარა? ხანს ჰქონდა თუ არა ხანმეტში თავისი სრული ფონეტიკური ღირებულება ან შე-

<sup>1</sup> იხ. მისი: „Из поездок в Сванию“ Христианский Восток, ტ. II, ნაკ. I. გვ. 24. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აკად. ნ. მარი ერთ შედარებით უფრო ახალ თვის ნაშრომში ქართული მემატანის ზემოხსენებულ აზრს სხვანაირად აფასებს: მემატანემ არ იცოდა ის რთული პროცესი ტომთა მეტისაციისა და გადასხვაფერებისა, რომელმაც სომეხ-სახელწოდების წარმოშობა განსაზღვრა და ამ ნიადაგზე წარმოიშვა ის თქმულება, რომ პირველად ქართველები „სომხურად“ ლაპარაკობდნ და შემდეგ იწყეს ქართულად ლაპარაკიო (იხ. მისი: Астрономическая и этническая значения двух племенных названий армян, Записки Восточного Отделения. т. XXV, გვ. 243).

მესხ-სახელწოდების ახალმა გაგებამ აკად. ნ. მარსს ახალი თვალსაზრისი გამოუმუშავა „სომეხზე“: ამან კი გამოიწვია მემატანის ცნობის დაფასება, როგორც გაუგებრობაზე აღმოცენებულის.



ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები

---

იძლება იგი განსხვავებული სახისა იყო? და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რატომ შეგვრჩა ჩვენ „ხარ“ და „ხუალ“ („ხვალ“) ზმნებში ხანი დღევანდლამდე **არა მართო სამწერლობო ქართულში, არამედ ყველა ქართულ ცოცხალ კილოებში**, რაიც განსაკუთრებით აძნელებს მის ახსნას, რანაირი თვალსაზრისითაც არ უნდა მიუდგეთ საკითხს...

არა ერთი კერძო საკითხი, რომელიც აღმოჩენილი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტის განხილვისას იბადება, აღუნიშვნელად რჩება აქ. იგინი საგანგებო განხილვას მოითხოვენ.

მაგრამ ის ორიოდე საკითხიც, რომელიც იმ თავითვე დაისვა, არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს; არც ერთს დღემდე წამოყენებულ თეორიას არ ძალუძს იგი დამაკმაყოფილებლად ახსნას. მასზე სწორი პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხები, ის მაინც ფაქტია, რომ ხანმეტისა და ჰაემეტი ძეგლების აღმოჩენა ქართველთ-მეტყველებისათვის ეპოქის შემქმნელია.

*1924 წ. 16 ოქტომბერს.*

*ტფილისს.*

*[ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“,  
3-4, 1925, გვ. 65-84. გვ. 79-95]*

გიორგი როგავა

### ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის

ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ხელნაწერების, ე. წ. ხანმეტური და ჰაემეტური ძეგლების აღმოჩენას. ეს ძეგლები გამოსცეს და სათანადო გამოკვლევა მიუძღვნეს მათს ენას ივ. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ<sup>1</sup>. ამ ძეგლების ენას ეხებოდნენ სხვა ავტორებიც.

ამჟამად ცნობილი ხანმეტი ძეგლები V, VI, VII საუკუნეების ძეგლებად არის მიჩნეული, ჰაემეტი ძეგლს კი მომდევნო საუკუნეებისად თვლიან.

როგორც დადგინდა, ამ ძეგლების ენაში **ხ-** || **ჰ-**პრეფიქსები როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან გამოხატავს, ერთი მხრით, მეორე სუბიექტურ პირს (შენ **ხუნცი** იგი, შენ **ალხილე** იგი, შენ **ხტირ** || შენ **ჰუნცი** იგი, შენ **ჰტირი**, შენ **ალჰილე** იგი), მეორე მხრით, – მესამე ირიბი ობიექტის პირს (მან **ხრქუა** მას იგი, იგინი მიხეახლნეს მას || მან **ჰრქუა** მას იგი, იგინი მიჰეახლნეს მას). ამავე დროს **ხ-** || **ჰ-**პრეფიქსი, როგორც ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი, გამოყენებულია ძველ ქართულში ზედსართავის შედარებით-აღმატებით ფორმებთან: **ხუდიდჴს** || **ჰუდიდჴს**, **ხუფროჴს** || **ჰუფროჴს**.

ცნობილია აგრეთვე, რომ მომდევნო საუკუნის ძეგლების ენაში ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ დასახელებული პრეფიქსები არ ჩანს არც ერთი ფუნქციით, ხოლო თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ წინაენისმიერ ხშულთან **ჰ-**ს ნაცვლად იხმარება **ს-**: მან მისცა მას იგი, მან სთხოვა მას იგი, შენ **სტირ** და სხვ., ხოლო დანარჩენ თანხმოვნებთან რჩება **ჰ-**პრეფიქსი: მან **ჰრქუა** მას იგი, მან **ჰკითხა** მას იგი, მან შე-**ჰმოსა** მას იგი, შენ მოჰკუედ და სხვ. **ს-**პრეფიქსი ფუძისეულ თანხმოვნებთან ასიმილაციით გადასულა **ზ-, შ-, ჟ-** ბგერებში<sup>2</sup>.

**ხ-** და **ჰ-** პირის აფიქსების ურთიერთმიმართების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა რიგი მოსაზრება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, **ხ-**პრეფიქსი ქართულის საერთო კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგში **ჰ-**დ ჩანს შეცვლილი. **ხ-** ბგერის **ჰ-**დ შეცვლა მას მიჩნეული აქვს ქართული ენის ფონეტიკის ბუნებრივი განვითარების შედეგად<sup>3</sup>.

საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხის შესახებ ა. შანიძეს. მისი აზრით, დასახელებული აფიქსების ძირითად სახედ უნდა მივიჩნიოთ **ჰ-**, რომელიც რიგ დიალექტებში აქამდისაც შემონახულა, ხოლო **ხ-**, ისე როგორც **ლ-, ს-, ზ-, შ-, ჟ-**, ამ ძირითადი სახის ფონეტიკურ შენაცვლებას უნდა წარმოადგენდეს. ა. შა-

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, 1922-23. ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი; მისივე: პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომები, გვ. 365.

ნიძე, სრულიად სამართლიანად, არ თვლის შესაძლებლად, რომ **ხ** პრეფიქსი შეიძლება იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე გადასულიყო **ჰ**-ში, რამდენადაც ქართულ ენას საერთოდ არ ახასიათებს **ხ**-ს დასუსტება და **ჰ**-თი შეცვლა. „როგორ უნდა ავხსნათ, – წერს ა. შანიძე, – რომ ხანის ჰაედ შეცვლა მხოლოდ პრეფიქსებში მოხდა, ხოლო სხვაგან კი არა? რატომ გვაქვს ჩვენ დღეს ხარება, ხატი, ახალი, ხედვა, სახელი ხილვა, ხოლო, ხუთი, და სხვა მრავალი, და არა (ჰ)ოლო, (ჰ)ატი, ა(ჰ)ალი, (ჰ)დვა, სა(ჰ)ელი, (ჰ)ოლო, (ჰ)უთი და მისთ“.<sup>1</sup>

ხანმეტსა და ჰაემეტი ტექსტებს შორის დამოკიდებულება ა. შანიძეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქებს კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს, ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი – მეორეზე.<sup>2</sup>

ხანმეტი და ჰაემეტი კილოების განლაგებისა და მათი საზღვრების შესახებ ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ხანმეტი კილო უნდა ყოფილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით „მცხეთა-ბოლნისის რაიონებში და მიმდგომ მხარეებში“, რამდენადაც ხანმეტი წარწერები დადასტურებული იყო მცხეთასა და ბოლნისში, ჰაემეტი კილო კი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში.<sup>3</sup>

გარკვეული მოსაზრება აქვს ა. შანიძეს გამოთქმული იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ხანმეტობის გაქრობა მერვემეცხრე საუკუნეებიდან და ჰაემეტობის დამკვიდრება. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ყოფილიყო, მისი აზრით, აღნიშნულ ხანაში არაბების შემოსევა აღმოსავლეთ საქართველოში და მასთან დაკავშირებული გადანაცვლება ქართული კულტურის ცენტრისა დასავლეთ საქართველოში.<sup>4</sup>

ა. შანიძეს დადგენილი აქვს, რომ **ხ**-პრეფიქსი და მისი ფონეტიკური სახეობა დიამვე მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად იხმარება ქართული ენის მთის კილოებში – ხევსურულში, თუშურსა და მოხევურში. ეს აფიქსი არსებითად თანხმონით დაწყებული ფუძეების წინ გვხვდება.<sup>5</sup>

ა. შანიძის აზრით, მთის კილოებში **ხ**- ამ შემთხვევაში **ჰ**-საგან არის მიღებული შედარებით უფრო გვიან. **ხ** და მისი ფონეტიკური ვარიანტი ისევე მეორეულია, როგორც **ს**- და მისი ბგერითი ნაცვალა **ზ**-, **შ**-, **ჟ**-პრეფიქსები.<sup>6</sup>

დასახელებული **ხ** | **ჰ**- აფიქსების გენეზისისა და მათი უძველესი ფონეტიკური სახის საკითხს ეხება არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, ამ აფიქსების ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო **ს**-პრეფიქსი. ეს აფიქსი ისტორიულად პირის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. იგი თავიდანვე ზმნაში გამოხატავდა გრამატიკულ კლასს, უკეთ, ნივთის

<sup>1</sup> ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 360.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 361.

<sup>3</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 361.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 362.

<sup>5</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 157-171.

<sup>6</sup> ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 360.

კლასს. პირის ნიშნად ეს პრეფიქსი შემდეგ ჩამოყალიბებულა. ქართული ზმნის პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების დროს ამ პრეფიქსს ორი ფუნქცია დაჰკისრება: მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების გამოხატვა. ამოსავალი **ს** ბგერისაგან შეიძლება მიგველო, ერთი მხრით, **ჰ**, ისე როგორც ეს დასტურდება აჭარულ კილოში (ჰად = სად), ხოლო მეორე მხრით **ხ** ბგერაც: **ს** → **ჰ** || **ხ**<sup>1</sup>.

ასეთი ახსნის შედეგად სრულებით გარკვეული ხდება ის მეტად უცნაური მოვლენა, რომ ძველ ქართულში ერთი და იმავე (**ხ-** || **ჰ-**) ფორმანტით იყო წარმოდგენილი ზმნაში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირები.

**ხ-**პრეფიქსი ძირითადად იმავე ფუნქციით, რაც მას ძველ ქართულში ჰქონდა, როგორც ცნობილია, შემონახული აქვს სვანურ ენას ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ: ხამარე „შენ ამზადებ მას“, ხამარჲნე „იგი მას ამზადებინებს მას“ და სხვა... თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ **ხ-**პრეფიქსი, როგორც წესი, არა ჩანს. ა. შანიძეს, სრულიად სამართლიანად, **ხ-**ს ამოსავალ სახეობად სვანურისთვისაც მიაჩნია **ჰ-**. ეს პრეფიქსი ამჟამად არ იხმარება სვანურ ზმნებში. დასახელებულ ავტორს დადასტურებული აქვს აქ მისი ოდესღაც არსებობის კვალი: **ად-** პრეფიქსიან ზმნის ფორმებში, სადაც ირიბი ობიექტი ივარაუდება, პრეფიქსისეული **დ** ყრუვდება პირის **ჰ** პრეფიქსთან შერწყმის შედეგად: ათ-მერ ← \***ად-ჰ-**მერ „შენ დააბერე ის“, შდრ. **ად-**მერე „მან დააბერა ის“; ათ-ბიშე ← **ად-ჰ-**ბიშე „მიანოდე“.<sup>2</sup>

ამგვარად, როგორც გარკვეულია, ქართველურ ენებში მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების **ჰ-** || **ხ-**პრეფიქსების ხმარების მიხედვით ამჟამად შემდეგი სურათი ჩანს: **ხ-**პრეფიქსი სალიტერატურო ქართულში გადავარდნილია მერვე საუკუნიდან დაწყებული (გამონაკლისია სამი ზმნა). მთის კილოებში გვხვდება **ხ-**პრეფიქსი, **ჰ-**საგან მიღებული (ა. შანიძე), ისიც არსებითად თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ; **ჰ-**პრეფიქსი შემონახულია ქართულის აღმოსავლურ კილოებში. დასავლურ კილოებში **ჰ-**ს არსებობის კვალი-ლა ჩანს<sup>3</sup>. ზანური ენის დიალექტებში არ დასტურდება არც **ჰ-**სა და არც **ხ-**ს ოდესღაც არსებობის კვალიც. ვარაუდობენ, რომ ზანურისათვის ოდესღაც **ჰ-**პრეფიქსი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (ა. შანიძე).

სვანურში შემონახულია **ხ-**პრეფიქსი მხოლოდ ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ. **ჰ-**პრეფიქსის არსებობის კვალი კი ჩანს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ **ხ-**სა და **ჰ-**ს ისტორიული ურთიერთობის საკითხს. არ უნდა იყოს სადავო ა. შანიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **ხ-** ბგერას, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აფიქსს, არ შეეძლო გადასვლა **ჰ-**ში, პირიქით, შესაძლებელი იყო **ჰ-**პრეფიქსს მოეცა **ხ-**. მართლაც, ასეთი პროცესი ჩატარებულა ქართულის მთის კილოებში: ხევსურულში, მოხვეურსა და თუშურში. დასახელებულ კილოებში **ჰ-** პირის ნიშანი რიგი თანხმოვნით დაწყებული ბგერის წინ

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, გვ. 59.

<sup>2</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, არილი, 1925, გვ. 182; ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 16.

<sup>3</sup> ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1937, XI, გვ. 123-138.

შეცვლილა **ხ**-თი. მაგრამ მთის კილოების თანამედროვე ვითარება გენეტურად არ უკავშირდება ძველ ქართულში ნავარაუდევ ხანმეტ კილოს. მთის კილოები არ ითვლება ხანმეტი კილოს შთამომავლად (ა. შანიძე). ამავე დროს საეჭვოდ გვეჩვენება ქართულის დიალექტებს შორის ე. წ. ხანმეტი დიალექტის არსებობაზე ლაპარაკი აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთისა და ბოლნისის რაიონებში, მაშინაც კი, როცა ამ ადგილებში დაწერილ ძეგლებში, ე. წ. ხანმეტ ძეგლებში, გვხვდება **ხ**-პრეფიქსი. ჩვენი აზრით, ძველ ქართულში ზმნის მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პრეფიქსების ორი სახეობა **ჰ**- და **ხ**- არ უნდა ყოფილიყო ფონემურად განსხვავებული ორი ბგერა **ჰ** და **ხ**. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აღმნიშვნელად დასახელებულ ეპოქაში (და უფრო ადრეც) ქართულ ზმნებს უნდა ჰქონოდა ერთი და იგივე ლარინგალური (თუ: ლარინგალურ-ფარინგალური) სპირანტი **ჰ**, რომელიც, ზოგან უფრო ღრმად გამოთქმული, იძლეოდა უკანაენისმიერი **ხ** სპირანტის შთაბეჭდილებას. ზოგ ძეგლში ამ აფიქსის ხანითა და ზოგში ჰაეთი აღნიშვნა არსებითად გრაფიკული ხასიათის სხვაობა უნდა ყოფილიყო, ე. ი. ერთმა ლიტერატურულმა სკოლამ ამ ლარინგალურ-ფარინგალური ბგერის გადმოსაცემად ჰაე ასო იხმარა, ხოლო მეორემ ხანი აირჩია. ეს არჩევანი, შესაძლებელია, თვით **ჰ** ბგერის დიალექტური სხვაობით იყო შეპირობებული: ზოგ დიალექტში ეს **ჰ** შეიძლება უფრო ღრმად და ინტენსიურად გამოითქმოდა, ზოგში კი – ნაკლებ ინტენსიურად.

დავუშვათ ახლა ამის სანინააღმდეგო დებულება, უკვე გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართული ენის ზოგ დიალექტში მეორე სუბიექტისა და მესამე ობიექტის პირების პრეფიქსად გამოყენებული იყო **ხ**- სპირანტი, ამ აფიქსის პირვანდელი, ამოსავალი სახეობა (ივ. ჯავახიშვილი), ანდა იგივე **ხ**- სპირანტი მეორეული, **ჰ**-საგან მიღებული (ა. შანიძე); „შენ აღხილე იგი, შენ ხიხილე იგი, იგი მიხეახლა მას, იგი ხუნდა მას“ და სხვებში ხ ისეთივე ფონემა იყო, როგორც სიტყვებში ხატავს, სახე, ახალი და სხვა. ასეთ შემთხვევაში რით უნდა ავხსნათ ამ დიალექტებში დასახელებული **ხ**-პრეფიქსის დაკარგვა თავისი ორივე ფუნქციით? ა. შანიძეს სრულებით დამაჯერებელი საბუთი მოჰყავს იმის უარსაყოფად, რომ ძველს ქართულში **ხ**-პრეფიქსისაგან არ შეიძლებოდა მიგველო **ჰ** პრეფიქსი, რამდენადაც **ხ** ბგერა სხვა შემთხვევაში (სახე, იხილა და სხვ.) **ჰ**-ში არ გადასულა. მაგრამ აუხსნელი რჩება მეორე მხარე: თუკი **ჰ** პრეფიქსი გარკვეულ დიალექტებში (ხანმეტ დიალექტებში) მართლა **ხ**-თი შეიცვალა, როგორც ამას ა. შანიძე ვარაუდობს, რატომ უნდა დაკარგულიყო ასეთი **ხ**-პრეფიქსებში, მაშინ როდესაც იგი (**ხ**) არც ერთ სხვა შემთხვევაში არ დაკარგულა. **ხ** ბგერა ქართულში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში, მეტად მყარი ბგერა ჩანს. ძნელია დაშვება შესაძლებლობისა, თითქოს ნავარაუდევია ხანმეტი დიალექტი ასე უკვალოდ გამქრალიყო, რამდენადაც ამ დიალექტის გამოყენების არე (მცხეთა, ბოლნისი, სამხრეთ საქართველო და სხვა) არც ისე მცირე და უმნიშვნელო იყო ქართული ენის გავრცელების თვალსაზრისით.

ვიმეორებთ, ქართული ენის დიალექტთა შორის საეჭვო ჩანს ხანმეტი კილოს ისტორიული არსებობა. ასეთი კილო რომ მართლაც ყოფილიყო V, VI, VII და წინა საუკუნეებში, იგი შემდგომ საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას და, შესაძლებელია,

აქამდისაც მოელნია, რამდენადაც **ხ** ბგერა ქართულში მყარი ბგერაა, დასახელებული აფიქსების დაკარგვა კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მხოლოდ ფონეტიკურ ნიადაგზე მოხდა.

ფონეტიკურად არამყარი ბგერა, მეტნაკლებად არამყარი ყველა ქართული დიალექტისათვის, იყო **ჰ** ბგერა.

ამავე წარმოშობის **ჰ** პრეფიქსი ხმოვნით დაწყებული ზმნის ფუძის წინ (და აგრეთვე ზედსართავის შედარებით-ალმატებითი ფორმის წინ), **ხ**-ში ჩანს გადასული სვანურ ენაში (ა. შანიძე). რამდენადაც **ხ** ბგერა საერთოდ მყარია ქართველურ ენებში, იგი აქამდის შემოინახა სვანურმა. ასევე, რიგი, თანხმოვნით დაწყებული ზმნის ფუძის წინ მთის კილოებში **ჰ** პრეფიქსი გადასულა **ხ**-ში და იგი აქამდის შემოინახეს კიდეც ამ კილოებმა. ამგვარად, იმ ქართველურ ენებსა და მათს დიალექტებში, სადაც ხსენებული **ჰ** პრეფიქსი მართლაც **ხ**-თი შეიცვალა, ეს უკანასკნელი ყველგან შემონახული ჩანს.

სხვა მონაცემებიც შეიძლება დავასახელოთ ამ მოსაზრების სასარგებლოდ: რომ, მართლაც, ძველ ქართულში, როგორც ვარაუდობენ, ხანმეტი კილო ყოფილიყო გამოყოფილი, მაშინ მოსალოდნელი იყო მჟღერი თანხმოვნებით დაწყებული ზმნის ფუძის წინ **ხ**-პრეფიქსი გამჟღერებულები (ე. ი. გადასულიყო **ლ**-ში), როგორც ამას ადგილი აქვს მთის კილოებში, მაგალითად, ხევსურულში – **ლდგომივ**, **დალმაღავს**; თუშურში – **ლღესავს**, მოხეურში – **ლნახე** (შენ ის) და **სხვა**<sup>1</sup>. ხანმეტ ხელნაწერში გვხვდება დახდევ (ხანმეტი ლექციონარი ი. 20,<sup>27</sup>) და არა დალდევ, **ხრქუა** (ხან. ლექც. მრ. 16,<sup>25</sup>) და არა **ლრქუა**, **ხრწმენა** (ხან. ლექც. ი. 20,<sup>8</sup>) და არა **ლრწმენა**, **შთახბერა** (ხან. ლექც. ი. 20,<sup>22</sup>) და არა **შთალბერა** და **სხვ**.

მეორე მხრით, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხანმეტი ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად არის დადასტურებული, ჩვეულებრივ წმინდა ხანმეტი არ ჩანს, რამდენადაც მათში სპორადულად მაინც გვხვდება ხანების ნაცვლად ჰაეები: ხანმეტი ლექციონარის ენის შესახებ ა. შანიძე წერს: „ხანმეტი ლექციონარი ხანმეტი ხელნაწერიაო, ვამბობთ ჩვენს ძეგლზე, მაგრამ არის კი სავსებით შესაფერისი მისთვის ეს სახელწოდება? არა და თითქოს ჰოც. არა, იმიტომ რომ ძეგლში გვხვდება ისეთი ფორმები, სადაც „მეტი“ ხანების ნაცვლად „მეტი“ ჰაეები გვაქვს“... საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ხანთან ერთად ჰაეს ხმარება შეიძლება მართო ამ ძეგლს არ ახასიათებდეს. ხანმეტი პალიმფსესტების საბოლოო ამოკითხვა ალბათ სხვაგანაც დაადასტურებს ჰაეს არსებობას. მაგრამ ახლაც შემოიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ამ მხრივ ლექციონარის ენა ყოველ შემთხვევაში განმარტოებით არ დგას, მას მხარს უჭერს ხანმეტი იერემიას ნაწყვეტების ტექსტი, სადაც 20 ფორმათაგან 17 ხანმეტია, 3 კი – ჰაემეტი“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, ხანის გვერდით ხანმეტ ხელნაწერებში ჰაეს ხმარება მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ლიტერატურული სკოლა, რომელიც ლარინგალურ-ფარინგალურ **ჰ** ბგერას ჩვეულებრივ ხანით გამოხატავდა, ხშირად ბოლომდე ვერ იცავდა ამ პრინციპს. ზოგჯერ ამავე **ჰ** ბგერას აღნიშნავდა ჰაე ასოთი. ცოცხალ მეტყველებაში

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 157-167.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 023.

რომ მართლაც ისეთი ბგერა ყოფილიყო პირის აღმნიშვნელი, როგორცაა **ხ-**, არ იქნებოდა მოსალოდნელი, ამ დიალექტის წარმომადგენელს ეს ბგერა ნაწერში გამოეხატა ჰაეთი.

ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება უკვე ცნობილი ისეთი შემთხვევები, სადაც ამჟამადაც ქართულში შემონახული ჩანს სამ ზმნაში მეორე სუბიექტური პირის **ხ**-პრეფიქსი: ხარ, ნახვალ, ნახვედ. ეს ფორმები შემონახულია არა მხოლოდ იმ დიალექტებში, სადაც ისტორიულად ნავარაუდევია ხანმეტობა, ე. ი. აღმოსავლურ კილოებში, არამედ იმ დიალექტებშიც, სადაც ხანმეტობა არაა ნავარაუდევი, ე. ი. დასავლურ კილოებში. თვით ძველი ქართულის ჰაემეტ ძეგლშიც დასახელებულ ზმნებთან იხმარება არა **ჰ**-პრეფიქსი, არამედ **ხ**-პრეფიქსი: შენ ხარა მომავალი იგი (ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები, 30r,<sup>13</sup>)<sup>1</sup>.

არ იქნებოდა მართებული გვევარაუდნა, რომ **ხ**-პრეფიქსის ხმარება ამ სამ ზმნასთან ყველა ქართულ კილოში სავარაუდო ხანმეტი კილოდან იყო შეთვისებული, ანდა ეს ფორმები სალიტერატურო ენის გავლენით იყო გავრცელებული.

როგორც ა. შანიძე ვარაუდობს, საერთო ქართულისათვის თავის დროზე დამახასიათებელი იყო **ჰ**-პრეფიქსი, ე. ი. ჰაემეტობა იყო საერთო მოვლენა ქართული კილოებისათვის. ამ საერთო ჰაემეტობის პირობებში ქართულ კილოებში დასახელებული სამი ზმნის წინ **ჰ** გადასულა უფრო მყარ ბგერაში, **ხ** სპირანტში: \*ჰარ → ხარ. \*ნარ-**ჰ**-ვალ → ნარ-**ხ**-უალ, \*ნარ-**ჰ**-ვედ → ნარ-**ხ**-უედ. ამ ზმნებთან **ჰ**-ს გადასვლას **ხ**-ში შეიძლება მორფოლოგიურმა მომენტმაც შეუწყო ხელი, რამდენადაც სამივე დასახელებული ზმნა დეფექტურია. ვალ და ვედ ზმნებთან ისიცაა შესაძლებელი, რომ თხრობით კილოში პირველი პირის ფორმისაგან გასარჩევად მე ნარვალ, მე ნარვედ მეორე პირის ფორმაში წარმოდგენილი ყოფილიყო ხაზგასმით მეორე პირის პრეფიქსი **ჰ** – შენ \*ნარჰვალ, შენ \*ნარჰვედ. რომელიც თავის დროზე ყველა კილოში გადასულა **ხ**-ში – შენ ნარხუალ, შენ ნარხუედ (არაა გამორიცხული ამ შემთხვევაში ფონეტიკური შესაძლებლობა **ვ**-ს მეზობლობაში **ჰ**-ს გადასვლისა **ხ**-ში).

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია გაქვავებული **ხ**-პრეფიქსიანი სახელები: ხუცესი, შდრ. სვან. ხოშა, მეგრ. უჩაში „უფროსი“<sup>2</sup>, ხერთვისი, ნარმარები ზმნისაგან ერთვის იგი მას<sup>3</sup>, საკუთარი სახელი ხახარე (შდრ. ზმნის ფორმა ახარე შენ მას)<sup>4</sup>.

არ გვეჩვენება დამაჯერებლად, თითქოს ნააფიქსარი **ხ**- ამ შემთხვევებში ნავარაუდევი ხანმეტი კილოს გადმონაშთი იყოს. **ხ**- ამ მაგალითებში საერთო ქართულის **ჰ**-პრეფიქსისაგან უნდა იყოს მიღებული. **ჰ**-პრეფიქსი ამ სიტყვებთან გაქვავების შედეგად იქცა უფრო მყარ **ხ** სპირანტად. საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით ის

<sup>1</sup> ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 366.

<sup>2</sup> ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 388.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 272.

<sup>4</sup> ს. ჯანაშია, კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში, წელიწდეული, 1923-1924, გვ. 117.

ფაქტი, რომ საქართველოში გაქვავებული **ხ**-პრეფიქსიანი ხ ე რ თ ვ ი ს ი სიტყვა გეოგრაფიული ადგილის მნიშვნელობით გვხვდება არა მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ხანმეტი კილოა ნავარაუდევია, არამედ ისეთ ადგილებში, სადაც ხანმეტობა არ ივარაუდება, მაგალითად, აჭარაში<sup>1</sup>.

დასკვნა: ძველი ქართული ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ხელნაწერების არსებობა არ უნდა იყოს ისტორიულად ორი კილოს – ხანმეტი და ჰაემეტი კილოების არსებობის ანარეკლი. კერძოდ, ხანმეტი კილოს არსებობა ქართულში ისტორიულად არ უნდა ვივარაუდოთ. ქართულისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების აღსანიშნავად **ჰ**-პრეფიქსი, რომელსაც გენეტურად უკავშირებენ ნივთთა კლასის **ს**-პრეფიქსს. ამ **ჰ**-ს ზოგი ლიტერატურული სკოლა ძველ საქართველოში გამოხატავდა **ჰ**აეთი, ზოგი სკოლა კი – ხანით, რაც შეიძლება შეპირობებული ყოფილიყო თვით ამ ერთი და იმავე ლარინგალურ-ფარინგალური **ჰ** ბგერის დიალექტური თავისებურებით.

*(შემოვიდა რედაქციაში 15. II. 1956).*

*[ქუთაისის სახელმწიფო  
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,  
ტ. XV, 1956, გვ. 285-293]*

---

<sup>1</sup> იხ. ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 273.



## ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის ქართულში

„ხანმეტობა-ჰაემეტობისა“ და მათი ურთიერთმიმართების საკითხებზე რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული<sup>1</sup> (ივ. ჯავახიშვილი<sup>2</sup>, ა. შანიძე<sup>3</sup>, არნ. ჩიქობავა<sup>4</sup>, გ. დეეტერსი<sup>5</sup>, გ. როგავა<sup>6</sup>, თ. გონიაშვილი<sup>7</sup>, ალ. ონიანი<sup>8</sup>, ზ. სარჯველაძე<sup>9</sup>). ისინი საყოველთაოდ ცნობილია და ამჟამად არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენ ვიზიარებთ და შემდგომს მსჯელობაში ვეყრდნობით ა. შანიძის შეხედულებას, რომ განსხვავება ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს შორის „იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი – მეორეზე“<sup>10</sup>.

ს პრეფიქსი ხანმეტ ძეგლებში, ხოლო ჰ პრეფიქსი ჰაემეტ ძეგლებში იხმარება ორი ფუნქციით: 1. მეორე სუბიექტური პირის ნიშნად; 2. მესამე ობიექტური პირის ნიშნად: ა) მიცემითობიექტიან ზმნებში<sup>11</sup>, ბ) ინიან ვნებითებში, ც) უფროობითი ხარისხის ფორმებში.

ასეა ეს არა მარტო ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში, არამედ ქართული ენის ისტორიის მთელ მანძილზე: მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის აღმნიშვნელი პრეფიქსი ერთი და იგივეა და თითქოს არც ჩანს რაიმე საფუძველი იმის

<sup>1</sup> ამ მოსაზრებათა მოკლე მიმოხილვა მოცემული აქვს პროფ. შ. ძიძგურს: „ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი“, 1970, გვ. 28-31, ნ., აგრეთვე, ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებელი, 1971, გვ. 26-41.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ტფილისის უნივ. მოამბე, II, 1922-23, გვ. 313-370.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფილისის უნივ. მოამბე, III, გვ. 354-363.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის: „ჩვენი მეცნიერება“, 3-4, 1924, გვ. 65-86; ნ. აგრეთვე: გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 51-61.

<sup>5</sup> G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 126.

<sup>6</sup> გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XV, 1956, გვ. 285-193; ნ. აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ძეგლების აღმოჩენა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, იკე, XVI, 1968, გვ. 273-277.

<sup>7</sup> თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადმის ძეგლში: ენიმკის მოამბე, IV, (2) 1938, გვ. 115-162.

<sup>8</sup> ალ. ონიანი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ხ და ჰ სეგმენტების ისტორიული ურთიერთმიმართება: ენათმეცნიერების ინსტიტუტის 26-ე სამეცნიერო სესია, 1970, თეზისები და მუშაობის გეგმა.

<sup>9</sup> ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 361.

<sup>10</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 361.

<sup>11</sup> ეს ფორმულირება („მიცემითობიექტიან ზმნებში“) აბსოლუტური არ არის: ირიბი ობიექტი, რომელიც მუდამ მიცემითში დგას, ზმნაში ყოველთვის აღინიშნება, ხოლო ორპირიან გარდამავალ ზმნათა ფორმები I სერიაში ყოველთვის არ წარმოგვიდგენენ ობიექტურ პრეფიქსს, თუმცა მათი ობიექტიც მიცემითშია (რა თქმა უნდა, მე-3 პირზეა ლაპარაკი). ნ. ამის შესახებ: ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 182-196; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნან. II, 1971, გვ. 63.

სავარაუდებლად, რომ შეიძლება ოდესმე ეს ორი არსებითად საპირისპირო ფუნქცია სხვადასხვა ფორმანტით აღნიშნულიყო.

რატომ უნდა იყოს ასეთი ვითარება მორფოლოგიური ელემენტებით მდიდარ ქართულ ენაში? ამ კითხვას პირველად ჩვენ არ ვსვამთ. გ. ახვლედიანი აღნიშნავდა: „სრულიად არ შეიძლება უსაფუძვლო სკეპტიციზმად ჩაითვალოს, თუ ვიტყვით: ვინ იცის, ქართულს, როგორც ასეთს, შეიძლება არასოდეს არ ჰქონია S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პრეფიქსების ხმარება აურეველი, და მართლაც: რა არის საერთო მნიშვნელობის მხრივ მეორე პირის ქვემდებარესა და მესამე პირის დამატებას შორის, რომ იმათ პრეფიქსებს ერთნაირი ფონეტიკური სახე უნდა ქონდესთ?¹.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ა. შანიძის შენიშვნა: „სუბიექტური ნიშანი მე-2 პირისა და ობიექტური ნიშანი მე-3 ირიბობიექტური პირისა ერთნაირი ბგერაა, მაგრამ ისინი უთუოდ განსხვავებული ფორმებისაგან მომდინარეობენ. განსხვავებას მათ შორის მწერლობის წინა ხანაში უნდა ჰქონოდა ადგილი: მოღწეული წერილობითი ძეგლების ენაში ეს განსხვავება არსად დადასტურებული არ არის“². ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირების აღსანიშნავად ერთი და იმავე პრეფიქსის გამოყენება მეორეული უნდა იყოს. გასაღებს კი „ხანმეტობა-ჰაემეტობა“ უნდა გვაძლევდეს.

უეჭველად ისმის კითხვა: რატომაა ჰაემეტ ძეგლებში ვარ ზმნაში II სუბიექტური პირის ნიშნად ხ (ხარ)?³.

ჩვენი პასუხი ასეთი იქნება: თავდაპირველად, ქართველური ენების ერთობის ადრინდელ საფეხურზე, S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირებს სხვადასხვა ნიშანი გამოხატავდა: S<sub>2</sub> ხანით აღნიშნებოდა (რომელიც ხარ, ხვალ, ხვედ/ხვიდ ზმნებში დღემდე შემოგვრჩა), ხოლო O<sub>3</sub> – ჰაეთი. ენაში საკმაოდ ხშირია S<sub>2</sub> O<sub>3</sub> კომბინაციის შემთხვევები⁴. შდრ. S<sub>2</sub> O<sub>3</sub> კომბინაცია ქართულში: შეხუბათ, აღჰუმართე, მივსწერე. მაშასადამე, ქართულისათვის არ არის უცხო სხვადასხვა პირის აღმნიშვნელი ორი პრეფიქსის ხმარება ზმნაში. ამდენად, სავარაუდებელია, S<sub>2</sub> O<sub>3</sub> კომბინაციისათვის გვექნოდნა: \*შეხჰათ ან \*შეჰხათ; \*აღჰმართე ან \*აღჰმართე; \*მიხჰნერ ან \*მიჰხნერ⁵. ა. შანიძე S<sub>2</sub> O<sub>3</sub> კომბინაციისათვის ამოსავლად ვარაუდობს \*შეხჰათ ფორმას⁶. ამ ვარაუდზე დაყრდნობით ჩვენც პირველად დასახელებულ ფორმებს მივიჩნევთ ამოსავლად. ხ და ჰ მსგავსი ბგერებია. რაკი ფორმათა ერთ წყებაში ისინი ერთად იხმარებოდნენ, ანალოგიის შედეგად შეიძლება და **ხჰ** პრეფიქსები ერთად აღმოჩენილიყვნენ იქაც, სადაც მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი იყო საჭირო და მეორეს არაფერი ესაქმებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, თანდათანობით გამოიწვევდა მათი თავდაპირველი ფუნქციების დაბნელებას და მათ შორის აღრევას. **ხარ, ხვალ, ხვედ, ხვიდ** უძველესი ერთპირიანი ფორმებია, რომლებშიც არასდროს არ იყო შესაძლებლობა S<sub>2</sub> O<sub>3</sub> კომბინაციისა, ამიტომ **ხ**-მეორე სუბიექტური პირის ნიშნად აქ მყარად იდგა და ამ ზმნათა

¹ გ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულში: „ჩვენი მეცნიერება“, 1, 1923, გვ. 100.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 188.

³ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაბეჭდილ „ჰაემეტი ტექსტების ნიმუშებში“ ვალ, ვედ / ვიდ ზმნათა მეორე სუბიექტური პირის ფორმები არა გვაქვს, თორემ, სავარაუდებელია, რომ მათაც ხ- ექნებოდათ ნიშნად, IX საუკუნისა და შემდეგდროინდელ ენაში ხომ სწორედ ასეა საქმე.

⁴ დაბეჭდილ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში 85-მდე ამგვარი შემთხვევა გვაქვს.

⁵ ცნებები, რა თქმა უნდა, პირობითია. ვთქვათ, წერის ცნება მაშინ, ალბათ, არც ექნებოდათ.

⁶ ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნაში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922-23, გვ. 280.

მეტად ხშირი ხმარების გამო აღარ განუცდია აღრევის გავლენა: „როცა რომელიმე მორფოლოგიური ტიპი იცვლება, ამ ტიპის ზოგიერთმა ფორმამ, რომლებიც მყარადაა მეხსიერებაში, შეიძლება განაგრძოს თავისი არსებობა“<sup>1</sup>. აღრევას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევებში ორივე პრეფიქსს გამოიყენებდნენ ორივე ფუნქციით, ე. ი. ერთი მხრივ, ხანი აღნიშნავდა როგორც S<sub>2</sub>, ისე O<sub>3</sub> პირებს; ხოლო, მეორე მხრივ, ჰაეც ასევე მოიქცეოდა. შეიძლება ამ მოვლენის გამოძახილად მივიჩნიოთ სვანურის ვითარება სადაც S<sub>2</sub> პირისათვის ორი ფორმანტი ივარაუდება: **ხ** და **ჰ** პრეფიქსები<sup>2</sup>.

ამგვარი მდგომარეობა ისევე **ხ** და **ჰ** ბგერების მსგავსების გამო დიდ ხანს ვერ გაიგრძებოდა. მათი ერთად წარმოთქმა ძნელია და ერთ-ერთი მათგანი უნდა დაკარგულიყო გამარტივებისადმი ენის მუდმივი სწრაფვის გამო. ვფიქრობთ, რომ დიალექტების ერთ წყებაში დაიკარგა **ჰ** და მივიღეთ ხანმეტი კილო თუ კილოები, დიალექტთა მეორე წყებაში კი **ხ** დაიკარგა და ჰაემეტი კილო თუ კილოები წარმოიქმნა. ჰაემეტი კილო თუ კილოები შეიძლება დასავლურ არეალში ვივარაუდოთ. შდრ. კოლხური, რომელიც „არსებითად ჰაემეტი კილოს ჩამომავალია“<sup>3</sup>.

ქრონოლოგიურად **ხჰ** პრეფიქსებიდან ერთ-ერთის დაკარგვა ქართულ-კოლხური ერთიანობის ხანაში უნდა ვივარაუდოთ, ე. ი. მას შემდეგ, რაც საერთო ქართველურს სვანური გამოეყო.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული ვითარება, როცა ან **ხ-**, ანდა **ჰ-**, **ს-**, პრეფიქსები ორი ფუნქციით – S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირების აღსანიშნავად გამოიყენება, ისტორიულად მეორეულია: თავდაპირველად **ხ** მეორე სუბიექტურ პირს აღნიშნავდა, ხოლო **ჰ** – მესამე ობიექტურ პირს.

წარმოდგენილი ვარაუდი უნდა გვიხსნიდეს „ხანმეტობა-ჰაემეტობასთან“ დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. კერძოდ, აღარ გაჩნდება კითხვა, რატომ არა გვაქვს ჰაემეტ ძეგლებში ყველა ძირისეული ხანის ნაცვლად ჰაე<sup>4</sup> – ჩვენი მოსაზრება **ხ** და **ჰ** ბგერების ურთიერთმიმართების საკითხს ლოკალურად, მხოლოდ S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირები პრეფიქსებში წარმოგვიდგენს. ეს თვალსაზრისი ჰაემეტ ტექსტებში **ხარ** ზმნის არსებობასაც უნდა გვიხსნიდეს.

ჩვენ მხოლოდ ხანისა და ჰაეს ურთიერთმიმართების გარკვევა ვცადეთ, ამიტომ რიგი საკითხი, რომელთაც ეს საინტერესო პრობლემა მოიცავს<sup>5</sup>, არ განგვიხილავს.

*[თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ძველი ქართული ენის კათედრის შრომები,  
19, 1976, გვ. 177-180]*

<sup>1</sup> А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М., 1938, გვ. 65.

<sup>2</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 182. ნ. აგრეთვე, ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 5.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა..., გვ. 360.

<sup>4</sup> **ჰ** ბგერა ქართულ ძირებში ძალიან იშვიათია. ამდენად, საკითხი, რატომ არა გვაქვს ხანმეტ ძეგლებში ყველა ჰაეს ნაცვლად ხანი, არც ისმის. თორემ თავისთავად, ეს კითხვაც სავსებით კანონზომიერია.

<sup>5</sup> კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღძრული საკითხები: რა განსხვავებებია კიდევ ჰაემეტ და ხანმეტ კილოებს შორის: რატომ გაქრა ხანმეტი კილო ასე უკვალოდ, რატომ გვაქვს ხანმეტ ძეგლებში ჰაემეტი ფორმები და ა. შ.

არნოლდ ჩიქობავა

მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის  
ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში \*

ქართულსა (და სხვა ქართველურ ენებშიც) ზმნის უღვლილება, პირველ ყოვლისა, პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლას გულისხმობს.

პირები აღინიშნება პრეფიქსებით, – პირთა ცვლა პრეფიქსაციის პრინციპზეა დამყარებული; ეს ითქმის ობიექტის სამივე პირის შესახებ (მ-თხოვა მე, გ-თხოვა შენ, ს-თხოვა მას) და სუბიექტის პირველისა და მეორე პირის შესახებ (ვ-არ მე, ხ-არ შენ). ერთადერთი პირი, რომელიც სუფიქსს აჩენს, ესაა სუბიექტი მესამე პირისა (არი-ს, მოვიდ-ა ის, მ-თხოვ-ა მე მან...). მესამე პირის ფორმა ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში შედარებით სხვა პირებთან, ყველაზე ახალი ფორმაციაა<sup>1</sup>.

პრეფიქსებით აღინიშნება პირი მთის კავკასიურ ენებშიც, როგორცაა: აფხაზური, ადიღური. პრეფიქსაცია აქ მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული, რომ ერთდროულად ორი და სამი პირის პრეფიქსი შეიძლება იყოს ნარმოდგენილი ზმნაში.

პრეფიქსებია გამოყენებული კავკასიის მთიანეთის იმ ენებშიც, რომელთა ზმნაც გრამატიკული კლასების მიხედვით იცვლება (მაგ., ჩაჩური, ხუნძური...): სახელის კლას-კატეგორიის ჩვენება ასეთ ენებში პირთა მიხედვით ცვლის ადგილს იჭერს.

როგორია ვითარება რიცხვის აღნიშვნის მხრივ? საქმე ეხება მრავლობითს. მთის კავკასიურ ენებში აქაც პრეფიქსაციის პრინციპია ძალაში: სუბიექტის მრავლობითობაც და ობიექტისაც ზმნაში პრეფიქსებითაა ნაჩვენები (აფხაზურში, ადიღურში...); გრამატიკული კლასებიც მრავლობითში ისევე პრეფიქსებს იყენებს (ჩაჩურში, ხუნძურში...).

ამრიგად, პრეფიქსაციაა სახელთა პირისა (resp. გრამატიკული კლასის) და მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის პრინციპი მთის კავკასიურ ენებში.

ქართულსა და დანარჩენ ქართველურ ენებში პირზე პრეფიქსები მიუთითებენ, რიცხვი კი სუფიქსებით აღინიშნება:

ახ. ქართ.	მეგრული	სვანური
ჩვენ ვარ-თ	ჩქი ვ-ორე-თ („ვართ“)	ნაჲ ხვ-პრი-დ    ლ-პრი-დ (ვართ, ვარსებობთ)
თქვენ ხ-არ-თ	თქვა (ო)რე-თ	სგაჲ ხ-პრი-დ
ისინი არ-ი-ან	თინეფი რე-ნ-ა(ნ)	ეჟაჲრ პრი-ხ

მრავლობითი, როგორც ვხედავთ, იყენებს პირის იმავე პრეფიქსებს, რაც მხოლოდობითში გვქონდა, სუფიქსები მარტოდენ სიმრავლეზე მიუთითებენ; მასთან,

\* ნაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VI სესიაზე 24.IV.1942.

<sup>1</sup> ავტორის „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“: ენიკის მოამბე, V-VI.

პირველსა და მეორე პირს ერთი და იგივე სუფიქსი აქვს (ე.ი. ამ ორ პირში მრავლობითის აღნიშვნა ერთი და იმავე ხნოვანებისაა, მესამე პირში კი სათანადო სუფიქსი შედარებით ახალია: ამ მხრივ სვანურის ჩვენებაა საგულისხმო) <sup>1</sup>.

ქართველურ ენებში მრავლობითი პირისა და რიცხვის კატეგორია ანალიზურ ნებს მისდევს: პირის ნიშანი იგივეა, რაც მხოლოობითში, რიცხვს ცალკე ფორმანტი აქვს. აფხაზურსა და ადიღეურში სინთეზური პრინციპია გატარებული: რიცხვიცა და პირიც ერთი და იმავე პრეფიქსითაა გადმოცემული; მხოლოობითის პირის ნიშნები მრავლობითში არ მეორდება:

შდრ. მე ვ-არ	აფხაზ. <b>სარა</b> სგ-ყოუპ (ვარ, ვარსებობ, ვიმყოფები)
შენ ხ-არ	<b>უარა</b> უ-ყოუპ... (შენ, მამაკაცი, იმყოფები)
ჩვენ ვ-არ-თ	<b>ჰარა</b> ჰა-ყოუპ
თქვენ ხ-არ-თ	<b>შიარა</b> შიგ-ყოუპ

როგორც ვხედავთ, მრავლობითის პირველი და მეორე პირის ფორმა იყენებს „ჩვენ“, „თქვენ“ ნაცვალსახელთა ძირეულ მასალას ფორმანტად; ეს ფორმანტები ბუნებრივად მიუთითებენ სათანადო პირსა და რიცხვზე.

ქართველურ ენებში ასეთი კავშირი ნაცვალსახელებსა და ზმნის ფორმანტებს შორის არ დასტურდება, მაინცადამაინც, მრავლობითში (მხოლოობითში პირველი პირი და მესამე პირის სუბიექტილა მიუთითებენ **ხელშესახებად** ნაცვალსახელთან ზმნის ფორმანტის მატერიალურ კავშირზე).

სუბიექტის მრავლობითის აღნიშვნა ვნახეთ. ობიექტისა? ამჟამად, ახალ ქართულში ობიექტის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება პირველსა და მეორე პირში, მესამე პირში კი – იმ შემთხვევაში, თუ ზმნა ინვერსიულია და ობიექტი დასმულია მიცემით ბრუნვაში; პირველსა და მეორე პირში, სულ ერთია, სახელი მიცემით ბრუნვაში იქნება დასმული, თუ სახელობითში, აღინიშნება; მესამე პირში კი შეიძლება იყოს აღნიშნული მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა, სახელობითისა, აღუნიშვნელი რჩება:

ჩვენ გვ-თხოვ-ა	გვ-აქო	ჩვენ გვ-ი-თხოვია	გვ-ყავს
თქვენ გ-თხოვ-ა-თ	გ-აქო-თ	თქვენ გ-ი-თხოვია-თ	გ-ყავ-თ
მათ [ს-თხოვა	აქო....]	მათ უ-თხოვია-თ	ჰ-ყავ-თ <sup>2</sup>

ძველ ქართულში **მიცემითის** მრავლობითობა ზმნაში არ ჩანდა (პირველი პირის საკითხს აქ განზე ვტოვებთ):

<sup>1</sup> ამავე თვალსაზრისით აფხაზურისა და ადიღეურის მრავლობ. მესამე პირიც ანალოგიურ დასკვნებს გვიკარნახებს. ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

<sup>2</sup> უფრო დანვრილებით იხ. ავტორისვე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, V: ჟურნ. „კულტურ. აღმშენებლობა“ 1930, 7/8; „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1-2,3; „რით არის წარმოდგენილი მრავლ. სახელ. დასმული ძვ. ქართულში?“ ტფ. უნივერ. მოამბე, ტ. IX (1928); „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, ტფ. 1928, გვ. 212-25.

**ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები**

გ-თხოვა შენ, თქუენ – იგი...	გ-ითხოვიეს შენ, თქუენ – იგი...
გ-აქებს შენ, თქუენ...	გ-ყავს შენ, თქუენ იგი....
	უ-თხოვიეს მას, მათ – იგი...
	ჰ-ყავს მას, მათ – იგი.... <sup>2</sup>

მაგრამ თუ ობიექტი სახელობითი იყო და მას **-ნ** აწარმოებდა, მისი მრავლობითობა ზმნაში ისევე იყო ნაჩვენები, როგორც სუბიექტისა:

ვ-ადიდე იგი	ვ-ადიდ- <b>ენ</b> იგინი	ჰყავს მას <b>იგი</b> – ჰყვან- <b>ან</b> მას <b>იგინი</b>
ადიდე „	ადიდ- <b>ენ</b> „	გყავს შენ <b>იგი</b> – გყვან- <b>ან</b> შენ <b>იგინი</b>
ადიდ- <b>ა</b> „	ადიდ- <b>ნ-ა</b> „	

ობიექტის მრავლობითობის ჩვენება, როგორც აქედან ჩანს, სუფიქსებს ეკისრებოდა: ეს იყო:

**-ენ** → **ნ** სუფიქსი ძველ ქართულში – ობიექტ. სახელობ.  
**-თ** „ ახალ ქართულში – ობიექტ. მიცემ., სახელობ.

ეს **-თ** სუფიქსი იგივეა, რაც სუბიექტის მრავლ. პირველსა და მეორე პირში ხმარებული **-თ** (ვარ-**თ**, ხ-არ-**თ**...: ობიექტის მრავლობითობის ჩვენება სუბიექტის მრავლობითის ფორმანტს ეკისრება)... **-ენ** სუფიქსიც იგივე უნდა იყოს, რასაც სუბიექტის მესამე პირისათვის ვიყენებთ: აკეთებ-**ენ**...

ზანურსა და სვანურში ობიექტის მრავლობითის აღნიშვნა იმავე საფუძველზე ხდება, რაც ახალ ქართულს ახასიათებს: თუ ობიექტი სახელობითია, მრავლობითი ზმნაში არა ჩანს, თუ – მიცემითია, აღინიშნება იმავე შემთხვევებში, სადაც ქართულში აღინიშნებოდა (იხ. ზემოთ). განსხვავება ამ მხრივ არა გვაქვს; სხვაობა სუფიქსში დასტურდება: სიმრავლეს აღნიშნავს აქ **მესამე** პირის სუბიექტის სუფიქსი (და არა მეორე და პირველი პირისა): **-ან**, **-ეს** – ზანურში, **-ხ** – სვანურში:

შდრ. ახ. ქართ. გ-აქვ- <b>თ</b> , აქვ- <b>თ</b> ,	ჭან.-მეგრ. გ-ი-ლუნ- <b>ან</b> უ-ლუნ- <b>ან</b>	სვან. ჯ-ულვა- <b>ხ</b> ხ-ულვა- <b>ხ</b>
---	---	--

ამგვარად, ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ხმარებული **სუფიქსის** მხრივ, ქართველურ ენებს ორგვარი ნორმა აქვთ: **ქართული** ( $S_2$ , 1 - **თ**) და **ზანური** ( $S_3$  - **-ან**, **-ეს**); უკანასკნელს სვანურიც მისდევს ( $S_3$  - **-ხ**).

გვევ ზანური ნორმაა, გურულსა და ქვემოიმერულში რომ მჟღავნდება: გაქვ-**ენ** (=გაქვ-**თ**), აქვ-**ენ** (აქვ-**თ**)... გქონდ-**ენ** (გქონდა-**თ**), ქონდ-**ენ** (ქონდა-**თ**)...

აქამდის განხილული მასალა მონიშნავს, რომ **ზმნის უღვლილებაში რიცხვზე სუფიქსი მიუთითებს**: ეს თანაბრად ეხება სუბიექტის მრავლობითსაც და ობიექტის მრავლობითსაც, სახელობითი ბრუნვის აღნიშვნასაც და მიცემითის ხმარების შემთხვევასაც, ძველი ქართულის ფაქტებსაც და ახალი ქართულის ვითარებასაც, ჭანურ-მეგრულსაც და სვანურსაც. ამგვარად, **მრავლობითის** აღნიშვნა ქართველურ ენათა ზმნის უღვლილებაში **სუფიქსაციის პრინციპს** იძლევა ისევე, როგორც **პირის აღნიშვნა პრეფიქსაციაზე** დამყარებული.

ერთადერთი **გამონაკლისია პირველი პირის მრავლობითი**: აქ სუფიქსი საჭირო არაა, პრეფიქსი გამოდის **პირისა** და **რიცხვის** ნიშნად:

თქვენ **გ-ყავ-თ** მათ **ჰ-ყავ-თ** – მაგრამ: ჩვენ **გვ-ყავ-ს**  
„ **გ-ითხოვია-თ**, „ **უთხოვია-თ** – მაგრამ: ჩვენ **გვ-ითხოვია...**

უკვე ძველ ქართულშიც შევხვდებით ასეთ პრეფიქსს, თუმცა ძველი ქართული-სათვის ეს არაა ერთადერთი წარმოება: პარალელურად **-მ** პრეფიქსიც იხმარება: **გუ-ყავს ჩუენ || მყავს ჩუენ...**

საილუსტრაციო მაგალითები ძველი ქართულისა:

**-გუ** პრეფიქსი **მიცემითი ბრუნვის მრავლობითის** შესაბამისად:

**მოგუწცემისო**: ... იტყოდეს მზე და წვიმა... მისგან მოგუწცემისო... ათონ. 306,1.

**გუნადის... გუსურის**: ჩნცა გუნადის და გუსურის ხილვაჲ მისი... ბოლნ. 82,9.

**დაგუშჯიან**: ... ჩუენ დაგუშჯიან კუერთხნი ესე ჩნნი... კიმ. 138,20.

**განგყოფს**: ...რომელსა მადლით განგყოფს ყოველთა მორწმუნეთა... სასულ. 205,1

**გუაქუს**: ... არაჲ გუაქუს სიტყუაჲ ღირსი ქებისაჲ... სასულ. 97,5

... მოგძიენ ოო: წარმართნი ესე რლთა არა გუაქუს მწყემსი... ბოლნ. 7,26.

**გუასწავებს**: ... და ესრჳთ გუასწავებს თვთ იგი თავადი ოი... ბოლნ. 19,5.

**დაგუემორჩილებიან**: ... იტყოდეს ოო ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა ... ად. 125, ხ 2.

**შეგუყვანებ**: ... და ნუ შეგუყვანებ ჩნ განსაცდელსა ოო... ად. 13 a 2.

**დაგუემორჩილნეთ**: ... რათა თქუწნ ჩუწნ დაგუემორჩილნეთ... ათონ. 315,34.

**გუევნო... მოგვგო... გურქ**: ...ჩნ განვერენით და არა გუევნო და ვრ მოვიქეცით ბერისა მოგვგო და გურქა... კიმ. 24,5.

**მოგვკდეს... გვთხრეს**: ... მოგვკდეს ჩნ ორნი კაცნი... და გვთხრეს... კიმ. 35,17.

**მიგუავლენ**: ...გევედრები წო ღთისაო ნუ მიგუავლენ ჩნ სიღრმესა მას უფსკრულთასა... კიმ.191,10.

**განგვლე**: ჳ კაცო განგვლე ჩუენ ჯურღმული ესე... წარტყ. ჳ 11.

**მეოხ გუეყავ**: ღირსო მამაო ევთჳმი... მეოხ გუეყავ ჩუენ... სასულ 38,15.

**მოგუანიჭე**: ანცა მოგუანიჭე მადლი... სასულ. 106,19.

**-გუ** პრეფიქსიანი ფორმები განასხვავებენ **თითქოს** მხოლოობითისაგან მრავლობითს:

მომანიჭე მე...	მასწავე მე...	მნადის მე...
მოგუანიჭე ჩუენ	გუასწავე ჩუენ...	გუნადის ჩუენ

შეფარდება აქ ისეთივეა, როგორიც ახალ ქართულში.

ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ძვ. ქართულში **მ**-პრეფიქსი მაშინაც გვაქვს, როცა **ჩუენ** სახელი **მიცემითის** ფუნქციითაა:

**წარმიძღვს ჩუენ... წარმიძღვს ჩუენ ზეცად...** სასულ. 60,2.

**მაიძულებენ** „ : ...ჩუენცა მორწმუნეთა მაიძულებენ ყოფად საქმისა მათისა...  
ნარტყ. მწ 4.

**განმიღებს... მაგებს ჩუენ:** ... განმიღებს... სამოთხესა და კუალად მაგებს ჩუენ  
მუნვე... სასულ. 56,3.

**დამშჯი... მომაგებ ჩუენ:** ... ნუ დამშჯი მონათა შენთა და ნუ მომაგებ ცოდვათა  
ჩუენთაებრ... ნარტყ. მწ 11.

**მაქუს** ჩუენ: იტყოდა უფალო არა მაქუს ჩუენ კადნიერება... ნარტყ. მზ 22.

... ოო ჯორცი მისი მაქუს ჩუენ საჭმლად და სისხლი მისი მაქუს ჩუენ  
სასუმლად... ნარტყ. ლე 28.

**შემახუედრებენ... მერჩიან ჩუენ:** ... სხუასა რასმე შრომასა შემახუედრებენ  
რწლნი არა მერჩიან ჩწ... კიმ. 46,16.

**მსწავლის:** იგი ვითარცა ღმერთი და მამაჲ მსწავლის ჩუენ... ნარტყ. ლე 29.

**მაგინებ:** მოძღვარ მაგას რაჲ იტყვ ჩწცა მაგინებ... ად. 129 a 2.

**განმეშორა** ჩუენ: ...განვეშორენით ჩუენ ღმერთსა და განმეშორა ჩუენ ღმერთი...  
ნარტყ. კბ 28.

**მარქუ** ჩუენ: ... ან მარქუ ჩწ ვწრ ჯერ-გიჩს... ად. 47 b 2

**დამინერა** „ : ... მოძღვარ მოსე ესე დამინერა ჩწ... ად. 147 b1.

**მომხედა** „ : წყალობით მომხედა ჩუენ... სასულ. 65,28.

**წარმიძლუა** „ : ... და წარმიძლუა ჩუენ ... სასულ. 66, 11.

**გამომეცხადა** „ : ...გამომეცხადა ჩწ და მომიხუნა მოწყალებითა თჯსითა ... კიმ.45, 15.

**მომცა** „ : ... მომცა ჩწ მოციქულმან ... ჰაბო, 23, 18.

**აღმიშენა** „ : ... შესაკრებელი ესე მან აღმიშენა ჩწ ... ად. 116, a 2.

**მიყვეს... მიყო** ჩუენ:... და მიყვეს ჩუენ ყოველივე ნებისაებრ მათისა...ნარტყ. თ3.

... სამართლით ესე ყოველი მიყო ჩუენ... ნარტყ. ლ 24.

**შემემთხვა** ჩუენ: ... სამართლად ესე ყოველი შემემთხვა ჩუენ... ნარტყ. კბ 18

**მომიგო** „ : ... მომიგო ჩწ აბუკურა... კიმ. 166, 4

**მომეც** „ : ... ოო მომეც ჩწ იგი... არიმათ. 37, 25.

**მეძინა** „ : ... წარიპარეს ვე ჩწ მეძინა... ად. 64 b 2.

**მითხარ** „ : ... იოსეფ რჩეულო მითხარ ჩწ ვინ არს ესე... სასულ. 174,8.

**მენიოს** „ : ... მსწრაფლ მენიოს ჩუენ წყალობაჲ მისი ... ნარტყ. მთ 26.

**მომცეს** „ : ... მიმცნა ჩუენ მონებასა რაჲთა მომცეს თავისუფლება ... იქვე, ლბ 32.

**მრქუას** „ : ... მრქუას ჩწ რაჲსათჯს არა გრწმენა მისი... ად. 146 b1.

მ-აქუ-ს ჩუენ და გუ-აქუ-ს ჩუენ ძველი ქართულისათვის პარალელური  
წარმოება: **მაქუს** იგივეა, რაც მხოლოობითში გვექონდა:

მაქუს მე – მაქუს ჩუენ (შდრ. გაქუს შენ – გაქუს თქუენ).

რაც შეეხება მეორე ვარიანტს (გუ-აქუ-ს ჩუენ), მას მრავლობითის პრეფიქსად  
თვლიან სპეციალურ ლიტერატურაში.



**6. მარისათვის გუ-** არის „მრავლობითის სპეციალური ნაცვალსახელური ფუძე“:  
გუ ← გუ - ევ<sup>1</sup>.

**გ. დეეტერსი** აღნიშნავს: პირველი პირის ობიექტის მრავლობითი ორგვარად  
გადმოცემაო: გამრავლობითებული O<sub>1</sub> -თა და გუ-პრეფიქსით; პირველი საშუალება  
უფრო ძველი ჩანსო<sup>2</sup>.

**ა. შანიძე** გუ-პრეფიქსს მრავლობითისად მიიჩნევს. „ადრინდელ ძეგლებში გუ-  
პრეფიქსიან ფორმებს იშვიათად ვხვდებით. იქ უფრო ერთი ფორმა გვხვდება მანიანი“<sup>3</sup>.

რა საფუძველი გვაქვს ხსენებული გუ-პრეფიქსი მრავლობითის ნიშნად დავსახოთ?

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩანს, ახალი ქართულის ჩვენებას. აქ  
**გვ-პრეფიქსი უპირისპირდება მ-პრეფიქსს:**

**მ-აქვს მე – გვ-აქვს ჩუენ ... მ-ითხრა მე – გვ-ითხრა ჩუენ...**

ახალი ქართული ზმნის უღვლილებების სისტემა ცხადყოფს, რომ **გვ-პრეფიქსი**  
მრავლობითის ფორმანტია: **-თ**, სუფიქსი **გვ-პრეფიქსიან** ფორმებს არ დაერთვის:

აქვს მას – აქვ-თ მათ

გ-აქვს შენ – გ-აქვ-თ თქვენ

მ-აქვს მე – გვ-აქვს ჩუენ: „გვაქვთ ჩვენ“ შეუძლებელია;

ესაა მორფოლოგიური სისტემის **ობიექტური** ლოგიკა.

ამიტომ, როდესაც ძველ ქართულში **მაქუს** ჩუენ-ის გვერდით **გუაქუს** ჩუენ შეგ-  
ვხვდება, მასში იგივე გაგება შეგვაქვს, რაც ახალი ქართულის „გვაქვს ჩვენ“-ს შეე-  
ფერება. ფსიქოლოგიურად ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ საკითხავია: **შეეფერება**  
**თუ არა გუ-პრეფიქსის ასეთი გაგება ძველი ქართულის მორფოლოგიური სისტე-  
მის ობიექტურ ლოგიკას?**

ამის გასარკვევად **საკონტროლო საშუალებად** გამოგვადგება ის შემთხვევები,  
სადაც ზმნაში აღნიშნულია **მრავლობითის სახელობითი** დასმული **ობიექტი**.

**მრავლობითობას** ასეთ შემთხვევაში გადმოგვცემს **სუფიქსი**<sup>4</sup>: **-ენ-** (სრული  
სახით) და **-ნ** (ხმოვანდაკარგული): **ენ → ნ**<sup>5</sup>.

სანიმუშოდ ორიოდ მაგალითი:

#### **ა. ჩ უ ე ნ სახელობ. – მ – (-)ენ:**

**განმაახლნა ჩუენ:** ...განმაახლნა ჩუენ პირველსავე სახესა უხრწნელსა მონყა-  
ლებით... სასულ. 59,19.

<sup>1</sup> Mapp H., Грам. древнелит. груз. яз., 1925, § 113 a, გვ. 92.

<sup>2</sup> Deeters G., Das kharthw. Verbum, 1930, § 56, გვ. 34: „...das pluralisierte S<sub>1</sub>“ ... ლაფსუსი უნდა იყოს: O<sub>1</sub>  
იგულისხმება.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა – ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე: ძვ. ქართ. ენა და ლიტერატ. 1939  
(მეექვსე გამოცემა), § 40, გვ. 297-98.

<sup>4</sup> ეს ეხება **-ნ**-იან სახელობითს; **-ებ**-იან სახელობითს ზმნა არ ეთანხმება რიცხვში, სულ ერთია, სუ-  
ბიექტი იქნება სათანადო სახელი თუ ობიექტი (იხ. ავტორის „მარტივი წინადადების პრობლემა ძვ.  
ქართულში“, გვ. 251-256).

<sup>5</sup> იხ. ავტორის წერილი: „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითი დასმული ძვ.  
ქართულში?“ ტფ. უნივერ. მოამბე, ტ. IX (1928), გვ. 107-119.

**აღმადგინა ... დამსხნა... მაღიდნა ჩუენ:** ...აღდგა და თანა აღმადგინა, თანა დამსხნა და თანა მაღიდნა დიდებითა მით სამარადისოთა... სასულ. 299,8.

**აღმადგინა ... მაცხოვნა... აღმიყვანა ჩუენ:** ... მის მიერ დაცემულნი აღმადგინა და მაცხოვნა სიმდაბლით მოსლვითა. აღმიყვანა ჩუენ მაღალთა შინა... სასულ. 110,1.

**აღმირჩინა... მყვნა ჩუენ:** ...ღმერთმან ზეცით გარდამოგაგდო შენ და ჩუენ აღმირჩინა და უმჯობეს შენსა მყვნა მან მხოლომან... ნარტყ. ლე 23.

**განმაშიშულნა ჩუენ:** ...განმაშიშულნა ჩუენ აქა სამოსელთაგან და საფასეთა... ნარტყ. ლგ 6.

**მიმცნა ჩუენ:** და ნაცვლად პატივისა მიმცნა ჩუენ შეურაცხებასა...ნარტყ.კბ 25.

**შემკრიბენ ... განმარინენ ჩუენ:** და ვითარცა რაჲ მენავეთ-მოძღუარმან ჳელოვანმან შემკრიბენ ჩუენ ყოველნი მყუდროსა მას ნავსაყუდელსა და განმარინენ დანთქმისაგან... სასულ. 134 1.

**ღირს მყვენ ჩუენ:** მხოლოო ნათელო წარუვალო ღირს მყვენ ჩუენ ნათელსა შენსა განწმედინი... სასულ. 409, 24.

**აღმომიყვანენ ჩუენ:** ქუესკნელთაგან ქუეყანისათა აღმომიყვანენ ჩუენ... ნარტყ. ლა 20.

**განმაახლენ ჩუენ:** და განმაახლენ ჩუენ წყალობით წყლითა... სასულ. 222,5.

**შემიწყალენ ჩუენ:** სახიერებითა შენითა შემიწყალენ ჩუენ... ნარტყ. კჳ 13.

**განმაძლიერენ ჩუენ:** განმაძლიერენ მოსავნი შენნი... სასულ. 295,3.

**მიჴსნენ ჩუენ:** და ეტყოდეს ო~ო მიჴსნენ ჩუენ, რ~ წარვწყმედებით ... მთ. VIII 25 ბენეშ.

**განმამდიდრენ ჩუენ:** რაჲთა განმამდიდრენ დაგლახაკებულნი ურჩებითა... სასულ. 84,12.

**შემიწყალენს ... გამომიყვანენს ჩუენ:** რაჲთა ... შემიწყალენს ჩუენ ... და გამომიყვანენს სატანჯველისა ამისგან... ნარტყ. ე 11.

**მყვენს ... განმანათლენს ჩუენ:** რაჲთა წმიდა მყვენს და განმანათლენს წყლითა... სასულ. 219,22.

### ბ. ჩუენ – სახელობითი – გუ - - (-)ნ- :

**აღგუამაღლნა... დაგუამაღლნა ჩუენ:** ...რაჲმეთუ უფალმან აღგუამაღლნა ჩუენ...და ნაცვლად ამაღლებისა დაგუამაღლნა ჩუენ...ნარტყ. კბ 22,1, 24.

**შეგვწყნარნა ... გვსტუმრნა ჩუენ:** ... მღდელთ-მოძღუარმან მის ადგილისამან კეთილად შეგვწყნარნა და გვსტუმრნა... ათონ. 318-319.

**შეგვყუარნა ჩუენ:** და ო~ნ ჩ~ნ მ~ნ ი~ჳ ქ~ნ შეგვყუარნა ჩ~ნ... სახისმეტყ. 11,3.

**მიგუცნა ჩუენ:** და მიგუცნა ჩუენ ჳელსა მტერთა ჩუენთასა... ნარტყ. 3,6.

**გვხილნა ჩუენ:** ხოლო მან... გვხილნა რაჲ მახლობლად ჩუენდა მოვიდა... ათონ. 335,6.

**დაგუბადენ ჩუენ:** რ~ლნი შენ უკუდავო ხატად შენდა დაგუბადენ... სასულ. 169,2.

**განგუანათლენ ჩუენ:** და განგუანათლენ ნათლის ღებითა შენითა მჴსნელო... სასულ. 237,20.

**დაგვფარენ ჩუენ:** მისითა მეოხებითა დაგვფარენ მგალობელნი შენნი... ჰაბო 51,8.

**გუყვენ ჩუენ:** ...შეისმინე ოხაჲ მისი და მკვდრ გუყვენ სასუფეველსა... ჰაბო 51.

...თქვენ მონაწილე გუყვებით წმიდათა ლოცვათა თქვენთა... ხანძთ. იდ,14.

**დაგვცვენ ჩუენ:** დაგვცვენ ოო მონყალეებითა ჴელისა შენისაათა... კიმ. 52,35.

**მოგვძიენ ჩუენ:** ოო ივნე და მოგვძიე ჩინ ცხოვარნი ესე შეცთომილნი... ბოლნ. 7,21;

... **შეგუენიენ, გუაცხოვნენ, შეგვწყალენ** და **დაგვცუენ** ჩუენ ღმერთო შენითა მადლითა... ჴაბო 46;

ოო ივნე და გუაცხოვნენ ჩუენ... ბოლ. 7,28.

**განგუნმიდენ... განგუათავისუფლენ ჩუენ:** ...გუასხურე ჩუენ წყალი ცხოველი... მხოლოდ შობილო და განგუნმიდენ ჩუენ ცოდვათაგან ... და განგუათავისუფლენ ჴელმნიფებისაგან ბნელისა... სასულ.108,19.

**გუყვენს ... განგუაშორნეს ჩუენ:** რათა.. კეთილად განაგოს ჩუენიცა ესე ცხორებაჲ და არა ჴუებულ გუყვენს, არცა განგუაშორნეს სანატრელთა მათ მამათა... ათონ. 5,15;

... რათა არა უგულეებელს გუყვენე მონანი შენნი... ხანძთ. ად 20.

**გვხილნეს ჩუენ:** ბრძანებაჲ გამოსრულ იყო რათა გარე ფილოპატსა გვხილნეს... ათონ. 334,27.

შევადაროთ ერთმანეთს: გან-მ-აახლ-ნ-ა ჩუენ და გან-გუ-აახლ-ნ-ა ჩუენ: **ჩუენ** ობიექტი მრავლობითშია; ობიექტის მრავლობითობა ჴმნაში -**ნ** (← -ენ-) სუფიქსითაა წარმოდგენილი: გან-მ-აახლა მე – გან-მ-აახლ-ნ-ა ჩუენ, რომ ობიექტი პირველ პირშია, ამაზე **მ**- მიუთითებს; რომ ის მრავლობითშია, – **ნ** სუფიქსი. პირსაც და რიცხვსაც თავ-თავისი ფორმანტი მოეპოვება. ასევეა მაშინაც, როცა ობიექტად **თქუენ** (მეორე პირი), გინა **იგინი** (მესამე პირი) გვექნება:

მან გან-მ-აახლა მე –	მან გან-მ-აახლ-ნ-ა ჩუენ
„ გან-გ-აახლა შენ –	„ გან-გ-აახლ-ნ-ა თქუენ
„ გან-აახლა იგი –	„ გან-აახლ-ნ-ა იგინი

განვიხილოთ ახლა მეორე ვარიანტი: მან გან-გუ-აახლ-ნ-ა ჩუენ; -ა სუფიქსი სუბიექტისაა (**მან**); ობიექტითაა გამონვეული **გუ-** და -**ნ**; მრავლობითობას აქ ისევ -**ნ** გადმოგვცემს; რის ნიშანია **გუ?** პირველი პირისა ისევე, როგორც **მ**: სხვა არაფერია აქ გამოსახატავი, რაკი მრავლობითობის სუფიქსი -**ნ** ცალკე მოგვეპოვება. **გუ-** რომ **მრავლობითის ფორმანტი იყოს, სრულიად გაუგებარი იქნებოდა გან-გუ-აახლ-ნ-ა ტიპის წარმოებაში -ნ** (||-ენ) სუფიქსის გამოყენება (ისევ ობიექტის მრავლობითის საჩვენებლად).

დასკვნა ერთია: **ძველ ქართულში გუ-პრეფიქსი არაა მრავლობითის პირველი პირის პრეფიქსი**, როცა ეს პირველი პირი სახელობითშია.

მაგრამ თუ **გუ-პრეფიქსი** არაა სახელობითში დასმულ ობიექტთან (**ჩუენ**), მრავლობითის პრეფიქსი, არც მიცემითში დასმულ ობიექტთან (**ჩუენ**) იქნება იგი ამ ფუნქციის მქონე.

ამრიგად: **გუ-პრეფიქსი ძველ ქართულში ობიექტის მრავლობითობას არც ისეთ მაგალითებში აღნიშნავს, როგორიცაა: გან-გუ-აახლ-ნ-ა მან ჩუენ** და **არც ისეთ მაგალითებში, რომლის ნიმუშიცაა: მო-გუ-ანიჭა მან ჩუენ...<sup>1</sup>**

<sup>1</sup> გაკვრით ეს დებულება წამოყენებულია ავტორის წერილში: „მარტივი წინადადების ძირითადი ტენდენციები ქართულში“: მეცნ. აკად. მოამბე, II, 1-2 (1914).

კი, მაგრამ იქნებ **ჩუენ** ნაცვალსახელის ერთ-ერთი სემასიოლოგიური ვარიანტია **გუ**-სთან დაკავშირებული (მაგალითად ინკლუზიური): **-ნ**- სუფიქსმა სიმრავლე გამოხატა, **გუ**-პრეფიქსმა მისი ნაირსახეობა: გან-**გუ**-აახლ-**-ნ**-ა ჩუენ – მე და შენ (თქუენ)... ეგრეთ წოდებული **ინკლუზივი**. შესაბამისად გან-**მ**-აახლ-**-ნ**-ა **ექსკლუზივი** იქნებოდა: განმაახლნა მე და ის (ისინი) <sup>1</sup>.

ასეთი რამ არაა მოსალოდნელი: ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითობის ნიშანიც არის, **მრავლობითობის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო**. მაშასადამე: თუ **გუ**-პრეფიქსი ინკლუზიური (ანდა: ექსკლუზიური – პრინციპში ეს სულ ერთია) შინაარსისაა, მრავლობითობის **-ნ**- სუფიქსისათვის ადგილი არა რჩება; მაგრამ რაკი **-ნ**-ს საკითხი (სხვა ფაქტების მიხედვითაც) ეჭვმიუტანლად წყდება, **გუ**-პრეფიქსის მრავლობითობა გამორიცხულია: არც ინკლუზიური და არც ექსკლუზიური შინაარსი მას არ შეიძლება დაჰქონოდა ძველ ქართულში.

ინკლუზივ-ექსკლუზივის შესახებ ზემოთ წამოყენებული დებულება სვანურის ჩვენებას ემყარება: **ობიექტის** ინკლუზივი და ექსკლუზივი სვანურში მარტოდენ პრეფიქსებს იყენებს: **გუ**-ლვე („გვაქვს მე და შენ“), **-ნ**-ულვე („გვაქვს მე და მას“); არავითარი დამატებითი ნიშანი მრავლობითისა ზმნის ფორმაში არა ჩანს (და არცაა მოსალოდნელი). სხვა მდგომარეობაა **სუბიექტის** ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმათა წარმოებისას: **ლ**-არი-დ („ვარსებობთ მე და შენ“), **ხვ**-არი-დ („ვარსებობთ მე და ის“). აქ პრეფიქსებიც გარჩეულია (**ლ**- – **ხვ**-) და მრავლობითის **-დ** სუფიქსიცაა წარმოდგენილი. მაგრამ ქართულში „ჩვენ“ **ობიექტის** საკითხს ვიხილავთ და ამ მხრივ **ობიექტის** ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების წარმოების პრინციპს (სვანურში) უნდა გაენიოს, ცხადია, მეტი ანგარიში, ვინემ სუბიექტის ანალოგიურ ფორმათა აგების წესს.

და, რაც მთავარია, სწორედ ეს **სუბიექტის** ინკლუზივ-ექსკლუზივ ფორმათა წარმოებაა აუხსნელი სვანურში: მათ (კერძოდ, ინკლუზივის) წარმოებას, სახელდობრ, მრავლობითის **-დ** სუფიქსის დართვას ახლავს გადაულახავი დაბრკოლებები (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ერთი სიტყვით, ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები მრავლობითის შინაარსს იძლევა საგანგებო სუფიქსის გარეშე, თვით **პრეფიქსებით**. ასეა ეს სვანურში, სადაც ინკლუზივისა და ექსკლუზივის გარჩევის უდავო ფაქტი გვაქვს. ასე უნდა ყოფილიყო ეს ძველ ქართულშიც, თუ ხსენებულ მორფოლოგიურ კატეგორიათა ნაშთებს ვივარაუდებდით **გუ**- || **მ**-პრეფიქსიან ფორმებში (მით უფრო, რომ სვანურშიცა და ქართულშიც ინკლუზიურობის საკითხი ერთსა და იმავე აფიქსთან – **გუ**-სთან არის დაკავშირებული).

ამგვარად, ძვ. ქართ. გან-**გუ**-აახლ-**-ნ**-ა ტიპის წარმოების ანალიზი **ამთავითვე** გამორიცხავს იმასაც, რომ **გუ**- მრავლობითის აღმნიშვნელად დავსახოთ, და იმასაც, რომ მას მრავლ. პირველი პირის **ინკლუზიური** გაგება დავაკისროთ. **გუ**- ისევე არაა **მრავლობითის პრეფიქსი, როგორც მ** - .

ამაში ზედმეტად გვარწმუნებს **გუ**- || **მ**-პრეფიქსთა ხმარება **ერთი და იმავე ჩუენ** ნაცვალსახელის გადმოსაცემად.

<sup>1</sup> ასეთი ვარაუდი, მართლაც იყო წამოყენებული, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

**ა. ჩუენ მიცემითის ფუნქციითაა:**

**მოგუანიჭე – აღმისრულე** (ვის?) **ჩუენ:** ... რაჟამს... მოგუანიჭე მორწმუნეთა ნინდი მკვდრობისა ჩუენისაჲ. მჰსნელო. რაჟამს აღმისრულე უჟამოდ ქადებული მტერისა მოშურნისაჲ და ღმერთ ჰყავ ბუნებაჲ კაცობრივი... სასულ. წმ 7.

**დაგვწერა – აღმძრავს** (ვის?) **ჩუენ:** ... რომელმანცა ღმერთის მეტყუელითა ენითა დაგვწერა მოქალაქობაჲ ანტონი ნეტარისაჲ და აღმძრავს ყოველთა გალობად ღმერთისა... სასულ. 241, 26-28.

**მომაგეთ–მოგუეცით–მომიზღეთ** თქუენ (ვის?) **ჩუენ:** ... ან უკუჲ მომაგეთ ჩუენ ბოროტი ესე ნაცვალი, სიხარული მოხარულთა თანა მოგუეცით ჩუენ, ტირილი მტირალთა თანა მომიზღეთ ჩუენ... ათონ. 340,5.

**შთაგუბერა–მრქუა** (ვის?) **ჩუენ:** ...მაშინ შთაგუბერა ჩნ ონ ჩნმნ იჰ ქნ და მრქუა ჩნ... არიმათ. 37, 26.

**გუამხილებ–მიყოფ–მომაგებ** (ვის?) **ჩუენ:** ... უფალო ნუ გულის წყრომითა გუამხილებ ჩუენ, არამედ წყალობითა შენითა განმარინენ<sup>1</sup> ჩუენ, უფალო ნუ ცოდვათა ჩუენთაებრ მიყოფ ჩუენ ნუცა უშჯულოებათა ჩუენთაებრ მომაგებ ჩუენ, არამედ სახიერებითა შენითა შემინწყალენ<sup>1</sup> ჩუენ... ნარტყ. კმ, 12.

**მოგუანონო–მითხარ** (ვის?) **ჩუენ:** ... ჰ მონაზონო, რაჲ უკუე მოიგონო რ ხარ შენ პა-სუხთაგან უღონო, ან რაჲ სიტყუაჲ მოგუანონო მითხარ ჩნ უკუეთუ იწონო... კიმ. 167,37.

**გუესმა–დამეცა** (ვის?) **ჩუენ:** ... ხოლო ჩნ ვრ გუესმა წჷ მათი დამეცა ჩნ ზა შიში დიდი... კიმ. 36,22

**მეტყოდა–გამოგვთარგმანებდა** (ვის?) **ჩუენ:** ვრ იგი მეტყოდა ჩნ გზასა ზედა და ვრ იგი გამოგვთარგმანებდა ჩნ წიგნთა... ხანმეტი ლექციონარი: უნივერ. მოამბე, IX, გვ. 335 (ლკ XXIV, 32).

**ბ. ჩუენ სახელობითის ფუნქციითაა:**

**დაგუბადენ–მომიყვანენ**–(ვინ?) **ჩუენ:** რომელმანცა ჴელითა მაგით საღმერთოჲ-თა დაგუბადენ მიწისაგან ხატად შენდა და არარაჲსგან მომიყვანენ არსებად და შემ-მოსე ...სამოსელი... სასულ. 144,19.

**დაგუბადნა–მიწსნნეს**– (ვინ?) **ჩუენ:** ვითარმედ უფალი მოწყალე არს და არა დაგუბადნა ჩუენ სატანჯველად არამედ მან მიწსნნეს ჩუენ... ნარტყ. ნთ, 24.

**შემკრიბენ–აღგუზარდენ–დაგვტევენ–დაგუფანჩენ**– (ვინ?) **ჩუენ:** რაჲ ესე შემამთხვე ჩუენ ვითარმედ სადაჲ შემკრიბენ და აღგუზარდენ ანუ ან სადა დაგვტევენ და დაგუფანჩენ... ათონ. 337,35.

**გუტანჯნეს–განმარინნეს**– (ვინ?) **ჩუენ:** გუტანჯნეს ჩუენ სიცივითა და ყინუ-ლითა აქა რა[ა]თა მუნ განმარინნეს ჩუენ ღრქენისაგან კბილთაჲსა... ნარტყ. ლგ 3.

<sup>1</sup> სახელობითში დასმულ ჩუენ ნაცვალსახელის მაგალითებს ქვემოთ დაგვზრუნდებით.

**დაგუბადენ–მიზიარენ–** (ვინ?) **ჩუენ:** რ~ლნი შენ უკუდავო ხატად შენდა დაგუბადენ და მიზიარენ უხრწნელსა დ~ბსა... სასულ. 169,6.

**გ. ჩუენ** ერთ შემთხვევაში **სახელობითია**, მეორეში – **მიცემითი: გუ- || მ- :**

**დამავინწყენ** (ვის?)... **მოგვკსენენ** (ვის?) **ჩუენ:** ნუ დამივინწყებ ჩუენ მადიდებელ-თა შენთა მამაო მოგვკსენენი წინაშე ღმრთისა... სასულ. 163,20.

**გუამხილებ** (ვის?)...**განმარინენ** (ვის?)...**მომაგებ** (ვის?)... **შემინყალენ** (ვის?) **ჩუენ:** უფალო ნუ გულისწყრომითა შენითა გუამხილებ ჩუენ არამედ წყალობითა შენითა განმარინენ ჩუენ უფალო ნუ ცოდვათა ჩუენთაებრ... მომაგებ ჩუენ, არამედ სახიერებითა შენითა შემინყალენ ჩუენ... წარტყ. კმ 12.

**დამდვა** (ვის?)... **აღმადგინნა** (ვის?)... **გუეტყოდა** (ვის?) – **ჩუენ:** მაშინ დამდვა წელი თვისი ყ~ლთა ზ~ა თითოვეულად ჩ~ნგანთა და აღმადგინნა ჩ~ნ და გუეტყოდა ეს-რწთ ... არიმათ. 35.

**მყვენ** (ვის?) ... **მოგუანიჭე** (ვის?) – **ჩუენ:** გმადლობთ შენ ო~ო ღირს მყვენ ჩ~ნ ცოდვილნი ესე და მოგუანიჭე ჩ~ნ ცხოვრებად... კიმ. 148, 9.

**მომიწსენე** (ვის?)... **მეობ გუეყავ** (ვის?) – **ჩუენ:** მომიწსენე (?) მწსნელო სასუფეველისა ან მეობ გუეყავ მადიდებელთა შენთა ... ჰაბო, 51,12.

**მომეც** (ვის?)...**მოგვტევენ** (ვის?) ...**შეგუყვანებ** (ვის?)... **მიწსნენ** (ვის?)– **ჩუენ:** პური ჩუენი სამარადისოჲ მომეც ჩუენ დღეს და მოგვტევენ ჩ~ნ თანანადებნი ჩუენ-ნი... ნუ შეგუყვანებ ჩ~ნ განსაცდელსა ო~ო ა~დ მიწსნენ ჩ~ნ ბოროტისაგან... ად. 13 ა2.

**მიხილნა** (ვის?) ...**მოგუეგება** (ვის?)... **მოგვკითხნა** (ვის?)... **შეგვწყნარნა** (ვის?)... **შემიყვანნა...აღმიყვანნა...დაგუსხნა** (ვის?) – **ჩუენ:** ხ~ მან მიხილნა ჩ~ნ მიმავალნი მონრაფედ მოგუეგება და მონლედ მოგვკითხნა და სიხარულით შეგვწყნარნა და თქუა: ღ~თმან კეთილად მოგიყვანნა: და შემიყვანნა და სენაკად აღმიყვანნა და ვყავთ ლოცვაჲ და დაგუსხნა... კიმ. 165, 21.

**დამშჯი** (ვის?)...**დაგუბადენ** (ვის?)... **მოგუაქციენ** (ვის?) – **ჩუენ:** ნუ დამშჯი სახიერო მონათა შენთა ... რომელნი დაგუბადენ მიწისაგან და კუალად მოგუაქციენ მიწად... სასულ. 274,20.

წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში **ჩუენ** ნაცვალსახელს ხან მიცემითის ფუნქცია აქვს, ხან – სახელობითისა (ზოგჯერ კიდევ ერთსა და იმავე ფრაზაში ერთ ზმნასთან სახელობითის როლს ასრულებს, მეორესთან – მიცემითისას), მაგრამ ამ სიტყვას (**ჩუენ**) მნიშვნელობა ერთი და იგივე აქვს:

შემკრიბენ და ალგუზარდენ ჩუენ...

შთაგუბერა და მრქუა ჩუენ...

ნუ დამივინწყებ და ... მოგვკსენენ ჩუენ...

ვინაა ეს „ჩუენ“? მე და შენ, თუ მე და ის? პირველსა და მესამე მაგალითში ჩუენ-ში „მე და ის“ (ისინი) უნდა იგულისხმებოდეს: მეორე პირს მიმართავს მთქმელი: მე და ის შემკრიბე და ალგუზარდე-ო... ნუ დამივინწყებ და მოგვკსენენი-ო...

მაგალითში – შთაგუბერა და მრქუა ჩუენ – „ჩუენ“ ნაცვალსახელის შინაარსი ისე ნათელი არაა: ვის შთაბერა და ვის უთხრა მან? მე და შენ (თქვენ) თუ მე და მას? უფრო პირველი უნდა იგულისხმებოდეს სათანადო კონტექსტში, ვინემ მეორე...

**მაგრამ ასე იქნება განმარტებული „ჩუენ“ თუ ისე, გარკვეული იქნება მისი მნიშვნელობა თუ ბუნდოვანი, ეს არ წყვეტს საკითხს, საკითხს წყვეტს სხვა რამ: ზმნათა წყვილებთან ერთი და იგივე ჩუენ გვაქვს; და ეს ერთი და იგივე ჩუენ ერთ ზმნაში მ-პრეფიქსით გადმოიცემა, მეორეში – გუ-პრეფიქსით (სუფიქსების მხრივ სხვაობა არაა): შემკრიბენ და აღგუზარდენ ... შთაგუბერა და მრქუა...**

რას მონობენ ხსენებული ფაქტები? მხოლოდ იმას, რომ არ შეიძლებოდა მ- და გუ-პრეფიქსები სხვადასხვა (ანდა განსხვავებული) მნიშვნელობისა ყოფილიყო იმისათვის, ვის კალამსაც სათანადო ფრაზები ეკუთვნის (ე.ი. შეუძლებელია ჩუენ სიტყვის მნიშვნელობის ნაირსახეობაზე ვიფიქროთ და ამ ნიადაგზე ავხსნათ მ- და გუ-პრეფიქსთა ხმარება).

მაშ, რატომ იხმარებოდა პარალელურად ორივე ვარიანტი (გუაქუს || მაქუს ჩუენ), თუ მნიშვნელობის მხრივ სხვაობას ადგილი არა ჰქონდა?

იმიტომ, რატომაც ერთსა და იმავე ძეგლში, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ერთი მეორის გვერდით გვხვდება ისი და იგი, – ერთი მნიშვნელობისა, მაგრამ სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის ერთეულები. ამ ნაცვალსახელებს ახალ სალიტერატურო ქართულშიც ვიპოვით, მაგრამ სრულ სინონიმებად მათ ვერ მივიჩნევთ: ის მსაზღვრელადაც გამოდგება, სუბიექტად და ობიექტადაც გამოიყენება, იგი-ს მსაზღვრელად ვერ ვიხმართ: შდრ. ის მოვიდა – იგი მოვიდა; ის კაცი – „იგი კაცი: ეს უკანასკნელი ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით დიალექტურ ფაქტადაა გააზრებული (ძველი ქართულისათვის „კაცი იგი“-ა ნორმა!).

„ვეფხისტყაოსანში“ ისი – იგი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით სრული სინონიმები ჩანს (თუკი, საერთოდ, შესაძლებელია სრული სინონიმი გვექონდეს მეტყველებაში).

აი, ორიოდ ნიმუში იგი || ისი-ს მსაზღვრელად ხმარებისა:

**იგი:** ... იგი ველი გაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა... ტ, 172,1; კომისიის ტექსტი, უნივერ. გამოც. 19376.<sup>1</sup>

...უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუმცა ჴმდა სისხლისა დენით... ტ. 557,4.

...ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა... ტ.178,1

...იგი ქირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა... ტ 183,3.

**ისი:** ... რომე ცუდად არ მოლორდე, ისი კაცნი გლალატობენ... ტ.434,1.

...უფერო ქმნილნი მინახვან, ვარდნი და ისი იანი... ტ.223,2.

... ისი დიაცი აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა... ტ.1092,1.

... რას გექადდა ისი კაცი? მესწრაფების მეტის მეტად... ტ.1119,2.

როგორც ცნობილია, ის ნაცვალსახელი ძველი ქართულისათვის უცხო იყო, მხოლოდ იგი იხმარებოდა, (მაგრამ გვექონდა ესე: ესე– ეგე– იგი)... ახალმა ქართულმა ის გააბატონა, იგი-ც იხმარება, მაგრამ მისი გამოყენება შეზღუდულია. წარმოშობის მიხედვით ესე – ისი და ეგე – იგი ორი სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებაა. ს-იანი

<sup>1</sup> ორთოგრაფია აღდგენილია (ჴ, უმარცვლო უ).

ვარიანტი თანდათანობით ძლიერდება, გ-იანი სუსტდება; მაგრამ ორივე გვაქვს ახალ ქართულში, ძვ. ქართულშიც „აქ მყოფის“ აღსანიშნავად უკვე გვქონდა **ესე...**

ანალოგიური ვითარება ჩანს **გუ-** || **მ-**პრეფიქსთა შემთხვევაშიც: **ეს პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისა უნდა იყოს;** მათი ბედიც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ცვალებადია: თვალსაჩინო ცვლილებაა მომხდარი მათს გამოყენებაშიც (რასაკვირველია, ანალოგია ზოგად მომენტებს ეხება).

**გუ-** და **მ-** ძველ ქართულში იყო; ახალმა ქართულმა მხოლოდ **გუ-** იცის; **მ-** ვარიანტი მრავლობითისა ახალი ქართულისთვის ისევე უცხოა, როგორც **ისი** ნაცვალსახელი ძველი ქართული ძეგლებისათვის (**V-X** სს.).

ამ მხრივ ერთი ფაქტია საყურადღებო: „ვეფხისტყაოსნის“ ენამ არ იცის „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება. ერთადერთი ფორმაა **გუ-**პრეფიქსიანი ვარიანტი. ეს ნიშნავს: **XII** საუკუნიდან სალიტერატურო ქართული წყვეტს კავშირს იმ დიალექტურ სამყაროსთან, რომელსაც შემოჰქონდა „მაქუს ჩუენ“ ვარიანტი. ჩვენ საშუალება გვქონდა, სხვაგან აღგვენიშნა, რომ ერთგვარი გარდატეხა სალიტერატურო ქართულის ისტორიაში შემთხვევით არ მოდის **XII** საუკუნეზე. თბილისიდან არაბები განდევნილი არიან (1122 წ.), თბილისში გადმონაცვლა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრმა და უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან აღმოსავლეთ საქართველოს ცოცხალი დიალექტური მეტყველება საორიენტაციო: მთელი რიგი ახალი ენობრივი ფაქტი თავს იჩენს სალიტერატურო ქართულში – **დასაბამი ეძლევა ახალ სალიტერატურო ქართულს.** „ვეფხისტყაოსანში“ ამ ახალი სალიტერატურო ენის ნიმუშია წარმოდგენილი<sup>1</sup>.

„მაქუს ჩუენ“-ის რიგის წარმოება არ იცის აღმოსავლეთ საქართველოს მთის იმ დიალექტებშიც კი, რომელთა არქაიზმებიც ძველი ქართულის ზოგი ნორმის დაცვამდისაც კი მიდის (ასეთია, მაგ., ხევსურული).

„მაქუს ჩუენ“ ტიპი აღიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის სინამდვილიდან მას შემდეგ, რაც განყდა კავშირი სამხრულ და დასავლურ ქართულ კილოებთან.

ამ ტიპის წარმოება ამ კილოებიდან (ანდა, ყოველ შემთხვევაში, ამ კილოთა მეშვეობით) უნდა შესულიყო სალიტერატურო ძველ ქართულში. ამჟამად იგი დაუცავს ზანურს: ჭანურსა და მეგრულშიც ახლაც მრავლობითის პირველ პირში **მ-**პრეფიქსი გვაქვს ობიექტის აღსანიშნავად, ოღონდ ახალი ქართულის მსგავსად მრავლობითობა სუფიქსით აღინიშნება: ჭან. მა მილუნ – ჩქუნ მილუნ-ან „ჩვენ <<მ-აქვ-ენ>> – შდრ. თქვენ გაქვთ (გაქვ-ენ), მათ აქვთ (აქვ-ენ)... რიცხვში მათ, თქვენ, ჩვენ ნაცვალსახელებთან ზმნის შეთანხმება შედარებით ახალი მოვლენაა. ასევე მეორეულია ჩქუნ მილუნ-ან: ძველად აქაც უნდა ყოფილიყო ჩქუნ მ-ილუნ-ნ = „ჩუენ მაქუს“, ე.ი.: **ჩუენ მაქუს** ზანური ნორმაა, ზუსტად რომ ვთქვათ, ის ნორმაა, რომელიც ზანურმა შემოგვინახა, მაგრამ ზანურთან ახლო მდგომი ქართული კილოებისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო...

<sup>1</sup> იმ მოვლენათა შესახებ, რომლებიც ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმებად უნდა ვცნოთ, „ვეფხისტყაოსანში“, იხ. ავტორის წერილი „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ – ენიმიკის მოამბე III, 1938 (გვ. 209-227). იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „ძვ. ქართული ლექსიკისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეგუება ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, სალიტერატურო ქართულის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე – ესაა პროცესი ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისა... ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს. ქუთაისიდან პოლიტიკური ცენტრის ტფილისში გადმოსვლას გულისხმობს და მას მოსდევს“ (გვ. 227). ჩამოთვლილია ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში გვ. 224-226.



**გუ-** სხვა ქართული კილოს კუთვნილებაა. რა კილოა ეს? ამჟამად მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ: **1. ეს კილო ქართული სალიტერატურო ენის აღნაგობაში ერთი უძველესი ინგრედიენტია, 2. მისი ფაქტები სვანურის მორფოლოგიაშიც მთელს შრეს ქმნის, – საზიაროა ქართულისა და სვანურისათვის** (მაგრამ უცხოა ზანურისათვის).

აქ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ **გუ-** ელემენტი, ზემოთქმულის შესაბამისად, **ძველი კუთვნილებაა** სალიტერატურო ქართულისა, **გაცილებით უფრო ძველი, ვინემ <<მაქუს ჩუენ>> ტიპი...** რა საბუთი გვაქვს ამისათვის? ყველაზე ძველ ძეგლებში **გუ-** უფრო ხშირია, შემდეგ **მ-** ტიპი იკაფავს გზას, XII საუკუნეში კი ეს მოცილე „ერთბაშად“ ქრება.

„ხანმეტი მრავალთავის“ გამომცემელს, ა. შანიძეს სამართლიანად აქვს შენიშნული, რომ ამ ძეგლში „პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსად მრ. რიცხვში ერთხელაც არ არის ნახმარი **მ-**, არამედ ყველგან **გუ-**“<sup>1</sup>.

საჭიროდ ვთვლი მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

...უკუეთუ... **გუნებავენ** ქუეყანისა ამის სანუთროსა სარგებელი...ხანმეტი მრავალთავი: უნივ. მოამბე, VII, გვ.125.

...რაოდენისა ბევრეულისა ვედრებისა **გვღირს** რ~ლსა ჟამსა... შეინირვის... იქვე.

... მივეახლებით რ~იმცა **გუანრაფებდა** მიახლებად სასუფეველსა... იქვე, გვ.126.

...რომელ ესე დიდებაჲ **მოგუაქუს**... იქვე.

...ვ~ა პავლე მოციქულმან **გუასწავა**... იქვე, გვ.131.

...**გამოგზრნდა** ჩ~ნ დაშვილთა მაცხოვრად... იქვე. გვ.132.

...გამოგზრნდა ლ~ი ... და კულად მონებად **გუენოდა**... იქვე.

...რ~ლნი... სიგლახაკესა შევრდომილ ვიყვენით მეფობადვე მოგყვანნა... იქვე.

**გამოგზრნყინდა** და ჩჩვლთა მიხმადლა ესევე~რი...იქვე. გვ.133.

...ნინანამეტყუელო დ~თ **გვთხარ** ჩ~ნ ვინ არს ესე დღეს მომავალი... გვ.133.

... ან ყრმანო **გვთხართლა** ჩ~ნცა ვინაჲ თ~ქნ ...გვ.134.

... ხრცხუენიან და **გვთხრობენ**... გვ.137.

... ხაყენებთ და (ხეტყვთ)... ნუ **გუამხილებ** ჩ~ნსა მას უმჯულოებასა... გვ.139.

... ჩ~ნცა ზ~ა **გუაც** სიტყვს მიგებ(აჲ)... გვ.150.

ვთქვათ, ამ ტექსტს ქადაგების ხასიათი აქვს, მთქმელი „ჩვენო“ რომ ამბობს, მსმენელსაც გულისხმობს: გუასწრაფებდა მიახლებად – ვის? მე და თქვენ... ხრცხუენიან და გვთხრობენ – ვის? მე და თქვენ... შეიძლება თუ არა ამის მიხედვით დავასკვნათ: **გუ-**პრეფიქსი ყველგან იმიტომ გვაქვს, რომ ყველგან **ჩუენ** ნაცვალსახელი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, სახელდობრ, ინკლუზიურისააო (ჩუენ=მე და თქვენ)... ეს რომ ასე იყოს, **გუ-**პრეფიქსის სიძველე კი არ დამტკიცდებოდა, არამედ მისი ინკლუზიური შინაარსი ცხადი და ხელშესახები გახდებოდა... სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით:

<sup>1</sup> ა. შანიძე, „ხანმეტი მრავალთავი“, უნივ. მოამბე, VII, 1926, გვ.117. შდრ. იმავე ავტორის ზოგადი დებულება: „ადრინდელ ძეგლებში **გუ** პრეფიქსიან ფორმებს იშვიათად ვხვდებით, იქ უფრო ერთი ფორმა გვხვდება **მ-**ანიანი“ (ძველი ქართ. ენა § 40).

სხვა მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, სამი შემთხვევაა, სადაც **ჩუენ** შეუძლებელია გავიგოთ, როგორც „მე და თქვენ“.

...ნინასწარმეტყუელო დ~თ გვთხარ ჩ~ნ... (ვის? მე და მათ)

...ან ყრმანო გვთხართლა ჩ~ნცა... (ვის? მე და მათ)

...(ხეტყვო) ნუ გუამხილებ... (ვის? მე და მათ)

მეორე პირი თქუენ (||შენ), ვერ შემოვა ჩუენ სიტყვის მნიშვნელობაში, ეს გამორიცხულია: ამ მეორე პირსაა, რომ მიმართავენ...

მაშასადამე, სამსავე შემთხვევაში ჩუენ უცილობლად ექსკლუზიური შინაარსისაა, ზმნაში კი გუ-პრეფიქსი გვაქვს: 15 მაგალითიდან –სამში! გუ-პრეფიქსი დანარჩენ 12 მაგალითშიც ისევეა ინკლუზიური პირველი პირის პრეფიქსი, როგორც ამ სამში.

ერთფეროვნების მიზეზი სიძველეა: რაც უნდა იყოს, VIII საუკუნის აქეთ ამ ძეგლის დათარიღება არ გადმოინევს...

ასევე დამახასიათებელია გუ-პრეფიქსი ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ ხანმეტ ტექსტებში:

...ხიტყოდეს ვაჲ ჩუენდა რ~... მოგყუანნეს ჩუენ აქა იხილეთ ძლით ესე სიკუდილი ვ~რ ესე შეგუამთხუევენ ჩუენ: გევედრებით თქუენ გჳრუენე ჩუენ გზაჲ რ~ა ხვტყოდეთ... უნივ. მოამბე, II (1923), გვ.390.

<<ჩუენ>> უკანასკნელ მაგალითში არსებითად განსხვავდება თავისი მნიშვნელობით პირველი ორი შემთხვევისგან (გჳრუენე ვის? – მე და მათ, <<შენ>> გამორიცხულია); გუ-პრეფიქსი კი ამ ზმნაშიც ისევეა გამოყენებული, როგორც დანარჩენ ორში.

ანალოგიური ვითარებაა ჰაემეტ ტექსტში:

მიუგო სიმონ პეტრე და ჰ~ქა ო~ო ჩ~ნ გურნმენა და გვცნობიეს რ~ შენ ხარ ქმ... ა. შანიძე, „ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები“: უნივ. მოამბე, III, გვ.388.

ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში ორი შემთხვევაა დასტურდება მ-პრეფიქსისა მრავლობითში.

...დედათაცა ვიეთმე ჩ~ნგანთა დამაკვრვეს <sup>1</sup> ჩ~ნ... (ლკ XXIV 22): „ხანმეტი ლექციონარი“: უნივ. მოამბე, IX (1929), გვ. 334.

...და იგინი ხიტყოდეს ურთიერთას, ანუ არა გული ჩუენი განჯურვებულ ხიყო ჩუენ შოვრის. ვ~რ იგი მეტყოდა ჩ~ნ გზასა ზედა: და ვ~რ იგი გამოგვთარგმანებდა ჩ~ნ ნიგნთა (ლკ XXIV 32): იქვე, გვ.335.

უკანასკნელი შემთხვევა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ერთი და იგივე ჩუენ (შერთული წინადადების ორ ზმნასთან) სხვადასხვა პრეფიქსებითაა გადმოცემული, ე.ი. მ- და გუ- თანაბარ ფუნქციისადაა მიჩნეული. ეს ფუნქცია, რა თქმა უნდა, არც ინკლუზივის ჩვენებაა და არც ექსკლუზივისა: „ჩუენ“ აქ უდრის – კონტექსტის მიხედვით – „მე და თქვენ“-ს (მონაფეები „ხიტყოდეს ურთიერთას“). ამდენად აქ მ-პრეფიქსი სრულებით უადგილო უნდა ყოფილიყო.

ადიშის ოთხთავში სათანადო ადგილი (ლკ XXIV 32) ასე იკითხება:

<sup>1</sup> ასეა ეს ნაბეჭდ ოთხთავშიცა და ადიშის ოთხთავშიც.

...არა გულნი ჩნნი განწურვებულ იყვნეს ვე იგი **გუეტყოლა** ჩნ და ვრ **განგვმარტებდა** ჩნ ნიგნებსა...

ნაბეჭდო ოთხთავში (რომელიც ხშირად ოპიზა-ტბეთის ტექსტს მისდევს) გვაქვს:

...ვითარ იგი **მეტყოლა** ჩუენ გზასა ზედა და ვითარ იგი **გამომითარგმანებდა** ჩუენ ნიგნთა (ლკ XXIV 32).

რომ შევეუპირისპიროთ ეს სამი ჩვენება ერთმანეთს, ასეთ სურათს მივიღებთ:

ა დ ი შ ი თ: **გუეტყოლა...** და **განგვმარტებდა** ჩუენ...

ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი თ: **მეტყოლა...** და **გამოგვითარგმანებდა** ჩუენ...

ნაბეჭდი ოთხთავით: **მეტყოლა...** და **გამომითარგმანებდა** ჩუენ...

I. ორივეგან **გუ-**, II. მ- | **გუ-**, III. ორივეგან **მ-**. ჩვენი ვარაუდით, ესაა **მშვენიერი ილუსტრაცია ამ პრეფიქსთა გამოვლენის დინამიკისა ძველი სალიტერატურო ქართულის ისტორიულ** განვითარებაში, ოღონდ იმ შენიშვნით, რომ მარტოოდენ **გუ-**პრეფიქსი შეიძლება გვექონოდა, მაგრამ მარტოოდენ **მ-**პრეფიქსის ხმარებამდის საქმე არ მისულა: X-XI საუკუნეთა მანძილზე – **მ-**პრეფიქსის **მოსშირებისა** მიუხედავად – **გუ-**პრეფიქსი მაინც ძალაშია.

**მ-**პრეფიქსის ხმარების დინამიკა შეიძლება გავითვალისწინოთ ოთხთავის მიხედვით; შესაძარებლად ვიღებთ **ადიშისა** და **ოპიზა-ტბეთის** (ბენეშევიჩის გამოც.) ტექსტს; გადანერის თარიღის მიხედვით მათ მცირე მანძილი აშორებს (ადიშ. 897წ. – ოპიზ. 915 წ. – ტბეთი 995 წ., გადათარგმნილია კი ეს ძეგლები გაცილებით უფრო ადრე; ადიშის ტექსტი მაინც დიდი სიძველისა ჩანს).

1. **ადიშ.:** მოუწყდეს მას მონაფჴნი მისნი და ჰრქუეს **გვთხარ** ჩნ იგი ღუარძლისაჲ და აგარაკისაჲ... მთ XIII 36, ტაბ.29 a2

**ოპიზა-ტბეთ.:** **მითხარ...** ჩუენ... მთ XIII 36: ბენეშევი.

2. **ადიშ.:** ჰრქუა მათ რასა აქა სდეგით დღე ყოელ ცუდად: ჰრქუეს მას რ~ არავინ **დაგვდგინა** ჩუენ... მთ XX7, ტაბ. 42 b1

**ოპიზა-ტბეთ.:** ...არავინ **დამიდგინნა** ჩუენ... : ბენეშევი.

3. **ადიშ.:** ხ~ სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ **გუეცით** ჩნცა ზეთი... რ~ სანთელნი ჩნნი **დაგუშრტებიან** მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს ნუ უკვე ვერ **გუეყოს** ჩნ და თქნ ...მთ XXV 8-9, ტაბ. 54 a1-2.

**ოპიზა-ტბეთ.:** ...**მეცით** ჩნ ზეთისა...სანთელნი **დაშრტებიან...** ვერ **გუეყოს** ჩუენ და თქნ ... მთ XXV 8-9: ბენეშევი.

საჭიროა შევჩერდეთ ამ უკანასკნელ მაგალითზე. ოპიზ-ტბეთის „მეცით ჩნ“ ექსკლუზიური გაგებისაა და ფორმაც (**მ-**) თითქოს შესაბამისია; „ვერ გუეყოს ჩნ და თქნ“ ინკლუზიური მნიშვნელობისაა და **გუ-**ც, ერთი შეხედვით, თავის ადგილასაა. ამგვარად, ოპიზა-ტბეთის ეს ადგილი იმის სარწმუნო მაგალითი ჩანს, რომ **მ-** და **გუ-**განსხვავებული ფუნქციისაა: ერთი – ექსკლუზიურისაა, მეორე – ინკლუზიურისა.

მაგრამ საკმარისია ამას შევეუპირისპიროთ სათანადო ადგილი ადიშის ოთხთავიდან, რომ ხსენებულ ფაქტებს სხვაგვარი გაშუქება მიეცეს: ადიშის ტექსტში აქ ყველგან **გუ-**პრეფიქსია: **გუეცით... გუეყოს... დაგუშრტებიან** უკანასკნელი ზმნა ოპ.-ტბეთის ტექსტში ერთპირიანია: სანთელნი **დაშრტებიან**), ე.ი. არავითარი ექსკლუზივი და

ინკლუზივი, არავითარი სხვაობა ფორმაში, თუმცა „ჩუენ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა **გუეციით...დაგუმრტებიან** ზმნებთან სხვაა (ექსკლუზიურია: თქუენ მოგუეციით მე და მათ), **გუეყოს** ზმნასთან სხვა (ინკლუზიურია: გუეყოს ჩუენ და თქუენ)...

**ჩუენ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის სხვაობას, როგორც ვხედავთ, ზმნა არავითარ ანგარიშს არ უწევდა, ყველგან **გუ-** იხმარებოდა. შემდეგ ერთ-ერთ ზმნაში **გუ-**ს ადგილი **მ-**პრეფიქსმა დაიჭირა (სხვა დიალექტური ნორმა შემოიჭრა!) და ამ **შემ-თხვევის** გამო შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა ჰქონოდა ოპიზა-ტბეთის ტექსტს მხედველობაში!

წარმოვიდგინოთ, რომ ესა თუ ის მწერალი ამჟამად ხმარობს ფორმებს: **ს-ჩანხარ, ს-დგახარ, ს-ტირი...** და ამასთან: **ს-ჩანს, ს-დგას, ს-ტირის...** შეიძლება თუ არა აქედან დავასკვნათ: მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად ეს მწერალი **ს-**პრეფიქსს ხმარობსო (ამ ზმნებში)... ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა: **ს-ჩანხარ** ფორმაში **ს** ისევე არაა პირის ნიშანი, როგორც **ს-ჩანს** ფორმაში **პრეფიქსი ს** პირის ნიშნად არ მიიჩნევა... არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში **ს-**პრეფიქსი სუბიექტის ნიშანი არაა იმ პირისთვის, ვინც **ს-ჩანხარ, ს-ჩანს** ფორმებს ხმარობს. **ს-**პრეფიქსის ნამდვილ ღირებულებას მეორე პირთან (ს-ჩან-ხარ) შუქსა ფენს მესამე პირის ფორმა (**ს-ჩანს**); და ეს სავსებით კანონზომიერია: პირთა ფორმები სისტემას ქმნიან, სისტემის მონაწილე ყოველი წევრის ადგილი კი სხვა წევრთან მიმართებას გულისხმობს, – ესაა **ერთ-ერთი** (მაგრამ არა ერთადერთი!) **ძირითადი თვისებათაგანი** სისტემაში შემავალი ფაქტებისა.

რაც **ს-**პრეფიქსის შესახებ ითქვა, სავსებით ვრცელდება **გუ-** და **მ-**პრეფიქსებზედაც. კიდევ ორიოდე მაგალითი:

4. **ადიშ.:** ჰრქუეს მას **მოგუეც** ჩწნ რწა დავსხდეთ მარჯულ შენსა... მკვ X 37, ტაბ. 87 a2-b1.

**ოპიზა-ტბეთი.:** ... **მომეც** ჩუენ რწა დავსხდეთ... ბენეშევ.

აქაც „უმართებულო“ **გუ-** (მოგუეც: უნდა ყოფილიყო მე და მათ – მომეც) უფრო ახალ ძეგლში „მართებული“ ფორმითაა შეცვლილი მო-მეც ჩუენ (მე და მათ). გამოდის, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა მეცხრე საუკუნეში არ უნდა ყოფილიყო და მათე საუკუნეში უფრო მკვეთრი გამხდარა! ნამდვილად კი ამაში სხვა ტენდენცია ისახება; **გუ-**პრეფიქსის ადგილს იჭერს **მ-**, – სხვა დიალექტური წრის ნორმა.

ან კიდევ:

5. **ადიშ.:** და ევედრებოდეს მას და ჰრქუეს **მიგუავლინენ** ჩწნ ღორებსა იმას... მკვ V12, ტაბ. 73 a1.

**ოპიზა-ტბეთი.:** ...**მიმავლინენ** ჩუენ ღორებსა იმას... ბენეშევ.

6. **ადიშ.:** გიძლავს თუ რამე **შეგვენე** ჩწნ და წყალობა ყავ ჩწნ ზედა... მკვ IX, 22,83 b2.

**ოპიზა-ტბეთი.:** **შემენიენ** ჩუენ და წყალობა ყავ ჩუენ თვს...

7. **ადიშ.:** მოძღუარ მოსე **დაგვნერა** ჩწნ... მკვ. XII 19 ტაბ.91 a1.

**ოპიზა-ტბეთი.:** მოძღუარ მოსე ესრე **დამინერა** ჩუენ...

8. **ადიშ.:** ...მან გიჩუენოს თქნ ქორი დიდი და მუნ **დაგუმზადეთ** ჩწნ... მკვ. XIV, 15 95 b1.

**ოპიზა-ტბეთი:** ...და მუნ მზა მიყავთ ჩუენ...

9. **ადიშ:** ღაღატ ყვეს და თქუეს **მინყალენ** ჩვენ იჰქდო დთისო ხ~ ერმან მან შეჰ-რისხნა მათ რა დადუმნეს მათ უფროჲს ღაღატ ყვეს და თქს გვწყალენ ჩნ ძეო დთისო და დადგა იჰჰმა უყო მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს და გიყო თქნ ჰრქუეს მას ოო რა **აღმეხუნენ** ჩნ თვალნი... მთ. XX, 30 -33, 43 ხ2.

აქ <<ექსკლუზიური ჩუენ.>> **მინყალენ, აღმეხუნენ** ფორმებს კარგად შეენყო-ბოდა, იქვე რომ არ გვექონდეს **გვწყალენ** იმავე ჩუენ ნაცვალსახელისათვის: მინყალენ || გვწყალენ ჩუენ...

**ოპიზა-ტბეთი:** ... შემინყალენ ჩნ ... უფრ~ს ღაღადებდეს შემინყალენ ჩნ ოო ... **აღგუეხილენ** თუალნი ჩუენნი...

აქ პირველი ზმნა **მ**-პრეფიქსით მეორდება, მაგრამ **გუ**-პრეფიქსი აღმოაჩნდა მესამე ზმნას (**აღგუეხილენ**), რომელიც ადიშში **მ**-პრეფიქსიანი იყო (**აღმეხუნენ**)... **გუ**-პრეფიქსი ინკლუზიურ ჩუენ ნაცვალსახელისა კონტექსტს არ ეფარდება: ბრძებები ყვირიან – ჩვენ თვალი აგვიხილეო! ვისაც მიმართავენ, ვინც უნდა აუხილოს თვალი, ის ამ **ჩვენ**-ში ვერ შემოვა, თვალხილულია...

10. **ადიშ:** პური ჩუენი სამარადისოჲ **მომეც** ჩუენ დღეჲს და **მოგვტევენ** ჩნ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შეგუყვანებ ჩნ განსაცდელსა ოო ად **მიჰსნენ** ჩნ ბოროტისაგან... მთ VI 11-13 ტაბ.13 ა2 (იხ. გვ.103).

ორი **გუ**-პრეფიქსი მაინც გამოერია, თუმცა შესაბამისი ჩუენ არაფრით არ გამოირჩევა იმ ორი სხვა ჩუენ-ისაგან, ზმნაში რომ **მ**-პრეფიქსს აჩენს...

**ოპიზა-ტბეთისაში** ოთხსავე შემთხვევაში **მ**-პრეფიქსი გვაქვს: ... პური [ესე] ჩუენი არსობისაჲ **მომეც** ჩუენ დღეს და **მომიტევენ** ჩუენ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა ად **მიჰსნენ** ჩუენ ბოროტისაგან...

ადიშის ოთხთავის **გუ**-პრეფიქსი არა ერთგან ოპიზა-ტბეთის ოთხთავშიც ამავე სა-ხითაა დაცული. მასთან დიდ წილ შემთხვევაშიც **ჩუენ** ნაცვალსახელის გარკვეულ (ინ-კლუზიურ) გაგებასთან რაიმე კავშირზე ლაპარაკი შეუძლებელი ხდება: მხედველობა-ში გვაქვს ის შემთხვევები, სადაც მეორე პირისადმი მიმართვაა გადმოცემული და, მა-შასადამე, ეს მეორე პირი გამორიცხულია (ჩუენ=მე და მათ... და არა: მე და თქუენ)...

**გუ**-პრეფიქსი თითქოს არ გამორიცხავს ინკლუზიურ გაგებას:

**ადიშ:** ... და ურთიერთას იტყოდეს რ~ პური არა **გუაქუს**...და ჰრქუა მათ რაჲსათჲს განჰზრახავთ. რ~ პური არა გუაქუს... მკზ VIII 16, ტაბ. 81 ა2.

**ოპ.-ტბ:** ...არა **გუაქუს**...

**ადიშ:** ეტყოდეს მას და ჰრქუეს განუტევე ესე. რ~ შეგუდგს ჩნ და ღაღადებს... მთ XV 23, ტაბ. 33 ხ1.

**ოპ.-ტბ:** ...**შეგუდგს** ჩუენ...

**ადიშ:** ჰრქუეს მას ნათლისღებად **გვძლავს** ... მთ XX 22, ტაბ.43 ხ1.

**ოპ.-ტბ:** ... მათ ჰრქუეს ძალ **გვც**...

**ადიშ:** ...ვთქუათ თუ ზეცით იყო: **გურქუას** რად არა გრწმენა მისი უკვეთუ ვთქუათ კაცთაგან იყო **გვეშინის** ერისაგან... მათ XXI 25,45 ხ1-2.

**ოპ.-ტბ.: გურქუას ჩუენ...გუეშინის** ერისა ამის...

**ადიშ.:** და თქუა ბასრობს რაჲსალა **გუეშ** მონამე...მთ XXVI 65, ტაბ. 60 a1.

**ოპ.-ტბ.:** რაჲსა[ლა] **გუეშ** მონამენი...

**გუ-**პრეფიქსთან გამორიცხულია ინკლუზიური გაგება [**ჩუენ**= მე და იგი || იგინი (მე და მას || მათ)]:

**ადიშ.:** ...და ჰრქუეს მოძღუარ **გუნებავს** რა რაჲცა გთხოვთ: **მიყო** რენ... მკვ X 35, ტაბ. 87 a 2.

**ოპ.-ტბ.:** ...მოძღუარ **გუნებავს** რა რაჲცა გთხოვთ **მიყო** ჩუენ... ბენეშევ.

**ადიშ.:** ... მოვიდენ სხუანი იგი ქალწულნი და იტყოდეს ოო ოო **განგულე** რენ ... მთ XXV 11, ტაბ. 54 a 2.

**ოპიზა-ტბეთ.:** ... **განგულე** რენცა ... ბენეშევ.

**ადიშ.:** მიუგო პეტრე და ჰრქუა მას **გამოგუთარგმანე** რენ იგავი ეგე... მთ XV 12 ტაბ. 54 a 2

**ოპიზა-ტბეთ.:** ...**გამოგუთარგმანე** ჩუენ იგავი ეგე... იქვე: ბენეშევ.

**ადიშ.:** და ჰრქუეს მოძღუად **გუნებავს** შენგან სასწაულისა ხილვაჲ... მთ XII 38, ტაბ. 26 a 2.

**ოპიზა-ტბეთ.:** ...**გუნებავს** შენგან... იქვე, ბენეშევ.

**ადიშ.:** ...ევედრებოდეს მას და იტყოდეს **განთუგუასხამ** რენ **გუბრძანე** ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორებისასა... მთ VIII 31, ტაბ.17 a 2-b1.

**ოპიზა-ტბეთ.:** ...უკუეთუ **განგუასხამ**... **გუბრძანე** ჩუენ...იქვე, ბენეშევ.

**ადიშ.:** ხ მათ ჰქს მას არა **გუაქუნს** აქა გარნა ხუთი პური და ორი თევზი... მთ. XIV 17, ტაბ. 31 b1.

**ოპიზა-ტბეთ.:** ... არა **გუაქუნს** აქა...

**ადიშ.:** ჰრეკეთ მას და ეტყვედ. **გუნინანარმეტყუელბ** რენ ქჷ ... მკვ XIV 65, ტაბ. 98 a 2.

**ოპიზა-ტბეთ.:** **გუნინანტყუელბ** ჩუენ...

ადიშის ოთხთავიდან შესადარებლად აღებული გვქონდა მათე და მარკოზი: მხოლოდ ეს ნაწილია ოპიზა-ტბეთის ოთხთავიდან გამოცემული (ბენეშევიჩის მიერ). სათანადო მასალის შედარებითი ანალიზი ზევითაა მოცემული <sup>1</sup>.

ამის შემდეგ ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგი ციფრობრივი მაჩვენებელიც დაფურთოთ.

**01 მრ. ადიშისაში** გვაქვს: მ- 13, გუ- 39.

**ოპიზა-ტბეთისაში** „ : მ- 21, გუ- 25.

შენიშვნა: 6 შემთხვევაში ზმნას მრავლობითის პირველი პირის ობიექტის ფორმა არა აქვს:

<sup>1</sup> ჩვენ განზრახული გვქონდა, ოშკის დაბადების (X ს.) ტექსტიც განგვეხილა (შედარებით), მაგრამ არც ამ ძეგლის ფოტოპირი, არც ხელნაწერი გადაღებული აქედან, ჩემთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა.

**ადიშ.**: სულგრძელ მექმენ ჩუენ ზა (მთ XVIII 29) – **ოპიზა-ტბეთ.**: სულგრძელ იქმენ ჩემ ზა...

„პური არა გუაქუნს (მთ. XVI 7) – **ოპიზა-ტბეთ.**: პური არა მოვილეთ...

„დამასნორენ ჩინ იგი (მთ XX 12) – **ოპიზა-ტბეთ.**: სნორ ჩუენდა ჰყვენ იგინი ... და ა.შ.

ამრიგად, **მ-** || **გუ-**პრეფიქსიან ფორმათა რიცხვი ოპიზა-ტბეთისაში ადიშის მაგალითებთან შედარებით ექვსით ნაკლებია. ამისდა მიუხედავად, გარკვეული დინამიკა ჩანს **მ-** || **გუ-**ს სიხშირის შეფარდებაში:

ადიშის 13 : 39, ოპიზა-ტბეთ.: 21 : 25

**გუ-** ისე ჭარბადაა გამოყენებული ადიშის ძეგლში, რომ კაცი იფიქრებდა: ესაა შემზადება XII-XIII საუკუნის საერო ლიტერატურის ნორმისა, როცა **მ-**, როგორც **O<sub>1</sub>** მრავლ., სრულიად გამქრალია... ადიშის ძეგლი, როგორც ეს ეჭვმიუტანლად გარკვევა კორნ. კეკელიძემ, 897 წელსაა გადაწერილი (და არა XII ს. დასაწყისში, როგორც წინათ ზოგი მკვლევარი ფიქრობდა)...

ამგვარად, **გუ-**ს სიჭარბე IX საუკუნეში გადაწერილ ძეგლში დასტურდება. მერე: ხანმეტსა და ჰამეშტ ძეგლებში **გუ-** ან ერთადერთი ფორმანტია **O<sub>1</sub>** მრავლ. ანდა თითქმის ერთადერთი: **მ-** – **O<sub>1</sub>** მრავლ. აქ გაცილებით უფრო იშვიათია, ვინემ X-XI საუკუნის ძეგლებში. ეს ნიშნავს: XII საუკუნის საერო ლიტერატურის ნორმის შემზადებად ვერ მივიჩნევთ **გუ-**პრეფიქსის სიხშირეს ადიშის ოთხთავში: აქ ეს არქაიზმია.

ამ კონტექსტში შეიძლება მოვიგონოთ სხვაგვარი არქაიზმებით მდიდარი ისეთი ძეგლის ჩვენება, როგორიცაა „უდაბნოს მრავალთავი“ (საქართველოს მუზეუმის ხელნაწ. 1139).

ამ ძეგლში **მ-** || **გუ-**პრეფიქსთა შეფარდება ასეთია: 25 : 114. სამწუხაროდ, ტექსტის შინაარსი იმგვარი შედარების შესაძლებლობას არ იძლევა, როგორც ოთხთავის მასალის მიმართ გამოვიყენეთ. შეუძლიათ გვითხრან: იქნებ, ინკლუზიური შინაარსით ნახმარი **ჩუენ-**აა ტექსტში გამოყენებულიო. რა თქმა უნდა, არა (უადგილობის გამო აქ საილუსტრაციო მასალა არ მოგვყავს).

„იაკობ ხუცესის ჟამის წირვაში“ (ხელნაწ. 86, გამოცემულია კორნ. კეკელიძის მიერ) პირველი პირის ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად ნახმარია:

**მ-** – 18-ჯერ, **გუ-** – 35-ჯერ.

აღსანიშნავი ისაა, რომ ამ 35 შემთხვევიდან 31-ში **გუ-** მოუდის ისეთ ზმნას, რომლის სუბიექტიც მეორე პირია და, მაშასადამე, **ჩუენ ობიექტი ინკლუზიური შინაარსით შეუძლებელია იყოს ნახმარი:**

შეგვწყალენ ჩუენ 12,8; 41,3; 41,6

მოგვწყენენ ჩუენცა 57,8

დაგვცვენ ჩუენ 80,5; 83, 15

დაგუანყნარენ ჩუენ 85,5

გუაკურთხენ 83,2

განგუანათლენ 104,1

გუასმინენ 17,7

მოგუხედენ 25,3

მოგუმადლე 25,5; 122,9

მოგუანიჭე 5,17; 40,12 და სხვ.

ძველი ქართულის პარალელური ფორმებიდან **შეგვწყალენ** || **შემინწყალენ ჩუენ** ... **გუაქუს** || **მაქუს** ჩუენ **გუ**-პრეფიქსიანი ფორმებია **სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უფრო ძველი**.

ამრიგად, ძველი ქართული ძეგლების მონაცემთა ანალიზმა იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ:

1. **გუ**-პრეფიქსი **მრავლობითის ნიშანი ისევე არ ყოფილა ძვ. ქართულში, როგორც მ-**: თუ **ჩუენ** სახელობითის ფუნქციით იყო ნათქვამი, მისი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნებოდა, მაგრამ **სუფიქსით** (გან-**გუ**-აახლ-**ნ**-ა მან **ჩუენ**): სულ ერთი იყო **მ**-პრეფიქსს ვიხმარდით, თუ **გუ**-პრეფიქსს.

თუ **ჩუენ** მიცემითის ფუნქციით იყო აღჭურვილი, მისი მრავლობითობა ალუნიშვნელი რჩებოდა ისევე, როგორც **თქუენ**, **მათ** ნაცვალსახელთა (მიცემ.: აქუს **მათ**, **გ**-აქუს თქუენ, **მ**-აქუს || **გუ**-აქუს ჩუენ).

მრავლობითის პრეფიქსად **გუ**- ძველ ქართულში იმიტომ გვეჩვენება, რომ ახალ ქართულში აქვს ამ ფორმანტს ასეთი მნიშვნელობა: **გუაქუს** ჩუენ-ში **გუ**-ს მიჩნევა მრავლობითის ნიშნად – ესაა ახალი ქართულისეული გაგების გადატანა ძველ ქართულში, ე.ი. ისტორიული პერსპექტივის დაუცველობა.

როგორ იქცა **გუ**- მრავლობითის პრეფიქსად? იმავე გზით, როგორადაც **-ან**, **-ენ**, **-ეს** სუფიქსები იქცა **მესამე პირის** მრავლობითის ფორმანტებად, თუმცა თავდაპირველად ესენი მარტოდენ **სიმრავლის** მაჩვენებელი იყვნენ.

2. **გუ**- და **მ**- სხვადასხვა დიალექტური წრის მიერაა შემოტანილი სალიტერატურო ქართულში. ამ უკანასკნელში **გუ**-პრეფიქსი უძველესია, **მ**-პრეფიქსია მინარევია. **მ**-პრეფიქსის მოხშირება **X-XI** საუკუნეებზე მოდის; **XII** საუკუნის საერო ლიტერატურის ენაში **მ**-პრეფიქსი (მაქუს ჩუენ ტიპი) ქრება; **მაქუს** ჩუენ ნარმოება ზანურია, უფრო ზუსტად, ზანურისებურია.

3. **გუაქუს** || **მაქუს** ფორმათა სხვაობას ინკლუზიური და ექსკლუზიური გაგება საფუძვლად ძველ ქართულში არ უდევს.

ცალკეული ფაქტები, სადაც **მ**- ექსკლუზიურსა და **გუ**- ინკლუზიურ გაგებას **იგუებს**, შემთხვევითია; ის მიღებულია მარტივი ალბათობის ნიადაგზე: გვაქვს **ორი** აფიქსი, ვვარაუდობთ **ორ** ფუნქციას: შეუძლებელია, ზოგან დამთხვევა არ მივიღოთ (ზევით, აღიშისა და ოპიზა-ტბეთის მაგალითთა შედარებისას, ვნახეთ, თუ როგორ ხდება ეს).

ასეთია საქმის ვითარება, თუ **ძველი ქართულის ფაქტებს, ქართული ენის მონაცემთა** მიხედვით, **ქართული ენის ისტორიული განვითარების პერსპექტივაში** დავაფასებთ.

მაგრამ სხვაგვარი შთაბეჭდილება შეიძლება მივიღოთ, თუ სვანურის ჩვენებას დავემყარებთ: სვანურში პირველი პირის მრავლობითში გარჩეულია ინკლუზივი და ექსკლუზივი, – ეს ეხება სუბიექტის პირველ პირსაც და ობიექტისასაც. მერე, რაც ხაზგასასმელია, ობიექტის ინკლუზიური ფორმა **გვ**-პრეფიქსითაა გადმოცემული.

სწორედ სვანურზე დაყრდნობით იძლეოდნენ ძვ. ქართულის ფორმის თავისებურ განმარტებას: **გუ**-|| **მ**-პრეფიქსთა გამოყენება ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოვლენააო.

„ვინაიდან ძვ. ქართულს **O<sub>1</sub>** მრავლ. ორი ფორმა აქვს, რომლებიც, მართალია, მნიშვნელობის მიხედვით უკვე აღარ განსხვავდება, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ინ-



კლუზიურ და ექსკლუზიურ პრეფიქსთა სხვაობა ძველია და მხოლოდ სვანურს აქვს შემორჩენილიო“ – ნერს გ. დეეტერსი<sup>1</sup>.

„ გს - და ნ- ფორმანტებთან დაკავშირებით ძველი ქართულის გუ და მ- გვაგონდება. უკანასკნელთა შორის, ალბათ, ისე იყო როლი განაწილებული, როგორც დღეს არის სვანურში. გვგონია, რომ გს - შეესაბამებოდა გუ-ს ხოლო ნ- – მ-ს. მეგრულში გუ არა ჩანს, ალბათ, დაიკარგა“ – ვკითხულობთ ვ. თოფურიას მონოგრაფიაში სვანური ზმნის შესახებ<sup>2</sup>.

ამავე საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა კარპ. დონდუამ<sup>3</sup>. ავტორის დასკვნა ასეთია:

ძველი ქართულის ძეგლებში დარჩენილია ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალი. ინკლუზივის ნიშანია გუ-პრეფიქსი, ექსკლუზივისა – მ. გუ-პრეფიქსი „მეტად ძველი პრეფიქსია სვანურსა და ძველ ქართულში“.

ძვ. ქართულში გუ-ს „უკვე აღებული აქვს თავის თავზე ოდესღაც ექსკლუზიური მ-პრეფიქსის ფუნქცია. გუ-ს შეუფერებელი გამოყენების მაგალითები ხშირია, მ-ექსკლუზივისთვის უფრო თანამიმდევრულადაა გამოყენებული...“

ავტორს აღნიშნული აქვს, რომ არის შემთხვევები, სადაც გუ- || მ-პრეფიქსები ერთსა და იმავე ჩუენ-ზე მიუთითებენ, მაგრამ შეუმჩნეველი რჩება მიგუავლინენ, გვწყალენ რიგის ფორმები, სადაც ობიექტის მრავლობითობა სუფიქსით არის გადმოცემული და გუ-ს საამისო ფუნქცია არა აქვს, არც სათანადო დასკვნებია გაკეთებული.

კარპ. დონდუასთვის ისევე, როგორც ვ. თოფურიასთვის ამოსავალია სვანურის ვითარება, სვანურში ინკლუზივისა და ექსკლუზივის კატეგორიათა არსებობა.

ეს ბუნებრივიცაა: ქართველურ ენათა შორის სვანურს რიგს შემთხვევაში ძველისძველი მოვლენები აქვს შემორჩენილი. მაგრამ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმათა წარმოებას სვანურში იმდენი სირთულე ახლავს, რომ, სანამ მას არ მოეველება, სვანურის ეს კატეგორიები ქართულის ძველს ვითარებას ვერ გამოგვირკვევენ. პირველ რიგში, პასუხი უნდა გავცეთ კითხვაზე: **პირველადი, ძველი მოვლენაა სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიათა გარჩევა თუ მეორეული?** ამჟამად, ვფიქრობთ, მეტი საბუთი არსებობს იმისათვის, რომ სვანურში ამ კატეგორიათა მეორეულობა ვამტკიცოთ, ვინემ – პირუკუ.

სვანურიო, რომ ვამბობთ, ამას დაზუსტება ესაჭიროება. სვანური რთული შედგენილობისაა; მასში შეინიშნება: ერთი ფენა, რომელიც მას ქართულთან აკავშირებს; მეორე ფენა, რომელიც ზანურიდან (ჭანურ-მეგრულიდან) მოდის; მესამე ფენა, რომელიც გარკვევით ადილურ მასალას წარმოგვიდგენს; და კიდევ ერთი, რომელიც კანონზომიერ შეფარდებაშია ქართულთან (და მით ზანურთანაც). **ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით სწორედ ეს უკანასკნელი ფენაა, რომელსაც უფლება აქვს „სვანურის“ სახელი ატაროს და ქართულისა და ზანურის გვერდით ახალ, ცალკე ერთეულად იყოს მიჩნეული ქართველურ ენათა წრეში.**

<sup>1</sup> Deeters G., Das kharthw. Verbum, 1930, § 45, გვ. 27.

<sup>2</sup> სვანური ენა, I, ზმნა (1931) § 6 B<sub>1</sub>, გვ 26, სვანური უმარცვლო უ ხან ჭ-თია ქვემოთ გადმოცემული, ხან ვ-თი (წყაროს მიხედვით).

<sup>3</sup> Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском: კრებული: «Памяти акад. Н.Я. Марра» (1938), გვ. 135-151.

სანამ სვანური ინკლუზივ-ექსკლუზივის ჩვენებათა შედარებითი ანალიზი და კვალიფიკაცია იქნებოდეს მოცემული, საჭიროა ფაქტობრივი ვითარება სქემატურად გავითვალისწინოთ.

ეს ვითარება ვრცლად არის განხილული ვ. თოფურის გამოკვლევაში სვანური ზმნის შესახებ (იქვეა გადმოცემული, სხვა ავტორთა შეხედულებანიც). წარმოვადგენთ ძირითად დებულებებს:

a. ექსკლუზივი და ინკლუზივი სუბიექტის ფორმებშიც გაირჩევა და ობიექტისაშიც:

ექსკლ.: ნა <b>ხჷ</b> -არი-დ	„ვართ“	ტ-ჷ-იხედ „ვაბრუნებთ“
	ნ-აყა „გყყავს“ (მე და ის) (მე და მას)	
ინკლ.: ნა <b>ლ</b> -არი-დ	„	ლგ-ტხედ ვაბრუნებთ
	<b>გჷ</b> -აყა „გყყავს“ (მე და შენ) (მე და შენ)	

**ხვ** = S<sub>1</sub> ექსკლ. ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან    **ნ** – O<sub>1</sub> ექსკლ.

**ვ** - „ „ თანხმოვნით „ „

**ლ** – S<sub>1</sub> ინკლ.

**გჷ** – O<sub>1</sub> ინკლუზ.

b. სუბიექტურ ფორმათა ინკლუზივი და ექსკლუზივი ყველა სვანურმა კილომ იცის, ობიექტის ფორმებში კი ეს კატეგორიები მხოლოდ ზემოსვანურმა (ინგურის ხეობა ბალს ზემოთ და ბალს ქვემოთ!) იცის, ქვემო სვანურში – ლაშხურ-ლენტიხურში ეს ფორმები გარჩეული არაა, O<sub>1</sub> მრავლობითი ერთი ფორმითაა ცნობილი და სათანადო ფორმანტი არის **გვ** : გვ-აყა „გყყავს“.

**გვ**-პრეფიქსი, ამრიგად, სვანური კილოებისათვის საერთოა, ოღონდ მას ზოგან ქართულის მსგავსად ზოგადი მნიშვნელობა აქვს, ზოგან კი ინკლუზიური გაგება ახლავს.

c. ობიექტისა და სუბიექტის ექსკლუზიურ და ინკლუზიურ ფორმანტთა აღნაგობაში არავითარი კანონზომიერი შეფარდება არა ჩანს: ფონეტიკურად ერთმანეთთან ახლოს მყოფი **ნ** – **ლ**, **ხვ** – **გვ** ფუნქციით ძირითადად განსხვავდებიან:

**ნ** – ობიექტის ექსკლუზივისაა, **ლ** – სუბიექტის ინკლუზივისაა,

**გვ** – ობიექტის ინკლუზივისაა, **ხვ** – სუბიექტის ექსკლუზივისაა.

მერე: ამ პრეფიქსთა შეფარდება მხოლოდობითის პირველი პირის პრეფიქსებთან არაა ერთგვარი: „ვერ ვიტყვით, **ლ**- S ინკლ. ისეთსავე მიმართებაში იყოს **ხვ** S<sub>1</sub> მხოლ., როგორშიც **გვ** – O<sub>1</sub> ინკლ. – **მ** – O<sub>1</sub> მხოლოდობითში <sup>1</sup>.

d. O<sub>1</sub> ინკლ. **გჷ** ვ. თოფურის რთული შედგენილობის პრეფიქსად აქვს ნაგულები და ასე შლის: **გ**- O<sub>2</sub>, **ჷ** ← **მ** O<sub>1</sub>... <sup>2</sup>.

ეს, ერთი შეხედვით, სავსებით ბუნებრივი ვარაუდი მეტად რაციონალური გამოდის და მერე, რაც მთავარია, მას **ხჷ**-პრეფიქსის ჩვენება ელოდება: **ხს** პრეფიქსი არ იშლება ამ წესით; უკეთ რომ ვთქვათ, იშლება, მაგრამ ინკლუზიური შინაარსისა გამოდის

<sup>1</sup> კ. დონდუა, Категория инклюзива-эксკლюзива: კრებული, გვ. 143.

<sup>2</sup> სვანური ენა, § 6, Ва, გვ. 26.

და არა ექსკლუზიურისა: **ბ** – **ს<sub>2</sub>**, **ჟ** – **ს<sub>1</sub>**. ეს გარემოება, ვ. თოფურიას თქმით, გადაულა-ნავი დაბრკოლებაა **ბს** -ს დაშლისათვის (იმ წესით, რა წესითაც **გს** იქნა დაშლილი) <sup>1</sup>.

ექსკლუზიური **ბ**-ს „შედგენილობაც“ ფუნქციის შესაბამისად ვერ იხსნება... <sup>2</sup>.

სუბიექტის ინკლუზივი და ექსკლუზივი სვანურის ყველა კილოში გვაქვს, ობიექტისა – არა: **გუ** - || **ბ**- მხოლოდ ზემოსვანურში იხმარება. როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? ყველგან იყო გარჩეული და ახლა მიმდინარეობს ამ კატეგორიათა მოშლა თუ პირუკუ: ამჟამადაც არაა დასრულებული პროცესი **გს** - || **ბ**-პრეფიქსთა გამოყენებისა ინკლუზიური და ექსკლუზიური **ო<sub>1</sub>** ფორმანტებად? ჩვენ უკანასკნელი შესაძლებლობა მიგვაჩნია უფრო სარწმუნოდ.

რატომ? იმიტომ რომ ზემო სვანურშიც **გს** - || **ბ**-პრეფიქსთა ხმარებაში გვაქვს ერთგვარი რყევა. სათანადო ფაქტები დადასტურებულია ვ. თოფურიას მიერ, ის წერს:

„უშგულურში, რომელსაც ლაშხურის გავლენა ეტყობა, **გს** -სა და **ბ**-ს ხმარების წესი საკმაოდ არეულია, რაც ინკლუზივ-ექსკლუზივს შორის არსებული სხვაობის ნაშლასა და **ბ**-ს დაკარგვის დასაბამს მოასწავებს“ <sup>3</sup>.

ავტორის მიერ მოყვანილი უშგულური მაგალითები – მწა ჯეკჷეს, ეჯა გჷწყრ („რაც გსურდეს, ის გვიყავ“)... დედი ჟოგუხჷტ „ანდა ამოგვწყვიტე“ <sup>4</sup> იმდენად აღრევას არ მონშობს, რამდენადაც **გს**-პრეფიქსის **ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებას**; ეს სავესებით იმ რიგის მაგალითებია, ძველი ქართული ტექსტებიდან რომ მოვიყვანეთ ზემოთ: **გამოგვთარგმანე** ჩუენ... **განგვლე** ჩუენ... **გვბრძანე** ჩუენ... **გუ**- იქ ზის, სადაც სვანურში **ბ**-ს მოველოდით (და ძვ. ქართულში **მ**-ს, თუკი ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები გამიჯნული აღმოჩნდებოდა).

მსგავსი ფაქტები შენიშნული აქვს იმავე ავტორს იფარელთან და ეცერელთან; იფარში მსმენიაო: შჷიდებდე ლოგჷჷკედა (ნაცვლად შჷიდებდე ლანჷკედა-სი – „მშიდობითაც მოგიხველ!“)... „სი ოლ გჷირი შჷიდებდ“ (–„შენმცა გვეყავხარ მშიდობით“) – ეცერელმა ასე დაგვლოცა აქ თბილისშიო“ და დასძენს: „ამათ მსგავსი მაგალითები სულ რამდენიმელა მოიძებნება შეკრებილს მასალებში. სარკვევია, თუ რატომაა ეს. უნდა ითქვას, რომ: 1. **ბ**- ნიშნის ნაცვლად **გს**-ს ხმარების შემთხვევა იმდენად მცირეა ჩვენს მასალებში და 2. **ბ**- და **გს**- იმდენად ცოცხალი ფორმანტებია ზემოსვანურში, რომ არა გვგონია, ეს ამ უკანასკნელთა აღრევით იყოს გამოწვეული. ჩვენი მასწავლებლები მათ არასოდეს არ რევედნენ ერთმანეთში. მათი არევა არც დაბეჭდილ პროზაულ ტექსტებში შეინიშნებაო“ <sup>5</sup>.

აღრევა აქ, მართლაც, არა გვაქვს; აღრევა იქნებოდა, **გს** - გვეპოვა იქ, სადაც **ბ**-ს მოველოდით და, პირუკუ, **ბ**-პრეფიქსი მჯდარიყო იქ, სადაც **გს** - ს ადგილია. აქ კი ნორმის ცალმხრივ დარღვევას ვხედავთ: **ბ**- უნდა იყოს და **გს** - არის, ე.ი. **ბ**-პრეფიქსის გამოყენების არეა შეზღუდული და **გს**-პრეფიქსისა, პირიქით, გაფართოებული. ზევით უკვე ვთქვით, რომ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ძველ ქართულშიც.

<sup>1</sup> სვანური ენა, § 6, Ba, გვ. 29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28

<sup>3</sup> იქვე, გვ. 25

<sup>4</sup> იქვე, გვ. 26

<sup>5</sup> იქვე, შენიშვნა.

ლაშხურის გავლენით უშგულურში ნორმათა შერყევა ერთგვარად მოულოდნელია.

თუ ლაშხურსა და ლენტეხურში **ეს** - გარჩეული იყო და სხვაობა მერეა მოშლილი და ამ გზით მივიღეთ, მარტო **ეს**-პრეფიქსი, საკვირველია, რატომ არსად შემოგვრჩა **ეს**-პრეფიქსის ხმარების ნაშთი.

თუნდაც სალოცავების გამოთქმებში, როგორცაა, ჯგერანჯეუ ლოგვედა... ჯგერანჯე, სი ლოგვედა! <sup>1</sup> ჯგირაგიმც (გიორგიმც) შეგვწვია... ჯგირაგ, შენ შეგვეწვი! <sup>1</sup>. (იგივე გამოთქმა ლატალელთან ასეთ სახეს იღებს: ჯგერანჯი სი ლანედა! <sup>2</sup> ეს ექსკლუზიური ფორმა კანონზომიერია).

ლაშხურ-ლენტეხურში **ეს**- არსად ჩანს. სამაგიეროდ, **ეს** - არა მხოლოდ უშგულურში გვევლინება **ეს**-ს ადგილას, ლექსებში ასეთი რამე სხვაგანაც გვაქვს.

მ უ ლ ა ხ შ ი ჩანერილია ლექსი „მურზაბეგ“, სადაც ვკითხულობთ:

აშ გვიბინა ლიზ-ლიჩედი,	ასე დაგვინყია სვლა-ნასვლა,
შეაქვამიშ ქარვან სვა ლოგხვიდა:	მწყრის ქარავანი შემოგვცვდა:
მესმე ლანშან ალა გვერა <sup>3</sup>	მესამე ნიშანი ეს გვექნება.

**ეს** აქ უადგილო ჩანს... ამავე ლექსში რიგი სხვა მსგავსი ფორმა მოგვეპოვება.

ვერც უშგულის და ვერც, მით უფრო, ლაშხურის გავლენას ამას ვერ მივანერთ. მართალია, ლექსებს ჩვეულებრივად ფართო გავრცელება აქვთ, თემის ფარგლები მათთვის არ არსებობს პოეზია „საერთო სვანურია“, თუ შეიძლება ითქვას (და არა დიალექტური), მაგრამ სწორედ ამიტომ ლექსის ენის ჩვენება განსაკუთრებით ფასეულია. ლექსების ენაში, ვიმეორებთ, **ეს** - არა ერთგან აღმოჩნდება ხოლმე **ეს**-ს ადგილას, „უშგულიზმები“ მარტო უშგულურს, ეტყობა, არ ახასიათებდა...

მესტიაშია ჩანერილი „გიერგ დადვან“; აქაც იკითხება:

აშ გვიბინა ლიზ - ლიჩედი (-ასე დაგვინყია სვლა-ნასვლა-), თუმცა ინკლუზიური შინაარსი აქ შეუფერებელია: გიერგ დადვანი ჩეგემლებმა დაატყვევეს, ჩრდილოეთ კავკასიაში მიჰყავთ და დატყვევებული გვიყვება თავის ამბავს: დავინყეთ სვლაო - ვინ? ტყვედ წაყვანილმა მომთხრობმა და დამტყვევებლებმა („მე და მათ“)...

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მულახში ჩანერილი ლექსი „ვიცბილ-მაცბილ“:

ხვილზიგალედ ლატლარ კოკერ,	ვსახლობთ ლატალელების ბოლოს,
ლაღზიგალეს დარ გვანოდა.	სახლობას არავინ გვაცლიდა.
ქა ლანქქენიდ ლატლარხანქა	გადავსახლდებით ლატალელებისგან,
	(ჩვენს) კვალს („ნავალს“) დავტოვებთ.
ნახუარეს ჩუ ელცვირედ.	თორმეტი წელი გაგვხდომია
	(„გაგვსვლია“),
	თბილი პური არ გვიჭამია;

<sup>1</sup> სვანური პოეზია, გვ. 312. ჩანერილია ა. შანიძის მიერ. „სვანები იყვნენ [ჩამოსული] თბილისში და იმღერეს მუშათა სასახლის ერთ-ერთ ოთახში...“ არაა ნაჩვენები, სადაურები იყვნენ. ჩანერის თარიღი 8.XII. 1932.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 312

<sup>3</sup> იქვე, გვ. 16.

ეშდღერუ ზნდ ქავ გვაჩედა,  
ტებდი დინრ დესა გვიმა;  
ეშდღერუ ზნდ ქავ გვაჩედა,  
ქორ ი ლირდედ მად გვიზნანა;

ეშდღერუ ზად ქავ გვაჩედა,  
მუჭხვი ლირდედ დესა გვარა.  
ცოდვა გუშგვეა ნოვ ხაშდესახ,  
მნდ ხაშონდახ ხეხვრ გუშგვეად?  
სემი ზაილდ ქავ გვაჩედა,  
ეცერ-ცხემნრ უგნა-ულაშვინდუე  
გვიცვირა...

თორმეტი წელი გაგვხდომია,  
სახლ-კარისათვის არ მოგვივლია;  
თორმეტი წელი გაგვხდომია,  
ტკბილი ცხოვრება არა გვექონია.  
ცოდვა ჩვენი არ გამოლეოდეთ  
(„ნუმც გამოლევიათ“),  
რად ენანებოდათ ცოლები ჩვენთვის?...  
სამი წელი გაგვხდომია,  
ეცერ-ცხემარი უხნავ-უთესად  
დაგვიტოვებია...

(სვან. პოეზ. 78-81)

**გვაჩოდა** („გვაცლიდა“)...**გვაჩედა** („გაგვსვლია“)... **გვიმა** („გვიჭამია“)... **გვარა** („გვექონია“)...**გვიცვირა** (დაგვიტოვებია“)... **გუშგვეა** („ჩვენი“)... **გუშგვეად** („ჩვენთვის“, „ჩვენდა“) – ყველა ინკლუზიური ფორმაა, მაგრამ ინკლუზიური შინაარსი არც ერთ ამათგანს არა აქვს და არც შეიძლება ამ კონტექსტში ჰქონდეს: ვიცბილ-მაცბილ თავიანთ თავგადასავალს ჰყვებიან: აქ ვესახლეთ, ასე მოგვივიდა და ასეო... ვის? მე და თქვენ? მსმენელს და მკითხველს? რა თქმა უნდა, არა: „მე და ჩემს ძმასო“... (ე.ი.: მე და მას): **გვ**-პრეფიქსი ინკლუზივის შინაარსისა აქ არ შეიძლება იყოს...

ლექსი იწყება სიტყვებით: „ხვილზიგალედ“ „ვსახლობთ“, მის გვერდითაა **გვაჩოდა**: უკანასკნელს ისევე არ ახლავს ინკლუზიური გაგება, როგორც **ხვილზიგალედ** ფორმას (ინკლუზივი იქნებოდა „ლილზიგალედ“).

**ხვილზიგალედ** ლატლნრ ჰოკერ,  
ლალზიგალედ დნრ გვაჩოდა...

ხვილზიგალედ არა მხოლოდ იმითაა ფასეული, რომ ხაზგასმით გვაჩვენა – **გვაჩოდა ინკლუზივი არააო**, არამედ სხვა მხრივაც; **გვაჩოდა** ისევე **ზოგადი ფორმაა** ობიექტის პირველი პირისათვის, როგორც **ხვილზიგალედ** უნდა ყოფილიყო **ზოგადი ფორმა სუბიექტის პირველი პირისათვის მრავლობითში**: სვანურის ისტორიულად უპირატესი ფორმები მრავლობითისა ესენია X<sup>1</sup> GU (ნ- O<sub>1</sub> და ლ- S<sub>1</sub> მეორეული მონაცემებია).

ლექსის მესამე და მეოთხე ტაეპში S<sub>1</sub> ინკლუზიური ფორმებია ამოტივტივებული **ლნლქეხნიდ**, **ელცვირედ**: ეს მომხდარია ლექსის მოდერნიზაციის პროცესში... ეგევე ითქმის **ნეგნი**, **ნულვა**, **ნაკუ**. **ნიშგვეა** ფორმათა შესახებ (ესენი ისევე **იმ ჩვენ-ზე** მიუთითებენ, რამაც **გვაჩედა**, **გვიცვირა**, **გუშგვეა** ფორმები მოგვცა):

ნაწი ფაყვარე თხუმუი ნეგნი, ჩვენ ქუდები თავზე გვეხურება,  
ნებგვაჟი ნაწი სვინდის ნუღვა, შუბლზე ჩვენი სინდისი გვაქვს,  
ხეხვარ ნიშგვედ ნიშგვედ ცოლები ჩვენი ჩვენთვის გვინდა<sup>1</sup>.  
ნაკუ!

საკვირველი ის კი არაა, რომ ასეთი ფორმები, თანამედროვე ზემოსვანური ნორმების შესაბამისი, ლექსში გაჩნდა; საკვირველი ისაა, რომ რიგ შემთხვევაში ძველი ნორმები დაცული აღმოჩნდა. **ფორმების მხრივ ლექსის გადამუშავების დამახასიათებელი ფაქტია** „ვიცბილ-მაცბილში“ მოცემული. ამგვარი გადამუშავების შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა გვექონდეს, როცა სვანური ლექსების ტექსტის ისტორიული სახის აღდგენას დავისახავთ მიზნად...

ამჯერად ვს-პრეფიქსის შესახებ მოყვანილი მასალით დავემყოფილდებით (იმავე „სვანურ პოეზიაში“ მსგავსი სხვა ფაქტებიც დასტურდება, მაგრამ მათზე აქ ვერ შევჩერდებით). აქამდე თქმული გასაგებს ხდის, რატომ ვვარაუდობდით, რომ ვს-|| ნ-პრეფიქსთა გარჩევით გამოყენება მეორეულია; სადაც მათი გამიჯვნა არ ხერხდება („უშგულიზმები“), იქ სწორედ ძველი ვითარებაა დაცული.

ვს-პრეფიქსი ძველ ქართულში არ აღმოჩნდა ო, მრავლობითობის ნიშანი. ეს პრეფიქსი მთელ სვანურ მეტყველებაში ჩანს: ესაა ერთი იმ მორფოლოგიურ ფაქტაგანი, რომელიც ქართულს (უკეთ, მის ერთ ფენას) და სვანურს მჭიდროდ აკავშირებს როგორც საერთო ინგრედიენტის, ორივე ენობრივი ერთეულის მონაწილე დიალექტის, კუთვნილება.

ვს-პრეფიქსი ძვ. ქართულში არც მრავლობითობის ნიშანი იყო და არც მისი ინკლუზიური ვარიანტის მაჩვენებელი.

ბუნებრივია, რომ ამასვე მოველოდით სვანურში: ვს- სვანურშიც არ უნდა ყოფილიყო მრავლობითობის ფორმანტი და, მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა ამ მრავლობითობის ერთ-ერთი ვარიანტი, ინკლუზიური: ის შეიძლება მხოლოდ შემდეგში ქცეულიყო ასეთ ფორმანტად, აღჭურვილიყო ამ ფუნქციით ისევე, როგორც ახალ ქართულში მოგვევლინა ობიექტის პირველი პირის მრავლობითის ნიშნად. ამ ფუნქციით აღჭურვა უნდა დანებებულიყო იმასთან დაკავშირებით, რომ სვანურში (ე.ი. იმ ენაში, რომელსაც ახლა სვანური ეწოდება) – დიალექტთა თუ ენათა შერევის შედეგად – ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ვს- და ნ-პრეფიქსები. სვანურის **გარკვეულ ფენაში ჩვენ** ნაცვალსახელად **ნაწი** მოგვეპოვებოდა და ზმნაშიც გვექონდა შესაბამისი პრეფიქსი **ნ-** პირველი პირისა **მრავლობითში** (ეს პრეფიქსი ისეთსავე დამოკიდებულებაშია **ნაწი** ნაცვალსახელთან, როგორშიც აფხაზური **ჰარა** „ჩვენ“ **ჰა** პრეფიქსთან: **ჰარა ჰა-ყოუპ** „ჩვენ ვართ“ – შდრ. **ნაწი ნ-აყა** „ჩვენ გვყავს“: მრავლობითის ჩვენება **ნ-**პრეფიქსს იმთავითვე შეეძლება, თუ მას **ნაწი** ნაცვალსახელთან აქვს გენეტური კავშირი). **მეორე ფენამ** ვს-პრეფიქსი მოიტანა. მათი სიმბიოზის პროცესში ვს- || ნ- ფუნქციათა გამიჯვნა მივიღეთ. ხვედრი ნონა? ვს- კილოსი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვინემ **ნ-**სი. მასთან **ნ-** ფენის გამგრძელებლები ზემო სვანეთის თემებში არიან წარმოდგენილი. ასეთია ვარაუდი.

ამ ვარაუდში ყველაზე დაუჯერებელია ვს-ს ფუნქცია. როგორ შეიძლება ვს- არ ყოფილიყო მრავლობითის ნიშანი?

<sup>1</sup> სვანური პოეზია, გვ. 80.

ქართულში **გუ**-ს ფუნქციის საკითხი გადაწყვიტა გან-გუ-აახლ-ნ-ა ტიპის წარმოებაში. სვანურს ასეთი რამ ამჟამად არა აქვს. მაგრამ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუ ექნებოდა, სუფიქსით აღნიშნავდა სათანადო ობიექტის (სახელობ.) სიმრავლეს. რაც შეეხება **მაქვს**, **მყავს** ტიპის ზმნებს, მიცემითის მრავლობითობა არც ქანურ-მეგრულსა და არც სვანურში ისევე არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული, როგორც არ გვქონდა ძვ. ქართულში. ამგვარად: თუ **მრავლობითის აღნიშვნის ის პრინციპი, რაც ქართულსა და ზანურში დასტურდება, სვანურის მიმართაც ძალაშია, გუ-პრეფიქსის კვალიფიკაცია არ შეიძლება იყოს სხვანაირი, ვინემ ქართულში.**

ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სხვაგვარი გზაც რჩება: ეს მაშინ, თუ **გუ**-პრეფიქსს აღმოაჩნდებოდა შესაბამისი ნაცვალსახელი მრავლობითისა „ჩვენ“, ე.ი. თუ აფხაზურიდან ცნობილი ვითარება დადასტურდებოდა: მაშინ **გუ**-პრეფიქსი ისეთსავე მიმართებაში იქნებოდა სათანადო ნაცვალსახელთან, როგორშიც **ნ**-პრეფიქსია **წა**-სთან ან აფხ. **ჰა**-პრეფიქსია **ჰარა**-სთან. ასეთი ნაცვალსახელი არა ჩანს: არის კუთვნილებითი **ნიშგუემ** **გუნიშგუემ** „ჩვენი“, მაგრამ „ჩვენ“ არის მარტოოდენ **წა**. **გუნიშგუემ**-სათვის იგივე ოდენობაა ამოსავალი, რაც **გუ**-სთვის, და ეს ამოსავალი ოდენობა არ უნდა ყოფილიყო **ჩვენ** ნაცვალსახელის მნიშვნელობისა (ამაზე ქვემოთ).

**ნ**-პრეფიქსიანი დიალექტი რომ არა, ზემოსვანურში გვექნებოდა ისეთი ვითარება, როგორიც ქვემოსვანურს (ლაშხურსა და ლენტეხურს) ახასიათებს: მან მხოლოდ **გუ**-პრეფიქსი იცის (სწორედ იმგვარადვე, როგორც ესაა ახალ ქართულში). ამგვარად, ქვემოსვანურში (ლაშხურ-ლენტეხურში) უფრო ძველი მდგომარეობაა დაცული, ვინემ ზემოსვანურში.

ვთქვათ, ყველაფერი ეს ასეა; **გუ**- ზემოსვანურში ინკლუზივის ფუნქციით მერე აღიჭურვა. თავდაპირველად არც ინკლუზივს, არც მრავლობითს **გუ**- არ აღნიშნავდა. ეს მოსაზრებები საბოლოო ანგარიშში ემყარება ძვ. ქართულის მონიშვნას: **გუ**- მრავლობითის ნიშანი იქ არ აღმოჩნდა. თვით სვანურში თუ გვაქვს იმის მაგალითი, რომ ინკლუზივში (ან ექსკლუზივში – პრინციპულად ეს სულ ერთია!) არა მრავლობითის, მხოლოდობითის სუფიქსი იყოს გამოყენებული? მხოლოდობითი რიცხვის ცნობილი და უდავო პრეფიქსია, **სუბიექტის ექსკლუზივისათვის** რომაა გამოყენებული: **XP**არიდ „ვართ“, „ვარსებობთ“ (მე და ის | ისინი), **ტუნიხედ** „ვაბრუნებთ“ (მე და ის | ისინი)... შდრ. მხოლ. **XP**არი, **ტუნიხედ**...

**XP**-არი **XP**-არი-დ ერთმანეთთან სავსებით ისეთსავე მიმართებაშია, როგორიც **ჭან. ვ-ორე – ვ-ორე-თ**, ქართ. **ვ-არ – ვ-არ-თ** ფორმებს შორის არსებობს: მრავლობითის პირველი პირი უდრის მხოლოდობითის პირველ პირს პლუს მრავლობითობის **-დ** სუფიქსი (ჭანურსა და ქართულში **თ ← დ**). მრავლობითობის ეს სუფიქსი აქ აუცილებელია, რადგანაც სუბიექტის მრავლობითობა უნდა იქნეს აღნიშნული (ობიექტის მრავლობითობაზე ეს არ ითქმის: მიცემითში დასმული ობიექტი ზმნას მრავლობითში არ შეითანხმებდა).

**XP**არიდ ორდინარული მრავლობითია, ხუარი'საგან ნაწარმოები. **XP**არი ისევე შეუძლებელია იყოს ექსკლუზივი (თუ ინკლუზივი), როგორც ქართ. **ვარ** (ან **ჭან. ვორე**) ასეთი მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება.

სვანური ექსკლუზიური ფორმისათვის გამოყენებულია მხოლოდობითის პრეფიქსი; ეს ფაქტია, მასთან ისეთი ფაქტი, რომელიც ამა თუ იმ სვანურ კილოს კი ახასია-

თებს, არამედ სვანურის ყველა კილოსთვის ნორმას წარმოადგენს. ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს: **ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტები აუცილებელი არაა თავის შედგენილობაში შეიცავდეს სხვადასხვა პირის პრეფიქსთა კომბინაციას** (პირველისა და მესამის, პირველისა და მეორის...), საჭირო არაა ვეძიოთ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტთა შედგენილობაში ორი პირის პრეფიქსი<sup>1</sup>. **ჩვეულებრივი მრავლობითი**<sup>2</sup> შეიძლება განეკუთვნოს ინკლუზივს ან ექსკლუზივს, როცა სუბიექტის პირველი პირის მრავლობითს ეხება საქმე, და ჩვეულებრივი მხოლოობითის ფორმაც შეიძლება ამავე როლში გამოვიდეს, თუ ობიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივია გადმოსაცემი (ობიექტის მრავლობითობა შეიძლება არ იყოს აღნიშნული).

საკმარისია, **XP-პრეფიქსი** ფორმის ექსკლუზიური შინაარსი დავსახოთ ამოსავლად და XP-პრეფიქსში ორი პირის ნიშნის კომბინაცია მივიჩნიოთ, რომ გადაულახავმა დაბრკოლებებმა იჩინონ თავი.

ასე, მაგალითად, შუხარდტი XP პრეფიქსში გამოყოფდა **ხ – O<sub>3</sub>** და **ჟ – S<sub>1</sub> ...** მაგრამ ასეთ შემთხვევაში **XP-რ ი დ ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი** ფორმა აღარ გამოვიდოდა.

ვ. თოფურია ექსკლუზივის XP-ს შესახებ ამბობს: „XP-ს გარეგნობა გვაცოცხლებს, რომ მასში **S<sub>2</sub> ხ-** და **S<sub>1</sub> ჟ** დავინახოთ“, მაგრამ მაშინ **XP-პრეფიქსი** ინკლუზივი იქნებოდა („ვართ მე და შენ“), არის კი ექსკლუზივიო...

მერე: თუ XP-ს შედგენილობაში ორ პირზე მითითება უკვე გვაქვს, რაღას მაქნისია **-დ** სუფიქსი? მეორე პირის **რ ხ-პრეფიქსი** „ხართ“ – ანალოგიით მისი ახსნა<sup>3</sup> დამაჯერებელი, რასაკვირველია, არაა.

და კიდევ: თუ მრავლობითის XP-პრეფიქსი ფორმიდან ამოვალთ და XP-პრეფიქსში ექსკლუზივობის შინაარსს ჩავდებთ, როგორ მოვევლება XP-პრეფიქსი მხოლოობითში: **XP-პრეფიქსი** „ვარ“: აქ ხომ პირველი პირის გარდა სხვა არაფერია გადმოსაცემი? მრავლობითის ანალოგიით გაჩნდა მხოლოობითში **ხ-ანიო**, არ ითქმის. მით უფრო ხელოვნურია ახსნა: „მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი პირველ სუბიექტურ პირშია გადასული ანალოგიის წყალობით“<sup>4</sup>.

კარბ. დონდუა წერს: XP-პრეფიქსი ანალოგიის მიხედვით შექმნილი ვერ იქნება; მისი ორივე შემადგენელი ნაწილი **-ხ-**, **U-** – უცილობლად პირველადია და თითოეულ მათგანს გარკვეული ფორმანტის მნიშვნელობა აქვსო. მაგრამ რადგანაც XP-პრეფიქსი ერთ პირზე მიუთითებს როგორც მხოლოობითში (XP-პრეფიქსი), ისე მრავლობითშიც (XP-პრეფიქსი), საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ **ხ-** აქ არაა პირის ნიშანი (მეორისა გინდა მესამისა), არამედ „რადგან განსაკუთრებული მორფოლოგიური დანიშნულება აქვს, რომელიც სვანურისა და მის მონათესავე ენათა მასალაზე უნდა გაირკვესო. ეს **ხ-** საერთოა პირველი და მეორე პირისათვისო“<sup>5</sup>. წარმოდგენილი მსჯელობის ნეგატიური ნაწილი საქმის შესაბამისი უნდა იყოს.

<sup>1</sup> ამაზე სამართლიანად მიუთითებს კარბ. დონდუა: Категория инклюзива-эксклюзива: კრებული, გვ. 143.

<sup>2</sup> S<sub>1</sub> ექსკლუზივს ასეთი ზოგადი, ჩვეულებრივი მრავლობითის გაგება აღმოაჩნდა ზმნაში „ხვილ-ზიგალედ“ „ვსახლობთ“ ლექსში „ვიცბილ-მაცბილ“.

<sup>3</sup> სვანური ენა, § 6, C<sub>1</sub>, გვ. 29.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ულმაუტი სვანურში: „არილი“, გვ. 182, შენიშვნა.

<sup>5</sup> კ. დონდუა, ხსენ. წერილი: კრებ., გვ. 140.



დეეტერსის მიხედვით X<sup>U</sup>-პრეფიქსი პირველადი არაა: რაკი ძველ ქართულში მხოლოდ ვ გვაქვს, X<sup>U</sup>- ახალი უნდა იყოსო <sup>1</sup>.

ამჟამად, ერთი რამ ცხადია: X<sup>U</sup>- მხოლოდობითში (X<sup>U</sup>წრი) შეუძლებელია მრავლობითის მიხედვით გაშუქდეს; პირუკუ: **მრავლობითი უნდა დაემყაროს მხოლოდობითს**: ამას მოითხოვს ქართველურ ენათა ზმნის უღვლილების პრინციპი.

მრავლობითიდან ამოსვლა კიდევ, როგორც ვიცით, ექსკლუზივისათვის საჭირო პრეფიქსების ძიებამ გამოიწვია.

აქამდის თქმული შეიძლება ასე შევაჯამოთ:

არც O<sub>1</sub> ინკლუზივის G<sup>U</sup>- და არც S<sub>1</sub> ექსკლუზივის X<sup>U</sup> მრავლობითის პრეფიქსები არაა: ქართულისა და სვანურის ჩვენება ამას მოწმობს.

სვანური ინკლუზივი და ექსკლუზივი ვერ გამოდგება დასაყრდენად ძვ. ქართულის გუ- || მ-პრეფიქსთა ინტერპრეტაციისათვის; თვით სვანურში ეს კატეგორიები მოითხოვენ გარკვევას. მათი შედგენილობა-წარმოქმნის ისტორიის დადგენისას ძველი ქართულის გუ-ს ფუნქცია სახელმძღვანელო მითითებას იძლევა.

**გუ-** არაა იმთავითვე მრავლობითის ნიშანი, ესე იგი **პრეფიქსით მრავლობითობა ქართული ზმნის უღვლილებაში არ გადმოიცემოდა: ქართულ ზმნაში მრავლობითზე სუფიქსი მიუთითებდა**. მესამე და მეორე პირის მრავლობითში ეს პრინციპი დღემდის დაცულია შეუბღალავად; პირველ პირში ცვლილება მეორეულია.

ამგვარად, ქართული ენის ისტორიისათვის შეუზღუდავად შეიძლება დავტოვოთ ძალაში დებულება: **რიცხვის კატეგორია ზმნაში სუფიქსებით აღინიშნებოდა ისევე, როგორც პირის კატეგორია პრეფიქსებით**.

მესამე პირის სუბიექტი და პირველი პირის ობიექტის **მრავლობითი** იყო, ამას რომ არღვევდა: ორივე მეორეული, გვიანდელი მოვლენაა.

ამით შეიძლება ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვა დაგვემთავრებინა: როგორია მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპი ქართული ზმნის უღვლილებაში... მაგრამ ბუნებრივია ვიკითხოთ: თუ G<sup>U</sup>- (და X<sup>U</sup>-ც!) არაა იმთავითვე მრავლობითის ნიშანი, რაღაა ეს პრეფიქსები? როგორია მათი წარმომავლობა? ამაზე დანვრილებით მოგვიწევს საუბარი ზმნის პირთა ანალიზთან დაკავშირებით.

აქ მოკლედ წარმოვადგენთ ერთგვარ **ვარაუდს**.

G<sup>U</sup>- და X<sup>U</sup>-პრეფიქსებში უნდა შედიოდეს U-პრეფიქსი პირველი პირისა. სუბიექტისა თუ ობიექტის? იგი ორივესთვის საზიარო უნდა ყოფილიყო <sup>2</sup>; მაგრამ აქ ეს არაა მთავარი; არსებითი აქ ისაა, რომ U ფორმანტია პირველი პირისა. რაღაა გ- და ხ-? მორფოლოგიური ოდენობა არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე; ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს.

g- U ← U

x- U ← U

ამგვარი ვარაუდი რომ მსჯელობის საგანი გახდეს, საჭიროა გარკვეული წინაპირობა: ანალოგიური ფაქტები სხვა შემთხვევაშიც უნდა დადასტურდეს, ამას მოითხოვს თვით ცნება ფონეტიკური ხასიათის ცვლილებისა. გვაქვს კი გ, ხ თანხმოვანთა ვ-სთან ფონეტიკურად განვითარების სხვა შემთხვევები? პასუხი დადებითი იქნება: ბაგისმიერ

<sup>1</sup> Das kharthw. Verbum, 1930, § 45, გვ. 26.

<sup>2</sup> დანვრილებით ამაზე – სხვაგან.

ვ (U)-ს წინ ფონეტიკური დანართის სახით გვხვდება **გ, ღ, ქ** უკანაენისმიერი თანხმოვნები. სათანადო მაგალითები ქართულშიც გვაქვს, სვანურშიც და ზანურშიც.

ამ ფონეტიკურ დანართ თანხმოვნებს იხილავს ვ. თოფურია სპეციალურ წერილში: „**ვ** სონანტის გადასვლა **ღვ, გვ ქვ**-დ“<sup>1</sup>.

ჩვენ დავკმაყოფილდებით ამ წერილში ნაჩვენები ფაქტების აღნუსხვით და, ჩვენი მხრით, ზოგ ახალ ფაქტზეც შეიძლება მივუთითოთ.

**ღვ ← ვ:**

სვან. **ღვინ**-წლ... მეგრ. **ღვინ**-ი, ჭან. RUინ-ი, **ღინ**-ი, ქართ. **ღვინო**...

იგივე ფუძე ულანოდ: ლათ. vinum, ბერძ. FFοινος...

სვან. **ღვაჟ**, ქართ. **ვაჟ**-ი

სვან. (ლახამ.) **ღვზ**, ლაშხ. **ვზ**, ქართ. **ვაზ**-ი

სვან. **ღვაჭ**, ქართ. **მაჭო, მანჭო**, სომხ. *վաճ*

სვან. **ღვაჭარ**, ქართ. **ვაჭარ**-ი, სომხ. *վաճար*

სვან. ბალსზემ. **ღვეშგდ** || **ვეშგდ**, ლაშხ. **ლოშდ** ‘უკან’

**ღვეშგინ** || **ვეშგინ**, ლშხ. **ლოშგინ**...

სვან. **ღვაშ** „მამალი ჯიხვი“, ქართ. **ვაც**-ი

სვან. **ღოღდჷქ** ‘ცხვარი’, ლაშხ. **ღადღდჷქ**... ბალსზემ. **ღადღდჷქ** || **ღადღდჷქ** ‘ფარეხი’ („საცხვრე“)

სვან. **ღვარკლან**, ლშხ. **ღვარკლან** ‘წვივშიშველი’, ქართ. **ბარკალ**- ...

უკანასკნელი სამი მაგალითი ვ. თოფურიას ეკუთვნის; მათში **ღ**-ს მეორეულობა დამაჯერებელია; კერძოდ, **ღოღდჷქ**-ის შესახებ ამჟამად ს. ჟანაშიასა<sup>2</sup> და გ. როგავას მიერ გარკვეულია, რომ მისი ფუძე ადილეურია: **ღ**- დართვია სვანურში (ადილ. მწლგ – სვ.\* ვალ-აქ → \* ვოლ-აქ → ღვოლ-აქ → ღოლ-აქ ... გ. რ ო გ ა ვ ა ს ვარაუდით).

**გვ ← ვ:**

**გვეს**-ი – სომხ. *Գվես* ‘მზაკვარი’

**გუასპურაგანი** ← **ვასპურაგანი**: და ქართლი მისსა ხარკსა შეუდგა: და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი... მოქც. ქართლ.: შატბ. მრავალთავი, გვ. 442.

სპარსნი უფლებდეს ქართლს: და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს... იქვე, გვ 445.

ჭან. **გურუნი**, ჭან. და მეგრ. **გირინ**-ი, ქართ. **ვირ**-ი.

ძვ. ქართ. **გუალე** ‘იარე’ – შდრ. **ვალ**... წარ-ვალ-ს ...<sup>3</sup>.

სვან. **გვეშ**-ი, ლაშხ. **გოშ**-ი ‘სავსე’, ლი-**გვეშ**-ილ-ე ‘გავსება’, ჭან. ო-**ფშ**-ა, ქართ. **სა-ვს**-ე...

სვან. **გულმაშ-არ**, ქართ. **ულვამ**-ები

<sup>1</sup> ესაა მეხუთე წერილი სერიიდან: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“: ენიმკის მოამბე, X (1911, გვ. 231-236. წერილში თავმოყრილია ლიტერატურაში (კერძოდ, ნ. მარის) დასახელებული მაგალითები და შევსებულია ავტორის დაკვირვებათა საფუძველზე. ავტორი მოვლენის ფონეტიკურ საფუძველსაც წარმოგვიდგენს.

<sup>2</sup> სვანურ-ადილეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 272.

<sup>3</sup> **გუალე** ზმნა სხვა მხრივაც იწვევს ინტერესს. ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

სვან. გვიდამ-ი, ქართ. მიდამო... ზემოსვან. გვიდამ, ლაშხ. მიდამ „მიდამო“  
სვან. გინდვერ „მინდორი“.

მაგალითები, – პირველი სამის გარდა – ყველა ვ. თოფურიასია. არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს: გვიდამ-ში გ- ვ-ს დაერთო თუ მ-ს და მერე გმ → გვ? ამ საკითხს არავინ შეხებია.

### ქვ ← ვ:

ქართ. ქვიშნა, სიტყვა ცნობილია ინდ.-ევრ. ენებშიც (მაგ., რუს. вишня, ძვ. ფრანგ. guisne), თურქულშიც vişne.

ლიტერ. ნივთ-ი, სომხ. նիւթ, რაჭ.-იმერ.-კახ. ნიქვთ-ი <sup>1</sup>.

ქართ. ექვთიმე, ბერძნ. Ευθυμιος.

გიორგი ნ ე რ ე თ ე ლ მ ა დაადასტურა: ზემოიმერულში ნიქვთი გვხვდებაო. მანვე მიგვითითა შემდეგ მაგალითებზე:

აქტო ← ავტო, იხმარება ზემოიმერულში

ქართ. მუქთი, არაბ. მუჭტი ‘უფასო’

ზემოსხენებულთა გარდა შეიძლებოდა დაგვესახელებინა:

ჩვენი: O, გვ ← ვ: გუაქუს, გუყავს...

გ- უნდა იყოს განვითარებული მეგრ. გვერშაპ-ში ‘ვეშაპ-ი’ ... შ-ს ნინ რ დარ-  
თულია გააზრიალების ნიადაგზე გ-ს განვითარების შემდეგ...

ქართ. გვალვა, შდრ. მეგრ. დო-ვალ-უ ‘დანვა’, ‘დააზრო ახლად გაფურჩქვნილი ყვავილი, ფოთოლი’...

ფონეტიკური გზით უნდა იყოს წარმოშობილი -გჷ სვანურის ბერძურ კილოკავში:

ხუთრ-ასგჷ „ვსვამდი“, ხვთრ-ასგჷ „სვამდი“, გთრა „სვამდა“

ტუიხ-ასგჷ „ვაბრუნებდი“, ტიხ-ასგჷ „აბრუნებდი“, ტიხ-ა „აბრუნებდა“

ქუიც-ასგჷ „ვჭრიდი“, ქუიც-ასგჷ „ჭრიდი“, ქუიც-ა „ჭრიდა“

ხუაკლანთხი-დასგჷ „ვამალლებდი“, ხაკლანთხი-დასგჷ „ამალლებდი“,

აკლანთხიდა „ამალლებდა“

ხუაკნი-დასგჷ „ვხნავდი“, ხაკნი-დასგჷ „ხნავდი“, აკნი-და „ხნავდა“

ხუირდი-დასგჷ „ვზრდიდი“, ხირდი-დასგჷ „ზრდიდი“, ირდი-და „ზრდიდა“... <sup>2</sup>

ვ. თოფურიაწერს: „I და II პირის ნიშნად -ასგჷ, -დასგჷ კი არ არის მარტო, არამედ: 1. -სგჷ, -დსგჷ, 2. -სგ[გ], -დსგ[გ]ც, 3. -ასჷ, -დასჷ, 4. -სსჷ, -დსსჷ და უკანასკნელ, 5. -სს, -დსს.“

ყველანი რომ -ასგჷ, -დასგჷ სუფიქსების ვარიანტს წარმოადგენენ, ეს ერთი შეხედვითაც ცხადია, ოღონდ ესენი ერთნაირად გავრცელებულნი არ არიან: ხანში შესულები ნამყო უსრულის სანარმოებლად ჩვეულებრივ -ასგჷ, -დასგჷ ფორმანტებს მიმართავენ, მათთან შედარებით ახალგაზრდები (შუახნისანი) კი <sup>1</sup> -სსგჷ, -დსსგჷ-ს,

<sup>1</sup> იმერულისათვის იხ. ბ. ნერეთელი: ზემოიმერული ლექსიკონი – შრომაში: „გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი“, თბ., 1938.

<sup>2</sup> სვანური ენა, I, ზმნა, § 25 B, გვ. 94-95.

ხოლო ახალი თაობა -ასწ, -დასწ ბოლოსართებს აბატონებს. უკანასკნელთაგანვე გა-  
იგონებთ აგრეთვე -ასწ, -დას-სა და იშვიათად -ასგგ, -დასგგ-საც<sup>1</sup>.

აქ ზოგი რამ არაა ნათელი, კერძოდ ის, თუ რატომ აღმოაჩნდა შუახნისებს უმლაუტიანი  
ვარიანტები, როცა ხანში შესულები წმინდა ა-ნიან ვარიანტებს წარმოთქვამენ: -ასგწ, -  
დასგწ... ე.ი. მთქმელთა ასაკი და ვარიანტის სიძველე-სიახლე შეიძლება დამატებით ძიებას  
მოითხოვდეს; მაგრამ თუნდაც რომ დადასტურდეს -ასწ, დასწ-ს სიახლე, მაინც ფაქტი სა-  
გულისხმოა: ის ცხადყოფს **ასწ** || **ასწ** სუფიქსთა პარალელურ გამოყენებას და მოგვაგო-  
ნებს ქართულიდან და ზანურიდან ცნობილ პროცესს, როცა კომპლექსის ფონეტიკურად  
გამარტივებისას ამოსავალ მდგომარეობას ვუბრუნდებით: წყალ-ი, ჭან. არქ. წკარ-ი, ათინ.  
წ-არ-: ამოსავალი იყო **წალ-**, მეგრ- **ჭორ-ოფა** – „გვალვის საწინააღმდეგო ცნება“.

-ასწ ვარიანტის სიახლე მაინც არაა დამარწმუნებელი: ძალაუნებურად გვა-  
გონდება მეშველი ზმნის ნამყო Xს-ასწ, ხ-ასწ, ლ-ასწ, რომელიც ახალი ფორმაციის  
მოვლენა არ უნდა იყოს!

ჩვენთვის **გ**-ს განვითარება იყო საინტერესო; **ღ** და **ქ**-ს განვითარება საგულისხ-  
მოა იმ მხრივ, რომ **გ**-ს განვითარება განმარტოებით არა დგას; ესაა ერთ-ერთი სახის  
უკანაენისმიერის დართვა **ვ**-ზე...

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს წერილში არაა დასახელებული **ხ**-ს განვითარების შემთხვევე-  
ბი. მაგრამ ამ ბგერის განვითარება მოსალოდნელია, რაკი **ღ**-ს განვითარების მაგა-  
ლითები გვაქვს.

ერთი უდავო მაგალითი იქნებოდა: **ხვალე**, ძვ სომხ. *ქაჟი*<sup>2</sup>:

... თივაჲ ველისაჲ რ ლ დღეს არს და ხვალისაგან თორნესა შთააგდიან მთ VI<sub>30</sub>,  
ადიშ. 14 a2

*...ქლასან ჰ ქაჟიჲ ირ აჟაორ ღ ღ ქაჟიჲს ჰ ძნოგ არქასანჲ...*

ასეთივე **ხვ** ← **ვ** გვაქვს სვანურ S<sub>1</sub>: Xს-არ-ი, შდრ. ძვ. ქართ. **ვ**-არ-ი...

აღნიშნულია, რომ **ვ**-ს გადასვლა **ღვ**, **გვ**, **ქვ**-დ აიხსნება მისი არტიკულაციით:  
ენის უფრო მეტი მიახლოებით სასასთანო (ანალოგიური ფონეტიკური მოვლენები  
დასახელებულია სხვა ენებიდანაც).

ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ **ღ**, **გ**, **ქ** ბგერათა განვითარება **ვ**-ს  
წარმოების თავისებურებასთანაა შეპირობებული.

**ღ**, **გ**, **ქ**-ს გარდა **ხ**-ს განვითარების საკითხიც დადებითად უნდა გადაწყდეს (თუმ-  
ცა საამისო ფაქტები უფრო იშვიათია).

აფხაზურისა<sup>3</sup> და ხუნძურისა<sup>4</sup> ჩვენება მოწმობს, რომ **ვ**- ფონემის თავისებურების  
საკითხს ქართველურ ენათა წრის იქით გავყავართ: **ვ**- ბგერის საკითხი კავკასიურ  
ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხია, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

<sup>1</sup> სვანური ენა, I, ზმნა, § 25 Bc, გვ. 95-96.

<sup>2</sup> ამ სიტყვათა კავშირი ნაჩვენებია აქვს ნ. მარს (Тексты и разыск., VI, § 12, გვ. XXXIII), ოღონდ  
ამოსავლად მიჩნეულია **ხვალ** და **ხ**- ივარაუდება დაკარგულად სომხურში.

<sup>3</sup> ქ. ლომთათიძე, **ვ** ბგერისათვის აფხაზურში: წაკითხული იყო მოხსენებად თბილ. უნივერ. კავ-  
კასიურ ენათა კათედრაზე 1937 წელს.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ლექსიკური შეხვედრები ხუნძურისა ქართველურ ენებთან: მოხსენება წაკით-  
ხული იყო ენიშკის კავკას. ენათა განყოფ. სხდომაზე 1937 წელს.

გს, xს-პრეფიქსებში ფორმანტია ს (||ვ), პირველი პირის პრეფიქსი. სუბიექტისა თუ ობიექტისა? **ორივესთვის გამოყენებული, გაუდიფერენცირებელი თავდაპირველად; გ-** და **ხ-** ფონეტიკური დანართია; მას თავიდან არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნდა.

დასასრულ, ერთი შენიშვნაც.

როდესაც სვან. xს ს-საგან მიღებულად დავსახეთ, გს-ს ანალოგიის გარდა ერთი გარემოებაც იყო: ხჟ პრეფიქსი სვანურში ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს დაერთვის, თანხმოვნით დაწყებულთ მარტოოდენ ს აქვთ, ისიც ინფიქსირებული:

xს-პრ-ი „ვარ“, მაგრამ **დ-ს-ი**გე „ვაქრობ“, **ტ-ს-ი**ხე „ვაბრუნებ“...

ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი: **ხ-** ვითარდებოდა ხმოვნის წინამავალ **ვ-**სთან (ამავე პირობებშია **ღ-** განვითარებული თითქმის ყველგან, – იხ. ზემოთ).

ამ პირობას გს-პრეფიქსი ამჟამად სვანურში არ საჭიროებს: სი გუტხე „შენ გვაბრუნებ“ (ინკლუზ.).

**უ** ასეთ შემთხვევაში მარცვალს ქმნის, სრული ხმოვანი ხდება. ხომ არაა ეს იმის მაჩვენებელი, რომ **გუ-**პრეფიქსის წარმომშობი დიალექტი, სვანურის მორფოლოგიურ აღნაგობაში ღრმად ჩაფენილი, მაინც არ იყო „სვანური“ ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით? მართლაც, იგი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი იმ ფენისათვის, რომელიც საერთოა ძველი ქართულისა და სვანურისათვის.

დამანა მელიქიშვილი

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის  
ისტორიისათვის ქართულ ზმნაში<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, მ- და გუ-პრეფიქსები ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება ზმნაში I პირის (პირდაპირი და ირიბი) ობიექტის აღმნიშვნელად. აქედან მ-პრეფიქსი ორსავე რიცხვში (გან-მ-აძლიერა მან მე. გან-მ-აძ-ლიერ-ნ-ა მან ჩუენ, მაქუს მე იგი, მ-აქუს ჩუენ იგი); ხოლო გუ-პრეფიქსი კი მხოლოდ მრავლობითში (გან-გუ-აძლიერ-ნა-ა მან ჩუენ; გუ-აქუს ჩუენ იგი).

ამ პარალელურ ფორმათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ცნობილია. ის ფაქტი, რომ მ- და გუ-პრეფიქსები მრავლობითს რიცხვში დასმული I ობიექტური პირის აღნიშვნისას ძველ ქართულში ენაცვლება ერთმანეთს, ორი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლეოდა: 1. მათი ფუნქციები წარმოშობით სხვადასხვაა: კერძოდ, მათ ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია ეკისრებოდათ ზმნაში (1, გვ. 25, §6. 3, გვ. 335 შნშ. 1; 4. გვ. 373-334; გვ. 185, §224; 5, გვ. 223); 2. ისტორიულად ისინი სინონიმური ფორმანტებია (როგორც I ობიექტური პირის აღმნიშვნელნი ზმნაში) და სხვადასხვა დიალექტური წრიდანაა შემოსული სალიტერატურო ენაში (6, გვ. 114).

მეორე მოსაზრება დამტკიცებულია იმ წანამძღვრიდან ამოსვლით, რომ მრავლობითისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ერთია და, ამდენად, ინკლუზივის (გუ-) ფორმანტი, როგორც ამავე დროს მრავლობითის ნიშანი, არ შეიძლება თანაარსებობდეს მრავლობითის (-ენ > -ნ) სუფიქსთან ერთ ფორმაში. ხოლო რადგანაც გუ-პრეფიქსი სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითის -ნ სუფიქსთან ერთადაა წარმოდგენილი ზმნაში (გან-გუ-აახლ-ნ-ა), ამიტომ ძველ ქართულში იგი არ შეიძლება იყოს მრავლობითის ნიშანი. პრეფიქსი გუ-, ისევე როგორც მ-, I ობიექტური პირის გამოხატველი ფორმანტია როგორც სახელობითში დასმულ ობიექტიან ფორმებში (დაგუამდაბლნა მან ჩუენ), ასევე მიცემითში დასმულ ობიექტთან (გუ-აქუს ჩუენ 6, გვ. 100). ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ქართულში მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპი სუფიქსურია და გამონაკლისს სწორედ მხოლოდ გუ-პრეფიქსი წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ამ მოსაზრებისათვის ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტი ისაა, რომ ძველ ქართულში გუ-პრეფიქსი მხოლობითი რიცხვის I პირის ობიექტის გამოხატველად არასოდეს არ გვხვდება. იგი იხმარება მხოლოდ მრავლობითს რიცხვში დასმული ობიექტის აღსანიშნავად.

მაგრამ პირველი მოსაზრება განმტკიცებულ იქნა იმ ამოსავალი დებულებით, რომელიც გულისხმობს, რომ მრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და, ამდენად, ისინი ზმნაში სხვადასხვა მორფემებით

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 1974 წ. მაისში ფილოლოგიის ფაკულტეტის XVIII სამეცნიერო სესიაზე.

უნდა ყოფილიყო აღნიშნული<sup>1</sup>. ნაშრომში „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში“ (2. გვ. 233) სვანური ენის მასალაზე დაყრდნობით ა. ონიანმა დაასაბუთა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს არ აკისრია მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია. მრავლობითის ფორმანტები სუფიქსებია, ხოლო პრეფიქსები – სულ სხვა, **ინკლუზივ-ექსკლუზივის** კატეგორიის გამომხატველნია ზმნაში (ხუ-პრი-დ – ლ-პრი-დ).

ასეთ შემთხვევაში **გუ**-პრეფიქსისა და მრავლობითის **-ენ (-ნ)** სუფიქსის თანაარსებობა ზმნის ფორმაში წინააღმდეგობას აღარ შეიცავს და თითქოს მართლდება ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში **მ-** // **გუ**-პრეფიქსთა პარალელური ხმარება და მათი ურთიერთშენაცვლება I ობიექტურ პირში გადმონაშთია ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევისა ქართული ზმნის პირიან ფორმებში. ამ მოსაზრების ავტორთა აზრით, **გუ**-პრეფიქსი უნდა ყოფილიყო ინკლუზივის აღმნიშვნელი, **მ-** კი ექსკლუზივისა. მაგალითად, ა. ონიანი წარმოგვიდგენს ვარაუდს, რომ „ძველ ქართულში დადასტურებული ფორმები (მაქუს ჩუენ და დამიდგინა ჩუენ) ექსკლუზივის ოდინდელი გამოხატვის ნაშთია, ხოლო **მ-** ფორმანტი ამ კატეგორიის ოდინდელი ნიშანი“ (2, გვ. 234), ასევე **გუ**-პრეფიქსი – ინკლუზივის ოდინდელი ნიშანი. თუ დასახელებული მოსაზრება გამართლებულია **გუ**-პრეფიქსის მიმართ (რომელიც ინკლუზივის გამომხატველი უნდა ყოფილიყო ოდესღაც), იგი ვერ გავრცელდება **მ**-პრეფიქსზე, რომელიც აშკარად I ობიექტური პირის ნიშანია ზმნაში და ვერ შეითავსებდა სხვა ფუნქციას (მით უფრო, ექსკლუზივისას, რომელიც მრავლობითის გაგებას შეიცავს), თუ გავითვალისწინებთ ამოსავალში ქართული ზმნის აგებულების აგლუტინაციურ პრინციპს (რაც დღესაც ძირითად პრინციპად რჩება).

ამის ნათელ საბუთს ისევ სვანური ზმნა წარმოადგენს; მასში აგლუტინაციის პრინციპი ისტორიულად III სუბიექტურ პირშიც კი არის გატარებული (**ლ-ი – ლ-ი-ხ**, სადაც ლ ← \*ნ (1, გვ. 8).

უნდა ვიფიქროთ, რომ **გუ**-პრეფიქსის (როგორც ინკლუზივის გამომხატველი ფორმანტის) ცალი – ექსკლუზივის ფორმანტი უნდა ყოფილიყო არა **მ**-პრეფიქსი, რომელიც ძველ ქართულში **გუ**-პრეფიქსის პარალელურად იხმარება, არამედ სულ სხვა აფიქსი, რომლის კვალიც უკვე გამქრალია ძველ ქართულში. თუ სვანურის მონაცემებს მივხედავდით, სადაც ობიექტურს უღვლილებაში  $O_1=მ-$ ,  $O_1=გუ$ , ხოლო  $O_2=ნ-$ , მაშინ ქართულისათვის ობიექტური უღვლილებისას ეს სქემა ასევე წარმოგვიდგებოდა, ოღონდ **ნ**-პრეფიქსის ადგილს უცნობი x აფიქსი დაიჭერდა:  $O_1=მ-$   $O_1=გუ-O_2=x$

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის მოსაზრება, რომელიც ა. ონიანს აქვს განვითარებული სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმისა და მრავლობითი რიცხვის  $O_1$  და  $S_1$  პირთა ფორმების ურთიერთმართებასთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ სვანურში ამ მხრივ განსხვავებაა სუბიექტურსა და ობიექტურს უღვლილებაში. I სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვისა და ექსკლუზივის

<sup>1</sup> იგივე მოსაზრება დამოუკიდებლად გამოთქვა დ. ნინუამ სადისერტაციო ნაშრომში „ბრძანებითი კილო ქართულში“.

**ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები**

ფორმები პრეფიქსებით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (S მხ. – ხტათური; – S<sub>e</sub> ხტათური-დ). ინკლუზივი კი ლ- ~ლგ – პრეფიქსითაა გამოხატული (S<sub>i</sub> ლ-ათური-დ).

განსხვავებით სუბიექტური უღვლილებისაგან, ობიექტურს უღვლილებაში I პირს თავისი ნიშანი აქვს – O<sub>i</sub> მ-; ინკლუზივს – თავისი: O<sub>i</sub> გუ-; ექსკლუზივს კი თავისი – O<sub>e</sub> ნ-.

ამიტომ, ბუნებრივია, დაისვა კითხვა: ამოსავალი ვითარება სუბიექტურს უღვლილებაშია დაცული თუ ობიექტურში? ა. ონიანის აზრით, ამოსავალი ვითარება დაცული უნდა იყოს სუბიექტურს უღვლილებაში, ე. ი. იქ, სადაც S<sub>i</sub> და S<sub>e</sub> ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების პერიოდში მხოლობითისაგან განსხვავებული ის ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელიც ორ პერსონალურ პირს აერთიანებდა (I და II). ექსკლუზივი კი – რომელიც I პირთან ერთად „არაპერსონალურ“ მესამე პირსაც შეიცავდა (ხოლო II-ს გამორიცხავდა), მხოლობითი რიცხვის ფორმასთან ისე მკვეთრად არ უნდა ყოფილიყო დაპირისპირებული (2, გვ. 230).

მაგრამ ამ სავესებით ლოგიკური ვარაუდის საფუძველზე ავტორი სრულიად მოულოდნელად დაასკვნის, რომ „I ობიექტური პირის პრეფიქსი ისტორიულად ექსკლუზივის ნიშნადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული“. ასეთი ნიშანი კი არის ყველა ქართველურს ენაში, ესაა მ-, რომელიც სვანურში ამჟამად მხოლოდ მხოლობითს რიცხვშია დადასტურებული. ექსკლუზივის ნიშანი ნ-პრეფიქსი, რომელსაც ქართველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, მეორეული ჩანს და მიღებული უნდა იყოს მ-სგანო.

საბოლოოდ, სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის ა. ონიანის მიერ წარმოდგენილი სქემა ასეთია:

სუბ. უღვლილება	ობ. უღვლილება
S <sub>i</sub> ხტ	O <sub>i</sub> მ-
S <sub>e</sub> ხტ	O <sub>e</sub> *მ- → ნ-
S <sub>i</sub> ლ-	O <sub>i</sub> გუ-

როგორც ვხედავთ S<sub>i</sub> და S<sub>e</sub> გამოხატულია ერთი და იმავე პრეფიქსით (ხტ); O<sub>i</sub> და O<sub>e</sub> ამოსავალში გამოიხატება ერთი და იმავე (მ-) პრეფიქსით, დღეს კი მათი გამოხატულება სხვადასხვაა (O<sub>i</sub> – მ-; O<sub>e</sub> – ნ-).

თუ ამგვარი სქემა სინქრონიულ ასპექტში გამართლებულია (მას შემდეგ, რაც ობიექტურ უღვლილებაში O<sub>i</sub> და O<sub>e</sub>-ის პრეფიქსები განსხვავდა და, ამგვარად, ექსკლუზივს თავისი საკუთარი ნიშანი გაუჩნდა, ამის მიხედვით შეიძლება სუბიექტურს უღვლილებაშიც ექსკლუზივის ნიშნად ხტ-პრეფიქსი ვიგულოთ, ე.ი. იგივე S<sub>i</sub> პირის პრეფიქსი), ამოსავალში ამგვარი სქემის დაშვება შეუძლებელია. O<sub>i</sub>-ის პრეფიქსი, მ-, ისევე, როგორც S<sub>i</sub>-ის ვ- (ხტ-) ისტორიულად (ამოსავალში) არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ექსკლუზივის ნიშნადაც (რომელსაც მრავლობითის გაგება უნდა ჰქონოდა), თუ გავითვალისწინებთ ქართული (/სვანური) ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის აგლუტინაციურ პრინციპს (ცნობილია, რომ ფლექსიური ტიპის



გამოვლენის გამონაკლისი შემთხვევები ქართულ ზმნაში მეორეულია და ამოსავალში სტრუქტურული თვალსაზრისით აგლუტინაციურ ტიპს გვიჩვენებს. მხედველობაში გვაქვს სვანურში  $S_3$ -ის პრეფიქსული წესით გამოხატვის გადმონაშთი შემთხვევები, ქართულში  $S_3$  მრავლობითი რიცხვის სუფიქსები, რომელთაც დღეს პირის გამოხატვის ფუნქციაც აკისრიათ, დაბოლოს  $O_1$ -ის მრავლობითის გუ-პრეფიქსი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ისტორიულად ორი ფუნქციის მატარებელი არ ყოფილა).

ინკლუზივის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნი II პირიცაა. ინკლუზივის კატეგორია I პირთან ერთად აუცილებლად ჩარიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ექსკლუზივის ფორმა II პირს გამორიცხავს, იგი I და III პირს გულისხმობს. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი – ინკლუზიურშიც და ექსკლუზიურშიც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, **არის თუ არა ჩარიცხული II პირი: თუ არის – ამას გამოხატვა ესჭიროება, თუ არ არის – არა.** აქედან ცხადია, რომ **ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია განსაკუთრებული აფიქსით II პირის აღნიშვნას მოითხოვდა მისი არსებობის შემთხვევაში (ინკლუზივი), მისი არარსებობის აღნიშვნა კი, ცხადია, საჭირო არ იყო (ექსკლუზივი).**

აქედან ლოგიკურია დასკვნა, რომ ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი არა.

ამგვარად, ისტორიულად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა: ნიშნისანი – ინკლუზივისა და უნიშნო – ექსკლუზივისა. ეს უკანასკნელი, ცხადია, დაემთხვეოდა მხოლოდითი რიცხვის ფორმას ორსავე უღვლილებაში (ობიექტურშიც და სუბიექტურშიც).

სქემა შემდეგი სახისა იქნებოდა:

ობ. უღვლილება  
 $C_1$  მ-  $C_i$  გუ-  
 $O_e \emptyset$

სუბ. უღვლილება  
 $S_1$  ვ-(ხუ-)  $S_i$  x (ლ)  
 $S_e \emptyset$

რა პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძვლად ინკლუზივის კატეგორიის გამოხატვის წესს? პრინციპი მეტად მარტივი იყო: ფორმაში იგულისხმებოდა I და II პირი – ნიშნებიც ორივე პირისა იყო წარმოდგენილი (საქმე ეხება მხოლოდ ობიექტურს უღვლილებას: შემთხვევითი არ არის, რომ ქართულში, სუბიექტურს უღვლილებაში კვალიც კი არ არის დარჩენილი ამ კატეგორიის არსებობისა, მაშინ, როდესაც გუ-პრეფიქსი ობიექტურს უღვლილებაში დღესაც ცოცხალია, თუმცა სხვა ფუნქციით). სქემა ასეთი იქნებოდა:  $O_2 > *გმ \rightarrow გუ$  სადაც გ-ს მომდევნო პოზიციაში, თავდაპირველად თანხმოვნების წინ (გმC) შემდეგ კი ანალოგიით ხმოვნების წინაც (გმV), მ გადადიოდა უმარცვლო უ-ში (შდრ. ქმრივი  $\rightarrow$  ქურივი  $\rightarrow$  ქვრივი)<sup>1</sup>.

ამგვარი დაშვება ლოგიკურად სავსებით გამართლებულია და ეს ჰიპოთეზა, როგორც ცნობილია, ადრევე იქნა გამოთქმული (1, გვ. 26), ოღონდ მის აღიარებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ სვანურში სუბიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის

<sup>1</sup>  $O_2$  პირის ნიშნად სვანურში დღეს ჯ-ს არსებობა დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც „მისი პირვანდელი სახე გ- უნდა ყოფილიყო“ (1, გვ. 26).

ნიშნად მიჩნეული **ხტ**-პრეფიქსი, რომელიც ზემოთ მიღებული წესის მიხედვით  $S_1 S_3$ -ს უნდა გულისხმობდეს, შედგენილობის მიხედვით  $S_2 (b) S_1 (უ) -ს$  შემცველი გამოდიოდა, რაც შინაარსის მიხედვით შეუძლებელია.

მაგრამ ისმის კითხვა: არის თუ არა სვანური ზმნის სუბ. უღვლილებაში ექსკლუზივ-ინკლუზივის ფორმა ისეთივე აგებულებისა, როგორც ობიექტურს უღვლილებაში? დღევანდელი სურათის მიხედვით ამას ვერ ვიტყვით: ინკლუზივის ნიშანი არის **ლ**-, ერთი ბგერა (რომელსაც ვერავითარი ლინგვისტური მანიპულაციით ვერ ჩავთვლით მიღებულად ორი პრეფიქსისაგან).

სუბიექტურს უღვლილებაში, ვფიქრობთ, საქმე სულ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. აქ არც ექსკლუზივის ნიშანი უნდა ჩაითვალოს ამგვარი წარმოშობისად. ლოგიკურად ორი დაშვების შესაძლებლობა გვაქვს: ან ამ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია უფრო გვიანდელი ჩამოყალიბებულია, ვიდრე ობიექტურს უღვლილებაში, და მაშინ გასაგებია, რატომ არ დაედო საფუძვლად მის გამოხატვას ძველი წესი: კატეგორიას უკვე აბსტრაქტული გაგება ჰქონდა და ნიშანიც აბსტრაქტული მიიღო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანურში ამ ფუნქციით დაიტვირთა უფუნქციოდ დარჩენილი  $S_2$ -ის პრეფიქსი **ლ**-, მას შემდეგ, რაც  $S_3$  გამოხატვა ზმნურ სისტემაში სუფიქსებს დაეკისრათ, ხოლო ექსკლუზივს კი, ისევე, როგორც ობიექტურს უღვლილებაში, ნიშანი არ ჰქონდა. **ხტ**-პრეფიქსი, სადაც ძირითად ელემენტად **ტ** მიაჩნიათ,  $S_1$ -ის თავდაპირველი პრეფიქსის – **ვ**-ს ნინ **ხ** ფონეტიკურად იყოს განვითარებული (შდრ. ქვიშა, ღვინო). შემდეგ კი **ხ**-ს მომდევნო პოზიციაში **ვ** → **უ** (შდრ. ძვ. ქართ. ხყყა; შეხუბთ: შევახებ > შეხვაბ > შეხუბ).

ამგვარად, სვანურში ექსკლუზივის ფორმის **ხტ**- არის არა ამ კატეგორიის ნიშანი, არამედ  $S_1$ -ის ნიშანი (სადაც **ტ**-ს ნინ **ხ** განვითარებულია).

ამ დაშვებას მხარს უჭერს ის, რომ ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში არავითარი კვალი არ ჩანს ამ კატეგორიის გარჩევისა მაშინ, როცა ობიექტურ უღვლილებაში **მ**- და **გუ**-პრეფიქსთა პარალელური არსებობა ძველ ქართულში გვაგვარად უდებინებს ამ კატეგორიის ოდინდელ გარჩევას ზმნის ფორმაში (რასაც მხარს უჭერს სვანურის დღევანდელი ვითარებაც: **მ**- მხოლობითი რიცხვის  $O_1$ ; **გუ**- ინკლუზივი).

ან ის დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბებისას სვანურ  $S_1$  პრეფიქსს უკვე მიღებული ჰქონდა **ხტ**- კომპლექსის სახე და, ამგვარად, ინკლუზივის ნიშნად ვეღარ მიიღებდნენ  $S_1 S_2 (ვბ > ხვ > ხტ)$  ნიშანთა კომბინაციას, რადგანაც ინკლუზივის ფორმა ასეთ შემთხვევაში დაემთხვეოდა  $S_1$ -ისას და აქედან – ექსკლუზივის ფორმას. ამიტომ, ენაში ინკლუზივის გამოსახატავად გამოიძებნა სულ სხვა საშუალება, კერძოდ **ლ**- ნიშანი, რომელიც, სრულიად შესაძლებელია, წარმოშობით სწორედ  $S_2$  პირის ფუნქციადაკარგული პრეფიქსი იყო და ისევე განაგრძობდა არსებობას (უფუნქციოდ). როგორც ოდესღაც ქართულში **გუ**-პრეფიქსი (მანამ, სანამ ამ უკანასკნელს არ მოუსწრო ძვრებმა სინტაქსის სფეროში და მრავლობითის გამოხატვა არ დააკისრა).

**ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები**

ასეა თუ ისე, ობიექტური და სუბიექტური უღვლილება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით სვანურში სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. ობიექტური უღვლილება:

	ძველი:	ახალი:
$C_2$ მ-		
	$C_1$ გუ- $C_e \emptyset$ (მ-)	$C_1$ გუ- $O_e$ ნ-

2. სუბიექტური უღვლილება:

		მრ. რ. სუფ.
$C_1$ ხტ-		
	$S_1$ ლ- $S_e - \emptyset$ ( $S_1$ ხტ-)	-დ -დ

ისტორიულად არც ობიექტურს უღვლილებაში და არც სუბიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშანი არ ჰქონდა. ამიტომ ობიექტურს უღვლილებაში იგი ემთხვეოდა მხოლობითი რიცხვის ფორმას. სუბიექტურს უღვლილებაში კი ექსკლუზიური ფორმა არ ემთხვეოდა მხოლობითისას (თუმცა  $S_1$  პრეფიქსი ხტ- ახლდა), რადგანაც მას ბოლოში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი ერთვოდა: ხტწარი – ხტწარიდ, რომელიც მას მხოლობითისაგან განასხვავებდა, მეორე მხრივ კი იგი ინკლუზივის ფორმისგანაც განსხვავდება  $S_1$  პრეფიქსის გამო: ხტწარიდ ლწარიდ. შესაძლებელია სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ფორმის განსხვავება მხოლობითისაგან (მი მ ა ყ ა – ნწა მ ა ყ ა). მორფოლოგიურმა საჭიროებამ გზა გაუხსნა შესაძლებელი ფონეტიკური პროცესების განხორციელებას: როგორც ალ. ონიანი უშვებს, ობიექტურს უღვლილებაში მხოლობითისაგან ექსკლუზივის ფორმის განსხვავება უნდა მომხდარიყო მ-ს ნ-ში გადასვლის გზით. ამის მიზეზი კი უნდა ყოფილიყო მრავლობითი რიცხვის ნწა ნაცვალსახელი, რომელიც აუცილებელი თანამდევით იქნებოდა მრავლობითი რიცხვის გაგებით ნახმარი რომელიმე მაყა ფორმისა (რომელიც მხოლობითი რიცხვის ფორმას ემთხვეოდა, რადგანაც მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა).

მეორე გარემოება, რომელსაც მ>ნ გადასვლაზე შეეძლო ემოქმედა, ეს მისი მხოლობითის წყვილთან (მი მაყა) ტიპოლოგიური დამსგავსების, ანალოგიის გავლენა უნდა ყოფილიყო ნწა მაყა > ნწა ნაყა (გ. მაჭავარიანი).

ასე განსხვავდა ობიექტურს უღვლილებაში მხოლობითის ფორმისაგან ექსკლუზივის ფორმა ზემოსვანურში. ქვემოსვანურში, როგორც ცნობილია, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია არ არსებობს. თუ ვიგულისხმებთ, რომ იქ ეს კატეგორია არსებობდა და მოიშალა, ამისათვის ხელი იმას უნდა შეეწყოს, რომ იქ, როგორც ჩანს, ექსკლუზივის ფორმაში არ მომხდარა მ > ნ გადასვლა, ე. ი. არ მომხდარა ექსკლუზივის ფორმის მხოლობითისაგან განსხვავება, ხოლო, რადგანაც არ არსებობდა ინკლუზივთან მკვეთრად დაპირისპირებული ექსკლუზივის ფორმა (ეს უკანასკნელი მთლი-

ანად ემთხვეოდა მხოლობითის ფორმას), აზრობრივი დაპირისპირებაც თანდათან მოიშალა. ამიტომ გახდა შესაძლებელი ამ პროცესზე გავლენა მოეხდინა ქართულს.

ამგვარად, ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით გაფორმება მეორეული მოვლენაა, სუბიექტურს უღვლილებაში კი დაცულია ამოსავალი ვითარება: ექსკლუზივს ნიშანი არა აქვს, მაგრამ სვანურში იგი ფორმით მაინც განსხვავდება მხოლობითის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით:  $S_1$  – ხჷჷში,  $S_2$  – ლჷშიდ,  $S_e$  – ხჷჷშიდ.

თუ ზემოთქმულს თავს მოვუყრით, შეიძლება დავასკნათ:

1. გუ-პრეფიქსი, ისტორიულად ინკლუზივის ნიშანი,  $O_2 + O_1$  პრეფიქსთა კომბინაციითაა შედგენილი: **გმ > გჷ**.

2. ექსკლუზივს ნიშანი ისტორიულად არ ჰქონია, რადგანაც განსაკუთრებულ აფიქსს მხოლოდ II პირის არსებობის აღნიშვნა საჭიროებდა. ობიექტურს უღვლილებაში (სვანურში მხოლობითის ფორმისაგან განსხვავების საჭიროებამ გზა გაუხსნა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას: ნჷჷ მაყა – ნჷჷ ნაყა და, ამგვარად, სვანურში ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშნად საბოლოოდ გაფორმდა ნ-პრეფიქსი.

3. სვანურში სუბიექტურს უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. ამიტომ მისი გამოხატვის წესს არ დასდებია საფუძვლად ორი პირის ნიშნის კომბინაცია. ინკლუზივი საგანგებო **ლ-**პრეფიქსითაა აღნიშნული, რომელიც შესაძლებელია ისტორიულად  $S_3$  პრეფიქსს დაუკავშიროთ. ექსკლუზივს კი აქაც არა აქვს ნიშანი.

4. ქართულში, როგორც ჩანს, სუბიექტურს უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირების გაჩენამდე ეს კატეგორია ობიექტურმა უღვლილებამაც დაკარგა, განსხვავებით ზემოსვანურისაგან, სადაც ეს კატეგორია კიდევ უფრო გაძლიერდა და სუბიექტურს უღვლილებაშიც მოხდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმალური გარჩევა.

5. ქვემო სვანურში, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ექსკლუზივის ფორმა არ დაპირისპირებია ერთი მხრივ – მხოლობითისა და მეორე მხრივ – ინკლუზივის ფორმას, ე.ი. არ მიეცა გასაქანი ზემოთ დასახელებულ ფონეტიკურ პროცესს (ნჷჷ მაყა – ნჷჷ ნაყა). ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება აღარც სუბიექტურს უღვლილებაში მომხდარა. შემდგომ კი ქართულის გავლენით ეს დაპირისპირება ობიექტურს უღვლილებაშიც შესუსტდა და საბოლოოდ მოიშალა.

6. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის სქემა ისტორიულად ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

ობიექტურს უღვლილებაში სვანურში:

$$C_1 \text{ მ-} \qquad C_i \text{ გჷ} < \text{გმ}$$

$$C_e \text{ ნ-} < O_1 \text{ მ-} \emptyset$$

ქართულში:

$$C_1 \text{ მ-} \qquad C_1 \text{ გჷ-} < \text{გმ}$$

$$C_e \emptyset$$

სუბიექტურს უღვლილებაში სვანურში:

C<sub>1</sub> ხტ-

C<sub>1</sub> ლ- (დ)

C<sub>6</sub> Ø (დ-)

ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში ამგვარი დაპირისპირება არ განვითარებულა.

### დამონმებული ლიტერატურა

1. თოფურია ვ., სვანური ენა. ზმნა. თბილისი, 1967.
2. ონიანი ალ., ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, „მაცნე“, 1965, 1.
3. შანიძე ა., ქართული ზმნის საქცევი, თსუ მოამბე, ტ. VI, 1926.
4. შანიძე ა., ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის I პირისა სვანურში, „წელიწადეული“, 1923-24.
5. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953.
6. ჩიქობავა არნ., მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, ტ. I, 1946.

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია),  
4, 1977, გვ. 159-165.*

თეიმურაზ მეტრეველი

## ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში

პირველი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული **გუ-** და **მ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობამ ძველ ქართულში თავიდანვე მიიქცია ყურადღება. ჯერ კიდევ ადრე მოცემული ფორმები პროფ. ა. შანიძემ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთად მიიჩნია და გამოთქვა ვარაუდი, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, რომელიც დღესაც მოქმედებს სვანურში, საერთო ქართული კატეგორია უნდა ყოფილიყო ([1], 335, შნმ. 1; [2], 372, 4). გამოთქმული მოსაზრება გაიზიარეს ვ. თოფურიაშვილმა ([3], 25-6), კ. დონდუამ [4], გ. დეეტერსმა ([5], 27). თავისი ვარაუდი **გუ-** და **მ-**პრეფიქსიანი ფორმების შესახებ ა. შანიძემ შემდგომშიც გაიმეორა „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ ორსავე გამოცემაში (1953 წ. გვ. 185; 1973 წ., გვ. 183) და ბოლო ხანს გამოსულ „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ (1976 წ. გვ. 65).

სულ სხვა ვარაუდი წამოაყენა არნ. ჩიქობავამ [6], რომელმაც როგორც **მ-**პრეფიქსი, ისევე **გუ-**პრეფიქსიც მხოლოდითი რიცხვის ნიშნად ჩათვალა ([6], 100) და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ დიალექტურ ფენებს მიაკუთვნა ([6], 105). რაც შეეხება ინკლუზივ-ექსკლუზივის შესახებ წამოყენებულ დებულებას, იგი, მისი აზრით, სვანურის ჩვენებას ემყარება ([6], 100), სადაც ეს კატეგორია მეორეული წარმოშობისა უნდა იყოს და ამიტომ მისი (სვანურის) მონაცემების გათვალისწინება ძველი ქართულისათვის დასაყრდენად ვერ გამოდგება ([6], 115).

1965 წელს „მაცნეში“ (1) დაიბეჭდა ა. ონიანის სპეციალური ნაშრომი [7], რომელშიც საგანგებოდაა განხილული სვანურში არსებული ვითარება და უარყოფილია ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მეორეულობა სვანურში. ა. ონიანის აზრით, უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მოიშალა, ხოლო სვანურმა კი არქაული ვითარება შემოგვინახა ([7], 231). იქვე ა. ონიანი განაგრძობს, რომ, მართალია, ძველ ქართულში **მ-** და **გუ-**პრეფიქსთა ადრინდელი ფუნქცია მოშლილია, მაგრამ ზმნის უღლების სისტემაში ისინი კვლავ ტრადიციულად იხმარებიან და არქაული ვითარება აქვთ დაცული. ეს კი, ასკვნის ავტორი, საფუძველს გვაძლევს, ინკლუზივ-ექსკლუზივის ოდინდელი არსებობა ქართულშიც ვივარაუდოთ ([7], 234).

ასეთია ა. ონიანის ძირითადი დასკვნები, რომლებიც, ფაქტობრივად უარყოფენ **გუ-** || **მ-**პრეფიქსთა არნ. ჩიქობავასეულ გააზრებას და საბოლოოდ ა. შანიძის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრების სისწორეს ასაბუთებენ. ამ თვალსაზრისით, საკითხი შეიძლება გადაჭრილად ჩაგვეთვალო, მითუმეტეს, რომ ა. ონიანის მსჯელობა საკმაოდ საფუძვლიანი და ამომწურავია.

მაგრამ ნაშრომში ძირითადი ყურადღება მაინც სვანურს ეთმობა და საილუსტრაციო მასალა ძველი ქართულიდან ნაკლებადაა მოხმობილი. ამიტომ, მეტი დამაჯერებლობისათვის მაინც საჭირო ჩანს ძველი ქართული ენის ცალკეული ძეგლების უფრო დეტალური ანალიზი. ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო ახალი აღთქმის წიგნების, უპირველეს ყოვლისა კი „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის“ [8] ანალიზი მიგვაჩნია შესაფერად. რადგან, მართალია, შატბერდული ხელნაწერები გადაწერილია IX-X სს, მაგრამ მათი ენა ძირითადად მაინც IV-V საუკუნეთა ენის ნორმებს ასახავს ([8], 011).

ტექსტთა ანალიზამდე წინასწარ უნდა ითქვას, გუ- და მ-პრეფიქსთა შორის არსებული სხვაობის დასადგენად, სვანურის მონაცემების გათვალისწინებაზე არანაკლები მნიშვნელობა თვით ქართული ზმნის სტრუქტურის გათვალისწინებას ენიჭება. კერძოდ, მის უნარს, გამოხატოს თავისი ფორმით როგორც სუბიექტური, ისევე ობიექტური პირიც (ან პირებიც). პირთა შესაძლებელი კომბინაციები გვიჩვენებს, რომ თუ ზმნის ფორმაში ობიექტური პირი პირველია, მაშინ სუბიექტად შეიძლება გვექნოდეს მეორე ან მესამე პირი. აქედან, თუ სუბიექტი მეორე პირია, მაშინ ობიექტის მრავლობითობა შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ პირველ და მესამე ობიექტურ პირთა ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში ფორმა, ცხადია, ექსკლუზიური შინაარსისა იქნება, რადგან მეორე პირი ობიექტის მრავლობითობიდან გამორიცხულად იგულისხმება. მაგრამ თუ სუბიექტი მესამე პირია, მაშინ ობიექტის მრავლობითობაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც პირველი და მეორე პირის ურთიერთობა, ისევე პირველი და მესამე პირის ურთიერთობაც, ე.ი. ფორმა შეიძლება იყოს როგორც ინკლუზიური შინაარსისა, ისევე ექსკლუზიურისაც.

თუ ზემოთ აღნიშნულ პირთა შესაძლებელ კომბინაციებს გავითვალისწინებთ, მაშინ გუ- და მ-პრეფიქსიანი ფორმები შეიძლება აპრიორულად მივიჩნიოთ ძველი ქართულის ადრეულ ეტაპზე მოქმედი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთად (მიუხედავად იმისა, რომ გუ- და მ-პრეფიქსიანი ფორმების არნ. ჩიქობავასეული ინერტპრეტაცია მიუღებელი ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ გუ-პრეფიქსიანი ფორმები ძველ ქართულში საერთოდ არ დასტურდება მხოლოდითი რიცხვის მნიშვნელობით. შდრ. [7] 233).

ზემოთ აღნიშნული შესაძლებელი კომბინაციების გათვალისწინება იმასაც ნათელყოფს, რომ ძველ ქართულ ტექსტებში უპირველეს ყოვლისა ექსკლუზიურ ფორმათა კვალი უნდა ვეძიოთ. ამიტომ ტექსტის ანალიზისას ძირითადი ყურადღება მ-პრეფიქსიანი ფორმებს ეთმობა.

### ენობრივი მასალის ანალიზი

ქვემოთ ცალ-ცალკეა განხილული ჯ რ უ ქ - პ ა რ ხ ლ ი ს ა (936 წ., 973 წ.) და ა დ ი შ ი ს (897 წ.) ოთხთავები, რადგან პირველი ორი ერთ DE რედაქციას იძლევა, მესამე კი განცალკევებით დგას (C რედაქცია) ქართულ ოთხთავთა შორის ([8] 08-010).

## DE რედაქცია

**მათეს სახარება.** გვაქვს 17 მ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგან 15 მე-2 სუბიექტურ პირიანი ფორმა და ამიტომ, ცხადია, „ჩუენ“ გულისხმობს 1-ლი და მე-3 ობიექტურ პირთა ურთიერთობას: 1. პური ესე ჩუენი არსობისაჲ **მომეც** ჩუენ დღეს (6,11), 2. და **მომიტევენ** ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი (6,12), 3. და ნუ **შემიყვანებ** ჩუენ განსაცდელსა (6,13), 4. არამედ **მიჯსნენ** ჩუენ ბოროტისაგან (6,13), 5. უფალო, **მიჯსნენ** ჩუენ (8,25), 6. **მიბრძანე** მისლვად კოლტსა იმას ღორთასა (8,31), 7. **შემიწყალენ** ჩუენ, უფალო (9,27), 8. **მითხარ** ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ (13,36), 9. **გამომითარგმანე** ჩუენ იგავი ეგე (15,15), 10. **შემიწყალენ** ჩუენ, იესუ (20,30), 11. **შემიწყალენ** ჩუენ, უფალო (20,31), 12. ან **მარქუე** ჩუენ (22,17), 13. **მითხარ** ჩუენ (24,3), 14. **მეცით** ჩუენ ზეთისაგან თქუენისა (25,8), 15. **გაფუცებ** შენ, ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა **მითხრა** ჩუენ (26,63).

ყველა 15-სავე შემთხვევაში ფორმები აშკარად ექსკლუზიური მნიშვნელობისაა. ასევე ექსკლუზიური მნიშვნელობისაა დანარჩენი ორი ფორმაც: 16. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ **დამიდგინნა** ჩუენ, უფალო (20,7). მეორე ობიექტური პირის შინაარსიდან გამორიცხულია, რადგან, შინაარსობრივი თვალსაზრისით, მეორე პირი წინადადებაში „უფალო“ სიტყვითაა რეალიზებული, რომელიც ნამდვილად არ იგულისხმება „დამიდგინნა“ ფორმის შინაგან დამატებად. გამორიცხულად იგულისხმება მეორე ობიექტური პირი მ-პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობიდან მომდევნო მაგალითშიც: 17. მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ **მეძინა** (28,13).

რაც შეეხება გუ-პრეფიქსიან ფორმებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ექსკლუზიური გაგებისაა, მაგალითად, მე-2 სუბიექტურ პირიანი ბრძანებითის ფორმები: 1. უფალო, უფალო, **განგკლე** ჩუენცა (25,11); 2. **გვნიანარმეტყუელებდ** ჩუენ, ქრისტე (26,68). გამორიცხულია მე-2 ობიექტური პირი სხვა შემთხვევებშიც: 3. უკუეთუ **განგუასხამ** ჩუენ... (8,31). სუბიექტი აქაც, მე-2 პირია და ამიტომ ობიექტის მრავლობითობაში მხოლოდ პირველი და მე-3 პირის ურთიერთობა იგულისხმება. 4. მოძღუარ, **გუნებავს** შენგან სასწაულისა ხილვაჲ (12,38). „გუნებავს“ ფორმის ექსკლუზიურ შინაარსს ხაზი ესმება წინადადებაში მოცემული „მოძღუარ“ და „შენგან“ ლექსიკური ერთეულებით. 5. და ჰრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა **მოგუცესა** ხარკი? (17,24): ობიექტის მრავლობითობაში იგულისხმება პეტრესთან მოუბარი ხარკის ამკრეფელები და დანარჩენები, ე.ი. პირველი და არა მე-3 პირი და არა პეტრე, რომელიც აქ მე-2 პირად უნდა გავიგოთ, რადგანაც მას მიმართავენ. ანალოგიური თვალსაზრისით დგინდება „ძალ-გვც“ ფორმის ექსკლუზიური შინაარსი მომდევნო მაგალითშიც: 6. ხოლო მათ ჰრქუეს: **ძალ-გვც** (20,22).

სამაგიეროდ, მომდევნო მაგალითში გუ-პრეფიქსიანი ფორმა უკვე ინკლუზიური შინაარსისაა: 7. ნუუკუე ვერ **გუეყოს** ჩუენ და თქუენ (25,9). ინკლუზიურობა კონტექსტუალურადაა ხაზგასმული – წინადადებაში გვაქვს „თქუენ“ ნაცვალსახელი. იგივე ითქმის „გურქუას“ (21,25), „გუეშინის“ (21,26) და „გვჴმან“ (26,65) ფორმების შესახებაც: 8. უკუეთუ ვთქუათ: ზეცით, **გურქუას** ჩუენ (21,25); 9. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგნ, **გუეშინის** ერისა ამის (21,26); 10. რაჲსა-ღა **გვჴმან** მოწამენი? აჴა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი (26,65). პირველი ორი ფორმის შემთხვევაში ობიექტის მრავლობითობა თანამოსაუბრეთა (ე.ი. პირველი და მე-2) პირის ურთიერთობას გულისხმობს. მესამე



ფორმის შემთხვევაში კი მღვდელთ მოძღვარი მიმართავს კრებულს (მნიგნობრებს, ცრუ მონამეებს...), რომელიც, გრამატიკული თვალსაზრისით, წინადადებაში რეალიზდება, როგორც მე-2 ობიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა („თქუნ“). ამიტომ სამივე ფორმა („გურქუას“, „გუეშინის“, „გვკმან“) ინკლუზიური გაგებისაა. ისევე ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს მათეს სახარების დანარჩენი გუ-პრეფიქსიანი ფორმებიც: 11. მამაა გვის ჩვენ აბრაჰამი (3,9); 12. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არარაა გუაქუს (14,17); 13. განუტევე ესე, რამეთუ ღალადებს და შეგვდგს ჩუენ (15,23); 14. გარდამოწედინ ან მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს ეგე (27,42). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოთხი ფორმიდან ყველა ერთნაირი სიცხადით არ გამოხატავს ინკლუზიურობას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: მათეს სახარების DE რედაქციის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 17-ვე მ-პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობიდან აშკარად გამორიცხულია მე-2 ობიექტური პირის გაგება და ამიტომ ისინი ყველა შემთხვევაში ექსკლუზიური გაგებისა არიან. რაც შეეხება გუ-პრეფიქსიან ფორმებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ასევე ექსკლუზიურიც. ყოველივე დამოკიდებულია კონტექსტზე. ამ თვალსაზრისით, ისინი ექსკლუზიურობის საპირისპირო გაგებას ვერ აყალიბებენ.

პრეფიქსთა შეფარდება: მ (17) : გუ (14).

**მარკოზის სახარება.** მ-პრეფიქსიანი ფორმები აქ შედარებით ნაკლებია, სულ რვაა. აქედან 6 მე-2 სუბიექტური პირიანი ბრძანებითი ფორმაა და ამიტომ მათი მნიშვნელობიდან მე-2 ობიექტური პირი გამორიცხულია და ისინი აშკარად ექსკლუზიური გაგებისა არიან: 1. მიბრძანე ჩუენ ღორებსა იმას, რაათა მათა შევიდეთ (5,12), 2. შემენიე ჩუენ, უფალო (9,22); 3. მომეც ჩუენ, რაათა დავსხდეთ ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დღესა მას დიდებისასა (10, 37); 4. მარქუ ჩუენ (12,14); 5. მითხარ ჩუენ, ოდეს ყოფად არს ესე (13,4); 6. მუნ მზა-მიყავთ ჩუენ (14,15).

ექსკლუზიური გაგებისაა „დამინერა“ ფორმაც მომდევნო წინადადებაში: 7. მოძღუარ, მოსე ესრეთ დამინერა ჩუენ (12,9). მეორე პირის ფარდად წინადადებაში ნაგულისხმეია „მოძღუარ“, რომელსაც მიმართავენ და რომელიც, ამ თვალსაზრისით არ უნდა შედიოდეს მ-პრეფიქსით აღნიშნული ობიექტის მრავლობითობაში. ექსკლუზიური გაგებისაა „მიყო“ ფორმაც, რადგან სუბიექტად აქ მე-2 პირი გვევლინება: 8. მოძღუარ, გუნებავს, რაათა, რომელი გთხოვოთ, მიყო ჩუენ (10,35) <sup>1</sup>.

ბოლო წინადადებაში მოცემული „გუნებავს“ ფორმა უკვე ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს, მაგრამ იგი, ისევე როგორც „მიყო“ ფორმა, ექსკლუზიურობის გამომხატველია: მე-2 პირის ფარდად წინადადებაში „მოძღუარ“ იგულისხმება, რომელიც არ შედის „გუნებავს“ ფორმის გაგებაში. ასევე ექსკლუზიური შინაარსისაა „გვწინანარმეტყუელებდ“ (14,65) ფორმაც. „გვწინანარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე“ წინადადებაში, რადგან იგი I ბრძანებითი ფორმაა და სუბიექტად გვაქვს მე-2 პირი, რომელიც აღარ შეიძლება შედიოდეს ობიექტის მრავლობითობაში. ექსკლუზიური გაგებისა უნდა იყოს „ძალ-გვც“ ფორმაც: „ხოლო მათ ჰრქუეს მას: ძალ-გვც (10,33). „ძალ-გვც“ მე

<sup>1</sup> ისეთ შემთხვევებს, როცა ერთ წინადადებაში ერთი და იგივე გაგების ფორმებს ხან გუ აქვთ და ხან მ, საგანგებოდ იხილავს არნ. ჩიქობავა და მათ გუ- და მ-პრეფიქსების სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის დამამტკიცებელ არგუმენტად მიიჩნევს [6,] 101-104). ჩვენი აზრით, აქ უბრალოდ ფორმათა გათანაბრებასთან გვაქვს საქმე.

და იოვანეს (ან მე და იაკობს) – გვაქვს 1-ლი და მე-3 პირის ურთიერთობა (იგივე ურთიერთობაა ადრე განხილულ „გუნებავს“ (10,35) ფორმაშიც).

სულ სხვა მნიშვნელობისაა „ძალ-გვც“ ფორმა მომდევნო წინადადებაში: „ვინაჲ **ძალ-გვც** აქა განძდებად პურითა ესოდენი ერი უდაბნოსა ზედა?“ (8,4). „ძალ-გვც“ აქ უკვე ინკლუზიური შინაარსისაა და ობიექტის მრავლობითობაში იგულისხმება „ჩუენ და შენ“. როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე **გუ-პრეფიქსიან** ფორმას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც.

ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს მარკოზის სახარების დანარჩენი **გუ-პრეფიქსიანი** ფორმები: „და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა **გუაქუს**“ (8,16); „რომელი ჩუენ არა **შეგვდგს**“ (9,38); „უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, **გურქუას** ჩუენ“ (11,31); „და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან **გუეშინის** ერისა“ (11,32); „რაჲსა-ლა **გვჳმან** მოწამენი?“ (14,63); „გარდამოჳედინ ან ჯუართ, რაჲთა ვიხილოთ და **გურწმენეს**“ (15,32)<sup>1</sup>. „ჩუენ **გუესმა** მაგისი სიტყუაჲ“ (14,58); „ვინ **გარდაგვგორვოს** ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა?“ (16,3). მარკოზის სახარების **გუ-პრეფიქსიანი** ფორმები, ისევე როგორც მათეს სახარებისა, ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიტყვადით არ გამოხატავს ინკლუზიურობას.

მარკოზის სახარების შემთხვევაში გამოტანილი დასკვნა მათეს სახარების შემთხვევაში გამოტანილი დასკვნის ანალოგიური იქნება. ამიტომ აქ მხოლოდ მარკოზის სახარებაში მოცემულ პრეფიქსთა შეფარდებას ვაჩვენებთ: **მ (8) : გუ (12)**<sup>2</sup>.

**ლუკას სახარება.** ყველაზე მეტი **მ-პრეფიქსიანი** ფორმა აქ გვაქვს – 25. აქედან 14 შემთხვევაში ფორმა მე-2 სუბიექტური პირისაა და ამიტომ 14-ვე ფორმა ექსკლუზიური შინაარსისაა: 1. შვილო, რაჲსა ესრჳთ **მიყავ** ჩუენ? (2,48); 2. პური ჩუენი თანაარსობისაჲ **მომეც** ჩუენ დლითი-დღედ (11,3); 3. და **მომიტევენ** ჩუენ ცოდვანი ჩუენნი (11,4); 4. და ნუ **შემიყვანებ** ჩუენ განსაცდელსა (11,4); 5. მოძლუარ, მაგას რაჲ იტყუ, ჩუენცა **მაგინებ** (11,45); 6. **შემძინე** ჩუენ სარწმუნოვებაჲ (17,5); 7. იესუ მოძლუარ, **შემინყალენ** ჩუენ (17,13); 8. **მითხარ** ჩუენ, რომლითა ჳელმწიფებითა ამას იქმ (20,2); 9. ნარვედით და **მომიმზადეთ** ჩუენ პასქაჲ (22,8); 10. მუნ **მზა-მიყავთ** ჩუენ (22,12); 11. უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, **მითხარ** ჩუენ (22,67); 12. აღილე ეგე და **მომიტევე** ჩუენ ბარაბა (23,18); 13. **დამეცენით** ჩუენ (23,30); 14. **დამფარენით** ჩუენ (23,30).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, სადაც სუბიექტი მესამე პირია, მიუხედავად ამისა, ფორმათა ექსკლუზიური შინაარსი ოთხ შემთხვევაში საკმაოდ ნათლადაა გამოხატული: 15. იოვანე ნათლის-მცემელმან **მომავლინნა** ჩუენ შენდა (7,20); წინადადებაში მოცემული „შენდა“ გამორიცხავს „მომავლინნა“ ფორმიდან მე-2 ობიექტურ პირს. 16. მოძლუარ, მოსე ესრე **დამინერა** ჩუენ (20,28). იხ. მარკოზის სახარება (12,19); 17. და შესაკრებელი ჩუენი მან **აღმიშენა** ჩუენ (7,5); ასისტავმა შესაკრებელი აღუშენა მოუბარს (1-ლი პირი) და დანარჩენ ჰურიებს (მე-3 პირი) და არა ქრისტეს, რომელსაც მიმართავენ და რომელიც, ამ თვალსაზრისით, მე-2 პირად უნდა ვიგულისხმოთ წინადადებაში. გამორიცხულია მე-2 ობიექტური პირი მომდევნო შემთხვევაშიც: 18. არამედ

<sup>1</sup> ბოლო 6 ფორმა შდრ. მათეს სახარების ანალოგიურ **გუ-პრეფიქსიანი** ფორმებს: 14, 17; 15,23; 21,25; 21,26; 26,65; 27,42.

<sup>2</sup> D რედაქციაში **გუ-პრეფიქსიანი** ფორმა ერთით ნაკლებია: ძალ-გვც –ძალ-გიც (8,4).

დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა **დამაკვრვეს** ჩუენ (24,22); მე-2 ობიექტური პირი (ამ შემთხვევაში ქრისტე) არც აქ იგულისხმება **მ**-პრეფიქსიან ფორმაში.

ორ შემთხვევაში **მ**-პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობა ბუნდოვანია: 19. ვითარცა-იგი **მომცეს** ჩუენ, რომელი დასაბამითგან თვთ-მხილველ... ყოფილ იყვნეს სიტყვსა მის (1,2); 20. რომელთა **მომხედა** ჩუენ აღმოსავალმან მალლით (1,78).

დანარჩენ 5 შემთხვევაში **მ**-პრეფიქსიანი ფორმა ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს: 21. თქუეს მწყემსთა მათ ურთიერთას: ...ვიხილოთ სიტყუაჲ ესე...რომელ-იგი უფალმან **მაუნყა** ჩუენ (2,15); 22. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით იყო, მრქუას ჩუენ (20,5); 23. და უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: კაცთაგან ყოველმან ერმან ქვაჲ დამკრიბოს ჩუენ (20,6). საინტერესოა, რომ ბოლო ორი ფორმის ნაცვლად მათესა და მარკოზის სახარებაში მართებული **გუ**-პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს (გურქუას: მ. 21,25; მრკზ. 11,31; გუეშინის: მ. 21,26; მრკზ. 11,32). 24–25. და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გული ჩუენი განჭურვებულ იყო ჩუენ შორის, ვითარ-იგი **მეტყოდა** ჩუენ გზასა ზედა... და **გამომითარგმანებდა** ჩუენ წიგნთა? (24,32).

როგორც ვხედავთ, ლუკას სახარებაში ყველგან არაა დაცული **მ**-პრეფიქსიანი ფორმებში ექსკლუზიური გაგება და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მოცემული კატეგორიის კვალი ძველ ქართულში ნაშთის სახითღა შემორჩენილი.

**გუ**-პრეფიქსიანი ფორმა ლუკას სახარებაში 16-ია (E რედაქციაში ერთით მეტია: გუერჩუენა 1,78). აქედან ნაწილი ინკლუზიური გაგებისაა, ნაწილი კი ექსკლუზიურისა.

ამკარად ინკლუზიური გაგებისაა მაგალითად, „მოგუეგების“ ფორმა „რამეთუ ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, **მოგუეგების** (23,43) წინადადებაში. ინკლუზიურობა კონტექსტის მეშვეობით საკმაოდ ნათლადაა გამოხატული: „მოგუეგების“ იგი ჩუენ (ჩუენ =მე+შენ). ერთმანეთს მიმართავს ორი ძკრის მოქმედი, რომელთაგანაც ერთი პირველ პირად იგულისხმება, მეორე კი – მეორედ. ინკლუზიური გაგებისა ჩანს მომდევნო ფორმებიც: „აღგვდგინა ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ შორის სახლსა მას დავითის“ (1,69); „მამაჲ **გვვის** ჩუენ აბრაჰამი“ (3,8); „და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა **შეგვდგს** ჩუენ თანა“ (9,49); „რაჲ-ღა **გვგმს** წამებაჲ?“ (22,71)<sup>1</sup>; „და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა **დაგუემორჩილებიან** სახელითა შენითა“ (10,17); „რომელი **თანა-გუედვა** ყოფად, ვყავთ“ (17,10); „ჩუენ თვთ **გუესმის** პირისაგან მისისა“ (22,71). სხვა ფორმათა განხილვამდე უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოთვლილი ფორმები ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიცხადით არ გამოხატავენ ინკლუზიურობას.

დანარჩენ შემთხვევებში **გუ**-პრეფიქსიანი ფორმები შეიძლება ექსკლუზიური გაგებისა იყვნენ: უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მე-2 სუბიექტურ პირიან ზმნურ ფორმებს: „უფალო, **გუასწავე** ჩუენ ლოცვაჲ“ (11,1); „უფალო, უფალო, **განგვლე** ჩუენ“ (13,25); „და უბანთა ჩუენთა ზედა **გუასწავებდ**“ (13,26). ასევე ექსკლუზიური გაგებისაა ის დანარჩენი ოთხი ფორმაც, რომელთა შემთხვევაშიც სუბიექტი მე-3 პირია: „რაოდენი **გუესმა** საქმშ შენი კაფერნაუმს, ქმენ აქაცა“ (4,23). ობიექტის მრავლობითობიდან მე-2 პირი ნამდვილად გამორიცხულია, რასაც კონტექსტუალურად ესმება ხაზი „შენი“ ლექსიკური ერთეულისა და „ქმენ აქაცა“ ფრაზის მეშვეობით. „აჰა ესერა

<sup>1</sup> შდრ. მათესა (3,9; 15,23; 26,65); და მარკოზის (9,38; 14,63); სახარების ანალოგიურ **გუ**-პრეფიქსიან ფორმებს.

მტუერი რომელი **აღუეკრა** ფერჯთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა“ (10,11); მიმართავენ მე-2 პირს, რომელიც ობიექტის მრავლობითობის გაგებაში არ შედის და იგი აქაც კონტექსტუალურადაა გამოორიცხული. „და ჰრქუეს მას: არა **გუნებავს** მეუფებაჲ მაგისი ჩუენ ზედა“ (19,14). მოცემულ შემთხვევაში **გუ-**პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობა ერთგვარად ბუნდოვანია. სამაგიეროდ, უკეთესად ჩანს ფორმის ექსკლუზიურობა შემდგომ შემთხვევაში“ „...ნუ გაკლდა რაჲ თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არარაჲ **გუაკლდა**“ (22,35).

ასეთია ვითარება ლუკას სახარებაში. პრეფიქსთა შეფარდებაა **მ** (25) : **გუ** (16).

**იოვანეს სახარება.** გვაქვს 7 **მ**-პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგანაც ოთხში სუბიექტი მე-2 პირია და ამიტომ ობიექტის მრავლობითობიდან მე-2 პირი გამოორიცხულად იგულისხმება: 1. რასა სასწაულსა **მიჩუენებ** ჩუენ (2,18); 2. უფალო, მარადის **მომეც** ჩუენ პური ესე (6,34); 3. **მიჩუენე** ჩუენ მამაჲ შენი (14,8); 4. **მიჩუენე** ჩუენ მამაჲ შენი (14,9). ექსკლუზიური გაგებისაა მომდევნო ფორმაც: 5. ნუ შენ უფროჲს ხარ მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული **მომცა** ჩუენ? (4,12). იაკობმა ჯურღმული მისცა იესუსთან მოუბარ დედაკაცს (1-ლი პირი) და დანარჩენ სამარიტელებს (მე-3 პირი) და არა იესუს, რომელსაც დედაკაცი მიმართავს და რომელიც ამიტომ მე-2 პირად უნდა მივიჩნიოთ.

გვრჩება კიდევ ორი **მ**-პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგანაც ერთის მნიშვნელობა ბუნდოვანია (ჰრქუა მას დედაკაცმან მან: ...ოდეს მოვიდეს იგი, **მითხრას** ჩუენ ყოველი: 4,25), ხოლო მეორე კი ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს (თქუეს მონაფეთა მისთა ურთიერთას: რაჲ არს ესე, რომელსა **მეტყვს** ჩუენ: 16,17).

ასეა თუ ისე, **მ**-პრეფიქსიანი ფორმები იოვანეს სახარებაშიც ძირითადად ექსკლუზიურობის გაგების გამომხატველია.

**გუ**-პრეფიქსიან ფორმებს აქ, ისევე როგორც დანარჩენ სახარებებში, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ინკლუზიური გაგებისაა, მაგალითად, „მიგვლონ“ ფორმა „და მოვიდენ ჰრომნი და **მიგვლონ** ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა“ (11,48) წინადადებაში ერთმანეთს მიმართავენ მოუბარნი და ამიტომ გვაქვს 1-ლი და მე-2 პირის ურთიერთობა. ანალოგიური ვითარებაა მომდევნო შემთხვევაშიც: „იყიდე, რაჲ **გვმდეს** დღესასწაულსა ამას“ (13,29).

სამაგიეროდ, აშკარად ექსკლუზიური გაგებისაა, მაგალითად, მე-2 სუბიექტურ პირიანი ფორმები: „**გვთხარ** ჩუენ, ვინ ხარ შენ“ (1,22); „და შენ **გუასწავება** ჩუენ?“ (9,34); „**გვთხარ** ჩუენ განცხადებულად“ (10,24); „რამეთუ ჩუენ **გამოგვცხადებ** თავსა შენსა“ (14,22).

სულ იოვანეს სახარებაში 19 **გუ**-პრეფიქსიანი ფორმაა (აქედან სამ შემთხვევაში **გუ**-პრეფიქსიანი ფორმა მხოლოდ E რედაქციაშია: გუაქუს (4,11), გუაქუს (5,39), გვმდეს (18,29), მაგრამ დანარჩენ ფორმებს აქ აღარ შევხებით (ისინი არაფრით განსხვავდებიან სხვა სახარებებში განხილული ფორმებისაგან), რადგან ძირითადი ჩვენთვის მაინც **მ**-პრეფიქსიანი ფორმებია.

როგორც ვხედავთ, იოვანეს სახარებაში დანარჩენი სახარებების ანალოგიური ვითარებაა. პრეფიქსთა საერთო შეფარდებაა **მ** (7) : **გუ** (19).

ზემოთ ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილეთ DE რედაქციის ოთხივე სახარების მონაცემები. ანალიზმა გვიჩვენა:

ა) მათეს სახარების 17 მ-პრეფიქსიანი ფორმიდან 17-ვე ექსკლუზიური შინაარსისაა. ასევე ექსკლუზიური შინაარსისაა მარკოზის სახარების რვავე მ-პრეფიქსიანი ფორმა. ლუკას სახარების 25 მ-პრეფიქსიანი ფორმიდან 18 ექსკლუზიური შინაარსისაა (2 ფორმის შინაარსი ბუნდოვანია, 5 ფორმა ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს). იოვანეს სახარების 7 მ-პრეფიქსიანი ფორმიდან 18 ექსკლუზიური შინაარსისაა (1 ფორმის შინაარსი ბუნდოვანია და ერთი ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს). მაშასადამე, სულ ოთხივე სახარების 57 ფორმიდან 48 ექსკლუზიური შინაარსისაა.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში მოცემული მ-პრეფიქსიანი ფორმები აშკარად იძლევიან საშუალებას, ნაშთის სახით დავადგინოთ ადრე მოქმედი ექსკლუზივის კატეგორიის კვალი.

ბ) რაც შეეხება გუ-პრეფიქსიან ფორმებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ამ თვალსაზრისით, ისინი ვერ აყალიბებენ ექსკლუზიურ ფორმათა საპირისპირო კატეგორიულ მნიშვნელობას (მათი გაგებიდან არაა გამორიცხული ექსკლუზიურობა). სულ DE რედაქციაში 61 გუ-პრეფიქსიანი ფორმაა.

გ) მიუხედავად იმისა, რომ მ-პრეფიქსიანი ფორმები DE რედაქციაში ძირითადად ექსკლუზიურობის გამომხატველია, ფორმათა გათანაბრების პროცესი ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების ენაში მაინც საკმაოდ შორსაა წასული და გუ-პრეფიქსიან ფორმებს მათი ხმარების თითქმის ნახევარში ნატვირთი აქვთ ექსკლუზიურობის გაგების გადმოცემა (გათანაბრების მაჩვენებელია მ-პრეფიქსიანი ფორმების ხმარების ის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა ისინი არ გამოხატავენ ექსკლუზიურობას).

ოთხსავე სახარებაში მოცემულ პრეფიქსთა საერთო შეფარდებაა მ (57) : გუ (61).

## C რედაქცია

**მათეს სახარება.** DE რედაქციის 17 მ-პრეფიქსიანი ფორმის ნაცვლად C რედაქციაში 12 გვაქვს. აქედან ორივე რედაქციისათვის საზიარო ფორმებია: 1. პური ჩუენი სამარადისოა **მომეც** ჩუენ დღეს (6, 11); 2. არამედ **მიცსნენ** ჩუენ ბოროტისაგან (6,13); 3. უფალო, **განმარინენ** ჩუენ (8,25)<sup>1</sup>; 4. **მინყალენ** ჩუენ, ძეო დავითისო (9,27); 5. **მინყალენ** ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო (20,30); 6. ან **მარქუ** ჩუენ (22,17); 7. **მარქუ** ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე (24,3); 8. გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაათა **მიოხრა** ჩუენ (26,63); 9. და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ **მეძინა** (28,13). მოცემული ფორმები DE რედაქციის ანალიზისას იყო განხილული და აღინიშნა, რომ ისინი ყველა ექსკლუზიური გაგებისაა.

<sup>1</sup> ცალკეულ მუხლებში DE და C რედაქციებში მსგავსი შინაარსის ერთმანეთისგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულები გვაქვს. ასეთ შემთხვევებში ქვემოთ მხოლოდ C რედაქციის ერთეულებია მოყვანილი ხანდახან.

ასევე ექსკლუზიური გაგებისაა ის სამი ფორმაც, რომლებიც DE რედაქციის უპრეფიქსო ფორმების ნაცვლად გვაქვს C რედაქციაში: 10. სულგრძელ **მექმენ** ჩუენ ზედა (სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა: DE 18,29); 11. და **დამასნორენ** ჩუენ იგი (სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი: DE 20,12). ორივე ფორმა მე-2 სუბიექტურ პირიანი ფორმაა. 12. უფალო, რაჲთა **აღმესუნენ** ჩუენ თუალნი ჩუენნი (უფალო, რაჲთა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი: DE 20,33). მიმართვა მე-2 პირისადმი, რომელიც, ცხადია, ველარ შევა ობიექტის მრავლობითობაში.

**გუ**-პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში 24-ია, ე.ი., 10-ით მეტი ვიდრე DE რედაქციაში. აქედან 13 შემთხვევაში ფორმები ორივე რედაქციისათვის საზიაროა: „გვის“ (3,9), „გან-თუ-გუასხამ“ (C 8,31) || „განგუასხამ“ (DE), „გუნებავს“ (12,38), „არა გუაქუს“ (C 14,17) || „არარაჲ გუაქუს“ (DE), „შეგვდგს“ (15,23), „გვძლავს“ (C 20,22) || „ძალგვც“ (DE), „გურქუას“ (21,25), „გუეშინის“ (21, 26), „ვერ გუეყოს“ (25,9), „განგვლე“ (25,11), „გვჰმს“ (C 26,65) || „გჰჰმან“ (DE), „გვწინანარმეტყუელებდ“ (26,68), „გურწმენეს“ (27,42). ამ ფორმებს უკვე შეეხებოდა DE რედაქციის ანალიზისას და ვნახეთ, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც.

სამ შემთხვევაში DE რედაქციის უპრეფიქსო ფორმებს C-ში **გუ**-პრეფიქსიანი ფორმები უპირისპირდება: „პური არა **გუაქუს**“ (C 16,7) ← „პური არა მოვიდეთ“ (DE), „რამეთუ სანთელნი ჩუენნი **დაგვშრტებიან**“ (C 25,8) ← „რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაშრტებიან“ (DE).

მაგრამ რედაქციათა შედარებისას ყველაზე საინტერესო ისაა, რომ DE რედაქციის 8 **მ**-პრეფიქსიანი ფორმის ნაცვლად C-ში **გუ**-პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს: 1. და **მოგვტევენ** ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი (C 6,12) ← და **მომიტევენ** ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი (DE); 2. და ნუ **შეგვყვანებ** ჩვენ განაცდელსა (C 6,13) ← და ნუ **შემიყვანებ** ჩუენ განსაცდელსა (DE); 3. **გვბრძანე** ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორებისასა (C 8,31) ← **მიბრძანე** მისლვად კოლტსა იმას ღორთასა (DE), 4. **გვთხარ** ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ (C 13,36) ← **მითხარ** ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ (DE); 5. **გამოგვთარგმანე** ჩუენ იგავი ეგე (C 15,15) ← **გამომითარგმანე** ჩუენ იგავი ეგე (DE); 6. არავინ **დაგვდგინა** ჩუენ (C 20,7) ← არავინ **დამიდგინა** ჩუენ (DE); 7. უფალო, გვწყალენ ჩუენ (C 20,31) ← **შემიწყალენ** ჩუენ, უფალო (DE); 8. **გუეციით** ჩუენცა ზეთი ზეთისა მაგის თქუენისაჲ (C 25,8) ← **მეციით** ჩუენ ზეთისაგან თქუენისა (DE). DE რედაქციის ანალიზისას ვნახეთ, რომ აქ ჩამოთვლილი **მ**-პრეფიქსიანი ფორმები ექსკლუზიური შინაარსისაა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ C რედაქციის შემცვლელ **გუ**-პრეფიქსიანი ფორმებს აქ ყველგან ექსკლუზიური შინაარსი აქვთ ნატვირთი.

როგორც ვხედავთ, მათეს სახარების შემთხვევაში რედაქციები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან **გუ**- და **მ**-პრეფიქსის ხმარების თვალსაზრისით. მართალია, **მ**-პრეფიქსიანი ფორმები C რედაქციაში ყველგან ექსკლუზიური გაგებისაა, მაგრამ მათი რაოდენობა 5-ით ნაკლებია DE რედაქციასთან შედარებით. სამაგიეროდ, C რედაქციაში **გუ**-პრეფიქსიანი ფორმები 10-ით მეტია. მაგრამ ძირითადი მაინც ისაა, რომ 8

შემთხვევაში DE რედაქციის მართებული მ-პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში გუ-პრეფიქსიანი ფორმითაა შეცვლილი. ამ თვალსაზრისით, C რედაქციაში ფორმათა განთავსების პროცესი DE რედაქციასთან შედარებით კიდევ უფრო შორსაა წასული.

შესაბამისად, C რედაქციაში ფორმათა შეფარდებაც განსხვავებულია: გუ (24) : მ (12).

**მარკოზის სახარება.** მ-პრეფიქსიანი ფორმები აქ კიდევ უფრო იშვიათია. DE რედაქციის რვა ფორმის ნაცვლად C-ში გვაქვს სამი: 1. რააცა გთხოვთ, **მიყო** ჩუენ (10,35); 2. ან **მარქუ** ჩუენ (12,14); 3. **მითხარ** ჩუენ, ოდეს იყოს ესე (13,4). სამსავე შემთხვევაში ფორმა ექსკლუზიური ხასიათისაა, რადგან სუბიექტად მე-2 პირია ნაგულისხმევი.

დანარჩენ 5 შემთხვევაში DE რედაქციის მ-პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში გუ-პრეფიქსიანი ფორმითაა შეცვლილი: 1. **მიგუავლინენ** ჩუენ ღორებსა იმას, რაათა შევიდეთ მათა (C 5,12) ← **მიბრძანე** ჩუენ ღორებსა იმას, რაათა შევიდეთ (DE); 2. **შეგუენიე** ჩუენ (C 9,22) ← **შემენიე** ჩუენ, უფალო (DE); 3. **მოგუეც** ჩუენ, რაათა დავსხდეთ... (C 10,37) ← **მომეც** ჩუენ, რაათა დავსხდეთ... DE); 4. მოძღუარ, მოსე **დაგვნერა** ჩუენ (C 12,19) ← მოძღუარ, მოსე ესრეთ **დამინერა** ჩუენ (DE 5. მუნ **დაგვზადეთ** ჩუენ (C 14,15); ← მუნ **ზზა-მიყავთ** ჩუენ (DE). ყველა შემთხვევაში ფორმები ექსკლუზიური შინაარსისაა (იხ. DE რედაქციის ანალიზი). ამიტომ გუ-პრეფიქსს მოცემულ შემთხვევებში მ-პრეფიქსის ფუნქცია აქვს ნაკისრი.

ამ ხუთ გუ-პრეფიქსიან ფორმას ემატება ორივე რედაქციისათვის საზიარო ცხრა გუ-პრეფიქსიანი ფორმა: „არა გუაქუს“ (DEC 8,16), „გუნებას“ (DEC 10,35), „გკლავს“ (C 10,39) | „ძალ-გვც“ (DE), „გურქუას“ (DEC 11,31). „გუესმა“ (DEC 14,58), „გკვმან“ (DEC 14,63), „გვინანარმეტყუელებდ“ (DEC 14,65), „გურნმენეს“ (DEC 15,32), „გარდაგვგორვოს“ (DEC 16,3). აქვე ემატება ის ორი ფორმა, რომელთა ნაცვლად DE რედაქციაში უპრეფიქსო ფორმებია: „გუაცადე, რაა ძეს ჩუენი და შენი“ (C 1,24)– „ეჰა, რაა არს ჩუენი და შენი“ (DE); „რამეთუ პური არა გუაქუს“ (C 8,17)– „რამეთუ პური არა გაქუს“ (DE). გუ-პრეფიქსიან ფორმებს C რედაქციაში, ისევე როგორც DE რედაქციაში, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც.

მარკოზის სახარებაში მათეს სახარების ანალოგიური ვითარებაა. პრეფიქსთა შეფარდება : გუ (16) : მ (3).

**ლუკას სახარება.** გვაქვს 17 მ-პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგან 14 ექსკლუზიური შინაარსისაა: 1. შვილო, რაა საქმე **მაქმენ** ჩუენ? (2,48); 2. და შესაკრებელი ესე მან **აღმიშენა** ჩუენ (7,5); 3. იოანე ნათლის-მცემელმან **მომავლინნა** შენდა (7,20); 4. პური ჩუენი თანაარსობისა **მომეც** ჩუენ დღითი-დღედ (11,3); 5. და **მომიტევენ** ჩუენ ცოდვანი ჩუენნი (11,4); 6. და ნუ **შემიყვანებ** ჩუენ გასაცდელსა (11,4); 7. მოძღუარ მაგას რაა იტყუ, ჩუენცა **მაგინებ** (11,45); 8. **შემძინე** ჩუენ სარწმუნოება (17,5); 9. **მითხარ** ჩუენ, რომლითა ჳელმნიფებითა ამას იქმ (20,2); მოძღუარ, მოსე ესრე **დამინერა** ჩუენ (20, 28); 11. უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, **მითხარ** ჩუენ (22,67); **დამეცენით** ჩუენ ზედა (23,30); 13. **დამფარენით** ჩუენ (23,30); 14. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა **დამაკვრეს** ჩუენ (24,22). ჩამოთვლილი ფორმები განხილულია DE რედაქციაში.

სამაგიეროდ, ინკლუზიური გაგებისაა „მომეგების“ ფორმა: 15. ...მართლ-ღირსად საქმეთა ჩუენთაებრ **მომეგების** ჩუენ (23,41). ერთი ძვრის მოქმედი მიმართავს მეორეს და ამიტომ გვაქვს 1-ლი და მე-2 პირის ურთიერთობა. უნდა ითქვას, რომ DE რედაქციაში მართებული „მოგუეგების“ ფორმა გვაქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოთხთავის ტექსტში სულ რამდენიმე ისეთი შემთხვევაა, როცა DE რედაქციის **გუ-**პრეფიქსს C-ში **მ-**პრეფიქსი ენაცვლება. ინკლუზიური გაგების ჩანს **მ-**პრეფიქსიანი ფორმები მომდევნო ორ წინადადებაშიც: 16. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით არს, **მრქუას** ჩუენ (20,5); 17. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან ყოველმან ერმან ქვაჲ **ღამკრიბოს** ჩუენ (20,6).

როგორც ვხედავთ, სამი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, **მ-**პრეფიქსიანი ფორმები ლუკას სახარების C რედაქციაში ყველგან ექსკლუზიური გაგებისაა.

ერთ შემთხვევაში DE რედაქციის **მ-**პრეფიქსიანი ფორმას C-ში უპრეფიქსო ფორმა ენაცვლება: **განუტევე** ჩუენდა ბარაბა (C 23,18) – **მომიტევე** ჩუენ ბარაბა (DE). ხოლო ორ შემთხვევაში კი DE რედაქციის **მ-**პრეფიქსიანი ფორმების შემცველი მუხლები C-ში ნაკლულია (22,8; 22,12).

მაგრამ მოცემულ რედაქციულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი ხასიათი. ძირითადი აქ, ისევე როგორც სხვა სახარებებში ისაა, რომ 6 შემთხვევაში DE რედაქციის **მ-**პრეფიქსიანი ფორმა C-ში შეცვლილია **გუ-**პრეფიქსიანი ფორმით: 1. რომელ უფალმან **გუაცნობა** ჩუენ (C 2,15) – რომელ-იგი უფალმან **მაუნყა** ჩუენ (DE); 2. ვითარ განგვმარტებდა ჩუენ წიგნებსა (C 24,32) – ვითარ-იგი **გამომითარგმანებდა** ჩუენ წიგნთა (DE). 3. ვიდრე-იგი **გუეტყოდა** ჩუენ (C 24,32)–ვითარ-იგი **მეტყოდა** ჩუენ (DE); 4. ვითარცა **მოგუასნავეს** ჩუენ (C1,2)- ვითარცა-იგი **მომცეს** ჩუენ (DE); 5. რომელთა **მოგუძინეს** ჩუენ მზემან აღმომავალმან მალლით (C 1,78)– რომელთა **მომხედა** ჩუენ აღმოსავალმან მალლით (DE); 6. იესუ მოძლუარ, **შემიწყალენ** ჩუენ (C 17,13)– იესუ მოძლუარ, **შემიწყალენ** ჩუენ (DE). აქედან პირველ სამ შემთხვევაში შეცვლა სწორია, მე-4 და მე-5 შემთხვევაში ფორმების შინაარსი ბუნდოვანია და მხოლოდ ბოლო შემთხვევაშია აშკარად არამართებული შეცვლა, რადგან ზმნურ ფორმაში სუბიექტი მეორე პირია (იხ. DE რედაქციის **მ-**პრეფიქსიანი ფორმათა ანალიზი). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ C რედაქციაში, მოცემულ შემთხვევებში პრეფიქსები უფრო მართებულადაა ნახმარი.

მოცემულ **გუ-**პრეფიქსიანი ფორმებს ემატება ორივე რედაქციისათვის საზიარო **გუ-**პრეფიქსიანი ფორმების ხმარების 11 შემთხვევა: „გუესმა“ (DEC 4,23), „არა შემოგკთქს“ (C 9,49) || არა შეგკდგს“ (DE), „აღგუეკრა“ (DEC 10,11), „დაგუემორჩილებიან“ (DEC 10,17), „გუასნავე“ (DEC 11,1), „განგკლე“ (DEC 13,25), „გუასნავებდ“ (DEC 13,26), „თანა-გუედვა“ (DEC 17,10), „არაჲ გუაკდა“ (C 22,35) || არარაჲ გუაკლდა“ (DE), „გკჳს“ (DEC 22,71), „გუესმა“ (C 22,71) || „გუესმის“ (DE). ორ შემთხვევაში **გუ-**პრეფიქსი მხოლოდ C რედაქციაშია „გუელმოდა“ (2,48), „გუნებავს“ (9,54).

მაშასადამე, სულ გვქონია 19 **გუ-**პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაც აქვთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც.



შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მართალია, ლუკას სახარებაშიც იგივე ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ იგი მათესა და მარკოზის სახარებისგან (ისევე როგორც იოვანეს სახარებისგან) მაინც საკმაოდ განსხვავდება **მ**-პრეფიქსის ხმარების სიხშირით. პრეფიქსთა შეფარდებაა: **გუ** (19) : **მ** (17).

**იოვანეს სახარება. მ**-პრეფიქსიანი ფორმა სამია: 1. უკუე **მი**თხარ ჩუენ, ვინ ხარ შენ (1,22); 2. ვიდრემდის **ნარმვდი** სულთა ჩუენტა? (10,24); 3. **მარქუ** ჩუენ განცხადებულად (10,24). სამსავე ფორმაში სუბიექტი მე-2 პირია და ამიტომ **მ**-პრეფიქსი აქ სწორად უნდა იყოს ნახმარი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ DE რედაქციის შესაბამის ადგილებში სამივეგან **გუ**-პრეფიქსია. როგორც ითქვა, მსგავსი რედაქციული შენაცვლება ოთხთავში ძალზე იშვიათია.

სამაგიეროდ, DE რედაქციის **მ**-პრეფიქსიანი ფორმების ნაცვლად C-ში ყველგან **გუ**-პრეფიქსიანი ფორმები გვაქვს: 1. რაჲ სასწაულ **გვჩუენო** ჩუენ (C 2,18) ← რასა სასწაულსა **მიჩუენებ** ჩუენ (DE); 2. რომელმან ესე ჯურღმული **მოგუცა** ჩუენ? (C 4,12) ← რომელმან ესე ჯურღმული **მომცა** ჩუენ? (DE); 3. უფალო, **გუეც** ჩუენ პური იგი ყოველსა ჟამსა (C 6,34) ← უფალო, მარადის **მომეც** ჩუენ პური ესე (DE); 4. უფალო, **გვჩუენე** ჩუენ მამაჲ (C 14,8) უფალო, **მიჩუენე** ჩუენ მამაჲ შენი (DE); 5. **გვჩუენე** ჩუენ მამაჲ? (C 14,9) ← **მიჩუენე** ჩუენ მამაჲ შენი? (DE); 6. მან **გვთხრას** ჩუენ ყოველი (C 4,25) ← **მი**თხრას ჩუენ ყოველი (DE); 7. რომელსა **გუეცყვს** ჩუენ (C 16,17) ← რომელსა **მეცყვს** ჩუენ (DE). აქედან პირველ ხუთ შემთხვევაში შეცვლა მართებული არ უნდა იყოს (იხ. DE რედაქციის **მ**-პრეფიქსიანი ფორმების ანალიზი).

ამ შვიდ **გუ**-პრეფიქსიან ფორმას ემატება ორივე რედაქციისათვის საზიარო **გუ**-პრეფიქსიანი ფორმების ხმარების 10 შემთხვევა: „გურნამს“ (DEC 4,42) „გუესმის“ (C 4,42) | „გუესმა“ (DE), „გურნმენეს“ (DEC 6,30), „გურნმენა“ (DEC 6,69), „გუმოდღური“ (C 9,34) | „გუასწავებ“ (DE), „გუნებავს“ (DEC 12,21), „გუესმა“ (C 12,34) | „გუასმიეს“ (DE), „გვკმდეს“ (DEC 13,29), „გუაქუს“ (DEC 19,7), „არა გვვის“ (DEC 19,15). აქვე უნდა დავუმატოთ ის სამი შემთხვევა, როცა **გუ**-პრეფიქსიანი ფორმა მხოლოდ C რედაქციაშია „გვთხარნ“ (11,57), „გვყიდე“ (13,29), „გურნამს“ (16,30). სულ იოვანეს სახარებაში გვაქვს 20 **გუ**-პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაც, სხვა სახარებების **გუ**-პრეფიქსიანი ფორმების მსგავსად, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც.

იოვანეს სახარების C რედაქციაშიც აშკარად შეიმჩნევა **მ**-პრეფიქსის **გუ**-პრეფიქსით შეცვლის ტენდენცია, რასაც საკამოდ ნათლად გვიჩვენებს პრეფიქსთა შეფარდება: **გუ** (20) : **მ** (3).

შევაჯამოთ C რედაქციის ენობრივი მასალის ანალიზის შედეგები:

ა) მათეს სახარების 12-ვე **მ**-პრეფიქსიანი ფორმა ექსკლუზიური შინაარსისაა. ასევე ექსკლუზიური შინაარსისაა მარკოზის სახარების სამივე **მ**-პრეფიქსიანი ფორმა. ლუკას სახარების 17 **მ**-პრეფიქსიანი ფორმიდან 14 ექსკლუზიური შინაარსისაა და მხოლოდ 3 შემთხვევაში აქვთ ფორმებს დაკარგული ექსკლუზიურობის გაგება. იოვანეს სახარების სამივე **მ**-პრეფიქსიანი ფორმა ექსკლუზიური შინაარსისაა. რო-

გორც ვხედავთ, ოთხივე სახარების 35 მ-პრეფიქსიანი ფორმიდან 32 ექსკლუზიური შინაარსისაა.

ამდენად, ადიშის ოთხთავის შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ მ-პრეფიქსიანი ფორმები ნამდვილად იძლევიან საშუალებას, ნაშთის სახით დავადგინოთ ადრე მოქმედი ექსკლუზივის კატეგორიის კვალი.

ბ) გუ-პრეფიქსიანი ფორმებს C რედაქციაში, ისევე როგორც DE რედაქციაში, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც და ამიტომ გუ-პრეფიქსიანი ფორმები ვერ აყალიბებენ ექსკლუზიურობის საპირისპირო მნიშვნელობას. სულ ადიშის სახარებაში 79 გუ-პრეფიქსიანი ფორმაა.

ოთხივე სახარებისთვის ფორმათა საერთო შეფარდებაა: გუ (79) : მ (35).

C რედაქციის შემთხვევაში გამოტანილი დასკვნები საერთოდ ემთხვევა DE რედაქციის შემთხვევაში გამოტანილ დასკვნებს, მაგრამ რედაქციათა შორის გვაქვს არსებითი სახის სხვაობაც, რომელიც ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ DE და C რედაქციები აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გუ- და მ-პრეფიქსთა ხმარების სიხშირის თვალსაზრისით და საკმაოდ ხშირად (26 შემთხვევაში) DE რედაქციას მ-პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში გუ-პრეფიქსიანი ფორმითაა შეცვლილი. სხვაობა შეიძლება დიალექტური ხასიათისა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: C რედაქციაში ფორმათა გათანაბრების პროცესი DE რედაქციასთან შედარებით გაცილებით შორსაა წასული, რასაც თვალნათლივ გვიჩვენებს პრეფიქსთა საერთო შეფარდებების შედარება: DE – მ (57) : გუ (61); C – მ (35) : გუ (79).

მიუხედავად აქ აღნიშნული სხვაობისა, DE და C რედაქციების შემთხვევაში გამოტანილი დასკვნები შეიძლება განზოგადდეს და საბოლოოდ ითქვას:

1. ორივე რედაქციის 92 მ-პრეფიქსიანი ფორმიდან 80 ექსკლუზიური გაგებისაა და ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ოთხთავის ორსავე ძველ რედაქციას საკმაოდ კარგად შემოუნახავს ადრე მოქმედი ექსკლუზივის კატეგორიის კვალი.

2. გუ-პრეფიქსიანი ფორმებს აქვთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც (ამიტომ ისინი ვერ აყალიბებენ ექსკლუზიურობის საპირისპირო გაგებას), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოთხთავის DEC რედაქციები ასახავენ ძველი ქართული ენის განვითარების იმ სტადიას, როცა გათანაბრების პროცესი უკვე საკმაოდ შორსაა წასული და სხვაობა მ- და გუ-პრეფიქსიანი ფორმებს შორის ნაშთის სახითაა შემორჩენილი. გათანაბრება უპირველეს ყოვლისა გუ-პრეფიქსიანი ფორმებს შეხებია (შდრ. [4] 293).

ქართული ოთხთავის DEC რედაქციების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზიურ ფორმათა შორის არსებული სხვაობა უკეთაა შემონახული DE რედაქციაში. ეს სწორედ ის რედაქციაა, რომელიც პროტოვულგატად ყოფილა მიღებული X საუკუნეში და რომელსაც „მხარს უჭერს საერთოდ სხვა ოთხთავები X საუკუნისა: ოპიზისა (913 წ.), ბერთისა (988 წლამდე) და ტბეთის (955 წ.)“ ([8] 08).

მართლაც, ბერთის ოთხთავის <sup>1</sup> DE რედაქციასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მ- და გუ-პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით იგი თითქმის მთლიანად ემთხვევა ამ

<sup>1</sup> ბერთის ოთხთავის ანალიზისას ვისარგებლეთ თსუ-ის ძველი ქართული ენის კათედრის თანამშრომელ ვ. ტურაშვილის მიერ ფოტოპირებიდან გადმოწერილი ტექსტით.

უკანასკნელს. განსხვავება მათ შორის მინიმალურია და მხოლოდ რამდენსამე შემთხვევაში თუ გვაქვს მ- და გუ-პრეფიქსთა მონაცვლეობა.

ანალოგიური ვითარება უნდა გვქონდეს ოპიზის ოთხთავშიც (იხ. არნ. ჩიქობავასეული ანალიზი ([6] 108-112).

უფრო საინტერესოა ტბეთის ოთხთავის მონაცემები ([9], [10], [11]), რადგან მისი რედაქციული დამუშავება ექვთიმე მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს ([11] 165). მისი DE რედაქციასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მ- და გუ-პრეფიქსები აქაც თითქმის უცვლელადაა დატოვებული და განსხვავება აქაც მინიმალურია. ნიშანდობლივია, რომ ექვთიმე მთაწმიდელი პრეფიქსთა სწორედ DE რედაქციაში მოცემულ განაწილებას უჭერს მხარს. მოსალოდნელია, რომ ექვთიმე მთაწმიდლისათვის მ- და გუ-პრეფიქსთა შორის არსებული სხვაობა მხოლოდ დიალექტური ხასიათისა რომ ყოფილიყო (როგორც ამას არნ. ჩიქობავა ვარაუდობს ([6] 105), იგი რამდენადმე მაინც შეეცდებოდა ერთიანი პრინციპის გატარებას.

იგივე შედეგს იძლევა ნაბეჭდი ოთხთავი [12] შედარება DE რედაქციასთან. როგორც მოსალოდნელი იყო, ([8] 05,08), იგიც მ- და გუ-პრეფიქსთა ხმარების თვალსაზრისით, ცალკეული გამონაკლისების გარდა, თითქმის მთლიანად მისდევს DE რედაქციას.

როგორც ვხედავთ, ოთხთავის ტექსტის შემდეგდროინდელ გადამწერებს თუ რედაქტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მ-პრეფიქსის უცვლელად დატოვება.

საინტერესოა „საქმე მოციქულთას“ [13] მონაცემები, რადგან, ჯერ ერთი, იგი ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი ძეგლთაგანია და, მეორეც, „საქმე მოციქულთას“ საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევუდაროთ ძველი და ახალი, გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირეს, რედაქციები. შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე თითქმის უცვლელად სტოვებენ ძველი ნუსხების მ-პრეფიქსიან ფორმებს. საფიქრებელია, რომ გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე მ-პრეფიქსიან ფორმებს გუ-პრეფიქსიანი ფორმებისგან განსხვავებული შინაარსის ერთეულებად აღიქვამდნენ.

ისევე თითქმის უცვლელად სტოვებენ მ-პრეფიქსიან ფორმებს გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ნიგნშიც [14].

შედარებით თავისუფლად ეპყრობიან მ-პრეფიქსიან ფორმებს გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე „პავლენში“ [15], სადაც ძველი რედაქციების დაახლოებით 20-მდე მ-პრეფიქსიანი ფორმა შეცვლილია გუ-პრეფიქსიანით (უნდა აღინიშნოს, რომ აქედან რამდენსამე შემთხვევაში გუ-პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს B რედაქციის ნუსხებშიც, რომელსაც უნდა ემყარებოდეს კიდევ გიორგი მთაწმიდელი ([15] 012), თუმცა, ძველი რედაქციების მ-პრეფიქსიანი ფორმების დაახლოებით 70 % (60-მდე შემთხვევა) „პავლენშიც“ უცვლელადაა დატოვებული.

რაც შეეხება „იოვანეს გამოცხადებას“ [16], იგი რაიმეს თქმის საშუალებას არ იძლევა, რადგან მ- და გუ-პრეფიქსიანი ფორმები აქ მხოლოდ კანტიკუნტად თუ გვხვდება.

სამაგიეროდ ძალზე საყურადღებო შედეგს იძლევა „ფსალმუნის“ [17] ძველი და ახალი, გიორგი მთაწმიდლის, რედაქციების შეპირისპირება. ძველი ნუსხების მ-

პრეფიქსიანი ფორმები თითქმის ყველა შემთხვევაში (80-ზე მეტ შემთხვევაში) უცვლელადაა დატოვებული გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში. საინტერესოა, რომ აქედან 60-ზე მეტ შემთხვევაში მ-პრეფიქსიანი ფორმები აშკარად ექსკლუზიური გაგებისაა, რადგან ზმნურ ფორმებში სუბიექტად მე-2 პირი გვაქვს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი მთაწმიდელი „ფსალმუნის“ ხელახლა თარგმანისას ბერძნულიდან „გამონულივით“ შეჯერების გარდა თვით ქართული ენის ბუნებასაც საგანგებო ყურადღებას უთმობდა („ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ: ჩინ რომელი ჯერ-იყო, ჩაგკრთავს და რომელი ჯერ-იყო, დაგკკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოჰვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა“ ([17] 027) და მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ შემთხვევათა უმეტეს ნაწილში მ-პრეფიქსი მე-2 სუბიექტურ პირიან ფორმებთან გვაქვს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი მთაწმიდელი მოცემულ ძეგლში მ-პრეფიქსიან ფორმებს გუ-პრეფიქსიანი ფორმებისგან განსხვავებული შინაარსის მქონე (შეიძლება ვივარაუდოთ ექსკლუზიური შინაარსის მქონე) ერთეულებად იაზრებდა, სწორედ ამიტომ სტოვებდა მათ უცვლელად.

მაგრამ აქ არც ტრადიციის ძალა უნდა დაგვაგინყდეს: მ-პრეფიქსიანი ფორმების უცვლელად დატოვება ახალ რედაქციებში შეიძლება ნაწილობრივ საღმრთო წერილის წიგნთათვის დამახასიათებელი ენობრივი კონსერვატიზმითაც აიხსნას. ნათქვამში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ზემოთ განხილულ ძეგლებს შევუდარებთ გიორგი მთაწმიდლის ორიგინალურ ნაწარმოებს – „იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრებას“ [18], რომელიც გვიჩვენებს, რომ კლასიკური ძეგლების ენაზე აღზრდილი გიორგი მთაწმიდელი „ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დაახლნოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში“ ([18] 81-2).

სწორედ ცოცხალი სამეტყველო ენის გავლენა უნდა იყოს, რომ ამ საკმარისად მორდილ თხზულებაში, როგორც წესი, პირველი ობიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია გუ-პრეფიქსით, რომელსაც, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც (50-ზე მეტ გუ-პრეფიქსიან ფორმას უპირისპირდება სვინაქსარულ რედაქციაში მოცემული ერთადერთი მ-პრეფიქსიანი ფორმა).

გიორგი მთაწმიდელი არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ეფთჳმე მთაწმიდელიც, რომელიც საერთოდ არაა წინააღმდეგი მ-პრეფიქსიანი ფორმებისა (იხ. ტბეთის ოთხთავი, სადაც თითქმის უცვლელადაა დატოვებული ძველი რედაქციების მ-პრეფიქსიანი ფორმები), ქართული პატერიკის მისეულ თარგმანში [19] არსად არ ხმარობს მ-ანიან ფორმებს, რისი მიზეზიც, ალბათ, ე.წ. პატრისტიკული ნოველების ჟანრობრივი თავისებურება უნდა იყოს, თავისებურება, რომელიც გარკვეულ ენობრივ თავისუფლებას ანიჭებს მთარგმნელს.

აშკარაა, რომ ამ პერიოდის ცოცხალი სამეტყველო ენისათვის უცხო იყო ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ისიც ცხადია, რომ ეს კატეგორია ძველ ქართულში გაცილებით ადრე უნდა მოშლილიყო, ამიტომაც, რომ მ-ანიანი ფორმების ხმარება ძველ ქართულში ერთგვარ არქაულ ელფერს ატარებს და ძველი ქართული ენის ძეგლთა

უმეტესობაში, კერძოდ, ისეთ კლასიკურ ძეგლებშიც კი, როგორც „სინური მრავალთავია“ [20], ერთობ ჭირს ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალის დადგენა (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ძეგლი, ოთხთავის ძველი რედაქციების ენასთან შედარებით, ქართული ენის განვითარების უფრო გვიანდელ სტადიას ასახავს). ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას მ-ანიანი ფორმების სიმცირე ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ენის ცალკეულ ძეგლებში აშკარად ჩანს ნაშთის სახით შემორჩენილი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის კვალი, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ზემოთ ჩატარებული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის ენობრივი ანალიზი.

P.S. წაკითხულია მოხსენებად 1977 წლის 17 ნოემბერს ძველი ქართული ენის სამეცნიერო სესიაზე. ამიტომ აქ არაა გათვალისწინებული დ. მელიქიშვილის ნაშრომი („ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში“), რომელიც დაიბეჭდა „მაცნეს“ 1977 წლის მე-4 ნომერში და რომლის შესახებაც უნდა ითქვას: ა) ნაშრომი ძირითადად ისევ სვანურში არსებულ ვითარებას იხილავს, ბ) ავტორის მსჯელობა ზოგადი, თეორიული ხასიათისაა და, გ) რაც მთავარია, მიუღებელი ჩანს მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობაზე დამყარებით გამოტანილი დასკვნა, რომ საკუთარი ნიშანი უნდა ჰქონოდა ინკლუზივს, ექსკლუზივს კი – არა (გვ. 162), რადგან ენობრივი მასალის აღწერითი ანალიზი სწორედ რომ სანინაალმდეგო დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა. ენობრივი მასალის ანალიზი კი მსგავსი დასკვნის გამოტანისათვის აუცილებელია.

### ლიტერატურა

- ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ფრანგული რეზიუმე, ტ.უ,მ: VI, 1926.
- ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წელიწდეული, 1923,1924.
1. ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1931.
2. კ. დონდუა, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и её следы в древне-грузинском, რჩეული ნაშრომები, I, 1976.
3. გ. დეეტერსი, Das Kharthwelische Verbum, 1930.
4. არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე I, 1946.
5. ალ. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქ. მეცნ აკადემიის მაცნე, 1. 1965.
6. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945.
7. სახარებაჲ ოთხთავი ოთხთა ჴელნაწერთაგან შიგ და შუე წელთათა, პეტერბურგი, 1909 წ. (მათე) და 1911 წ. (მარკოზ.) გამოსცა ვ. ბენეშევიჩმა.
8. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნან, I, გვ. 66-112, 1970.
9. ტბეთის ოთხთავი, გამოკვლევა და ტექსტი, ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977.

10. ახალი აღთქმა, ტფილისი, 1879.
11. საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ, 1950.
12. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, 1956.
13. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძონენიძემ და კ. დანელიამ ა. შანიძის რედაქციით, 1974.
14. იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 7, 1961.
15. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზ. შანიძემ, 1960.
16. ცხორება იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, 1946.
17. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გამოსცა მ. დვალმა, 1966.
18. სინური მრავალთავი ყდ წლისა, გამოსცა ა. შანიძემ, 1959.

**ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში<sup>1</sup>**

ნამყოს ოთხი სახეობაა ქართულში ცნობილი: უწყვეტელი, წყვეტილი, თურმეობითი I და თურმეობითი II. ამათგან ძირითადად მიჩნეულია წყვეტილი, რამდენადაც იგი ემყარება ზმნის ძირს ან პირველადს ფუძეს. II თურმეობითი იგივე წყვეტილია, ოღონდ უკანასკნელის ვნებითი გვარის სახეობას წარმოადგენს. წარმოებით განსხვავებულია ერთმანეთისგან უწყვეტელი და თურმეობითი I: ისინი სხვადასხვა ფუძეს იყენებენ.

1. როგორც დადგენილია, **წყვეტილი** ორი სახით იხმარება: **უნიშნოდ** ან **ნართაული -ი** -თ და **-ე** სუფიქსით.

უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო **-ი**. ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცვლოა, ან კუმშვადაა. **-ე** სუფიქსით იწარმოება ფუძეუკუმშველი ზმნები. მათი რაოდენობა განუსაზღვრელია.

ნიმუში:

ძვ. ქართ.	გარდამავალი და ახ. ქართ.	ძვ. და ახ. ქართ.
შევკარ	შევკარ-ი	ვნახე
შეჰკარ	შეჰკარ-ი	(ჰ)ნახე
შეკრ-ა	შეკრ-ა	ნახ-ა
შევკარ-თ	შევკარ-ი-თ	ვნახე-თ
შეჰკარ-თ	შეჰკარ-ი-თ	(ჰ)ნახე-თ
შეკრ-ეს	შეკრ-ეს	ნახ-ეს

ფუძეა: შეკარ

ნახე

ფუძე კარგადაა შემონახული არა მარტო I და II პირში, არამედ ძველი ქართულის ბრძანებითის III პირშიც: შეკარ-ნ, ნახე-ნ. ფუძისეული **-ე** სუფიქსი მოკვეცილია III პირის -ა და მრ. რიცხვის **-ეს** ბოლოსართთა გავლენით: ნახე+ა → ნახ-ა, ნახე+ეს → ნახ-ეს<sup>2</sup>.

ამრიგად, წყვეტილის ნიშნებია: 0 (ნული), უფუნქციო **-ი** და სუფიქსი **-ე**.

2. **თურმეობითი II** იმეორებს წყვეტილის ფუძესა და ბოლო ნიშნებს, განსხვავებულიად აქვს ვნებითის **ე**- თავსართი; მაგ:

შევეკარ ან შევეკარი	ვენახე
შეეკარ ან შეეკარ-ი	ენახე
შეეკრა	ენახა

აქაც იგივე 0 (ნული), უფუნქციო **-ი** და **-ე** სუფიქსია, რაც წყვეტილში გვაქვს.

<sup>1</sup> ამოღებულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესი-აზე 1954 წ. 23 ნოემბერს წაკითხული მოხსენებიდან: „მწკრივის საკითხისათვის ქართულში“ (სამეც-ნიერო სესიის თეზისები, 1954, გვ.125-126).

<sup>2</sup> სვანური ენა: I, ზმნა, 1931, გვ.142-143.

ამ ნიშანთაგან -ი ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული თანხმოვანთ-გასაყარი ბგერაა, შემდეგ ნართაულად ქცეული<sup>1</sup>. რაც შეეხება -ე სუფიქსს, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში აღდგენილია და მის პირველ სახედ \*-ევ არის გამოცხადებული. ნ. მარს -ევ დაკავშირებული აქვს ესვა ზმნის სპირანტულ სახესთან \*ჰვ<sup>2</sup> და მეშველ ზმნად მიიჩნევს. ნ. მარის ეს მცდარი შეხედულება უკუგდებულია დასახელებულ რეცენზიაში (გვ.302-304). -ე სუფიქსის წარმომავლობას -ევ-ისაგან ასაბუთებს გ. როგავა ქართული დიალექტებისა და მეგრულის მონაცემთა ღრმა ანალიზის საფუძველზე. წამოყენებული დებულება მას შესაძლებლობას აძლევს, ახსნას III პირის -ო სუფიქსისა და კავშირებითის ო საწარმოებელი ნიშნის შედგენილობა,<sup>3</sup> მაგრამ არის რიგი დაბრკოლებები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა.

3. უწყვეტელი, -დ სუფიქსიანია თუ -ოდ სუფიქსიანი, XII საუკუნიდან გათანაბრებულია: მას ან არ დაერთვის, ან დართული აქვს უფუნქციო -ი.

მაგალითად:

ვიხარებდ ან ვიხარებდ-ი	ვიქმოდ-ი
იხარებდ ან იხარებდ-ი	იქმოდ-ი

ძველ ქართულში დ-ონიანი და ოდ-იანი გათიშული იყო ერთმანეთისაგან: პირველს შეიძლება ჰქონოდა ნართაული -ი, ხოლო მეორეს აწარმოებდა ე- სუფიქსი,<sup>4</sup> რომელიც ორივე რიცხვის III პირში ხმოვნით დაწყებული სუფიქსის გავლენით იკვეცებოდა. ამგვარად, გვქონდა:

ძვ. ქართ. დ სუფიქსიანი	ძვ. ქართ. ოდ სუფიქსიანი
------------------------	-------------------------

ვიხარებდ ან ვიხარებდ-ი	ვიქმოდ-ე
იხარებდ ან იხარებდ-ი	იქმოდ-ე
იხარებდ-ა	იქმოდ-ა
ვიხარებდ-ი-თ	ვიქმოდ-ე-თ
იხარებდ-ი-თ	იქმოდ-ე-თ
იხარებდ-ეს	იქმოდ-ეს

ფუძეა: იხარებდ	იქმოდ-ე
----------------	---------

ფუძე დაცულია ბრძანებითის II და III პირში:

იხარებდ	იქმოდე
იხარებდ-ი-ნ	იქმოდე-ნ

<sup>1</sup> უფუნქციო (ნართაული) -ი-ს შესახებ: არნ. ჩიქობავა, რეცენზია ნ. მარის ძველი ქართული ლიტ. ენის გრამატიკისა: მიმომხილველი, 1926, გვ. 319.; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ.439.

<sup>2</sup> ნ. მარი, Грамм. древнелит. груз. яз., 1925, § 152, 153, 179 და სხვ.

<sup>3</sup> გ. როგავა, აორისტიკისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, 8, 1945, გვ.647-655.

<sup>4</sup> მოვლენა დადგენილი აქვს ა. შანიძეს წერილში: მწკრივთა მოძღვრებისათვის ქართულში. I. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, 10, 1945, გვ. 834-844. ნ. აგრეთვე მისი ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ 434-436, 455-456.



ჩანს, უწყვეტლის ფუძეს იგივე ნიშნები დაერთოდა, რაც წყვეტილს: 0 (ნული), უფუნქციო -ი ან სუფიქსი -ე.

-ე ბოლოსართი არ არის შემონახული XII საუკუნიდან სამწერლობო ენაში და არც დიალექტებში, გარდა თუშურისა, სადაც -ი ნიშნიანთა პარალელურად -ე სუფიქსიანი ფორმები იხმარება; მაგ.:

სტვეხდე	ზდვებდე	დგვებოდე
სტეხდე	ზდეხდე	ზდგებოდე
სტეხდ-ა	ზდეხდ-ა	ზდგებოდ-ა და სხვ. <sup>1</sup>

მოხეურში დაცულია -ე სუფიქსი -ოდ-თან ერთად, ოღონდ ეს ოდ-ე ფორმანტი დაერთვის წყვეტილის ფუძეს II პირში (იშვიათად III პირშიც) და გამოხატავს თხოვნითს ბრძანებითს: გააკეთოდე! მითხროდე! (მაიყვანოდე!)...<sup>2</sup> აგრეთვე მაგალითები ტექსტებიდან: **უთხროდე** მამაშენსაო, ლუდი ადულას ნამზედა... სიმონა, ეს კოტიას **მისცოდე**... თუ არ ჰკმინებს საჭმელი, დო **დაუსხოდეთ** ჯამზედა... სარკეში **ჩაიხედოდეთ**, წვერი იპარცეთ ყაზზედა და სხვ.<sup>3</sup> ეს ფორმა ალ. ყაზბეგს არცთუ იშვიათად აქვს გამოყენებული დიალოგის დროს: ბატკნებს უყურეო, სიცხეში ყინულზედ **არეკოდეთ** (II, 69) და სხვ.<sup>4</sup> შდრ. ფშაური -ო-დ-ი და თუშური და ხევსურული -ი-დ-ი სუფიქსებიანი თხოვნითი ბრძანებითი: დაინეროდი, გაჰსტეხოდი (ფშ.) და გალღესიდი, ღნახიდი (თუშ., ხევს.)<sup>5</sup>.

საფიქრებელია, რომ ცოცხალ მეტყველებასა და ხალხურ ლექსებში დაცული ფორმები: „ბრძანდებოდე, ჩამოიბენდე (საქმე რომ არა გქონდეს რა, **ჩამოიბენდე** ჩვენსაო), მომიტანდე, შემასმევდე“ და მისთ. იგივე უწყვეტელი უნდა იყოს, რომელიც შემოგვრჩა ბრძანებითის სახით და არა კავშირებითი, როგორც ეს გარეგნულად ჩანს<sup>6</sup>.

ამგვარად, უწყვეტლის ნიშანი -ე დღესაც შემონახულია აქა-იქ. ეტყობა, იგი სავსებით არ გადაშენებულა.

**4. თურმეობითი I** ორგვარად ინარმოებოდა ძველ ქართულში: უნიშოდ (-ავ და -ამ სუფიქსიანები) და ი-ე ბოლოსართებით; მაგ.:

დაუხატავ	დაუნერიე	მას მე
დაუხატავ	დაუნერიე	მას შენ
დაუხატავ-ს	დაუნერიე-ს	მას იგი და სხვ.

ანალოგიური წარმოებისა იყო სტატიკური ზმნები ანმყოში:

ვჰგონიე	შდრ.	ჰლკძავ-ს
ჰგონიე		სძინავ-ს

<sup>1</sup> ა. შანიძე, S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 158-162.; შდრ. თ. უთურგაიძე, Тушинский диалект грузинского языка, 1954, გვ. 10

<sup>2</sup> ოთ. ქაჯაია, Мохевский диалект грузинского языка, 1954, გვ. 16; აგრეთვე კ. გუგუშვილი, მოხეური კილო.

<sup>3</sup> ამოღებულია ივ. ქავთარაძის მიერ ადგილობრივ ჩანერილი ტექსტებიდან.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა. საფ., გვ. 211; ივ. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში: თბილისის უნივერსიტეტი, XXXV ხ, 1949, გვ. 94.

<sup>5</sup> ა. შანიძე, S<sub>2</sub> და O<sub>3</sub>, 156, 161, 167.

<sup>6</sup> შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 437, შდრ. სვანური ენა, გვ. 173.

ჰგონიეს

ჰშორავ-ს და სხვ.

-ი-ე სუფიქსებიდან -ე უკვე ცოცხალი აღარ არის, არც გადმონაშთის სახით შენახულა სადმე. მისი ადგილი ყველგან მეშველმა ზმნამ დაიჭირა:

დავუნერი-ვარ

ვჰგონი-ვარ

დაუნერი-ხარ

ჰგონი-ხარ

დაუნერი-ა

ჰგონი-ა

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულშივე III პირში -ა სუფიქსი არცთუ იშვიათად გვაქვს; მისი გავლენით -ე მოკვეცილია; მაგ.:

დღესა შინა ერთსა რაამკონ, მიმიცემია: ხანძთ. ნა 25

მიცვალებულთა მამათათვს ხანძთაჲ განმინესებია: იქვე, იდ 25

მირჩევია შესუმაჲ ნამლისაჲ: კიმ. I, 170,30

ათშკდმეტი წელი დაუყოფია სახლსა შინა ჩემსა: იქვე, 164,10

მიუღებია ნიჭი იგი: არიმათ. 46, 43 და სხვ.

მაგრამ I და II პირში -ე დაცულია, მეშველი ზმნა თავს არ იჩენს.

თურმეობითი I-ის -ი-ე ნიშნები დაშლილია და -ი- და ხოლმეობითის -ი ისტორიულად ერთი და იმავე ოდენობად არის გამოცხადებული<sup>1</sup>. რაც შეეხება -ე-ს, მის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ნ. მარის მტკიცებით, -ეს ბადალია არს მეშველი ზმნისა და გვევლინება განსაკუთრებით აღწერითსა და შედგენილ ზმნებში<sup>2</sup>. ამის საფუძველს ის უთუოდ იმაში ხედავდა, რომ -ეს დაბოლოების ადგილი შემდგომ ა(რს) მეშველმა ზმნამ დაიჭირა. მაგრამ მოსაზრება რომ ძირშივე მცდარია, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ -ეს მთლიანი სუფიქსი კი არ არის, არამედ შედგენილია -ე- ელემენტისა და III სუბიექტური პირის -ს ნიშნისაგან.

შეიძლება კაცს -ე მეშველ ზმნად მიეჩნია და სვანური ენის -ი მეშველ ზმნასთან (ხვ-ი, ხ-ი, ლ-ი) დაეკავშირებინა, მაგრამ ის გარემოება, რომ III პირში იკვეცება (დაუნერი-ა...) და თანაც მეშველი ზმნა აქ მოსალოდნელი არ არის, ამ ვარაუდზე ხელს აგვაღებინებს.

-ა სუფიქსის გენეზისის შესახებ თანხმობა არ არის. ნ. მარი და ა. შანიძე მას არს ზმნის შეკვეცილ სახედ თვლიან<sup>3</sup>, მაგრამ ა. შანიძისავე სიტყვით იგი „ზოგ შემთხვევაში მრავლობითის ფორმიდან მოდის [ჰგონი-ა(ნ)] და გარეგნულად არს მეშველი ზმნის შეკვეცილ სახეს ჰგავს“<sup>4</sup>. გამოდის, რომ -ა უმეტესად არს ზმნის თავკიდური -ა-ნია, ზოგჯერ კიდევ მრ. რიცხვის -ან სუფიქსის ნაშთია. თუ მოვიგონებთ, რომ სტატიკური ზმნები და თურმეობითები ისტორიულად მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ცვლა-განვითარებას ერთდროულად და ერთნაირად განიცდიან, მაშინ, ცხადია, -ა-ს გენეზისის სხვადასხვაგვარი ახსნა გაუმართლებელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველ ქართულში ჰგონიეს და მისთანა სტატიკური ზმნები მრავლობითში ან სულ არ იხმარება ან მეტად იშვიათად და ამგვარი იშვიათი ფორმე-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 93-98.

<sup>2</sup> Грамм. გვ. 125, 175.

<sup>3</sup> Грамм. გვ. 125; ქართ. გრამ. საფ., გვ. 447.

<sup>4</sup> ქართ. გრამ. საფ., გვ. 328.

ბისაგან რომ ხშირი ფორმები იყოს მიღებული -ნ-ს მოკვეციტ, მეტად საეჭვო ჩანს. ნუ დაგვაზინყდება, რომ ძველი ქართულის **ჰრქჷან** და მსგავსმა ფორმებმა მეოცე საუკუნემდე მოაღწიეს ისე, რომ -ნ-ს მოსაცილებლად ჩარევა გახდა საჭირო. ესეც არ იყოს, -ე სუფიქსი დაიკარგა -ა-ს გავლენით, მეშველ ზმნას კი, თუნდაც შეკვეცილი სახით წარმოდგენილს, ფუძისეული ხმოვნის მოკვეცა არ შეუძლია (მაგ.: ხე-ა, მზე-ა). აშკარაა, რომ თურმეობითის -ა პირვანდელი წარმოშობით მეშველი ზმნა არ არის. იგი ასეთად გააზრიანებულია მას შემდეგ, რაც I და II პირში მეშველი ზმნა მართლაც გაჩნდა. გამოდის, რომ არც -ე-ს წარმომავლობაა გარკვეული და არც -ა-სი.

თურმეობითის -ე ამჟამად, შეიძლება ითქვას, გარკვეულია. იგი აორისტის -ე სუფიქსთან არის იდენტიფიცირებული და არცთუ უსაფუძვლოდ. ივ. ქავთარაძე წერს: „მომენტური ასპექტის ფორმას... აორისტის ნაკვეთი გამოხატავდა, იგი იმატებდა ჩვეულებრივ -ე დაბოლოებას, მაგრამ არა წმინდა ფუძეზე, არამედ უშუალოდ პერმანსივის აღნიშნულ ფორმაზე: ვ-ჰ-გ-ი-ე, ჰ-გ-ი-ე, ჰ-გ-ი-ე-ს... შემდეგში აორისტის ეს ფორმები, ამ ტიპის ზმნათა განსაკუთრებული სემანტიკური თავისებურების გამო (რეზულტატიური შინაარსი), ანმყოფ ქცეულა და აორისტის -ე ნიშანი ანმყოფიც შენარჩუნებულია“<sup>1</sup>.

რადღა -ა? თუ თურმეობითის -ე იგივეა, რაც წყვეტილის -ე, ცხადია, -ა III პირის სუბიექტური ნიშანი იქნება. ჩანს, ნოდ. ნათაძის მოსაზრება -ა-ს III პირის სუფიქსობის შესახებ გამართლებულია. ამიტომაც, რომ მას -ე-ს მოკვეცა შეუძლია თურმეობითშიც ისე, როგორც წყვეტილში.

ამგვარად, თურმეობით პირველსაც ახასიათებს უნიშნობა და -ე სუფიქსი.

5. ამგვარად, -ე სუფიქსი გვაქვს ნამყოს ოთხივე სახეობაში; სახელდობრ (სხვა ნიშნებთან ერთად):

<b>უწყვეტელში</b>	-დ- 0 (ნული)-დ-ი	- ოდ-ე
<b>წყვეტილში</b>	- 0 (ნული) -ი	-ე <sup>2</sup>
<b>თურმეობით I-ში</b>	- 0 (ნული)	- ი-ე
<b>თურმეობით II-ში</b>	- 0 (ნული)-ი	- ე

-ე საერთოა ყველა ნამყოში. იგი როგორც წარმოშობით, ისე ფუნქციითაც ერთი და იგივეა. მისი მოკვეცა შეუძლია III პირში პირისა და რიცხვის ფორმანტებს.

-ე-ს ფუნქცია სავსებით ნათელი არ ჩანს. იგი დროს უთუოდ არ გამოხატავდა, რადგანაც დროს ჩამოყალიბებამდე წყვეტილში გამოყენებული იყო. თუ მომენტურ ასპექტზე მიუთითებდა, როგორც ამას სამართლიანად ფიქრობს ფ. ერთელიშვილი, მაშინ ხოლმეობითის ფუძეს როგორღა დაერთო და მით უფრო, როცა სტატიკური ვნებითი წყვეტილთან ერთად ძველზე ძველი ჩანს. ვიდრე არ გაირკვევა წყვეტილის, თურმეობითი I-ისა და უწყვეტლის ქრონოლოგიური მიმართება და ეს კი შესაძლებელი ჩანს, მანამდე ფუნქციის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ გვექნება.

6. კითხვა ისმის: შეიძლება თუ არა სხვადასხვა მწკრივს ერთი და იგივე ნიშანი ჰქონდეს? ამაზე დადებითი პასუხი გასცა დიდი ხნით ადრე არნ. ჩიქობავამ. მან უჩვენა, რომ -ი

<sup>1</sup> ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 183, 185.

<sup>2</sup> -ე იმდენად დამახასიათებელია წყვეტილისა, რომ მის მეშვეობით არის ნაწარმოები ისეთი ზმნა, როგორიცაა **გუალე** (იარე), რომლის ამოსავალი **ვალ** ფუძე **ვალ**-ს ზმნას წარმოადგენს.

სუფიქსი **საერთო** ხოლმეობითი პირველისა და ხოლმეობითი მეორისა. გარდა ამისა, XI-XIII სს-ში, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, იყო ცდა -ი სუფიქსის გამოყენებისა III სერიის ფორმებში (ექმნ-ი-ს, ებრძან-ი-ს...) და ამდენად, III ხოლმეობითის ჩამოყალიბებისა.<sup>1</sup> შემდგომი კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ეგევე -ი გვაქვს ანმეოსა და პირველი თურმეობითის ფორმებში<sup>2</sup>. მაშასადამე, ერთი -ი სუფიქსი **საზიარო** ყველა სერიის პერმანსივში.

ასევე, **საზიარო -ე** ბოლოსართი დადასტურებულია სამივე სერიის კავშირებითებში (სწერდ-ე – I კავშ., აღდგ-ე – II კავშ., ექმნ-ე III კავშ.) და ამდენად სწორია დებულება იმის შესახებ, რომ II სერიის მწკრივთა დაბოლოებები შენახულია I სერიის მწკრივებში<sup>3</sup> (ოღონდ უწყვეტელში იგულისხმებოდა უნიშნობა და უფუნქციო -ი). მაშასადამე, **ნამეოს ოთხივე სახეობაში -ე გამართლებული ჩანს**.

7. უკანასკნელი კითხვა: რით ავსნათ, რომ წყვეტილმა, თურმეობით პირველმა და თურმეობით მეორემ პარალელური ფორმები შემოგვინახეს, უწყვეტელმა კი უნიფიკაცია მოახდინა **დ** და **ოდ** სუფიქსიან ფორმათა და ყველას -ი დაურთო? უწყვეტლის უნიფორმაცია იწყება X საუკუნიდან და მთავრდება XII ს-ში და უნდა ვიფიქროთ, რომ მას ხელი შეუწყო უწყვეტლისაგან I კავშირებითის, რომელსაც ანალოგიური ფორმები ჰქონდა, გამიჯვნის ტენდენციამ.

უნიფორმაციის ტენდენცია დღესაც გრძელდება კილოებში და იგი ეხება თითქმის ყველა მწკრივს, მათ შორის ისეთ ძველ მწკრივსაც, როგორცაა წყვეტილი.

მართლაც, წყვეტილის ფორმებში უნიფორმაციის შედეგად ინგილოურის კაკურ დიალექტში -ე მოკვეცილია და ყველა ზმნა უნიშნოდაა ან -ი სუფიქსითაა წარმოდგენილი (დამალ, ჩაჰყარ, დაჰკიდ, დაჰკარგ... შდრ. დაჰკარ, გითხარ...), ხოლო ალიაბათურში, პირიქით, -ე სუფიქსია კუმშვად ზმნებს დართული (უთხარე, გამაჰცანე, მოჰკალე, დენევე, ქენე... შდრ. დაჰჩირე, ვიკითხე...)<sup>4</sup>.

-ე-ს მოკვეცისაკენ მიდრეკილება ხევსურულსაც ახასიათებს, მაგრამ ფართოდ მოდებული არ არის.

უნიფიკაცია გატარებულია თურმეობით I-ის ფორმებისა თითქმის ყველა დიალექტში. აღსანიშნავია, რომ აქ ორი მიმართულება იჩენს თავს: ერთი მიმართულებაა – გააბატონოს -ი-ა სუფიქსები და მოშალოს -ავ და -ამ თემატური ნიშნები, მეორე კი, პირიქით, გაავრცელოს -ავ და გარკვეულ შემთხვევაში -ივ. პირველი ტარდება ბარის კილოებში – ქართლურში, კახურში, იმერულში და სხვაგან – და აქედან ლამობს ლიტერატურულ ენაშიც შემოჭრას (მინახია, უთქვია...)<sup>5</sup>, -ავ კი მოდებულია ხევსურულში<sup>6</sup>, ფშაურში, თუშურში<sup>7</sup> და ფშაურიდან ვაჟას შემოტანილი აქვს სამწერლობო ენაში: ნიდაყვის ძირში **დაუჭრავ** (=დაუჭრია: I, 18), მე თავი **ჩამიბარებავ** (ჩამიბარებია: I, 37), **ჩაგიგდავთ** (=ჩაგიგდიათ: 35) და სხვ., რაც საკმაოდ ცნობილია.

<sup>1</sup> ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. II. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: მოხსენებათა კრებული, 1, 1947, გვ. 1-14.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა, გვ. 6 და შემდ.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, რეცენზია ნ. მარის გრამატიკისა: მიმომხილველი, გვ. 317, შენშ. 2.

<sup>4</sup> გრ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, გვ. 159-161; რ. ლამბაშიძე, Ингилойское наречие грузинского языка, 1949, გვ. 14-15.

<sup>5</sup> ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფ., გვ. 447.

<sup>6</sup> ბ. გაბუურის ტექსტები, დაბეჭდილი „წელიწდეულში“.

<sup>7</sup> თ. უთურგაიძე, op. cit., გვ. 10.

უნიფიკაცია განხორციელებულია აგრეთვე კავშირებითში -ა სუფიქსის სასარგებლოდ ხევსურულსა და მოხეურში<sup>1</sup>: ნახ-ა-ს, დანერ-ა-ს, აილ-ა-ს და სხვ., მაშინ როდესაც ზემოიმერულში (ჭიათურა-საჩხერე) ტენდენციაა -ო სუფიქსის გავრცელებისა -ე ბოლოსართის ნაცვლად: ნავიდ-ო-ს, მიც-ო-ს და სხვ.

მაშასადამე, უნიფორმაცია სხვადასხვა მწკრივის ფორმებში ახლაც მიმდინარეობს და, რა გასაკვირია, უწყვეტელსაც განეცადა იგი, მით უფრო, როცა მსგავსი წარმოება ახასიათებდა პირველ კავშირებითსაც.

როგორც დავინახეთ, დაბრკოლება არ არსებობს, რომ -ე ნამყოს საერთო ნიშნად ვცნოთ.

აქედან ისიც ირკვევა, რომ -ე არ მომდინარეობს -ევ სუფიქსისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა ყოფილიყო უწყვეტელშიც, თურმეობითშიც, რაც ქართული ენის მონაცემებით არ დასტურდება.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: პერმანსივის საერთო ნიშანია -ი, ასევე კავშირებითის საზიარო ნიშანია -ე, ჩანს, ყველა საწარმოებელი ფორმანტი ხმოვანია და უთუოდ ესეც მხარს დაუჭერს წყვეტილისა და საერთოდ ნამყოს ნიშნის ხმოვნურ წარმომავლობას. იგი მართლაც -ე უნდა ყოფილიყო.

საკითხი დგას ნამყოსა და კავშირებითის -ე ნიშანთა გენეტიკური ურთიერთობის შესახებ: წარმოშობით ორივე ერთი და იგივე ფორმანტია, თუ კავშირებითის -ე მართლაც **ერე-საგან** მომდინარეობს, **ე-სა** და სხვა ფორმანტთა საკითხები ცალკე განხილვას მოითხოვს.

---

<sup>1</sup> ა. შანიძე, S<sub>2</sub> და O<sub>3</sub>, გვ. 157; ოთ. ქაჯაია, დასახ. შრ., გვ. 16.

ილია აბულაძე

## ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII–X სს-ის ძეგლების მიხედვით

ძველი ქართული ენის VIII–X სს-ის ძეგლების შესახებ საუბრის დროს ჩვენი მიზნისათვის მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ისეთები, რომლებიც წარმოშობასთან ერთად გადანერითაც უმეტესად აღნიშნულ პერიოდს ეკუთვნის. ასეთები ზოგჯერ, საბედნიეროდ, რამდენიმე ცალად მოგვეპოვება, მაგრამ არა იშვიათად უნიკალურადაც არის მოღწეული.

ჩვენ ქვემოთ ორ ისეთ ძეგლს შევხებით, რომლებიც ძირითადად X ს-ის ნუსხებით არის შემონახული. პირველი „მარხვის საკითხავების“ წიგნს ანუ კრებულს წარმოადგენს და მწერლობის ასკეტურ დარგს მიეკუთვნება, ხოლო მეორე ამავე დარგის „თხრობათა“ კრებულია, ე.წ. „სამოთხე“, რომლის ავტორად VI–VII ს-ის პალესტინელი მოღვაწე იოანე მოსხი ითვლება<sup>1</sup>. „მარხვის საკითხავების“ ავტორები უმეტესად მსოფლიო ეკლესიის ისეთი ცნობილი მამები არიან, როგორც, მაგ., იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი და ეფრემ ასური. მათი ნაწერების გვერდით მოთავსებულია აგრეთვე ნაწარმოებები ეგვიპტელი და პალესტინელი მოღვაწეებისა, ეკლესია-მონასტრების მამებისა (V–VI სს.), როგორც მაგ., მარკოზისა, საჰაკისა, აბრაჰამისა, ამონასი და მარტვირისა. უკანასკნელი ავტორი, პროფ. კ. კეკელიძის ნაკვლევის თანახმად,<sup>2</sup> ქართველი უნდა იყოს. დღემდე ამ კრებულის ორი უძველესი ნუსხა იყო ცნობილი: სინური<sup>3</sup> და ათონური<sup>4</sup>. ამჟამად ამათ ემატება კლარჯულიც, რომელიც დავით მამფლის სახელთან არის დაკავშირებული. ამ ნუსხის (S-1139) გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერი ერთგან (26-ე გვერდის მარცხენა კიდეზე, ზემოთ) გვამცნობს: „ქნ დაიცევი მამფალი დ~თ დღეგრძელობით და სიმრთელით, ა~ნ“. მაშასადამე, ეს ხელნაწერი დაწერილია დავითის გარდაცვალების (943 წლის<sup>5</sup>) უწინარეს, მისი მამფლობის ჟამს, X საუკ-ის ოცდაათიან წლებში, თუ უფრო ადრე არა. დაახლოებით ამავე ხანისაა სინური ნუსხაც, რომელიც საბას ლავრაში ყოფილა გადანერილი 925 წელს<sup>6</sup>. ეს ნუსხა ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. არაა მისაწვდომი აგრეთვე ათონური ნუსხაც, რომელიც 977 წელს არის გადანერილი, ოშკს, იოანე-თორ-

<sup>1</sup> K. Krumbacher, *Geschichte der byzantinischen Literatur*, გვ. 187, 1935.

<sup>2</sup> მარტვირი ქართველი (VI-VII) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით: *ლიტერატურული ძიებანი*, III, გვ. 261-313, თბილისი, 1946.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 74-83, თბ., 1947.

<sup>4</sup> *Catalogue des manuscrits georgiens de la bibliotheque de la laure d'Jwiron au mont Athos*, par R.P.Blake. *Extrait de la Revue de l'Orient chretien*, 3-e serie, t. VIII (XXVIII), №3 et 4, pp 41-51, 1932.

<sup>5</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა III, ე. თაყაი-შვილისა, თბ., 1949.

<sup>6</sup> მარტვირი ქართველი (VI-VII) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით: *ლიტერატურული ძიებანი*, III, გვ. 265, თბილისი, 1946.

ნიკის დაკვეთით<sup>1</sup>. ამისი მხოლოდ ორი პირი მოგვეპოვება: ერთი XVIII საუკუნისა, დომენტი კათალიკოზის (1704–1724) თაოსნობით გადანერილი (A-56)<sup>2</sup>, და მეორე ჩვენი საუკუნისა, ილია ბანძელის მიერ გადმოწერილი ათონსვე (A-1142) ზოგიერთი ორთოგრაფიული ცვლილებით. კლარჯულისა და ოშკურის (გადმოღებული პირების) გარდა ჩვენს ხელთ იყო კიდევ ამ კრებულის ერთი სხვა ნუსხაც H-1662<sup>3</sup>, რომელიც იერუსალიმურია წარმოშობით და გადანერილია 1040 წ., ე.ი. აღებული პერიოდის უახლოეს ხანს.

მეორე ძეგლის, იოანე მოსხის „სამოთხის“ ქართული თარგმანი დაცულია როგორც სინურ ნუსხაში, ისე ოშკურშიც. ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ოშკური ნუსხაა, ისიც ილია ბანძელის მიერ ჩვენს დროში გადმოღებული პირის სახით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ორთოგრაფიული ცვლილებით არის შესრულებული.

ჩვენი ძველი მწერლობის დასახელებული ძეგლები ენობრივ ნიშნეულებათა მიხედვით VIII–X სს-შია წარმოშობილი, არა უგვიანეს X ს-ის პირველი მეოთხედისა, რადგან ამ ხანიდან მათ შემცველ ხელნაწერებსაც კი მოუღწევია ჩვენამდე. ყველაზე მკაფიოდ ეს პერიოდი გამოიკვეთება ძეგლთა ლექსიკური შედგენილობის მიხედვით, რასაც ჩვენ სხვაგან ვეხებით სპეციალურად. აქ ამგზობის იმას აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მერვე საუკუნეზე ადრინდელი ეს ძეგლები ვერ იქნება, რადგან მათში შეინიშნება ხმარება ისეთი ლექსიკური წყებისა, რომელიც არაბობის საისტორიო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ შეიძლება წარმოშობილიყო მახლობელ აღმოსავლეთში და, მაშასადამე, ასახულიყო ქართულ სალიტერატურო ენაშიც.

ამ საგულისხმო მომენტს გარდა დასახელებული ძეგლები ჩვენს ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ მათში ვხვდებით ისეთ ფორმებს, განსაკუთრებით ქართული ზმნის ფარგლებში, რომლებიც ჯერ სხვაგან ან არავის შეუნიშნავს, ანდა, თუ რომელიმე მათგანი შეუნიშნავთ სადმე, მცირედ, როგორც შემთხვევა იშვიათი ხმარებისა ძველ ქართულში.

## I

ქართული ზმნის თავისებური და აქამომდის უცნობი ზოგიერთი ფორმები, რომლებიც VIII–X სს-ის ძეგლებში აქა-იქ გვხვდება, პირველ რიგში ხოლმეობითა მწკრივებს შეეხება, სახელდობრ, მათი მესამე სუბიექტური პირის დაბოლოებას. თუ დღემდე ის ვიცოდით, რომ ძველ ქართულში უმეტესად ხოლმეობითი მეორე იხმარებოდა, ხოლო მის შემდეგ პირველი ხოლმეობითი გამოდიოდა (ისიც მესამე პირით, რადგან სხვები ამ მწკრივს არ გააჩნდა), ახლა, გარდა იმისა, რომ ხოლმეობითი მეორის მესამე პირისათვის მრავლობით რიცხვში ზოგჯერ ცნობილისაგან განსხვავებული ფორმა გვაქვს, ისიც საგულისხმოა, რომ ხოლმეობითა დასახელებულ მწკრივებს გვერდში უდგება უწყვეტლის ხოლმეობითი, რომელიც მესამე სუბიექტური პირის გამოსახატავად მრავლობით რიცხვში იმავე ფორმანტებს მიმართავს, რომლებსაც ხოლმეობითი

<sup>1</sup> იხ. რ. ბლეიკის ზემოთ დასახელებული კატალოგი, გვ. 50.

<sup>2</sup> Ф. Жордания, описание рукописей церковного музея, I, გვ. 46-48.

<sup>3</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV. შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, გვ. 89.

მეორე და რომელთაგან ახლად გამოვლინებული თავისი სახით სხვა არაფერია, თუ არ ანმყოს ანუ პირველი ხოლმეობითის ნიშანი მრავლობით რიცხვში, ე.ი. -ედ.

ხოლმეობით მეორეში ამ ფორმანტით ნაწარმოები გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის შემდეგი ფორმები გვაქვს:

#### ა. გარდაუვალი ზმნებისა

მივიდიედ, სხდიედ – დასხდიედ, (მხიარულ) იქმნიედ, დაშურიედ, დაწყნარდიედ და დაეხვნიედ.

#### მონმოზანი ტექსტებიდან:

##### 1. მივიდიედ

„არა ხოლო თუ მეფენი ითხოვენ მათგან შეწევნასა, არამედ მრავალნი ეშმაკეულნიცა მივიდიედ და საფლავთა მათთა და განიკურნნიან“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A<sup>1</sup>, 47გვ; C<sup>1</sup>, 16 რ; B) მივიდიედ] მიივლტიედ] B<sup>1</sup>.

##### 2. სხდიედ

„რამეთუ ვითარცა-იგი რომელნი ჟამსა სიცხისასა მახლობელად სხდიედ და მოსადინელსა წყალთასა და სიგრილისა მისგან ჰაერისა განერნიან მძლავრისა მისგან სიცხისა, ეგრეთვე რომელი მიივლტოდის წიგნთა წმიდათასა, განარინოს სული თვისი ყოველთაგან ვნებათა“.

(„მარხვათა საკითხავნი“ C, 4 რ; A-სა და B-ს აკლია).

##### 3. დასხდიედ

„და ვიდრე იგი ილოცავნ, იგინი ტაბლასა განჰმზადებედ და მუნთქუესვე დასხდიედ პურისა ჭამად“.

(„სამოთხე“).

##### 4. (მხიარულ) იქმნიედ

„და ოდეს იხილნიან პირნი მათნი, გინა სამოსელნი, გინა ჯამლი მათი, გინა საყოფელნი მათნი, მხიარულ იქმნიედ გულითა და უხარინ“.

(„მარხვათა საკითხავნი“ C, 42 v; A-ს აკლია) მხიარულ იქმნიედ] განიხარნიან B.

##### 5. დაშურიედ

„ვითარცა-იგი რომელნი ასპარეზსა ცხენთასა ერთიერთსა უსწრობენ და განსცხრებიედ, და სარგებელ ვერაჲ პოიან მათ მოსწრაფედ მორბედითა მათითა და მჭურვალედ მოქმედებითა, რამეთუ არავინ მიაგის მისაგებელი მათი, არცა გვრგვოსან ყუნის, და ცუდად დაშურიედ“.

(„მარხვათა საკითხავნი“ C 36 v.; A-ს აკლია) დაშურიედ] დაშურიან B.

##### 6. განცივნიედ

„ძმანო ჩემნო, არა გუეშინისა ჟამისა მისგან, ოდეს-იგი განცივნიედ ფერწნი და ძნოლაჲ შეედვის მუჭლთა, ოდეს-იგი შეეშფოთნეს სტომაქი და დაიწმენ თუალნი

<sup>1</sup> A-თი აღვნიშნავთ დავით მამფლისეულ ნუსხას: S-1139-s; B-თი – ოშკურს: A-1142-ს და C-თი – იერუსალიმურს: H-1662-ს.



და დადუმნეს პირი, და გამოჰყავნ სული ანგელოზთა მათ საშინელთა და მრისხანეთა, და ამხილებედ მას საქმეთა მისთა ბოროტთა, და რაათა სიტყუაჲ მისცეს მან ყოველ-თათჳს ცოდვათა მისთა, რომელნი ექმნეს მას სოფელსა ამას შინა სანუთროსა“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A, 22 გვ.; C, 79 v.; B)

განცივნიედ] განცკბრდიან A (რაც უთუოდ non sens-ია, აღმოცენებული დედნის უხეიროდ ამოკითხვაზე).

### 7. დანყნარდიედ

„განისუენიან ვაჭართა მოსწრაფეთა, რაჟამს-იგი განვლიან ზღუაჲ მშკდობით, დამთქმელი, და განერნიან ზრუნვასა და მწუხარებასა, და განისუენიან ჭირთა და შრომათაგან. იხარებედ, რაჟამს განვლიან ქუეყანაჲ იგი საშიში და გზაჲ იგი იწროჲ, და ანყნარდიედ შფოთისაგან და სირბილისა, და დაეყუდნიან მინდობით“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A, 146 გვ.; C, 150 v.; B)

დანყნარდიედ] დანყნარდიან C.

### 8. დაეხზნიედ

„ვითარცა-იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოების ყოლადვე ადგილთა სულმყრალთა, მწინკულევანთა, და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელთა. და ეგრეთვე მწერთა დაუტევიან გუამნი სურნელნი და ცოცხალნი და დაეხზნიედ ნუთხსა წყლულებათასა“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A, 172 გვ.; C, 172 r.; B)

დაეხზნიედ] დაეხზნიან AB.

ყველა ზემოთ მოყვანილი და სათანადო ნიმუშებში ხაზგასმული გარდაუვალი ზმნის ფორმა, გარდა უკანასკნელისა, ერთპირიანი ზმნებისაა. ისინი ან საშუალო გვარისა არიან: მივიდიედ, სხდიედ–დასხდიედ, ანდა ვნებითისა: დაშურიედ, (მხიარულ) იქმნიედ, განცივნიედ და დანყნარდიედ. უკანასკნელი მაგალითის ზმნის ფორმა – დაეხზნიედ – ორპირიანი ვნებითი გვარისაა. სუბიექტად მათ, უკანასკნელთან ერთად, როგორც წესი, შეწყობილი აქვთ სახელები სახელობით ბრუნვაში: მივიდიედ *ემშაკეულნიცა*, სხდიედ *რომელნი*, დასხდიედ *იგინი*, დაშურიედ [იგინი], (მხიარულ) იქმნიედ [იგინი], განცივნიედ *ფერჯნი*, დანყნარდიედ [ვაჭარნი]; დაეხზნიედ [მწერნი]. ერთპირიანი ზმნის ფორმებში, რომლებშიც მხოლოდ სუბიექტური პირია ხოლმე ასახული (ისე ორპირიან ვნებითისაშიც, სადაც სუბიექტურ პირებთან ერთად ირიბი ობიექტის პირებიც აღინიშნება), პირის ნიშნები თუ ბოლოსართად მოდის, მესამე სუბიექტურისაა. ჩვენს მაგალითებში ჩამოთვლილი სუბიექტები, რომლებიც მრავლობით რიცხვში დგანან, ბოლოსართოვანი **-ედ** ნიშნით არიან წარმოდგენილი. მაშასადამე, ეს **-ედ** მრავლობითში მდგომი მესამე სუბიექტური პირის ნიშანია.

თუ სათანადოდ გავაანალიზებთ მოყვანილ ფორმებს და მათ აღნაგობას დავუკვირდებით (მო-ვიდ-ი-ედ, სხდ-ი-ედ – და-სხდ-ი-ედ; და-შურ-ი-ედ, ი-ქმნ-ი-ედ, გან-ცივნ-ი-ედ, და-წყნარ-დ-ი-ედ, და-ე-ხზ-ი-ედ), ვნახავთ, რომ ისინი მეორე სერიას განეკუთვნებიან, კერძოდ ხოლმეობით მეორეს, რაც აღნიშნული **-ედ** ფორმანტის წინ მდგომი **ი** ნიშნით არის გადმოცემული. ამრიგად, მოყვანილ ზმნათა ფორმები, რომლებშიც ჩვენს ყურადღებას **-ედ** ფორმანტი იქცევს, ხოლმეობითი მეორის მწკრივისაა – მესამე სუბიექტური პირისა მრავლობით რიცხვში.

## ბ. გარდამავალი ზმნებისა

შეიმოსიედ, (ჯუარს) – აცუნიედ, იხილნიედ.

**მონმობანი ტექსტებიდან:**

### 1. შეიმოსიედ

„სახჭ, რომელი ჰმოსიედ მოძლუარსა, იგივე შეიმოსიედ მონაფეთა“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A, 32 გვ.; C, 91 რ.; B)

შეიმოსიედ] შეიმოსიან C, შეუმოსიეს B.

### 2. (ჯუარს) აცუნიედ

„და წარიყვანნეს იგინი მკედართა მათ ადგილსა, რომელსა ჰრქჳან პანტონ, სადა-იგი ბოროტის-მოქმედნი ჯუარს-აცუნიედ“.

(სამოთხე, თხრობა, 58).

### 3. იხილნიედ

„რამეთუ წმიდანი რაოდენცა მიეახლებიედ ღმერთსა, იხილნიედ, თავნი თჳსნი უცოდვილესად ყოველთა კაცთასა“.

(„მარხვათა საკითხავნი“, B. A-სა და C-ს აკლია).

აღნუსხული გარდამავალი ზმნების ფორმები ყველა ორპირიანია. შეწყობილი პირ-დაპირი ობიექტები იმის გამო, რომ ზმნათა ფორმები II სერიას ეკუთვნის, სახელობით ბრუნვაში დგას, ერთგან მხოლოდობითსა (შეიმოსიედ *სახჭ*) და სხვაგან – მრავლობითისაში (ჯუარს აცუნიედ *ბოროტის-მოქმედნი*, იხილნიედ *თავნი თჳსნი*). ეს სახელობითნი **ნართ** არიან ნაწარმოებნი, ამიტომ მათი რიცხვის აღმნიშვნელნიც ფორმებში სათანადოდ („ნ“-თი) არიან წარმოდგენილნი (ჯუარს-აცუ-ნი-იედ, იხილ-ნი-იედ). რადგან პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნესისამებრ ზმნათა ფორმებში აუსახველია, ამიტომ მოყვანილ ფორმებში მხოლოდ სუბიექტის სათანადო პირის ნიშნებია საძიებელი, ეს პირი კი ყველა შემთხვევაში მესამეა (მრავლობით რიცხვში – „მათ“) და, როგორც ნესი, ბოლოსართადაა წარმოდგენილი: **-ედ**. ამ ფორმანტის წინ მდგომი **ი** ხოლმეობითის ნიშანია და რადგან აღნაგობის მიხედვით (შე-ი-მოს-ი-ედ, ა-ცუ-ნი-ი-ედ, ი-ხილ-ნი-ი-ედ) მოყვანილ ზმნათა ფორმები II სერიას ეკუთვნის, ამიტომ ეს ხოლმეობითი მეორეა.

ამრიგად, აქაც მოყვანილ ზმნათა ფორმები ხოლმეობითი მეორის მწკრივისაა, სახელდობრ მესამე სუბიექტური პირისა მრავლობით რიცხვში, რაც **-ედ** ფორმანტითვე არის გადმოცემული.

**-ედ** ფორმანტი აღნიშნული ფუნქციით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტო ხოლმეობით მეორეში გვხვდება, არამედ უწყვეტლის ხოლმეობითშიც. საერთოდ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ჩვენს ტექსტებშიც (ისე როგორც ეს შენიშნულია სხვების მიმართაც ძველი ხანისათვის <sup>1</sup>) იშვიათად გვხვდება<sup>2</sup>. ისიც

<sup>1</sup> ა. შანიძე, სამი მწკრივის თავისებურებანი ძველს ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, გვ. 845, 1945.

<sup>2</sup> მოვიყვანთ აქ მათ:

ა) „მოვიდიან საფლაჳსა და დაუტევიან იგი მარტოჲ და წარვიდიან სახედ თჳსად... და სწრაფით მონაგებსა მის[ს]ა **განიყოფდიან**“ [C, 259 რ].

ბ) „რაჴამს მეუფლის სენი იგი ჴორცთაჲ, ესე ყოველი გუაჴსობნ და გულს-ვეტყოდით სიკუდილისათჳს და სინანულისა, და ვითარცა განმემორის სენი იგი, ყოველივე დაგუაჴინყდეს და

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ტექსტებში, თუ სადმე გვხვდება ამ მწკრივის ფორმები, უმთავრესად მაინც მრავლობითია.

-ედ ფორმანტს უწყვეტლის ხოლმეობითში ვპოულობთ როგორც ვნებითის, ისე მოქმედებითი გვარის ზმნებში:

ზრუნვიდიედ, ეტყოდიედ, სცვიდიედ, ჯუმილვიდიედ.

### მონმოზანი ტექსტებიდან:

#### 1. ზრუნვიდიედ

„და ვითარცა აგრძნიან იგი, ოდესმე ცეცხლსა შევიდიან უშიშად და არა შეეხის მათ, და ოდესმე სიღრმესა წყალთასა ზედა ვლენედ და არა დაინთქნიან და არცა ეჭუეულ იქმნიან, რამეთუ სარწმუნოებაჲ განაძლიერებნ მათ და არას ზ რ უ ნ ვ ი დ ი ე დ ხილვისათჳს და საქმისა საშინელთა საქმეთათჳს“.

(„მარხვათა საკითხავნი“, C; 250 r; B. A-ს აკლია).  
ზრუნვიდიედ] ზრუნვიედ (!) B.

#### 2. ეტყოდიედ

„მაშინ განეცხადოს ყოველთა საქმე მისი, ვითარცა-იგი მათი, რომელნი ე ტ ყ ო - დ ი ე დ მეუფესა დღესა მას განკითხვისასა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვნინანარმეტყუელეზდითა და სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთა?“

(„მარხვათა საკითხავნი“, C; 28 v; BB. A-ს აკლია).  
ეტყოდიედ] იტყვედ B.

#### 3. სცვიდიედ, 4. ჯუმილვიდიედ

„იქმენ შენ ვითარცა მჯუმილნი, რომელნი ჯუმილვიდიედ სამწყსოსა გინა სავენაჯესა, რამეთუ იტყუელვედ ჴელთა მათთა და ჴმითა მალლითა ღაღადებენ და იზახებედ. და ოხრისა მათისაგან ივლტიედ ყოველნი რომელთა ჴნებავენ მიპარვად სამცველოჲ მათი, რომელსა ს ც ვ ი დ ი ე დ“.

(„მარხვათა საკითხავნი“ C, 16 v; A -სა და B-ს აკლია).

წარმოდგენილ ზმნათა ფორმების როგორც სინტაქსური შეწყობა ([იგინი] ზრუნვიე-დიედ არას; რომელნი ეტყოდიედ მეუფესა; [იგინი] სცვიდიედ რომელსა; რომელნი ჴუ-მილვიდიედ სამწყსოსა გინა სავენაჯესა), ისე აღნაგობა (ზრუნვიედ-ი-ედ; ე-ტყ-ოდ-ი-ედ; ს-ცვ-იდ-ი-ედ; ჴუმილვი-იდ-ი-ედ) აშკარად გვითითებენ, რომ ისინი I სერიისა არიან. მათ ფუძეთა სავრცობებზე უშუალოდ დართული ი ხოლმეობით მწკრივს აჩენს, ხოლო ბო-ლოსართად მოსული -ედ ამ მწკრივის მრავლობითი რიცხვის მესამე პირზე მეტყველებს. ამრიგად, ეს ფორმები, რომლებიც წარმოებულა -ედ ფორმანტით, უწყვეტლის ხოლმე-ობითი მწკრივისა არიან, სახელდობრ მესამე სუბიექტური პირისა მრავლობითში.

-ედ ფორმანტი, რომელიც ზემოთ მოყვანილ მონმოზათა მიხედვით ხოლმეობით მწკრივთა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ჩანს მრავლობითში, ძველი ქართულისა-

---

არღარა ვზრუნვიდით და არცა მოვიჴსენებდით სატანჯველთა მათ საუკუნეთა, რომელი განმზა-დებულ არს ცოდვილთათჳს“ [C, 261, v; B].

ც) „უკუეთუ ვინმე აღმიდგის, ვჴრისხვიდი... და ძვრსა უზრახვიდი მანკიერებით“ [A 380; C, 225 v].

დ) „ჩუენ ცოდვათა მათთა ვხედვიდით, ხოლო სინანული მათი და კეთილისა საქმე ვერ ვცნით და უსამართლოდ განვიკითხვიდით“ [C, 273 r; B].

თვის ჩვეულებრივი -ან ფორმანტის პარალელურად (უნწყვეტლის ხოლმეობითსა და მეორე ხოლმეობითში), გვხვდება ძველად აგრეთვე მესამე პირის ბრძანებითის ერთადერთ მანარმოებლად მრავლობითში. მხოლობითში კი ასეთი შემთხვევების დროს ყოველთვის -ბ ფორმანტი მოიპოვება. ესევე ფორმანტები, როგორც ცნობილია, ანარმოებენ მესამე სუბიექტური პირის ფორმასაც პირველ (ანმყოს) ხოლმეობითში, რომელსაც პროფ. არნ. ჩიქობავა ზოგად ანმყოს უწოდებს<sup>1</sup>.

რა ურთიერთობაა ამ საზიარო ფორმანტის მქონე დასახელებულ მწკრივთა შორის? ამ კითხვაზე პასუხს პროფ. არნ. ჩიქობავას ერთ-ერთ ნაშრომში ვპოულობთ („მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“, ენიმკის მოამბე V-VI, გვ. 13-44, თბ., 1940). ავტორის შეხედულებით, ეს ნიშნები მესამე პირის აღსანიშნავად ანმყოს გარდა უწყვეტელსაცა და წყვეტილსაც უნდა ჰქონოდა ადრევე ერთადერთ ფორმანტად (სუფიქსად) მესამე პირში, რომლებიც შემდეგში, ძველ ქართულში, გამოყენებულ იქმნა მესამე პირის ბრძანებითისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძველი ქართულის მესამე პირის ბრძანებითი სხვა არაფერია, თუ არ წყვეტილისა და უწყვეტლის მესამე სუბიექტური პირის ოდინდელი ფორმები, რომლებიც მარტოდენ -ბ, -ედ ფორმანტებით ინარმოებოდნენ.

ხოლმეობით მეორეში შენიშნული ერთი შემთხვევა: მოილ-ი-ნ („რ~ ყოველი რომელი ხითხოვნ, მოილინ“<sup>2</sup>) და მესამე პირის ბრძანებითის დაშრტ-ი-ნ ტიპის ფორმები, რომლებიც, ავტორის აზრით, აორისტისა და ნამყო ხოლმეობითის (მეორე ხოლმეობითის) მესამე პირის ადრინდელი ფორმებია<sup>3</sup>, სადაც აგრეთვე მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ბ გამოდის, პროფ. არნ. ჩიქობავას ავარაუდებინებს, რომ ეს „ნ“ ამ მწკრივშიც (ე.ი. ხოლმეობით მეორეშიც) ადრე ერთადერთი ნიშანი უნდა ყოფილიყო ზმნებისათვის და, შესაბამისად ამისა, ამავე მწკრივის მრავლობითში ყველგან -ედ დაბოლოება უნდა არსებულებოდა, როგორც მაგ.: დადრიკ-ი-ედ, ალადგინ-ი-ედ<sup>4</sup>. თითქმის ყველა მწკრივში „ნ“ სუფიქსის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიჩნევა პროფ. არნ. ჩიქობავას აყენებინებს ერთ ზოგად დებულებასაც, რომლის თანახმად, „ნ“ სუფიქსი უძველესი სუფიქსია მესამე პირისა; იგი გამოყენებული იყო, როგორც დროთა (ანუ: მწკრივთა) მეორე ჯგუფში (ე.ი. სერიაში), ისე დროთა (ანუ: მწკრივთა) პირველ ჯგუფში (ანუ სერიაში) და ეს მესამე პირის სუფიქსიც დროთა (ანუ მწკრივთა) მიხედვით არ იცვლებოდა<sup>5</sup>.

მესამე პირის ბრძანებითის ფორმები რომ სათანადო წყვეტილისა და უწყვეტლისაგან ამოდის და, შეიძლება, მათ ოდინდელ ფორმებსაც იყენებდეს, საეჭვო არ უნდა იყოს. არც ის უნდა იყოს საცილობელი, რომ მეორე ხოლმეობითში მესამე სუბიექტურ პირს მხოლოობითში -ი-ბ და მრავლობითში -ი-ედ სუფიქსი ჰქონოდა. დადრიკ-ი-ედ და ალადგინ-ი-ედ ჩვენი ტექსტების მონაცემების შემდეგ თეორიულად წარმოსადგენი

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1940.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ხანმეტი ტექსტიდან (პალიმფსესტიდან): თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 377.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი... გვ. 32, 39.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 40.

ფორმები კი აღარაა, არამედ რეალური ფაქტია ძველ ქართულში. ასევე რეალურად მისაჩნევ ფორმად გამოდის ჩვენივე ტექსტების მონიშნული მიხედვით პროფ. არნ. ჩიქობავას მიერ ნავარაუდები იხარება-ი-ედ ფორმა უწყვეტლის ხოლმეობითისათვის<sup>1</sup>.

ჩვენი ტექსტების მონაცემებით -ედ ფორმანტი ხოლმეობით მწკრივთა მესამე პირისათვის ხმარებულია მრავლობითში ძველი ქართულისათვის ასეთ შემთხვევებში -ან სუფიქსის გვერდით. არსად მხოლოდობითში ამ ფორმანტის საპირისპიროდ ჩვეულებრივი -ს სუფიქსის პარალელურად მოსალოდნელი -ნ არ შეიმჩნევა, როგორც ეს ანმცოს ხოლმეობითშია და ხოლმეობითის სხვა მწკრივებისათვის -ს-ს პარალელურად აქვს ნავარაუდები პროფ. არნ. ჩიქობავას.

კითხვა ისმის, დამონებული შემთხვევები ძველი მოვლენის გადმონაშთია ჩვენი ტექსტებისათვის, თუ იგინი ახალი მოვლენის ჩანასახს წარმოადგენენ, ვთქვათ, ანმცოს ანუ პირველი ხოლმეობითის ანალოგიით წამოწყებულს; ანდა დიალექტური ფორმის ხმარება ხომ არაა ნებისთნეულად უნებლიეთ შემოტანილი მთარგმნელისა ან გადამწერისაგან? ჩვენ შესაძლებლად პირველი ვარაუდი უფრო მიგვაჩნია. ახლის ჩანასახი რომ იყოს, განვითარება უნდა მოეცა შემდგომ ხანაში, რასაც ვერსად ვხედავთ; პირიქით, ასეთ ფორმებზე ქართულ მწერლობას ხელი აქვს აღებული. აგრეთვე ასეთი ფორმანტის დიალექტური ხმარებაც დასახელებული მწკრივებისათვის არსად შეინიშნება. ჩანს, ის გადმონაშთია ძველი მოვლენისა, განსაკუთრებით ხოლმეობითი მეორისათვის, რომელზედაც შემთხვევათა მეტი რაოდენობა მოდის. აქედან უნდა იყოს ის გადასული უწყვეტლის ხოლმეობითში, რომელიც საზოგადოდ გვიანდელ წარმოქმნილ მწკრივად ითვლება და არცთუ ხოლმეობითი მეორის გარეშე.

## II

VIII-X სს-ის დასახელებული ძეგლები გვიჩვენებს ზმნის ფორმათა კიდევ ერთ თავისებურებას: -დ ფორმანტის ალაგ-ალაგ ხმარებას სტატიკური ზმნების ანმცოსა და თურმეობითი პირველის მესამე სუბიექტურ პირში ჩვეულებრივი -ს სუფიქსის ნაცვლად და აგრეთვე -ედ სუფიქსის იშვიათ ხმარებას ამავე პირის აღსანიშნავად მრავლობითში გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველისა, სადაც ჩვეულებრივ -ან სუფიქსი იხმარება ძველად. განვიხილოთ ეს შემთხვევები.

### ა. სტატიკური ანმცო

hgied, gugonied, hmosied.

მონიშნული ტექსტებიდან:

#### 1. ჰგიედ

a. „თარგმანებაჲ ამის ასკიაჲსაჲ საჯორციელოჲსაჲ ესე არს: ტაბლაჲ, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საქმელი“.

(„მარხვათა საკითხავნი“ B; აკლია A-სა და C-ს).

b. „და თუ ვინმე ეშჯინ, არა სიტყუა უგებნ, და ყოველსა სიტყუასა ზედა და საქმესა განმტკიცებული შეუცთომელად ჰ გ ი ე დ სავსე ყოვლითა საქმითა კეთილითა“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A 342; გვ.; B; C-ში არ იპოვება).

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი... გვ. 40.

„მრისხანესა დაამშკდებნ მყუდროებით და სიყუარულსა მისსა ზედა შეუორგულეებელად ჰ გ ი ე დ“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A 342 გვ; B; C-ში არ არის).  
ჰგიედ [ჰგიენ B.

## 2. გუგონიედ

„რამე უკუე ვყოთ... შფოთისა და შურისათვს, რომელმან შეგვპყრნის მათვს, რომელნი ცხოვნიან, არა ხოლო თუ მტერნი, არამედ მეგობარნიცა ჩუენი და მწუხარება მათი ნუგეშინის-ცემა ჩუენდა გ უ გ ო ნ ი ე დ.“

(„მარხვათა საკითხავნი“ B, 40 r; C ; A-ს აკლია).

## 3. ჰმოსიედ

„სახს, რომელი ჰმოსიედ მოძღუარსა, იგივე შეიმოსიედ მონაფეთა; წესი, რომელი დაუდვის მეფემან, მასზე ზედა იქცევიან გუნდი ერისა მისისაჲ“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A 32 გვ; C 91 r; B).

ჰმოსიედ | ჰმოსიეს B.

აღნიშნული სტატიკური ზმნების ფორმებს თავსართად ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები მოეპოვებათ (**ჰ-გიედ, გუ-გონიედ, ჰ-მოსიედ**), ხოლო ბოლოსართად – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, რომელიც აქ, ძველი ქართულისათვის, ჩვეულებრივი **-ს**-ს ნაცვლად ასეთ შემთხვევაში **დ**-თი არის წარმოდგენილი (ჰგიედ-დ, გუგონიედ-დ, ჰმოსიედ-დ). ამ ბოლოსართის წინ მათ დართული აქვთ ფუძეზე რთული **იე** (ი-ე) სუფიქსი, ასე, რომ ხსენებული ფორმების შემდეგნაირი ანალიზი იქმნება: ჰ-გ-ი-ე-დ; გუ-გონ-ი-ე-დ-; ჰ-მოს-ი-ე-დ.

ძველი ქართულის ერთ სხვა ძეგლშიც გვხვდება აგრეთვე „ჰმოსიედ“ ფორმა. ესაა იაკობ მოციქულის, უფლის ძმად წოდებულის წამების წიგნი, რომელიც ძველ მრავალთავებს დაუცავს. მის ერთ-ერთ ნუსხაში, პარხალს გადანერილში **XI**-ს-ის დამდეგს, ნათქვამია, რომ „არა შეიმოსის მან მატყლისა სამოსელი, არამედ *ჰმოსიედ* მას სტევისა სამოსელიო“. ე. წ. სვანურ მრავალთავში, რომელიც **X** საუკუნისად ითვლება ხელის მიხედვით, „ჰმოსიედ“-ის ნაცვლად „ჰმოსიენ“ არის, და „სტევისა“-ს მაგიერ „სელისა“. ამ მონობით ერთი გარემოება ირკვევა: სტატიკური ზმნის ანმეოს მწკრივში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოობითი „ს“ და „დ“ ბოლოსართებს გარდა კიდევ „წ“ ყოფილა.

სულ შემთხვევითი ეს მოვლენა არ უნდა იყოს. ამას მონობს „ჰგიედ“ ფორმისათვის ზემორე მოყვანილი ის მაგალითი (**1 c**), რომელშიც აგრეთვე „ჰგიედ“-ს სხვა ნუსხაში „ჰგიენ“ მოეპოვება შესატყვისად.

## ბ. თურმეობითი პირველი

უქმნიედ, მიულებიედ, შეგირაცხიედ.

### მონობანი ტექსტებიდან:

#### 1. უქმნიედ

„ხოლო გუამი დაინუენ ფიცხლისა მისგან სიმჭურვალისა და სული ეტყინებინ ცეცხლითა ცოდვისაჲთა, რომელ უქმნიედ წინაჲსწარ“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A, 150 გვ.; C, 150 r).

## 2. მიუღებოდ

„მაშინ უბრძანის მისგან განძარცუვად სული წმიდაა, რომელი მიუღებოდ მას დღესა მას გამოწსნისასა, რომლისასა ჰგონებნ მის თანა ყოფასა“.

(„მარხვათა საკითხავნი“ C 28 v; B; A-ს აკლია).

წარმოდგენილი ფორმები რომ გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველისაა, ამას მონმოზს როგორც სუბიექტ-ობიექტის შეწყობა (რომელ უქმნიედ [სულსა], რომელი მიუღებოდ მას), ისე ამ წევრების ინვერსიულად წარმოდგენა ზმნის ფორმებში ([ჰ]-უქმნიედ, მი-[ჰ]-უღებოდ). თავსართად აქაც გრამატიკული ობიექტის პირის ნიშნებია წარმოდგენილი (მესამისა – ჰ), ხოლო ბოლოსართად გრამატიკული სუბიექტის მესამე პირი დ-თი. უკანასკნელის წინ ფუძის სავრცობია, იგივე რთული სუფიქსი ი-ე, რომელიც სტატიკური ზმნების ანმყოშიც შეგვხვდა. მაშასადამე, აღნიშნული ზმნები შემდეგნაირად ანალიზდება: (ჰ)-უ-ქმნ-ი-ე-დ, მი-(ჰ)-უ-ღებ-ი-ე-დ.

ერთ სხვა ხელნაწერში (H-341, XI ს-ის ნუსხაში) წარმოდგენილ ნამების ნიგნში („ნამება შვდთა ეფესელთა“), რომელიც ლექსიკური ნიშნებით VIII-X სს-ში უნდა იყოს თარგმნილი, თურმეობითი I-ის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოობითში „ნ“-ს ვხვდებით, მსგავსად სტატიკური ანმყოს ზოგიერთი ფორმისა („ჰგიედ“, „ჰმოსიენ“):

### 2 ა. უცნობინ

„ვიყვენით ჩუენ ვითარცა ყრმაჲ, რომელ არს მუცელსა დედისასა და არა სცნობნ პატისა გინა უპატიობასა, არცა შრომასა, არცა განსუენებასა, და ცხორებაჲ არა უცნობინ (უ-ცნობ-ი-ე-ნ) ცხოველთა თანა და მკუდართა“ (გვ. 603).

მოყვანილ მონმოზათაგან ნათლად ჩანს, რომ ფორმანტი დ (რომელსაც იშვიათად ნ ენაცვლება) სუბიექტის მესამე პირის ნიშანია მხოლოობითში. რაღა მრავლობითში? ამის გამოსარკვევად მხოლოდ ერთი მაგალითი მოგვეპოვება. ესაა:

### 3. შევირაცხიედ

„და შენ, ჰ კაცო, კადნიერებითა და აპარტავანებითა არად შეგირაცხიედ გლახაკნი და იკადრებ მოძულებად და ვნებად მათდა და მტერობად“.

(A, 76 გვ.; C, 135 r; B)

შევირაცხიედ] შევირაცხიენ A. შევირაცხიან B.

წინა მაგალითებისაგან (1, 2) განსხვავებით აქ გრამატიკული სუბიექტი მესამე პირისა შეწყობილია მრავლობითში (გლახაკნი შევირაცხიედ შენ). მისი ნიშანიც ამიტომ განსხვავებული უნდა იყოს იმ -დ ბოლოსართისაგან, რაც მხოლოობითში მდგომი გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის შეწყობისას იყო. თუ გავაანალიზებთ მოცემული ზმნის ფორმას (შე-გ-ი-რაცხ-ი-ე-დ), ვნახავთ, რომ მრავლობითშიც გრამატიკული მესამე სუბიექტური პირი იმავე -დ სუფიქსით არის წარმოდგენილი, რომლითაც მხოლოობითში იყო. გამოდის, თითქოს ზიარი ფორმანტია აქ -დ ბოლოსართი. მაგრამ, პროფ. ვ. თოფურისას მართებული ახსნით, აქ ნამდვილად -დ სუფიქსი კი არ არის მრავლობითში, არამედ -ედ, რომლის ე ხმოვნის შეხვედრამ ფუძის რთული ი-ე სავრცობის ბოლოხმოვან ე-სთან, მარტო ერთი ე წარმოგვიდგინა დაბოლოებაში. მგონია, აქ სავრცობის ე უნდა იყოს დაკარგული, როგორც ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი სუფიქსით ვანარმოებთ ამ მწკრივის მესამე პირის ფორმას მრავლობითში, სადაც სავრცობის ე ელემენტი აღარა ჩანს (შეგი-

რაცხ-ი-ე-ს – შეგირაცხ-ი-ან). ამრიგად, „შეგირაცხიედ“ ზმნის ფორმის ასეთი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნებია მხოლობითში -დ (ჩვეულებრივი ს-ს ნაცვლად) და მრავლობითში -ედ (ჩვეულებრივი ან-ის მაგიერ), მსგავსად სტატიკური ანმყოსი, სადაც მხოლოობითში აგრეთვე გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნად -დ ბოლოსართი აღმოგვაჩნდა (ჩვეულებრივი ს-ს ნაცვლად) და მრავლობითში კი -ედ სუფიქსია საგულვებელი (ჩვეულებრივი -ან-ის მაგიერ).

„შეგირაცხიედ“ ფორმასთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი ძველის უძველეს ნუსხაში, – მსგავსად სტატიკური ანმყოს ზოგიერთი („ჰგიენ“, „ჰმოსიენ“) ფორმისა (და თურმეობითი I-ის ერთი შემთხვევისა მხოლოობითში: „უცნობიენ“), სადაც ქართულისათვის იშვიათი -დ სუფიქსის ნაცვლად სხვა ნუსხებში კიდევ უფრო იშვიათი -ნ მოიპოვება, – ზმნის ეს ფორმა ისეა წარმოდგენილი, რომ -დ დაბოლოებას -ნ ენაცვლება („შეგირაცხიენ“). მაგრამ აქ იმის შემდეგ, რაც ირკვევა, რომ „შეგირაცხიედ“ არის გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის ფორმა მრავლობით რიცხვში მდგომი გრამატიკული სუბიექტის მესამე პირისა, რომელიც არა -დ სუფიქსით, არამედ -ედ-ით არის წარმოდგენილი, ერთ-ერთი ნუსხის ეს განსხვავებული ნაკითხვა ნამდვილად წარმოადგენს არა -დ და -ნ ბოლოსართების მონაცვლეობას, როგორც ეს სტატიკური ანმყოს ზოგ ფორმაში გვექონდა, არამედ -ედ და -ენ სუფიქსებისას. ამრიგად, თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის შემდეგნაირი სუფიქსებია ძველ ქართულში ჩვენი ტექსტების მიხედვით: მხოლოობითში ჩვეულებრივი -ს-ს პარალელურად იშვიათი ხმარების -დ და ზოგჯერ, უკანასკნელის პარალელურად, კიდევ უფრო იშვიათი -ნ-ც, ხოლო მრავლობითში ჩვეულებრივი -ან სუფიქსის პარალელურად იშვიათი ხმარების -ედ არის და ზოგჯერ, უკანასკნელის პარალელურად, კიდევ უფრო იშვიათი -ენ-იც.

რომ სრულიად შემთხვევითი არ არის ერთი მხრივ -დ-სა და ნ-ს, ხოლო მეორე მხრივ -ედ-ისა და ენ-ის ასეთი მონაცვლეობა, ამას ოთხთავის ძველი შატბერდული ნუსხების ერთი ჩვენებაც უნდა ამტკიცებდეს. შენიშნულია უკვე <sup>1</sup>, რომ ოთხთავის ჯრუჭ-პარხლის ნუსხებში გვხვდება აგრეთვე ერთგან თურმეობითი პირველის -დ-ონიანი ფორმა:

„მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ“ (მათე 25,24), ანდა: „მოვიმკი, სადა არა დასთესი და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ“ (მათე 25,26).

აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც, რომ ადიშის ოთხთავის მიხედვით პირველ შემთხვევაში „განგიბნევიედ“ ფორმის ნაცვლად „განგიბნევიან“ გვაქვს, ხოლო მეორეში – „განგიბნევიედ“ ფორმის მაგიერ „განმიბნევიენ“ არის<sup>2</sup>. უკანასკნელი ფორმა, სხვათა შორის, იმის მაუწყებელიცაა, რომ დ-სა და ნ-ს მონაცვლეობა აქაცაა გვაქვს, თუ მონაცვლე ფორმები გრამატიკულ სუბიექტს იწყობენ მხოლოობით რიცხვში (რაც ზემოთ ზოგან სტატიკური ანმყოსა და ერთგან თურმეობითი I-ს მხოლოობითი რიცხვის ფორმაში შეინიშნებოდა), ხოლო -ედ-ისა და -ენ-ის მონაცვლე-

<sup>1</sup> ა. შანიძე, წინასიტყვაობა გამოცემისა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, 2, თბ., 1945, გვ. 043.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი... გვ. 39; ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია... გვ. 92.



ობა იქნება, თუ მონაცვლე ფორმები გრამატიკულ სუბიექტს მრავლობით რიცხვში შეინცობს (მსგავსად ზემოთ აღნიშნული „შეგირაცხიედ – შეგირაცხიენ“ ფორმისა).

დასახელებულ წყაროებს გარდა „ნ“ გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნად თურმეობით პირველში (მხოლოებითი რიცხვისა) შეგვხვდრია აგრეთვე X ს-სად მიჩნეული სამოციქულოს ერთ ნუსხაშიც:

„და ნუ თანა აღერევით მას, რაათა შეიკდიმოს, და ნუ ვითარცა მტერი შეგირაცხიენ იგი, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა“ (S - 407, 141 r<sup>1</sup>).

სხვათა შორის, ეს ადგილი ნაბეჭდ სამოციქულოში<sup>2</sup> ასე იკითხება:

„და ნუ თანა აღერევით მას, რაათა შეიკდიმოს, და ნუ ვითარცა მტერსა შერაცხთ მას, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა“.

მსგავსი იშვიათი ხმარების ზმნის ფორმები თურმეობით პირველში სხვა ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით შეუმჩნეველი არ დარჩენია პროფ. ა. შანიძეს, რომელმაც თავისი ამონაწერების ერთი ნაწილი გადმომცა კიდეც სარგებლობისათვის.

ადიშის ოთხთავის ხსენებულ „განმიბნევიენ“ ფორმასთან დაკავშირებით აქ პროფ. ა. შანიძე შენიშნავს: „საინტერესოა, რომ ამგვარი რამ სხვაგანაც გვხვდება“ და ჩამოთვლის:

1. „შიშსა შეუპყრიან მომრუშეთა გული და სულსა უქმთასა ჰმშიოდის“ (იგავნი, 19, [15] 12).

„რადგანაც აქ – ვკითხულობთ შენიშვნაში – არც სუბიექტი („შიშსა“) და არც ობიექტი („გული“) მრავლობითში არ არის, ცხადია, ნ მრავლობითის ნიშნად არ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს“-ო.

მის მიერ შემჩნეული სხვა ანალოგიური ადგილები შემდეგია:

2. „საძაგელ არს კაცი მართალი კაცისა ცოდვილისა, და საძაგელ უსჯულოთა, რომელთა წარუმართებიენ გზასა“ (იგავნი 29, 27).

3. „კაცი ქველის-მოქმედი თავსმდებ ექმნების მოყუასსა თვსსა, ხოლო რომელსა წარუწყმედიენ სირცხვლი, შუვა დაადგინის იგი“ (ისუ ზირაქი 29, 17).

მსგავს შემთხვევაში -ნ-ს პარალელურად -დ-ს მქონე ფორმებსაც ასახელებს პროფ. ა. შანიძე ანტიოქე სტრატიგის „წარტყუენვაჲ იერუსალემისაჲს“ ქართული თარგმანიდან<sup>3</sup>, სახელდობრ:

4. „მდდელსა ზე აღუპყრიედ<sup>4</sup>.... საუფლოჲ ხორცი“ – იწ, 3.

5. „დიაკონთა სამოსელი იგი ზე აღუპყრიედ“<sup>5</sup> – იწ, 8.

„ან“-ის ადგილს მრავლობითში „ედ“-ის ხმარების სამონმოდ პროფ. ა. შანიძის მაგალითებიდან ერთი შემთხვევა ჩანს:

6. „დედაკაცისაჲ სახნიერისაჲ ნეტარ არს ქმარი მისი და რიცხუნი ცხორებისა მისისათანი ორწილ შეურაცხიედ გონებასა მისსა“ (ისე ზირაქი, 26, 1).

<sup>1</sup> ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი, 1949, ტაბ. 30, მეორე სვეტის მე-4 სტრიქონი.

<sup>2</sup> საღმრთო სამოციქულო, თბ., 1899, გვ. 286.

<sup>3</sup> ნ. მარის გამოცემა, თლ. IX, 1909.

<sup>4</sup> ხელნაწერში, 341 (გვ. 639), აქ იპოვება „აღუპყრიენ“.

<sup>5</sup> ხელნაწერში, H 341 (გვ. 639), აქ იპოვება: „უპყრიან“.

შემთხვევები **დ** ფორმანტის ხმარებისა თურმეობით პირველსა და სტატიკურ ანმყოში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნად პროფ. ვ. თოფურიასაც ჰქონდა შენიშნული ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში. გარდა „შუშანიკის მარტვილობისა“, რომელშიც, მართლაც, ვხვდებით ამ ფორმის ხმარების ორ შემთხვევას (1. „ხოლო ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა-შემოსლვად“ [VI,3]<sup>1</sup> და 2. „თაყუანის საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიდ“ [14, 20]<sup>1</sup>), ხსენებულმა მკვლევარმა შემდეგი მაგალითები მოიყვანა თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა 1952 წელს: „უმტკმიედ“ („ფიზიოლოგიდან“ – „პირი ზე უმტკმიედ“), „ჰნთიედ“ და „ჰგონიედ“.

აღნიშნული **-დ** ფორმანტისა და ზოგჯერ მისი მონაცვლე **-ნ**-ს, ანდა **-ედ** ფორმანტისა და ზოგჯერ მის მაგიერი **-ენ**-ის ასეთი იშვიათი ხმარება სტატიკურ ანმყოსა და თურმეობით პირველში მესამე პირის აღსანიშნავად ერთ შემთხვევაში **-ს**-სა და მეორეში **-ან** ნიშნების გვერდით ძველ ქართულში, აქაც კითხვას გვიყენებს: გადმონაშთი ან ახალი მოვლენის ჩანასახი ხომ არ არის **დ||ნ** ან **ედ||ენ** ფორმანტები აღნიშნული მწკრივებისათვის ანდა დიალექტური მოვლენის ასახვას ხომ არ წარმოადგენენ ისინი? აქაც ჩვენი პასუხი ის იქნება, რაც ზემოთ ხოლმეობითა მწკრივების **-ედ** ფორმანტის მიმართ იყო, სახელდობრ ის, რომ **დ||ნ** ან **ედ||ენ** ფორმანტები მესამე სუბიექტური პირის ნიშნად სტატიკური ზმნის ანმყოსა (მხოლოებითი მხოლოდ **-დ||ნ**) და თურმეობით პირველში (მხოლოდებითი **-დ||ნ** და მრავლობითი **-ედ||ენ**) ძველის გადმონაშთი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ახლის ჩანასახი, რადგან უკანასკნელს მაშინ განვითარება უნდა მოეცა, რასაც ძველ მწერლობაში ვერსად ვხვდებით. არც დიალექტური მოვლენის ასახვა უნდა იყოს აქ, ვინაიდან მსგავსი რამ ქართული ენის დიალექტთა შორის შენიშნული არაა.

დასასრულ, სტატიკურ ანმყოსა და თურმეობით პირველში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ჩვეულებრივი **-ს**-ს ნაცვლად ზოგჯერ **-დ||ნ**-ს არსებობა ძველ ქართულში და ამავე პირის ნიშნად მრავლობითშიც **-ედ||ენ**-ის დადასტურება თურმეობით პირველში, რომელიც სტატიკური ანმყოსებრი წარმოებისა არის, ბუნებრივად გვიკარნახებს ვიფიქროთ, ხომ არ გვაქვს აქ ჩვენ შემთხვევები, რომ ამ ნიშნებით ძველ ქართულში ადრე არსებული ხოლმეობითი იყოს გადმოცემული, ისე როგორც ეს ძველი ქართულის სხვა ანმყოშია წარმოდგენილი (წერნ – წერედ)? მგონია, რომ დამონშებული შემთხვევები ამას არ ეწინააღმდეგება, მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ შესაბამის ტექსტებში ძალზე ხშირად მათ გვერდით პირველი ხოლმეობითისა და მეორე ხოლმეობითის მწკრივებია ხმარებული.

უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ ასეთივე ვარაუდი გააჩნია პროფ. ა. შანიძესაც მის მიერ შენიშნულსა და ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც ნათლად ჩანს იმ შენიშვნიდან, რომელსაც **-ნ**-ს მხოლოდებითის ნიშნად აღიარებას ურთავს: „იგია ალბათ ხოლმეობითის **-ნ** მხოლოდებით რიცხვში“.

<sup>1</sup> იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, ქართ. და სომხ. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1938; პროფ. ა. შანიძეს „უფლიედ“ სტატიკურ ზმნათა სიაში აქვს მოთავსებული, იხ. მისი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, ნაკვეთი მეორე, თბ., 1943, გვ. 307.

მოვლენის ასეთი შეფასებით უნდა იყოს გამოწვეული პროფ. ა. შანიძის მიერ მისი შენიშვნისათვის გაკეთებული ასეთი სათაურიც – „III ხოლმეობითის ძველი სახე?“

რომ აქ ნამდვილად -**ნ**-თი ხოლმეობითი მწკრივის ფორმაა გადმოცემული თურმეობითი პირველისათვის, ამას ჩვენი ტექსტის კიდევ ერთი მაგალითიც მოწმობს:

„რამეთუ კაცმან ოდესმე ძილსა შინა იხილის ხატი, რომელი არა სადა უხილავნ, და შეძრწუნდის გული მისი და განძუნდის შიში“.

(„მარხვათა საკითხავნი“ A, გვ. 321; C, 256 r).

-**ავ** თემიან ზმნასთან ხმარებული ეს „ნ“ აშკარად მიათითებს მის ხოლმეობითობაზე, როგორც ეს კონტექსტით ჩანს და თურმეობითი პირველის მწკრივის წარმოების ხასიათითაც დასტურდება.

როგორც ირკვევა, თურმეობითი პირველისა და სტატიკური ზმნების ანმეოსთვის ერთხანს ჩვენს ენაში ძველი ქართულის უწინარეს არსებულა მესამე სუბიექტურ პირში ხოლმეობითის გამოსახატავად ძირითადად ისეთივე ნიშანი („ნ“ მხოლოობითში და „ედ“ მრავლობითში), როგორც ძველ ქართულში დაცული პირველ ხოლმეობითში. ჩანდა ისიც, რომ ასეთივე ნიშანი ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირისათვის არსებობს აქა-იქ მრავლობით რიცხვში (ედ) ხოლმეობითის სხვა მწკრივთათვის: ხოლმეობით მეორესა და უწყვეტლის ხოლმეობითში. ეს ნიშნები ძველ ქართულში რომ გადმონაშთის სახით შეინიშნება, იმას მოწმობს, რომ ენაში ისინი მოშლილან, ისე რომ ერთ შემთხვევაში (სტატიკური ზმნების ანმეოსა და თურმეობითი პირველისათვის) მნიშვნელობა უკვალოდ გაჰქრობია, ხოლო მეორეში (ხოლმეობით მეორესა და უწყვეტლის ხოლმეობითში), თუმცა როგორც მწკრივი არ მოშლილა, მაგრამ ნიშნად სხვა გამომხატველი მოუპოვებია: „ან“ ნაცვლად „ედ“-ისა (მრავლობითში; მხოლოობითზე ვერას ვამბობთ, რადგან პარალელური ფორმები არ შეგვხვედრია).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ წყარო ამ ნაირსახეობისა, რომელიც დასახელებულ მწკრივებში გადმონაშთის სახით მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ხმარებაში შეინიშნება, იყოს ხალხური მეტყველება, სხვადასხვა დიალექტის მონაცემი.

გიორგი როგავა

მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის  
-ან სუფიქსისათვის ქართულში

როგორც ცნობილია, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის გამოხატვა სუფიქსების საშუალებით ქართველური ენებიდან დამახასიათებელია ქართულისა და ზანურისათვის. ეს სისტემა ძველ ქართულში უფრო რთული ჩანს, ვინემ თანამედროვე ქართულსა და ზანურში.

ძველ ქართულში დადასტურებულია, გარდა ამჟამად მოქმედი ა || ო და -ს მესამე სუბიექტური პირის სუფიქსებისა, -ნ და -დ სუფიქსებიც. აგრეთვე, გარდა მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ენ, -ნ, -ან და -ეს სუფიქსებისა -ედ სუფიქსიც.

ძველ ქართულში დასახელებულ მხოლოდობითი რიცხვის -ა || -ო, -ს და -ნ სუფიქსებს მრავლობითში, როგორც ვიცით, მოეპოვება შესაბამისი აფიქსები: -ენ || ნ, -ან, -ეს, -ედ.

მხ. რ. ა    ო	მრ. რ. -ეს
წერდ-ა	წერ-ეს
დანერ-ა	დანერ-ეს
მოკლ-ა	მოკლ-ეს
წარვიდ-ა	წარვიდ-ეს
ალილ-ო	ალილ-ეს
-ს	-ენ    -ნ, -ან
წერ-ს	წერ-ენ
წერო-ს	წერო-ნ (←წერო-ენ)
დანერ-ი-ს	დანერი-ან
ჭრ-ი-ს	ჭრ-ი-ან
რბ-ი-ს	რბ-ი-ან
იმალებ-ი-ს	იმალებ-ი-ან
-ნ	ედ
წერ-ნ	წერ-ედ
მოვედი-ნ	მოვიდ-ედ

ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, დაირღვა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი შესაბამისობა მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობითისა და მრავლობითის სუფიქსთა შორის, სახელდობრ:

1. ნამყო ძირითადად -ა || -ო სუფიქსს მრავლობითში -ეს სუფიქსთან ერთად (მოკლ-ა: მოკლ-ეს) შეესაბამება -ენ სუფიქსიც (გარდაუვალ ზმნებში) – დაიმალ-ა: დაიმალ(ნ)-ენ...

2. ნამყო უსრულში ძველი ქართულის მიმართება – ა: -ეს (წერდ-ა: წერდ-ეს) შეიცვალა მიმართებით – -ა: -ენ (წერდ-ა: წერდ(ნ)-ენ).

3. ანმყოში დინამიკური გარდამავალი ზმნების **-ს** სუფიქსი შეცვალა **-ა** სუფიქსმა (იზრდები-**ს** → იზრდებ-**ა**), ამდენადვე, მიმართება (ი)-**ს**: (ი)-**ან** (იზრდებ-ი-**ს**: იზრდებ-ი-**ან**) შეიცვალა მიმართებით – **ა**: (ი)-**ან** (იზრდებ-**ა**: იზრდები-**ან**).

მესამე სუბიექტური პირის მრ. რიცხვის **-ან** სუფიქსი, როგორც ცნობილია, გვხვდება მხ. რიცხვის მესამე პირის **-ს** პრეფიქსის შესაბამისად, ერთი მხრით მაშინ, როცა ზმნის ფუძეში შედის **ი** სუფიქსი: ჭრ-ი-**ს**: ჭრ-ი-**ან**, მკ-ი-**ს**: მკ-ი-**ან**, იზრდებ-ი-**ს**: იზრდებ-ი-**ან**, იც-ი-**ს**: იც-ი-**ან**, ხოლო მეორე მხრით, გარდაუვალ უგვარო ზმნებში – დუმ-**ს**: დუმ-**ან**, წუხ-**ს**: წუხ-**ან**, ძვ. ქართ. უყუარ-**ს**: უყუარ-**ან**<sup>1</sup>...

ზანურში მესამე სუბიექტური პირი წარმოდგენილია მხოლოდობითში **-უ**, **-ს** და **-ნ** სუფიქსებით, ხოლო მრავლობითში **-ან** || **-ნ**, **-ეს** სუფიქსებით:

<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ.</b>
<b>-უ</b>	<b>-ეს</b>
დოჭარ- <b>უ</b> „დანერა“	დოჭარ- <b>ეს</b> „დანერეს“
ჭარუნდ- <b>უ</b> „ნერდა“	ჭარუნდ- <b>ეს</b> „ნერდენ“
<b>-ს</b>	<b>-ან</b>    <b>-ნ</b>
ჭარუნ- <b>ს</b> „ნერს“	ჭარუნ- <b>ან</b> „ნერენ“
ჭარ-ა- <b>ს</b> - „ნეროს“	ჭარ-ა- <b>ნ</b> (←*ჭარ-ა-ან) ნერონ“...
<b>-ნ</b>	<b>ნ-ან</b>
ღურუ- <b>ნ</b> „კვდება“	ღურუ- <b>ნ-ან</b> „კვდებიან“
ხე- <b>ნ</b> „ზის“	ხე- <b>ნ-ან</b> „სხედან“
ირღუ- <b>ნ</b> „იზრდება“	ირღუ- <b>ნ-ან</b> „იზრდებიან“

**-ნ** სუფიქსი მესამე პირის მრავლობით რიცხვში ზანურში მოუდის მხოლოდ გარდაუვალ ზმნებს და ეს აფიქსი გადაჰყვება მრავლობითის ფორმებშიც: ღურუ-**ნ**: ღურუ-**ნ-ან**<sup>2</sup>.

ქართულსა და ზანურს მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის აფიქსებიდან ერთიანი წარმოშობისა აქვთ მხოლოდობითი რიცხვისა – ქართ. **-ა**: ზან. **-უ** (←**ო**), ქართ. **-ნ**: ზან. **ნ**; მრავლობითი რიცხვისა – ქართ. **-ენ**: ზან. **-ან**.

ზანურში მესამე სუბიექტური პირის **-ს** სუფიქსი, როგორც ნ. მარი<sup>3</sup> ვარაუდობს, ქართულიდან ჩანს შეთვისებული. თუ მართლა, როგორც ივარაუდება, **-ს** სუფიქსი გენეტურად დაუკავშირდება **-ის** ჩვენებით ნაცვალსახელს, მაშინ ზანურში მოსალოდნელი იყო **-ს** სისინა სპირანტის კანონზომიერი შესატყვისი **-შ** შიშინა სპირანტი, რამდენადაც **ის** ნაცვალსახელის ზანური შესატყვისია **იშ**, ქართ. ასე – ((ას-რე): მეგრ. ა-შ-ი || თ-აში „ასე“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ნ. მარი, Грамматика древнегрузинского литературного языка, გვ. 121; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 180.

<sup>2</sup> ნ. მარი, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 45.; არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 97.

<sup>3</sup> ნ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

<sup>4</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმოხილველი, გვ. 203.

ქართულის **-ან** და **-ეს** მრავლობითობის სუფიქსებს ზანურში არ მოეპოვება შესატყვისი ვარიანტები: **-ონ** და **-აშ**. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის ნაგარაუდები, რომ **-ეს** სუფიქსი ზანურში ქართულიდან არის შეთვისებული<sup>1</sup>.

ამგვარად, საერთო წარმოშობის მრ. რიცხვის მესამე სუბიექტური პირის აფიქსად ქართულსა და ზანურში მხოლოდ ერთი აფიქსი შეიძლება დავასახელოთ – ქართ. **-ენ**, ზან. **-ან**<sup>2</sup>.

საკვლევი რჩება ქართულის მრავლობითობის **-ან** სუფიქსის გენეზისის საკითხი. მას ზანურში, როგორც ვიცით, არ გააჩნია შესატყვისი ვარიანტი, სახელდობრ, **-ონ** სუფიქსი. ბ. ფოჩხუა საკითხს სვამს ამ აფიქსის ზანური წარმოშობის შესახებ<sup>3</sup>. ასეთი ვარაუდი არაა გამორიცხული, მაგრამ შესაძლებელია, ქართულის ეს **-ან** სუფიქსი **-ენ** სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი იყოს, უკეთ, **-ენ-ისაგან** იყოს მიღებული გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ქართულში **-ან** სუფიქსი, როგორც წესი, გარკვეულ ფონეტიკურ მეზობლობაში გვხვდება, სახელდობრ, **-ი** სუფიქსის მომდევნო პოზიციაში – ტირ-ი-ან, ჭრ-ი-ან, იც-ი-ან და სხვ. ვფიქრობთ, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში **ან-ის** ამოსავალი სახეობა უნდა ყოფილიყო **-ენ. ე** ხმოვანი შეიძლება გადასულიყო **ა-ში ი-ს** მომდევნო პოზიციაში ხმოვანთა კომპლექსის ნაწილობრივი დიფთონგიზაციის საფუძველზე. ასე, რომ ტირ-ი-ან ← \* ტირი-ენ, ჭრ-ი-ან ← \* ჭრ-ი-ენ, იც-ი-ან (\*იც-ი-ენ და სხვ... იე კომპლექსის ერთგვარი დიფთონგიზაცია, ე.ი. **ია-თი** შეცვლა შესაძლებელია ქართული ენისათვის ყოფილიყო ერთ დროს დამახასიათებელი<sup>4</sup>.

**იე** კომპლექსის გადასვლა **ია-ში** პრინციპში იგივეა, რაც ქართულისათვის დამახასიათებელი **ეა** კომპლექსის გადასვლა **ია-ში**: ქრისტიანი←ქრისტიანი, ფშაური მიამა←მეამა, გაიმა←გეამა, იამა←ეამა, მცირია←მცირეა...<sup>5</sup> ვიმეორებთ, **იე-ს ია-ში** გადასვლაშიც უნდა გვქონდეს საქმე დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებასთან.

როგორც ჩანს, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართულის **-ან** სუფიქსი პოზიციურად იყოს მიღებული **-ენ-ისაგან**, ე.ი. წინამავალი ზმნური **ი** აფიქსის მომდევნო პოზიციაში ყველა სახის ზმნებში **ი-ენ** → **ი-ან**: გარდამავალ დინამიკურ ზმნებში – ჭრ-ი-ან, მკ-ი-ან, ძვ. ქართ. დანერ-ი-ან; გარდამავალ სტატიკურ ზმნებში – იც-ი-ან, უწყ-ი-ან; გარდაუვალ დინამიკურ ზმნებში – იბადებ-ი-ან, იზრდებ-ი-ან; გარდაუვალ სტატიკურ ზმნებში – არ-ი-ან, ტირ-ი-ან, ყვირ-ი-ან... მაგრამ ჩვენს ვარაუდს თითქოს არ ეთანხმება ის ფაქტი, რომ ქართულში **-ან** სუფიქსი იხმარება, როგორც ცნობილია, ისეთ ზმნებშიც, სადაც არ ჩანს **-ი** სუფიქსი. ასეთია გარდაუვალ სტატიკური ზმნები – ნუხ-ს, ნუხ-ან, დუმ-ს, დუმ-ან, უყვარ-ს, უყვარ-ან... მაგრამ ეს დაბრკოლება შეიძლება მოიხსნას, რამდენადაც,

<sup>1</sup> ბ. ფოჩხუა, მრავლობითობის ნარიანი მანარმოებლები ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, გვ. 60.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>4</sup> ქართულის დასავლურ კილოკავებში ტირ-ი-ენ, ჭრ-ი-ენ და სხვ... სამართლიანად მიჩნეულია ინოვაციად, ე.ი. აქ მესამეულ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

<sup>5</sup> ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი, ვაჟა-ფშაველა, III, 1930; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ., 28; შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსის ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, ტ. I, გვ. 26.

**ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები**

როგორც ცნობილია, დასახელებული რიგის ზმნებს ისტორიულად ახასიათებდა დიურატიულობის -ი სუფიქსი, რომელიც მასდარის ფორმებშია შემონახული: ნუხ-ს ← \*ნუხ-ი-ს, შდრ. ნუხ-ი-ლ-ი, დუმ-ს ← \*დუმ-ი-ს, შდრ. დუმ-ი-ლ-ი და სხვ...<sup>1</sup> ამდენადვე, დუმ-ან ← \*დუმ-ი-ან, ნუხ-ან (\*ნუხ-ი-ან, უყვარ-ან ← \*უყვარ-ი-ან... მაშასადამე, ამ რიგის ზმნებს -ი სუფიქსის დაკარგვის შემდეგაც მრავლობითობის აღსანიშნავად -ან სუფიქსი შემორჩა. ამგვარად, დულ-ს, ნუხ-ს ტიპის ზმნებს რომ მართლაც ახლდა ისტორიულად -ი დიურატიულობის სუფიქსი, ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად (სხვა მონაცემებთან ერთად, როგორცაა მასდარის ფორმა ნუხ-ი-ლ-ი, დუმ-ი-ლ-ი...) გამოდგება თვით მრავლობითის -ან სუფიქსის ხმარება, ნაცვლად მოსალოდნელი მისი ამოსავალი -ენ ვარიანტისა.

ი-ენ-ის ი-ან-ში გადასვლის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ ბგერათა თავყრილობა იენ უცხოა ქართულისათვის, მაშინ, როდესაც იან ბუნებრივია.

თუ სწორია ჩვენი ვარაუდი ქართულში მრ. რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსის პოზიციურად -ენ-ისაგან მიღებისა, მაშინ ერთგვარად გაიმართება მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობითისა და მრავლობითის აფიქსთა შორის მიმართება, სახელდობრ:

<p><b>მს. რ.</b> ა  ო ნერ-ა აილ-ო</p>	<p><b>მრ. რ.</b> -ეს ნერ-ეს აილ-ეს</p>
<p>-ს ნერ-ს ნერდე-ს ჭრ-ი-ს ნუხ-ი-ს → ნუხ-ს</p>	<p>-ენ (→ნ) → -ან ნერ-ენ *ნერდე-ენ → ნერდე-ნ *ჭრ-ი-ენ → ჭრ-ი-ან *ნუხ-ი-ენ → *ნუხ-ი-ან → ნუხ-ან</p>
<p>-ნ ნერ-ნ</p>	<p>-ედ ნერ-ედ</p>

ამის მიხედვით, ქართულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის სამი სუფიქსი ივარაუდება – -ეს, -ენ, -ედ, რომლებიც ერთი და იმავე -ე ხმოვნით იწყება. საკითხად რჩება, რა მიმართებაშია ამ სუფიქსების თანხმოვნითი ელემენტები მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ნიშნებთან, რომლებსაც ისინი ბგერობრივ ემთხვევიან.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 222; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 105.

ელენე ნიკოლაიშვილი

## მესამე სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის -(ნ)ენ -ით შეცვლის ისტორიისათვის

ძველ ქართულში ზმნის III სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვში ნამყო უსრულსა და სრულში -ეს სუფიქსით აღინიშნებოდა (იგივე სუფიქსი გვქონდა II თურმეობითშიც, სადაც ინვერსიის გამო იგი ობიექტს გამოხატავდა). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ეს დაბოლოება შერჩათ მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ნამყო სრულში: გააკეთ-ეს, დაწერ-ეს, ჭამ-ეს, ითამაშ-ეს და ა.შ. დანარჩენ შემთხვევებში კი მისი ადგილი -ნენ სუფიქსმა დაიჭირა. ასე მოუვიდათ, სახელდობრ, ნამყო სრულში გარდაუვალ ზმნებს, ნამყო უსრულში კი ყველა ზმნას, – გარდამავალსაც და გარდაუვალსაც (ნამყო უსრულს მისდევს აგრეთვე ხოლმეობითი, რომელიც მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდება მისგან და გვიან გამოიყო ცალკე ერთეულად).

ამრიგად, დღეს გვაქვს: ისინი იყვნენ-ენ, დაემსგავსნენ-ენ, გათბნენ-ენ, თბებოდნენ-ენ, აკეთებდნენ-ენ, წერდნენ-ენ, ჭამდნენ-ენ და ა.შ. ძველ ქართულში კი იყო: იგინი იყვნენ-ეს, დაემსგავსნენ-ეს, განტფენ-ეს, ტფებოდენ-ეს, წერდენ-ეს, ჭამდენ-ეს, და ა.შ.

ცვლილება ძველიდან ახალი ქართულისაკენ გარდამავალ საფეხურზე მოხდა. მაგრამ, სახელდობრ, როდის დაიწყო აღნიშნული პროცესი და საბოლოოდ როდის დასრულდა იგი, ეს საკითხი დღემდე შეუსწავლელია: „ნენ დაბოლოების გავრცელების დეტალები (ქრონოლოგიური საკითხები და სხვ.) გამოსარკვევია“<sup>1</sup>.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია სწორედ -ეს სუფიქსის (ნ)ენ-ით შეცვლის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა.

ცხადია, ენობრივ ცვლილებათა ქრონოლოგიის კვლევა უნდა დაემყაროს პირველ რიგში ისეთ ტექსტებს, რომლებიც დედნის სახით არის ჩვენამდე მოღწეული, ან იმ ნუსხებს, რომლებიც ტექსტის შექმნის მახლობელ ხანებშია გადაწერილი. მათი მეშვეობით შესაძლებელია რამდენადმე დავაზუსტოთ დრო ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის წარმოშობისა და შევამოწმოთ, რამდენადაა დაცული ადრინდელი ენობრივი ფორმები შემდგომ.

სამწუხაროდ, ძველი ქართული მწერლობის კლასიკური ხანის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლები, როგორცაა: „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „თამარიანი“, თვით „ვეფხისტყაოსანი“ და სხვანი, ჩვენამდე შემონახულია მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებით, რომლებიც რამდენიმე საუკუნითაა დაშორებული მათი შექმნის ეპოქას. კრიტიკული ანალიზის გარეშე შეუძლებელია, რომ ამ ძეგლებში წარმოდგენილი ყველა ფორმა XII–XIII საუკუნეთა ენობრივი ვითარების ამსახველად მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, ჩვენ შედარებით მცირე რაოდენობით მოგვეპოვება XIII–XVI საუკუნეებში

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, მორფოლოგია, 1973, გვ. 458.



შექმნილ-გადანერვილი სხვა ძეგლებიც და ამიტომ ამ საუკუნეთა ენობრივი ვითარების ყოველმხრივ გათვალისწინება გაძნელებულია.

საკვლევად დასახული მიზნისათვის ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, შეგვემონებინა ჩვენამდე მოღწეული ადრინდელი ტექსტები, გამოცემული თუ ხელნაწერების სახით დაცული.

როგორც ტექსტების შესწავლამ გვიჩვენა, XV საუკუნემდე გადანერვილი ხელნაწერები ჩვენთვის საინტერესო საკითხში იცავენ ძველ ნორმას: მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად როგორც ნამყო უსრულში, ისე ნამყო სრულში აქ იხმარება -**ეს** სუფიქსი. -**ენ** სუფიქსი სალიტერატურო ენაში თავს იჩენს მხოლოდ XV საუკუნიდან<sup>1</sup>.

უძველესი ხელნაწერი, სადაც -**ენ** სუფიქსი დასტურდება, ესაა „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხა, რომელიც აღმოაჩინა აკად. ი. ჯავახიშვილმა და მანვე დაათარიღა იგი 1479-1495 წლებით. ტექსტი მთლიანი სახით პირველად გამოსცა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა<sup>2</sup>.

ხელნაწერში ჯუანშერის თხზულების ტექსტი „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“ ერთ ადგილას ასე იკითხება: „და დაჯდა მეფედ ძე მისი დაჩი საყდარსა მამისა თუისისასა, ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა ერისთავთა, დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს ნონდას ქალაქსა, და ზაფხულის და ზამთრის იყუნიან ოძრჯეს, და არა ენოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად, და იყუნენ მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა“<sup>3</sup>.

მეორე ასეთივე ფორმა გვხვდება იქვე „ქართლის მატიანეში“: „და თუ ვისმე გენებოს განცდად ესევითართა შენვენათა ღმრთისა მიმართ, იხილნეთ და განიცადნეთ ურიცხუნი წელის აპყრობანი ღმრთისამიერნი ამას დიდსა ბაგრატს აფხაზთა ზედა მეფესა, რომელნი არავის ზედა მონვენულ იყუნენ სხუისა მეფისა“<sup>4</sup>.

დასასრულ, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებაში, რომელიც ანასეულ ნუსხას ბოლოში ერთვის და მხოლოდ ამ ხელნაწერით არის ცნობილი, იკითხება: „დალენნეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყუიდეს და ერანის

<sup>1</sup> უფრო ადრინდელი ძეგლებიდან -**ენ** სუფიქსის ხმარების ორიოდე შემთხვევა შენიშნულია „ამირანდარეჯანიანი“ (წავიდნენ, 162, სქ.5; იყვნენ 355,1 – იხ. ლ. ათანელიძე, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, გამოკვლევა ერთვის ძეგლის გამოცემას – 1967, გვ. 064-065). მაგრამ თხზულების ხელნაწერები XVII საუკუნეზე ადრინდელი არ მოგვეპოვება და მასში ზემოხსენებულთა მსგავსი ფორმები გადამწერთა კალმის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. ასევე ეჭვით უნდა შევხედოთ მსგავს ფორმებს კლასიკური ხანის თხზულებათა გვიანდელ ხელნაწერებში. რა თქმა უნდა, ახალი და უჩვეულო ფორმა, რომელიც სალიტერატურო ენის ტრადიციით არ არის განმტკიცებული, ავტორსაც ისევე შეიძლება გაეპაროს, როგორც გადამწერს, მაგრამ მისი ავტორისეულობა მხოლოდ მაშინ იქნება უეჭველი, თუ მსგავსი ფორმები ავტორის ეპოქაში სადმე სხვა ხელნაწერებთანაცაა დადასტურებული.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942. ხელნაწერი დაცულია საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q ფონდი 795.

<sup>3</sup> ხელნაწერი Q 795, გვ. 229. იხ. სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, 1942. გვ. 140,8. სხვა ხელნაწერებში იკითხება: იყვნეს (იხ. „ქართლის ცხოვრება“ I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 205,3).

<sup>4</sup> ხელნაწერი Q 795, გვ.306. იხ. სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, 1942, გვ.181,23. სხვა ხელნაწერებში მონვენულ იყვნეს (იხ. „ქართლის ცხოვრება“ I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 290,5).

ქუეყანა. ესოდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“<sup>1</sup>.

კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ იყუნენ, მონვენულ იყუნენ, მივიდენ ფორმები ნამყო სრულისაა და აქ -ენ სუფიქსი უდავოდ III სუბიექტური პირის ნიშანია მრავლობით რიცხვში. სხვა ხელნაწერებში, თუმცა ისინი უფრო გვიანდელია, დაცულია ძველი, -ეს სუფიქსიანი ფორმები.

როგორც ჩანს, ანასეული ნუსხის გადამწერს ამ ვრცელ ხელნაწერში რამდენიმე ადგილას გაპარვია იმდროინდელი სალიტერატურო ენისათვის უჩვეულო, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში უკვე ფეხმოკიდებული -ენ სუფიქსიანი ფორმები; თუმცა ეს ფორმები იმ დროს ცოცხალ მეტყველებაშიც ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო სავსებით გაბატონებული, თორემ -ენ სუფიქსიანი ფორმათა რაოდენობა ასეთ ვრცელ საერო, ისტორიული ხასიათის ტექსტში გაცილებით მეტი იქნებოდა, განსხვავებით საეკლესიოსაგან, სადაც დაბეჯითებით ცდილობდნენ ძველი ფორმების შენარჩუნებას.

ერთი ასეთივე ფორმა მოიპოვება „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის პროზაულ ვერსიაში, რომელიც ფრაგმენტის სახით არის მოღწეული (ლენინგრადის საჯარო ნიგნთსაცავის ხელნაწერი 50). როგორც გამომცემელი აღნიშნავენ, „იგი გადმოთარგმნილია, ყველა ნიშნებით, არა უგვიანეს მეთხუთმეტე საუკუნისა“<sup>2</sup>. ამ ხელნაწერში ვკითხულობთ: „იგი პირმზენი გულისა ნამღებნი შაჰრინაზ და არნავაზ ახლოს გვერდითა ფარდაგათა შიგან თეთრითა პირითა და გუარითა ფრქვეულსა ზედან ნითლითა იაგუნდითა შეკაზმულსა ტახტსა ზედან მოკაზმულსა სხდენ და მათსა ბედსა სწყევლიდეს, და ზააქს მესისხლედ ხედვიდეს, მისის შიშითა ბაგესა ვერ შესძრევდეს“ (გვ.377,3-7). სხდენ აგრეთვე ნამყო სრულის ფორმაა. მის გვერდით იმავე ფრაზაში -ეს სუფიქსიანი რამდენიმე ზმნა გვაქვს ნამყო უსრულის ფორმით.

-ენ სუფიქსიანი ფორმა „სარჩლიდენ“ შეგვხვდა ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში – „სასამართლო გადაწყვეტილებაში ელია ურიაყოფილისა და კოსტანტილეს შორის სასისხლო დავაზე“, რომელიც მიჩნეულია XV საუკუნის (1446-1465 წწ.) დოკუმენტად. საბუთშია: „სხვას პარტახტებს და ადგილებს სარჩლიდენ ერთმანეთსა და მისი ასრე იქმნას, რაც ბატონსა რამაზისათვის მიეცეს და დაეთვალოს, იმას მაჭავარიანი ელიაი ნურას ეცილებს...“ და ა.შ. იქვეა: „სხვას ნამეკობრავსა სარჩლიდეს ერთმანეთსა და მისი ასრე იქმნას...“ იმავე საბუთშია: „...სხვას მოსამართლეებისა დაკოდილობასა ჩივოდენ იქითაც და აქეთაც...“<sup>3</sup>.

XV საუკუნის ხელნაწერებში -ენ სუფიქსიანი ფორმები ჯერჯერობით მეტი ვერ გამოვავლინეთ. ეს ალბათ აიხსნება საერთოდ იმით, რომ ამ ხელნაწერთა უმეტესობა ან სასულიერო ხასიათის, შინაარსითაც და ფორმითაც დოგმატური ნაწერებია, ან სამართლის ძეგლებია, რომელნიც, მათი სპეციფიკის გამო ნარსული დროის

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 795, გვ. 419. იხ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ თბ., 1942, გვ. 242,6.

<sup>2</sup> აბულ-ყასიმ ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1934, წინასიტყვაობა, გვ.111.

<sup>3</sup> იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ისტორიული დოკუმენტების კატალოგი Hd ფონდი, 1797, 33,1. შეადგინეს თ. ენუქიძემ, რ. პატარიძემ, ნ. შოშიაშვილმა და მ. ჯანდიერმა, თ. ენუქიძისა და ნ. შოშიაშვილის რედაქციით, თბ., 1964.

ფორმებს საერთოდ მცირე რაოდენობით შეიცავენ. ნამყო უსრულისა და სრულის ფორმები, სადაც სუბიექტად III პირია მრავლობით რიცხვში, ამ ძეგლებში ფრიად იშვიათია და, სადაც კი შეგვხვდა, ყველგან პირის ნიშნად -ეს სუფიქსი გვაქვს.

ჩვენთვის საინტერესო ფორმები სრულიად არ გვხვდება (არც -ეს და არც -ენ სუფიქსიანი) ვაჰანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერილ ლექსებში, რომლებიც შ. ონიანმა გამოაქვეყნა<sup>1</sup>; არ გვხვდება ეს ფორმები არც „მცირე ქრონიკებში (კინკლოსების ისტორიულ მინაწერებში)“<sup>2</sup>, არც „უსწორო კარაბადინში“<sup>3</sup>, არც ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინში“<sup>4</sup>, არც „სააქიმო ნიგში“<sup>5</sup> და სხვ.

ამრიგად, XV საუკუნის ხელნაწერებში ჯერჯერობით ვიპოვეთ სულ რემდენიმე -ენ სუფიქსიანი ფორმა: **იყუნენ, მონევენულ იყუნენ, მივიდენ, სხდენ, სარჩლიდენ, ჩივოდენ**. ადვილი შესაძლებელია, რომ შემდგომი კვლევა-ძიებით -ენ სუფიქსიანი ფორმები XV საუკუნის ძეგლებში კიდევ გამოვლინდეს.

როგორც ვთქვით, ქართული ენის ძეგლები XVI საუკუნიდანაც მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. მათ დიდ ნაწილს ისევ და ისევ იურიდიული დოკუმენტები წარმოადგენს, სადაც წარსული დროის ზმნური ფორმები ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება. სახელდობრ, XVI საუკუნის დოკუმენტებში, რომლებიც შეტანილია „ქართული სამართლის ძეგლების“ სამ ტომში, შეგვხვდა ნამყო უსრულის (ასევე ხოლმეობითის), ნამყო სრულისა და II თურმეობითის სულ 50-ოდე ფორმა, სადაც სუბიექტად წარმოდგენილია მრ. რიცხვის III პირი<sup>6</sup>. ამ ფორმათა დაახლოებით ოთხ მეხუთედში დაცულია ძველი ნორმა, ე.ი. სუბიექტური პირის ნიშნად ნახმარია -ეს სუფიქსი: გარდმოვიდოდეს (II,188,34), მოგვივებოდეს (III,353,35), დაჰყოლოდეს (IV,35,34), ირჩოდეს (IV,12,14; 13,17-27; 14,3: 35,28; 42,13; 43,26; 46,5; 51,10), იცილებოდეს (IV,43,30), გვიჩუენებდეს (IV,43,34), მოვიდეს (II,205,16; 111,354,11), გუეაჯნეს (II, 205,19), იყუნეს (II, 205,24; IV,35,30-31-33; 44,3-4), იქმნეს (III,258,37;353,5), გეერიგებინეს, გეესაზღურნეს, შეენირნეს (II, 198,16), შეენირნეს (III, 266, 25), დაემტკიცნეს (III, 266, 26) და სხვ.

საპირისპირო სურათია სულ ათიოდე მაგალითში, სადაც -ენ სუფიქსი გვაქვს: მისცემდენ (II, 152,15), მოქმედებდენ (II, 152,24), განხსნიდენ (II, 155,12), სარჩლიდენ (IV, 47,36), შეისარჩლენ (IV, 41,25), იყვნენ (III, 250,10), იყუნენ, ყოფილიყუნენ (II, 231,3)...

<sup>1</sup> შ. ონიანი, ვაჰანის ქვაბების პოეზია, ჟურნ. „დროშა“, 1957, 6.

<sup>2</sup> მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.

<sup>3</sup> ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q-26. იგი XIV-XV საუკუნისადაა მიჩნეული.

<sup>4</sup> ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q-877, გამოსცა მ. სააკაშვილმა, 1950 წელს. ნინასიტყვაობა ეკუთვნის კ. გრიგოლიას, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XV საუკუნის II ნახევრით ათარიღებს ამ ხელნაწერს.

<sup>5</sup> ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, S-1274, იგი დანვრილებით აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს და მიაჩნია XV-XVI საუკუნისად; გადმოთარგმნილია უფრო ადრე, XIII საუკუნეში (Описание рукописей, 1, გვ. 640-686). ტექსტი გამოც. აქვს ლ. კოტეტიშვილს: „ნიგნი სააქიმო“, 1936.

<sup>6</sup> ჩვენ ვიმონებთ დოკუმენტებს, რომლებიც გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ: ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965; ტ. III, 1970; ტ. IV, 1972 (I, V და VI ტომებში XVI საუკუნის სამართლის ძეგლები არ შედის). ამჟამად გადაცემულია დასაბეჭდად ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დოკუმენტები, თ. ენუქიძისა და ნ. შოშიაშვილის რედაქციით. ჩვენთვის ცნობილია, რომ ზოგი დოკუმენტი აქ განსხვავებულადაა დათარიღებული, არის ტექსტოლოგიური განსხვავებანიც.

XVI საუკუნის მხოლოდ ორი საბუთია წარმოდგენილი „დოკუმენტებში თბილისის ისტორიისათვის“<sup>1</sup>. ამათგან ერთში ჩვენთვის საინტერესო ფორმები სრულიად არ გვხვდება, მეორე კი (სითარხნის წიგნი, მიცემული ლუარსაბ მეფისაგან ტფილელის ყმებისადმი 1540 წ.) შეიცავს ნამყო სრულისა და II თურმეობითის თითო ფორმას, სადაც III სუბ. პირი მრ. რიცხვში დგას. ამათგან ნამყო სრულის ფორმა **-ნენ** სუფიქსიანია: **იყუნენ** (გვ. 8), II თურმეობითისა კი **-ეს** სუფიქსიანი: **განგუეთავისუფლნეს** (იქვე).

**-ენ**-იანი ფორმაა ფიქსირებული „ქართლის ცხოვრების“ XVI საუკუნის ხელნაწერში, ჭალაშვილისეულ ნუსხაში: „[ჰაოსს] **ენიენ** დიდნი იგი გმირნი და დაუმტკიცეს განზრახვა იგი და გან[უ]დგეს ნებროთს და არღარა მისცეს ხარკი“<sup>2</sup>.

**-ეს** და **-ენ (ნენ)** სუფიქსიან ფორმათა სიხშირითა და ურთიერთმონაცვლეობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „იოსებ-ზილიხანიანის“ ძველი ვერსია, გალექსილი უცნობი ავტორის მიერ. იგი შემონახულია ერთადერთი დაზიანებული ხელნაწერით, რომელიც აგრეთვე XVI საუკუნეს მიეკუთვნება. იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში S-1283 ნომრით. „იოსებ-ზილიხანიანის“ ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოცემული აქვს გ. ჯაკობიას<sup>3</sup>. მუშაობის პროცესში ჩვენ ვიყენებდით ხელნაწერს.

პოემის ტექსტი ნაკლულია, ამჟამად შეიცავს 736 სტროფს. დაწერილია რუსთაველური შაირით, მდაბიო ხალხური ენით, რომელიც ხშირად ანგარიშს არ უწევს სალიტერატურო ენის ტრადიციებს. ამის დამადასტურებელია ისეთი ფორმები, როგორცაა: განყდეს **შუვაზედა**, **გვერც** მხლებელი, **შემწრუნებელი**, **ყვევლი** და სხვა მრავალი.

პოემის ტექსტში საკმაოდ ხშირია როგორც ნამყო უსრულის (და ხოლმეობითის), ისე ნამყო სრულის ფორმები, სადაც სუბიექტად წარმოდგენილია III პირი მრავლობით რიცხვში. რამდენიმე სტროფში სარიტმოდ ერთეულებადაც სწორედ ასეთი ფორმებია გამოყენებული (ასეთებია, სახელდობრ, **7r, 18v, 22v, 30r, 34v, 57r, 65v, 67r, 110r, 115r** გვერდებზე წარმოდგენილი სტროფები). სუბიექტური პირის ნიშნად ამ ფორმებში ხან **-ეს** სუფიქსია წარმოდგენილი, ხან კი **-ენ**, დასტურდება **-ნენ** სუფიქსიც (შედარებით იშვიათად). ორივეგვარი, – როგორც ძველი, ისე ახალი, – ფორმები გვხვდება ერთმანეთის პარალელურად, ზოგჯერ ერთსა და იმავე სტრიქონშიც კი; მაგალითად: „დილას **შესხდენ** დაკაზმულნი, ქალაქისკენ **ნაცავიდეს**“ (**22v**); „**შევიდეს**, **დასხდენ** ნადიმად, დარბაისელნი შეყარეს“ (**23 r**); „**გაემართნეს** სახსაროსა და **არჩევდენ** საქმესა ძნელსა“ (**29v**); „მას გარეშემო **ეხვივნეს**, **აძლევდენ** ფასს უთვალავსა-“ (**39r**) და სხვ.

ხან **-ეს** და ხან **-ენ** სუფიქსით გვხვდება ერთი და იგივე ზმნა; მაგალითად: „მოიყვანეს და დატვირთეს, წინა-უკან **შესხდეს** ვირსა“ (**92r**), მაგრამ იქვე გვაქვს: „ვირსა **შესხდენ**, **გაემართნენ**“ (**96r**). ასევეა: „ლაშქარნი **მოდგეს** სალამად“ (**17v**); „**მოვიდეს** სრულნი პირუტყვინი, ლომი, ვეფხვი და მგელია“ (**32v**), მაგრამ: „რა **მოვიდენ**, კარზე **მოდგენ**“ (**36v**), „ჩემთვის სადით სად **მოვიდენ**, ინდონი და აბამ-რომი“ (**50v**) და სხვ.

<sup>1</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.). წიგნი I, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, თბ., 1962.

<sup>2</sup> დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q-207, გვ. 19; იხ.: „ქართლის ცხოვრება“ გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, 1942, გვ. 3, 14.

<sup>3</sup> გ. ჯაკობია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით, ტფ, 1927.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ პოემაში ვიდ ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით ნამყო სრულის III სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში 36-ჯერ დასტურდება. აქედან 22 შემთხვევაში ის წარმოდგენილია -**ეს** სუფიქსით, 14 შემთხვევაში კი -**ენ** სუფიქსით.

ჩვენ შევეცადეთ, აღგვეჩვენოთ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ფორმები ამ პოემაში. თუ რომელიმე ფორმა შემთხვევით გამოგვჩნდა, ვფიქრობთ, საერთო სურათს ეს მაინც ვერ შეცვლის. საერთო სურათი კი ასეთია: -**ეს** სუფიქსი დასტურდება 87 შემთხვევაში (გარდამავალ ზმნათა ნამყო სრულის ფორმების ჩაუთვლელად), -**ენ** სუფიქსი – 108, -**ენ** კი 14 შემთხვევაში. დრო-კილოთა მიხედვით მათი განაწილება ასეთ სურათს იძლევა: ნამყო უსრულში -**ეს** სუფიქსი გვხვდება 13-ჯერ, -**ენ** – 72-ჯერ, -**ენ** – სრულიად არა. ნამყო სრულში -**ეს** გვხვდება 71-ჯერ, -**ენ** – 35-ჯერ, -**ენ** – 13-ჯერ. II თურმეობითი 3 ფორმაში გვაქვს -**ეს** სუფიქსი, თითოჯერ – -**ენ** და -**ენ**.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ პოემის ენაში -**ეს** და -**ენ** სუფიქსები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს, თუმცა სხვადასხვა მწკრივში მათ შორის შეფარდება სხვადასხვაგვარია: -**ენ** უკვე გაბატონებულია ნამყო უსრულში, მაშინ როცა ნამყო სრულში ჯერ კიდევ მყარია -**ეს** სუფიქსი, რომელიც ხმარების სიხშირით ორჯერ სჭარბობს -**ენ**-ს. რაც შეეხება -**ენ** სუფიქსს, ის გვხვდება მხოლოდ ნამყო სრულში და ისიც უმეტესად პრეფიქსიან ვნებითებში, სადაც ძველად -**ენ** დაბოლოება გვქონდა: იყვნენ (36v, 57r, 78v, 80v, 101v); მეშველი ზმნის ეგვე ფორმა გამოყენებული II თურმეობითშიც: შეყრილიყვნენ (85r); დაიფანტნენ (57r), შეიცვალნენ (78v), გაემართნენ (95r), მიეგებნენ (99v), მოეჭიდნენ (96v), მოეკიდნენ (101r), შეეხვეწნენ (79r), წავიდნენ (57r).

როგორც ვთქვით, თარგმანი მდაბიო ხალხური ენით არის შესრულებული და სალიტერატურო ენის ტრადიციებს ნაკლებ ანგარიშს უწევს. სწორედ ამით აიხსნება აქ -**ენ** სუფიქსიანი ფორმების სიმრავლე.

ამ ხელნაწერთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი დატალიც. S-1283 ხელნაწერს ახლავს 12 ბრწყინვალედ შესრულებული მინიატურა. გამოკვლეულია, რომ მინიატურები სხვა ხელნაწერიდან არის გადმოტანილი და ჩაკრული ამ ხელნაწერში. მინიატურებმა, რომელთა შიდა მხარეზე ნაწერები შენიშნეს, მიიპყრო არა მარტო ხელოვნებათმცოდნეების ყურადღება. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის სარესტავრაციო ლაბორატორიაში ახსნეს ქალაქდზე დაკრული მინიატურები და გამოვლინდა მინიატურების შიდა მხარის ტექსტები. ეს ტექსტები ქართული „იოსებ-ზილიხანიანის“ სპარსული წყაროების საკითხთან დაკავშირებით შეისწავლა ალ. გვახარიამ და გარკვევა, რომ ისინი ანონიმური ვერსიის ახალი ნუსხის ფრაგმენტებს წარმოადგენენ<sup>1</sup>. ანონიმურ ვერსიას ალ. გვახარია XVI საუკუნით ათარიღებს, მინიატურებიან ფრაგმენტებს კი უფრო ადრინდელად მიიჩნევს<sup>2</sup>.

ჩვენ გავსინჯეთ მინიატურების შიდა მხარეზე ნაწერები ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. დაზიანებულ, ზოგჯერ ნაკუნ-ნაკუნ ჩანებებულ ფურცლებში, რომლებზედაც ზოგან მთლიანი სტროფებია და ზოგან – მათი ნაწილები, აღმოჩნდა ჩვენი საძებნი ფორმებიც: „მოთამაშე დამკვრელები მას წინა მოუსხდებო-

<sup>1</sup> ა. გვახარია, „იოსებ-ზილიხანიანის“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, I, ანონიმური ვერსია, თბ., 1958, გვ. 104-113.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 143-144.

დენ“ (მინ. 97r,4), მინიატურის ტექსტში ეს სიტყვა ნაშლილია, მაგრამ -დენ დაბოლოება ნათლად ჩანს. ასევეა ეს სიტყვა S-1283 ხელნაწერში (67r,1). იქვეა: „დგებოდენ“ (97r,5). იგი არ იკითხება მინიატურის დაზიანებულ ფურცელზე, მაგრამ „მოუსხდებოდენ“ სიტყვასთან რითმაში მოსალოდნელია -დენ. S-1283 ხელნაწერში შესაბამის ადგილზეც „დგებოდენ“ ფორმაა (67r,2). „მოყმესა ულიმლიმებდენ და... „ეს ფორმა კარგად იკითხება (მინ. 97r, 6; S-1283,67r,3). „ქვეშ-ქვეშ ეცინებოდენ“ (მინ. 97r,6; S-1283,67r,3). არ ჩანს, მაგრამ რითმის გამო -დენ დაბოლოება უნდა იყოს და ხელნაწერშიც ასეა; ასევეა „ენიშნებოდენ“ ფორმაც (იქვე, 97r,7; S-1283, 67r,4).

გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც მინიატურებიან ფორმებში, განსხვავებით S-1283 ხელნაწერისაგან, ძველებურადაა ნახმარი. მაგალითად: „[დილა]ს შესხდეს დაკაზმულნი“ (მინ. 24r,4) – შესხდენ (S-1283,22v,10); „...გამოუწყდეს, ისარი ჰკრეს ერთსა თხასა“ (მინ. 31r, 2) – გამოუწყდენ (S-1283, 32r,11); „... უკუბრუნდეს და ნავიდეს“ (მინ. 31r, 1) – ნავიდენ უკუბრუნდენ (S-1283, 32r,10).

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ თუ ანონიმურ ვერსიას მკვლევარი XVI საუკუნის შუა წლებით ათარილებს, ფრაგმენტები (მინიატურებიანი ნუსხა) XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე უნდა ვივარაუდოთ, რადგან, ამავე მკვლევრის აზრით, ამ ნუსხას „ხმარების ხანგრძლივი გზა უნდა გაეგლო, რომ მწყობრიდან ასე გამოსულიყო“, და მისი ხელიც „უფრო ადრინდელია, უფრო მსხვილი და კუთხოვანი, უფრო არქაულია ენობრივი მონაცემები“.

საყურადღებოა, რომ „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეულ თარგმანში, რომელიც ერთი საუკუნით გვიანდელია უცნობი პოეტის ვერსიასთან შედარებით, -ენ (ნენ) სუფიქსი გაცილებით იშვიათად გვხვდება. სახელდობრ, ნამყო უსრულში გვაქვს -ენ სუფიქსიანი შემდეგი ფორმები: „ყოვლს კაცსა უნდა სასყიდლად, შულლობდენ ბევრათასები“ (22v,3); „გულსა ეტყოდენ ყოველნი, რადგან დაებით, სრულებით“ (51 r,1); „ნახვის ფასად დაუფენდენ ფეინდაზად მათსავ სულსა“ (28r, 5); „აიშალა ნადიმობა, ვერა სჭამდენ, ვერცა სმიდეს“ (32v,2); „ქალს უძახდენ ბაზიყასა, მას სახელად იგი სძესა“ (32r,3); „მას უჭყრეტდენ გაკვირვებით“ (16v,3); „სრულ იცნობდენ მას მნათობსა, მიჯნურობა სჭირდა სენად“ (31v,5); სთხრიდენ (53r,3); იცოდენ (28v,5); გმირობდენ (14v,2); ძვირობდენ, უპირობდენ, მონადირობდენ (14v,2); არჩევდენ (13r,5); რბოდენ (11v,5), გძრახვიდენ (31r,2)<sup>1</sup>.

სულ რამდენიმე შემთხვევაა -ენ სუფიქსის ხმარებისა ნამყო სრულში: „ბრძანა, დახვდენ სრულ ქალაქნი. ყველამ ძღვენი მიიტანა“ (33r,3); „გაჰკვირდენ, ზედან შემოკრდენ მოქალაქენი კრებული“ (21r,2)<sup>2</sup>. ვაზირნი დასხდენ, არჩევდეს, ჰქონდეს

<sup>1</sup> მაგალითები დამონებულია „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეული თარგმანის ყველაზე ადრინდელი ვარიანტიდან, S-403 (ხელნაწერთა ინსტიტუტი). იხ. გ. ჯაკობია, დასახ. წიგნი, გვ. 06-011. ამ უკანასკნელ მაგალითში S-1511 და S-2694 ხელნაწერები იძლევა ძველ ფორმას: გ ძ რ ა ხ ვ ი დ ე ს.

<sup>2</sup> იქვე გვხვდება მეორე „გაჰკვირდენ“, რომელსაც ვარიანტული ნაკითხვები მოეპოვება სხვა ხელნაწერებში: „განჰკვირდენ“ (S-3189), გაჰკვირდეს (H-59, S-3693) განკვირდეს (S-1546), განჰკვირდეს (S-1511), გაკვირდეს (S-2694).

ჯანყი და ყრილობა“ (50v,1); „დახალვათდენ, დარჩეულნი სხვანი კარში გამოყარეს“ (31v,3); **დავალდენ** (13v,3)<sup>1</sup>.

-ენ სუფიქსზე უფრო ხშირად ნამყო სრულში გვხვდება -**ენ** სუფიქსის ხმარების შემთხვევები: „**ნადგენ** და ჰკადრეს, მეფეო, ვიკადრებთ მინა-მტვერები“ (51r,2); „**მივიდნენ** და თაყვანი სცეს, დაბლად **მოდრკენ** მინის პირსა“ (50v,2); „ყმას **შეადგენ** საილათოდ, უნდა, თუმცა გაარტეს“ (40r,1); „ყოვლგნით **შემოკრბნენ** მიჯნურნი“ (13v,4); „გვერდთ იახლა იგი მას ლამესა, ტკბილად **იყვნენ** ვით და დებით“ (34v,1); „ვისის დედამან ჰამიანს **იყვნენ** ჯიმშედის გვარები“ (12r,3).

„იყვნენ“ ფორმა გვხვდება სათაურში: „ამბავი მისრ-ეგვიპტისა, მეცნიერნი **იყვნენ** და მეკერპობა მოიგონეს“ (28v,17 სტრქ.), **იქმნენ** (37v,1), **ნამოვიდნენ** (52v,5), **ნაადგენ** (15r,2), **იდგენ** (43v,2; 20v,3)<sup>2</sup>.

II თურმეობითშია: „თვით **ქმნილ იყვნენ** სააქიმო, მისთვის რალა შაეგონა“ (32v, 4); „რა კარგს ჭკვაზე **დამდგარიყვნენ**, თავს ვაგლახი დაეყარა“ (28r,3)<sup>3</sup>.

ამრიგად, „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეული თარგმანის ამ ვარიანტში (ხელნაწერი S-403) -ენ სუფიქსის ხმარებასთან დაკავშირებით შემდეგი ვითარებაა: -ენ გვხვდება ნამყო უსრულში 16-ჯერ, ნამყო სრულში – 6-ჯერ, -ენ სუფიქსი 13-ჯერ (ყველა ნამყო სრულში, ვნებითი გვარის ზმნებში). როგორც ვარიანტებიდან ჩანს, თეიმურაზის კალამს ყველა ეს ფორმაც არ ეკუთვნის და ზოგი მათგანი უთუოდ გადამწერთა მიერ არის შეტანილი.

-ენ სუფიქსიან ფორმათა საპირისპიროდ გვაქვს ასამდე მაგალითი, სადაც III სუბიექტური პირის (მრ. რ.) აღნიშვნის მხრივ ძველი ნორმაა დაცული და -ეს სუფიქსია წარმოდგენილი (მაგალითები ნამყო უსრულსა და სრულს შორის დაახლოებით თანაბრად ნაწილდება).

მაშასადამე, თეიმურაზი მეტ ანგარიშს უწევს სალიტერატურო ენის ტრადიციებს და ცდილობს დაიცვას ძველი ნორმა, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებს ამას, რადგან **(5)ენ** სუფიქსიანი ფორმები ამ დროისათვის ცოცხალ მეტყველებაში უკვე ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

რა თქმა უნდა, **(-5)ენ** სუფიქსის შეჭრა სალიტერატურო ენაში და ძველი -ეს სუფიქსის გამოყენების თანდათანობით შეზღუდვა ცოცხალი მეტყველების გავლენის შედეგია, მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში XVI ან თუნდაც XVII საუკუნეში **-5(ენ)** სუფიქსი უკვე საბოლოოდ იყო გაბატონებული. როგორც ჩანს, კარგა ხნის განმავლობაში ხალხის მეტყველებაშიც პარალელურად იხმარებოდა ორივე სუფიქსი და სწორედ ამიტომ მათი ქიდილი სალიტერატურო ენაშიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

<sup>1</sup> ეს ფორმა მხოლოდ S-403 ხელნაწერშია, S-3693 და S-1511-ში არის „დავარდეს“, სხვებში – „დადელდეს“.

<sup>2</sup> მეორე შემთხვევაში (20v,3) სხვა ხელნაწერებში ზმნა მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

<sup>3</sup> ხელნაწერებში ეს სტრიქონი სხვადასხვაგვარადაა მოცემული, ოღონდ „იყვნენ“ ზმნა ყველგან ამ ფორმით გვხვდება ამ სტროფის შესაბამის ადგილას, გარდა S-1511 და S-2694 ხელნაწერებისა, იქაა: იყვნეს.

საინტერესო ჩანს ჩვენს საკითხთან დაკავშირებით იტალიელი მისიონერის პატრი ბერნარდეს არქივში მიკვლეული ქართული ზღაპრები (XVII საუკუნის 70-იანი წლები)<sup>1</sup>. ამ ზღაპრებში ჩვენთვის საინტერესო ფორმებში ჭარბობს -**ეს** სუფიქსი, მაგრამ -**ენ** (**ნენ**) სუფიქსიც საკმაოდ ხშირია. მათ შორის შეფარდება დაახლოებით ასეთია: 3:1.

აღნიშნული ზღაპრების ტექსტში -**ეს** და -**ენ** (**ნენ**) სუფიქსიანი ფორმები პარალელურად გვხვდება ზოგჯერ ერთ ფრაზაში და ერთსა და იმავე ზმნაში; მაგალითად: „**ნავიდეს** და ერთის მთის ძირში **დადგეს**... იარეს იმ კაცებმა და სადაც ის ვაჭარი იყო, იქ **მივიდენ**... **ნავიდენ** და მთის ძირში **დადგენ**“ (**10v-11r**); „**ნამოვიდენ** ბაღდადისაკენ, **მოვიდეს** შუა გზაზედა. **დადგეს**“ (**28v 1-2**). „**მოზღვედეს** მრავალი მწარდაჭდილი და თმადაშლილი. **მოზღვედენ**, **ტიროდენ** და თავს **იცემოდეს**, ზარს **იტყოდეს**“ (**37r, 15-16**); „**მოეგებნენ**, რაც ქალაქის უფროსი კაცი **იყუნეს**“ (**67r,7**).

ზღაპრებში ძალიან ხშირად გვხვდება **ვიდ** ზმნა (სხვადასხვა ზმნისწინით), რომელიც ნამყო სრულის III სუბ. პირში (მრ.რ.) მეტწილად -**ეს** სუფიქსიანია: „**მოვიდეს** და ჯელმნიფობა მიულოცეს“ (**13v,9**); „სადაც ის ვაჭარი იდგა, იქ **მოვიდეს**“ (**11r,9**); „**ნავიდეს** და ყოველი ქუეყანა მოიარეს და ვერა შეიტყუეს რა“ (**10v,10**); „**ნამოვიდეს** ერთს ქალაქში“ (**13v,15**); **შევიდეს** (**4v,2**), **შემოვიდეს** (**73v,10**), **ჩავიდეს** (**21v,2**), **ჩამოვიდეს** (**39r,1**), **გამოვიდეს** (**19r,10**), **გარდავიდეს** (**62r,4**)...

მაგრამ იქვე გვხვდება აგრეთვე -**ენ** და -**ნენ** სუფიქსიანი ფორმებიც: „სადაც ის ვაჭარი იყო, იქ **მივიდენ**“ (**10v,14**); „**შეიყარნენ** და **ნამოვიდენ**... **ნამოვიდენ** და **მოვიდენ** ერთს საჯელმნიფოშია“ (**58r,2**); „**ნავიდენ** (**40v,16**), „...**ნავიდენ** ქაჯნი, დაიფანტნენ ყოვლის ქუეყანასა“ (**7v,1**); **ნამოვიდენ** (იქვე); „**მივიდენ** ჯელმნიფესთანა“ (**8v,12**).

-**ეს** და -**ენ** სუფიქსები თავისუფლად მონაცვლეობენ **დეგ** და **სხედ** ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებშიც: „**ადგეს** და **უთხრეს**“ (**38r,6**); „**იმ ღამესა იქ დადგეს**“ (**30r,2**); „**გამოიღვიძეს**, დაიარაღდეს და **ნაუდგეს**, **ზოგნი ბარგს მოუდგეს**“ (**62r,1-2**); „**მიდგენ** მრავალი ჯარი თოფითა და ისრითა“ (**49r,6**); „**მეორე დღეს მცველნიც უკუ მოდგენ**“ (**58r,4**)...

„**დასხდეს** ლხინად“ (**23v,10**); „**შესხდეს** ჯელმნიფე და მისი შვილი ცხენსა“ (**35v, 11**); **ისხდეს** (**62v,5**)... „**ორმოცი მუახლე დევების მწარს შეუსხდენ**“ (**35v,1**); **დასხდენ** (**58r,6**)...

<sup>1</sup> ზღაპრების შესახებ პირველი ცნობები ეკუთვნის ცნობილ ავსტრიელ ქართველოლოგს ჰუგო შუხარდტს: (H. Schuchardt, Georgische Handschriften in Toronto del Greco, Beilage zur Allgemeinen Zeitung, Ausburg-München, 1896. ამ ზღაპრების ხელნაწერი ინახება ნეაპოლის ცენტრალურ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მისი მიკროფირი და ფოტოპირები დაცულია საქართველოს მეცნ. აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მუშაობის დროს ჩვენ გამოვიყენეთ დედნის ფოტოპირი: „**ნ**“-1. ზღაპრები გამოცემული აქვთ ე. ვირსალაძეს: მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, „ლიტ. ძიებანი“, ტ. IV, თბ., 1948 და მის. ჩიქოვანს: XVII საუკუნეში ჩანერილი ქართული ზღაპრები, „მრავალთავი“, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, I, თბ., 1964. სამეცნიერო ლიტერატურაში ლ. კოტაშვილი გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ზღაპრები ნათარგმნია და არა ქართული ფოლკლორის ნიმუშები (, ბერნარდოსელი კოლექციის (XVII ს.) ზღაპრები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1975. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ზღაპრები არამნიშვნელოვანი, თავისუფალი ენითაა დანერგილი და ცოცხალი მეტყველების ძლიერი გავლენა ემჩნევა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული ფორმების მხრივ. დამახასიათებელია ფონეტიკური დანერგულობის პრინციპი (გვერც=გვერდს, ერთათ, კარგათ და მისთ.).



მეშველი ზმნა უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგენილია იყუნეს ფორმით: „სანამდის შეიტყობდეს რასმე, ამ სიმნუხარესა და ვაებაში იყუნეს“ (47v,15); „იყუნეს ლხინსა და სიმხიარულეშია“ (57r,6); „ლხინობდეს და ერთათ იყუნეს“ (64r,2); „მოწყელენი უფროს-უფროსი დედაკაცნი იყუნეს“ (43v,3) და სხვ. თუმცა გვხვდება აგრეთვე იყუნენ: „არამი და ვინცა ვინ იყუნენ, წინ წავიდენ“ (33v,6); „სრულ შეყრილი დარბაისელნი იქ იყუნენ“ (72r, 8)....

-ეს და -ენ სუფიქსებს შორის რაიმე დიფერენცია არც სხვა ზმნებში შეინიშნება, – ნამყო უსრულშიცა და სრულშიც ერთი და იმავე ტიპის ზმნათაგან ზოგი ერთ სუფიქსს დაირთავს, ზოგი – მეორეს.

სახელდობრ, ნამყო უსრულში გვაქვს: აძლევდეს (55v,2), ეხვეოდეს (55v,11), აკოცებდეს (55v,12), იარებოდეს, იკითხევდეს (39v,1-2), გამოდივოდეს (70r,6); მეორე მხრივ: იცილებოდენ (6v,2), ასარგებლებდენ (62v,14), ნაღობდენ (57v,2), მოვიდოდენ, მითხოვდენ (67r,1), იყრიდენ (70r,9).

ნამყო უსრულში -ეს და -ენ სუფიქსები ზღაპრების ტექსტში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით გვხვდება. ნამყო სრულში კი -ენ იშვიათია, გაცილებით ხშირია -ეს სუფიქსიანი ფორმები: მიახლოვდეს (34v,2), ჩამოვდეს (33r,1), დაღონდეს (38v,8), განმხიარულდეს (29r, 6), გაჰკვირდეს (28r,8), ჩავარდეს (39v,7), შეიქნეს (50v,10), მოიქცეს (58r,10), აიყარნეს (33v,4), დაიკარგნეს (23r,3), მოეგებნეს (33v,15), შემოეხვივნეს (61v,8), დაემზადნეს (44r,3), გამოესალმნეს (30r, 10), შეეხვეწნეს (38v,13), დანუნეს (13v,2), უნუნეს (32v,4), დაგვესხნეს (10v,15) და სხვ. შეადარეთ -ენ სუფიქსიანი ფორმები: შერიგდენ (8v,10), გაერთდენ (63v,2), გაჰკუიოდენ (43v,6) და სხვ.

II თურმეობითის სათანადო მაგალითები ზღაპრებში იშვიათად გვხვდება, ხოლო რაც კი გვაქვს, ყველგან -ეს სუფიქსია წარმოდგენილი: დაეყარნეს (43r), მიახლოებოდეს (61v), ამონყუეტილიყუნეს (45r), მოსულიყუნეს (56v).

საერთოდ, როგორც აღინიშნა, -ეს სუფიქსიანი ფორმები სამჯერ სჭარბობს -ენ- (ნენ) სუფიქსიანი ფორმებს, მაგრამ განხილული მასალის მიხედვით ისიც აშკარაა, რომ ეს ფორმები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს და იხმარებიან ერთმანეთის პარალელურად, რაც უთუოდ იმდროინდელი ცოცხალი მეტყველების ანარეკლია.

ცოცხალი მეტყველების სურათის გასათვალისწინებლად ფრიად მნიშვნელოვანია ვრცელი ქართული ეპოსი „რუსუდანისანი“, რომელიც მკვლევართა ნაწილს XVII საუკუნეში შექმნილად მიაჩნია, ზოგი კი მას უფრო ადრინდელ ძეგლად მიიჩნევს<sup>1</sup>. ასეა თუ ისე, „რუსუდანისანის“ უძველესი ნუსხები XVII საუკუნისაა და ენაც ამ ეპოქის ამსახველია. ნუსხათაგან ერთი (BB ნუსხა – S-3698) დასავლეთ საქართველოშია გადაწერილი და, როგორც აღნიშნავენ, სავსეა „გურული დიალექტიზმებით. სხვა ხელნაწერებში (A, C და სხვ) ეს დიალექტიზმები ასეთი დიდი რაოდენობით აღარ გვხვდება, მაგრამ მაინც საკმაოდ მოიპოვება. ეს ნუსხები ერთმანეთისაგან მომდინარე არ ჩანს, მათ საფუძვლად სხვა ნუსხა თუ ნუსხები დასდებიათ. ეს კი იმაზე მიგვითითებს,

<sup>1</sup> „რუსუდანისანი“, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957. ერთვის ივ. გიგინეიშვილის გამოკვლევა: „რუსუდანისანი“, იბ. გვ. X-XII.

რომ მათ წყაროშიც ეს დიალექტიზმები ასევე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და ხელნაწერის გადამწერის შენატანი არ უნდა იყოს<sup>1</sup>.

ჩვენ განვიხილეთ „რუსუდანიანის“ -ეს და -ენ(ნენ) სუფიქსიანი ზმნები (ყველა ფორმის აღწერა და დეტალური ანალიზი ალარც კი გახდა საჭირო, იმდენად ნათელია ტექსტში წარმოდგენილი სურათი). გაირკვა, რომ ამ ვრცელი თხზულების სხვადასხვა მონაკვეთი (კარი) და სხვადასხვა ხელნაწერი ამ ზმნათა ხმარების მხრივ რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა. მაგრამ, რაც მთავარია, ყველა კარში და ყველა ხელნაწერში პარალელურად გვხვდება როგორც -ეს, ისე -ენ სუფიქსი (გზადაგზა დასტურდება აგრეთვე -ნენ). ისინი განურჩევლად იხმარება ერთმანეთის გვერდით, ხშირად ერთ ფრაზაში და ერთსა და იმავე ზმნაში. სახელდობრ, თხზულების ენისათვის დამახასიათებელია ასეთი ადგილები: „რა ნახეს, გაჰკვირდნენ მისსა შვებასა და ტანისა ნაკვეთიანობასა, რომელი დიდად საფალავნოდ შექმნილი იყო. ეზარათ მისი ისეთი აგებულობა და გულსა შინა სიკუდილსა გაჰპირდეს და სინჯევდენ მკლავისა მისისა ძალსა და ბეჭისა მისისა ფართობასა“ (4,14-18). „მეოთხესა დღესა აიყარნეს... და მივიდეს ინდოეთისა ქალაქთა, ტურფად მოკაზმულთა. გამოეგებნეს მოქალაქენი... თავსა აყრიდენ გვარსა და ღმერთსა მადლობდენ მისსა ხილვასა. მივიდენ დარბაზსა“ (80,35-81,2). „ნავიდნენ სანადიროსა. მივიდეს კარგსა სანადიროსა და ინადირეს“ (332,8-9). „ტიროდენ და ევედრებოდეს ღმერთსა ყაისის გამარჯვებისათვის“ (334,38). „კაცნი ყველა მითვე რიგითა იყვნენ, განა სხვარიგად უტურფესად შემკულნი იყვნენ და სახლ-კარნიცა უამესნი და უმშვენიერესნი იყვნეს“ (141,1-3). „ადგენ ორნივე და, მასვე ქვაბში იყო მისი კარი, გააღეს და შევიდეს“ (60,11-12). „მიეხვივნეს სრულად ჩინელნი დიდებულნი... ხელსა და ფეხსა კოცნიდენ და ღმერთსა ევედრებოდენ მისის ნახვისათვის და სიხარულისა ცრემლსა აფრქვევდენ“ (102, 12,15). „უკრევდეს ამოსა ხმასა და იტყოდენ ლექსსა“ (329,29). „მრავალსა გვემოციქულნენ და მრავალფერად ეცადნენ, რომ ბადეში შევეგდენით, მაგრამ თვით მათვე დიდებულთა არა ქნეს. ბევრს შფოთევდეს იგი გრძნეულნი, მაგრამ რაღას გაანყობდეს!“ (557,18-21). „ტიროდენ მწარედ და გოდებდეს მშობლისა გაყრისათვის“ (599,4). „მოეხვივნენ ერთმანეთსა... დიდსა ხანსა ყელგადაჭდობით იდგეს. მერმე მობრუნდეს და ... ნადიმად დასხდეს“ (83,16,18). „პირველ რომ შეიბნენ, დღე მესამედი არ იყო. მისნი ლაშქარნი გაკვირვებულნი უჭვრეტდეს და ამას იტყოდეს“ (293, 29-31). „ნავიძღვეს და ერთი კვირა ასე ვიარეთ. მივედით ფახფურ მეფის სრასა. დიდებულნი და ხელმწიფის მოხელენი მოგუეგებნეს... ნავიძღვენ და ... იქ ჩამოგვახდინეს“ (441, 35-38). „აიყარნენ და წამოვიდნენ შინათ და წამოიტანეს თანა ჩრდილოეთისა ხელმწიფე ბორკილითა დაბეჭდილი... და თვით წამოვიდეს გამარჯვებულნი... იარეს მრავალი დღენი და მოვიდეს სამეფოსა თვისსა. მოეგებნეს მოქალაქენი და აყრიდეს ყაისს თვალსა და მარგალიტსა და უფენდეს მის ცხენსა სტავრასა და ნახლსა... გარდახდეს ცხენისაგან და შევიდეს პალატსა სამეფოსა... და შევიდნენ მეფენი სადოფლოსა და მოეგებნეს დედოფალნი წინა“ (373,22-38) და სხვა მრავალი.

<sup>1</sup> „რუსუდანიანი“, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957. ერთვის ივ. გიგინეიშვილის გამოკვლევა: „რუსუდანიანი“, იბ. გვ. გვ. XVII.

-ეს და -ენ ნიშანთაგან „რუსუდანიაში“ უკვე გაბატონებულია -ენ, მაგრამ -ეს სუფიქსიც საკმაოდ ხშირად გვხვდება, ზოგ მონაკვეთში იგი სჭარბობს კიდეც -ენ-ს (მაგალითად IV კარში – იხ. გვ. 332, 333, 335, 351, 352, 353, 359, 360, 372, 373 და სხვ). ასე რომ, ვერ ვიტყვით, ის მხოლოდ ნაშთის სახით არის შემორჩენილი<sup>1</sup>.

რაც შეეხება -ნენ-ს, მისი ხმარება აქაც ზმნების მცირერიცხოვანი ჯგუფით, ძირითადად პრეფიქსიანი ვნებითებით, შემოიფარგლება (იყვნენ, შეიყარნენ, შეიჭიდნენ, მოეხვივნენ, მოეგებნენ, დაეზავნენ, გაემართნენ, შემოგვებნენ, შემოგვეხვივნენ, შეგვიძლვნენ, გაჰკვირდნენ, ადგნენ, მოვიდნენ, შეაქცევდნენ...). რასაკვირველია, იგივე ზმნები გვხვდება -ეს და -ენ სუფიქსებითაც.

საერთოდ, თუ მე-17 საუკუნეში ჩანერილ ქართულ ზღაპრებში -ეს და -(ნ)ენ სუფიქსებს შორის შეფარდება იყო 3:1 -ეს სუფიქსის სასარგებლოდ, „რუსუდანიაში“ დაახლოებით ასეთივე შეფარდება გვაქვს -(ნ)ენ სუფიქსის სასარგებლოდ.

ერთისა და იმავე ეპოქის ძეგლებს შორის ასეთი სხვადასხვაგვარი თანაფარდობა აღნიშნულ სუფიქსთა ხმარებაში შესაძლოა სხვადასხვა დიალექტური წრის გავლენით აიხსნებოდეს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ „რუსუდანიაში“ მკვლევრებს დასავლეთ საქართველოში შეთხზულად მიაჩნიათ. როგორც ცნობილია, -ენ სუფიქსი დღესაც დასავლურ კილოებში უფრო აქტიურია<sup>2</sup> (იგი შეჭრილია გარდამავალ ზმნათა ნამყო სრულშიც) და სავარაუდებელია, ისტორიულადაც აქ უფრო ადრე იყო გავრცელებული. ასე რომ, ამ კილოებს დიდად უნდა შეეწყობოთ ხელი სალიტერატურო ენაში მისი დამკვიდრებისათვის.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ XVII საუკუნის სხვა ლიტერატურულ თუ არალიტერატურულ ძეგლებზე, როგორცაა: „მეფეთა სალარო“. (A-617), „ყანჩაეთის ჟამნგულანი“ (H-1452), „ჟამნგულანი- (H-1738), მე-17 საუკუნის სამართლის ძეგლები, თბილისის ისტორიული დოკუმენტები მე-17 საუკუნისა, ამავე ხანის ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (ნიგნი პირველი (1466-1770), ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1958), „შაჰნამეს“ XVII საუკუნის ხელნაწერები (H-61, H-921, S-1594, Q-1440) და სხვ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათში მეტნაკლები სიხშირითაა წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის -ეს და -(ნ)ენ სუფიქსები; ზოგ ძეგლში ჭარბობს -ეს სუფიქსი, ზოგში -(ნ)ენ, მაგრამ მთლიანობაში მაინც გარკვევით ჩანს, როგორ თანდათანობით ხშირდება -(ნ)ენ სუფიქსიანი ფორმები და შესაბამისად მცირდება -ეს სუფიქსიანი ფორმათა რაოდენობა.

თუ მე-17 საუკუნის ძეგლებში არ იძებნება ისეთი, რომ თავიდან ბოლომდე სისტემებრ იცავდეს ერთ-ერთ სუფიქსს, მე-18 საუკუნის დასაწყისშივე უკვე გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ერთი ავტორი სისტემატურად ხმარობს -(ნ)ენ სუფიქსს. ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა ვახტანგისეული „ქილილა და დამანას“ და საბას ავტოგრაფის ურთიერთმედარება.

ცნობილია, რომ ვახტანგ ბაგრატიონმა „ქილილა და დამანას“ თარგმნა ირანში ყოფნისას 1712-1716 წლებში. მან თავისი თარგმანი „გასაჩალხავად“ გაუგზავნა

<sup>1</sup> შდრ. „რუსუდანიაში“, გვ. XXVI.

<sup>2</sup> შდრ. ხევსურული და თუშური, სადაც დღემდე გარდამავალ ზმნებთან და გარდაუვალებთანაც ერთადერთია -ეს სუფიქსი: ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი, I, თბ., 1960, გვ. 101.

სულხან-საბა ორბელიანს. „სულხან-საბა ორბელიანს „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი საფუძვლიანდ გადაუმუშავებია როგორც ლექსით, ისე პროზით ნაწილში. გამოჩენილ ქართველ მწიგნობარს ვახტანგის ტექსტი მართლაც „გემოანად გაუჩაღბავს“ და მისი სრულიად ახალი რედაქცია მოუცია“<sup>1</sup>.

ვახტანგისა და საბას რედაქციების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ ვახტანგი, ცოცხალ მეტყველებაზე დაყრდნობით, ძირითადად -**ენ** სუფიქსიან ფორმებს ხმარობს, საბა კი ხშირად ცვლის ხსენებულ ფორმებს -**ეს** სუფიქსიანი ფორმებით. ქვემოთ მოყვანილი პარალელური ადგილები ამ რედაქციის ტექსტებიდან ნათლად წარმოაჩენს ამ განსხვავებას (ჩვენ ხელთ გვქონდა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ვახტანგისეული ხელნაწერის M-53-ის ფოტოპირი, Rt 11 20, დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში, და საბას ავტოგრაფი S-31).

ვახტანგი:

სხვანი ამხანაგნი **ნადგენ** და უთხრეს (209,5); მათუყამ მისის ამხანაგებით ბადე ნაილეს და **მიფრინევდენ** (336,10); ფრინველნი ერთგან **დაგროვდენ** და ამაზე **შეითქვენ** (423,3); მერმე ერთმანერთთან ყოფნით **იხარებდენ** (393,1); ისინი ლომის სამსახურიდამ **გამოვიდენ** (205,14); კაცნი შორიდამ და ახლოდამ მისის პატიოსნობისა და მისის ლოცვის შესანევენელად **მოვიდოდენ** და **ნავიდოდენ** (275, 16); ყველანი მისის ბრძანების მაყურებელნი **იყუნენ** (401,17); დიბიშლიმ ორი თავის ამალღებულნი კაცნი მინდობით და ერდგულობით კაცის ანგარიშში ჩაგდებული ყვანდენ და რჩევი-თა და სიკეთით შემკობილ **იყუნენ** (47,4-6).

საბა:

სხვანი ამხანაგნი **ნადგეს**, უთხრეს (45r,37); მათუყა და მისნი ამხანაგნი ბადიან **მიფრინვიდეს** (73r,23); ფრინველნი **მოკრბეს** და ერთად **შეითქვენს** (92r, 20); ერთმანეთთან ყოფითა **იხარებდეს** (85v,31); იგინი ლომის სამსახურით **გამოვიდეს** (44v,14); მახლობელნი და შორიელნი მისის ნახვისა და პატიოსნის ლოცვის მიღებად **მივიდოდეს** (59v,12); ყოველნი მისის ბრძანების მორჩილნი **იყუნეს** (87v,11); დიბიშლიმს ორნი თესნი საჩინონი ერთგულნი და მისანდობელნი დიდებულნი კაცნი ჰყუეს რჩევი-თა და ჭკუის გზით სრულნი **იყვნეს** (14r,11-12).

ამგარი მაგალითებიდან, რომლებიც საკმაოდ ხშირია, ცხადად ჩანს, რომ საბა მეტ ანგარიშს უწევს სალიტერატურო ენის ტრადიციას და უპირატესობას აძლევს -**ეს** სუფიქსს. მაგრამ ბოლომდე თანმიმდევრობას დიდი მწერალიც ვერ იცავს: მის ავტოგრაფშიც ერთმანეთის პარალელურად გვხვდება როგორც -**ეს**, ისე -**ენ** და -**ენ** სუფიქსები. თუ ერთ შემთხვევაში ვახტანგისეული **მოვიდენ** საბას შეცვლილი აქვს **მოვიდეს** ფორმით, (მდრ., ვახტანგი 231,9 – საბა 50r,18), **meore** შემთხვევაში ვახტანგის **მოვიდენ-ის** ადგილას საბასთან იკითხება: **მივიდნენ** (მდრ. 208,7 ვახტანგი და 45r,19 საბა); მესამე შემთხვევაში პირიქით, ვახტანგის -**ენ** სუფიქსიან ფორმას საბა ცვლის -**ენ** სუფიქსიანით: „ვეზირნი მეორე დღეს ჴელმწიფის სამსახურში **მოვიდნენ**, ალაგი რომ განნესებული ქონდათ, მუნ **დადგნენ** და ჴელმწიფის ბრძანების მოსმენას ყური მიუგდეს“

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ქილილა და დამანა (წინასიტყვაობა); სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, თბ., 1962, გვ. 12-13; ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 101.

(ვახტ.48,7-9)– „მეორე დღეს ვეზირნი ჯელმნიფის წინ **მოვიდენ** და განწესებულს ადგილს **დადგენ** და ჯელმნიფის ბრძანებას **ელოდენ**“ (საბა 14r, 34-35). შეადარეთ სხვაგვარი შესწორების ნიმუში: **გამოეგებნენ** (ვახტ, 609,1) – **მიეგებნეს** (საბა140ვ, 31).

ასეთ ვითარებაში ძნელია თქმა, რა პრინციპს იცავს საბა. თითქოს იგი ცდილობს **-ეს** სუფიქსის დაცვას სალიტერატურო ენაში, მაგრამ **-ენ** და **-ნენ** სუფიქსებსაც არ მიმართავს იშვიათად. მის ორიგინალურ თხზულებებში **-ენ(ნენ)** უფრო ხშირადაც კი გვხვდება, ვიდრე **-ეს**; მაგალითად, „სიბრძნე-სიცრუის“ ნიგნში **-ენ** და **-ეს** სუფიქსების შეფარდება ასეთია – 4:1. „მოგზაურობაში“ ერთი-ორი მაგალითია ძველი წარმოებისა. საბას „სწავლანიც“ კი ვერაა დაზღვეული ამ ახლებური ფორმებისაგან. თხზულებაში, სადაც საბა ცდილობდა ფორმაც შინაარსის შესაფერად მაღალი, საეკლესიო, ძველებური ყოფილიყო, არაერთი შემთხვევა აღინუსხა **-(ნ)ენ-იანი** ზმნებისა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ აბზაცს: „უცხოთა ვირით მომავალსა ჩჩვილნი ოსანნას უგალობდეს, მოხუცებულნი პირთა მირიდებდეს; უცხოთა გლახაკნი წინა მიეგებვიდეს და მდიდარნი კართა დაუწვიდეს; უცხოთა მონაფე გამცემელ ექმნებოდა, ერნი შეიპყრობდენ, მღვდელნი მოიძაგებდენ, მნიგნობარნი მოიძულებდენ, მღვდელთ-მოდღუარნი შეჰკრვიდენ, მსაჯულნი სიკუდილად მისცემდენ... ბოროტსა უყოფდენ... განბასრევდენ... განკიცხევდენ... აგინებდენ... შებორკილვიდენ... მოავლებდენ... შელებდენ“ და ა.შ. (A-479, გვ. 277-278, XVIII ს. დასაწყისის ხელნაწერია).

სიზუსტისათვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვახტანგ VI-სთანაც, რომელიც სისტემატურად ხმარობს **-(ნ)ენ** სუფიქსს, თითო-ორი შემთხვევაში მაინც არის **-ეს** სუფიქსიანი ფორმები: „ამად სახელად ხაჯუსტარრაი ენოდებოდა და უმაუნფალ არას საქმეს უიმისოდ ჯელს არ მიჰყოფდა და მის ურჩევლად არცა დიდსა და არცა მცირესა საქმესა არ მოუვლიდა. ასპარეზსა ბრძოლისასა და სიმხიარულის მასნათსა და დორზედან უიმისოდ არ დაჯდებოდა და არ ილხენდა. ყოველთვის თუ მეფენი და ჯელმნიფენი და ამალლებულნი კაცნი ჭკუიანსა და მოხუცებულს არ **ჰკითხევდეს** და რჩევით არ **იქმოდეს**, ბრძანების შემზადებაში არ უნდა გაერეოდეს და თუ უნდა, რომ სულ ძალი და შემძლებელობა დიდროვანთა კაცთა თავისს ჯელთა ჰქონდეს კარგის ვეზირითა...“ (15,14-20).

როგორც აღინიშნა, ამ დროის წერილობითი ძეგლებიდან ცხადად ჩანს, რომ III სუბიექტური პირის მრავლობითობის **-ეს** სუფიქსი უკვე სისტემატურად იცვლება **-(ნ)ენ** სუფიქსით გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან ნამყო უსრულში, გარდაუვალებთან – ნამყო სრულშიც. ასეა ეს ესოპეს იგავებში, მელის ნიგნში, ასეა დავით გურამიშვილთან, ვახუშტის „ქართლის ცხოვრებაში“... მე-18 საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული ძეგლის, „თიმსარიანის“ ხელნაწერში (A-860), რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ კარგ და მნიშვნელოვან ხელნაწერად<sup>1</sup>, **-(ნ)ენ-იანი** ფორმები ნამყო უსრულში 25-მდე აღწევს, მაშინ, როდესაც, **-ეს-იანი** ფორმები მხოლოდ სამიოდე შემთხვევაში გვხვდება; ნამყო სრულში **-(ნ)ენ-იანი** ფორმა 75-მდეა, **-ეს-იანი** 12 შემთხვევაშია.

<sup>1</sup> „თიმსარიანი“ თარგმნილია სპარსულიდან მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) მიერ, გადაუნერია იგი ცნობილ გადამწერს ნიკ. ჩაჩიკაშვილს 1774-1779 წლებში (М. Джанашивили, Описание рукописей церковн. музея..., кн. III, 1908 გვ. 85-90; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-ფონდი, I, II, III...). „თიმსარიანი“ გამოსცა, ტექსტი დაადგინა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თენგიზ გორელი-შვილმა, თბ., 1965. ჩვენ ხელთ გვექონდა მიკროფირი.

ასევე ჩვეულებრივია, **-(6)ენ** სუფიქსი „თიმსარიანის“ მეორე ხელნაწერშიც, ისიც XVIII საუკუნისეულია – S-1538<sup>1</sup>, ოღონდ A-460-საგან განსხვავებით, აქ სისტემატურად **-6ენ** გვაქვს **-ენ**-ის მაგიერ; A-შია: შეიყრებოდენ (286v,38) S-შია: შეიყრებოდნენ (49r,9), A-შია: მისდევდენ (284v,6-7), S-შია: მისდევდნენ (41r,8) და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ **-ეს** და **-(6)ენ** სუფიქსების ჭიდილი არსებითად მთავრდება XVIII საუკუნეში **-(6)ენ** -ის საბოლოო გამარჯვებით. მართალია, **-ეს** სუფიქსიანი ფორმები აქა-იქ შეიძლება XIX საუკუნის თხზულებებშიც შეგვხვდეს, მაგრამ მხოლოდ როგორც ძველი სალიტერატურო ენის ანარეკლი ან სტილიზაციის საშუალება. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ასეთი ფორმების არსებობა XVIII საუკუნის ბოლოს უკვე აღარ არის სავარაუდებელი.

ახლა ორიოდ სიტყვა თვით **-ენ** და **-6ენ** სუფიქსთა ურთიერთობის თაობაზე. როგორც აღვნიშნეთ, **-ენ** სუფიქსის წინ **6** თავდაპირველად მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნებში გვხვდებოდა. პრეფიქსიან ვნებითებში მის ხმარებას რეგულარული ხასიათი ჰქონდა ძველ ქართულშიც – **-ეს** სუფიქსის წინ. წარმოშობით იგი მიჩნეულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად, რომელიც მოქმედებითიდან ვნებით გვარში არის გადმოყოლილი. ძველ ქართულში გვქონდა: იყვნეს, შეითქვნეს, აღესრულნეს... როცა **-ეს** სუფიქსი **ენ-მა** შეცვალა, ბუნებრივია, მივიღეთ: იყვნენ, შეითქვნენ, აღესრულნენ...

რაც შეეხება მოქმედებითი გვარის ზმნებს, **-ეს** სუფიქსის წინ **6** აქაც გვქონდა ნამყო სრულში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირდაპირი ობიექტი მრ. რიცხვში იყო წარმოდგენილი: მათ იგინი დაწერნეს, შეჭამნეს, მოკლნეს, მოსრნეს, წარიყვანნეს... ესაა გარდამავალი ზმნები: სადაც **-ეს** სუფიქსი დღევანდლამდე უცვლელი დარჩა და, ცხადია, **-6ენ** არ შეიძლებოდა მიგველო. ნამყო უსრულში ობიექტი (პირდაპირიცა და ირიბიც) მიცემით ბრუნვაში დგას და მისი მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, ასე, რომ, ძველად აქ **-ეს** სუფიქსის წინ **6** არ გვქონია.

ამრიგად, **-ენ** სუფიქსის **-6ენ**-ით შეცვლა ვნებითი გვარიდან მოდის. იმავე პერიოდში, როცა **-ეს** სუფიქსი **-ენ**-ით იცვლება, შეინიშნება კიდევ მეორე პროცესი: **6**-ს გაჩენა სხვა ზმნებშიც. **-ეს** სუფიქსის წინ **6**-მ თავი იჩინა ისეთ ფორმებშიც, სადაც იგი ძველი ქართული ენის ნორმის მიხედვით, არ იყო მოსალოდნელი. სახელდობრ, „მაჰ-ნამეს“ პროზაულ ვერსიაში გვხვდება ასეთი ფორმები: მოვიდნეს, ამოუვიდნეს (გვ.372), გამოვიდნეს (გვ.389; 392;395), წავიდნეს (395), შეუბერნეს (396; 421) და სხვ.

ამრიგად, ერთდროულად მიმდინარეობდა ორი პროცესი: **-ეს** სუფიქსის შეცვლა **-ენ**-ით და **6**-ს გაჩენა მის წინ. როცა **-ეს** სუფიქსმა საბოლოოდ დათმო ასპარეზი, მის ადგილზე აღმოჩნდა ორი პარალელური ფორმანტი: **-ენ** და **-6ენ**. ვნებითი გვარის ფორმებში უფრო ხშირი იყო **-6ენ**, დანარჩენ შემთხვევაში – **-ენ**. მათი ჭიდილი XX საუკუნის 30-იან წლებამდე გაგრძელდა. საბოლოოდ სალიტერატურო ენაში საკითხი გადაწყვიტა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა **-6ენ** სუფიქსს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (Описание, I, გვ. 390-391) და საფუძვლად უდევს „თიმსარიანის“ მისეულ გამოცემას, (1903).

<sup>2</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, თბ., გვ. 185-190.

გიორგი გოგოლაშვილი

მესამე სუბიექტური პირის  
მრავლობითობის ნარიან მანარმოებელთა  
ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ახალ ქართულში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობას ხუთი სუფიქსი გამოხატავს: **-ნ**, **-ენ**, **-ან**, **-ნენ**, **-ეს** (ძველ ქართულში ამათ ემატებოდა **-ედ**, არ გვქონდა **-ნენ**). **-ნენ** სუფიქსი რთული შედგენილობისაა – შეიცავს იმავე **-ენ** სუფიქსს, რომელიც ცალკე მანარმოებლადაც გამოიყოფა, ამიტომ მის შესახებ არ ვიმსჯელებთ. ჩვენი ინტერესის სფეროში არ შემოდის არც **-ეს** სუფიქსი. განვიხილავთ საკითხს: რა მიმართებაა **-ნ**, **-ენ**, **-ან** სუფიქსებს შორის.

განსახილველი სუფიქსებიდან თითოეულს ხმარების გარკვეული არე აქვს: ა) **-ნ** გვხვდება მხოლოდ ხმოვნის შემდეგ: მოკლა-ნ, გათბე-ნ, გააკეთო-ნ... ბ) **-ენ** გვხვდება მხოლოდ თანხმოვნის შემდეგ: აკეთებ-ენ, მალავ-ენ... დაიმაღლ-ენ, იყვნ-ენ, გათბ-ენ, გახმ-ენ... გ) **-ან** გვხვდება ი ხმოვნის შემდეგ: ტირი-ან, აკეთი-ან... და ზოგ სტატიკურ ზმნასთან თანხმოვნის შემდეგ: წუხ-ან, დუმ-ან, დგან-ან, წვან-ან... არ ხდება ამ სუფიქსთა შენაცვლება – სადაც გვაქვს ერთი მათგანი, არ შეიძლება შეგვხვდეს მეორე. ის ფაქტი, რომ თითოეული მათგანი გვხვდება მხოლოდ გარკვეულ ფონეტიკურ ვარემოცვაში, არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ისინი ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებადაა მიჩნეული. ამოსავლად მიიჩნევენ ე ხმოვნიან ვარიანტს, ხოლო ნულ და ა ხმოვნიანი ვარიანტები მის სახესხვაობადაა ჩათვლილი. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ხმოვანთკომპლექსი მარტივდება პროგრესული გავლენის გზით, იკარგება სუფიქსისეული ხმოვანი [1-3]

**ა-ენ** → **-ან**: მოკლ-ა-ენ → მოკლა-ნ...

**ო-ენ** → **-ო-ნ**: აკეთ-ო-ენ → აკეთ-ო-ნ...

**ე-ენ** → **-ე-ნ**: გათბ-ე-ენ → გათბ-ე-ნ...

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხმოვანთა შერწყმასაც ვარაუდობენ [2].

ა ხმოვნიან ვარიანტს (**-ან**) **-ენ**-ის დისიმილირებულ სახედ მიიჩნევენ: **ი-ენ** → **ი-ან** (მკი-ენ → მკი-ან) [4].

წარმოადგენენ თუ არა მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის **-ნ**, **-ენ**, **-ან** მანარმოებლები ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს და რამდენადაა შესაძლებელი ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები ზმნურ ფორმებში?

როგორც აღვნიშნეთ, **-ნ** სუფიქსს მიიჩნევენ **-ენ** სუფიქსის რედუცირებულ ვარიანტად. სუფიქსისეული ხმოვნის რედუქცია არაა უცხო ქართველური ენებისათვის [5], მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ შემთხვევებში სუფიქსისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს მხოლოდ მომდევნო ხმოვანი: მო-კლ-ენ-ა → მო-კლ-ნ-ა, მას-

ნავლებ-ელ-ისა → მასნავლებ-ლ-ისა... ეს ასეა როგორც ზმნებში, ისე სახელებში <sup>1</sup> (ფუძისეულ resp. სუფიქსისეულ) და სუფიქსისეულ ხმოვანთა შეხვედრისას სამი შემთხვევა გაირჩევა: ა) იკარგება წინამავალი ხმოვანი – აკეთ-ე-ა → აკეთ-ა, ბ) რჩება ხმოვანთგასაყარი თანხმოვანი – ა-ხე-ებ-ს → ა-ხე-ვ-ებ-ს... და გ) წარმოიქმნება ხმოვანთკომპლექსი ყოველგვარი გამარტივებისა და ხმოვანთგამყარის გარეშე – ა-დრო-ებ-ს.

ხმოვანთკომპლექსთა გამარტივება მომდევნო ხმოვნის დაკარგვის გზით არაა ისტორიულად ქართულისათვის დამახასიათებელი. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები დადასტურებული არაა. ასეა ეს ამჟამადაც [6]. ხმოვანთკომპლექსებში ფონეტიკური პროცესები საკმაოდ გავრცელებულია და რთულ სურათს ქმნის დღევანდელ ქართულ დიალექტებსა და ზანურში, მაგრამ ყველა შემთხვევაში კომპლექსის მეორე წევრი დაცულია – ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს კომპლექსის მეორე კომპონენტის ცვლის ხარჯზე [7,8].

ყოველივე ზემოთქმული ეჭვქვეშ აყენებს **-ენ** სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვის საკითხს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ამგვარი, დადასტურებული კანონზომიერების საწინააღმდეგო პროცესის მოქმედების დასამტკიცებლად მხოლოდ ერთი შემთხვევა არაა საკმარისი.

ჩვენ არ უარყოფთ **-ნ** და **-ენ** სუფიქსებს შორის შესაძლო გენეტიკურ კავშირს; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სხვაობა მათ შემადგენილობას შორის არაა მომხდარი ზმნურ ფორმებში. ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს მათი ზმნურ აფიქსებად ჩამოყალიბების შემდეგ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **-ან** სუფიქსი მიჩნეულია **-ენ**-ის ფონეტიკურ ვარიანტად. კერძოდ, **ი**-ს მომდევნო პოზიციაში **ე** დისიმილირდება და გვაძლევს **ა**-ს. ამავე დროს შენიშნავენ, რომ „**იე** კომპლექსის გადასვლა **ია-ში** პრინციპში იგივეა, რაც ქართულისათვის დამახასიათებელი **ეა** კომპლექსის გადასვლა **ია-ში**“ [4]. საკითხის ამგვარად დასმა სადავოა. **იე** → **ია** და **ეა** → **ია** პროცესებს შორის არსებობს პრინციპული სხვაობა. **ეა** → **ია** პროცესი რეგრესულ გავლენაზეა დამყარებული და ხდება ფართო ხმოვნის დავინროება. ორივე ეს მოვლენა ბუნებრივია და კანონზომიერი ქართულისათვის [7,8]. **იე** → **ია** პროცესის დროს კი საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე – გავლენა პროგრესულია და ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის გაფართოებას, რაც არაბუნებრივია ქართულისათვის. გამონაკლისის არსებობა მოქმედ ფონეტიკურ პროცესში დასაშვებია, მაგრამ ამჯერად არ ხერხდება ამ გამონაკლისის ახსნა. ვფიქრობთ, არცა გვაქვს საფუძველი მისი დაშვებისათვის.

**იე** → **ია** პროცესის არსებობის შესახებ სერიოზულ ეჭვს ბადებს აგრეთვე ისიც, რომ **-ან** სუფიქსი დასტურდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში და ეს ისეთ ზმნებთან, რომლებიც უძველესი ფორმაციის ზმნებადაა მიჩნეული: ნუხ-ან, დუმ-ან... თუ ეს შემთხვევა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ ტიპის ზმნებს **ი** სუფიქსი გააჩნდათ

<sup>1</sup> (სახელებში გვაქვს გამონაკლისი: ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული **ი** იკარგება ფუძეუკვეცელ სახელებთან. საკითხის სპეციალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა ფუძისეულ (resp. სუფიქსისეულ) და სუფიქსისეულ ხმოვანთა შეხვედრისას წარმოქმნილ კომპლექსებში მეორე წევრის ჩავარდნისა. გამონაკლისი შემთხვევითი არ უნდა იყოს (არც რაიმე კანონზომიერების გამოვლენა) – **ის**, **-ით** სუფიქსები რთული შედგენილობისაა, **ი** არაა ორგანული ნაწილი **ს** და **თ** თანხმოვნებისა. ვფიქრობთ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომხდარ პროცესებში.)



და ის იყო მიზეზი **-ენ** → **ან** პროცესისა [4], იმავეს ვერ ვიტყვით დგან-ან, წვან-ან, ყვან-ან... ტიპის ფორმებზე, სადაც **ი** სუფიქსის არსებობა არც დადასტურებულია და არც თეორიულად სავარაუდო. საეჭვოა აგრეთვე ანალოგიის პროცესის დაშვებაც.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ **იე** კომპლექსი არ ჩანს არაბუნებრივი ქართულისათვის. ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებულია **იე** დაბოლოება სტატიკური ზმნების ანმეოსა და გარდამავალი ზმნების პირველ თურმეობითში: *უპყრიეს, ჰგიეს... დაუნერიეს, გაუკეთებეს...* **იე** კომპლექსის **ია**-თი შეცვლა ახალ ქართულში (*უპყრია, დაუნერია...*) არ ჩანს ფონეტიკური პროცესის შედეგი, არამედ აღნიშნულ ფორმათა წარმოების ტიპის შეცვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

**იე** კომპლექსის ბუნებრიობას უნდა უჭერდეს მხარს ისიც, რომ **-ან** სუფიქსის ადგილს რიგ დიალექტში იჭერს **-ენ** სუფიქსი და წარმოიქმნება სწორედ ის კომპლექსი, რომლის გამარტივების შედეგად მიღებულადაც ივარაუდება **-ან** სუფიქსი: მოდი-ენ, არი-ენ, ტირი-ენ, ყვირი-ენ...

ამგვარად, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ **-ან** სუფიქსი არ არის **-ენ**-ის ფონეტიკური ვარიანტი, წარმოქმნილი მისი ზმნურ აფიქსად ჩამოყალიბების შემდეგ.

ყოველივე ეს კი გამორიცხავს **-ენ** სუფიქსის პირველადობას; იგი არაა ამოსავალი **-ან** და **-ნ** სუფიქსებისათვის ზმნურ ფორმებში.

**-ენ** სუფიქსის პირველადობის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევა ზანურში დადასტურებული **-ან** სუფიქსი, რომელიც ითვლება ქართულის კანონზომიერ შესატყვისად. ამგვარი რამ დასაშვებია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ **-ან** ვარიანტი გვაქვს ქართულშიც, რომელიც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს **-ენ**-ის ფონეტიკურ ვარიანტს და, თუ სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის **-ეს** სუფიქსი ზანურში ქართულიდან შესულად ივარაუდება [2], ზანურში გვაქვს **-ნ** სუფიქსიც, რომელიც ქართულის იდენტურია (შესატყვისობაზე საუბარი ამ შემთხვევაში ძნელია), რატომ არ შეიძლება ზანური **-ან** იგივე ქართული **-ან** სუფიქსი იყოს და არა **-ენ**-ის შესატყვისი?

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ **-ნ**, **-ენ**, **-ან** სუფიქსებს შორის არსებული ფონეტიკური სხვაობა არ უნდა იყოს მომხდარი ზმნურ ფორმებში. თუ მათ შორის გენეტიკური კავშირი არსებობს<sup>1</sup>, ფორმობრივი დიფერენციაცია ამ ელემენტთა ზმნურ აფიქსებად ჩამოყალიბებამდეა მომხდარი. ვარიანტთა განაწილება ზმნურ ფორმებში წარმოქმნილ ბგერათკომპლექსთა ბუნებრიობის მიხედვით უნდა იყოს მომხდარი.

<sup>1</sup> ვამბობთ „თუ“-ს, იმიტომ რომ ფუნქციური და მასალობრივი მსგავსება არ უნდა იყოს საკმარისი აფიქსთა გენეტიკური კავშირის დასამტკიცებლად.

ლიტერატურა:

1. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, 433.
2. ფოჩხუა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, 60-62.
3. ვ. თოფურია, იკე, V, 1953, 520.
4. გ. როგავა, იკე, XVI, 1968, 76.
5. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, თხზ., ტ. I, თბ., 1957, 316.
6. გ. გოგოლაშვილი, თსუ სტუდენტთა XXXI სამეცნიერო კონფერენცია, ენათმეცნიერების სექცია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969.
7. შ. ძიძიგური, იკე, I, 1946.
8. გოგოლაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 75, 3, 1974.

**სპორადულად გამოვლენილ მესამე პირის  
-ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში**

ძველი ქართული ენის ძეგლებში, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, მესამე სუბიექტური პირის -ს სუფიქსთან სპორადულად მონაცვლეობს -ნ და -დ ფორმანტები. ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციებმა შეიძლება სამივე ვარიანტი გვიჩვენოს:

და რაჟამს განჰქარდის, არა აჰსოვნ, რა უქმნიედ.

(აპოკრ. 37, 23 C); ID: უქმნიეს; F: უქმნიედ.

იგივე ფორმანტები მონაცვლეობენ სტატიკურ ზმნათა ანმეოს III პირში:

რეცა თუ სიტყვთა ხოლო წინამძღუარ არნ, ბუნებასავე ზედა ჰგიენ (ანტ. 27,6 C);

ღ: ჰგიედ.

უქმნიენ // უქმნიედ, ჰგიენ // ჰგიედ იშვიათი ხმარების ფორმები ადრევე იქნა შენიშნული და სწორი სეგმენტაციაც ჩატარდა<sup>1</sup>.

რეალური ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაში უქმნიენ // უქმნიედ ფორმებში -ენ// -ედ სუფიქსებს გამოყოფენ; ივარაუდება, რომ ორი სუფიქსური -ენ-ს შეხვედრისას ერთი ჩავარდნილა: უქმნიენ+ენ//ედ<sup>2</sup>. ზ. სარჯველაძის ნაშრომში -ენ (-ან სუფიქსის ნაცვლად) პარადიგმის გასწორების შედეგადაა მიჩნეული (მიპყრიეს – მიპყრიენ). -ენ// -ედ ფორმანტები მონაცვლეობენ S<sub>3</sub> პირის მრავლობითობის -ან სუფიქსთან, რომელიც ინვერსიულ ზმნებში სახელობითბრუნვიანი რეალური ობიექტის მრავლობითობას გადმოსცემს:

და შენ, ზ კაცო, კადნიერებითა და ამპარტავანებითა არად შეგირაცხიენ  
გლახაკნი... (მამ. სწავლ. 103, 24); B: შეგირაცხიან; C: შეგირაცხიედ.

ამგვარად, შეგირაცხიენ-ნ// შეგირაცხიენ-დ (იგი) – შეგირაცხიენ-ენ// შეგირაცხიენ-ედ (იგინი); ფორმათგარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი.

ძველი ქართული ენის ძეგლებში მკვლევრებმა დიდი მოცულობის მასალა დაძებნეს წარმოდგენილი ფორმანტების გამოსავლენად, ამიტომაც შეიძლება მხოლოდ ტიპობრივ ნიმუშებს დავჯერდეთ:

-ნ (S<sub>3</sub> მხ.): შე-სამე-ურაცხიენ უნაყოფო იგი ვითარცა სხუაჲ? (სინ. 139,13); ... და ნუ ვითარცა მტერი შეგირაცხიენ იგი (თქუენ)... (პავლ. 341, 15. AB); ...რომელ დამინერიენ, ამსახურებდ... (ჰაემეტ. 364,14); ... და ცხორებაჲ არა უცნობიენ ცხოველთა თანა... (შედ. ყრმ. 115,30); ...არცა შორიელი უცნობიენ... (სინ. 104,23); და შევიკ-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, V–VI, 1940, გვ.36; ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, 1953; ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X ს-ის ძეგლების მიხედვით: თსუ შრომები, ტ. 53, 1954; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 14, 187; დ. გენაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., ტ. XI, ქუთაისი, 1952–53; ზ. სარჯველაძე, დ/ედ და ნ ნიშნებიანი მესამე სუბიექტური პირის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში: მაცნე, 2, 1973.

<sup>2</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140–145, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი.

რიბი, სადა არა **განმიბნევიენ** (ტბეთ. მათე, 25,26) (ოპიზ. **განმიბნევიედ**); ... დაღათუ ვის **დაუკლიენ** საკითხავი... (ნოველ. II, 63, 19); თუ ჭემმარიტად **უსნავიენ** ფსალმუნისა კანონი... (კიმ. II, 159,31); ... რ~ლსა **უნყიენ** წუერთა გამოსლვაჲ (კიმ. I, 312,29); და ჴელითა მოეკიდის საბელსა, რომელი **შთამოუბამნ** ქარტოცსა სენაკისასა... (მამ. ცხ. 157,34); ... რომელსა **ალუთქუამნ**, რაჲთა არა ცოდოს... (მამ. ცხ.304,7); ...აღილის წყალი იგი, რომელ საშუვალ სახლსა მას **დაუდგამნ**... (ნიკოლ. 84,28); რ~ი იგი **უთქუამნ**, აღიკოცა... (კიმ. I, 135, 21); აღმოიღოს, რომელი-იგი **შთაუნთქამნ**... (ექუს. 131,16); ... იხილის ხატი, რომელი არა ოდეს **უხილავნ** (მამ.სწავლ. 221,8), **გვხილავნ** (კაცი) (გ. მთაწმ. 158,27. G); ... და ფრიადითა ოფლითა და შრომითა **უტვირთავნ** იგი (ლიმ. 9,8; იგივე: გ. მთაწმ. 132, 17); ... და ნუ დიდად **მოგითუალავნ** წარსავალი ესე (ანტ. 69, 7. Ⴀ Ⴀ: მოგითუალავს); ... და მცირედი იგი აღნადგინებითურთ **დაუმარხავნ** (ბალავარ. 40,15. Ⴀ); **მოუკრძალავნ** თავი თჳსი (ნოველ. II, 111,12; C: მოუკრძალავს); **შეუდრესიენ** ფურცელი (ნოველ. II, 87, 25).

შდრ. სტატიკური ანმყო:

... და, სადაცა-იგი **ჰნთიენ**, ყ~დ მუნ არნ (სინ. 122,7); **ჰმოსიენ** (სამოსელი) (სინ. 9,15; იგივე: კიმ. II, 98,12); ... ხოლო ჯუარი ნუ ესე **გგონიენ**... (სინ. 247,19); ... და **ჰგონიენ** სირცხვილეული... (ანტ. 43, 8; იგივე: ფიზიოლ. 16,12); მჩუარი **უჰყრიენ** (ნოველ. II,16,7); და მანიაკი ოქროსაჲ ყელსა **აცუნ** (ნოველ. II,14,14); და შთასადებელი იგი მას **ჰკიდავენ** (ტბეთ. იოვ. 12,6; იგივე: მამ. სწავლ. 294,3); **მკიდავენ** (ნოველ. II, 39,4).

-ენ (S<sub>3</sub> მრ.): ან **შეგირაცხიენ** იგინი ღმერთად (კიმ. I,190,22); ყოველთა **განგვწესებიან** ესე კანონნი (მც. სჯულ. 84, 16); C: **განგვწესებიენ**; **შეუჰყრიენ** (იგინი) (მამ. სწავლ. 138, 20; ძირითადი: შეუჰყრიან).

შდრ. სტატიკური ანმყო: **უჰყრიენ** საყდარნი (სინ. 169,29).

-დ (S<sub>3</sub> მხ.): ... და განაშორებნ ჩემგან, რომელი-იგი **მიცნობიედ**... (ბალავარ. 6,23.Ⴀ); **უცნობიედ** სარგებელი (ანტ.51,19); ... რომელი **უქმნიედ** წინაჲსწარ (მამ. სწავლ. 140,30; იგივე: ბალავარ. 67,31 Ⴀ); დიაკონთა სამოსელი იგი ზე **ალუჰყრიედ** (წარტყ. იერუს. იწ,8; იგივე: წარტყ. იერუს. იწ,3); ... სული წმიდაჲ რომელი **მიუღებიედ** მას დღესა მას გამოჴსნისასა (მამ. სწავლ. 20,26); ცოდვითა განსძარცვს, რომელი **შეუმოსიედ**... (ბალავარ. 7,27); ...და **ალუმტკმიედ** პირი (აპოკრ. 41,18,Ⴀ) **განუტევებიედ** (სანთელი) (ლიმ. 64,2); ...კილიკი ერთი მცირე ქუე **წარუგდებიედ** (შუშანიკ. 25,11,HK: წარუგდებიედ; G: წარუგდებედ)... რომელი მას არა **შეუსწავლიედ** (ბალავარ. 67,28 Ⴀ); და შეიკრიბი, სადა არა **განგიბნევიედ** (ტბეთ. მათე, 25,24); თავი **შეუყოფიედ** (მამ. სწავლ. 265, 15, b).

სტატიკური ანმყო: **უჰყრიედ** წესი (ბალავარ. 47, 35. Ⴀ); **ჰგონიედ** (სინ.269,18); პირი ზჳ **უმტკმიედ** (ფიზიოლ. 36,8); ...ხოლო სხუასა ნუ ვის **უფლიედ** ჩუენ თანა შემოსლვად (შუშანიკ. 16,22); ... არამედ **ჰმოსიედ** მას სელისა სამოსელი (სინ. 55,12); ... ვითარცა სანთელი **ჰნთიედ** (თუალთ. 30,25). შესასხმელნი (ეფრემ. (გ.). 55,8); **უქმნიედ** (საქმენი) (მამ. სწავლ. 139, 27.BC); **წარუტაცებიედ** მამანი (მამ. სწავლ. 187,6. B); **მიუვლინებიედ** იგინი (თუალთ. 42,16).

საანალიზო ფორმათა შეპირისპირება რიგ საკითხებს აჩენს:

1. სუბიექტური მესამე პირის ფორმანტთა შესაბამისი სურათი პირველი თურმეობითის მხოლოებითა და მრავლობითში ასეთ სახეს მიიღებს:

მხ. რ. **ს, ნ, დ**

მრ. რ. **ან, ენ, ედ.**

მრავლობითობის ფორმანტთა რიგში არ შემოდის **-ეს** სუფიქსი.

2. **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნებთან არ დასტურდება **-დ** სუფიქსი, გვაქვს: უხილავს//უხილავნ, ჰკიდავს//ჰკიდავნ, მაგრამ არაა: \*უხილავდ, \*ჰკიდავდ.

3. იმავე ფორმებთან არ დასტურდება უშუალოდ მრავლობითობის **-ენ** სუფიქსის დართვა, არა გვაქვს: \*გიხილვენ, \*შეუსხმენ.

4. **-ნ//დ**, **-ენ//ედ** ფორმანტები აშკარად მოშლის ტენდენციით ხასიათდება. გადამწერებს უკვე აღარ ესმით ფორმანტთა ფუნქციები და თავს იჩენს შეცდომები (ამას ფორმობრივი დამთხვევებიც უწყობს ხელს):

ა) **-ნ** სუფიქსს უკავია **-ან**-ის პოზიცია, იგი გაგებული ჩანს მრავლობითობის ნიშნად:

დიდნი ლოცვანი და მარხვანი **მიხილავნ** მის თანა... (კიმ. I, 163, 38); და ჩ<sup>ნ</sup> ყ<sup>ლ</sup>თა **გვიხილავნ** ებისტოლენი იგი... (კიმ. I, 94, 27); არამედ სხუანიცა საღმრთონი წერილნი ფრიად **მიკითხავნ** (ანტიოქ. 137, 24); ...არამედ წვალეზანი მრავალნი **ჩაურთავნ** მასვე... (კიმ. II, 91, 16); შდრ.: ...ფრთხილითა გულის-სიტყვთა განგიხილვან საკრველებანი დღისანი (DE: **განგიხილავნ**) (ექუს. დღ. 63, 29); ...სინმიდესა ღამისასა მიგიხედვან (DE: **მიგიხედავნ**) (ექუს. დღ. 63, 24).

ბ) დასტურდება ორმაგი სუფიქსაცია, რაც აგრეთვე ფუნქციურ დაჩრდილვაზე მიანიშნებს:

...და **მოუცუმანედ** წყალთა და ეგრწთ იგუემებიედ მათ შინა (მამ. სწავლ. 117, 18; შდრ. B: **მოუცუმიედ**).

შდრ. სტატიკური ანმყოს მხოლოობითი: ...თანა წარილის და სადაცა-იგი **ჰნითიედ**, ყ<sup>დ</sup> მუნ არნ (სინ. 122, 7).

აღწერილმა ენობრივმა ფაქტებმა ორგვარი ინტერპრეტაცია მიიღო ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

პირველი თვალსაზრისით **ს//ნ//დ**, **ან//ენ//ედ** ფორმანტები იდენტური ფუნქციის მორფოლოგიური ვარიანტებია – ისინი მესამე სუბიექტური პირის სუფიქსებია, წარმომავლობით დიალექტურად განსხვავებული<sup>1</sup>.

მეორე შემთხვევაში იშვიათი (**ნ//დ**, **ენ//ედ** სუფიქსიანი) ზმნური ფორმები შეფასებულია, როგორც ძველი ხოლმეობითის ნაშთები დრო-კილოთა მესამე ჯგუფში<sup>2</sup>. ი. აბულაძე მას III ხოლმეობითს უწოდებს (იმონმებს ა. შანიძესაც), ხოლო ლ. კიკნაძე I თურმეობითის ხოლმეობითს.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 36; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ.; ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187; დ. გენაძე, დასახ. ნაშრ.: ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I. ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 159-160.

<sup>2</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 145-146; ლ. კიკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: ორიონი, თბ., 1967, გვ. 192; ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

მეორე თვალსაზრისი სახელმძღვანელოების ტიპის ნაშრომებში არსად ასახულა, მაგრამ მაინც ყურადღებას იქცევს, როგორც არასწორი მორფოლოგიური ანალიზის ერთი ნიმუში.

ასეთი აზრი დრო-კოლოთა დაჯგუფების პრინციპში დაშვებული უზუსტობის ლოგიკური შედეგია, კერძოდ, მას უშუალო კავშირი აქვს „ანმყოს ხოლმეობითის“ ცალკე ნაკვეთად გამოყოფის საკითხთან.

„ანმყოს ხოლმეობითმა“ ძველი ქართული ენის სახელმძღვანელოებში დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრა<sup>1</sup>. ამ აზრს ითვისებენ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მსმენელები.

საკითხი ეხება **არს//არნ, არიან//არიედ** პარალელური ფორმების არსებობას ძველ ქართულში.

ამ ფორმათა შეფასებაში თანხმობა არაა; შეიძლება გამოიყოს სამი პოზიცია:

ა) ერთი შეხედულებით, **არნ-არიედ** იგივე ანმყოს ფორმებია **ა<sub>3</sub>-ის** უძველესი **-ნ, -ედ** სუფიქსებით და, მაშასადამე, ცალკე ნაკვეთზე ლაპარაკი ზედმეტია<sup>2</sup>.

ბ) მეორე შეხედულებით, ეს ფორმები წარმოადგენენ დამოუკიდებელ (პირნაკლ) ნაკვეთს – ანმყოს ხოლმეობითს<sup>3</sup>.

გ) მესამე – შემრიგებლური – თვალსაზრისით, საქმე გვაქვს უძველესი ანმყოს ფორმებთან, რომელთაც დროთა განმავლობაში ხოლმეობითის ფუნქცია უკისრია. ეს აზრი საბოლოოდ მეორე შეხედულების პოზიციაზე დგება – „ანმყოს ხოლმეობითის“ ნაკვეთს გამოყოფს<sup>4</sup>.

საკითხი ყველაზე უფრო ამომწურავად მოცემულია არნ. ჩიქობავას წერილში – „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“. აქ ნაჩვენებია, რომ, **-ნ, -ედ** სუფიქსები არ შეიძლება იყოს ხოლმეობითობის მატარებელი იმიტომ, რომ ა. ისინი მხოლოდ III პირშია, დროის სანარმოებელი სუფიქსი ყველა პირში უნდა გვექონდეს; ბ. თუ **-ნ, -ედ**-ს ხოლმეობითისად ჩავთვლით, რაღა იქნება პირის ნიშანი? გ. **-ნ** გვხვდება -ი სუფიქსიან ნამყო ხოლმეობითშიც, რაც მის პირის ნიშნობას ადასტურებს (გვ. 20-27).

მაგრამ **-ნ, -ედ** სუფიქსები რომ პირის ნიშნებია, ამას „ანმყოს ხოლმეობითის“ მომხრეებიც არ უარყოფენ.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 69; იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 210 და სხვა.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, მეორე გამოცემა, თბ., 1968, გვ.136,163; მისივე, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი...; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ.77-80; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ.; მისივე, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1,2; გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში: იკე, თბ., 1968.

<sup>3</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, ტ. I, 1957, გვ.7 და შემდეგ ყველა ნაშრომში; ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ.133; ლ. კიკნაძე, უწყვეტის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ.231 და სხვა; მისივე, შერეული ხოლმეობითი... გვ.192; ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ.: მისივე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 149–157.

<sup>4</sup> ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.159-160; მისივე, ხელნაწერები და მათი ენა; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ.204.

ამკარაა, რომ ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების მორფოლოგიური პრინციპით, რაც ნ. მარმა დანერგა, შეუძლებელია არს//არნ, არიან//არიედ ფორმები ცალ-ცალკე ნაკვეთებად გამოიყოს, რამდენადაც ამის ფორმოზოგიური საფუძველი არ არსებობს – მორფოლოგიური ოპოზიცია არ იქმნება.

საქმე ისაა, რომ „ანმყოს ხოლმეობითი“ ამოსავალში ჩამოყალიბებულია, როგორც ფუნქციური კატეგორია. მხოლოდ იმის შეგნებამ, რომ კლასიფიკაციის პრინციპი ირღვეოდა, გამოიწვია აუცილებლობა, ამ ფუნქციის მატარებლობა პირის ფორმანტიებისათვის დაეკისრებინათ. არის პირადიგმის „განსწორების“ ცდაც:

ზ. სარჯველაძის აზრით, ანმყოს ხოლმეობითმა I და II პირი იმიტომ დაკარგა, რომ მისი ფორმები ემთხვეოდა ანმყოს შესაბამისი პირის ფორმებს, III პირი კი განსხვავებული იყო<sup>1</sup>. ფორმოზოგიური იდენტობა, ცხადია, კვლავ ფუნქციურ განსხვავებას გულისხმობს.

ფუნქციის ხაზგასმა აქვს გ. მაჭავარიანსაც, როცა ამბობს, რომ ანმყო ზოგადი (-ნ, -ედ სუფიქსიანი ანმყო) არსებითად ხოლმეობითს ემთხვევა თავისი ფუნქციით<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ხოლმეობითის ნაკვეთებს საკუთარი მანარმოებელი აქვთ, ესაა სუფიქსი -ი<sup>3</sup>.

რამდენადაა მოსალოდნელი, რომ -ნ, -ედ ფორმანტებმა ხოლმეობითობის ფუნქცია იტვირთონ?

ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა, მაგრამ პრინციპში შეუძლებელი არაა, რომ ერთმა მორფოლოგიურმა ელემენტმა ორი და მეტი ფუნქცია იტვირთოს; ისიც შესაძლებელია, რომ ერთ შინაარსს ორი ფორმანტი ემსახურებოდეს<sup>4</sup>. ქართული ენის მორფოლოგიაში ორივეს ფაქტები შეიძლება დადასტურდეს.

-ნ, -ედ ფორმანტები რომ მხოლოდ ე.წ. „ანმყოს ხოლმეობითში“ დასტურდებოდეს, კიდევ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ „ხოლმეობითობა“ ამ არქაულ პირის ნიშანთა შექმნილი, ასე ვთქვათ, თანაფუნქცია იყოს, მაგრამ -ნ, -ედ სუფიქსიანი ფორმები დრო-კილოთა თითქმის ყველა ნაკვეთის მესამე პირში დასტურდება (ანმყო, კავშ. I, ნამყ. უსრ. ხოლმ., აორისტი, II ხოლმ., I თურმ.). ყველა ნაკვეთს კი, ცხადია, მენყვილედ შესაბამის პირნაკლ ხოლმეობითს ვერ ამოუყუყუნებთ, რომ აღარაფერი ვთქვათ მთავარ არგუმენტზე, -ი სუფიქსიანი ხოლმეობითის ფორმებთან -ნ, -ედ ფორმანტების დადასტურებაზე<sup>5</sup> (ამის ნიმუშები ყველა დასახელებულ წერილში მრავლადაა წარმოდგენილი).

როგორც აღინიშნა, „ანმყოს ხოლმეობითი“ ფუნქციის დონეზეა გამოყოფილი. ფუნქციის განსაზღვრა კი გარემომცველ ზმნურ ფორმათა მნიშვნელობით, ტექსტის შინაარსით – კონტექსტით – ხდება.

<sup>1</sup> ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 150, შენიშვნა.

<sup>2</sup> გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, 1, 1943; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, §3; ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ.5-6; ფ. ერთელიშვილი, რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თსუ შრომები, 61, 1956.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ. I, 1950, გვ.31-32.

<sup>5</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი... გვ.20-22.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტექსტი ხშირად არასაიმედო ლინგვისტური არგუმენტი. სანამ ჩვენთვის დადგენილი არ არის ზმნურ ფორმათა თანაარსებობის შესაძლებლობა ძველ ქართულში მარტივი თუ რთული წინადადების ფარგლებში, სრული საფუძველი გვაქვს კონტექსტის ცნებას ეჭვით შევხედოთ. კერძოდ, როცა ვამბობთ, მაგალითად, წინადადებაში – „ხოლო რაჟამს დამნიფდის ნაყოფი იგი, მუნქუესვე მიავლინის მღული, რამეთუ მონვენულ არნ მკაჲ მისი“ (მარკოზ. 4, 29. ო) – „არნ“ ზმნა ხოლმეობითის წინაარსისაა, რამდენადაც წინადადებაში ორი ზმნა ხოლმეობითის ფორმით, ამ პოზიციიდან ჩვეულებრივი ანმყო (არს) გამორიცხული უნდა გვქონდეს, აქ ანმყოს ფუნქცია გაუმართლებელი უნდა იყოს.

ამ მხრივ მაინც საინტერესოა ზ. სარჯველაძის მიერ ჩატარებული ვრცელი მასალის ანალიზი. კონტექსტებზე დაკვირვება მას შემდეგ სურათს აძლევს: 1. ანმყო გვაქვს იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით ანმყოს ხოლმეობითია მოსალოდნელი; 2. ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება ანმყოსა და ანმყოს ხოლმეობითის ფორმები; 3. ერთი და იმავე ტექსტის ერთ ნუსხაში რომ ანმყოს ხოლმეობითია, მეორეში სათანადო ადგილას ანმყოა; 4. ანმყოს გვერდით დასტურდება უწყვეტლის ხოლმეობითის, II ხოლმეობითის, ან III ხოლმეობითის ფორმები; 5. გადამწერი ანმყოს ხოლმეობითის „გადააზრიანებას“ ცდილა (იგულისხმება -6-ს გაგება მრ-ის ფორმანტად და შეცვლა ენ/ან-ით) <sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ეს მასალა „ანმყოს ხოლმეობითის გადავარდნის გზაზე დადგომის“ კი არა, იმის საბუთია, რომ ე.წ. „ანმყოს ხოლმეობითი“ ფუნქციურ დონეზეც ვერ გამოიყოფა ჩვეულებრივი ანმყოსაგან.

მიღებულია, რომ ანმყოსა და ხოლმეობითის მწკრივებს ერთმანეთთან სწორედ დიურატიულობის, განგრძობითობის მომენტი აკავშირებს <sup>2</sup>. ამიტომაცაა შესაძლებელი მათი კონტექსტური თანაარსებობა. ამდენად, „ანმყოს ხოლმეობითს“ არავითარი დამოუკიდებელი ფუნქცია არ გააჩნია. „ანმყოს ხოლმეობითი“ არც ფორმის და არც ფუნქციის თვალსაზრისით გამოსაყოფი არაა. ერთადერთი, რაც -6, -ედ სუფიქსიან ანმყოს აკავშირებს ხოლმეობითებთან, თანადროულობა უნდა იყოს. არქაულობაა ხოლმეობითების გვერდით მათი უფრო ხშირი გამოვლენის მიზეზი. -6, -ედ ფორმანტები იმ დროის ნაშთი უნდა იყოს, როცა ჯერ კიდევ ასპექტის ძველი სისტემა მოქმედებდა <sup>3</sup>.

ე.წ. „ანმყოს ხოლმეობითის“ ფუნქციური დამოუკიდებლობაც რომ დადასტურებულიყო, მისი ადგილი ქართული ზმნის ნაკვეთელთა სისტემაში მაინც არ აღმოჩნდებოდა, რამდენადაც ფორმათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ფუნქციური კატეგორიების ჩარევა კლასიფიკაციის წესის დარღვევად ჩაითვლება. ამ წესის დარღვევის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ I თურმეობითის III პირის იშვიათ ფორმებს III ხოლმეობითის სახელი დაერქვა (ი. აბულაძე, ლ. კიკნაძე, ზ. სარჯველაძე). პერფექტული ნაკვეთისთვის „ხოლმეობითობის“ მინერა, ცხადია, უფრო მეტად მოულოდნელია.

<sup>1</sup> ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. საკითხები, გვ.149-157.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი... ; მისივე, პერმანსივის ისტორიული ადგილისათვის... ; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... §7; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიები... გვ.14.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი..., გვ.22-23.



ამგვარად, **ნ//დ, ენ//ედ** მესამე სუბიექტური პირის არქაული ფორმანტებია; ისინი უკვე ძველ ქართულში არიან გადაშენების გზაზე დამდგარი ელემენტები.

ყურადღებას იქცევს ერთი საგულისხმო ფაქტი:

**-ნ** და **-ედ** ფორმანტებს უნარი შესწევთ შეენაცვლონ პირის დანარჩენ სუფიქსებს, როცა ამ დანარჩენთა ურთიერთმონაცვლეობა შეზღუდულია – მათ თავიანთი პოზიციები გააჩნიათ. ეს მოვლენა, ჯერ ერთი, შეიძლება **-ნ, -ედ** სუფიქსთა უძველესობას ადასტურებს, მეორეც – მათს ერთადერთობას გარკვეულ ეტაპზე; შეიძლება ისინი იმ დროის ნაშთებია, როცა მხოლოებითსაც და მრავლობითსაც თითო სუფიქსი გამოხატავდა.

შდრ.:

კლ-ა	კალ-ნ	შეუდგ-ეს \	შეუდგ-ედ (ანტ.72,32)
> ნ {		დასხდი-ან – ედ {	დასხდი-ედ (ლიმ.27,32)
არ-ს	არ-ნ	შეშჭამ-ენ /	შეშჭამ-ედ (ლიმ. 34,18)

ქართველურ ენათა მონაცემების გაანალიზებით ბ. ფოჩხუა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მრავლობითობის ფორმანტთაგან ძირითადია **-ენ**, ხოლო **-ან** სუფიქსი ზანური წარმოშობისად ჩათვალია<sup>1</sup>. გ. როგავამ უარყო **-ან**-ის ზანური წარმომავლობა და ის მიიჩნია **-ენ**-ის ფონეტიკურ ვარიანტად; ეს პროცესი უნდა მომხდარიყო **-ი**-ს შემდეგ<sup>2</sup>. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, I თურმეობითში შემორჩენილი გვქონია ამოსავალი ფორმები: შეუპყრიენ (→ შეუპყრიან). **ს<sub>3</sub>** მრ-ის გამოსახატავად თურმეობით I-ში ისტორიულად ორი ამოსავალი ფორმანტი გვრჩება: **-ენ, -ედ**. სხვა ნაკვთებიდან მათთან შემოვსება მესამე წევრი **-ეს**. ამ სამ წევრს დაუპირისპირდება სამი სუფიქსი **ს<sub>3</sub>მხ-ისა (-ს, -ნ, -დ)** და დადგება საკითხი მათი ურთიერთმიმართებისა<sup>3</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტური მესამე პირის სუფიქსური წარმოება ყველაზე გვიანი ფორმაციისად ითვლება<sup>4</sup>, აქ დადასტურებულ ფორმანტებს მასალობრივად მჭიდრო კავშირი აქვს იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებულ ნივთის კატეგორიის კლას-ნიშნებთან. **ს, ნ, დ** თანხმოვნითი ელემენტები ქართული ენის მორფოლოგიის მთელ სივრცეზე იჩენენ თავს, როგორც ძველი მოვლენის ნაშთები<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ბ. ფოჩხუა, მრავლობითობის წარმომადგენელი მანარმოებლები ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ.61.

<sup>2</sup> გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის... გვ. 76-77.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 77.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი, გვ. 16.

<sup>5</sup> არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, V, 4, 1944; მისივე, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ქართულში (1945): იქვე V, 1953; მისივე, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, VII, 1-2, 1946; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942; ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის... ; მისივე, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში... ; მისივე, ხმოვანთავსართული სახელები; თსუ შრომები, 30 ბ-31 ბ, 1947; მისივე, ნე-, ნი-, ნა-პრეფიქსებისათვის: თსუ შრ., VII, 1938; ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968, გვ. 55; შდრ. ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 66-69, 166-185, 206-208.

**ფარნაოზ ერთელიშვილი**

**-დ //-ნ (-ენ) ვნებითობის  
სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის**

სუფიქსიანი ვნებითი თანამეროვე ქართულში მხოლოდ **-დ-ბოლოსართიანია**, ძველ ქართულში **-დ-ს** გარდა **ნ (-ენ)** სუფიქსიც გვქონდა.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო ხანს ვნებითის წარმოებას საერთოდ მეორეულად მიიჩნევენ, ვნებითი გვარის ზმნის ფუძეები მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძეებს ემყარებაო. თუ ასეა, **-დ, -ნ** სუფიქსებს, რომლებიც ამჟამად და ძველ ქართულშიც ვნებითის მანარმოებელ ელემენტებად არიან მიჩნეული, ადრე სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდათ; ვნებითობის მორფოლოგიური შინაარსი ამ სუფიქსებისათვის მერმინდელი შენაძენი უნდა იყოს.

ვნებითი გვარის სუფიქსური წარმოება რომ გვიანდელია პრეფიქსულთან შედარებით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამგვარი წარმოება სვანურში საერთოდ არ მოგვეპოვება<sup>1</sup>, ხოლო რაც შეეხება ზანურს, აქ ასეთი ვითარებაა: მეგრულში „აქა-იქ **დ-იანი** ვნებითიც დაჩნდება: **დომქურონ-დ-უ** შეშინდა; **გოჭითონ-დ-უ** განითლდა. . . **დ-იანი** ვნებითი ქართულიდან შესული ჩანს, არც ჭანურისა და არც მეგრულისათვის ეს ტიპი დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა, ამ ტიპის უქონლობამ ფართო გასაქანი მისცა მეგრულში სხვა ტიპებს: **ე-უ, ო-უ, ა-უ**“<sup>2</sup>.

აქედანაც გამომდინარეობს, რომ, ჯერ ერთი, ვნებითების სუფიქსური წარმოება ქართულში ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგდროინდელი მოვლენაა, და მეორეც, რომ **-დ//ნ (-ენ)** სუფიქსთა წარმომავლობა მხოლოდ ქართულის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია აიხსნას.

ქვემოთ ამ **-დ//ნ (-ენ)** სუფიქსთა გენეზისის საკითხზე გვექნება მსჯელობა. სანამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ, რა არის ცნობილი დღეისათვის **-დ//ნ (-ენ)** სუფიქსების შესახებ.

„სუფიქსიანი ვნებითი ახასიათებს ნასახელარ ზმნებს: მდიდარი – მდიდრ-დ-ება, მწვანე – მწვან-დ-ება... კანტი-კუნტად ის პირველად ზმნებშიც მოიპოვება: ტეხ-ს – ტყ-დ-ება (←\*ტხ-დ-ება), ხეთქს – სქ-დ-ება (←\*ხთქ-დ-ება), ძვ. ქ. და-ჰჰსნა – და-ჰჰსნ-დ-ა და სხვა...“

როგორც ძვ. ქართულის მასალები გვიჩვენებს, სუფიქსიანი ვნებითის ნიშანი **დ** მიღებულია **-ნ-საგან** დისიმილაციის ნიადაგზე წარწარა (**ნ რ ლ**) ბგერებთან, რომლებიც სახელთა ფუძეებს აბოლოვებდნენ: გან-მდიდრ-ნ-ა( გან-მდიდრ-დ-ა, გან-მართლ-ნ-ა → გან-მართლ-დ-ა და მისთ. შემდეგ ეს **დ** განზოგადდა და ყოველგვარი ბგერით გათავებულ ფუძეს დაერთო: შე-წუხ-ნ-ა → შე-წუხ-დ-ა, აღ-ყუავ-ნ-ა → აღ-ყუავ-

<sup>1</sup> გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, ნაწ. 1, საკანდ. დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი, 1953.

<sup>2</sup> ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, 114.

დ-ა, და-მძიმ-ნ-ა → და-მძიმ-დ-ა და სხვა. ეს **ნ** ნაშთია **-ენ** მარცვლისა, რომელიც აღ-დგებოდა წყვეტილის I-სა და II პირში: შე-ვნუხ-ენ, შე-სნუხ-ენ, მაგრამ: შე-წუხ-ნ-ა<sup>1</sup>.

ეს დებულებები სათანადო ილუსტრაციით **ა. შანიძეს** უფრო ვრცლად აქვს გადმოცემული ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევაში<sup>2</sup>.

ვ. თოფურიას სიტყვით, ამჟამად ძირისეულად გამოცხადებული **-დ** (→ **-ედ**) ისტორიულად ვნებითის ფორმატი უნდა იყოს. მან ვნებითის მანარმოებელ ფორმანტად მიიჩნია **-ედ** მარცვალი შემდეგ ფუძეებში: **ჯედ, მისწუედ, შემწუედა, მოჰკუედა, გარდამოგედ, \*ცედ-ების (→ ცთ-ების), \*შედ-ების (← შთ-ების)**; აგრეთვე სვანურის ზმნურ ფუძეებში – **ხე-წედ-ენ-ი (→ ხე-წდ-ენი „ნახავს“), სედ-ნ-ი „რჩება“, ჯედ-ნ-ი „მოდის“**...<sup>3</sup> ავტორის დასკვნა განხილული საკითხის ირგვლივ ზოგადად ასეთია: „ვნებითის სანარმოებლად **-ენ(ნ)** ბოლოსართთან ერთად **(ე)დ-იც** იყო გამოყენებული ძველ ქართულში. **-ენ(ნ)** გვხვდებოდა უპირატესად სახელებთან, ხოლო **-(ე)დ** ზმნის ფუძეებთან. უკანასკნელი ადრიდანვე ძირისეულადაა ქცეული: **ჯედ, სხედ, წუედ** და სხვ. . . ვნებითის **ედ-ის** არსებობა ქართულ და სვანურ ზმნებში გვიჩვენებს, რომ ის ახალი წარმონაქმნი არ არის. ამდენად უნდა გადაისინჯოს საკითხი **ედ-ის** მეორეული წარმოშობის შესახებ. ამას მოითხოვს ისეთი ფორმების არსებობაც, როგორცაა დადუმ-დ-ენ... დაუმძიმ-დ-ა... ალყუავილ-ნ-ა...“<sup>4</sup>.

ვნებითობის **-დ/ნ (-ენ)** სუფიქსებს შეეხო გ. მაჭავარიანი თავის საკანდიდატო დისერტაციაში. იგი ფიქრობს, რომ **-დ-სუფიქსი ნ-საგან** არ უნდა იყოს მიღებული დისიმილაციით. დისიმილაცია აქ, შესაძლებელია, საერთოდ მოულოდნელი არ არის, „მაგრამ ობიექტის სიმრავლის **-ნ ← -ენ** სუფიქსი იმავე პირობებში დისიმილაციას არ განიცდის: გან-კურნ-ნ-ა, ქმნ-ნ-ა, აღ-იყვან-ნ-ა... იგინი. გარდა ამისა, **-დ** სუფიქსი უკვე ძველ ქართულში გვხვდება ისეთ ზმნებშიც, რომელთა ფუძეები წარწარა ბგერებით არ არის დაბოლოებული. შდრ. განტყ-დ-ა და გან-სთქ-დ-ა ყოველთვის **-დ** სუფიქსით წარმოგვიდგება. შდრ. აგრეთვე და-მძიმ-დ-ა, და-ა-ვინყ-დ-ა. შეინიშნება ერთგვარი მერყეობაც: და-დუმ-ნ-ა // და-დუმ-დ-ა, აღ-ბორგ-ნ-ა // აღ-ბორგ-დ-ა, აღ-ყუავ-ნ-ა // აღ-ყუავ-დ-ა, გან-ცრუვ-ნ-ა // გან-ცრუვ-დ-ა. მეორე მხრივ, **ნ** შეიძლება წარწარა ბგერის მეზობლობაშიც შეგვხვდეს: აღ-ყუავილ-ნ-ა.

ეს ფაქტები იმის სასარგებლოდ მეტყველებენ, რომ **დ-ნ-საგან** არ უნდა იყოს მიღებული დისიმილაციის გზით. **-დ (←-ედ)** დამოუკიდებელი ფორმანტი უნდა იყოს, როგორც ამას ვარაუდობს პროფ. ვ. თოფურია<sup>5</sup>.

გ. მაჭავარიანი **ჯედ** ტიპის ფუძეებში გამოყოფილ **-ედ** სუფიქსს ვნებითი გვარის მანარმოებელ სუფიქსად არ მიიჩნევს: „**-ედ** სუფიქსი რომ უთუოდ ვნებითობასთან და დინამიკურობასთან არ არის დაკავშირებული, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ იგივე **-ედ სხ-ედ-ან //სხ-ენ-ედ** ზმნის ფუძეშიც გამოიყოფა. ეს ზმნა კი აშკარად სტატიკურია. ყოველ შემთხვევაში ვნებითი გვარის ზმნად მას ვერ მივიჩნევთ.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 298.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის ძირითადი საკითხები, 1, 1957, გვ. 35-44.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვანარმოებიდან, II, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 534-6.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 536.

<sup>5</sup> გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, გვ. 208.

„ჯდების“ ტიპის ზმნათა **ედ**-ს ვერ დავაცილებთ იმ **-ედ** სუფიქსს, რომელიც ფუძედრეკად ზმნებში გამოიყოფა: ნმ-ედ-ს – ნმ-იდ-ა, ნყუ-ედ-ს – ნყუ-იდ-ა (ნყუდა)... ნმ-ედ-ს, ნყუ-ედ-ს... გარდამავალი ზმნებია, მაშასადამე, **-ედ** სუფიქსი გარდამავალ ზმნებშიც შეიძლება გვექნოდეს. მო-წყ-ედ-ა → მო-წყ-ედ-ა ზმნის **-ედ** ისევე არ არის ვნებითის მანარმოებელი, როგორც ნყუ-ედ-ს ზმნის **-ედ** არ არის მოქმედებითი გვარის მანარმოებელი. და-ჯ-ედ-ა ← \*და-ჯედ-ა ზმნის **-ედ** ისევე არ არის ვნებითის ნიშანი, როგორც მო-წყ-ედ-ა ზმნის **-ედ**<sup>1</sup>.

ავტორს მოჰყავს სხვა საბუთებიც თავისი მოსაზრების სასარგებლოდ. ასეთია მოკლედ საკითხის ირგვლივ არსებული მოსაზრებანი.

აღნიშნულ მოსაზრებათაგან ჩვენთვის ამოსავალია შემდეგი დებულებანი: **-დ//ნ** სუფიქსები ძველ ქართულში ვნებითი გვარის მანარმოებელი ბოლოსართებია; **-დ და -ნ (ენ)** ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, პარალელური სუფიქსებია (**-დ** არ არის მიღებული **-ნ**-საგან); ძველ ქართულში **-ნ (-ენ)** გვხვდება უპირატესად ნასახელარ ზმნებში, ხოლო **-დ** ზმნურ ფუძეებშიც და ნასახელარ ფუძეებშიც.

ახლა უშუალოდ ვნებითობის **-დ//ნ (-ენ)** სუფიქსთა გენეზისის შესახებ.

#### ა) **-დ** სუფიქსიანი ვნებითი

ძველ ქართულში ყურადღებას იქცევს ერთი რიგის საშუალო გვარის ზმნათა ჩვენება, რომელთაც ანმყოში ფუძის მანარმოებლად არავითარი სუფიქსი არ დაერთვით. ფუძის აგებულების მიხედვითაც და სემანტიკურადაც ასეთი ზმნები უძველესი ზმნებია. ესენია: ნუხ-ს, დუმ-ს, ჩან-ს, ახ-ს, უძნ-ს, დულ-ს, უყუარ-ს, ეჭუ-ს, ჰმარჯუ-ს, სძულ-ს. ჰშურ-ს, სძაგ-ს, აკლ-ს, უკვრ-ს, ნკმ-ს...<sup>2</sup>

აღნიშნულ ზმნათა ნამყოს (უწყვეტლის) ფუძე ყოველთვის **-დ**-სუფიქსიანია: ნუხ-დ-ა, დუმ-დ-ა<sup>3</sup>, ჩნ-დ-ა, ახ(ლ)-დ-ა, უძნ-დ-ა, დულ-დ-ა, უყუარ-დ-ა, ეჭუ-დ-ა, ჰმარჯუ-დ-ა, სძულ-დ-ა, ჰშურ-დ-ა, სძაგ-დ-ა, აკლ-დ-ა, უკვრ-დ-ა, ნკმ-დ-ა...<sup>4</sup>

თითოეული აქ დამონშებულ ფორმათაგან ნამყო დროის ფორმაა ან, როგორც ეს მიღებულია, ნამყო უწყვეტლისა, რადგან ყველგან **-დ-სუფიქსი** გვაქვს ფუძეში. . . მაგრამ ასეთი ზმნები, როგორც წესი, სტატიკური შინაარსისაა, ამიტომ მათი ნამყო ყოველთვის უწყვეტლის გაგებას კი არ გვაძლევს, როგორც ეს დინამიკურ ზმნებში შეიმჩნევა, არამედ საერთოდ ნამყოს, ნამყო ზოგადისას (შდრ.: ალაშენებ-ს // ალაშენებ-დ-ა და: ნუხ-ს // ნუხ-დ-ა). **ნუხ-ს** ჯგუფის ზმნები ნამყო დროში უსრული ასპექტის ზმნებია.

სრულ ასპექტს ქართულში, როგორც ცნობილია, ანარმოებენ ზმნისწინები, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ საშუალო გვარის ზმნები, როგორც წესი, ზმნისწინებს არ დაირთავენ, ან „თუ დაირთავენ, მხოლოდ ზოგიერთები და ისიც მხოლოდ ანმყოს წრის მწკრივებში: მი-გორავს, მი-ფრინავს, მი-ქრის, მო-სწონს, ჩა-სდგამს და მისთ. სხვა მწკრივებში მედიუმი ზმნისწინს იშვიათად მიიღებს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, გვ. 210–211.

<sup>2</sup> საილუსტრაციო მასალის ნაწილი ამოღებული გვაქვს ივ. ქავთარაძის ნიგნიდან „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, 1954.

<sup>3</sup> დუმ-ს ზმნის ნამყო ჩვეულებრივ **ნ** სუფიქსიანია: დუმ-ნ-ა.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 320.

ასეთსავე სურათს აქვს ადგილი ძველ ქართულშიც. საშუალო გვარის ზმნებთან ზმნისწინები იშვიათად იჩენენ თავს და, თუ გვხვდება, ჩვეულებრივ მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან:

**გან-ველტის** (იმარხის გუელმან ორმეოც დღე, ვიდრე ტყავი *განველტის*, სახის-მეტყ. იდ 12), **მო-ვივლტი** (ან შენდა *მოვივლტი*, სასულ სჟე 242), **ალ-მოღის** (აღმოდი-ოდა წყაროე წინაშე ჭაბუკისა მის, საბა, 1020), **მო-რბის** (რომელნი *მორბიედ* მისა, კიმ. 1, 1436), **მი-ვტონტმანებ** (ვიდრე მე *მივტონტმანებდი*, I 5,7), **მი-ჰყვების** (მაშინ *მიჰყვებოდა* და არა უწყოდა, ვიდრე *მიიყვანებოდა*, კიმ. 1, 1671), **მი-ვაქუ** (ვითარცა შეაბრკოლა ნავი იგი. . ., მიუტევეთ და *მივაქუნდით*, მოციქ. 27, 15), **გამო-აქუს** (რომელსა ნაყოფი არ *გამოაქუს*, ბოლნ. 18), **მო-ხუალ** (შენ ჩემდა *მოხუალა* მ 3,4), **გან-ხუალ** (ნუ *განხუალ* შენ ამიერ, ჰაბო, 673), **წარ-ვალს** (ვლდომით თანა *წარვალს* იგი, იპოლ. 2132), **შე-ვალს** (სხუანიცა მრავალნი *შევლენან* მისა, თეკლ. 9614)...

ორიოდე საშუალო გვარის ზმნა მოძრაობის აღმნიშვნელი არ არის, მაგრამ პრევერბდართულია: **მო-ველი**, **შე-ჰგავნ**. . . (წყალობასა *მოველი*, შუშ. 4148), ძუელსა მას ვერ *შეჰგავნ* სადგმელი ახლისა სამოსლისაჲ, ლ 5, 36).

როცა მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს ზმნისწინები ერთვის, ისინი მოძრაობის მიმართულებას აღნიშნავენ (**მი-ვალს**, **მო-ვალს**, **წარ-ვალს**, **გარდამო-ვალს**...), ამიტომ პრევერბები ზმნის ანმყოს ფორმებთანაც გვაქვს და დრო-კილოთა სხვა ფორმებშიც, რა თქმა უნდა, გადმოსაცემი შინაარსის მოთხოვნილების შესაბამისად (**მო-ვივლტი**, **მო-ვივლტოდე**, **მო-ვივლტოდი**. . .). ცხადია, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ზმნისწინებს ასპექტის აღნიშვნასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

მაგრამ ამ აზრით ყურადღებას იქცევენ ერთი ჯგუფის საშუალო გვარის ზმნები, რომლებთანაც ანმყოში ზმნისწინები ჩვეულებრივ შეუძლებელია, ნამყოს ფორმებში კი – ბუნებრივი და, რადგან მხოლოდ ზმნის ნამყოს ფორმებში ემატება ისინი ზმნებს, ამიტომ ამ შემთხვევაში ზმნისწინებს ასპექტის აღნიშვნასთან უკვე უშუალო დამოკიდებულება აქვთ.

ანმყო	ნამყო (უსრული ასპექტი)	ნამყო (სრული ასპექტი)	
ჩან-ს	ჩნ-დ-ა	გამო-ჩნ-დ-ა	აჰა ტრედი იგი კუალად <b>გამოჩნდა</b> , რავახ. 838
ახ(ლ)-ს	ახ(ლ)-დ-ა	მი-ახ(ლ)-დ-ა	რამეთუ <b>მიახდა</b> სიკუ-დიდ, ი 4, 47
უძნ-ს	უძნ-დ-ა	შე-უძნ-დ-ა	საქმე ესე ფრიად <b>შეუძნდა</b> იოვანეს, ზარზმ. 1728
დულ-ს	დულ-დ-ა	და-დულ-დ-ა	და <b>დადულდა</b> იგი მატ-ლითა საშინელითა, კიმ. I, 31622
უყუარ-ს	უყუარ-დ-ა	შე-უყუარ-დ-ა	ფრიად <b>შეუყუარდა</b> კურაპალატსა ადგილი იგი, ხანძთ. კვ 34
ეჭუ-ს	ეჭუ-დ-ა	შე-ეჭუ-დ-ა	<b>შეეჭუდა</b> სიტყუასა ან-გელოზისას, კიმ. 1, 1811

**ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები**

ანმყო	ნამყო (უსრული ასპექტი)	ნამყო (სრული ასპექტი)	
ჰ-შურ-ს	ჰ-შურ-დ-ა	შე-შურ-დ-ა	<b>შემშურდა...</b> და შემემინა თარგმანებად, ქრესტ. 6716
აკლ-ს	აკლ-დ-ა	მო-აკლ-დ-ა	ხოლო იგი <b>მოაკლდა</b> , ვი- თარცა კუამლი, კიმ. 1, 23618
უკვრ-ს ჯურ-ს	უკვრ-დ-ა ჯურ-დ-ა	და-უკვრ-დ-ა გან-ჯურ-დ-ა	მე <b>დამიკვრდა</b> , შუმ. 2532 <b>განჯურდა</b> გულითა, კიმ. 1, 20219

ამათ შეიძლება დავუმატოთ ზმნები, რომელთა ნამყო დროის სრული ასპექტის ფორმებისათვის მასალა ძველი ქართულის ტექსტებიდან ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ასეთები შეუძლებელი არ არის. თუმცა საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ ქვემოთმოყვანილ ზმნათა ნამყოს სრული ასპექტის ფორმები ძველ ქართულში კიდევაც რომ არ დადასტურდეს, მოგვიანო ქართულში ასეთი ფორმების არსებობა ფაქტია.

სცალ-ს	სცალ-დ-ა	და-ს-ცალ-დ-ა
ნუხ-ს	ნუხ-დ-ა	შე-ნუხ-დ-ა
დუმ-ს	დუმ-დ-ა	და-დუმ-დ-ა
ს-ძულ-ს	ს-ძულ-დ-ა	შე-ს-ძულ-დ-ა
აწსოვ-ს	აწსოვ-დ-ა	და-ა-წსოვ-დ-ა // და-ა-წსომ-დ-ა
ს-ძაგ-ს	ს-ძაგ-დ-ა	შე-ს-ძაგ-დ-ა
ნვმ-ს	ნვმ-დ-ა	გა-ნვმ-დ-ა
ჰ-მარჯუ-ს	ჰ-მარჯუ-დ-ა	გან-უმარჯუ-დ-ა
*უნ-ა უნ-დ-ა	მო-უნ-დ-ა	და ა.შ.

როგორც ჩანს, ნამყო დროის სრული ასპექტის ფორმები მივიღეთ ნამყოს (უნყვეტილის) ფუძეზე ზმნისწინების დართვით. მაგრამ ამჟამად სრული ასპექტის ფორმებს ასეთი კვალიფიკაცია კი არ ეძლევა, არამედ წყვეტილის ზმნებს განიხილავენ, როგორც ვნებითის ნამყო წყვეტილის ფორმებს. რომელი კლასიფიკაციაა უფრო სწორი? არც ერთი არ არის მცდარი. რომელიმე „გამოჩნდა“ ფორმა ნამყო წყვეტილიც არის, სრული ასპექტისაც, ვნებითი გვარისაც. მაგრამ რა არის რისთვის ამოსავალი? ვნებითობის გაგება აქვს საფუძვლად ასპექტს თუ, პირიქით, სრული ასპექტის შინაარსია ამოსავალი ვნებითობის მორფოლოგიური შინაარსისათვის?

როცა აღნიშნული ტიპის ზმნა უპრევერბოა, მასში არაფერი მოგვეპოვება ისეთი, რაც ვნებითი გვარის მორფოლოგიურ ნიშნად შეიძლება მიგვეჩნია. ზმნისწინების დართვას არავითარი უშუალო დამოკიდებულება არა აქვს გვარის კატეგორიასთან, სამაგიეროდ ზმნისწინების მიმატებას ნამყოს ფუძეზე უშუალო დამოკიდებულება აქვს ასპექტის აღნიშვნასთან. მაშასადამე, რომელიმე „გამოჩნდა“ ფორმა პირველ რიგში ნამყო დროის სრული ასპექტის ფორმაა, ვნებითის შინაარსი კი ამ ფორმისთვის მეორეულია. ვნებითობის შინაარსის დამკვიდრებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ნამყო დროის ფუძის ნიშანი **-დ** უფუნქციოდ რჩება მას შემდეგ, რაც

ზმნისწინების დართვის წყალობით ზმნის ფორმა სრულასპექტიანი ხდება. ამის ნიადაგზეა, რომ უფუნქციოდ დარჩენილი ნამყო ფუძის -დ სუფიქსს სხვა შინაარსი – ვნებითი გვარის მორფოლოგიური შინაარსი ეუფლება.

რაც შეეხება მეორე რიგის საშუალო გვარის ზმნებს, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, რომელთაც ანმყოში ფუძის საწარმოებლად -ი, -ავ, -ობ, -ებ, -ოვი სუფიქსები აქვთ, მათ დონიანი ვნებითი ძველ ქართულში იშვიათად ეწარმოებათ (ბორგ-ი-ს – ალ-ბორგ-დ-ა, ყუავ-ი-ს – ალ-ყუავ-დ-ა, ორგულ-ებ-ს – შე-ორგულ-დ-ა, ფრინ-ავ-ს – ალ-ფრინ-დ-ა, ბრწყინ-ავ-ს – გამო-ბრწყინ-დ-ა...).

ძველ ქართულში თუ საშუალო გვარის ზმნების ანმყოს ფუძის დაბოლოებად -ი სუფიქსი იჩენს თავს, მაშინ ასეთი ტიპის ზმნებს ნამყოში (უნყვეტელში) -ოდ სუფიქსი ექნებათ მანარმოებლად. ეს ნორმაა. ამის მიხედვით ბორგ-ი-ს ზმნას ნამყო უნყვეტელში უნდა მოეცა ბორგ-ოდ-ა. ბორგ-ოდ-ა ფორმა ძველმა ქართულმა არ იცის, უნყვეტელში -დ სუფიქსიანი ფორმებია დადასტურებული (ვბორგდ მათ ზედა და ვსდევნიდი, მოციქ. 1611; და ცან, რამეთუ მარონიტელთა წვალებითა ბორგდეს, ანტიოქ. 5917). ნამყოს ფუძის მიხედვით ანმყოსთვის ბორგ-ს ფორმა აღდგება და არა ბორგ-ი-ს, თუ ძველი ქართულის ნორმებს დავიცავთ, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულში ჩვეულებრივ ბორგ-ი-ს გვხვდება (ეშმაკი არს მის თანა და ბორგის, ი 10, 20). სიმართლესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ დავუშვებთ, რომ ანმყოში ბორგ ძირი სუფუქსიანიც უნდა გვექონოდა და უსუფიქსოც – ბორგ-ს // ბორგ-ი-ს. ნამყო უნყვეტლის ფორმები ნანარმოები ჩანს ანმყოს უსუფიქსო ფუძისაგან: ბორგ-ს – ბორგ-დ-ა. აქედან უნდა იყოს მიღებული შემდგომ ალ პრევერბიანი სრული ასპექტის (ვნებითი გვარის) ფორმა – ალ-ბორგ-დ-ა (ალბორგდა კარაული იგი და გარდამოაგდო იგი ქუეყანად, კიმ. 1, 33720). ეს ფუძე ვნებითის პარალელურ –ნ-არიან წარმოებასაც ავლენს – ალ-ბორგ-ნ-ა (უფროსლა ალბორგნა, ხანძთ. ზთ 24).

ჰ-შუენ-ი-ს ზმნის ნამყო უნყვეტელია ჰ-შუენ-ოდ-ა. ნამყოს ფუძე -ოდ სუფიქსიანია, მაგრამ სრული ასპექტის (ვნებითის) ფორმა აქედან გან-შუენ-ოდ-ა კი არ არის, არამედ გან-შუენ-დ-ა (სასულ. მთ 67). გან-შუენ-დ-ა-ს მიხედვით უნყვეტელი ჰ-შუენ-დ-ა სახისა უნდა აღდგეს, ხოლო ანმყოს ფუძე ჰ-შუენ-ს სახისა.

ორძ-ი-ს ზმნის ნამყო უნყვეტელი ძველ ქართულში არ არის დადასტურებული (\*ორძ-ოდ-ა ან \*ორძ-დ-ა). სრული ასპექტის (ვნებითის) ფორმები ასეთია: ალ-ორძ-ნ-დ-ა (კეთილად ალორძნი, შატბერდო, ხანძთ. ოგ 16), ალ-ორძ-ინ-დ-ა (რაისა-მე ალორძინ-და ჰასაკი ესე სიყრმითგან, კიმ. 1, 14327). -ნ -ინ სუფიქსის თაობაზე სხვადასხვა ვარაუდი შეიძლება გამოითქვას<sup>1</sup>, მაგრამ ასეა თუ ისე, ალორძნ-დ-ა ფუძეში -დ- ამჟამად ვნებითის ნიშანია და წარმოშობით, შესაძლებელია, ისიც ნამყოს ნიშანი იყოს.

<sup>1</sup> ა) ეს -ნ→ინ ანმყოს ფუძის კუთვნილებაა ისტორიულად (\*ორძ-ინ-ს) და აქედან არის გადასული სრული ასპექტის შინაარსის მქონე ფუძეშიც: \*ორძ-ინ-ს – ორძ-ინ-და – ალ-ორძ-ინ-დ-ა. სხვა შემთხვევაში, ალბათ მახვილის გამო, ფუძისეული ი-ს რედუქცია ხდებოდა (ალ-ორძ-ნ-დ-ა).

ბ) შესაძლებელია, ეს -ნ -ინ მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძიდან იყოს გადმოყოლილი (ორძ-ი-ს, ალ-ა-ორძ-ინ-ა, ალ-ორძ-ინ-დ-ა).

გ) შესაძლებელია, გვექონოდა ორძ ფუძისაგან ნანარმოები ნ-არიანი ნამყოც ორძ-ნ-ა // ალ-ორძ-ნ-ა (მდრ. დუმ-ნ-ა // და-დუმ-ნ-ა). სრული ასპექტის ფორმაა ალ-ორძ-ნ-ა (მდრ. და-დუმ-ნ-ა), უფრო გვიან ეს -ნ ფუძისეულად იქნა გააზრებული და ვნებითის სუფიქსი -დ ისევ დაემატაო (თუმცა ამ უკანასკნელ მოსაზრებას ნაკლები საფუძველი აქვს).

**ალ-ყუავ-დ-ა** (ალ-ჰ-ყუავ-დ-ი ვითარცა მცენარწ, სასულ. რიზ 55) ფორმის მიხედვითაც შეიძლება აღგვედგინა ანმყოსთვის **\*ყუავ-ს**, ხოლო უწყვეტლისათვის **\*ყუავ-დ-ა** ფორმები.

მსგავსადვე, ზოგიერთი ზმნის სრული ასპექტის ფორმების (resp. ვნებითების) მიხედვით თითქოს შეუძლებელი არ არის აღვადგინოთ ანმყოს ისეთი ფუძეები, რომლებიც ძველ ქართულში არ არის დაცული: გან-ცვბრ-დ-ა ← \*ცვბრ-ს, ალ-შწნ-დ-ა ← \*შწნ-ს, შე-ცბუნ-დ-ა ← \*ცბუნ-ს<sup>1</sup> (←ცბ-ი-ს).

ახლა თუ აქ მოყვანილ ზმნათა სრული ასპექტის ფორმების მიხედვით აღვადგენთ ნამყო უწყვეტლისა (უსრული ასპექტისა) და ანმყოს სავარაუდებელ ფორმებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

<b>ნამყო</b> (სრული ასპექტი)	<b>ნამყო</b> (უსრული ასპექტი)	<b>ანმყო</b>
ალ-ბორგ-დ-ა	*ბორგ-დ-ა	*ბორგ-ს
გან-შუენ-დ-ა	*შუენ-დ-ა	*შუენ-ს
ალ-ორდ(ი)ნ-დ-ა	*ორდ(ი)ნ-დ-ა	*ორდ(ი)ნ-ს
ალ-ყუავ-დ-ა	*ყუავ-დ-ა	*ყუავ-ს
გან-ცვბრ-დ-ა	*ცვბრ-დ-ა	*ცვბრ-ს
ალ-შწნ-დ-ა	*შწნ-დ-ა	*შწნ-ს
შე-ცბუნ-დ-ა	*ცბუნ-დ-ა	*ცბუნ-ს
ა-ტირ-დ-ა	*ტირ-დ-ა	*ტირ-ს
(მოგვიანო ქართულისა)		
გან-ძვნ-დ-ა	*ძვნ-დ-ა	*ძვნ-ს...

იმ ზმნებს, რომელთაც ანმყოს ფუძის ნიშნებად მოუდით **-ავ, -ობ, -ებ, -ოვი** სუფიქსებით, **დონიანი** ვნებითი ძველ ქართულში ენარმოებათ როგორც გამონაკლისი (ორგულ-ებ-ს – შე-ორგულ-დ-ა, ფრინ-ავ-ს – ალ-ფრინ-დ-ა, ბრწყინ-ავ-ს – გამო-ბრწყინ-დ-ა, ზრუნ-ავ-ს – შე-ზრუნ-დ-ა). თანამედროვე ქართულში აღნიშნული ტიპის ზოგიერთ ზმნას ვნებითები გაუჩნდა (ლაღად-ებ-ს – ა-ლაღად-დ-ა, მო-ქმედ-ებ-ს – ა-მო-ქმედ-დ-ა, თავ-ჯედ-ობ-ს – გა-თავ-ხედ-დ-ა...), მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამგვარი წარმოება ერთგვარად ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს (გმინ-ავ-ს – **გმინ-დ-ებ-ა**, კისკის-ებ-ს – **კისკის-დ-ებ-ა**, ლულულ-ებ-ს – **ლულულ-დ-ებ-ა**, შრომ-ობ-ს – **შრომ-დ-ებ-ა**... თუმცა საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ დამონშებული ვნებითების ფორმათაგან ზოგიერთი II სერიის მწკრივებში უკვე ბუნებრივ წარმოებას გვიჩვენებს: ა-გმინ-დ-ა, ა-კისკის-დ-ა, ა-ლულულ-დ-ა...).

როგორც ჩანს, საშუალო გვარის ზმნებს ვნებითად მოქცევის დროს ანმყოს ფუძის ბოლოსართები (**-ავ, -ობ, -ებ, -ოვი**) არა აქვთ. აქ იგივე საკითხი ისმის, რაც **-ი** სუფიქსიან ფუძეებთან დაკავშირებით დაისვა: ა) აქაც ამოსავლად ან ანმყოს უსუფიქსო ფუძე უნდა დავუშვათ (ალ-ფრინ-დ-ა – \*ფრინ-დ-ა – \*ფრინ-ს; შე-ზრუნ-დ-ა – \*ზრუნ-დ-ა – \*ზრუნ-ს...), რაც უფრო ნაკლებ მოსალოდნელია, ან ბ) წარმოება ვნებითის ფუძეებისა, რომლებიც სუფიქსიან ანმყოს ფუძეთაგან არის მიღებული, უსუფიქსო ანმყოს ფუძეებში მომხდარი

<sup>1</sup> თუ, რა თქმა უნდა, **-უნ** სუფიქსი აქაც მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძისაგან არ არის გადმოსული.



პროცესის ანალოგიას უნდა მივანეროთ. თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი აღმოჩნდება სწორი, მაშინ, ცხადია, ანმეოსა და ნამეოს ფუძეებს ვარსკვლავები მოეხსნებოდა.

როგორც უნდა იყოს ვარაუდი აღდგენილი ფუძეების თაობაზე, საკითხის ირგვლივ მსჯელობის პოზიტიური ნაწილი ამ სახით წარმოგვიდგება:

-დ სუფიქსი უკვე ძველ ქართულში ვნებითი გვარის მანარმოებელი სუფიქსია, იგი უპირატესად გვხვდება ზმნურ ფუძეებთან, წარმოშობით ეს -დ სუფიქსი იგივე ნამეოს (უწყვეტლის) ბოლოსართი უნდა იყოს, ვნებითის ნიშნად ის მერეა ქცეული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სრული ასპექტის შინაარსის მქონე ფუძეებისაგან შესაძლებელი გახდა დრო-კილოთა სხვა ფორმების წარმოებაც (ნუხ-დ-ა – შე-ნუხ-დ-ა... შე-ნუხ-დ-ები-ს, შე-ნუხ-დ-ებ-ოდ-ა...) -დ სუფიქსის სრული სახე თავდაპირველად შესაძლებელია მართლაც -ედ იყო. ეს ვარაუდი ალბათ იმ შემთხვევაში იქნება მართებული, თუ აღმოჩნდება, რომ ნამეოს (უწყვეტლის) დ←ედ.

მაგრამ -დ სუფიქსი ძველსავე ქართულში გვხვდება არა მხოლოდ ზმნურ ფუძეებთან, იგი საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ნასახელარი ზმნების ფუძეებშიც:

გან-მწუან-დ-ა, გან-ძლიერ-დ-ა, გან-მდიდრ-დ-ა, და-ბერ-დ-ა, და-მცირ-დ-ა, გან-მწარ-დ-ა, გან-ცისკრ-დ-ა, გან-ქარ-დ-ა, აღ-მწედრ-დ-ა, გან-მართლ-დ-ა, გან-მრავლ-დ-ა, აღ-მალლ-დ-ა, და-მდაბლ-დ-ა, და-ბნელ-დ-ა, გან-ცხოველ-დ-ა, გან-შიშულ-დ-ა, გან-მხიარულ-დ-ა, და-სნეულ-დ-ა, გან-თავისუფლ-დ-ა, აღ-მოჯეჯილ-დ-ა, შე-ორგულ-დ-ა...

-დ-სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები ყოველთვის ზმნისწინიანებია (ერთი უზმნისწინო ფორმა მოჰყავს ა. შანიძეს – მწნ-დ-ა<sup>1</sup>) და ყოველთვის სრული ასპექტის შინაარსის მქონენი. ამათი უსრული ასპექტის ფორმები აგრეთვე უზმნისწინოებია, მაგრამ ანმეოში მათ ანმეოს ფუძისათვის დამახასიათებელი სუფიქსები ერთვით:

მალლ-ოვი-ნ	აღ-მალლ-დ-ა
მდიდრ-ოვი-ნ	გან-მდიდრ-დ-ა
ორგულ-ებ-ს	შე-ორგულ-დ-ა
მხიარულ-ობ-ს	გან-მხიარულ-დ-ა
მეფ-ობ-ს	გა-მეფ-დ-ა (მოგვიანო ქართულისა)

მართალია, უსრული ასპექტის ფუძეები ყველა არ არის დადასტურებული ძველ ქართულში (გვაქვს, მაგალითად, გან-ძლიერ-დ-ა, და-მდაბლ-დ-ა და ა.შ. ფორმები, მაგრამ თითქოს არ ჩანს: ძლიერ-ობ-ს, ძლიერ-ოვი-ნ, მდაბლ-ობ-ს, მდაბლ-ოვი-ნ...) და არც ყველა ასპექტის ფორმები (გვაქვს: ეპისკოპოს-ობ-ს, ჯელმნიფ-ობ-ს, ცრემლ-ოვი-ნ..., მაგრამ არ ჩანს: გან-ეპისკოპოს-დ-ა // გან-ეპისკოპოს-ნ-ა, გან-ჯელმნიფ-დ-ა // გან-ჯელმნიფ-ნ-ა, აღ-ცრემლ-დ-ა // აღ-ცრემლ-ნ-ა...), მაგრამ ასეთების აღდგენა ძველივე ქართულისათვის მორფოლოგიური კანონზომიერების ფარგლებში შესაძლებელია, თუნდაც მხედველობაში არ მივიღოთ ის ფაქტი, რომ მოგვიანო ქართულში ასეთი ფორმები უკვე სავსებით ბუნებრივია (მდაბლ-ობ-ს შდრ. თავმდაბლ-ობ-ს, გა-ეპისკოპოს-დ-ა, გა-ხელმნიფ-დ-ა, ა-ცრემლ-დ-ა...).

აქაც ორი ვარაუდი ისახება:

ა) -დ სუფიქსიანი ფუძეების მიხედვით ან უნდა აღვადგინოთ ანმეოსა და უწყვეტლის სავარაუდო ფუძეები (ასე, მაგალითად, \*მალლ-ს – \*მალლ-დ-ა – აღ-მალლ-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები..., 42.

დ-ა), რაც ნაკლებ მოსალოდნელია, რადგან ასეთ დაშვებას წინარექართულის მორფოლოგიურ ფაქტებთან მივყავართ, სუფიქსიანი ვნებითი კი, კერძოდ ქართული, მოგვიანო მოვლენაა;

ბ) ან **-დ** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები ზმნური ფუძეების სრული ასპექტის შინაარსის მქონე ფორმების ანალოგიით გაჩენილად უნდა მივიჩნიოთ (შე-წუხ-დ-ა, შე-შურ-დ-ა, მო-აკლ-დ-ა... შდრ.: გან-მდიდრ-დ-ა, გან-მწარ-დ-ა, და-ბნელ-დ-ა...). ეს ვარაუდი უფრო მართებული ჩანს. ნასახელარ ზმნებში **-დ** სუფიქსი უკვე ვნებითისაა; იგი უშუალოდ ნამყოს სუფიქსისაგან კი არ მომდინარეობს, არამედ გაჩენილი უნდა იყოს ანალოგიით და მაშინ, როცა ზმნური ფუძეების სრული ასპექტის ფორმებს უკვე ვნებითის შინაარსი ჰქონდათ შეძენილი.

**ბ) -ნ (-ენ) სუფიქსიანი ვნებითი**

ის, რომ **-დ** ვნებითის სუფიქსი წარმოშობით შესაძლებელია ნამყო დროის ნიშანი იყოს და რომ მორფოლოგიურ ფუნქციათა ასეთი მონაცვლეობა წარმოუდგენელი არ არის, ეს **-ნ (-ენ)** სუფიქსიანი ვნებითების მაგალითზედაც ჩანს.

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, **-ნ (-ენ)** ვნებითების მანარმოებლად უპირატესად ნასახელარ ზმნებში გვაქვს (გან-ლალ-ნ-ა ← \*გან-ლალ-ენ-ა; გან-მტკიც-ნ-ა ← \*გან-მტკიც-ენ-ა...), მაგრამ ძველსავე ქართულში დადასტურებულია რამდენიმე ფორმა, რომლებშიც **-ნ (-ენ)** სუფიქსი ზმნურ ფუძეებთან გვხვდება. *წუხს* და *დუმს* ზმნების უღლება, მაგალითად, ანმყოში, ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით, ასეთია:

ვ-წუხ	ვ-დუმ
ს-წუხ	ს-დუმ
წუხ-ს	დუმ-ს

ნამყოში, ერთი მხრივ, გვაქვს:

ვ-წუხ-დ-ი	ვ-დუმ-დ-ი
ს-წუხ-დ-ი	ს-დუმ-დ-ი
წუხ-დ-ა	დუმ-დ-ა

მეორე მხრივ:

შე-ვ-წუხ-ენ	ვ-დუმ-ენ
შე-ს-წუხ-ენ	ს-დუმ-ენ
შე-წუხ-ნ-ა	დუმ-ნ-ა

**დუმს** ზმნის **-ენ** სუფიქსიანი ნამყო ჩვეულებრივ უზმნისწინაა, **წუხს** ზმნისა – ზმნისწინიანი.

**-ენ → -ნ** სუფიქსი აღნიშნულ ზმნებში ვნებითობის ნიშნად არის მიჩნეული. **შე-წუხ-ნ-ა, დადუმ-ნ-ა** ფორმებისაგან ნაწარმოებია დრო-კილოთა სხვა ნაკვთები (შე-წუხ-ნ-ები-ს, შე-წუხ-ნ-ებ-ოდ-ა, შე-წუხ-ნ-ებ-ოდ-ეს... და-დუმ-ნ-ები-ს, და-დუმ-ნ-ებ-ოდ-ა, და-დუმ-ნ-ებ-ოდ-ეს...), მაგრამ თუ ანმყოსა და **-ნ (-ენ)** სუფიქსიანი ნამყოს ფორმებს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, აღმოჩნდება, რომ, **-ენ** სუფიქსი პირველ რიგში ნამყოს ფუძის მანარმოებელი ბოლოსართია: ვ-წუხ – \*ვ-წუხ-ენ – შე-ვ-წუხ-ენ (და-ვ-წუხ-ენ).

შდრ.: ვ-ნუხ-დ-ი შე-ვ-ნუხ-დ-ი  
ვ-დუმ – ვ-დუმ-ენ და-ვ-დუმ-ენ  
შდრ.: ვ-დუმ-დ-ი და-ვ-დუმ-დ-ი

ეგვევ -ენ სუფიქსი იჩენს თავს **ჰრნამს** ზმნის ნამყოშიც:

მ-რნამ-ს მ-რნმ-ენ-ა<sup>1</sup>  
ვ-ჰ-რნამ ვ-ჰ-რნმ-ენ-ი

ამ შემთხვევაში კი -ენ სუფიქსის ვნებითს ნიშნად მიჩნევა გაჭირდებოდა.

მაშასადამე, -ენ→ -ნ სუფიქსი თავდაპირველად ნამყო დროის ფუძის მანარმოე-ბელი აფიქსია.

ზოგი ზმნური ფუძე ნამყოში, -დ სუფიქსის პარალელურად, -ნ /-ენ სუფიქსსაც აჩვენებს: **აღ-ბორგ-ნ-ა** (//აღ-ბორგ-დ-ა), **აღ-ყუავ-ნ-ა** (//აღ-ყუავ-დ-ა), ზოგი კი მხოლოდ -ნ სუფიქსიანია – **აღ-ყლავ-ნ-ა**, **და-ყუდ-ნ-ა**. იგივე სუფიქსი შეიმჩნევა რამდენიმე ზმნაში, რომელთა ძირი საზიაროა სახელისა და ზმნისათვის. **ზრქ-** ძირისაგან, მაგალითად, ერთი მხრივ, ნაწარმოებია ზედსართავი **ზრქ-ელ-ი**, ხოლო მეორე მხრივ, **გან-ზრქ-ნ-ა** ზმნა (განზრქნა გული ერისაჲ ამის, მ 13, 15); **ვრც-** ძირისაგან, ერთი მხრივ, გვაქვს ზედსართავი **ვრც-ელ-ი**, ხოლო მეორე მხრივ, ზმნა **გან-ვრც-ნ-ა** (განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, სას. პოეზ. რჟ რჟა).

საფიქრებელია, რომ ნამყო დროის ფუძის ნიშანი – სუფიქსი -ნ / -ენ ზმნური ფუძეებიდან არის გადასული ნასახელარ ფუძეებში: გან-ლალ-ნ-ა, გან-ფიცხ-ნ-ა, და-გლახაკ-ნ-ა, გან-სპეტაკ-ნ-ა, გან-ჭაბუკ-ნ-ა, გან-ცრუვ-ნ-ა, გან-დიდ-ნ-ა, გან-წმიდ-ნ-ა, შე-შფოთ-ნ-ა, გან-მტკიც-ნ-ა, გან-კაც-ნ-ა. . .

**-ნ (-ენ)** სუფიქსიანი ზმნები ყოველთვის სრული ასპექტისანი არიან, მნიშვნელობითაც და ფორმის მიხედვითაც ყოველთვის ზმნისწინიანები; მათი უღლება ნამყო წყვეტილში, როგორც ცნობილია, ასეთია:

გან-ვ-ლალ-ენ  
გან-ჰ-ლალ-ენ  
გან-ლალ-ნ-ა

თუ **-ნ (-ენ)** სუფიქსიანი ნასახელარი ფუძეები ყოველთვის სრული ასპექტისაა და უზმნისწინო ფუძეები კი ძველ ქართულში არ არის დადასტურებული, მაშ როგორღა გადმოიცემოდა ამათი უსრული ასპექტი (შდრ.: ნუხ-დ-ა და შე-ნუხ-დ-ა, უყუარ-დ-ა და შე-უყუარ-დ-ა).

აქაც **-ენ** სუფიქსიანი ნასახელარ ზმნათა უსრული ასპექტის ფორმები ძველ ქართულში ზმნისწინის ჩამოცილებით კი არ არის ნაწარმოები, არამედ ფუძის მონაცვლეობით (ფუძეში სუფიქსის შეცვლით). უსრული ასპექტის ფორმები (ანმყოსი, ნამყო უწყვეტლისა) ამ შემთხვევაშიც უზმნისწინოა. **გან-ლალ-ნ-ა** ზმნის უსრული ასპექტის შინაარსის შემცველ ფორმათა უღლება, მაგალითად, ასეთია:

<sup>1</sup> ჰრნმენა ზოგჯერ უწყვეტლის მნიშვნელობით არის ნახმარი: ვ ა გრნმენა, გეყავნ შენ, მ 8, 13 (= как ты вервал).

ვ-ლალ-ოვი	ვ-ლალ-ო(ვ)-ოდ-ე	ვ-ლალ-ო(ვ)-ოდ-ი
ჰ-ლალ-ოვი	ჰ-ლალ-ო(ვ)-ოდ-ე	ჰ-ლალ-ო(ვ)-ოდ-ი
ლალ-ოვი-ნ	ლალ-ო(ვ)-ოდ-ა	ლალ-ო(ვ)-ოდ-ი-ს

სრული ასპექტის ფორმების საწარმოებლად ზმნებს ემატებათ ზმნისწინი, როგორც ეს **-დ** სიფიქსიანი ფუძეების სრული ასპექტის ფორმათა წარმოებისას შეიმჩნევა, ანმცოს ფუძის მანარმოებელი სუფიქსი ჩამოსცილდებათ და ემატებათ ნამცოს სხვა მანარმოებელი სუფიქსი **-ენ**. ძველ ქართულში **გან-ვ-ლალ-ო(ვ)-ოდ-ე** (შდრ.: ვ-წუხ-დ-ი // შე-ვ-წუხ-დ-ი) დაუდასტურებელი ფორმაა ისევე, როგორც **ვ-ლალ-ენ**, თუმცა ასეთი რამ რომ შეუძლებელი არ არის, ამაზე ვ-დუმ-ენ ფორმა მიუთითებს, ნასახელარი ზმნების უზმნისწინო ფორმები კი საერთოდ არ გვხვდება, თუ აქაც მხედველობაში არ მივიღებთ გამონაკლისს – **მჴნ-დ-ა**.

მაშასადამე, ვნებითობის **-ნ (-ენ)** სუფიქსი წარმოშობით აგრეთვე ნამყო დროის სუფიქსია. **-ნ (-ენ)** ნამყო დროის ფუძის ნიშნად თავდაპირველად ზმნურ ფუძეებში უნდა გვექონდა (ისევე როგორც **-დ** სუფიქსი), მერმე ამათთან ანალოგიით ჩანს გადასული იგი ნასახელარ ზმნებშიც.

რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ზმნურ ფუძეებში **-ნ (-ენ)** თავდაპირველად ნამყო დროის ფუძის ნიშანი უნდა ყოფილიყო და არა ვნებითისა?

ავიღოთ, მაგალითად, **დუმს** ზმნა. ამისი ნამცოს ფორმებია **დუმ-ნ-ა<sup>1</sup>**, **და-დუმ-ნ-ა**. **დუმ-ნ-ა – და-დუმ-ნ-ა** ნარიანი ვნებითის ფორმებია; ნამცოს ფორმებს ანმცოში **და--დუმ-ნ-ები-ი-ს** ფორმა შეესატყვისება, რომელიც თავისი შინაარსით დინამიკურია. მართალია, **და-დუმ-ნ-ები-ი-ს** დინამიკურია და ნამყო წყვეტილში მას აგრეთვე დინამიკური **და-დუმ-ნ-ა** შეესაბამება, მაგრამ, როგორც ერთი შეხედვითაც ნათლად ჩანს, **და-დუმ-ნ-ები-ს** ფორმა სხვა სამთან შედარებით ბოლო საფეხურს წარმოადგენს:

დუმ-ს    დუმ-ნ-ა    და-დუმ-ნ-ა    და-დუმ-ნ-ები-ს

ამიტომ **და-დუმ-ნ-ები-ს** ზმნასთან დაკავშირებული ვითარება მეორეულია. იყო დრო, როცა გვექონდა **დუმ-ნ-ა** და **და-დუმ-ნ-ა** და არ გვექონდა **და-დუმ-ნ-ები-ს**. . .

ახლა თუ **დუმ-ნ-ა** და **და-დუმ-ნ-ა** ფორმებს შევუდარებთ ერთმანეთს, ფორმათა განმასხვავებელ ელემენტად მხოლოდ ზმნისწინი მოგვევლინება. რა ფუნქციისაა იგი? მიმართულების აღმნიშვნელი რომ იყოს, ზმნისწინი ანმცოშიც უნდა გვექონდეს (და-დუმ-ს), ასეთი არ ჩანს. ზმნისწინების ცნობილ ფუნქციათაგან ერთია – ზმნის ახალი მნიშვნელობის წარმოება. აქ ასეთ შემთხვევას არა აქვს ადგილი. დარჩა ერთი ფუნქცია – ასპექტის – სრული ასპექტის გამოხატვისა (შდრ.: დუმ-ნ-ა – და-დუმ-ნ-ა). **და-დუმ-ნ-ა** ნამყო დროის სრული ასპექტის ფორმაა. სრული ასპექტის შინაარსის შემცველ ფუძეში უნდა ჰქონდეს დასაბამი ვნებითობის შინაარსს. მას შემდეგ, რაც **დადუმნა-ს** გვერდით გაჩნდა **და-დუმ-ნ-ები-ს**, **და-დუმ-ნ-ები-ოდ-ა**... ფორმები, **-ნ (-ენ)** სუფიქსის ფუნქცია – გამოეხატა ნამყო დრო – დაიჩრდილა და მასაც ვნებითი გვარის შინაარსი დაეპატრონა.

<sup>1</sup> ოთხთავის ტექსტის მიხედვით **დუმ-ნ-ა** ზმნის მნიშვნელობა ხან **დუმ-დ-ა-ა**, ხან **და-დუმ-დ-ა** (= молчал и замолчал).

\*

\*\*

როგორც უკვე აღინიშნა, ვნებიტობის მანარმოებელ სუფიქსებად ძველ ქართულში ორი ბოლოსართი გვექონდა **-დ** და **-ნ (-ენ)**. ამათგან ახალ ქართულს მხოლოდ **-დ** სუფიქსი შემორჩა. ძველი ქართულიდან რაც უფრო აქეთ მოვიწვევთ, ნათლად ჩანს, როგორ ფართოვდება კვლავ **დონიანი** ტიპის წარმოების არე, რანაირი თანამიმდევრობით ცვლის ახლა უკვე პრეფიქსიანი ვნებიტებს სუფიქსიანი ვნებიტები<sup>1</sup>.

ი-ქორნიების	<b>შდრ.:</b> ქორნილ-დ-ება
გან-ი-ნანილების	ნანილ-დ-ება
და-ი-დგინა	დადგინ-დ-ება
აღ-ი-მაღლა	ამაღლ-დ-ა
და-ი-მარილა	დამარილ-დ-ა
გან-ი-ღმერთო	გაღმერთ-დ-ა

შე-ე-რთდა	<b>შდრ.:</b> შეუერთ-დ-ა
მო-ე-ვსენა	მოვსენ-დ-ა
მო-ე-გონა	მოაგონ-დ-ა
შე-ე-შურა	შეშურ-დ-ა
გან-ე-შორა	განშორ-დ-ა
აღმო-ე-ცენა	აღმოცენ-დ-ა
მო-ე-წყურა	მოსწყურ-დ-ა
შე-ე-მშია	მოშივ-დ-ა
და-ე-მტკიცა	დამტკიც-დ-ა
აღ-ე-შენა	აშენ-დ-ა და ა.შ.

უნდა ვიფიქროთ, **-დონიანი** ვნებიტების საერთო გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში ანალოგია თამაშობს გადამწყვეტ როლს.

\* \* \*

ა. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ გვხვდება ისეთი ზმნებიც, „პირველადი ზმნები, რომელთაც მანარმოებლად **დ-ონი** აქვთ, მაგრამ ასეთი ზმნების რიცხვი ძალიან მცირეა“<sup>2</sup>. ასეთებად მას დასახელებული აქვს **გან-ტყდა** (\*გან-ტხდა), **გან-სთქდა** (\*გან-ჰთქდა), **და-ჰწსნდა**. გამოკვლევაში მოყვანილია აღნიშნულ ზმნათა შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფუძეებიც, რომელთაგან მიღებულია ვნებიტის ფორმები (გან-ტეხა, გან-ხეთქა გან-ჰეთქა, და-ჰწსნა).

<sup>1</sup> Л. М. Нозадзе, О взаимоотношении префиксального и суффиксального образования глаголов страдательного залога в грузинском языке. Автореферат работы представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, 1956, გვ., 8–9 (მაგალითებიც აქედანვე მოგვყავს).

<sup>2</sup> ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, გვ. 37.

ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები

---

თუ **გან-ტყ-დ-ა** მართლაც მიღებულია **გან-ტყ-ს** ფორმისაგან და **გან-სტყ-დ-ა** **გან-ხეთქ-ა** (\*გან-ჰეთქა)-საგან, ცხადია, რომ ვნებითად მოქცევისათვის მოქმედებითი გვარის ფუძეებში ხმოვანი ამოღებულია, გარდა ამისა ორპირიანი ზმნა ერთპირიანად არის ქცეული, ძირი გაუმარცვლოებულია.

ეს ცვლილება აგრეთვე ანალოგიით უნდა იყოს მომხდარი, მაგრამ ანალოგიით იმ ზმნებთან, რომლებშიც ზემოაღნიშნული პროცესები დასტურდება:

გან-წმიდა	გან-წმდა
მო-წყდა	მო-წყდა
ნარ-წყმიდა	ნარ-წყმდა
და-შრიტა	და-შრტა
მო-დრიკა	მო-დრკა
შე-კრიბა	შე-კრბა <sup>1</sup>
შეადარე ამათ:	
გან-ტყება	გან-ტყდა
გან-ხეთქა	გან-სქდა

---

<sup>1</sup> მაგალითები მოგვყავს ა. შანიძის დასახელებული გამოკვლევის მიხედვით.

## პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში

წარმოების მიხედვით ქართულში გამოიყოფა ვნებითი გვარის ზმნათა ორი ჯგუფი<sup>1</sup>: ერთს ვნებითის საწარმოებლად პრეფიქსები ახასიათებს, მეორეს ამავე ფუნქციით – სუფიქსები. პრეფიქსულ ვნებითს ი-, ე- თავსართები აწარმოებს (ი-მალ-ებ-ა, ე-წერ-ებ-ა...), სუფიქსურს – -დ ბოლოსართი, ძველ ქართულში -დ-ს პარალელურად – ენ (-ნ) -იც (და-ბერ-დ-ა, აღ-ყუაგ-ნ-ა...).

ვნებითის პრეფიქსული წარმოება ახასიათებს როგორც პირველად ზმნებს, ისე ნასახელარს. სუფიქსური წარმოება ჩვეულებრივია ნასახელარი ზმნებისათვის; არაიშვიათად გვხვდება პირველად ზმნებთანაც (გა-ტყ-დ-ა, და-წნ-დ-ა... გან-ვრც-ნ-ა, გან-სივ-ნ-ა...).

ვნებითის სუფიქსური ტიპი მეტად პროდუქტიულია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ახალი ზმნებისაგან ვნებითს თითქმის მხოლოდ -დ სუფიქსი აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ გვაქვს ერთი და იმავე ფუძისაგან ორგვარად – პრეფიქსით და სუფიქსით – წარმოები ვნებითები: და-ი-ჟანგ-ება // და-ჟანგ-დ-ება, მო-ე-წყინ-ება-ა // მო-სწყინ-დ-ება, და-ე-თანხმ-ება-ა // და-სთანხმ-დ-ება, ჩა-ე-საფრ-ება-ა // ჩა-უ-საფრ-დ-ება, გა-ე-ქან-ება-ა // გა-ქან-დ-ება<sup>2</sup>. . .

ამ პარალელური ფორმებიდან თანამედროვე სალიტერატურო ქართული, ისევე როგორც ცოცხალი მეტყველება, უპირატესობას სუფიქსიან ფორმებს აძლევს<sup>3</sup>. ვნებითის პარალელური ფორმები წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს პრეფიქსული წარმოებიდან სუფიქსურზე გადასვლისას<sup>4</sup>.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სუფიქსური წარმოება ახასიათებს მთელ წყებას ვნებითებისას, რომლებიც ძველ ქართულში პრეფიქსებით იწარმოებოდა. ასეთებია:

<sup>1</sup> გამოყოფენ ვნებითის მესამე ტიპსაც, ე.წ. უნიშნო ვნებითებს *თბება, შრება, დგება...* რიგისას (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953. § 358, გვ. 299; ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 9, 1942). აღნიშნულ ზმნებს ვნებითობის მანარმოებელი ნიშანი არა აქვთ და არც უნდა ჰქონოდათ. მაშასადამე, მათი ვნებითის ფორმებად მიჩნევა გაუმართლებელია (ქ. ლომთათიძე, უნიშნო ვნებითის ისტორიისათვის ქართულში: აკად. ნ. მარის სახლობის ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, 1949, თეზისები, გვ. 10–11; მისივე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 75–81; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1959, გვ. 060.

<sup>2</sup> თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ორივე ტიპის ფორმები კანონიერია.

<sup>3</sup> ზოგჯერ ამგვარად წარმოები ვნებითები მნიშვნელობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; შდრ: გა-ი-ნაზ-ება-ა // გა-ნაზ-დ-ება-ა, ე-ხერხ-ება-ა // ხერხ-დ-ება-ა, გა-ე-ხმაურ-ება-ა // გა-ხმაურ-დ-ება-ა... განსხვავებული მნიშვნელობები საფუძველს ქმნის ენაში ორივე ტიპის შენარჩუნებისათვის.

<sup>4</sup> ზოგ დიალექტში, მაგალითად, კახურში, ქართლურში თითქმის ერთადერთი წარმოებაა: გაქანდა, დასთანხმდა, მოსწყინდა...

- ი-ქორნინ-ა, შდრ. და-ქორნინ-დ-ა  
ნაშობნი ამის სოფლისანი **იქორნინებთან** და განჰქორნინებენ: ლ 20, 34  
და-ი-მარილ-ა, შდრ. და-მარილ-დ-ა  
ყოველივე შესანიშნავი მსხუერპლისა თქუენისა მარილითა **დაიმარილენ**: ლე-  
ვიტ. 2, 13  
უკუეთუ მარილი იგი ნბილ იყოს, რაჟთა **დაიმარილოს**: მრკ 9, 50  
გამო-ი-საჭურის-ა, შდრ. და-საჭურის-დ-ა  
რამეთუ არიან საჭურის, რომელნი დედის მუცლითგან იშვნეს ეგრეთ და არიან  
საჭურის, რომელნი კაცთაგან **გამოსაჭურისნეს**: მ 19, 12  
შე-ი-ერთ-ა, შდრ. შე-ერთ-დ-ა  
რამეთუ **შეერთნეს** ჴმანი წინაჲსწარმეტყუელთა და მამამთავართანი: სასულ.  
პოეზ. ნგ 154-155  
ამას დღესა **შეერთნეს** ჴეცისა და ქუეყანისანი ერთობით ქებად შენდა: კიმ. I, 187, 34  
შე-ი-მზად-ა, შდრ. შე-მზად-დ-ა  
ჭურჭელნიცა მაშინ **შეიმზადნეს**, რაჟამს ებრძანა ერთად შეკრებაჲ ნყალთაჲ:  
ექუს. 44, 16  
შე-ი-ზავ-ა, შდრ. შე-ზავ-დ-ა  
შეიყუარენ სასძეურნი შენნი უფროჲს ღვნისა, არაჟთუ რომელი იგი **შეიზავების**  
ქრისტჳს მიერ, არამედ იგი, რომლითა წინაჲსწარ მთრვალობით დასულება ნოვე:  
იპოლ. კა 17  
და-ი-მეგობრ-ნ-ეს, შდრ. და-მეგობრ-დ-ნენ  
ფრიად **დაიმეგობრნეს** ურთიერთას ზაბილოვან და პატრეაქი: მოქც. 739, 18  
ი-მოყურ-ნ-ეს, შდრ. და-მოყვრ-დ-ნენ  
და **იმოყურნეს** ჴეროდე და პილატე მას დღესა შინა, რამეთუ წინა მტერ იყვნეს  
ურთიერთას: ლ 23, 12  
აღმო-ე-ცენ-ა, შდრ. აღმო-ცენ-დ-ა  
ხოლო თქმულ არს ცეცხლისა ამისათჳს, ვითარმედ **აღმოეცენების** საბერველ-  
თაგან ეფესტოჲსთა მთასა რომელსამე ჴედა: ელინთ. 3ო, 5  
არა ბრძანა, რაჟთა თესლი და ნაყოფი ერთბამად **აღმოეცენოს**, არამედ რაჟთა  
**აღმოეცენოს** და დაამნუანოს ქუეყანაჲ: ექუს. 55, 3  
აღ-ე-შენა, შდრ. ა-შენ-დ-ა  
მისსა იკონომოსობასა **აღეშენა** მონასტერი: ცხ. ეფთჳმ. 84, 3  
კუალად ნიკოლ-წმიდაჲ. . . მათითავე საჭმრითა **აღეშენა**: ათონ. 256, 10  
და-ე-მკვდრ-ა, შდრ. და-მკვიდრ-დ-ა  
სულსა შინა უკეთურსა შიში ღმრთისაჲ არა **დაემკვდრების**: ზარზმ. 165, 12  
წარვიდეს მარტოჲ უდაბნოდ და **დაემკვდრის**: სახისმეტყ. 49, 7  
და-ე-ნეს-ა // გან-ე-ნეს-ა, შდრ. და-ნეს-დ-ა  
ადგილსა, რომელსა **დაენესის**, არღარა განეშოროს ვიდრე სიკუდიდმდე: სწავ. 242, 19  
და განენესა, რაჟთა მიუკლებელად სამი კანდელი ენთებოდის: ათონ. 301, 3  
და-ე-მტკიც-ა // გან-ე-მტკიც-ა, შდრ. და-მტკიც-დ-ა  
პირითა ჩჩვლთათაჲ ქებაჲ **დაემტკიცებოდა**: წარტყ. კვ 20  
მეყსეულად **განემტკიცნეს** ფერჴნი მისნი და კოჭნი: მოციქ. 16, 7



- აღ-სრულ-ა, შდრ. ა-სრულ-დ-ა  
მაშინ **აღსრულებოდა** თქმული იგი: იპოლ. ნბ. 5  
სიტყუა იგი მოციქულისა ჩუენ შორის **აღსრულოს**: ხანძთ. იდ 57  
გან-ე-მზად-ა, შდრ. გა-უმზად-დ-ა  
დღეს **განემზადების** ქუაბი მისთვის: სასულ. პოეზ. ათ 10  
რამეთუ პირუტყუთა საზრდელი **განემზადა**: ექუს. 50, 19  
შე-ე-შურ-ა, შდრ. შე-შურ-დ-ა  
**ემურებოდა** რაქელ დასა თვსა და ჰრქუა იაკობს: მეც მე შვილი: დაბად. 30, 1  
კაცი ვინმე აღძრვითა ეშმაკისათა **შეეშურა** ბერსა ვისმე და აღუდგა მტერად:  
კიმ. I, 240, 11  
მო-ე-ჯსენ-ა, შდრ. გა-ახსენ-დ-ა  
ხოლო ღვინის მნესა მას არა **მოეჯსენა** იოსებ, არამედ დაავიწყდა: დაბად. 40, 23  
**მოეჯსენა** მას ტყუეობა იგი ძეთა ისრაელისათა: ნარტყ. მვ 5  
მაშინ **მოეჯსენა** ამირა მუმლსა და ჰრქუა: ურპ. 337, 18  
მო-ე-გონ-ა, შდრ. მო-ა-გონ-დ-ა  
უნინარჯს მშობელთა ჩემთა **მომეგონე**: კიმ. I, 12, 30  
**მოეგონა** მამასა მისსა ჟამი იგი: C ი 4, 53  
შე-ე-მში-ა // მო-ე-მში-ა, შდრ. მო-შივ-დ-ა  
ხოლო მონაფეთა მისთა **შეემშია**: C მ 12, 1  
**შეემშია** ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა: დაბად. 41, 55  
**მომემშიოს**, რაჲ ვჭამო მისგანი, ფრიად შემანუხებს: ასურ. 183, 29  
მო-ე-წყურ-ა // შე-ე-წყურ-ა, შდრ. მო-ს-წყურ-დ-ა  
დიდისა მის სიცხისაგან ფრიად **მოწყურა** ნეტარსა საბას: კიმ. II, 147, 2  
ვითარცა მიიწინეს უდაბნოსა მას ურწყულსა, **მოწყურა** მათ ფრიად: ასურ. 151, 16  
**შეწყურა** ერსა მას წყლითა და დრტვნიდა მუნ ერი იგი მოსესთვის: გამოსლვ. 17, 3  
გან-ე-შორ-ა, შდრ. გა-შორ-დ-ა  
ან დაღაცათუ ჯორციითა **განგეშორები**, ხოლო სულითა მარადის შენ თანა ვარ  
შენვენად შენდა: ხანძთ. ოგ 22  
ვითარცა ნუთ ერთ **განვეშორე** მათგან, ნარვიდეს: იპოლ. ნბ 2  
შე-ე-ერთ-ა, შდრ. შე-უ-ერთ-დ-ა  
უკუეთუ შენ ეზიარო წმიდასა ამას საყდარსა, ყოველნი შემოგუეერთებიან: კიმ. I, 83, 25  
განჰვლენ ცანი კრეტსაბმელითა ჯორცთათა და **შემეერთენ** ჩუენ: სასულ. პოეზ.  
ტთ 43  
**შეერთა** ძუალი ძულსა და ძარღვ ძარღუსა: კიმ. I, 246, 34  
შე-ე-ნანევრ-ა, შდრ. შე-უ-ნანევრ-დ-ა  
რომლისა წამლისა ჯუმევითა კულად **შეენანევრა** ეგე მკლავსა შენსა: დამასკ. 156, 13  
და-ე-მეგობრ-ა, შდრ. და-უ-მეგობრ-დ-ა  
სხუანი ვინმე მოვიდეს და **დაემეგობრნეს** მათ: სომხ.-ქართ. ლიტ. ურთ., 17.  
როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დასახელებული ვნებთების თავისებურებას შე-  
ადგენს ის, რომ მათ თანამედროვე სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოება ახასია-

თებთ<sup>1</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ სალიტერატურო ქართულს აქვს ტენდენცია პრეფიქსული წარმოების ვნებითი სუფიქსურით შეცვალოს, სუფიქსიანი ვნებითი გააბატონოს<sup>2</sup>.

აღნიშნული ფაქტი გარკვეული დასკვნის გამოტანას გვაძლავს იმ ვნებითების მიმართ, რომლებიც ძველ ქართულშივე მხოლოდ სუფიქსური წარმოებით არის ცნობილი. მაგრამ სანამ ამას შევხვებოდეთ, გავითვალისწინოთ ქართულის სხვა მონაცემები და დანარჩენი ქართველური ენების ჩვენება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სუფიქსური წარმოების ნაცვლად ვნებითის პრეფიქსული ფორმები დასტურდება XIII–XVIII სს. ძეგლებში; მაგალითად:

გა-ე-კვირვ-ა, შდრ. გა-უ-კვირ-დ-ა

ქუმსი განყრა: „როსტომს აქებთ, **მეკვირვების** მეტად მია“: შაჰნ. 3582, 1

**ეკვირვებოდა** სიტურფე მჭვრეტელთა ვაჭართ მირისა: შვიდ. 914, 2

შე-ე-პირ-ა, შდრ. შე-ჰ-პირ-დ-ა

რომე აქათ არ ნახვიდე, შენ თუ ამას **შემეპირო**: ვ. ტ. 112, 1

ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად, . . . **მეპირებიან** და ჯერ არა ჩანს რა: იესე, 94, 18

და-ე-ლონ-ა, შდრ. და-ლონ-დ-ა

მეფე ტარიას ქებასა დაჰკრთების, **დაელონების**: ვ. ტ. 699, 3

ესე მესმა, **დაველონე**, ჭირი უფრო გამიჭირდა: ომაინ. 100, 1

და-ე-ყოვნ-ა, შდრ. და-ყოვნ-დ-ა

ერთი თუე მუნ **დამეყოვნების**: ვისრამ. 157, 2

**დაეყოვნების**, ნასულა ჯერეთ ცოტაი ხანია: ვ. ტ. 1241, 4

და-ე-ჭირ-ა, შდრ. და-ს-ჭირ-დ-ა

მე რა **დამეჭირების** ეგეთი, რომელ შენებრსა გუარიანსა... მოვაცთუნებდე: ვისრამ. 72, 5

ოდეს კაცსა **დაეჭიროს**, მაშინ უნდა ძმა და თვისი: ვ. ტ. 773, 4

<sup>1</sup> ამ ზმნათა უმრავლესობას ძველ ქართულშივე მოეპოვება სუფიქსით ნაწარმოები ფორმებიც: შდრ: შეშურდა (ათონ. 92, 27), აღმოცენდა (ათონ. 70, 23), დაყოვნდებოდა (მრავალ. 271, 21), დასრულდების (ექუს. 4, 22), განმტკიცნა (ასურ. 18, 1), აშენდა (ათონ. 267, 20)...

<sup>2</sup> ამ დებულებას ვერ არღვევს ვნებითის ის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ძველ ქართულში დასტურდება და ზემოაღნიშნული მოვლენის საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს. ესენია: გან-ჴსნ-დ-ა, შდრ. გა-ი-ჴსნ-ა

**განჴსნდეს** საკრველნი იგი, რომლითა დამოეკიდა: კიმ. I, 141,

31; შდრ. ყოველთა კრულეზანი **განიჴსნეს**: მოციქ. 125, 26

გან-ნმდ-ნ-ა, შდრ. გა-ი-ნმინდ-ა

მეყსეულად **განნმდნა** იგი კეთროვანებისა მისგან: D მ 8, 3;

შდრ. **განინმიდენით** და იყვენით, რამეთუ ნმიდა ვარი მე: ლევიტ. 11, 44

გან-ყინ-დ-ა // შე-ჴ-ყინ-დ-ა, შდრ. გა-ი-ყინ-ა

**განყინდეს** რაჲ სისხლი, შეიცვალების იგი ჴორცად: ექუს. 92, 9

განიჴნეს ნყალნი, **შეჴყინდეს** და დადგეს: გამოსლვ. 15, 8; შდრ.

**განიყინის** იგი და შეიცვალის სიმტკიცედ ქვისად: ექუს. 88, 18

მოსალოდნელი იყო, რომ ახალ ქართულს ამ პარალელური წარმოების ვნებითებიდან თუკი ერთ-ერთი შერჩებოდა, ეს სუფიქსური ვნებითი იქნებოდა. სინამდვილეში კი პირიქით გვაქვს: თანამედროვე სალიტერატურო ქართულმა მხოლოდ პრეფიქსიანი ფორმები იცის. მაგრამ ამგვარი მაგალითები ძველ ქართულში მცირეა (შესაძლოა სუფიქსიანი ფორმები არც ძველი სამწერლობო ენისათვის ყოფილიყო ჩვეულებრივი) და საერთო სურათს ოდნავადაც ვერ ცვლის.

და-ე-ჩემ-ა, შდრ. და-ს-ჩემ-დ-ა  
ესეც დიდი საკვირველებაა, რომ სწეულება არა **დამეჩემა** რა: იესე, 82, 28–29  
გა-ე-ოც-ა, შდრ. გა-ოც-დ-ა  
რომე დავყავ წელინადი, თვე თორმეტი, **გამეოცა**: ვ. ტ. 1526, 1  
და-ე-პირისპირ-ა, შდრ. და-უ-პირისპირ-დ-ა  
ორნივე ლაშქარნი **დაეპირისპირნეს** ერთმანერთსა: ვისრამ. 22, 5  
და-ე-ცქირ-ა, შდრ. და-ა-ცქერ-დ-ა  
**დაეცქირა**, გაიცინა, მონადირისა მახესა გაბნული იყო: ქილ. 409, 3  
სულ ყველა ვერ გავსინჯე, მარტო შობას **დავეცქირე**: მოგზ. 36, 11  
და-ე-ბერ-ა, შდრ. და-უ-ბერ-დ-ა  
ვარდი ახლად იფურჩქნების, მე ყვავილი **დამებერა**: ვ. ტ. 1526, 1  
გა-ე-მნარ-ა, შდრ. გა-უ-მნარ-დ-ა  
ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე **გამემნარნეს**: იქვე, 112, 1  
შე-ე-ძაგ-ა, შდრ. შე-ს-ძაგ-დ-ა  
ვისიც სიტყვა იამება, შენცა უქო, თვარა უძაგო, არ **ეძაგება** და შენ გაცრუვდე:  
სიბრძნე სიცრ. 68, 2  
ამა მიზეზითა ნუთუ დედა-წულთ ზრუნვათაგან თავი **შეეძაგოს**: ქილ. 263, 30  
სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სუფიქსური წარმოების ნაცვლად  
ვნებითის პრეფიქსული ფორმები დასტურდება XIX–XX საუკუნის ძეგლებშიც:  
ა-ე-ფოფხ-ა, შდრ. ა-ფოფხ-დ-ა  
წისქვილის კარებს მიადგა, **აეფოფხა**, ქურდობას ჰბედავდა: ვაჟა, VI, 234, 13  
ჩა-ე-ნაოჭ-ა, შდრ. ჩა-უ-ნაოჭ-დ-ა  
დედაბერს ტანჯვისაგან მთლად ჩანაოჭებული სახე ხან გაეშლებოდა ოდნავ და  
ხან უფრო **ჩაენაოჭებოდა**: შ. არაგვ. I, 45, 13  
და-ე-გუბ-ა // მო-ე-გუბ-ა, შდრ. და-უ-გუბ-დ-ა  
საფლავის ქვას დაშტერებოდნენ და ეტყობოდათ, ორივეს ცრემლები **ეგუბებოდათ**:  
შ. არაგვ. II, 38, 24  
ხმა ჩაუნყდა, ველარ-რა სტქვა, **მოეგუბა** თვალში ცრემლი: ილია, I, 192, 2  
გა-ე-მკლავ-ა, შდრ. გა-უ-მკლავ-დ-ა  
მარტოდაც **გაემკლავება**: შ. არაგვ. I, 362, 25  
შე-ე-სისხლხორც-ა, შდრ. შე-უ-სისხლხორც-დ-ა  
უბე-კალთები და თქვენი თხემი **შაესისხლხორცა** ჩემ გულ-გონებას: ვაჟა, I, 198, 36  
და-ე-ძმობილ-ა, შდრ. და-უ-ძმობილ-დ-ა  
სულხანს კიდევაც ვაქებ და კიდევ **ვეძმობილები**: ბაჩანა, 513, 23  
განა მე ის გითხარ, ქისტებთან დაიჭირე ზავიო, ურჯულოს **ეძმობილეო**: ვაჟა, V, 416, 24  
თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინდივიდუალური წარმოშობისა და ხელოვნური  
წარმოების ცალკეულ მაგალითებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ დასახელებული  
ფორმები ცოცხალი, ხალხური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მათი  
წარმომშობი წყარო დიალექტებია. ამას მოწმობს დიალექტების ჩვენება.  
ქართული ენის დიალექტებში დასტურდება ვნებითის პრეფიქსული წარმოება  
ზოგ ისეთ ზმნასთან, რომელსაც სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოება ახა-  
სიათებს, მაგალითად:

- ჩა-ი-შაქრა, შდრ. ჩა-შაქრ-დ-ა  
მემრე მზიდან რო ავილებთ (ლეღვს), შავინახამთ, ცოტა ჩაიშაქრება  
ჩალაგებული: ა. მარტ. და გრ. იმნ. კახ. დიალექტი, ტექსტ., 53, 10  
და-ე-ჭირა, შდრ. და-ს-ჭირ-დ-ა  
ჩემთან არ გინდ სიმამაცე, ა იქ გეჭირების, რო თავზე ფლასნ დაგხურნეს: ბ. გაბ.  
ჯეგს., 137, 10  
და-ე-ჟანგა, შდრ. და-უ-ჟანგ-დ-ა  
კარგა მოყურე ხანჯარსა, ეჟანგებოდა წვერია: ა. შან. ხეგს. პოეზ., 455, 25  
და-ე-ცქირა, შდრ. და-ა-ცქერ-დ-ა  
რა ლამაზია, როდესაც ვაჟი ქალს დაეცქირება: ივ. ხორნ. ფშავ., 211, 14  
ერთი დღეი იდგა და ეცქირებოდა აი უმფროსი მოსამსახურე ქალი : ჟ. ნოდ.  
აჭარ., 18, 15  
ჩა-ე-ბარა, შდრ. ჩა-ბარ-დ-ა  
შენსავით მალე მაჩვენა, ვისაც შენ ჩაებარები: ს. ებრალ. ქიზიყ., 162, 5  
სახლო, მოგიკვდეს ამგები, ვისაც შენ ჩაებარეა: ივ. ხორნ. ფშავ., 224, 5  
გა-ე-თხოვა, შდრ. გა-თხოვ-დ-ა  
ებედი არ გავეთხუები, სიტყვას გირივი გულითა: იმერხევ., 49, 13  
იგი ადრე გეეთხუა: მ. ძიდ. გურ.  
და-ე-ფეთა, შდრ. და-ფეთ-დ-ა  
იმ გოგოს შემოეთვალა, შენ ბიჭო, ჩემო ნეფეო, ქორნილს ნუ დააგვიანებ, მე  
შენთვის დავეფეთეო: პ. უმიკ. ხალხ. სიტყვ., 389, 22  
გა-ე-ჭენა, შდრ. გა-ჭენ-დ-ა  
რო გავეჭენე ზედან და დავყვირე ვალლაჰი, მე შემეშინდა იმ ზმისა: ჯ. ნოდ.  
აჭარ., 25, 7  
გადახტა წინ მელამ და გეეჭენა: მ. ხუბ. აჭარ., 35, 5  
შე-ე-მშა // მო-ე-მშია, შდრ. მო-შივ-დ-ა  
ერთ სოფელში შეემშა და უნდა საჭმელი: ვ. კახ. აჭარ., 37, 19  
მე მივალ სახლში, მომემშია: მ. ცინც. კირნ.-მარად. მეტყვ., 13  
გა-ე-ჯავრა, შდრ. გა-ჯავრ-დ-ა  
იმ გოშპარაჲ გეეჯავრა: არნ. ჩიქობ. ქიზიყ., 75  
იყმათ კიდენ გეეჯავრ: თ. უთურგ. თუშ., 10, 9  
როგორც მოვიდეს, ძალიან გაეჯავრა: შ. ძიდ. გლოლ., 10  
გა-ე-ბრაზა, შდრ. გა-ბრაზ-დ-ა  
გამებრაზა, რატომ მექცევა იგრე-თქო: ნ. აბეს. კახ.  
ამგვარად, ვნებითის ისტორიულ ასპექტში განხილვა გვიჩვენებს, რომ ნყება  
ვნებითებისა, ძველ ქართულში რომ პრეფიქსით იწარმოება, თანამედროვე სალი-  
ტერატურო ენაში სუფიქსური წარმოებისაა. სალიტერატურო ქართულის სუფიქ-  
სური ვნებითების ნაცვლად პრეფიქსული ფორმები გვხვდება XII–XX საუკუნეთა ძეგ-  
ლებში, ასევე – ქართული ენის დიალექტებში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> როგორც ვნახეთ, ასეთი ვნებითების რიცხვი საკმაოდ დიდია. საყურადღებოა ისიც, რომ მათი უმრავლესობა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებს წარმოადგენს.

ეს იმას ნიშნავს, რომ სალიტერატურო ქართულს ახასიათებს სუფიქსური ვნები-  
თების გაბატონების ტენდენცია. იგი ვნებითის პრეფიქსული და სუფიქსური წარმო-  
ბიდან უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს. ასეთ პირობებში ბუნებრივი ჩანს სა-  
კითხი დაისვას იმ ვნებითების მიმართაც, რომელთა მხოლოდ სუფიქსური წარმოებაა  
ჩვენთვის ცნობილი<sup>1</sup>: ხომ არ ახასიათებდათ მათაც თავდაპირველად პრეფიქსები?

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა უპირველეს ყოვ-  
ლისა თვით ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინება<sup>2</sup>, რასაც მხარს უჭერს სხვა  
ქართველური ენების ჩვენებაც.

მეგრულ-ჭანურისა და სვანურისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა ვნებითის  
პრეფიქსული წარმოება<sup>3</sup>.

ამგვარად, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს დღემდე შენარჩუნებული აქვს ის  
მდგომარეობა, რომელიც ქართულისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი  
გარკვეულ პერიოდში.

თუკი ქართულში ვნებითის საწარმოებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო  
მხოლოდ პრეფიქსები, მაშინ რით ავხსნათ ამავე ფუნქციის მქონე სხვა რიგის ნიშნე-  
ბის **-ენ**, **-ედ** სუფიქსების არსებობა? რა მიმართება უნდა ვივარაუდოთ პრეფიქსული  
და სუფიქსური წარმოების ვნებითებს შორის?

საფიქრებელია, რომ ვნებითის სუფიქსური ტიპი ქართულში გარკვეული  
დიალექტური წრის მონაცემია.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ XII–XX სს. ძეგლებსა და ქართული ენის  
დიალექტებში დასტურდება სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნათა ფორმე-  
ბი ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც თანამედროვე სალიტერატურო ქართული პრე-  
ფიქსულ წარმოებას მიმართავს.

XII–XVIII სს. ძეგლებიდან საამისო ნიმუშებია:

გა-ლიმ-დ-ა, შდრ. გა-ე-ლიმ-ა

**გალიმდის**, ძონი გააპის, კბილთაგან ელვა კრთებოდა: ვ. ტ. 1337, 2

ყრმამან ოდნად მოილხინის, ბაგე გახვნის, **გა-ცა-ლიმდის**: შვიდ. 416, 1

გამო-მგ ზავრ-დ-ა, შდრ. გამო-ე-მგ ზავრ-ა

(რამინ) **გამომგ ზავრდა** მისითა მოყუართა და ლაშქრითა: ვისრამ. 315, 23

<sup>1</sup> მხედველობაში გვაქვს ვნებითები: განდიდნა, ალყუავნა, განკაცნა, განთავისუფლდა, განცკფრ-  
და, მოუძღურდა...

<sup>2</sup> სადაც იქორწინების, აღუშენების, აღესრულების, მოეგონების, მოენყურების. ფორმებია, იქ  
განიდიდების, განიკაცების, განიკვფრების... ფორმებსაც უნდა მოველოდეთ.

<sup>3</sup> ღონიან ვნებითის მეგრულ-ჭანურში ქართულიდან შესულად მიიჩნევენ (არნ. ჩიქობავა, ჭანურის  
გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 114).

სვანურში **ი-/ე**-იანი ვნებითების ნამყო ძირითადის ფორმებში გამოვლენილი **-ენ**, **-ან**, **-ან**, **ან** სუფიქსებისა  
და **ენ**. ფუძედრეკად ზმნათა ანმყოს **-ენ** (**-ე**) სუფიქსის ვნებითის ნიშნად მიჩნევას დაბრკოლება ახლავს:  
დასახლებული სუფიქსები რომ ვნებითის მანარმოებელი ნიშნები იყოს, ისინი უნდა გვექონდეს დრო-  
კილოთა ყველა ფორმაში. აღნიშნულისა და სხვა საბუთების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-  
ენ** სვანურში არ უნდა იყოს ვნებითის მანარმოებელი ნიშანი, იგი სხვა წარმოშობის აფიქსია (გ.  
მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, სადისერტაციო  
შრომის ავტორეფერატი, 1953, გვ. 15; შდრ. G. Deeters, das kharthwelische Verbum, 1930, 205-206; არნ. ჩიქობავა,  
Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик: იბერიულ-კავკასიური ენათ-  
მეცნიერება, II, 1948, გვ. 64.

- მო-ს-ძალ-დ-ა, შდრ. მო-ე-ძალ-ა  
ესე ძიძამან არ იცოდა, თუ ვისის გული ექცა და **მოსძალდა** მიჯნურობა: ვისრამ. 78, 35  
მო-ს-ნონ-დ-ა, შდრ. მო-ე-ნონ-ა  
**მოგწონდების** დამნახველთა თმა მეღნისა და გიშრისა: თეიმ. I, 122, 81  
შე-ჰ-ფერ-დ-ა, შდრ. შე-ე-ფერ-ა  
ხელმწიფისა შვილი არის, **შეჰფერდების** ჩვენთან ჯდომა: ომან. 132, 4  
ა-ბაძ-დ-ა, შდრ. მი-ე-ბაძ-ა  
მეც მათ **ავბაძდიო**, ეს სოფელი გაუშვიო: მოგზ. 47, 4  
და-ზარ-დ-ა, შდრ. და-ე-ზარ-ა  
წყალსა და წყაროს შეხედავ და თვალის მოსხლეტა **დაგზარდება**: იქვე, 24, 16  
და-მონმ-დ-ა, შდრ. და-ე-მონმ-ა  
ჩემთა **დამონმდი** ნათქვამთა წყნარად, არ სიტყვა ცქაფითა: ომან. 366, 4  
XIX-XX სს. ლიტერატურიდან:  
გა-თოშ-დ-ებ-ა, შდრ. გა-ი-თოშ-ებ-ა  
ის თანდათან **თოშდებოდა**, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა: ა. ყაზბ. II, 253, 25  
გა-ტვრინ-დ-ა, შდრ. გა-ი-ტვრინ-ა  
ბატკანსაც ეტყობოდა, იამებოდა და **ტვრინდებოდა** და სიამოვნებით იზმორე-  
ბოდა: თ. რაზიკ. 239, 23  
მახარე სწრაფად მიიმალა ბუჩქებში და **გატვრინდა**: შ. არაგვ. II, 371, 17  
გა-ყინ-დ-ა, შდრ. გა-ი-ყინ-ა  
გონება შესდგა, **გაყინდა**, კაცმა ვერ გასძრა ხელია: ა. ყაზბ. III, 244, 33  
გულმა ღრღნა დამინყო, სისხლი ძარღვებში **გამიყინდა**: ილია, II, 103  
გა-უ-ჯიბრ-დ-ა, შდრ. გა-ე-ჯიბრ-ა  
უნდა დაგანახვა, ეს და-ძმა რომ **გაუჯიბრდებიან** ხოლმე ერთმანეთს არითმეტი-  
კაში: ნ. ლომ. 76, 38  
სეტყვა, ჭქვა-ქუხილი, ელვა-ქარიშხალი და ყოველის მხრიდან მოვარდნილი  
ნიაღვრები. . . ერთმანეთს **უჯიბრდებოდნენ**: ნ. ლომ. 137, 35  
გა-უ-ლიმ-დ-ა, შდრ. გა-ე-ლიმ-ა  
მას ლაპარაკში სახე **უღიმდებოდა**, **უღიმდებოდა** შავი კუპრსავით თვალეები: ა.  
ყაზბ. I, 199, 1  
კონიას სახე ბოროტად შეუთამაშდა, **გაუღიმდა** ამ სიტყვების გაგონებაზე: ე.  
ნინ. 36, 26  
და-ნან-დ-ა, შდრ. და-ე-ნან-ა  
თითქო მას (მზეს) **ნანდება** ქვეყნიერება, თითქო მას **ნანდება** მდევვივით ცათამ-  
დინ თავმიბჯენილი მთანი: ა. ყაზბ. III, 561, 12  
**დანანდა** მეღანას ნუგეშო, დანანდა და გულმდულარედ ატირდა: ა. ხოშტ. 33, 34-35  
შე-უ-ხუთ-დ-ა, შდრ. შე-ე-ხუთ-ა  
შემეშინდა, სული **შემიხუთდა**: დ. კლდ. 349, 7  
მე ვკვდები... – წარმოსთქვა გულომ და ხელახლა **შეუხუთდა** სული: ე. ნინ. 173, 9  
ჩა-უ-წვეთ-დ-ა, შდრ. ჩა-ე-წვეთ-ა

როსტომის და ანტონის სიცილი გულნატკენ მარაბდელს მაინც შხამივით ჩაუ-  
ნვეთდა: მ. ჯავახ. მარაბ., 118

დიალექტებიდან:

ქნ-დ-ა, შდრ. ი-ქნ-ა

ზოგ დღეს ხუთი, ზოგს დღეს ათი შიქალილა (ნადირობა) ქნდების: არნ. ჩიქობ.  
ვერეიდნ. 241, 29

ის ჭინჭველა რა ქნდაო? თავგსა შეუჭამიაო: პ. უმიკ. ხალხ. სიტყ., 277

შე-ფერ-დ-ა // მო-ფერ-დ-ა, შდრ. შე-ე-ფერ-ა

თუ დახვდი უსაჭურის ძეს, ქალის საქმარედ შახფერდები: ა. შან. ხევს., 759, 6  
ქოროღლის ერთი ჰემე ვიცი, ქართულა სულ არ მოფერდება ის და ჰაიდე: მ. ხუბ.  
აჭარ., 27, 5

შე-ხათრ-დ-ა, შდრ. შე-ე-ხათრ-ა

რო მუდამ შენთან ყოფნითა არვისგან შამხათრდებოდა: ივ. ხორნ. ფშავ., 200, 1

ა-უ-ხილ-დ-ა, შდრ. ა-ე-ხილ-ა

(ზანზარამ) თავი დას უთხრა: შენ იქით იყურე ეხლაო, მე თვალები ამიხილდებო  
და არ შეგეშინდესო: ა. მარტ. და გრ. იმნ. კახ. ტექსტ., 160, 6

მო-ა-ჩვენ-დ-ა, შდრ. მო-ე-ჩვენ-ა

ვარდის ფერათ მაჩვენდები, როგორც გამსილი მთვარეო: ჯ. ნოდ. აჭარ., 114, 15

ზე და მთვარეთ მაჩვენდება, ჩიტი მგონია მერცხალი: მ. ხუბ. აჭარ., 42, 18

ანგელოზათ მომაჩენდი, რომ გადაგარე თვალები: ჯ. ნოდ. აჭარ. ტექსტ., 67, 9

მო-ს-ნონ-დ-ა, შდრ. მო-ე-ნონ-ა

ყველა ხალხს რო მოსნონდება, მოა და შენ ნუ მოქნონდება: იქვე, 61, 3-4

ბიჭიზა გოგოს ამეირჩევს დედაა, თუ მოსნონდება: შ. ძიძ. ქობ., 202

ერთხელ ვიხილე, ბატონო, მომნონდა (მომენონა) შენი სახეო: ჯ. ნოდ. აჭარ., 114, 14

უ-ახლ-დ-ა, შდრ. ე-ახლ-ა

ლევანმა და ალექსანდრემ შემოჰყარეს პირი პირსა, იახლეს თან მსახურები,  
ყვენს კარზე უახლდესა: პ. უმიკ. ხალხ. სიტყვ., 122, 2 (ხევი)

შე-ს-ნირ-დ-ა, შდრ. შე-ე-ნირ-ა

ნეტა ეს ჩემი ქარვასლა ახლა ვის უნდა დარჩესა ... ოდეს სინსილა განყდება,  
ემიადინს შესნირდესა: პ. უმიკ. ხალხ. სიტყვ., 121, 27

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ვნებთის წარმოებაში ისტორიუ-  
ლად გამოხატულებას უნდა პოულობდეს ორი სხვადასხვა დიალექტური წრე, ერთს ვნები-  
თის საწარმოებლად მხოლოდ პრეფიქსები ახასიათებდა, მეორე ამ ფუნქციით სუფიქსურ  
წარმოებას იყენებდა. მათგან პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე  
დროს არქაული ფენის კუთვნილება ჩანს. ეს ფენა აკავშირებს ქართულს სხვა ქართველურ  
ენებთან, სუფიქსები შედარებით ახალი ფორმაციისა უნდა იყოს<sup>1</sup>. -ენ, -ედ ვნებთის მანარ-  
მოებელი ნიშნებით ქართული სხვა ქართველური ენებისაგან განცალკევებით დგას.

<sup>1</sup> ვნებთის მანარმოებელი სუფიქსები ახალი ფორმაციისად მიაჩნია ივ. ქავთარაძეს (ზმნის  
ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 310-311) და გ. მაჭავარიანს  
(ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, სადისერტაციო შრომის ავ-  
ტორეფერატი, 1953, გვ. 15).

*ლელი ბარამიძე*

**ვნებითი გვარის ზმნათა  
ანმეოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში**

ცნობილია, რომ გრამატიკული გვარი ქართულში შედარებით გვიან ჩამოყალიბებული კატეგორიაა. ამიტომ ზოგ ცვლილებას, რომლებიც ამ მხრივ მოხდა ენაში, შეიძლება თვალი გავადევნოთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან წარიღობით ძეგლებში. განსაკუთრებით შეიძლება ეს ითქვას ვნებითის შესახებ, რომელიც ქართულში მდიდარია ფორმებით.

ვნებითი გვარის შესახებ არაერთი გამოკვლევა დაწერილა, რომლებშიც განხილულია მასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი. ამჟამად გვინდა შევეხოთ ვნებითის I სერიის თემის ჩამოყალიბების საკითხს. ვგულისხმობთ დინამიკურ ვნებითს.

ვნებითი ქართულში მჭიდრო კავშირშია მოქმედებითი გვარის ფორმებთან. „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა. თანაც ცოტაა ისეთი ვნებითი ზმნები, რომელთაც სათანადო მოქმედებითი არ მოუპოვებთ“ [1], § 346). ამის გამო მიაჩნიათ, რომ ვნებითი გვარის ფორმები არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა ([1], § 346). აქედან გამომდინარეობს ის სიახლოვე, რომელიც ამ ორი გვარის თემათა შორის გვაქვს. მსგავსება მეტია ძველ ქართულში, სადაც ისტორიული კავშირი მოქმედებითსა და ვნებითს შორის უფრო ნათელია, ვიდრე ახალ ქართულში. ძველ ქართულში დაიწყო და დღემდე გრძელდება პროცესი, რომელიც მიმართულია ვნებითი გვარის ფორმათა უნიფიკაციისაკენ, რაც ამავე დროს ინვესს ვნებითის სხვა გვარის ფორმებთან დაპირისპირების ზრდას.

I სერიის თემის ერთ-ერთი, ყველაზე გავრცელებული, განმასხვავებელი საშუალება არის თემის ნიშანი. ხშირ შემთხვევაში თემის ნიშანი არის ზმნათა სხვადასხვა გვარის ფორმათა დაპირისპირების საშუალება. ვნებითს არ გააჩნია საკუთარი თემის ნიშანი, ე.ი. ისეთი, რომ მოქმედებითში არ იხმარებოდეს ([1], § 466). მაშასადამე, ვნებითში უნდა გვექონდეს (მოსალოდნელია, გვექონდეს) იგივე თემის ნიშანი, რაც შესაბამის მოქმედებითშია, რადგანაც ვნებითისათვის მოქმედებითი გვარის ფორმებია ამოსავალი<sup>1</sup>. ძველ ქართულში ძირითადად ეს ასეც არის, რამდენადაც ამის საშუალებას ენა იძლევა. წესი დარღვეულია მხოლოდ მაშინ, როცა მისი დაცვა ფორმათა დამთხვევას, არევის გამოიწვევდა. მაგრამ ამასთან ერთად ძველ ქართულშივე არის ჩასახული ის ცვლილებები თემის ნიშანთა თვალსაზრისით, რომლებიც ახალ ქართულში გვაქვს.

მოქმედებითი გვარის ზმნათა I სერიის თემა, რომელსაც ვნებითი ეყრდნობა, უთემისნიშნოა, ან თემის ნიშანი დაერთვის. უთემისნიშნო, ანუ მარტივ-თემიან ზმნებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1. ერთ-თემიანი ზმნები და 2. ხმოვან-მონაცვლე,

<sup>1</sup> იგულისხმება პრეფიქსიანი ვნებითი, სუფიქსიანი ვნებითის მიმართება შესაბამის მოქმედებითთან სხვაგვარი უნდა იყოს ([2], 37): [3].



ანუ ე.წ. ფუძედრეკადი ზმნები. თემის ნიშნებად კი, როგორც ცნობილია, გვხვდება **ი, ავ, ამ, ემ, ებ, ობ, ოფ, ევ** აფიქსები.

ვნებითში მეორდება, გადადის ყველა თემის ნიშანი, გარდა **ი-ნისა**, რომელსაც **ებ** ენაცვლება. ამასთან **ებ** თემის ნიშანივე უჩნდებათ მარტივ-თემიან ზმნებს, ყველას – ერთ-თემიანებსაც და ხმოვან-მონაცვლეებსაც. რატომ არ გადაჰყვა **ი** ვნებითში, როგორც თემის ნიშანი და რატომ შეიცვალა ზმნის თემა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში საერთოდ? მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ვნებითის ანმყოფ ფორმები ამ შემთხვევაში დაემთხვეოდა მოქმედებითის II სერიის ზოგიერთ ფორმას. საქმე ისაა, რომ დინამიკურ ვნებითს ან-მყოფი ფუძის ბოლოს ახასიათებს **ი** ხმოვანი (ითხოვებ-ი-ს, იმაღვ-ი-ს, ითქუმ-ი-ს და მისთ.) და მარტივ ფუძეზე ამ **ი**-ს მირთვით მიღებული ფორმა სავსებით დაემსგავსებოდა სათავისო ქცევთან II ხოლმეობითს: შეიმოსს (იგი მას), შეიმოს-ი-ს (მან იგი) და: შეიმოს-ი-ს (იგი).

ვნებითის ფორმის, აგებულების ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა საყურადღებოა არა მხოლოდ თვით ვნებითის ისტორიის გასარკვევად; ბევრჯერ აქ თავს იჩენს მოქმედებითი გვარის ფორმათა განვითარების გზებიც. ამდენად, ორივე გვარის ფორმები ურთიერთსაკონტროლო საშუალებად გამოგვადგება.

ძველ ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედებითის თემის ნიშნები ჩვეულებრივ დაცულია ვნებითში, მაგრამ ძველადვე შეინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია, რომელიც გამოიხატება **ებ** თემის ნიშნის გამოყენების არის გაფართოებაში.

ძველი ქართულის ვითარების გასაცნობად ვნებითი გვარის ზმნებს განვიხილავთ თემათა მიხედვით და, რამდენადაც საშუალება გვექნება, მათ დავუპირისპირებთ მოქმედებითის შესაბამის ფორმებს<sup>1</sup>.

## პრეფიქსიანი ვნებითი

### 1. ერთ-თემიანი და ხმოვან-მონაცვლე ზმნები

ჩვენს ხელთ არსებული მასალა ძირითადად ერთ-თემიანი ზმნებია. ორიოდ-ზმნაა ხმოვან-მონაცვლეთაგან. რადგან ორივე ჯგუფი ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს, მათ ერთად განვიხილავთ.

ამ ტიპის ზმნებს, როგორც ითქვა, მოქმედებითში თემის ნიშანი არ აქვთ.

ვნებითში კი მათ დაერთვის **ებ**, რომელსაც მოსდევს **ი**. ეს **ი**, რომელიც დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა ბოლოში გვაქვს, ამჟამად გაგებულა როგორც მწკრივის ნიშანი ([1] § 467), თუმცა ისტორიულად, როგორც ცნობილია, მას სხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

**ბანს<sup>2</sup>**: და *დაჰბანდა*<sup>1</sup> ცრემლითა, ბოლნ. 13, 10. რომელი-იგი *იბანებინ*, სინ. 186, 31; *განიბანების* იგი, სნავ. 54, 29; ყოველი ერი. . . *განიბანებოდეს*, მოქც. 109, 4.

<sup>1</sup> მოქმედებითის ფორმა მოცემული ვნებითის სრული შესატყვისი შეიძლება ყოველთვის არ იყოს, მაგ., პირიანობის ან ქცევის მიხედვით, მაგრამ ასეთი რამ დასაშვებად მივიჩნიეთ, რადგან თემის ნიშნები ერთია.

<sup>2</sup> ამა თუ იმ ფუძეს, ჩვეულებრივ, რამდენიმე ზმნისნინი დაერთვის, ყველას მითითება აქ არ მოხერხდება.

**ჭეუემს:** ნუ *მგუემ* მე, მრ. 5, 7 C. ბოროტად *ვიგუემები*, ევსტ. 40, 40; *იგუემების* ეშმაკისაგან, ხანძთ. 292, 4.

**ითხოვს:** არა *ითხოვს* იგი ნიჭთა, სწავ. 173, 23; *ითხოვების* ჩემგან, ექუს. 133, 21. რომელი უფროსად *მეთხოვების*, სწავ. 228, 19.

**დაჰკეცს:** *დაიკეცებინ* იგი ზურგსა ზედა წყლისასა, კაც. აგ. 146, 11.

**მოჰკუეთს:** ნუცალა *ნარჰკუეთნ* სასოებასა, ისტ. ქრ. 11, 19, 28. *მოიკუეთების* ყოველი ნებაჲ, ჯავ. აღნ. 79, 22; *განიკუეთების* იგი, გამოცხ. 15, 2 თ; *მოეკუეთების* თავი წინაწარმეტყუელსა მას, სინ. 210, 19; თავი *ნარმეკუეთების*, ევსტ. 44, 30.

**დაჰლენს:** *დაჰლენდეს* ბრძოლისა მახვლითა, ბოლნ. 40, 6. ძუალნი ჩემნი *დაილენებიედ*, ისტ. ქრ. 11, 83, 6; *დაილენებოდიან* შიშისაგან, სწავ. 124, 16.

**შეიმოსს:** *შევიმოს* ჴელით წერილსა შენსა, ლიმ. 75, 3. *იმოსები* ძონეულითა, ბოლნ. 69, 5; ძაძითა *იმოსებინ*, სწავ. 72, 21; *შეიმოსების*, ექუს. 46, 38.

**შეჰრაცხს:** თქუენთა თანა *შეჰრაცხ*, კოსტ. 172, 22. ყოველივე. . . *შეირაცხების*, ეფრ. მც. 96, 14; ექუს. 76, 3; *შევირაცხებით*, ფს. 43, 23. ნუმცა ლოცვაჲ შენი ცოდვად *შეგერაცხების*, სწავ. 10, 24; *შეერაცხების*, ლიმ. 70, 17; სინ. 37, 5; იქვე 37, 9.

იშვიათად ამ ზმნის მოქმედებითს ძველ ქართულშივე დაერთვის თემატური სუფიქსები, ესენია **ავ, ებ:** ნუ *შემრაცხავ* მე ცოდვილთა თანა, ფს. 27, 3 C; ნუ *შემრაცხებ*, იქვე, C. შდრ. *შემრაცხ*, იქვე, E. ეს აისახა ვნებითშიაც: ლოცვად *შეგერაცხვის*, ჯავ. 124, 4, ქვ.

**ჰრეკს:** კბილნი *ერეკებიედ*, სინ. 119, 6; მუჴლნი მისნი *ერეკებოდეს* ერთმანეთსა, ისტ. ქრ. 11, 91, 24.

**მიჰფენს:** *მიჰფენს*, ეფრ. 87, 1; *განჰფენს*, ბოლნ. 8, 21. ჭემმარიტებაჲ ყოველსა სოფელსა *მიეფინების*, სინ. 234, 28; ასევე: ხანძთ. 317, 27; *მიეფინებოდა*, მოქც. 155, 16; *მოეფინების*, ბოლნ. 65, 1 ქვ; ზარზმ. 320, 6.

**ქსოვს:** რომელი *იქსოვების* სულისაგან, ბოლნ. 39, 16; *მოიქსოების*, იქვე, 46, 20.

**დასწერტს:** *დავინერტებოდით* აქავე შურითა მათითა, სწავ. 31, 6.

**დასწნეს:** იგი *დასწნეს* საწნახელსა მას, გამოცხ. 19, 15. სადა სინმიდისა ტევანი არა *დაიწნებინ*, ბოლნ. 35, 8.

**აღსწონდა:** *აღსწონდა*... საქმეთა თვსთა, ბოლნ. 10, 25; ყოველი სასწორითა *იწონებოდა*, ხანძთ. 277, 11. ახალ ქართულში მოქმედებითს ფორმას ი დაერთვის: *წონის*.

**ჭამს:** ყოველი საჭმელი, რომელი *იჭამების*, ლევიტ. 11, 34; *შევიჭამებით* ურთიერთას, სწავ. 266, 27.

**განხერხებს:** *განიხერხებოდეს* გულითა მათითა, საქმე 7, 54.

**ხუეტს:** გუერდნი მათნი. . . *იხუტებოდეს*, სინ. 258, 10.

**მოჰხუეჭს:** უსამართლოდ *მოჰხუეჭენ* მრავალთა, სწავ. 307, 30, მონაგები მათი *მიიხუეჭების*, იქვე, 134, 21.

**აღწოცს:** *აჰწოცა* ჰრომთა ერსა? სინ. 252, 4; *აღმოვჰწოც*, ლიმ. 17, 17. სარწმუნოებითა *აღიწოცებიან* ცოდვანი, სწავ. 55, 2.

<sup>1</sup> ქვემოთ ყველგან ჯერ მოქმედებითს მოვიყვანთ, შემდეგ – ვნებითს ფორმებს, ოღონდ სიმოკლისათვის არ მივუთითებთ. ვნებითი, სადაც ორივე მოგვეპოვება, ჯერ ი-ნიანი იქნება მოყვანილი, შემდეგ – ე-ნიანი.

მარტივი უნდა ყოფილიყო **თეს** ფუძეც, მაგრამ მას ძველსავე ქართულში აქვს დართული **ავ**, რომელიც ვნებითშიც იჩენს თავს: ნუ **დასთესავ**, სინ. 48, 21; რომელი **ითესვის**, ლევიტ. 11, 37; **დაითესვის**, ბოლნ. 18, 5. ახალ ქართულში კი სხვა **ავ**-იანთა მსგავსად ამასაც **ებ** დაემატა: **ითესება**.

ერთ-თემიანთა უმრავლესობას ახალ ქართულში დაერთო სუფიქსი **ავ** ([1] § 451): თიბ-ავ-ს, კაფ-ავ-ს, კეც-ავ-ს, ლენ-ავ-ს, შემოს-ავ-ს, აღრიცხ-ავ-ს, ჭედ-ავ-ს, ხერხ-ავ-ს, ამოხოც-ავ-ს და მისთ. შესაბამისად შეიცვალა მათი საწყისიც: თიბვა, კაფვა, დაკეცვა, გალენვა, შემოსვა, აღრიცხვა, ჭედვა, ხერხვა და სხვა. ვნებითში ეს ცვლილებები არ ასახულა, ის ძველებურად **ებ** აფიქსიანია: შემოს-ავ-ს – შემოს-ვ-ა, მაგრამ: შემოს-ებ-ა; თიბ-ავ-ს – თიბ-ვ-ა, მაგრამ: თიბ-ებ-ა...

**ავ** სუფიქსი დაერთო ზოგიერთ ხმოვან-მონაცვლე ზმნასაც, მაგრამ აქ ის ისე გავრცელებული არაა, თანაც მათ გვერდით იხმარება ძველი ფორმებიც ([1] § 452). ვნებითში ისევ **ებ** გვაქვს: დაშრეტს (ევაგრ. 224, 24), შდრ. ახ. ქ. დაშრეტს – დაშრიტავს, მაგრამ: დაიშრიტება.

## 2. ი თემის-ნიშნისანი ზმნები

როგორც აღინიშნა, თემის ნიშანი **ი** ვნებითში არ გადაჰყვება, მის ადგილას ვნებითი გვარის ფორმებში გაჩენილია **ებ** ([1] § 467).

**წარჰგზავნ-ი-ს**: წარიგზავნებოდა იერუსალჰმდ, ლ. 13, 22.

**სდევნ-ი-ს**: წარსდევნის მჭურვალეზასა მისსა, ევაგრ. 224, 24; *სდევნიდეს*, აბო 76, 5. ან ამის იუდასგან *ვიდევენები*, სინ. 242, 31; *იდევნები*, ზედ. 210, 19; *იდევნების*, სინ. 204, 24.

**ზრდ-ი-ს**: *მზრდის* ჩუენ ღმერთი, სწავ. 145, 11. მნუანვილიცა *იზარდების*, კაც. აგ. 176, 13; *იზარდები*, სწავ. 25, 5. *იზარდებიან*, ექუს. 112, 9.

**დათხრ-ი-ს**: კედელი დაითხარებოდა, სინ. 223, 14.

**ჰმწყისი**: რომელი *ჰმწყის* ისრაელსა, ფს. 79, 2. ასპიტნიცა ნელითა სიტყვთა დაიმწყსებიან, სინ. 214, 14.

**განჰწყუნ-ი-ს**: შუენიერება *განირყუნების*, სწავ. 91, 23; *განირყუნებინ*, ფს. 56, სათ.

**დასჯ-ი-ს**: მე არა *ვსჯი* მას, ი. 12, 47 c სასოებისათჳს. . . მე *ვისაჯები*, საქმე, 23, 26; შენ *დაისაჯები*, ბოლნ. 43, 6; *დავისაჯებით*, სწავ. 95, 1; იშვიათად ფუძე შეკუმშულია: გარე *ისჯებოდიან* წორციითა, გარეჯ. 234, 9.

**აღფხურ-ი-ს**: *იფხურიდენ* თმათა, ისტ. ქრ. 69, 28; ბჭენი ქალაქისანი *აღიფხურებოდეს*, ბოლნ. 85, 11.

**შლ-ი-ს**: სპეც. ლიტერატურაში მითითებულია *შლის* და *შლავეს* [4], [5], [6]. მართლაც, ერთი მხრით, გვაქვს: ნუვის *უშლავეთ*, სიგ. მღ. (ქრესტ. 95, 24), მეორე მხრით: ნუვინ ჯელჰყოფთ *შლასა* (იქვე, 94, 26; 96, 15), რომელიც ამოსავლად გულისხმობს *შლის* ფორმას. ვნებითი ჩვენი მასალის მიხედვით **ებ-იანია**. შეთხზულება ესე ცხოვრებისა ჩუენისაა დლითი-დლედ *დაიშალების*, სწავ. 252, 24. სავარაუდოა, რომ **ავ-იანი** ფორმა შედარებით გვიანდელია.

**სჭრ-ი-ს**: *დაჰშჭრიდეს*, ისტ. ქრ. 103, 6. *განიჭრებოდა* ტკივილისა სიმძაფრითა, ზარზმ. 243, 3; *დაიჭრებოდეს*, ხანძთ. 261, 11. რომელთა-იგი ასონი *მოეჭრებიედ* მახვლითა, სწავ. 68, 23.

**მიჰვდ-ი-ს:** ან წინდსა მიმჰდია? სინ. 27, 8. სასჯელი მიგეჰადების, ლიმ. 59, 13; მიგეჰადებოდა. სინ. 12, 7; სიტყუაჲ მიგუჰეჰადებოდის, სწავ. 15, 22.

**ასევეა:** ქენჯნის – იქენჯნებოდეს (იობ. 5, 4); ლულარჭნის – ილულარჭნებოდეს (ისტ. ქრ. 91, 25); მიაყრის – მიყრებოდა (მოქც. 148, 4); განხრნის (ფს. 57, სათ.) – განიჯრნების (სწავ. 158, 25; ლიმ. 96, 25); გამომცდით (მ. 22, 18) – გამოიცადების (სწავ. 275, 24); განიცადებოდა (ბოლნ. 19, 6 ქვ.); აღჰჰსნით (მრ. 11, 5), დაჰჰსნიან (სწავ. 243, 9) – იჰსნების (სწავ. 81, 30), განიჰსნების (სინ. 74, 29), დაიჰსნების (ექუს. 107, 25)...

ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილს გარკვეული თავისებურება ახასიათებს ძველ ქართულში: მათი საერთოდ კუმშვადი ფუძეები ვნებითში უკუმშველად იხმარება ([4] 204), ([5] 48). შეკუმშულია ხოლმე მოქმედებითი, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ I სერიაში: ზრდის, სჯის, დათხრის და მისთ. ([5] 48): ზემოთ წარმოდგენილ მასალაში ასეთია: იზარდების (შდრ. ახ. ქ. იზრდება), დაითხარების, დაისაჯების, დაიშალების, გამოიცადების, გარდაიჰადების...

### 3. ავ-იანი ზმნები

ყველა **ავ-**იანი ზმნის ვნებითი ახალ ქართულში **ებ-ი** დაბოლოებაზე გადავიდა და მივიღეთ ასეთი დაპირისპირება: მოქმედებითში **ავ** თემის ნიშანი გვაქვს, ვნებითში – **ებ. ებ** დაერთო არა უთემისნიშნო, არამედ **ავ-**იან ფუძეს. ეს **ავ** შეკუმშული სახით ზოგჯერ შემონახულია ფუძეში: დაიხვნება, დაიწვნება (შდრ. დანწავს). მოყვანილ ფორმებში **ავ** გადასმულია, მაგრამ ეს ხდება არა ყოველგვარ ფუძეში, არამედ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, შდრ. რგ-ავ-ს – ირგ-ვ-ება. მაშასადამე, აქ სუფიქსთა მონაცვლეობა კი არა გვაქვს, არამედ ფუძის ახალი სუფიქსით გართულება ხდება.

ძველ ქართულში **ავ-**იანი მოქმედებითის შესაბამისი ვნებითი ძირითადად აგრეთვე **ავ-**იანია, ოღონდ **ავ** შეკუმშულია: **ავ→ვ**. მას მოსდევს დინამიკური ვნებითისათვის საერთოდ დამახასიათებელი ბოლოკიდური **ი**: შესთხზ-ავ-ს – შეითხზ-ვ-ის, დაჰკლ-ავ-ს – დაიკლ-ვ-ის, განიკითხ-ავ-ს – განიკითხ-ვ-ის, შეჰკრ-ავ-ს – შეიკრ-ვ-ის, მალ-ავ-ს – იმალ-ვ-ის, ფარ-ავ-ს – იფარ-ვ-ის. . .

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ძველ ქართულშივე საკმაოდ ხშირად გვხვდება **ებ** დართული ფორმებიც: იკითხვის – იკითხვების, მოიკითხვის – მოიკითხვების, აღმოიკითხვის – აღმოიკითხვების, დაიშალვის – დაიშალვების, გამოისახვის – გამოისახვების, დაიწუნვის – დაიწუნვების, იხილვის – იხილვების. . .

ზოგიერთ შემთხვევაში **ებ-**იანი ფორმა ვნებითში ჩვეულებრივია, ამოსავალი **ავ-**იანი ფორმა კი ან იშვიათია, ან კიდევ თითქოს არ ჩანს. ასეთებია: იხილავს – იხილვების, ლოცავს – ილოცვების, ელოცვების, სტანჯავს – იტანჯვების, ზრახავს – იზრახვების...

ენის განვითარების გარკვეულ დონეზე თემატური აფიქსების გამოყენების არე განსაზღვრულია. ისტორიულად კი ის ცვალებადია. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ვითარება შეიძლება გვექონდეს დიალექტებშიც. განვითარების სხვადასხვა დონეთა მონაცემების შერევასთან უნდა გვექონდეს საქმე, როცა ერთსა და იმავე ზმნას დაერთვის ხან ერთი, ხან მეორე აფიქსი. დასაშვებია აგრეთვე, რომ ეს ფაქტი დიალექტური წარმომავლობისა იყოს. ძველ ქართულში გვხვდება საწყისები **წინამიგებვაჲ** (ურჰ. 323, 30) და: **მიგებვაჲ** (სინ. 149, 8; ი. 12, 13). ვნებითში **ავ** იჩენს თავს, **ებ** თითქოს არა გვაქვს: **მიგებვის**. მსგავსი ვითარებაა ზემოთ მოყვანილ **შლა** –

**შალვა** და **იშალების** ფორმებში. ასეთ შემთხვევებში ვნებითის მონაცემებს, ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაენიოს.

მოგვყავს საილუსტრაციო მასალა.

**მიგებ-ვ-აჲ:** ესე ნათესავი არავის *მიეგებვის*, ჯავ. აღნ. 239, 18; *მიეგებვიან*, სინ. 145, 25; *მიეგებვოდა*, საქმე, 10, 25; *გამოეგებვოდა*, მ. 8, 34 c; მრ. 5, 2 C.

**მოზლუდ-ავ-ს:** სიტყვითა მით. . . *მოიზლუდვოდა*, სინ. 22, 24.

**დასთეს-ავ-ს:** გულის-სიტყუანი კეთილნი *დაეთესვოდეს*, ისტ. ქრ. 108, 36.

**მიითუალ-ავ-ს:** *ითუალავნ* წელთა მისთა, სწავ. 141, 25; *მიგიითუალავ*, მოქც. 11, 8. არცა ვედრებაჲ *მიითუალვის*, სწავ. 281, 12. ახალ ქართულში **ავ-**ის ნაცვლად **ი** თემის ნიშანი გვაქვს ამ ზმნაში: თვლის, მიითვლის. ფუძეც შეკუმშულია.

**დაჰკლ-ავ-ს:** *დაჰკლვიდეს*, მრ. 14, 12. რომელი *დაიკლვის*, ბოლნ. 40, 13; 41, 4. შდრ. ჩუენთვკს *დაიკლა*, აბო, 53, 1.

**მოჰკლ-ავ-ს:** *მოიკლავს* თავსა, ი. 8, 22. ყოველნი *მოიკლვიან*, სინ. 214, 7; რომელნი... *მოიკლვიან*, გობრ. 183, 7; *მოიკლვოდეს*, ისტ. ქრ. 71, 11. შდრ. *მოიკლა* მეფე იგი, ევსტ. 37, 34. ახ. ქართულში ამ ზმნას ვნებითი არ უკეთდება, გამოყენებულია სხვა ფუძე: მოკვდება.

**განიკითხ-ავ-ს:** (სწავ. 82, 25): ვდგა და *განიკითხვი*, საქმე, 26, 6; *განიკითხვის*, იქვე, 25, 8 C; სინ. 72, 12; უკუეთუ ჩუენ *განიკითხვით*, საქმე, 4, 9; *განიკითხვიან*, ჯავ. 196, 35; *განიკითხვოდა*, აბო, 78, 17.

**იკითხ-ავ-ს:** *ვიკითხავთცა*, სინ. 239, 26; *აღმოვიკითხავს*, მ. 12, 5c. სამარადისოდ *იკითხვოდინ*, ჯავ. 130, 15 ქვ.; რომელი-ესე *აღმოვიკითხვის*, იქვე, 242, 20; რომელნი *წარიკითხვიან*, ბოლნ. 6, 9.

ამათ გვერდით გვხვდება **ებ** დართული ფორმებიც: ჯუარი. . . *იკითხვების*, სინ. 233, 17; ჯავ. 1. 34; რაჟამს *აღმოვიკითხვებოდის* სახარებაჲ, სინ. 11, 24; საქმენი. . . *აღმოვიკითხვებოდიან*, სწავ. 123, 9; იქვე, 125, 29; სინ. 156, 5. *მოიკითხავთ*, ლ. 10, 4. *მოიკითხვების* სახელი მეუღლისაჲ, სინ. 38, 9.

**შეჰკრ-ავ-ს:** საკრველითა *შეჰკრავს*, სწავ. 145, 7. *შეიკრვის* ენაჲ ჩემი, ბოლნ. 33, 13; ჯავ. 133, 3; *შეიკრვიან* ეშმაკნი, სინ. 259, 1; სწავ. 150, 29; ექუს. 114, 1.

**ჰკრძალ-ავ-ს:** თავსა *ჰკრძალავს*, ვეფხ. 397, 4; კრძალვაჲ. მ. 16, 12; *განკრძალვად*, ლიმ. 105, 21; ნურარას *იკრძალვი*, ნუცა ირიდები მათდა, ხრონ. 229, 28; შდრ. ნ. ბარათაშვილის *იკრძალვის* („სული ობოლი“). მთაჲ ყოველი. . . *ეკრძალვოდა*, იოვ. და ეფთ. 92, 21; არ *მეკრძალოდა*, ვეფხ. 38, 1. . .

აქტივი **ებ** თემის ნიშნითაც გვაქვს: *განაკრძალვებს*, ეფრ. 95, 3; გამოცხ. 3, 11. თ. ძვ. ქართულში ჩვეულებრივია სწორედ ამისი პასივი: *ეკრძალვების*, სინ. 214, 22; მრ. 6, 20c.

**ულოც-ავ-ს:** *ულოცვიდეს*, ხანძთ. 260, 28. *ულოცვის* არ შეგვხვდებოდა. ხანძთას შინა *ულოცვების* ყოველთა დაფანჩულთა, ხანძთ. 260, 23.

**დაჰმალ-ავ-ს:** *დაეჰმალავ*, სინ. 174, 1. პეტრე. . . *ივლტოდა* და *იმაღვოდა*, სინ. 266, 10; ასევე: ისტ. ქრ. 77, 26; *დაიმაღვოდა*, ფს. 56, სათ.

**ებ** სუფიქსიანი: რომელნიმე *ივლტოდეს* და *დაიმაღებოდეს*, ისტ. ქრ. 101, 34.

**დაჰმარხ-ავ-ს:** *დაჰმარხვიდა*, ლ. 2, 19c. *დაიმარხვის*, ექუს. 40, 32.

ასევე: გამოჰკუერავს – გამოიკუერვის (იობ. 28, 2); დაჰწერგავს (სინ. 246, 31) – და-  
წერგვის (ბოლნ. 18, 6); შეჰრთავს – შეერთვი (სწავ. 150, 28), მოერთვინ (კაც. აგ. 168,  
27), შთაერთვიან (ექუს. 102, 28); შეჰმუსრავს (ჯავ. 105, 15 ქვ.) – შეიმუსრვინ (სწავ. 117,  
14; სინ. 52, 28); შეჰმსჭულავს – შეიმსჭულვინ (სინ. 119, 7); გან-, მოიპარავს – განი-  
პარვის (სწავ. 253, 3), მოიპარვიან (ჯავ. 233, 5), გამოიპარვიან (იქვე 233, 6); რწყავს  
(იატ. ქრ. 17, 36) – ირწყვოდა (ხანძთ. 273, 11; იქვე, 282, 11); დაჰფარავს (სინ. 173, 36) –  
მეფარვი (იობ. 13, 24), დაეფარვის (სწავ. 111, 14; ლიმ. 100, 13); დაჰფლავს (სწავ. 225, 1)  
– დაეფლვი (სინ. 88, 33); გამოსახავს (გამოცხ. 6, 3) – გამოისახვის (ბოლნ. 31, 7; იქვე,  
60, 3 ქვ.); მოსრავს (ფს. 77, 34) – მოისრვოდეს (სინ. 252, 1; ბოლნ. 85, 9 – 10); გან-  
სტვნავს (საქმე 7, 59) – განიტვნვოდეს (სწავ. 129, 22); დაჰფარავს (სინ. 173, 36) – დაიფარ-  
ვის (სწავ. 9, 19), იფარვინ (სინ. 192, 10); შეიძერწავს – შეიძერწვის, შეიძერწვიან (ჯავ. 105,  
15 ქვ.); განსძარცუავს (სწავ. 180, 22) – განეძარცუვოდა (სინ. 258, 7), მოეძარცუვის (იქვე,  
75, 24); აღსძრავს (სინ. 38, 3) – იძრვის (კაც. აგ. 150, 8; ლევიტ. 11, 14), აღიძრვის (სწავ.  
164, 25), შეიძრვი (ლიმ. 91, 28); შეინირავს (სწავ. 100, 5) – შეინირვის (სწავ. 83, 3; ხანძთ.  
290, 39); დასწუავს (სწავ. 184, 31) – დაინუვინ (იქვე, 140, 28), დაინუვიედ (იქვე, 68, 24);  
შესწუავს (ხანძთ. 269, 8) – შეინუვინ (ფს. 9, 23; იობ. 30, 17); სწყლავს (ეფრ. 88, 11) – იწყ-  
ლვოდეს (სინ. 135, 26), მოვიწყლვოდით (სწავ. 76, 3); შეჰჭურავს – შეიჭურვოდა (ტირიჭ.  
187, 38), აღიჭურვოდა (ზედ. 209, 10); გამოჰხატავს (სინ. 116, 1) – გამოიხატვის (ბოლნ.  
31, 7); დაჰჰშავს (გამოცხ. 3, 7 თ) – დაიჰშვის (იქვე 3, 8 თ), დაიჰშვიედ (სწავ. 60, 11).

**ავ-**იან ზმნათა ერთი ნაწილის **ებ** დართული ვარიანტები იქვე მოვიყვანეთ. ასეთი  
ფორმები მოეპოვებათ სხვა ზმნებსაც. მაგალითად: დაეფარების (სწავ. 135, 30); ირ-  
წყვებინ (ზარზმ. 320, 4; გარეჯ. 239, 21), ირწყვებოდა (ილ. ქართვ. 10, 33), ირწყვებო-  
დეს (ზარზმ. 335, 26; 334, 29); გამოისახების (ბოლნ. 64, 6); იტვრთების (სინ. 175, 2);  
ინუების (ჯავ. 133, 10), დაინუები (სწავ. 73, 12), დაინუების (ექუს. 50, 18; ჯავ. 192, 3;  
სწავ. 246, 7), დაინუებოდა (ლიმ. 120, 31), დაინუებოდეს (სწავ. 14, 26), დაინუებოდის  
(სწავ. 93, 26; ისტ. ქრ. 96, 14), დაინუებოდით (ისტ. ქრ. 79, 17); შეინუების (იობ. 16,  
17; გამ. 3, 2), შეინუებოდი (სინ. 219, 32; იოვ. და ეფთ. 96, 11; სინ. 204, 26), შეინუებო-  
დეს (დაბ. 43, 30; ისტ. ქრ. 43, 19), შეინუებოდეს (ევაგრ. 223, 30).

ზოგიერთი ზმნის ახალი (ებ-ით გართულებული) ფორმები უფრო ხშირად  
გვხვდება, ვიდრე ძველი. მაგ., ირწყვების, ინუების. . . ზოგჯერ კი, როგორც აღვნიშ-  
ნეთ, მხოლოდ ახალი ფორმები აღმოგვაჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ძვე-  
ლი ფორმა ტექსტებში არსად იქნება შემონახული, მაგრამ იმას კი მიუთითებს, რომ  
ახალი ფორმები გაბატონებულია. ერთი ასეთი ზმნაა *სტანჯავს* (ეფრ. 85, 21). ვნები-  
თის ფორმები საკმაოდ ხშირია და **ებ** აფიქსიანია ყოველთვის: *ვიტანჯები* (ლ. 16, 24  
DE). *იტანჯები* (იობ. 15, 11), *იტანჯების* (ბოლნ. 36, 1), *ვიტანჯებით* (სწავ. 95, 3; 95, 8),  
*იტანჯებიან* (იქვე, 51, 6), *იტანჯებოდა* (იქვე, 146, 2; 145, 5), *იტანჯებოდეს* (ხანძთ.  
229, 12) და სხვა.

**იხილავს** ზმნის ვნებითის მოსალოდნელი **ავ-**იანი ფორმა მხოლოდ ერთხელ  
შეგვხვდა: ოდეს **იხილვის** სიზრქე მწუერვალთა მისთაჲ (ექუს. 83, 4). **ებ-**იანი  
ფორმები კი ჩვეულებრივია. ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ **ავ** II სერიაშიც  
გადაჰყვა ვნებითის ფორმებს, რომ მოქმედებითს არ დამთხვეოდა: *იხილვა* (სინ. 75,  
31; ხანძთ. 292, 43; იქვე, 267, 33). შდრ. მოქმ. *იხილა*. მაგალითები: *იხილვების* (ხანძთ.

312, 19; სინ. 195, 2; სწავ. 148, 16; კაც. აგ. 160, 3; იქვე 150, 16), *იხილვებიან* (ხანძთ. 313, 17; ექუს. 60, 3; ზარზმ. 325, 15), *იხილვებოდეს* (ხანძთ. 299, 35) და მისთ.

ასევეა: *ზრახავს* – *იზრახების* (სწავ. 76, 27), *იზრახებოდეს* (სინ. 116, 40), *იზრახებოდენ* (ჯავ. 94, 16); *ლოცავს* – *ილოცვების* (ჯავ. 114, 2 ქვ.); *მამლავს* – *იმამლავების* (შდრ. იმამლვის): შინაფცა ქათამი მარადის *იმამლავებიან*<sup>1</sup> (ექუს. 112, 20); *აღმოსწავს* – *აღმოიწვევებიან* (თუალნი, სწავ. 93, 25).

ახალ ქართულში რამდენიმე **ავ**-იანი ზმნა ძველი ფორმითაც იხმარება. ერთი მათგანია *ინვის* (ასევეა ენვის, იძვრის, ერთვის და სხვ.), მაგრამ მისი გამოყენება შემოიფარგლება მხოლოდ ანმეოს წრით, მყოფადის მწკრივებში (ე.ი. სრული ასპექტის შემთხვევაში) უკვე **ებ**-ის დართვა არის აუცილებელი ([1] 457): *ინვის, ინვოდა, ინვოდეს*, მაგრამ: *დაინვება, დაინვებოდა, დაინვებოდეს*<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, თემის ნიშანთაგან ახ. ქართულში „სიცოცხლის უნარი მხოლოდ სამს შესწევს. ესენია: **ავ, ებ, ობ**“ ([1] 432). ახალ-ახალი სახელის ფუძეებისაგან რომ ზმნა ვანარმოთ, რომელიმე ამ სუფიქსთაგანი უნდა გამოვიყენოთ. თუ აქტივი **ა – ებ** აფიქსებით იწარმოება, მისი ვნებითი სუფიქსიანია ([1] 292) და, მაშასადამე, **ებ** ექნება პასივსაც: *ა-ნიავ-ებ-ს – ნიავ-დ-ებ-ა, ა-ლამაზ-ებ-ს – ლამაზ-დ-ებ-ა...*

თუ მოქმედებითი გვარის ზმნა **ავ**-ით კეთდება, მისი ვნებითი პრეფიქსიანია ([1] 292), სუფიქსად კი **ავ**-ის ნაცვლად ახ. ქართულში ისევ **ებ** გვაქვს: *დალ-ავ-ს – იდალ-ებ-ა, ცელ-ავ-ს – იცელ-ებ-ა...*

ამის მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორ ფართოვდება **ებ** თემის ნიშნის გამოყენების არე ვნებითი გვარის ზმნებში.

#### 4. ამ-იანი ზმნები

**ამ**-იან ზმნათა რიცხვი საერთოდ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება მათი ვნებითის ფორმები. ვნებითში **ამ** სუფიქსი გადაჰყვება, ოღონდ ის შეკუმშულია: **ამ→მ**.

**დასდგ-ამ-ს**: *დასდგმიდეს* ცხედრებითა, საქმე 5, 15. *დაიდგმოდეს* საგარძელნი, იობ. 29, 7. *დავადგამთ*, გამოცხ. 9,9თ. გვრგვნი *დაედგმოდა* მას, სინ. 80, 6.

**თქუ-მ-ა**: ბეთანია „სახლ მშვდობის“ *ითქუმის*, სინ. 126, 11; ასევე: ხანძთ. 290, 40; სინ. 38, 8; იქვე, 34, 7; კაც. აგ. 150, 17 და სხვ. XI ს. ერთ ხელნაწერში გვხვდება **ებ** დართული ფორმა: *ითქუმების* [7], ასევეა უფრო ადრინდელ ძეგლშიაც: ცხორებაა *აღეთქუმებოდა*, ისტ. ქრ. II, 42, 20.

**აღმოსთქუ-ამ-ს**: რაოდენი *აღმოითქუმოდის* ჩუენ მიერ, ეფრ. 85, 27. *განსთქუ-ამ-თ* (სინ. 125, 20). სარწმუნოებაა *თქუენი განითქუმის*, ლიმ. 93, 32; *განითქუმოდა* მისი იგი საკრველებაა, სინ. 144, 12. *მიმოსთქუ-ამ-ს*: და *მიმოითქუმოდეს* ყოველნი ესე სიტყუანი, ლ. 1, 65.

<sup>1</sup> ასეა. უნდა იყოს ან: ქათამი... იმამლვები, ან ქათამნი... იმამლვებიან.

<sup>2</sup> სტილისტური მიზნით გამოიყენება ზოგჯერ ახ. ქართულში **ავ**-იანი ფორმები: *იულვლის, იბრუნვის... შდრ. იულღება, იბრუნება...* მოქმედებითაა აულღებს, აბრუნებს, **ავ**-იანი ვარიანტი თითქოს არ ჩანს.

**დანთქ-ამ-ს:** ნუ დამთქამნ მე, ფს. 68, 16, წისქული. . . მეყსა შინა დაინთქმის, გამოცხ. 18, 22თ; რომელნიმე. . . დაინთქმიედ ლელვათა სიმძაფრითა, სწავ. 117, 14; დაინთქმოდეს იგინი, ლ. 5, 7; დაინთქმოდის უკეთურებაჲ, სწავ. 14, 7.

**რქუ-მ-ა:** რომელსა დარიალან ერქუმის, აბო, 58, 5; ასევე: ი. 19, 17ც; აბო 54, 1;

**განასხ-ამ-ს** (სწავ. 148, 7): ჰურიათა იგი კრებული განისხმის, სინ. 92, 17; მიისხმოდინ ვითარცა საცხოვარნი, სწავ. 16, 23; ნარისხმოდინ იგინი, იქვე 123, 2.

**დასხ-მ-ა:** ხოლო თქუენ რასალა. . . დამესხმით, კოსტ. 169, 23; დაესხმით კაცთა ზედა, ფს. 61, 47 ლ; ზედაცა დაესხმიედ მას, მრ. 3, 10ც.

**ჯუარს-აცუ-ამ-ს:** კუალად ჯუარს-ეცუმია, უფალო, სინ. 246, 22; ჯუარს-ეცუმოდა, სინ. 82, 8.

**გარდააცუ-ამ-ს:** მშკლდსა მისსა გარდაუცუამს (ფს. 7, 13). რომელი-იგი გარდაეცუმის. . . სანუთროსა, ეფრ. 88, 11.

**განუხუ-ამ-ს** მათ ბჭეთა, ეფრ. 95, 8. წიგნი იგი მატრიანთანი განუხუმოდინ, სწავ. 123, 8.

საერთო ვითარების მიხედვით **სუამს** ზმნის ვნებითი უნდა იყოს **ისუმის**. ჩვენ ხელთა გვაქვს ერთადერთი ფორმა, რომელიც **ებ** სუფიქსიანია უკვე; ყოველი საჭმელი, რომელი იჭამების... და ყოველი სასუმელი, რომელი *ისუმების*, ლევიტ. 11. 34. როგორც აქედან ჩანს, **ებ** დაერთვის **ამ** თემის ნიშნიან ფორმას: ისუ-მ-ებ-ის. შდრ. ითქუ-მ-ებ-ს.

**ამ**-იანი ზმნები სხვადა გვაქვს<sup>1</sup>: გამოაბამს (სინ. 134, 29), მოართუამს (მ. 4, 24), გარე-შეირტყამს (სინ. 9, 1), შეარწყამს (სინ. 49, 34), დაასხამს (ნელსაცხებელსა ძულთა, სინ. 258, 39), გარდაასხამს, შთაასხამს (ლელვათა ნავსა, მრ. 4, 37). წინადაუსხამს (ასოთა, სინ. 173, 34), განუსხამს (ეკალთა), დააცუამს (თავთა ძელსა, ისტ. ქრ. 103, 10), შთაიცუამს (სინ. 108, 3). სავარაუდოა, რომ ამათი ვნებითის უძველესი ფორმები ზემოთ მოყვანილთა მსგავსად იქნებოდა აგებული: გამოებმის, მოერთუმის, განესხმის...

## 5. ემ თემის-ნიშნიანი ზმნები

ცნობილია, რომ **ემ** აფიქსი აქვს ერთადერთ ფუძეს (ცემ), რომელსაც ზმნისწინთა დართვით რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული ([1] 407). ეს ზმნები ძირითადად სამპირიანია და, მაშასადამე, **ე**-ნიანი ვნებითი შეესაბამება. **ემ** თემის ნიშანი ჩვეულებრივ ვნებითშიც გადაჰყვება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკმარისია, მას აღარაფერი ემატება არც ძველს და არც ახალ ქართულში.

**სც-ემ-ს:** საიდუმლოჲ მეცემის ყურთა ჩემთა, ბოლნ. 41, 8; ყოველთა მათ ეცემინ სისურნელე, ზედ. 214, 2; ეცემოდა, სინ. 60, 18.

**აღმოსც-ემ-ს:** ერთისაგან. . . წყაროჲსა... აღმოეცემის მაღლი იგი, სინ. 17, 31; აღმოეცემიან, ექუს. 68, 11. შდრ. წყალი აღმოეცენა, სინ. 10, 14; მათთა ჩემთა გამოეცემოდა სძმ, იობ. 29, 6. ზღუაჲ იგი დასავალისაჲ. ოდესმე აღემატის და გარდაეცემინ, და ოდესმე დამდაბლდის, ექუს. 93, 30. მდინარე, რომელსა ჰრქვან ფასის, გარდამოეცემის მწუერვალთაგან კავკასიისათა, ექუს. 46, 19; გარდამოეცემოდეს... წყალნი, ფს. 77, 16.

<sup>1</sup> ეს სია, რა თქმა უნდა, სრული არაა.



ასევე: *დასცემს* (მ. 26, 31) – *დაეცემის* (ექუს. 54, 16; სინ. 74, 28; ფს. 81, 7); *მისცემს* (სწავ. 104, 9 – 10) – *მიეცემის* (ხანძთ. 282, 35; მრ. 14, 21; იობ. 21, 30) და სხვ. ეგვე ფუძე გვაქვს რთულ ზმნაში: თაყუანს-სცემს, ნუგეშინის-სცემს (გარეჯ. 239, 14), სადაც პირდ. ობიექტური პირი რთულ ზმნაში შედის და ამიტომაც ფორმა მთლიანად ორპირიანად არის ქცეული. მიუხედავად ამისა, გვხვდება მათი ი-ნიანი ვნებითიც და ე-ნიანიც: დიდად *ნუგეშინის-მეცემის*, ჯავ. 130, 18 ქვ.; მოიწსენებნ და *ნუგეშინის-ეცემის*, სწავ. 141, 1. ი-ნიანი ფორმები მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდებოდა და ჩვენი მასალის მიხედვით ებ-საც ირთავს: რომლისა მიერ *ნუგეშინის-იცემებოდის*, ზედ. 208, 32; *თაყუანის-იცემების* ძმ, სინ. 16, 8; იქვე, 134, 33; იქვე, 53, 4; ბოლნ. 16, 7, ქვ.; ზედ. 196, 12; ეშმაკი *თაყუანის-იცემებოდა*, სინ. 234, 2; 82, 4; ბოლნ. 28, 4 ქვ.

ძველად გვქონდა: სცემს – სცა (მან მას კუერთხი); ზმნა სამპირიანი იყო და ი-ნიანი ვნებითი თითქოს არ უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, ერთი პირი ზმნას ძვ. ქართულშივე ეკარგებოდა ზოგჯერ, რასაც გვიჩვენებს ვნებითის ფორმა: ჯელნი, რომელნი მან დაჰბადნა, მათგან *იცემა*, სწავ. 151, 15. მოსალოდნელი იყო: *იცა*, მაგრამ თემის ნიშანი ადრევე შეხორცებული ჩანს ფუძესთან.

ამ ზმნათა ერთი ნაწილი დაიკარგა, აღარ იხმარება, მეორე ნაწილი ისევ გვხვდება და მათ ძველი წარმოება აქვთ შენარჩუნებული.

## 6. ებ-იანი ზმნები

ებ თემის ნიშანი ძლიერ გავრცელებულია მოქმედებითში, აქედან კი – შესაბამის ვნებითში. ვნებითის ორივე პრეფიქსი თანაბრად ხშირად გამოიყენება. აქ ვნებითი უკეთდება თითქმის ყოველგვარ ზმნას. ახ. ქართულში ამ ფორმათა ერთი ნაწილი აღარ გვხვდება.

აბრალებ (სწავ. 148, 11) – ვიბრალები (საქმე 26, 7), ვიბრალებოდით (სწავ. 41, 12); ბრძანებს – იბრძანებოდა (სინ. 34, 28); მოიგებს – მოიგების (ევარგ. 225, 32; სწავ. 6, 25); აგინებნ (ბოლნ. 50, 18) – იგინების (სწავ. 29, 28), შეიგინების (ბოლნ. 38, 12); ჰგულებს – იგულების (სწავ. 175, 8); დავსდებ (ი. 10, 15) – დაიდების (სინ. 210, 22), გარდაიდების (ბოლნ. 70, 3); შთაიდებოდა (ი. 12, 6); ადიდებს – იდიდების (სინ. 15, 32; აბო 51, 25); შეაერთებს – შეიერთების (ეფრ. 81, 38; იქვე 82, 13); დაივინყებს – დაივინყების (სწავ. 91, 24; სინ. 265, 21); განაზოგადებს (კაც. აგ. 160, 16) – განიზოგების (იქვე, 164, 5); იკადრებს – იკადრებოდა (ხანძთ. 266, 18); განჰკურნებს<sup>1</sup> (სინ. 11, 33) – განიკურნების (სინ. 4, 26; სწავ. 108, 30); ჰმსახურებს (სწავ. 175, 6) – იმსახურების (საქმე 17, 25; სინ. 233, 5); მონადირებს – მონადირების (ექუს. 130, 26); ანათებს – ინათებინ (სწავ. 182, 16); ინატრებს – ინატრებიან (სინ. 92, 18); განაპებს, დაიპებს<sup>2</sup> (დაიპებდეს, ისტ. ქრ. II, 44, 22; განაპებად, იქვე, 38, 6) – განიპების (ექუს. 54, 1); ვჰპოვებს (ლ. 23, 14; შდრ. ახ. ქ. ვიპოვი)<sup>3</sup> – იპოვების (ლიმ. 39, 12; ექუს. 132, 23; იობ. 28, 13); გასნავებს (სინ. 167, 1) – ისნავების (იქვე 195, 2); მიიყვანებს (მ. 7, 14; შდრ. ახ. ქ. მიიყვანს –

<sup>1</sup> ახ. ქართულში ავ-იანია: განკურნავს; ვნებითსა და სანყისს ძველი წარმოება შემორჩათ: განკურნება, განიკურნება.

<sup>2</sup> ახ. ქართულში ამ ზმნას ობ აფიქსი აქვს აქტივშიაც და პასივშიაც: გააპობს – გაიპობა.

<sup>3</sup> ზმნისნიშნის ისევ ებ აქვს: მოიპოვებს.

მიიყვანებოდის (სწავ. 180, 9); შეიყვარებს – შეიყვარების (ჯავ. 85, 21); აჩინებს (ჯავ. 41, 16 ქვ.) – იჩინების (სინ. 234, 30) და მისთ.

**ე-ნიანი ფორმები:** დაჰბადებს<sup>1</sup> – დაებადების (სინ. 31, 18)<sup>2</sup>; შევჰვედრებ (ფს. 30, 6) – ევედრების (კაც. აგ. 156, 16); განჰზავებს – განეზავების (სწავ. 63, 4); შეეზავებიან (სინ. 212, 5); მიჰმადლებდა (ლ. 7, 21) – მიემადლების (ეფრ. 89, 1), მიემადლებოდა (შუშ. 22, 24); აღჰმართებს (ისტ. ქრ. 103, 11)<sup>3</sup> – აღემართების (სინ. 202, 32; სწავ. 110, 6); ნარჰმართებენ (ფს. 67, 18) – ნარემართების (ფს. 36, 23); ჰპოვებს<sup>4</sup> – ეპოვების (სწავ. 127, 20; ევსტ. 34, 18); აჰკურებს (სწავ. 65, 11) – ეჰკურების (გობრ. 181, 34) და სხვ.

### 7. ობ-იანი ზმნები

ახ. ქართულში **ობ-იან** ზმნებს ჩვეულებრივ ვნებითშიც **ობ** აქვთ, თუ პასივი პრეფიქსიანია. **ობ-იან** ზმნათა ერთი ნაწილის ფარდია ე.წ. უნიშნო ვნებითი, რომელსაც მხოლოდ **ებ** ახასიათებს: აღბობს – ლბება, ათბობს – თბება, აცხობს – ცხვება... საყურადღებო ვითარებაა ძველ ქართულში: გვხვდება მოსალოდნელი **ობ-იანი** ფორმებიც, მაგრამ საკმაოდ ხშირად პრეფიქსიანი ვნებითი **ობ-იანი** ზმნებისა **ებ**-ს გვიჩვენებს ამ **ობ-ის** ადგილას.

**განბჭ-ობ-ს:** სიკეთე იგი დაბადებისათვის *განიბჭობვის*, ექუს. 61, 10.

**ჰგმ-ობ-ს** (მ. 9, 3); *იგმობის* სახელი ღმრთისა ჩუენისაჲ, ჯავ. 227, 15. მაგრამ: ღმერთიცა იგმებოდა, სწავ. 137, 9; რომელი-იგი. . . იგმებოდა, ლიმ. 74, 8.

**დაათრ-ობ-ს:** ნუ *დაითრობით* ღვნითა, ზედ. 203, 35 ო ვარიანტებია: *დაითრვობით*, 4 (შდრ. დაითრვნიან, ი. 2, 10) და: დაითრობვით, რომელიც სქოლიოშია ჩატანილი<sup>5</sup>, შდრ. ნუ *დაითრვები* ღვნითა, ბოლნ. 82, 4 ქვ.

**დაალტ-ობ-ს** (ევაგრ. 218, 19): ცრემლითა *ილტობოდეს*, იობ. და ეფთ. 91, 17. ვარიანტები: *ილტობოდეს* (რამდენიმე ხელნაწერში), *ივლტებოდეს* (ერთ ნუსხაში). როგორც ჩანს, ამ ზმნის ფუძეშიაც გვქონდა **ვ**, რომლის ადგილი **ლტ**-ს შემდეგ იყო: ფერწი მათნი არა *დაილტვნეს*, ევსტ. 40, 8; *დაილტვნენ*, სინ. 64, 15.

**შეამკ-ობ-ს** (სინ. 116, 1): დღეს თაბორი. . . *შეიმკვების* ღრუბლითა ნათლისაჲთა (სინ. 191, 18).

**აღიმსთ-ობ-ს** (ფს. 62, 2)<sup>6</sup>: მოიქცევიედ და *აღიმსთობიედ*, ფს. 77, 34.

**შეიპყრ-ობ-ს:** ნუ *შეიპყრობინ* გონებაჲ შენი, ისტ. ქრ. 14, 29. შდრ. სამსა მას დღესა... ჯოჯოხეთისაგან *იპყრობებოდა*, სინ. 82, 11. აქედანაც ჩანს, რომ **ებ** სხვა თემის ნიშნებს კი არ ენაცვლება, არამედ მიერთვის მათ, ართულებს ფუძეს.

**მოსპ-ობ-ს:** (სწავ. 180, 14): *მოვისპები* მე სულითა მიმოტაცებულთა, იობ. 17, 1.

**შ-ობ-ს:** კაცი *იშვების* საღმობად, იობ. 5, 7; ასევე: სინ. 31, 18; სწავ. 31, 5 და სხვ.

<sup>1</sup> ენ-იანი ზმნების ერთი ნაწილი შინაარსით ერთპირიანია. ესენია ცნობილი „დაჰბადა“ ტიპის ზმნები.

<sup>2</sup> იშვიათად ამ ზმნას შენარჩუნებული აქვს ორივე პირის გაგება: შვილი არა მეზადების (=მიჩნდება, ისტ. ქრ. II, 86, 3).

<sup>3</sup> შდრ. ახ. ქ. აღმართავს.

<sup>4</sup> სამპირიანი არ ჩანს ტექსტებში.

<sup>5</sup> ხელნაწერი, რომელშიც გვხვდება ეს უკანასკნელი, საფუძვლად უძევს ო რედაქციას. არ ჩანს, დაითრობით ფორმა ც ნუსხაში გვაქვს, თუ გამომცემლის შესწორებაა.

<sup>6</sup> ზმნა უობიექტოა, სუბიექტი მოთხრობითში შეენწყობა.

**შეაშთ-ობ-ს** (მ. 18, 28): კაცი იგი *იშთვებინ*, სწავ. 140, 11; ეშმაკისაგან *იშთვებოდა* (ლიმ. 111, 21); *დაიშთვებოდეს* ზლუასა შინა, მრ. 5, 13 ?.

**მოუთხრ-ობ-ს** (ფს. 9, 12): დღეს. . . განცხადებულად *მოგუეთხრობის* ჩუენ, სინ. 3, 30; რომლითა *მოგუეთხრობვის* ღმერთი, კაც. აგ. 167, 21.

**დაამჴ-ობ-ს**: მთავრობაჲ მისი *დაემჴობვის*, პალ. ალბ. გვ. 208, 19; ადრე *დაემჴობვის* მეფობაჲ მისი, იქვე, 208, 29<sup>1</sup>.

**მიანდ-ობ-ს**: ნუ *მიენდვები* თავსა შენსა, სწავ. 287, 1; იქვე 304, 27.

**შეუნდ-ობ-ს** (სწავ. 40, 1): არა *შეენდობის* მათ, იქვე 40, 2; *შეენდობოდა* ბრძოლად, იქვე 309, 29; *შეენდობვოდა* შესლვად, ხრონ. 138, 26.

**მიაყრდნ-ობ-ს**: კედელსა არავინ *მიეყრდნობინ*, იოვ. და ეფთ. 70, 8; შდრ. კედელსა. . . არავინ *მიეყრდნებოდა*, ხანძთ. 266, 5.

**წყ-ობ-აჲ**: მარხვითა *გუენწყობის*, ისტ. ქრ. 40, 21. უფრო ხშირია **ებ**-იანი ფორმები: სიმდაბლესა *ენყეების* ამპარტავნებაჲ, სწავ. 70, 19; ჰბრძავნ და *ენყეებიან*, იქვე 18, 30; იქვე 108, 1; *ენყეებიან*, იქვე, 108, 26; *წინა-გუენწყეების*, ზედ. 205, 8; *ენყეებოდა*, აბო, 60, 10; სინ. 117, 38; *გუენწყეებიან*, კაც. აგ. 153, 23.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ ვნებითში **ობ**-ის მონაცვლედ თითქმის ყოველთვის გვაქვს **ებ**: იგმობის – იგმების, დაითრობის – დაითრვების, ილტობვის – ილტების, ეწყობის – ეწყების... ზოგი ზმნის **ობ**-იანი ფორმა ჩვენი მასალის მიხედვით არ ჩანს, არის მხოლოდ **ებ**-იანი ფორმები: შეიმკვების, მოისპების, იშვების, იშთვების. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ზმნის ფუძეში თავს იჩენს **ვ**, რომელიც შეკუმშული თემის ნიშანი უნდა იყოს: დაითრვები, შეიმკვების, იშთვების, მიენდვები...

ამ ვითარებაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოყვანილ ზმნათა **ობ** მეორეულია თვით მოქმედებითში. მისი წინამორბედი უნდა იყოს **ებ**, რომელიც **ვ**-ინთან ურთიერთობაში გვაძლევს **ობ**-ს. ეს ვარაუდი სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია [8], [9]. წარმოდგენილი მასალაც მას უჭერს მხარს.

იგივე **ვ** ანალოგიის გზით გადასულა **ობ**-იან ვნებითშიაც, ოღონდ გადასმულია, რადგან **ო**-ს წინ იყო მოქცეული. ზოგ შემთხვევაში კი **ვ** იკარგება, როგორც მოსალოდნელი იყო: განიბჭობვის ← განიბჭვობის, დაითრობვით ← დაითრვობით, ილტობვოდეს ← ილტვობოდეს, მოგუეთხრობვის ← მოგუეთხრვობის, დაემჴობვის ← დაემჴვობის, შეენდობვის ← შეენდვობის...

მაშასადამე, ვნებითის ჩვენება ამ შემთხვევაში მოქმედებითის ფორმათა ისტორიას გვითვალისწინებს; მასში უფრო ძველი ვითარებაა დაცული. **ობ**-იანი ზმნების ვნებითში **ობ**-ის გვერდით **ებ**-ის გამოყენება ამ თემის ნიშანთა უბრალო მონაცვლეობა არ უნდა იყოს და არც ვნებითში **ებ**-ი დაბოლოებაზე გადასვლის ტენდენციის გამოხატულება. ახალ ქართულში **ებ** ვნებითის ყველაზე გავრცელებული აფიქსია, მაგრამ **ობ**-იან ზმნებთან ის არ გვაქვს. ამასთან **ებ** გზას იკაფავს ვნებითებში არა მონაცვლეობის საშუალებით, არამედ ისე, რომ ძველ აფიქსს მიერთვის (შდრ. იპყრობებოდა).

<sup>1</sup> ხელნაწერი გვიან გადაწერილია (1661), მაგრამ მაინც შესაძლებლად მივიჩნით მისი დამონმება, რადგან თვით ეს ფორმები ძალზე საყურადღებოა.

## 8. ოფ-იანი ზმნები

**ოფ** აფიქსიც ერთ ფუძეს აქვს: **ყოფ**. ახ. ქართულში ეს ფუძე მხოლოდ ზმნისწინ-თან ერთად გვხვდება, ძველად უზმნისწინო ფორმებიც ჰქონდა: *ჰყოფს, განჰყოფს...* აქვს პრეფიქსიანი ვნებითი. **ი-**იანი ფორმები ან აქტივის მსგავსად **ოფ-**ს გვიჩვენებს, ან ამასთან ერთად ერთვის **ებ-**იც. ეს უკანასკნელი შედარებით ახალია და საერთო ტენდენციის გამომხატველია: *იყოფის – იყოფების; განიყოფის – განიყოფების... იყოფების* ფორმა ახალ ქართულში *იმყოფება-მ* შეცვალა, რომელშიც **მ** გაჩენილი უნდა იყოს მყოფი მიმღებობის გავლენით.

უპრეფიქსიანი პასივი მოქმედებითის ფუძეს იმეორებს, **ებ** აქ არ ჩანს.

**ჰყოფ-ს:** *ვიყოფვი* (ლიმ. 120, 21); *იყოფვის* (სინ. 229, 4); *იყოფვით* (ფს. 31, 9); *იყოფით* (მ. 6, 16); **ვ** შენარჩუნებულია უწყვეტელშიც, **ო-**ს წინ: *იყოფვოდა* (აბო 66, 8; ლ. 21, 37); *იყოფვოდეს* (კოლ. 184, 41).

**ვ**, რომელიც მოქმედებითიდან მოდის, ამ ზმნაშიც გადასმულია (*იყოფის იყოფვის*), ან იკარგება **ო-**ს წინ, აგრეთვე **ებ-**ის დართვის შემთხვევაში.

**ებ** დართული ფორმები არაიშვიათია: *იყოფების* (სწავ. 20, 9; იქვე, 76, 28); *იყოფებოდა* (ლიმ. 132, 32); *იყოფებოდეს* (გარეჯ. 231, 25); *გულისხმა-იყოფების* (ჯავ. 634, 8).

**უყოფ-ს:** სარგებელ *ეყოფვის* (სინ. 276, 23); *გეყოფის* (ხანძთ. 319, 2); *ეყოფინ* (იქვე, 289, 35); *ეყოფვოდა* (ლიმ. 47, 13) და სხვ.

**განჰყოფ-ს:** სული არა *განიყოფის* (სინ. 186, 16; ექუს. 84, 10; კაც. აგ. 164, 5). *განიყოფების* (ეფრ. 81, 39); *განიყოფებიან* (იქვე 98, 37). . . განუყოფ-ს: *განეყოფის* (სინ. 17, 29); *განეყოფის* (სინ. 9, 4); *განეყოფვოდეს* (ისტ. ქრ. 104, 14). შეჰყოფ-ს: *შეეყოფის* იგი ჰაერსა (ექუს. 60, 20; კაც. აგ. 166, 23).

## 9. ევ-იანი ზმნები

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში **ევ-**იან ზმნათა ვნებითში მეორდება მოქმედებითის ფუძე, მათი სახით დღესაც შემონახულია ვნებითის ძველი წარმოება. ამ მხრივ **ევ-**იანი ზმნები განსხვავდებიან სხვა ხმოვან-მონაცვლეებისაგან, რომელთაც **ებ** აფიქსიც დაერთვის ვნებითში.

განაბნევს (მ. 12, 30) – განიბნევის (ბოლნ. 18, 3); განსთხევს (სწავ. 176, 25) – დაითხევის (ექუს. 58, 4), მიითხევის (იქვე 58, 3); აკურთხევს (აბო 47, 12) – იკურთხევის (სწავ. 19, 11), განჰლევს (სწავ. 135, 12) – განილევის (სინ. 191, 12); აღამრლუევს – აღიმრლუევოდეს (მოქც. 127, 30 ო); დაარლუევს (მრ. 15, 29) – დაირლუევოდა (საქმე 27, 41 ო); არყევს – ირყევიან (აბო 50, 12); განარჩევს – განირჩევიან (ეფრ. მც. 92, 23); აქცევს (სწავ. 117, 16) – იქცევის (ლიმ. 91, 19); დააქცევს (ისტ. ქრ. 11, 40, 24) – დაიქცევის (სწავ. 44, 5); იძევს (იოვ. და ეფთ. 79, 7) – გამოიძევის (ჯავ. 26, 28).

გარდამოსთხევს (სწავ. 275, 16) – გარდამოეთხევოდეს (ფს. 17, 9 ო); მივემთხუევი (იოზ. 17, 1), შეემთხუევის (კაც. აგ. 145, 6); აღჰრევს – აღერევი (ლიმ. 125, 3); გარდაჰრევს – გარდაგრეოდის (ფს. 61, 11 ო); დასტევს – დაეტევის (ი. 8, 37 E); შესწავს (სწავ. 175, 18) – შეენევის (სინ. 11, 36); მოახუევს – მოეხუევის (ბოლნ. 50, 15) და სხვ.

## სუფიქსიანი ვნებითი

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ვნებითს ორი სუფიქსი ახასიათებს: **6 (←ენ)**, **დ**. მათ ფუძეები, ასე ვთქვათ, განაწილებული აქვთ: ნარნარა ბგერებით დასრულებულ ზმნებში **დ** გვხვდება, დანარჩენებში – **6** [2].

როგორც უნდა იყოს სუფიქსიანი ვნებითი ნაწარმოები, მის ანმეოს (და საერთოდ I სერიის) ფუძეს ყოველთვის ექნება **ებ** აფიქსი ძველ ქართულშიაც, ახალშიაც. აქ ესაა ერთადერთი, დამახასიათებელი თემის ნიშანი. **ებ** თემის-ნიშნისაა ძირითადად შესაბამისი მოქმედებითიც.

განადიდებს – განდიდების (საქმე 19, 17); დაადუმებს – დადუმების (ხანძთ. 286, 30); განალაღებს – განლანების (სინ. 189, 20); განამტკიცებს – განმტკიცების (სინ. 99, 7); დაამშვდებს – დამშვდების (ფს. 82, 2 ტ); დაამნიფებს – დამნიფების (ექუს. 73, 22); განარისხებს – განრისხების (ხანძთ. 288, 39); აღაშფოთებს – აღშფოთების (ლიმ. 125, 27) და მისთ.

განაახლებს – განახლების (სინ. 3, 10); დააბრკოლებს – დაბრკოლების (სინ. 100, 2); გამოაბრწყინებს – გამობრწყინების (ექუს. 95, 1); დააკლებს – დააკლების (ბოლნ. 36, 8); მოაკლებს (იობ. 14, 11); დააკრებს – დაუკრების (აბო 78, 6); აღამცირებს – აღმცირების (სინ. 105, 5); მოაუძღურებს – მოუძღურების (ექუს. 91, 22); აღაფრინებს – აღფრინების (სინ. 3, 10); განაქარებს – განქარების (სინ. 19, 9); აწვებს – წვების (სინ. 221, 23) და სხვ.

## უნიშნო ვნებითი

უნიშნო ვნებითი ზმნათა უძველესი ჯგუფია ([1] 239). ვარაუდობენ, რომ მისი წარმოქმნა წინ უსწრებს საერთოდ გვარის ჩამოყალიბებას ქართულში [10], [11]. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის თავისებურება, რომელთაც უნიშნო ვნებითი იჩენს სათანადო მოქმედებითან მიმართებით. ისტორიულად ამ ტიპის ზმნათა ურთიერთობა შესაბამისი მოქმედებითან სხვაგვარია, ვიდრე სხვა ჯგუფების ვნებითებისა ([11] 128–129). ცნობილია, რომ უნიშნობას ერთგვარად „ანაზღაურებს“ ის, რომ მათ ახასიათებთ **ებ**-ი დაბოლოება ანმეოში ([1] 229, 423); ესაა, ასე ვთქვათ, მეორეული ნიშანი მათთვის ([11] 101). სრულიად სხვა ვითარებაა მოქმედებითში. **ებ** თემის ნიშანი აქ თითქოს მხოლოდ ერთ ზმნას აქვს: განაძლებს (იოვ. და ეფთ. 78, 26), შდრ. განძლების (ბოლნ. 36, 1). უნიშნო ვნებითის ერთ ნაწილს ფუძედრეკადი ზმნები შეესაბამება (ნარსწყმედს, შეჰკრებს, მისდრეკს, დაშრეტს. . . შდრ. წარწყმების, მრ. 4, 38; შეკრების, ექუს, 91, 34; მიდრკების, ისტ. ქრ. II, 102, 24; დაშრტების, მ. 25, 8. . .); მეორე ჯგუფს მოქმედებითში **ობ** თემის ნიშანი აქვს: დააღნობს (სწავ. 176, 24) – დაღნების (იქვე 140, 12); აკრობს (სინ. 33, 32) – ჰკრების (სინ. 29, 24); ატფობს (აბო 55, 2) – ტფების (ექუს. 99, 26); განაცხრობს (ლიმ. 1, 11) – განსცხრობის (ჯავ. აღნ. 228, 9); დააჭნობს (ილ. ქართ. 11, 15) – დაჭნების (სწავ. 10, 17) და სხვ.

უნიშნო ვნებითის მესამე ნაწილს მოქმედებითი ან კაუზატივის სხვადასხვა აფიქსებით წარმოქმნილი ფორმები უპირისპირდება, ან მოქმედებითი არ ჩანს. მაგ.: აღდგების (ლ. 7, 22) – აღადგინებს (სინ. 105, 25); მოკუდების (შუშ. 21, 23) – მოაკუდინებს (ზედ. 205, 21). . . სცთების (ესაია 21, 4) – აცთუნებს (ესაია 9, 16)... არის სხვაგვარი ზმნებიც, მაგრამ ესეც საკმარისია.

როგორც ვხედავთ, უნიშნო ვნებითის შესაბამის მოქმედებითი საკმაოდ ჭრელი სურათია, ვნებითი კი ცალკე დგას და თემის ნიშნების მიხედვით ერთგვაროვანია. ვარაუდობენ, რომ **ებ** სუფიქსი უნიშნო ვნებითში გვიანდელია, პირველადი ვნებითებიდან გადასული დინამიკურ უგვარო ზმნებში [12].

ამგვარად, პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითი თემის თვალსაზრისით ძირითადად შესაბამის მოქმედებითს მიჰყვება. განსხვავება თავს იჩენს მაშინ, როცა მოქმედებითი უთემისნიშნოა (ერთ-თემიანი და ფუძედრეკადი ზმნები), ან **ი** თემის ნიშანი აქვს. სუფიქსიანი ვნებითებში ამ მხრივ გამონაკლისი თითქმის არ შეინიშნება – **ებ** აფიქსიანია მოქმედებითიც და ვნებითიც.

პრეფიქსიანი ვნებითის ფარდი აქტივი თემის ნიშნების მიხედვით შედარებით მრავალფეროვანია. აქ გვხვდება, აღნიშნულთა გარდა, **ავ, ამ, ემ, ებ, ომ, ოფ, ევ** თემის ნიშნიანი ზმნები. როგორც ვნახეთ, ყველა ეს აფიქსი დასტურდება ვნებითშიც.

ახალ ქართულში მოქმედი უნიფიკაციის ძლიერი ტენდენციის გამო პრეფიქსიანი ვნებითში თანდათან ვრცელდება **ებ** დაბოლოება. ამ დაბოლოებაზე თითქმის მთლიანად გადავიდნენ **ავ** და **ამ** თემის ნიშნიანი ზმნები. **ებ** ჯერჯერობით არ სჭირდება **ემ, ობ, ოფ** და **ევ**-იან ზმნებს. მათ შეინარჩუნეს ძველი წარმოება. მაგრამ ესენი შედარებით მცირერიცხოვანია. ზოგიერთ დიალექტში ძველი ფორმები დღესაც შემორჩენილია. ასეთია, ე.წ. მთის კილოები. ფშაურიდან ეს ფორმები შესულია ვაჟას ნაწერებში და, მამასადაამე, სალიტერატურო ქართულშიც იჩენს თავს [13].

როგორც გაირკვა, ვნებითს თითქმის ყველა თემის ნიშანი აქვს, რაც კი საერთოდ არსებობს. მაშინ რამ განაპირობა არჩევანის შეჩერება მაინცდამაინც **ებ** აფიქსზე? **ებ** აფიქსი ყველაზე გავრცელებულია არა მარტო ახალ ქართულში, არამედ ძველშიაც. ვნებითში კერძოდ **ებ** აქვთ სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითებს მთლიანად. **ებ**-იანი ზმნები ყველაზე მრავალრიცხოვანია პრეფიქსიან პასივშიც. აქ ის გვხვდება არა მხოლოდ იმ ზმნებში, რომელთაც აქტივი **ებ**-ით ეწარმოებათ, არამედ უთემისნიშნო და **ი**-ნიანი მოქმედებითის შესაბამისადაც.

## ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953.
2. ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში (ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, II, 1959, გვ. 37).
3. გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), 1, 1973.
4. ი. იმნანიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 204.

5. ი. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი (ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, ტ. II, 1968, გვ. 49).
6. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.
7. ცხორება ნმიდისა ანტონისი. ტექსტი გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, 1970, გვ. 104.
8. G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 126.
9. ე. ოსიძე, ერთი ტიპის ზმნათა ანმყოფუძის აგებულებისათვის ქართულში (ქართ. ენათა სტრუქტ. საკითხები, ტ. III, 1960, გვ. 13, 16).
10. ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის. . . (იკე, IV, 1953, გვ. 77).
11. გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში (ქართვ. ენათა სტრუქტ. საკითხები, I, 1959, გვ. 109).
12. გ. როგავა, ნამყოფსრულის ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში (იკე, VI, 1954, გვ. 93).
13. ი. იმნაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, 1968, გვ. 122–130.

### შემოკლებანი

- აბო** – იოანე საბანისძე, წამებაჲ ჰაბოჲსი (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლები, ნ. I, ილ. აბულაძის რედაქციით, 1963).
- ბოლნ.** – იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, *მ. ჯანაშვილის* გამოცემა, 1911.
- გამ.** – გამოსლვათაჲ (წიგნნი ძუელისა ალთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I, 1947, გამოსცა ა. შანიძემ).
- გამოსცხ.** – იოვანეს გამოცხადება. . . , გამოსცა ი. იმნაიშვილმა (ძველი ქართული ენის კათ. შრომები, 7, 1961).
- გარეჯ.** – ცხორებაჲ დავით გარეჯელისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- გობრ.** – წამებაჲ გობრონისი (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- დაბ.** – წიგნი დაბადებისაჲ (წიგნნი ძუელისა ალთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I, 1947).
- ევგრ.** – ცხორებაჲ შიოხსი და ევაგრესი (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ევსტ.** – მარტვლობაჲ ევსტატი მცხეთელისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ესაია** – წიგნი ესაიასი (წიგნნი ძუელისა ალთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, 1948, გამოსცა ა. შანიძემ).
- ეფრ.** – შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, გამოსცა მშ. შანიძემ (ძველი ქართ. ენის კათ. შრომები, 11, 1968).
- ექუს.** – ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაჲ. . . , გამოსცა ილ. აბულაძემ, 1964.
- ზარზმ.** – ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ზედ.** – ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ი.** – იოანეს სახარება (ნ. ქართ. ოთხთ.).
- იობ.** – წიგნი იობისი (წიგნნი ძუელისა ალთქუმისანი. ტ. I, ნაკვ. 2, 1948).
- იოვ. და ეფთ.** – ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლები, II, 1967, გამოსცა ილ. აბულაძემ).
- ილ. ქართვ.** – ცხორებაჲ ილარიონ ქართველისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, II, 1967).

- ისტ. ქრ. II** – ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გამოსცა *ი. იმნაიშვილმა*.
- აც. აგ.** – გრიგოლ ნოსელის თარგმანება „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა *ილ. აბულაძემ*, 1964.
- კოლ.** – წამებაჲ ყრმათაჲ რიცხვთ ცხრათაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- კოსტ.** – ცხორებაჲ... კოსტანტისი ქართველისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ლ.** – ლუკას სახარება (ნ. ქართ. ოთხთ.)
- ლევიტ.** – ნიგნი ლევიტელთაჲ (ნიგნი ძუელისა ალთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, 1948).
- ლიმ.** – იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა *ილ. აბულაძემ*, 1960.
- მ.** – მათეს სახარება (ნ. ქართ. ოთხთ.).
- მრ.** – მარკოზის სახარება (ნ. ქართ. ოთხთ.).
- მოქც.** – მოქცევაჲ ქართლისაჲ (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- საქმე.** – საქმე მოციქულთა, გამოსცა *ილ. აბულაძემ*, 1948.
- სინ.** – სინური მრავალთავი 864 წლისა, *ა. შანიძის* რედაქციით, 1959.
- სწავ.** – მამათა სწავლანი, გამოსცა *ილ. აბულაძემ*, 1955.
- ტირიჭ.** – მარტვლობა დავითისი და ტირიჭანისი (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ფს.** – ფსალმუნის ძველი რედაქციები. . . გამოსცა *მზ. შანიძემ*, 1960.
- ქრესტ.** – ძველი ქართულის ქრესტომათია, გამოსცა *ა. შანიძემ*, 1935.
- შუშ.** – წამებაჲ შუშანიკისი (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ხანძთ.** – ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, I, 1963).
- ხრონ.** – ხრონოლოგი გიორგი მონაზონისაჲ, გამოსცა *ს. ყაუხჩიშვილმა*, 1920.
- ჯავ.** – ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947..



## „ლაღად-ყო“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში

ძველ ქართულში ორიგინალური წარმოების ზმნათა გვერდით არცთუ იშვიათად გვხვდება აგებულების მიხედვით რთული შედგენილობის ზმნებიც. კომპოზიტი ზმნებში აშკარად გამოიყოფა, ერთი მხრივ, საკუთრივ ზმნა, მეორე მხრივ – სახელური ნაწილი. თანამიმდევრობის მიხედვით სახელური ნაწილი წინ უსწრებს ზმნურს.

რთული შედგენილობის ზმნათა უმრავლესობაში სახელური ნაწილი ისე მტკიცედ შეერწყა ზმნურს, რომ ის ზმნასთან ერთ ცნებას ქმნის. სემანტიკურად რთულ ზმნაში სახელური ნაწილია დატვირთული.

რთული შედგენილობის ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც. გარდამავლობა-გარდაუვალობას განსაზღვრავს ზმნური ნაწილი კომპოზიტისა. გარდამავალია: თვალ-უყოფდეს, წამ-უყვნა, მადლ-იპყრა, კაც-კლა, წრფელ-ყო, შეუ-რაცხ-ყო... გარდაუვალი ზმნები შედარებით იშვიათად გვხვდება: ჯელ-ენიფების, ძალ-გიც ← ძალ-გიძს, გულს-ედგა...

„ლაღად-ყო“ ტიპის კომპოზიტებში ჩვენ ვგულისხმობთ ამ რთული ზმნების იმ ნაწილს, რომელთა შემადგენლობაში შემავალი ზმნა გარდამავალია:

ეს ვითარცა თქუა, ჯმითა დიდითა ლაღად-ყო (ი 11, 43 DE)

და ჯმა-ყო მითა დიდითა იესუ და თქუა (ლკ 23, 46 DE // C)

გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ. ვითარმედ: არა კაც-ჰკლა (მ 5, 21 DE)

პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა (მ 15, 4 DE)

მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა (მ 3, 11 C)

და ნათელ-იღებდეს იორდანესა ზედა მისგან (მ 3, 6 C)

დგილ-იპყრა მუნ, სადა იყო, ორ დღე (ი 11, 6 C)

მოდღუარ, ვიცით, რამეთუ მართალს იტყვ და ასწავებ და არავის თუალთ-აღებ, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ (ლკ 10, 21 DE).

ამ კომპოზიტი ზმნების სუბიექტი ნაკვთთა მეორე წყებაში ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას. პირდაპირი ობიექტი კი ასეთ კომპოზიტ ზმნებს ცალკე არ მოეპოვება: ლაღად-ყო მან, კაც-ჰკლა შენ, პატივ-ეც შენ მას, ნათელ-ილო მან. . .

ცალკე ხმარების შემთხვევაში კომპოზიტში მონაწილე ყველა ზმნას პირდაპირი ობიექტი ყოველთვის ახლავს.

„ლაღად-ყო“ ტიპის ზმნათა სახელური ნაწილი სხვა არაფერია თუ არა პირდაპირი ობიექტი. რთული ზმნის დაშლის შემთხვევაში, რისთვისაც საკმარისია შევცვალოთ კომპოზიტის შემადგენელი ელემენტების რიგი ან სახელური ნაწილი პირდაპირ-

რი ობიექტის ბრუნვაში, ე.ი. სახელობითში დავაყენოთ, რომ სახელური ნაწილი ზმნის პირდაპირ ობიექტად წარმოგვიდგება:

და გამოვიდა, იხილა ერი მრავალი და **წყალობა-ყო** მათ ზედა (მრკ, 6, 34 C). შდრ. რომელმან-იგი **ყო წყალობა** მის თანა (ლკ, 10, 37 DE // C).

შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათა და **სიტყუა-ყო** მათ მონათა თანა (მთ, 25, 19 DE), C – რედაქციაში გვხვდება „... და ყო სიტყუა მათ თანა“.

„ლალად-ყო“ ტიპის ზმნებში სახელური ნაწილი ან არსებითი სახელია: ჯმა-ყო, ნამ-უყვნა, ამბორს-უყო, კაც-კლა, მადლ-იპყრა, თავ-უყავ, პატივ-ეც, მიზეზ-ყო, ჯელ-ყვეს, თუალ-უყვნა, გულისჯმა-ყო... ან შედარებით იშვიათად მასდარი, ნაზმნარი არსებითი სახელი: სიტყუა-ყო, მოხედვა-ყო: რამეთუ მოხედვა-ყო ღმერთმან ერსა თქსსა (ლკ. 7, 16 C); აღთქუმა-ყო: და აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოე სა-ტირი დღისა (მთ, 20, 2 C); ზრახვა-ყვეს: და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს ყოველთა მღვდელთ მოძღუართა (მ 27, 1 DE // C); ძიება-ყო: და წყალობითა თქსითა ძიება-ყო სრულიად (სინ. მრ. 283, 21).

მასდარის იშვიათი ხმარება სახელურ ნაწილად ბუნებრივია, რადგან მასდარი უკვე ზმნის პირიან ფორმებს გულისხმობს.

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი რთული გარდამავალი ზმნები, რომელთა სახელური ნაწილი ზედსართავ სახელს ან მიმღებობას წარმოადგენს. ასეთი რთული ზმნები ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად გვხვდება: უზრუნველ-ყო, ცხად-ყო, შეურაცხ-ყო, წრფელ-ყო, წმიდა-ყო, სწორ-ჰყოფდა, კრულ-ყო, მზა-უყვეს, სათნო-ვიყავ, უდებ-ყო...

სახელური ნაწილი ამ რთული ზმნებისა არ არის პირდაპირი ობიექტი. პირდაპირი ობიექტი ამ ზმნებს ცალკე მოეპოვება:

ესე არს ძჳ ჩემი საყუარელი, **რომელი** მე **სათნო-ვიყავ** (მ 3, 17, DE)

განმზადენით გზანი უფლისანი და **წრფელ-ყვენით ალაგნი** მისნი (მრკ 1,3 DE)

ამ ტიპის რთული ზმნების სახელურ ნაწილს ვითარების გარემოების ფუნქცია აქვს. მაინც აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში ეს სახელური ნაწილი იბრუნვის: „განმზადეთ გზა უფლისა და **წრფელს-ჰყოფდით ალაგთა** მისთა“ (მრკ 1,3 C)

არამედ მონყალემან ღმერთმან რომელმან არა უგულეებელს-ყვის თხოვა (სინ. მრ. 267, 21)... ცხადია, ამ შემთხვევაში სახელური ნაწილი პირდაპირ ობიექტად არის გააზრებული.

ამ რთული ზმნების მიკუთვნების საკითხი „ლალად-ყო“ ტიპის ზმნებთან იქნებ სადავო იყოს, რადგან სახელური ნაწილი პირდაპირ ობიექტს არ წარმოადგენს. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ სახელური ნაწილი ამ ზმნებისა ისტორიულად შესაძლებელია პირდაპირი ობიექტის მსაზღვრელს წარმოადგენდა, რომელსაც წინ საზღვრული – პირდაპირი ობიექტი უძლოდა<sup>1</sup>.

რთული ზმნების ერთ ნაწილში სახელური ნაწილის პირდაპირ ობიექტად გაგება იმდენად დაიჩრდილა, რომ ამ ზმნებმა ახალი დამატება გაიჩინეს. ამის მაგალითია **უარ-ყო** და **გულისჯმა-ყო** ზმნები.

<sup>1</sup> ეს საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით დადგებოდა აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის საკითხი ძველ ქართულში.

არლარა ეყივნოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო მე (ლკ 22, 34 DE).

რამეთუ არა გულისწმა-ჰყავ უამი მოხედვისა შენისაჲ (ლკ 19, 44 DE).

ნაკვთთა წარმოების მხრივ რთული ზმნები სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებენ. ერთი ნაწილი რთული ზმნებისა დრო-კილოთა პირველი წყების ნაკვთებს ორგანულად აწარმოებს. **ღალად-ყო** ზმნა თუ ნამყო-ძირითადის წყებაში მხოლოდ რთული სახით გვხვდება, აწმყოს და მისგან ნაწარმოებ ნაკვთებში მას მარტივი ფუძე ენაცვლება:

და **ღალადებდა** ჳმითა დიდითა და ეტყოდა (მრკ 5, 7 DE)

რომელნი **ღალადებენ** მისა დღე და ღამე (ლკ 18, 7 DE)

**ზრახვა-ყო** მაგრამ: **განიზრახვიდეს** ურთიერთას (ლკ 6, 11 C)

რამეთუ არა **ჰზრახავ** ღმრთისასა, არამედ კაცთასა (მ 16, 23 DE)

**ჳმა-ყო**, მაგრამ: რომელ **ჳმობდა** ტაძარსა შინა (მ 21, 15 C)

მეორე ნაწილი რთული ზმნებისა აწმყოს წყების ნაკვთებსაც რთულად აწარმოებს:

მოვიდოდეს კათოლიკე ეკლესიად და **ნათელ-იღებდეს** (სინ. მრ. 271, 4)

მცნებანი იცნი: ნუ **კაც-ჰკლავ**, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ (მრკ. 10, 19 DE)

სადა-იგი იყო იოვანე და **ნათელ-ჰსცემდა** (ი 1, 28 DE)

საინტერესოა ღალად-ყო ტიპის ზმნებში სახელური ნაწილის – პირდაპირი ობიექტის – ბრუნვის საკითხიც. ნაკვთთა მეორე წყებაში რთული ზმნების სახელური ნაწილი, როგორც წესი, ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ღალად-ყო, ჳმა-ყო, ნათელ-იღო, პატივ-ეც...

დრო-კილოთა პირველი წყების ნაკვთთა წარმოების დროს სხვადასხვაობა დასტურდება. რთული ზმნების ერთი ნაწილი სახელურ ნაწილს ფუძის სახით წარმოგვიდგენს აწმყოს წყების ნაკვთებშიც: კაც-ჰკლავ, გულისწმა-ყოფს, ჳელ-ყოფს, ნათელ-ჰსცემდა...

ღალად-ყო ტიპის ზმნების მეორე ნაწილი ნაკვთთა პირველ წყებაში სახელურ ნაწილს მიცემით ბრუნვაში წარმოგვიდგენს:

და იგი **ნამს-უყოფდა** მათ და დაადგრა უტყუად (ლკ 1, 22 DE)

**ამბორს-უყოფდა** ფერჯთა მისთა (ლკ 7, 38 DE // C)

და **თუალს-უყოფდეს** მამასა მისთა (ლკ 1, 62 C)

პარალელურად გვხვდება კომპოზიტი ზმნების ისეთი ფორმებიც, სადაც სახელური ნაწილი ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

და **თუალ-უყოფდეს** მამასა მისსა (ლკ 1, 62 DE)

არამედ **პატივ-უყოფ** მამასა ჩემსა (ი 8, 49 C)

საპირისპირო მაგალითები, ე.ი. როცა ნამყო-ძირითადის წყებაში რთული ზმნების სახელური ნაწილი მიცემით ბრუნვაში დგას, თუმცა გვხვდება, მაგრამ ძალზე იშვიათად: ამბორს-უყო, ნათელს-გცეს...

როგორც ვხედავთ, ღალად-ყო ტიპის ზმნებში სახელური ნაწილი – პირდაპირი დამატება – წყებათა მიხედვით ზოგ ზმნაში იბრუნვის, ზოგში კი უბრუნველია. ამის მიხედვით ამ ტიპის ზმნათა განვითარების სამ საფეხურს გამოყოფენ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ელ. ბაბუნაშვილი, კომპოზიტი ზმნები ძველ ქართულში, თსუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები. 1951, გვ. 21-22.

ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი „ღალად-ყო“ ტიპის რთული ზმნებისა ის არის, რომ კომპოზიტში მონაწილე ზმნა ყოველთვის პრევერბის გარეშეა წარმოდგენილი: პრევერბიანი ზმნა კომპოზიტს ვერ ქმნის. არ გვხვდება: ნათელ-მიიღო, კაც-მოკლა, ჯელ-შეყო...

გვაქვს ერთი მხრივ: „რამეთუ მრავალთა ჯელ-ყვეს ზეგარდმო განწესებად თხრობისაჲ მის (ლკ 1, 1 C); DE რედაქციაში კი ვკითხულობთ: „რამეთუ მრავალთა ჯელი შეყვეს აღწერად მოთხრობაჲ ...

„ღალად-ყო“ ტიპის ზმნებში პრევერბის უქონლობა ამ ზმნების სიძველეს გახაზავს.

როგორც აღვნიშნეთ, ნამყო-ძირითადის წყებაში სახელური ნაწილი რთული ზმნისა ფუძის სახით არის წარმოდგენილი. პირდაპირი ობიექტის ბრუნვა კი გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა მეორე წყებაში ძველ ქართულში უკვე სახელობითია, თუმცა პირდაპირი ობიექტი გვხვდება ფუძის სახითაც; ხოლო საკუთარი სახელები პირდაპირი ობიექტის ფუნქციით, როგორც წესი, ფუძის სახით არის წარმოდგენილი. „ღალად-ყო“ ტიპის ზმნები ამ მხრივ საკუთარ სახელებს მიჰყვება. ამ ზმნების კომპოზიტად ქცევა იმდროინდელია, როცა პირდაპირი ობიექტი ფუძის სახით იყო გამოყენებული და, შესაძლებელია, სახელობითი ბრუნვა არც იყო ჩამოყალიბებული.

მეორე მხრივ, კომპოზიტად ქცევის პირობა იყო სახელური ნაწილის ფუძის სახით წარმოდგენა. ცნობილია, რომ ქართულისათვის დამახასიათებელია ფუძეებისაგან შემდგარი კომპოზიტები. არა გვაქვს შემთხვევა, რომ რთული ზმნის შემადგენლობაში შემავალი სახელი – პირდაპირი ობიექტი – სახელობითი ბრუნვის ფორმით იყოს წარმოდგენილი.

ამას გარდა, და ეს არსებითია, „ღალად-ყო“ ტიპის ზმნები ცხადყოფენ, რომ პირდაპირი ობიექტის ადგილი ზმნასთან განსაზღვრული იყო. იგი უშუალოდ წინ უძღოდა ზმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ტიპის ზმნათა კომპოზიტად ქცევის პროცესის ახსნა გაჭირდებოდა: **პირდაპირი ობიექტი ზმნას შეერწყა იმის გამო, რომ იგი ყოველთვის წინ უძღოდა გარდამავალ ზმნას.**

ამ მხრივ საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა საკუთარი სახელები: პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის (რომელიც აგრეთვე ფუძის სახით არის წარმოდგენილი) გასარჩევად გარკვეული წესი არსებობს ძველ ქართულში: სუბიექტი დგას პირველ ადგილზე, წინ უსწრებს ობიექტს. წყობა ფორმულით რომ გამოვხატოთ ასეთია: „აბრაჰამ შვა ისააკ“, სადაც აბრაჰამ სუბიექტია, ისააკ – პირდაპირი ობიექტი.

„ღალად-ყო“ ტიპის ზმნები კი საპირისპირო – „ისააკ შვა აბრაჰამ“ წყობას გვაგარაუდებინებს.

„ღალად-ყო“ ტიპის ზმნებმა შემოგვინახეს უფრო ძველი ვითარება იმ მხრივ, რომ პირდაპირი ობიექტი მათთან ყოველთვის ფუძის სახით არის წარმოდგენილი დროკილოთა მეორე წყებაში; მაშინ, როდესაც საკუთარ სახელებთან რყევას აქვს ადგილი: საკუთარი სახელი – პირდაპირი დამატება გვხვდება სახელობით ბრუნვაშიც: აბრაჰამ შვა ისააკი; ისააკმან შვა იაკობი (მთ 1, 2 C).

გარდა ამისა, „ღალად-ყო“ ტიპის ზმნათა კომპოზიტად ქცევის ფაქტი ძველ ქართულში მათ არქაულობაზე მიუთითებს.

არ არის სისტემატურად გატარებული ის სინტაქსური წესიც, რომელიც სუბიექტსა და ობიექტს განასხვავებს; სტ. ჩხენკელს<sup>1</sup> დადასტურებული აქვს ერთი შეთხვევა, როცა საკუთარ სახელებში პირდაპირი ობიექტი პირველ ადგილზე დგას, ხოლო სუბიექტი მას მოსდევს: „და წარიყვანა საულ სამოელ და ყრმაჲ იგი“. რუსულ თარგმანში მას შეესაბამება: „и взял Самуил Саула и слугу его“.

ცნობილია, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში გარდამავალი ზმნა პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს, ხოლო გარდაუვალი ზმნა – სუბიექტს (ხუნძური, ბაცბური). აფხაზური გარდამავალი ზმნა აღნიშნავს სუბიექტსაც და ობიექტსაც, მაგრამ პირდაპირი ობიექტის ნიშანი უსწრებს სუბიექტისას. გარდა ამისა, აფხაზურში გარდამავალი ზმნის ბრძანებითისა და აბსოლუტივის ფორმებში არ აღინიშნება სუბიექტი, ხოლო პირდაპირი ობიექტი სათანადო ნიშნით ყოველთვის არის წარმოდგენილი<sup>2</sup>.

ქართულშიც გარდამავალი ზმნა გარკვეულ შემთხვევებში უპირატესობას აძლევს პირდაპირ ობიექტს: ა) როცა სუბიექტად პირველი პირი გვევლინება და ობიექტად მეორე, ბ) ან სუბიექტია მეორე პირი და პირდაპირი ობიექტი პირველი პირი, გ) მეორე პირის დადებითი ბრძანებითის ფორმებში ზმნაში სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, პირდაპირი ობიექტის ნიშანი წარმოდგენილია.

აქედან დასკვნა: „ჩანს, თავდაპირველად გარდამავალი ზმნების უღვლილება მხოლოდ ობიექტს აღნიშნავდა, გარდაუვალისა – სუბიექტს, როგორც ეს დღემდე დაცულია მთის კავკასიურ ზოგ ენაში“<sup>3</sup>.

ქართულში პირველი და მეორე პირის პირდაპირი ობიექტი გარდამავალ ზმნაში სათანადო ნიშანს წარმოგვიდგენს. ზმნა, როგორც წესი, არ აღნიშნავს მხოლოდ მესამე პირის პირდაპირ ობიექტს (აკ. შანიძე). ეს ფაქტი ახსნას თხოულობს.

„ღალად-ყო“ ტიპის ზმნებში ამ მოვლენის ახსნა სირთულეს არ უნდა ხვდებოდეს: პირდაპირი ობიექტის წარმოდგენა სათანადო ნიშნით ამ ზმნებში არც იყო საჭირო, რადგან რთული ზმნის შემადგენლობაში თვით პირდაპირი ობიექტია მოცემული.

ამ მხრივ ანალოგიური ვითარებაა დადასტურებული აფხაზური ენის მსგავსი აგებულების მქონე აბსოლუტივის ფორმებში, რომლებიც სახელისა და ზმნის გაუფორმებელი ფუძის მქონე კომპოზიტებს წარმოადგენენ. სახელური ნაწილი სათანადო ზმნის პირდაპირი ობიექტია. ამ შემთხვევაში აბსოლუტივის ფორმებში პირდაპირი ობიექტის ნიშანი არ არის წარმოდგენილი<sup>4</sup>:

ლა-მბა ლა-ჩჰა-უჰ – არ დამნახველი თვალი მომთმენი თვალია (თვალ-არ-ნახ)  
[ვა] თვალ-თმენა- [არის].

ეჟია-და ეჟია-კსლნია – უშარვლო შარვალდახეულს (შარვალგამოხვეტ. . .)  
დასცინოდა ალა წსხია-ხნია ცჰა იზსქისუამ – კუდმონყვეტილი (კუდ-წყვეტ. . .)  
ძალლი ხიდზე ვერ გავა

<sup>1</sup> სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის „მეფეთა წიგნებში“, თსუ შრომები, XXV, თბილისი, 1943.

<sup>2</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, 1948.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 054.

<sup>4</sup> ქ. ლომთათიძე, დასახელებული წერილი. მაგალითები ამოკრეფილია ამავე წერილიდან.

საინტერესოა ერთი ფაქტიც აფხაზური ენიდან: აფხაზურში არაკომპოზიტ ზმნებშიც, თუ გარდამავალ ზმნას უშუალოდ წინ უსწრებს პირდაპირი ობიექტი მესამე პირისა (ამასთან ნივთის კლასისა), ზმნა პირდაპირ ობიექტს აღარ აღნიშნავს: აუს ყა-ს-ნოფტ „საქმეს ვაკეთებ“ (ს I პირის სუბიექტური ნიშანია), უნდა კი გვექონოდა: აუს ი-ყა-ს-ნოფტ, სადაც ი პირდაპირი ობიექტის მაჩვენებელია.

„ღალად-ყო“ ტიპის ზმნებში რომ სახელური ნაწილი სათანადო ნიშნის მაგიერ არის წარმოდგენილი, ამას ცხადყოფს ამ ტიპის ზმნათათვის დამახასიათებელი არსებითი მნიშვნელობის ფაქტი: ზმნა ყოველთვის პრევერბის გარეშეა წარმოდგენილი. პირის ნიშნები, ცნობილია, პრევერბის შემდეგ გვხვდება ზმნაში. პრევერბი რომ დართვოდა ზმნას, ის პირდაპირი ობიექტის ნიშნის, ჩვენ შემთხვევაში კი სახელური ნაწილის, წინ უნდა გვექონოდა. სახელი კი პრევერბს ვერ იგუებს.

„ღალად-ყო“ ტიპის ზმნები, როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალ ზმნასთან პირდაპირ ობიექტს უშუალოდ ზმნის წინ გვაგარაუდებინებენ. მაშინ იქნებ ამით აიხსნას ქართულში მესამე პირდაპირობიექტური პირის აღუნიშვნელობა გარდამავალ ზმნაში.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მესამე სუბიექტური პირი ზმნაში შედარებით გვიან გაფორმდა. თუ გარდაუვალ ზმნას წინ ყოველთვის სუბიექტი უძლოდა და ამის დაშვების შესაძლებლობას ისევ გარდაუვალი კომპოზიტი ზმნები იძლევა (წელ-ენიფების, ძალ-გიც ← ძალ-გიძს ზმნებში სახელური ნაწილი სუბიექტს წარმოადგენს. I და II პირის ფორმები ამ კომპოზიტ ზმნებს არა აქვს), მაშინ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი გარდაუვალ ზმნაში იმავე მიზეზით არ იყო წარმოდგენილი, რის გამოც არ იყო აუცილებელი „ღალად-ყო“ ტიპის ზმნებში მესამე პირდაპირობიექტური პირის აღნიშვნა.

გარდამავალ ზმნაში პირველი და მეორე პირდაპირობიექტური პირი ნიშანს აჩენს (ისევე როგორც პირველი და მეორე პირის სუბიექტი გარდაუვალი ზმნებისა): თუ გარდამავალ ზმნას წინ ყოველთვის პირდაპირი ობიექტი უძლოდა, მაშინ ამ შემთხვევაში ზმნის წინ უშუალოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები იქნებოდნენ.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პირის ნიშანთა ნაცვალსახელურ ელემენტებთან დაკავშირების ცდა: პირველი ობიექტური პირის მ- ნიშანს იქნებ „მე“ ნაცვალსახელთან მივყავდეთ, ხილო მეორე ობიექტური პირის გ- ნიშანს კავშირი ჰქონდეს „ეგ“ ნაცვალსახელთან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ. V, 1953.

## რთული ზმნები ძველ ქართულში

ორია ან მეტი სიტყვის ფუძეების შერწყმით ვლბულობთ ერთ რთულ სიტყვას. რთული სიტყვა შეიძლება იყოს სახელი ან ზმნა; ეს დამოკიდებულია შეერთებული ფუძეების ხასიათზე: სახელების შერწყმის შედეგად, ჩვეულებრივ, მიიღება კომპოზიტი სახელი, ხოლო სახელისა და ზმნის ფუძეთა შერწყმით – რთული ზმნა.

რთული ზმნები თანამედროვე ქართულშიც გვხვდება, მაგრამ მათი გამოყენება გაცილებით უფრო ვრცელი იყო ძველ ქართულში. ახალ ქართულში გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი ისეთი რთული ფორმები, როგორცაა: სრულ-ყო, შეურაცხ-ყო და სხვა. მეორე მხრივ, თანამედროვე ქართულში თითქმის არა გვაქვს არც ერთი რთული ზმნა, რომელიც ძველ ქართულში არ ყოფილა.

რთული ზმნები მარტო ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი, იგი გვხვდება აგრეთვე სხვა ქართველურ ენებში, აფხაზურში, ბაცბურში და სხვა. მრავლად არის წარმოდგენილი აგრეთვე რთული ზმნები თურქულ ენებში, სადაც ზმნათა ძირითად მასას სწორედ ასეთი ზმნები შეიცავენ და მათი შესწავლა მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საგანს წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართულში არსებული რთული ზმნების შესწავლა. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა პროფ. ა. შანიძემ და გახაზა ის მნიშვნელობა, რაც რთული ზმნების შესწავლას აქვს ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი საკითხის გადაჭრის საქმეში<sup>1</sup>.

ქართულში არსებული რთული ზმნების შემსწავლელთათვის სახელმძღვანელო დებულებებია აგრეთვე მოცემული ი. იმნაიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში<sup>2</sup>.

შინაარსის მიხედვით რთული ზმნებისათვის ერთცნებიაანობა არის დამახასიათებელი. ფორმის მიხედვით კი არსებობს რამდენიმე ნიშანი: ა) რთული ზმნის პირველი, ე.წ. სახელადი ნაწილი<sup>3</sup> ზმნის უღლებსას უცვლელი რჩება (ღაღად-ჰყოფს და ღაღად-ყო, ღირს-ჰყოფს და ღირს-ყო); ბ) სახელადი ნაწილი პირველ ადგილზეა და უშუალოდ შერწყმის მეშველ ზმნას (ნათელ-ილო, ზრახვა-ყო, გელ-უყო)<sup>4</sup>; გ) ზმნური ნაწილი უზმნისწინოდ არის წარმოდგენილი (ნუგეშინის-სცა, ჯმა-ყო, გულისხმა-ყო).

ნაკლებად შევხვდებით ისეთ რთულ ზმნას, რომელსაც სამივე ეს ფორმალური ნიშანი ახასიათებს, მაგრამ შინაარსის (ერთი ცნების გამოხატვა) გათვალისწინებისა და რომელიმე აღნიშნული ნიშნის თუ ნიშნების აღმოჩენის შემდეგ შესაძლებელი

<sup>1</sup> ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, გვ. 289.

<sup>2</sup> ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1941. (საკანდიდატო დისერტაცია).

<sup>3</sup> „სახელადი ნაწილი“ პირობითი ტერმინია. ზოგჯერ შესაძლოა ამ ნაწილად გამოყენებული იყოს არა სახელი, არამედ უფორმო სიტყვა.

<sup>4</sup> ტერმინი „მეშველი ზმნა“ სავსებით ზუსტად ვერ გადმოსცემს იმ შინაარსს, რომელიც ზმნურ ნაწილს შეჰფერის, ეს ტერმინი უფრო ზუსტად შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის გადმოსაცემად იქნებოდა მიზანშეწონილი.

ხდება რთული ზმნის გარჩევა სათანადო სინტაქსური წყვილისაგან. მაშასადამე, ჩამოთვლილი ფორმალური ნიშნები დამახასიათებელია რთული ზმნისათვის, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ყველა ეს ნიშანი ერთად ახასიათებდეს მას.

სახელადი ნაწილის ფორმა-უცვლელია ზოგადად ახასიათებს რთულ ზმნას: ამბორს-უყოფდა და ამბორს-უყო, გულისხმა-ჰყოფდა და გულისხმა-ყო, თუალ-უყოფს და თუალ-უყვნა, კრულ-ჰყოფს და კრულ-ყო, ლხინება-ჰყოფს და ლხინება-ყო, სრულ-ჰყოფს და სრულ-ყო, უვარ-ჰყოფს და უვარ-ყო, ჯელ-ჰყოფს და ჯელ-ყო... მოყვანილ ფორმათა უმრავლესობაში სახელადი ნაწილიც შეიცვლიდა ფორმას, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მათ დაკარგული აქვთ დამოუკიდებლობა. ამრიგად, სახელადი ნაწილის ისტორიულად არსებული ფუნქციის დაკარგვას მოჰყვა ფორმაცვალების უნარის დაკარგვა.

აღნიშნული არ შეიძლება განვაზოგადოთ ყველა იმ რთულ ზმნაზე, რომელთა სახელადი ნაწილები ადრე პირდაპირ დამატებას წარმოადგენდა. ზემოთ აღნიშნული ფორმების გვერდით არსებობს ისეთი ზმნებიც, რომელთა სახელადი ნაწილები ადრე პირდაპირ დამატებას წარმოადგენდა და ისტორიულად არსებული ფორმაცვალების უნარი შენარჩუნებული აქვთ: პატივს-უყოფს და პატივს-უყო, სახელს-სდებს და სახელს-სდვა, სიტყუას-ჰყოფს და სიტყუა-ყო, წამს-უყოფდა და წამს-უყვნა. ასეთ ზმნათა რიცხვი შედარებით მცირეა.

სახელად ნაწილთა ეს სხვადასხვაგვარი თვისება არ შეიძლება არ ახდენდეს გავლენას საერთოდ ზმნის შინაარსზე. შინაარსის თვალსაზრისით (ერთი ცნების გამოხატვის მიხედვით) ძნელია ერთ სიბრტყეზე მოთავსება, ერთი მხრივ, *გულისხმა-ჰყოფს* და *გულისხმა-ყო*, ხოლო, მეორე მხრივ, *სიტყუას-ჰყოფს* და *სიტყუა-ყო* რთული ზმნებისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც უკანასკნელთა გამოცხადება შეიძლება სინტაქსურ წყვილებად, რასაც ისინი ოდესღაც წარმოადგენდნენ. ყოველივე ეს ხელშეახები ხდება, როდესაც ვითვალისწინებთ, ერთი მხრივ, *თუალ-უყოფს* და *თუალ-უყვნა*, ხოლო, მეორე მხრივ, *წამს-უყოფს* და *წამს-უყვნა* რთული ზმნების შინაარსობრივად აბსოლუტურ იგივეობას. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ არსებობს *ნათელს-გცემ* // *ნათელს-გცემდა* და *ნათელს-გცეს* // *ნათელს-გცეს* პარალელური ფორმები (იხ. ქვემოთ).

რთული ზმნის ფორმალური ნიშნების დახასიათების თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ, თუ მცირე გამოწვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, მიცემითის ფორმით წარმოდგენილი სახელადი ნაწილი, როგორც უკვე მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, საზოგადოდ არ დაირთავს ემფატიკურ ა-ს<sup>1</sup>.

რთული ზმნის სახელადი ნაწილის განხილვისას აღსანიშნავია, რომ მისთვის დამახასიათებელია განსაზღვრული ადგილი. იგი, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს ზმნურ ნაწილს. ასე იყო ეს ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში; ასეა ეს მრავალ სხვა შემთხვევაში: თავს-იდვა, თანა-ედვა, ძალ-ედვა, სულთ-ითქუნა, კაც-კლა, ჯელ-ინიფა, გულად-ილო, ნათელ-ილო, ჯერ-არს, წეს-არს, აღთქუმა-იყო, ბრძოლა-უყო, ექსორია-ყო, ინაწ-იდვა, თანა-წარწდა...<sup>2</sup>

<sup>1</sup> ამ საკითხზე მიუთითებს ქ. ძონენიძე („ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში“: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივ. შრომები, XXX B – XXXI B, 1947, გვ. 346). მაგრამ რთული ფორმის საერთო კლასიფიკაცია ავტორს სრულიად სხვაგვარი აქვს.

<sup>2</sup> არის იშვიათი შემთხვევები, როცა რთული ზმნის ეს დამახასიათებელი ნიშანი არ არის დაცული, სახელადი ნაწილი უსწრებს ზმნურ ნაწილს: გამოუცხადე მას, რათამცა ლოცვა-ყო ჩემთვის. და აღდგა ბერი და



შემდეგი ფორმალური ნიშანი, რაც რთულ ზმნას ახასიათებს, ის არის, რომ მეშველ ზმნას არ ახლავს ზმნისნიანი. აქამდე დასახელებულ არც ერთ რთულ ზმნას ზმნისნიანი არ გააჩნია. თუ ზმნას ზმნისნიანი ახლავს, მაშინ იგი სახელთან ვერ ქმნის ისეთ ორგანულ კავშირს, როგორც ეს რთული ზმნისათვის არის დამახასიათებელი. *პატივის-ცემა* ზმნა ერთცნებიანია და გაიგება როგორც ერთი რთული ფორმა: ჰგონებდეს, ვითარმედ ამით *პატივ-სცემენ* წარსულსა მას (უდაბნ., 35 b). მაგრამ, როცა ზმნა ზმნისნიანთ არის წარმოდგენილი, მაშინ იგი დამოუკიდებელი ერთეულია და სახელიც წინადადების ცალკე წევრს წარმოადგენს: ღმერთსა ჩემსა ვჰმადლობ, რომელმან ესოდენი *პატივი მომცა* (კიმ., ტ. I, 46, 20). აქ როგორც სახელი, ისე ზმნა წინადადების დამოუკიდებელი წევრებია. ასევე ზმნური ნაწილი უზმნისნიოდ არის წარმოდგენილი და რთულ ფორმასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითში: ვითარ-იგი *სიტყუას-მიგებდეს* მე ჰურიანი, ვიძულე ლაღადის-გდებად კეისრისა (საქმე, 28, 19). მაგრამ, როცა ზმნას ზმნისნიანი ახლავს, მაშინ რთულ ფორმასთან აღარ გვაქვს საქმე: აჰა ესერა არა აქუს *სიტყვის მოგება* ღმერთსა ამას შენსა (კიმ., ტ. I, 134, 19). მოცემულ შემთხვევაში უკვე სახელი წინადადების დამოუკიდებელი წევრია. იგი უბრალო დამატებას წარმოადგენს.

ვხვდებით სხვაგვარ შემთხვევებსაც: თითქმის ყოველთვის ზმნისნიანთაა წარმოდგენილი ზმნური ნაწილი, როცა რთული ფორმის სახელად ნაწილს ფორმაუცვლელი სიტყვა წარმოადგენს: გარე-მო-ადგა, გარე-წარ-წადა, თანა-წარ-წადა, თანა-წარ-ვიდა, შინა-გან-სცემდე, წინა-ალ-უდგა, წინა-და-სცკთა... ამ შემთხვევებში უკვე ზმნისნიანი აღარ არის წარმოდგენილი მისი ნამდვილი ფუნქციით. მას აღარა აქვს გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის ფუნქცია, იგი აქ ფუძესთან არის შეხორცებული. ადგილზე თუ მიმართულებაზე (რისი გამოხატვაც საზოგადოდ ზმნისნიანებს ევალება) თვით სახელადი ნაწილები მიუთითებენ.

მაშასადამე, ზმნისნიანის არარსებობა რთული ზმნისთვის ისეთი დამახასიათებელი ფორმალური ნიშანია, რომელიც ყველა რთული ზმნის მიმართ ვრცელდება.

მოცემული ნიმუშებიდან ისიც ჩანს, რომ თუ სახელად ნაწილად გამოყენებულია ზმნიზედა, მაშინ მეშველ ზმნას არ შეიძლება ამ ზმნიზედისაგან მომდინარე ან მასთან მასალობრივად ახლო მყოფი ზმნისნიანი დაერთოს. გვაქვს გარე-მოადგეს, გარე-წარწადა, მაგრამ არ გვაქვს ასეთი რთული ზმნები: გარე-განადგეს, გარე-განწადა. გვაქვს წინა-დაცკთა, მაგრამ არა გვაქვს წინა-წარცკთა.

აღსანიშნავია, რომ რთული ზმნა ზედა-ედვა უზმნისნიოდ გვხვდება. აქ მოსალოდნელი იყო და ზმნისნიანი, მაგრამ იგი არ არის წარმოდგენილი, რადგან სახელადი ნაწილი „და“ მარცვლით ბოლოვდება და მას ზემოაღნიშნული მიზეზის გამო არ შეიძლება მოსდევდეს იმავე ფონეტიკური შედგენილობის ზმნისნიანი. აღნიშნული ზმნისნიანი რომ იყოს ფორმაში წარმოდგენილი, მაშინ მეშველი ზმნა დამოუკიდებლობას

---

ყო ჩემთვის *ლოკვა* (კიმ., ტ. I, 25, 23); განწესენ კრულება მისი და ყავ იგი ღირს, რაათა მივიპყრას შენ მსხუერპლი იგი უსისხლო (კიმ., ტ. I, 335, 16); და ჰრქუა ნომინ ორთა მათ ძის ცოლთა მისთა: ნარვედით და მიიქეცით სახიდ მამისა თვისა და ყავნ უფალმან *თანა წყალობა* (რუთ., 1, 8).

შესაძლოა სახელადი და ზმნური ნაწილი გათიშული იყოს, ე.ი. ტმესის მოვლენასთან გვეკონდეს საქმე მათი პირდაპირი წყობის შემთხვევაშიც: *ჯერ-თუ-არს*, თანა-წარმწედინ მე, უფალო, ჟამი ესე (მარკ., 14, 351); *ღაღად-თუ-ყოს* ჩემდამო, ვისმინო მისი, რამეთუ მონყნლე ვარ (გამოსლვ., 22, 27); და რაჟამს დასდგეთ თაყუანის-ცემად, მიუტევეთ, რაათა *თანა-ვის-ედვას* (მარკ., 11, 25ც).

მოიპოვებდა და სახელადი ნაწილიც თავისთავადი ზმნიზედა იქნებოდა. ამდენად აღარ გვექნებოდა საქმე რთულ ზმნასთან<sup>1</sup>.

აღნიშნულ ფორმალურ ნიშნებს შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება: როდესაც ზმნური ნაწილი სანყისის სახით არის მოცემული, მაშინ სახელადი ნაწილი მასთან სინტაქსური ურთიერთობით კი არ არის დაკავშირებული, არამედ ერთ რთულ, შეთხზულ ფორმასთან გვაქვს საქმე. რთული ზმნის სანყისი, ისე როგორც თვით რთული ზმნა, ერთ ცნებას შეიცავს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ფორმით არის სახელადი ნაწილი წარმოდგენილი; იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფუძის სახით: გელ-ყოფა, თავ-ყოფა, მზა-ყოფა, ჯელ-ყოფა; შეიძლება მას მიცემითის ფორმა გააჩნდეს: გულს-დება, თავს-დება..., შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნათესაობითის ფორმით: ამბორის-ყოფა, გულისხმის-ყოფა; მოქმედებითით: ინაჯით-ჯდომა, ვითარებითის ფორმით: მუცელად-დება, გულად-დება.

ერთ ცნებას შეიცავს როგორც ჯელ-ყოფა, ისე გულისხმის-ყოფა, აქ სახელადი ნაწილის ფორმას (ფუძის სახითაა იგი წარმოდგენილი, თუ ნათესაობითის ფორმით), ცნების გამოხატვის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება მიცემითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმით წარმოდგენილ სახელად ნაწილებს, ისინი ისტორიულად ძირითადად ადგილის გამოხატვასთან არიან დაკავშირებული და როგორც პირიან, ისე უპირო ზმნებში ფორმას არ იცვლიან: თავს-იდვა და თავს-დება, ინაჯით-ჯდა და ინაჯით-ჯდომა, მუცლად-ილო და მუცლად-დება.

\* \* \*

რას წარმოადგენენ ისტორიულად რთული ზმნის შემადგენელი ნაწილები? როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ხშირად რთული ზმნის სახელადი ნაწილი ყოფილი პირდაპირი დამატებაა. შესაძლოა აგრეთვე იგი უდრიდეს მოშლილ სუბიექტს (ჯელ-ენიფების), ირიბ ობიექტს (ჯუარს-აცუა), გარემოებას (მუცლად-ილო). არ არის გამორიცხული რთული ზმნის მიღება შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისა და მეშველი ზმნის შერწყმის შედეგად (ჯერ-არს). მაშასადამე, რთული ზმნა მიღებულია სინტაქსური წყვილის შეერთების, შერწყმის შედეგად.

რთულ ზმნებში საზოგადოდ პირის გამოხატვა დაკისრებული აქვს ზმნურ ნაწილს. იგი ატარებს ყოველგვარ მორფოლოგიურ ნიშანს, რომლებიც ზმნის პირიანობასთან, უღლებასთან და წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. სახელად ნაწილს კი ძირითადად ზმნის მხოლოდ შინაარსობრივი, სემასიოლოგიური მხარისათვის აქვს მნიშვნელობა. მაგრამ სახელადი ნაწილები ერთი რიგი რთული ზმნებისა პირიანობის თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რადგან სწორედ ისინი ისტორიულად ზმნის პირთან შეწყობილ სახელებს წარმოადგენენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზმნის პირთან შეწყობილი სახელი (ხშირად პირდაპირი ობიექტი, ხოლო იშვიათად სუბიექტი და ირიბი ობიექტი) მოშლილია და რთული ზმნის სახელად ნაწილს წარმოადგენს. მორ-

<sup>1</sup> არის რამდენიმე შემთხვევა, როცა რთული ზმნის სახელად ნაწილთან შეხორცებული არის ზმნისწინი. მაგალითად: *შებმა-უყო*, *შეურაცხ-ყო*, მაგრამ ამ შემთხვევაში ზმნისწინი უფრო დერეივაციულ აფიქსს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, აქ ზმნისწინი არ არის გეზის ან ორიენტაციის გამომხატველი. აქ იგი ფორმის განუყოფელი ნაწილია, მისი გამოყოფა, როგორც ზმნისწინისა, შეუძლებელია.

ფოლოგიური ნიშანი ამ გაუქმებული პირისა კი ზმნის ფორმაში წარმოდგენილია, მაგრამ ეს პირი, როგორც რეალური, გრამატიკული პირი, აღარ არსებობს და ამდენად მისი ნიშანი, რომელიც ზმნის ფორმაში ისევე დარჩა, უკვე პირზე მიუთითებს (თუ კი ზმნას ასეთი გააჩნია). დავიწყეთ სუბიექტური პირით.

და ვინაიდან *ძალ-უცს* კაცსა ესე ყოველნი დათმენად კაცისა მიერ თვისსავე მსგავსისა (კიმ., ტ. 1, 57, 11). ასეთი ფორმები მრავალმხრივ არის საინტერესო: ყოფილი სუბიექტი **ძალ** აღარ არის წინადადების დამოუკიდებელი ერთეული. იგი რთული ზმნის შემადგენელი კომპონენტია და სუბიექტური პირის სუფიქსი **ს** მასზე აღარ მიუთითებს. ამ ზმნასთან I და II პირი არასდროს არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს სუბიექტად; ანმყოში ჩვეულებრივ პირის ნიშანი არ არის წარმოდგენილი: უკუეთუ ეგევითარი *ძალ-უც* აპოლონსა, მივიდე ტაძარსა მას მისსა და გამოვცადო იგი (კიმ., ტ. 1, 150, 13). პირის ნიშნის დაკარგვა ფონეტიკური ფაქტორით არის გამოწვეული: სუფიქსი **ს**-ანი არის ყრუ სპირანტი, რომელიც იმსგავსებს ფუძის ბოლოკიდურ ხშულ მჟღერ **ძ**-ილს და აქცევს ფშვინვიერ ხშულ **ც**-ანად, ხოლო შემდეგ თვითონ იკარგება (*ძალ-უძს* → *ძალ-უცს* → *ძალ-უც*). ნყვეტილში სუბიექტის ნიშნად წარმოდგენილია **ა** და ამიტომ არავითარ ფონეტიკურ ცვლილებას ადგილი არა აქვს. ნიშანიც ყოველთვის შეინახულია: შეიპყრნეს გზანი სამეუფონი და ვერ *ძალ-ედვა* ქრისტიანეთა სლვად (კიმ., ტ. II, 200, 19).

ასევე, სუბიექტი მოშლილი ჩანს შემდეგ ფორმებში: გულისხმა-ყო დედაკაცმან მან, რამეთუ არა *სათნო-უჩნს* ღმერთსა შესლვად ყრმისა მის აბანოდ (კიმ., ტ. I, 219, 10); და იქმნა მათ შორის სიტყვს-გებაჲ სარწმუნოებისათს, რომელი-იგი სიტყვს-გებაჲ ან აღწერად ცხორებისა ამის თხრობასა შინა არ *ჯერ-მიჩს* (კიმ., ტ. I, 66, 30); ვერ ჴელენიფების ქალაქსა დაფარვად, რომელი მთასა ზედა დაშენებულ არნ (მათე, 5, 14).

მოყვანილ ნიმუშებში ახალი სუბიექტი არც არის განვითარებული და მხოლოდ მორფოლოგიური კვალიფიკაცია ფორმისა ვერ გვაძლევს სუბიექტის გამოყოფის საშუალებას, რადგან ყოფილი სუბიექტი ზმნასთან არის შეერთებული. სწორედ ამიტომ იყო შესაძლებელი, რომ ზმნის შინაარსი მთლიანად შეცვლილიყო. რთული ზმნის ნაწილები ცალ-ცალკე აღებული სულ სხვა რამეზე მიუთითებენ (ჴელენიფების = ხელი მიუწვდება)<sup>1</sup>, ხოლო ორივე ერთად ერთ ცნებას გამოხატავს და შეცვლილ შინაარსს ატარებს (ჴელ-ენიფების = შეუძლია, უფლება აქვს).

ახალი შინაარსის მიხედვით პირთა კვალიფიკაციაც სხვაგვარია. ცვლილება ძირითადად სუბიექტს შეეხება. როგორც სუბიექტი, ის ხშირად არც ჩანს, რადგან სათანადო სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, და ამდენად იგი სუბიექტადაც არ ჩაითვლება: რამეთუ ვერ ჴელ-ენიფების *დაცხრომად* სულსა ჩემსა (იოზ., 6, 7).

უფრო ფართოდ არის გავრცელებული პირდაპირობიექტური პირის გაუქმება და მასთან დაკავშირებული მოვლენები. სახელადი ნაწილი ზოგიერთი რთული ზმნისა ისტორიულად პირდაპირობიექტურ პირთან შეწყობილ სახელს წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ითქმის **ყო**-თი ნაწარმოებ ზმნებზე. წესის მიხედვით **ყო**-თი ნაწარმოები რთული ზმნები პირდაპირ ობიექტს ყოველთვის უნდა შეიცავდეს, რადგან მარტივად ხმარებისას მუდამ გარდამავალია და, მაშასადამე, შეიცავს

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში, 1941. (საკანდიდატო დისერტაცია).

პირდაპირი ობიექტის გაგებას, რომელიც განსაზღვრულ შემთხვევაში ზმნის ფორმაში სათანადო ფორმატით არის წარმოდგენილი<sup>1</sup>. მაგრამ როდესაც იგი რთულ ზმნაში ყოფილ პირდაპირ ობიექტთან ერთად ერთცნებიან ზმნას აწარმოებს, მაშინ ეს „პირდაპირი ობიექტი“ აღარ არის გაგებული, როგორც ობიექტი. იგი რთული ზმნის შემადგენელ ნაწილად არის ქცეული და მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლობის უნარი, რომელიც ძველისძველად უნდა ჰქონოდა.

აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად წმიდამან, *ღალად-ყო* და თქუა (კიმ., ტ. II, 10, 31). რთულ ზმნაში „ღალად-ყო“ ისტორიულად, რაც *ყო* (ე.ი. პირდაპირი ობიექტი), არის „ღალადი“, მაგრამ ძველ ქართულში ღალად-ყო ერთ მთლიან ცნებად გაგებული ზმნა და „ღალადი“ პირდაპირ ობიექტად (ე.ი. დამოუკიდებელ სიტყვად) აღარ გაიგება. როგორც პროფ. ა. შანიძე მიუთითებს<sup>2</sup>, აქედან წარმოდგება პირის ნიშნის წინ გადმოსმა (ვღალად-ვ-ყავ – საქმე, 24, 21 D) სუბიექტური პირის ნიშანი გადმოსულია თავში და, ამრიგად, სუბიექტური პირის ორმაგ აღნიშვნას აქვს ადგილი.

ისე როგორც ღალად-ყო ზმნაში, პირდაპირი ობიექტი მოშლილია შემდეგ რთულ ფორმებში:

ყრმაჲ ვინმე შთავარდა ჯურღმულსა ფრიად ღრმასა და *ჳმა-ყო* და თქუა (კიმ., ტ. I, 290, 3); ხოლო მან სიხარულით და ცრემლით მუნქუესვე *ამბორს-უყო* კუნკულსა მისსა და იცვალა ფერი პირისა მისისაჲ (იქვე, 265, 19); მრავალ სახედ *ბრძოლა-უყვეს* წმიდასა მაქსიმეს მპყრობელთა მათ და ვერ უძლეს მართლისა სარწმუნოებისაგან მიდრეკად (იქვე, 87, 1); ფერჳი მისი განირთხა და *გ ჳა-უყო* ჩემდამო ალაგთა წარსანყმედელთა მისთა (იოზ., 30, 12); ვითარცა შენ გნებავეს, გამოგიწნე *გელ-ყოფაჲ* ესე შენგან და *გელ-უყო* ძმასა მაგას შენსა (კიმ., ტ. I, 140, 4); დასცნეს ძენი ბენიამენისნი. და *ღევნა-უყვეს* ნოაფთან შემდგომად (მსაჯ., 20, 43); *დრო-უყო* ფილიქს (მაქსიმე, 24, 22); *თავ-უყავ* მამასა შენსა და დედასა შენსა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ ყოვლითკერძო (კიმ., ტ. I, 143, 1); *თუალ-უყვენა* მას სიმონ-პეტრე, რაჲთა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათჳს იტყჳს? (იოვანე, 13, 24 C); და მიავლინა ყოველთა მღდელთა ვედრებით, რაჲთა *ლოცვა-ყონ* მისთჳს (ისტ. ქრესტ., 129, 30); ლხინება-ყოს მღდელმან მან ცოდვისა მისთჳს და მიეტეოს მას ცოდვაჲ იგი (ლევიტ., 5, 6); და ამცნეს ძეთა მათ ბენიამენისთა და ჰრქუეს: წარვედით და *მზირ-უყავთ* ვენაჳოვანსა შინა (მსაჯ., 21, 20); რამეთუ *მოხედვა-ყო* ღმერთმან ერსა თჳსსა (ლუკა, 7, 16 C); მე თუ ვინმე მსახუროს, *პატივ-უყოს* მას მამამან ჩემმან (იოვანე, 12, 26 C); შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და *სიტყუა-ყო* მათ მონათა თანა (მათე, 25, 19); აღძარცუეს საბურველი თავისა მისისაჲ და *შებმა-უყვეს* მას (კიმ., ტ. I, 146, 13); ამიერითგან აღარა გიბრძანებენ შენ წერილნი ესე. . . არამედ ყოვლადვე, რაჲთა არღარა *სახელსდვა* ქრისტეანობასა (კიმ., ტ. II, 46, 27); შეინანეთ და *ნათელ-იღეთ* კაცად-კაცადმან თქუენმან (საქმე, 2, 38); *ჯუარს-აცუეს* და განიყვეს სამოსელი მისი და *წილ-იგდეს* მას ზედა, ვისმცა რაჲ ხუდა (მარკ., 15, 24 C); რამეთუ არა *თუალთ-აღებ* პირსა კაცი-

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 86.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, გვ. 289.

სასა, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ (მარკ., 12, 14 C); *სულთ-ითქუ-მიდეს* ძენი ისრაჴლისანი საქმეთა მათგან ფიცხელთა (გამოსლვ., 2, 23); არა *კაც-კლა*, არა იმრუშო. . . (მათე, 19, 18); *ძიება-ყო* ყოვლითა კრძალულებითა ქრისტიანეთა (კიმ., ტ. II, 45, 32); *ნამ-უყვნა* მას სიმონ-პეტრე (იოვანე, 13, 24); იხილა ერი მრავალი და *წყალობა-ყო* მათ ზედა (მარკ., 6, 34 C); ხოლო იგინი მოხუჯდეს და შეხუვრდეს ფერჯთა მისთა და *თავყანის-ხცეს* მას (ხ. ლექც., 28, 9); რაჴსათჳს *ნათელ-ჰსცემ* შენ, უკუეთუ არა ხარ ქრისტე? (იოვანე, 1, 25); მოვიდა მისა მადლი ღმრთისაჲ, ვითარცა ჭაბუკი ქალი, და *ნუგეშინი-სცა* მას (კიმ., ტ. I, 280, 11); მარხვასა ქრისტემან *პატივ-სცა* და კაცი ეშმაკისაგან გამოიწსნა (კიმ., ტ. I, 58, 33); მაშინ მივიღე მცირედ ღწონო და პური დავალბე და მცირედ *გემო-იხილა* (შუშ., VII, 25); ლოცვა-ყავ ჩემჳს და ყავ სიყუარული და *პირ-იწსენ* ჩემ თანა (კიმ., ტ. I, 230, 11).

ჩამოთვლილ ზმნებს, რომელთა რიცხვი შეიძლებოდა კიდევ გაგვეზარდა, პირდაპირი ობიექტი არ გააჩნია, ამიტომ ზოგიერთი მათგანი (ლხინება-ყო, ჳმა-ყო, სიტყუა-ყო) ერთი პირის გაგებას შეიცავს. მაგრამ როდესაც ეს ზმნები I სერიაშია, გაუქმებული პირდაპირი ობიექტის ნიშანი ზოგჯერ მაინც არის ფორმაში წარმოდგენილი: სიტყუა-ჰყოფს ესე, რომელი თქუა ესაია, ვითარმედ არა თუ მოციქულმან, არცა ანგელოზმან..., არამედ თავადმან აცხოვნა იგინი (უდაბნო, 47 V); პრეფიქსი **ჰ** მიცემითში დასმულ პირდაპირ ობიექტს უნდა გამოხატავდეს, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში უფუნქციოა.

არის ისეთი რთული ზმნებიც, რომლებთანაც, მართალია, ძველი პირდაპირი ობიექტი რთული ზმნის ნაწილად არის ქცეული და ამიტომ იგი, როგორც ობიექტი, მოშლილია, მაგრამ სამაგიეროდ ამ ზმნებს ახალი პირდაპირი ობიექტი აქვთ განვითარებული: და *აღთქუმა-ყო* მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი (მათე 20, 2 C). დამონმებულ ზმნაში სახელადი ნაწილი ისტორიულად წარმოადგენდა პირდაპირ დამატებას, რომელიც დროთა ვითარებაში შეუერთდა ზმნას და დაკარგა პირთან შეწყობილი სახელის გაგება. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა, განვითარებულიყო ახალი პირდაპირი ობიექტი. მოცემულ შემთხვევაში პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს „სატირი“.

ისეთი რთული ზმნის ნიმუშად, რომელსაც ირიბი ობიექტი აქვს მოშლილი, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მაგალითი: ვითარ-იგი მი(ხ)ცეს მღდელთ-მოძღუართა და მთავართა ჩუენთა საშჯელსა სიკუდილისასა და *ჯუარს-ხაცეუს* იგი (ხ. ლექც., 24, 20). მოცემულ მაგალითში „ჯუარს“ მოშლილი ირიბი ობიექტია, მაგრამ ირიბი ობიექტის ნიშანი ზმნაში მაინც შემორჩა. ამიტომ, რადგან ირიბი ობიექტი აღარ არის და შესატყვისი პირის გაგება აღარ გააჩნია ზმნას, ეს ნიშანი უფუნქციოა. ის გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი ზმნის ფორმაში და ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ეს სახელადი ნაწილი ისტორიულად ნამდვილ ირიბ ობიექტს წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ ზმნის კონვერსიული ფორმა **ე**-ნიანი ვნებითია: წყალი ღწონოდ გარდააქცია საკვრველებითა და ძალითა ღმერთეებისათა; და ნეფსით *ჯუარს-ეცუა* (კიმ., ტ. II, 48, 9). **ე**-ნიანი ვნებითის არსებობა კი თავისთავად მოქმედებითისათვის ირიბ ობიექტს ვარაუდობს.

ბოლოს შევეხებით ისეთ რთულ ზმნებს, რომელთა პირველი ნაწილები ფორმა-უცვლელ სიტყვებს წარმოადგენენ. ეს ნაწილები ძირითადად ადგილის ზმნიზებებია, რომელთაგან შემდეგ ჩამოყალიბდა ზმნისწინებები. ესენია: გარე, ზედა, თანა, შინა, წი-

ნა: გარე-მოდგომა (ალყის შემორტყემა), გარე-მიქცევა (მიბრუნება), ზედა-მინევნა (ახლოს მისვლა), თანა-დება (ვალის ქონება), თანა-ნარჯდომა (გვერდის ავლა), შინა-განცემა (გაცემა, ლალატი), წინა-დაცუეთა (отрезание) და სხვა.

ასეთ ზმნათა რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ ტიპის დასახასიათებლად მოყვანილიც საკმარისია. საერთოდ ამ ზმნების სირთულე კითხვის ქვეშ შეიძლება დავაყენოთ. ხშირ შემთხვევაში წინა ნაწილები ზმნისწინის ფუნქციის მქონე უფრო ჩანს, ვიდრე ჩვეულებრივი სახელადი ნაწილებისა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთ მომენტს, მაშინ მათი რთულ ზმნებად გამოცხადება შესაძლებელია. მაგალითად, *თანა-ნარჯდაში* წინა ნაწილს საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას სხვა შემთხვევაში გააჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე *თანა-დება* ზმნა, რომელიც ერთ ცნებას შეიცავს და ვალის ქონებას ნიშნავს. ცალ-ცალკე აღებული არც ზმნიზედა და არც ზმნა ამ მნიშვნელობაზე არ მიუთითებენ, მაგრამ მათი შეერთების შედეგად ვიღებთ ახალი ცნების გამომხატველ ფორმას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზმნისწინები ზოგჯერ ახალ ზმნას აწარმოებსო, მაგრამ ამგვარი ახალი ოდენობის წარმოება არცერთი ზმნისწინისათვის არ არის დამახასიათებელი.

*წინა-დაცუეთა* ზმნის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი, ამავე ცნების გამომხატველი სხვა ენების ზმნებისაგან განსხვავებით, რთულია. „წინ“ აქ არ არის მხოლოდ ადგილის გამომხატველი ნაწილაკი. „წინა“ არის ის, რაც დაცუეთს, ე.ი. ყოფილი პირდაპირი დამატება ან, ყოველ შემთხვევაში, მისი განსაზღვრება.

ცალკე უნდა აღინიშნოს *წინასწარ-მეტყუელება* ზმნის შესახებ. კითხვა ისმის: როგორ უნდა დაიძალოს ეს ზმნა. გამოიყოს უნდა ზმნისწინი „წინა“ და შემდეგ ისევ ზმნისწინიანი „წარმეტყუელება“ ცალკე შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ გამოვყოთ ისტორიულად არსებული დროის ზმნიზედა „წინასწარ“ და ზმნის მეორე ნაწილად „მეტყუელება“ ვიგულისხმობთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი დაყოფა სწორია, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ენებში, ვთქვათ რუსულში, სწორედ „წინა“ ზმნისწინის ეკვივალენტი გამოიყოფა.

ამას გვაფიქრებინებს ის, რომ არსებობს სახელადი ნაწილის სხვანაირი ფორმაც: ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა *წინარ-მეტყუელმან* ჰრქუა (შუშ., II, 8); რომელმან შეიწყნაროს *წინარ-მეტყუელი* სახელად წინანარ-მეტყუელისა, სასყიდელი წინაწარ-მეტყუელისაჲ მიიღოს (მათე, 10, 41 C); რაჲთა აღესრულოს თქუემული იგი უფლისა მიერ *წინარ-მეტყუელისაგან* (მათე, 2, 15 C).

როგორც მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, არსებობს პარალელური ფორმები: ერთი მხრივ, გვაქვს: *წინანარ-მეტყუელი*, *წინასწარ-მეტყუელი*, *წინაწარ-მეტყუელი*, ხოლო, მეორე მხრივ, – *წინარ-მეტყუელი*. უკანასკნელ ფორმაში „წინა“-ს გამოყოფა ყოვლად შეუძლებელია, არამედ გამოიყოფა „წინარ“, ხოლო პირველ ფორმებში „წინასწარ“-ის გამოყოფას არაფერი უშლის ხელს.

რთული ზმნის პირველი ნაწილის განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. რთული ზმნის სახელად ნაწილად შეიძლება გამოყენებული იქნეს საწყისი, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მიმღეობა, ზმნიზედა, იშვიათად რიცხვითი სახელი<sup>1</sup> და პირიანი ზმნა<sup>2</sup>.

2. რთული ზმნის მნიშვნელობისათვის, მისი სემანტიკური მხარისათვის უფრო მნიშვნელოვანია სახელადი ნაწილი, ვიდრე ზმნა.

3. ერთი ცნების მქონე რთული ზმნა ყოველთვის ვერ არის ორგანულად ისე შეკრული, რომ სახელადი ნაწილი არ ინარჩუნებდეს ზმნასთან წინათ არსებული სინტაქსური კავშირისათვის საჭირო ფორმას. ამ მხრივ შემდეგი სურათია:

ა) სახელადი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შერწყმული ზმნასთან და ამიტომ იგი, როგორც პირდაპირი ობიექტი, სერიების მიხედვით ზმნის ცვლასთან ერთად იცვლის ბრუნვას (ნამს-უყოფდეს და ნამ-უყვნა).

ბ) ზმნასა და სახელს შორის, შედარებით პირველი რიგის ზმნებთან, უფრო მჭიდრო კავშირია. სახელადი ნაწილის ბრუნვა ცვალებადობა არ არის დამოკიდებული ზმნის სერიების მიხედვით ცვლასთან (ანმყო: ნათელს-გცემ // ნათელ-გცემ და წყვეტილშიც: ნათელს-გცეს (ნათელ-გცეს).

გ) რთული ზმნის სახელადი ნაწილი ბრუნვაუცვლელია ყველა სერიაში. იგი ან მხოლოდ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ან მხოლოდ მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის და ვითარებითის ფორმით (ველ-ყოფს და ველ-ყო, ამბორს-უყოფს და ამბორს-უყო, ინაწით-ზის და ინაწით-ჯდა, ყურად-იღებს და ყურად-ილო).

\* \* \*

რთული ზმნის ერთ-ერთი (ძალზე ხშირად მეორე ან უკანასკნელი) შემადგენელი ნაწილი აუცილებლად არის ზმნა. იგი ანიჭებს ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სახელად ნაწილს ზმნისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ შინაარსს. ეს ზოგადი თვალსაზრისი ყველა ზმნურ ნაწილზე თანაბრად ვრცელდება, მაგრამ რთული ზმნის ერთი მთლიანი ცნების ჩამოყალიბების საქმეში ყველა ზმნური ნაწილი ერთნაირ როლს არ ასრულებს. ერთი მხრივ გვაქვს რთული ზმნა *ნათელ-სცა*, რომლის ზმნური ნაწილი, ანიჭებს რა სახელად ნაწილს ზმნისთვის დამახასიათებელ გრამატიკულ შინაარსს (პირი, რიცხვი, დრო, კილო...), აგრეთვე მიუთითებს კონკრეტული მოქმედების ჩადენაზე, რომ აქ „ნათელის“ მიმართ მხოლოდ ზოგადი მოქმედების სახით ჩადენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამავე დროს მიუთითებულა, რომ ეს მოქმედება „ცემა“, ე.ი. კონკრეტული სახეა მოქმედებისა. ასეთივე კონკრეტული მოქმედების

<sup>1</sup> მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როცა რიცხვითი სახელია ნახმარი რთული ზმნის სახელად ნაწილად. ასეთია *ერთ-ყოფა*, რომელიც შეერთებას, გაერთიანებას ნიშნავს: ვითარ ჰგავს, შემოქმედი უმცირესთაგან ურთიერთს შეახებს განთვისებულთა ბუნებათა, რაჟთა ერთ-ყოს და თანატომ ყოველი აგებული (ბუნ. კაც., 8, 3); აღნიშნული ფორმა ხელოვნურია. ამიტომ იგი ძველ ქართულში თითქმის არც გვხვდება.

<sup>2</sup> *ნუგეშინის-ცემა* ისეთი რთული ფორმაა, რომლის სახელად ნაწილადაც პირიანი ზმნა არის ნახმარი. იგი მნიშვნელობით დაიმედებას, „ნუგეშინის მიცემას“ ნიშნავს. ამ ზმნის სახელადი ნაწილი არის უარყოფით ნაწილადართული პირიანი ზმნა „*ნუგეშინის*“, რომელშიც სუბიექტი III პირია, ხოლო ობიექტი – II. შემდეგ, როდესაც მთლიანი ფორმა სუბსტანტივად იქნა გაგებული, ის ხშირად კარგავს ბოლოკიდურ ს-ანს: *ნუგეშინის-მეც* (რუთისი, 2, 13) ფორმის გვერდით გვაქვს *ნუგეშინი-სცა*.

ჩადენაზე მიუთითებს *გება*, *დვინება*, *ღება*, *კლვა*, *მნიფება*, *ღება*, *ხილვა*, *ჯდომა*, *ჯდომა* და სხვა ზმნური ნაწილები.

მეორე მხრივ, არსებობს ზმნური ნაწილი „ყოფა“, რომელიც მხოლოდ ზოგადი მოქმედების გამომხატველ შინაარსს უმატებს სახელად ნაწილს. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი მხოლოდ ზმნური ინვენტარია, რომელიც სახელად ნაწილს ზმნად აქცევს; მიუთითებს მოქმედებაზე, მაგრამ არაკონკრეტულზე. **ყო**-თი შედგენილ რთულ ზმნებს შესაძლოა გააჩნდეს კონკრეტული შინაარსი, მაგრამ, თუ რა სახის უნდა იყოს ეს მოქმედება (რომ ეს მოქმედება კონკრეტულია), ამაზე თვით სახელადი ნაწილი მიუთითებს. აღნიშნული თვალსაზრისით „ყოფა“ ზმნური ნაწილი რთული ზმნის სხვა ზმნური ნაწილებისაგან განცალკევებით დგას.

„ყოფა“ ზმნური ნაწილის ეს თავისებურება მისი მნიშვნელობით უნდა აიხსნას, რადგან იგი გაკეთებას, ქმნას, ჩადენას ნიშნავს ზოგადად; ის ზოგადად აღნიშნავს იმას, რაც საერთოდ დამახასიათებელია ყველა ზმნისთვის. სხვა ზმნა კი გამოხატავს ამ ზოგად მოქმედებასაც და ამავე დროს მიუთითებს იმაზე, რომ ეს მოქმედება ზმულობის კონკრეტული სახეა (წერს, ხატავს, აშენებს, კლავს).

სწორედ „ყოფა“ ზმნური ნაწილია რთულ ზმნაში ყველაზე უფრო გავრცელებული. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეს ზმნა ყოფილ პირდაპირ ობიექტთან ქმნის რთულ ფორმებს. ამისათვის „ღალად-ყო“ ზმნა ერთპირიანია. ისტორიულად არსებული პირდაპირი ობიექტი „ღალად“ ამჟამად უკვე აღარ წარმოადგენს ზმნის პირთან შეწყობილ სახელს, რადგან იგი რთული ზმნის შემადგენლობაში შედის. რაოდენობრივმა ცვლილებამ მოგვცა თვისებრივად სრულიად განსხვავებული, ახალი ზმნა, რომელსაც ერთი პირით უკვე ნაკლები გააჩნია, ვიდრე „ყო“ ზმნას დამოუკიდებლად ხმარებისას აქვს. რაკი ღალად-ყო ზმნა ერთპირიანია: და მუნქუესვე ღალად-ყო მამამან მის ყრმისამან (მარკოზ., 9, 24 C), ეს პირი კი სუბიექტურია, ამიტომ ეს რთული ფორმა გარდაუვალია, რადგანაც გარდამავლობისათვის ნიშანდობლივად პირდაპირი ობიექტის ქონება არის მიჩნეული<sup>1</sup>.

გარდა „ყოფა“ ზმნისა, რთული ზმნის საწარმოებლად გამოყენებულია აგრეთვე ცემა (ნათელ-სცა, თაყვანის-სცა), ღება (ნათელ-ილო, ყურად-ილო, მუცლად-ილო), დება (თავს-იდვა, ძალ-ედვა), გება (შურის-გება, ადგიდ-აგოს), პურობა (ადგილ-იპყრა, ყურ-უპყრა), ნიფება (წელ-ინიფა), თქუმა (სულთ-თქუმა), ცუეთა (წინა-დაცუეთა), ცუმა (ჯუარ-ცუმა), ხილვა (გემოჰს-ხილვა), ჯდომა (ინაწით-ჯდომა).

ჩამოთვლილი ზმნები აწარმოებენ ძირითადად პირიან რთულ ფორმებს. ყველა მათგანს რთულ ზმნათა წარმოების მხრივ ერთნაირი გავრცელების არე არა აქვს. ზოგიერთი მათგანი (ყოფა, ცემა, ღება, დება, გება) სხვადასხვა სახელად ნაწილთან რიცხობრივად მრავალ რთულ ფორმას აწარმოებს, დასახელებულ ზმნათა ნაწილი კი მხოლოდ ერთ სახელად ნაწილთან შეერთებით ქმნის რთულ ფორმას.

ძველი ქართულის ძეგლებში გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც შინაარსის მიხედვით გვაფიქრებინებს, რომ თითქოს რთულ ზმნებთან გვაქვს საქმე. მაგრამ მათი კონსტრუქცია რთულ ფორმებად აღიარების წინააღმდეგ მეტყველებს, ამიტომ

<sup>1</sup> ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, გვ. 259.



ჩვენც საგანგებოდ მათ შესახებ არ შევჩერდებით. ასეთი შემთხვევების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: „ღალად-ყო მოსე უფლისა მიმართ და თქუა: რაჲ უყო ერსა ამას? მცირედ-ლა ქუაჲ დამკრიბონ“ (გამოსლვათაჲ, 17, 4). „ქუაჲ დამკრიბონ“ რომ თანამედროვე ქართულად გადმოვთარგმნოთ, მივიღებთ ამას: „ჩამქოლავენ“, მაგრამ თუ ჩვენ ძველი ქართულისავე თვალსაზრისით განვიხილავთ მოცემულ ფაქტს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ „ქუაჲ“ პირდაპირი დამატებაა და, მაშასადამე, წინადადების დამოუკიდებელი ერთეულია, ხოლო „დამკრიბონ“ ზმნისწინით წარმოდგენილი მარტივი ფორმაა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების მიხედვით, მწკრივთან დაკავშირებული შინაარსის გამოხატვის თვალსაზრისით, რთულია აგრეთვე ყველა ერთპირიანი ზმნა III სერიაში: აღსრულებულ არს, აღდგომილ არს, მოსრულ იყო, დამჯდარ იყოს, დაძინებულ იყოს და სხვა. მაგრამ რადგან ეს ზმნები თავიანთი ბუნებით მარტივია, აღწერილობითი წარმოება მხოლოდ III სერიაში ახასიათებს და I და II სერიაში ყოველთვის მარტივი ფორმით არის წარმოდგენილი, ამიტომ ისინი ნაშრომში განხილული არ არის.

## ზურაბ ქუმბურიძე

### მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში

ძველ ქართულს მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოსახატავად საკუთარი ფორმები არ გააჩნდა და ამ მიზნით ძირითადად კავშირებითის ფორმებს იყენებდა. საერთოდ ქართულში კავშირებითის სულ ოთხი მწკრივი მოგვეპოვება: თითო-თითო ანმოსა და მყოფადის წრეებში და ასევე II-სა და III სერიაში. მათგან მყოფადის კავშირებითი მყოფადისაგან ინარმოება, მასზე გვიანდელია და მყოფადის თხრობითი კილოს ფუნქციით, ცხადია, არასოდეს ყოფილა გამოყენებული. შედარებით გვიანაა ჩამოყალიბებული III სერის ფორმებიც, მათ შორის – მესამე კავშირებითი, რომლის ხმარებაც ძველ ქართულში ძალზე იშვიათია და მას თხრობითი კილოს გამოსახატვა აგრეთვე არ ეკისრებოდა. რაც შეეხება დანარჩენ ორ მწკრივს – პირველსა და მეორე კავშირებითებს, მათ ძველ ქართულში სისტემებზე ვხვდებით როგორც კავშირებითის, ისე თხრობითი კილოს გადმოსაცემად.<sup>1</sup>

მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად კავშირებითი პირველისა და მეორის გამოყენების მაგალითები ძველ ქართულ ტექსტებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და საგანგებო ჩხრეკა არ ესაჭიროება. ამიტომ ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშით დაგვკმაყოფილდებით. აი ერთი ადგილი ძველი ქართული ოთხთავიდან:<sup>2</sup>

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგენიშინის-ცემულ იყვნენ.

ნეტარ იყვნენ მშენი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ.

ნეტარ იყვნენ რომელთა ჰშიოდის და ჰსწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძლენ.

ნეტარ იყვნენ მონყალენი, რამეთუ იგინი შეინყალენ.

ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ნეტარ იყვნენ მშუდობის მოქმედნი, რამეთუ იგინი ნაშობ ღმრთის იწოდნენ.

ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ თქუენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუევით ჩემთჳს“ (მათე, 5, 3-11).

მოყვანილ ნაწყვეტში გვხვდება პირველი კავშირებითის ფორმებიც (ჰშიოდის, ჰსწყუროდის, გყუედრიდენ, გდევნიდენ) და მეორე კავშირებითისაც (იყვნენ, იყვნეთ,

<sup>1</sup> ა. შანიძე. ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): სასკოლო სახელმძღვანელოში – „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. აბრამიძემ და ილ. აბულაძემ, 1936, გვ. 289.

<sup>2</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით), გამოსცა ა. შანიძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, 2, თბილისი, 1945.

დაიმკვდრონ, განძენ, შეინყალნენ, იხილონ, ინოდნენ, თქუან). ყველა ესენი ნახმარია მომავალი დროის თხრობითი კილოს გაგებით.

მოვიყვანთ კიდევ ორიოდე მაგალითს როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური ძველი ქართული ძეგლებიდან:

ესე აღხუასრულო დადახუბეჭდო ნაყოფსა მას მათსა და წარვიდე თქუენ მიერ სპანიად. ესე უწყი მე, მო-რა-ვიდოდი თქუენდა, სავსებითა მით კურთხევეთა ქრისტესითა მოვიდე (ჰრომ. 15, 28-29, ხანმეტი ლექც.).

მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოხცეს ნათელი თვისი და ვარსკულავნი გარდამოცკვენი ზეცით და ძალნი ცათანი შეჰიძრენ. და მაშინ გამოჩნდეს ნიში ძისა კაცისაჲ ცათა შინა და მაშინ შეტყებდენ ყოველნი ტოჰმნი ქუეყანისანი და იხილონ ძმ კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა ძალითა და დიდებითა დიდითა (მათე, 24, 29-30, ხანმეტი ლექც.).<sup>1</sup>

სათნო ყავნ უფალმან... გულსა ყოვლისა ქრისტეს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ (აბო, 48, 5-7, აგიოგრ. ძეგლ. 1)<sup>2</sup>.

ნესი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უფროსად ყუაო დის და აღემატოს მომავალთა ჟამთა (იქვე, ხანძთ. 169, 4-5).

და ან დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი (იქვე, შუშან. 11, 3-4).

არავინ გიტეოს ქრისტეს მსახურ ყოფად და, თუ მშკდობით არა განუტეო სიცოფე ეგე, ტანჯვაჲ დიდი მოინიოს შენ ზედა (იქვე, ევსტ, 32, 1-3).

როგორც ვხედავთ, მომავალი დროის გადმოსაცემად ნახმარია ხან პირველი კავშირებითის, ხან კი მეორე კავშირებითის ფორმები. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ასპექტის მიხედვით: პირველი კავშირებითი უსრულ ასპექტს გვიჩვენებს, მეორე კავშირებითი – სრულს, დროისა და კილოს მხრივ კი მათ შორის განსხვავება არ არსებობს.

მომავალი დროის გადმოსაცემად ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მეშველ ზმნასთან ერთად. ამ მხრივ ძველი ქართული რამდენადმე ჰგავს ძველ ბერძნულს, სადაც მომავალი დროის გადმოსაცემად გვხვდება როგორც კავშირებითი კილოს ფორმები, ისე მიმღებობიანი და ინფინიტური კონსტრუქციები მოდალურ ზმნებთან ერთად.<sup>3</sup> მასდარული კონსტრუქციით ძველ ქართულში გადმოიცემა მოქმედება, რომელიც მომავალში უთუოდ უნდა შესრულდეს, ე.ი. მყოფადს ასეთ შემთხვევაში კატეგორიულობის, აუცილებლობის გაგება აქვს.<sup>4</sup>

მომავალი დროის გამოხატვის ეს საშუალება ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად გვხვდება, ამიტომ აქაც მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით:

<sup>1</sup> ხანმეტი, ლექციონარი. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, I, თბილისი, 1944.

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964.

<sup>3</sup> С.В. Меликова-Толстая. Будущее время в греческом языке: Ученые зап.ЛГУ, серия филологических наук, вып. 15, 1952; Б.Б. Мительман. Будущее время в языке древне-греческого эпоса (Автореферат кандидатской диссертации).

<sup>4</sup> ა. მარტიროსოვი. მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: იკე, VII, 1955.

ლუანლსა დიდსა შ ე ს ლ ვ ა დ ხ ა რ , დედოფალო (იქვე, შუშან. 13, 21).

შენდა ეგდენ ყოფად არს ფერვითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა ოთხთა გამოგიღონ (იქვე, 21, 6-8).

მე აქა არღარა მოქცევად ვარ... ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა (იქვე, ვესტ. 34, 31-35, 1).

შფოთნი და განსაცთელნი შემთხუევად არიან ადგილსა მას ნამუშავესა შენსა (იქვე, სერაპ. 340, 2-3).

ორპირიან ფორმებში მეშველ ზმნად წარმოგვიდგება უც (როცა გრამატიკული სუბიექტი მხოლოდითშია), ან უსხენ (როცა სუბიექტი მრავლობითშია): დაპყრობად უც პატივი შენი (= შენი თანამდებობა უნდა დაიჭიროს, შენი თანამდებობის დაჭერას აპირებს); შეეუარებად უც მას კეთილი სარწმუნოებაჲ ქრისტჳს ღმრთისაჲ დამოძულებად უსხენ კერპნი ჴელით-ქმნულნი<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ მყოფადის გადმოცემისას კავშირებითი და მასდარული კონსტრუქცია ზოჯერ ერთმანეთს ენაცვლება ძველი ქართულ ძეგლთა სხვადასხვა რეაქციაში.<sup>2</sup>

ყოველნივე დაპბრკოლდეთ ჩემდა მომართ (მათე, 26, 31C).

თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ (იქვე, DE).

რაჲ-მე უკუე ყოფად არს ჩუენდა? (მათე, 19, 27 C).

რაჲ-მე იყოს ან ჩუენთჳს? (იქვე, DE).

მარქუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე (მათე, 24, 3 C).

მითხარ ჩუენ: ოდეს იყოს ესე (იქვე, DE)

და ძე კაცისაჲ მიცემად არს მღდელთ მოძღუართა და მნიგნობართა (მარკ. 10, 33 C).

და ძჳ კაცისაჲ მიეცეს მღდელთ მოძღუართა და მნიგნობართა (იქვე, DE) და სხვ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, „ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი და მასთან დაკავშირებული სათანადო კონსტრუქციები ძველ ქართულშივე შედარებით ახალი წარმონაქმნი ჩანს. იგი ჩანასახის სახეს ატარებს. ასეთმა მასდარმა ვერ მოასწრო მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე მიეღო და ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მისი კვალიც კი აღარ შერჩა ახალ სალიტერატურო ქართულს“<sup>3</sup>.

ამრიგად, მყოფადი ახალ ქართულში მასდარის მეშვეობით ვეღარ გადმოიცემა. მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოსატვის ფუნქცია დაკარგა აგრეთვე კავშირებითმა. სამაგიეროდ ეს ფუნქცია იკისრა ზმნისწინიანმა ანმყოფ, რომელმაც

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გ. 205-206.

<sup>2</sup> ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: იკე, XII, 1953, გვ. 199. ნ. კოტინოვი. ვითარებითი დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში: ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1964, გვ. 101.

<sup>3</sup> ა. მარტიროსოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

ცალკე მწკრივის სახე მიიღო. ეს ძირეული ცვლილებანი, რაც მომავალი დროის გამოხატვის მხრივ მოხდა ქართულში, ცხადია, ერთბაშად არ განხორციელებულა: მყოფადის გამოხატვის ახალი სისტემის ჩანასახებს ჩვენ ძველი ქართულის ნიაღშივე ვხვდებით; მეორე მხრივ, დღემდე ვამჩნევთ ძველი სისტემის თვალსაჩინო კვალსაც. სწორედ ამგვარ მოვლენებზე გვინდა უფრო დანვრილებით ვისაუბროთ.

როგორც ვიცით, მყოფადის გამოხატვის ახალ გზაზე დადგომა ასპექტის სისტემის შეცვლასთან არის დაკავშირებული. ა. შანიძეს, რომელმაც პირველმა გამოიკვლია ეს საკითხი, აღნიშნული აქვს, რომ „ჯერ კიდევ ძველი ქართულის ძეგლებში კანტი-კუნტად მოიპოვება ახალი სისტემის ნიმუშები. მაგალითად, ზაქარია წინასწარმეტყველის ერთი ადგილი (13, 7) ასეა დამონებული მათესა და მარკოზის თავში: „წერილ არს: დავსცე მწყემსი და განიბნინენ ცხოვარნი“ (მათ. 26, 31; მარკ. 14, 27). მაგრამ ასეა ზოგ რედაქციაში, ზოგში კი სხვაგვარად იკითხება: „დავსცემ მწყემსსა და განიბნინენ ცხოვარნი“. ხელნაწერები ამ საკითხში ასეა განაწილებული: ადიშურსა და ათონურში ორგანვე „დავსცე მწყემსი“ იკითხება (იგივეა ორსავე ადგილას არეთვე გიორგი მთაწმინდლის რედაქციაში, როგორც ეს ნაბეჭდი წიგნებიდან ჩანს), ჯრუჭისა და პარხლისაში მათეს თავში არის: „დავსცე მწყემსი“, მარკოზისაში კი – „დავსცემ მწყემსსა“... ტბეთურში კი ორგანვე „დავსცემ მწყემსსა“ არის, როგორც ამას გამოცემა აჩენს. არავითარი ეჭვი არ არის, რომ აქ მომავალი დროის თხრობითი კილოს მნიშვნელობით არის ნახმარი როგორც „დავსცე“, ისე „დავსცემ“ ფორმა (ბერძნულში აქ იკითხება წინადადება მყოფადის ფორმით  $\mu\alpha\tau\acute{\alpha}\xi\alpha\ \tau\acute{o}\nu\ \pi\alpha\iota\mu\acute{\epsilon}\nu\alpha$  სომხურიც მას მისდევს:  $hax\acute{e}h\acute{e}\ h\acute{e}h\acute{e}h\acute{e}$ ). ეჭვი არ არის არც იმაში, რომ ერთ შემთხვევაში მომავლის ფორმა თხრობითი კილოსი ძველი სისტემით არის გამოხატული („დავსცე მწყემსი“ – II სერია, II კავშ.), მეორე შემთხვევაში კი – ახალი სისტემით („დავსცემ მწყემსსა“ – I სერია, მყოფადი).<sup>1</sup>

ამგვარი მაგალითების რიცხვი ძველი ქართულიდან შეიძლება გავამრავლოთ. მივმართოთ ჯერ V-X საუკუნეთა ქართულ ორიგინალურ ძეგლებს.

ევსტათი მცხეთელის მარტილობის დასასრულს სადაც ევსტათის თავის მოკვეთის ამბავია აღწერილი, ავტორი აღნიშნავს, რომ მარზპანის მსახურებს, რომლებსაც ევსტათის მოკვლა დაავალეს, არ უნდოდათ მოეკლათ იგი, მაგრამ ერთმა მათგანმა თქვა: ჩვენ მოგვკლავენ, თუ მაგას ცოცხალს დავტოვებთო. ეს აზრი ნაწარმოებში შემდეგი სიტყვებით არის გადმოცემული:

ჩუენ მოვსწყდებით, უკუეთუ ეგე ეგოს ცოცხალი (აგიოგრ. ძეგლები, 1, 45, 9).

მ ო ვ ს ნ ყ დ ე ბ ი თ აქ უთუოდ მომავალ დროს გადმოგვცემს, ფორმაც მას დღევანდელი მყოფადისა აქვს, ფრაზის მეორე ნახევარში კი მომავლის მნიშვნელობითვე ნახმარია მეორე კავშირებითის ფორმა (ე გ ო ს).

მსგავს ვითარებას გვიჩვენებს გობრონის მარტილობის შემდეგი ადგილი:

რომელი ამას ქუეყანასა ზედა დამდაბლდეს, იგი ცათა შინა ამალღდების ქრისტმ იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა (იქვე, 183, 24).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 276-277. იხ. აგრეთვე მისი ივე: Изменение системы выражения категории вида в грузинском и его последствия: сбам, III, 9, 1942.

აქაც როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადება მომავალ დროს გამო-  
ხატავს, მაგრამ მის გადმოსაცემად დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა ნახმარია  
კავშირებითის ფორმით (დ ა მ დ ა ბ ლ დ ე ს ), მთავარში კი – მყოფადით (ა მ ა ლ ლ -  
დ ე ბ ი ს ), ერთი ხელნაწერი – E არქაულ ვითარებას იცავს და ზმნას აქაც  
კავშირებითში წარმოგვიდგენს: ა მ ა ლ ლ დ ე ს .

ახლებური მყოფადის რამდენიმე ნიმუში გვხვდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვ-  
რებაშიც:<sup>1</sup>

მოკლედ შენ ხანცთას მამასახლისად დ ა ს დ გ ე ბ ი (აგიოგრ. ძეგლები, 1, 318, 41).  
სრულიად მ ო ჰ მ კ ი ა ნ ვიდრე მწუხრამდე იფქლსა მას კეთილსა (იქვე, 292, 24).  
ჭემმარიტთა ქრისტეანეთა შვილსა მწვალბეელი მღდელი ვერ მ ო ჰ ნ ა თ ლ ა ვ ს ,  
დაღაცათუ უნათლავი მოკუდებოდის (იქვე, 312, 15).

აი კიდევ რამდენიმე მაგალითი ძველი ქართული ტექსტებიდან, როცა მომავალი  
დრო ახლებურად არის გადმოცემული:

ღირსი ესე მამაჲ ჩუენი... მოვლიდის მონაფეთა თვსთა ყოველსავე ჟამსა შინა, რა-  
თა არა პოოს დაჴსნილი უდებებითა და განუმზადებელი დღისა მისთვის უცნაურისა,  
რომელსა შინა მოსრული სიძე იგი განმედილთა სულთა მ ო უ ნ ო დ ს (მოუნოდდეს  
C) განმზადებულთა და შემკობილთა შესლვად სასძლოსა ცათასა (ასურ. მოღვაწეთა  
ცხოვრება,<sup>2</sup> 49, 15).

და რომელნი მივიდნენ ადგილსა მას, მიიღებენ ე ვ ლ ო გ ი ა დ წყლისა მისგან  
და მხლისა (იქვე, 184, 15).

საქმენი ესე, რომელთა იტყვთ, თვნიერ ჩემსა არა წ ა რ ე მ ა რ თ ე ბ ი ა ნ  
(სერაპიონ ზარზმელი<sup>3</sup> 157, 8).

მ ი ი ნ ე ვ ი ს ყრმაჲ ესე დიდებასა მეფობისასა, რომელ არავინ მიწვეულ არს  
ეგვეითარსა მეფობასა და სიმაღლესა ქუეყანასა ჰინდოეთისასა (ბალავარიანი<sup>4</sup>, 9, 35).

მე ესრე ვჰგონებ, ვითარმედ დიდებაჲ ესე, რომელსა მ ი ე მ თ ხ უ ე ვ ი ს  
(მ ი ი ნ ე ვ ი ს 4) ყრმაჲ ესე, არა არს ამის სოფლისა დიდებაჲ, არამედ ესრეთ ვჰგონებ,  
ვითარმედ დიდი წინამძღუარი იყოს გზასა მას ჭემმარიტებისასა (იქვე, 10, 7).

მსგავს მაგალითებს შეიცავს აგრეთვე „მამათა სწავლანი“, იოანე მოსხის  
„ლიმონარი“ და ძველი ქართული ენის სხვა თვალსაჩინო ძეგლები.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართველი მნიგნობრები ზოგჯერ ბიბლიური წიგნები-  
დან მოტანილი ციტატების შეცვლასაც კი არ მორიდებიან და დედნისეული კავშირე-  
ბითის ფორმები დამონმებისას მყოფადით შეუცვლიათ. მაგალითად, „ქართლის მოქ-

<sup>1</sup> М.В. Мирзашвили. Язык «Жития Григория Хандзтийского» (Автореферат кандидатской диссертации). Тбилиси, 1956, გვ. 31.

<sup>2</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილია აბულაძემ: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, I, თბილისი, 1955.

<sup>3</sup> „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლე-  
ვით, თბილისი, 936.

<sup>4</sup> ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბუ-  
ლაძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები 10, თბილისი, 1957.

ცევაში“, სხვათა შორის, დამონმებულია ერთი ადგილი მათეს სახარებიდან, რომელიც ოთხთავის უძველეს რედაქციებში ასე იკითხება.

რომელმან თქუენ შეგინყნარნეს, მან მე შემინყნაროს (რომელმან შეგინყნარნეს თქუენ, მე შემინყნარა C); და რომელმან მე შემინყნაროს, შეინყნაროს მომავლინებელი ჩემი (მათე, 10, 40).

ეს ციტატი „ქართლის მოქცევაში“ შემდეგნაირად იკითხება:

რომელმან თქუენ შეგინყნარნეს, მე შემინყნარებს, და რომელმან მე შემინყნაროს, შეინყნარებს მომავლინებელსა ჩემსა (აგიოგრ. ძეგლები, I, 117, 5-7).

როგორც ვხედავთ, ოთხთავში დაცულია ძველი ნორმა და მომავალი დროის გადმოსაცემად ზმნები წარმოდგენილია კავშირებითის ფორმით, „ქართლის მოქცევის“ ტექსტში კი დამონმებული ადგილი რამდენადმე შეცვლილია და კავშირებითის ნაცვლად ორჯერ ნახმარია მყოფადის ფორმა: შ ე მ ი ნ ყ ნ ა რ ე ბ ს , შ ე ი ნ ყ ნ ა რ ე ბ ს .

ასევე შეცვლილია ოთხთავიდან დამონმებული ერთი ადგილი იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში:

ყოველი, რომელი დაიმდაბლებდეს თავსა თქსსა, იგი ა მ ა ლ ლ ე ბ ი ს (იქვე, 197, 33).

ეს არის ციტატი, რომელიც ოთხთავში ორჯერ გვხვდება (მათე, 23, 12; ლუკა, 18, 14) და ორივეგან ზმნები ნახმარია კავშირებითის ფორმით: რომელმან დაიმდაბლოს თავი თქსი, იგი ამაღლდეს (ლუკას სახარების DE რედაქციაში იკითხება: აღმაღლდეს). იოანე ზედაზნელის ცხოვრების ყ რედაქციაში ეს ციტატი ზუსტად ასევე არის მოტანილი, C რედაქციაში კი შეცვლილია და ერთი ზმნა პირველი კავშირებითის ფორმით წარმოგვიდგება (დაიმდაბლებდეს), მეორე კი – მყოფადის ფორმით (ამაღლდების).

მომავალი დროის გამოხატვის მხრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იოანე ზედაზნელის ცხოვრების შემდეგი ადგილიც:

მისთვის ჯერ-არს, რაჟთა ყოველმან, რომელმან ჴელ-ყოს საღმრთოსა მსახურებასა, ითხოვოს მისგან, რომელი-იგი უხუად მომნიჭებელ არს ღმერთი, და მისცემს საზრდელსა, ვითარცა იტყვს იაკობ მოციქული: „უკუეთუ ვინმე ნაკლულევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ, და მოსცეს მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან“ (აგიოგრ, ძეგლები, I, 193, 13-18).

აქ ავტორი თავის თხრობაში ხმარობს ზმნისწინით ნაწარმოებ მყოფადს – მ ი ს - ც ე მ ს , მაგრამ იქვე დამონმებულ ციტატაში (იაკობ 1, 5) იგივე ზმნა იმავე მნიშვნელობით წარმოდგენილია კავშირებითის ფორმით – მ ო ს ც ე ს . ამრიგად, ამ შემთხვევაში ავტორი თავს იკავებს ზმნის ფორმის შეცვლისაგან ციტატაში, თუმცა თვითონ კი მყოფადის გამოხატვის ახალ გზას მიმართავს. სხვა შემთხვევებში კი, როგორც ვნახეთ, ციტატებშიაც არის შეტანილი გარკვეული ცვლილებანი მომავალი დროის გამოხატვის მხრივ.

მყოფადის ახალი სისტემის დამადასტურებელია დ ი ს და ვ ა ლ ს ზმნათა გამიჯვნა დროის მიხედვით და ვ ა ლ ს ზმნის გადანაცვლება მყოფადში, რისი უძველესი ნიმუშიც, ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით, აბოს წამებაში უნდა გვქონდეს:

მ ო ვ ა ლ ს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თვისსა თავით თვსით შეიკრებდენ მოძღურებასა ქავილითა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ (აგიოგრ. ძეგლები, I, 49, 24).

აქაც ჩვენ ციტატთან გვაქვს საქმე: დამონმებულია პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (4, 3-4), სადაც იკითხება: ი ყ ო ს ჟამი (= იქნება დრო), აბოს წამებაში კი ნათქვამია: მ ო ვ ა ლ ს ჟამი (= მოვა დრო).

ვ ა ლ ს ზმნა მყოფადის შინაარსით რამდენჯერმე გვხვდება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში:<sup>1</sup>

გარნა მე ვერლა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ ადრე წ ა რ ვ ა ლ ამიერ (170, 1);

მე, ძმანო, აჰა ესერა წ ა რ ვ ა ლ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუენ იდიეთ მამაჲ და წინამძღუარი (175, 30);

უბრძანებდა, რაჲთა დრო-ყოს და თუთ მ ო ვ ა ლ ს ჟამი, რაჲთა იქმნეს მონაზონ (178, 13).

როგორც ცნობილია, ზოგი ზმნა ახალ ქართულში მყოფადს ზმნისწინით ვერ აწარმოებს და სხვა გზას მიმართავს. ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება ამგვარი მყოფადის რამდენიმე ნიმუშიც:

არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გ ე ქ ნ ე ბ ი ა ნ შენ? (აგიოგრ. ძეგლები, I, აბო, 70, 19).

და ნეტარ არიან, რომელნი აღასრულებდენ ჴსენებასა მისსა, რამეთუ დიდსა მადლსა ღირს ი ქ მ ნ ე ბ ი ა ნ (იქვე, მოქცევაჲ ქართლისაჲ, 91, 1).

წარვედ და კუერთხი ესე ჩემი ჩაყავ მტკუარსა, ხოლო იგი გ ზ ა - გ ც ე მ ს და განვედ ჴმელად (იქვე, ცხორებაჲ შიოხსი და ევაგრესი, 219, 37).

გინებსა, ყრმაო, განსყიდის კარაულისა ამის, რამეთუ ვ ი ყ ი დ ი ? (ცხორებაჲ ეპიფანე კვპრელისაჲ<sup>2</sup>, 93, 4).

ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელი არ არის, რომ ძველ ქართულ ტექსტებში შეგვხვდეს მყოფადის წრის სხვა მწკრივთა ფორმებიც. მართლაც, ზმნისწინის მეშვეობით ნაწარმოები ხოლმეობითის (პირობითის) რამდენიმე ნიმუში გვაქვს, მაგალითად, დავით გარეჯლის ცხოვრების ერთ ადგილას:

რაჲსა მწუხარე ხარ, სათნოო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო? რამეთუ უკუეთუმცა შთასრულ იყო ვეშაპი ისი წყალთა შინა, მიერ წ ა რ ვ ი დ ო დ ა ზღუათა შინა და მას შინა თევზთა ჭამითა გ ა ნ დ ი დ ნ ე ბ ო დ ა ფრიად და მრავალთა ნავთა და ა ა ქ ც ე ვ დ ა ზღუათა შინა და მრავალთა სულთა წ ა რ ს წ ყ მ ე დ დ ა წყალთა შინა (აგიოგრ. ძეგლები, I, 232, 24-28).

<sup>1</sup> ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1936; ნ. გოგუაძე. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტისა და ენის საკითხები: ფილოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1964, გვ. 19.

<sup>2</sup> საკითხავი ნიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაშვილმა, თბილისი, 1966.



ზემოთ განხილული ჩვენთვის საინტერესო ფორმებიდან ზოგი შესაძლოა გადამნერთა კალამს ეკუთვნოდეს, რაკი ზოგიერთი ძველი შედარებით გვიანდელი ხელნაწერებით არის ჩვენამდე შემონახული. ასეთი ვარაუდი განსაკუთრებით სარწმუნოა, როცა ახლებურ მყოფადს რომელიმე ხელნაწერში კავშირებითის ფორმიანი ვარიანტიც მოეპოვება. მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დამონმებული ფორმების ნაწილი მაინც ძველი ნუსხებიდან უნდა მოდიოდეს და გვიანდელ გადამნერთა კალმისათვის მთლიანად მათი მიკუთვნება სწორი არ იქნებოდა, რომ მყოფადის მწკრივი ძველი ქართულის წიაღში არის ჩასახული, ამას განსაკუთრებით მკაფიოდ ადასტურებს უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები, რომლის მაგალითები ტექსტებიდან ჩვენ ჯერჯერობით არ განგვიხილავს.

წართქმით ბრძანებითს ძველ ქართულში საგანგებო მწკრივები მოეპოვებოდა, უკუთქმითს კი საკუთარი ფორმები არასდროს ჰქონია და მუდამ სხვა მწკრივთა ფორმებს სესხულობდა და სესხულობს დღესაც. უკუთქმით ბრძანებითში სხვადასხვა მწკრივის ფორმები გვხვდება იმის მიხედვით, თუ რა სახის უარყოფასთან გვაქვს საქმე და რომელი უარყოფითი ნაწილაკია გამოყენებული;

საერთოდ ქართულში ცნობილია სამი სახის უარყოფა: მარტივი უარყოფა (ა რ ნაწილაკიანი), შესაძლებლობის უარყოფა (ვ ე რ ნაწილაკიანი) და აკრძალვა (ნ უ ნაწილაკიანი).<sup>1</sup> ამათგან შესაძლებლობის უარყოფა ბრძანებითს ვერ ეგუება, რადგან ის მაშინ იხმარება, როცა მოქმედება არ სრულდება სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად, როცა სუბიექტს არ ძალუძს მოქმედების შესრულება. ცხადია, ასეთ პირობებში ბრძანება სრულიად უადგილო და შეუფერებელია. ამიტომ ვ ე რ ნაწილაკი უკუთქმით ბრძანებითში არასდროს გვხვდება. რაც შეეხება ა რ და ნ უ ნაწილაკებს, უკუთქმით ბრძანებითში თავისუფლად იხმარება როგორც ერთი, ისე მეორე, ოღონდ ა რ ნაწილაკის დართვისას ზმნა კავშირებითის ფორმით წარმოგვიდგება („არ გააკეთო“), ნ უ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი კი თანამედროვე ქართულში ანმყოს ან მყოფადს იყენებს. თუ მოქმედება, რომლის აღკვეთასაც მოითხოვენ, უკვე დაწყებულია, გამოიყენება ანმყოს ფორმა („ნუ აკეთებ“), ხოლო თუ მოქმედება ჯერ არ დაწყებულა, მის ასაკრძალვად გამოიყენება მყოფადის ფორმა („ნუ გააკეთებ“).

კავშირებითისა და თხრობითი კილოს ფორმათა მონაცვლეობა უკუთქმით ბრძანებითში ძველი ქართულიდან მოდის. მათ შორის ამჟამად ცნობილი მიმართებაც ძველ ქართულშივე გვხვდება: ა რ ნაწილაკთან – კავშირებითი, ნ უ – სთან – თხრობითი კილო:

ნ უ შ ჯ ი თ (ნუ და ს ჯ ი თ C), რაფთა არა და ი ს ა ჯ ნ ე თ (მათე, 7, 1).

მართალია, ნუ ნაწილაკთან ზმნა საერთოდ შესაძლებელია კავშირებითის ფორმითაც წარმოგვიდეს<sup>2</sup>, მაგრამ ნ უ ნაწილაკთან უკუთქმით ბრძანებითში უკვე ძველ

<sup>1</sup> ვ. თოფურია. ორმაგი უარყოფა ქართულში: ნელინდეული, 1924, გვ. 77-78. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 630.

<sup>2</sup> სათანადო ნიმუშები მოიპოვება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულშიც გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილი: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის! ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!“ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 212).

ქართულში გაბატონებულია თხრობითი კილოს ფორმები, კერძოდ – ანმყო. ასე, მაგალითად, ხანმეტ ლექციონარში<sup>1</sup> ხუთჯერ გვხვდება ნუ ნანილაკი და აქედან სამჯერ ანმყოსთან, ორჯერ – ანმყოს ხოლმეობითთან, კავშირებითთან კი – არც ერთხელ. ოთხთავის უძველეს რედაქციებში, როგორც ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ის მიერ შედგენილი სიმფონია-ლექსიკონიდან ჩანს, ნ უ უარყოფითი ნანილაკის ხმარების 150-მდე შემთხვევა დასტურდება და აქედან მხოლოდ 8-ჯერ გვხვდება იგი კავშირებითთან, დანარჩენ შემთხვევათაგან კი ზმნა ყველაზე ხშირად ანმყოს მწკრივში დგას (ზმნის-ნინით ან უზმნისნინოდ).

ვამბობთ, ანმყოს მწკრივში დგასო, მაგრამ რომელი დრო იგულისხმება ამ ფორმებში? შინაარსის მიხედვით, ახლანდელი დრო ბრძანებით კილოს ნაკლებად ეგუება, რადგან ბრძანების შესრულება მხოლოდ მისი გაცემის შემდეგ შეიძლება, ერთი მოსდევს მეორეს, მაშინ როცა ახლანდელი დროისათვის აუცილებელია მოქმედებისა და უზნობის მომენტთა ერთდროულობა.<sup>2</sup> მაგრამ რადგან ესა თუ ის მოქმედება ბრძანების მომენტში შეიძლება უკვე დაწყებული იყოს, ამიტომ მაინც მიჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევაში ახლანდელი დრო გვაქვს. სწორედ ასეთ ვითარებაში იყენებს თანამედროვე ქართული ანმყოს უკუთქმითი ბრძანებითისთვის. მაგრამ როცა სუბიექტს მოქმედება ჯერ არა აქვს დაწყებული, ბრძანება (წართქმითი თუ უკუთქმითი) მხოლოდ მომავალი დროის გაგებას შეიცავს, მომავალი დრო აქ მკაფიოდ არის გამოკვეთილი და ახლანდელი დროისაგან გამიჯნული. ამგვარ ვითარებაში ახალ ქართულს უკუთქმითი ბრძანებითისათვის მყოფადის მწკრივი აქვს გამოყენებული. ცხადია, ანალოგიურ პირობებში ესა თუ ის ფორმა ძველ ქართულშიაც მომავალი დროის გაგებას ატარებს. სწორედ აქ უნდა ჩასახულიყო თავდაპირველად მყოფადი, როგორც ანმყოსაგან განსხვავებული, ცალკე მწკრივი.

სათანადო მაგალითები, როცა უკუთქმითი ბრძანებითისათვის გამოყენებულია ზმნისნინიანი ანმყოს ფორმები (ნ უ ნანილაკის დართვით), ხოლო შინაარსის მიხედვით მხოლოდ მომავალი დრო იგულისხმება და, ამრიგად, ზმნა მყოფადის გაგებას შეიცავს, საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც X საუკუნემდე არის შექმნილი. დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელებით ოთხთავიდან:

და რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გ არ ე მ ი ი ქ ც ე ვ პირსა შენსა მისგან (მათე, 5, 42).

და ნუ შე მ ი ყ ვ ა ნ ე ბ ჩუენ განსაცდელსა (მათე, 6, 13).

რაჟამს გხადოს ვინმე ქორნილსა, ნუ დას ჯ დ ე ბ ი პირველსა საინახესა (ლუკა, 14, 8).

ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნებდა მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მ ი ხ უ ა ლ თ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შე ხ უ ა ლ თ (მათე, 10, 5).

<sup>1</sup> ხანმეტი ლექციონარი, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, I, თბილისი, 1944.

<sup>2</sup> ბრძანებითი სრულიად ვერ ეგუება წარსულ დროს, თუმცა წართქმითი ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს იყენებს (ფ. ერთელიშვილი. რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თსუ შრომები, ტ. 61. 1956).

უკუეთუ გრქუან თქუენ: უდაბნოსა არს, ნუ გ ა ნ ხ უ ა ლ თ (მათე, 24, 26).

ნუ მ ი ს ც ე მ თ სინმიდესა ძაღლთა, ნუცა და ა უ გ ე ბ თ მარგალიტსა თქუენსა ნინაშე ღორთა, რაათა არა დათრგუნონ იგი ფერწითა მათითა (მათე, 7, 6).

რაჟამს გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავი ბრძოლათანი, ნუ შ ე ჰ ს ძ რ ნ უ ნ - დ ე ბ ი თ , რამეთუ ჯერ-არს ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული (მარკოზ, 13, 7) და სხვანი.

ამგვარი მაგალითები საკმაოდ ხშირად გვხვდება X საუკუნემდე გადაწერილ სხვა ტექსტებშიაც. ასე რომ, ამ მოვლენის სიძველე არც მაშინ შეიძლება ინვევდეს რაიმე ეჭვს, როცა ხელნაწერი შედარებით გვიანდელია. მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშს ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული ძეგლებიდან:<sup>1</sup>

ნუ ნ ა რ ს ნ ყ მ ე დ სახლსა ამას სადედოფლოსა (შუშანიკ. 16, 5).

და თუ რაამე შეგცოდეთ... მოგვტევენ და ნუ მ ო ი ჯ ს ე ნ ე ბ მედგრობათა ჩემთა (იქვე, 26, 23).

შვილო, ნუ გ ა ნ ი ნ ი რ ა ვ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა გ ა ნ ჰ ვ ა - ჭ რ ი ქრისტეანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა გ ა ნ ე შ ო რ ე ბ ი (აბო, 66, 13-15).

და ნუ მ ო მ ა გ ე ბ საქმეთა ჩემთაებრ, არამედ ევედრე შენ ნმიდათა მოწამეთა, რაათა ყონ ჩემთს წყალობაჲ (დავით და ტარიჭან, 190, 8) .

ნუ შ ე ი ნ ყ ნ ა რ ე ბ ნამ ერთცა ამათ (იოანე ზედაზნელი, 204, 2).

ხოლო თქუენ ნუ შ ე ს ძ რ ნ უ ნ დ ე ბ ი თ , არამედ განმტკიცენით და განძლიერდით (დავით გარეჯელი, 239, 40).

ამას მონასტერსა შინა სენაკებსა თანა ეგუტერსა ჟამის-სანირავად ნუვინ ა ლ ა შ ე ნ ე ბ ს (გრ. ხანძთელი, 307, 39).

მომიჯსენენ სამწყსონი შენნი და ნუ და ი დ უ მ ე ბ მოღუანებასა ჩუენთს ქრისტჳს მიმართ (იქვე, 314, 34).

ნუ და მ ი ვ ი ნ ყ ე ბ ჩუენ (იქვე, 258, 5; 314, 32).

ნუსადა და მ ი ვ ი ნ ყ ე ბ თ ლოცვასა თქუენსა (იქვე, 315, 11).

ნუ და ა მ ძ ი მ ე ბ თ ჩემ ზედა სათხოველსა (სერაპიონ ზარზმელი, 326, 43).

ანცა ჩუენ უძღურთა და უღირსთა შვილად შენდა სახელდებულთა ნუ ოდეს და მ ი ვ ი ნ ყ ე ბ (იქვე, 346, 25) და სხვა.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი აზრით, უკუთქმითი ბრძანებითის ასეთ ფორმებში უნდა ჩასახულიყო პირველად მყოფადის შინაარსი. შემდგომ ეს შინაარსი ზმნისწინიანი ანწყოს სხვა (არა ბრძანებითი კილოს) ფორმებზეც გავრცელდა. მომავალი დროის თხრობითი კილოს გაგებით ზმნისწინიანი ანწყოს ხმარების მაგალითები ძველ ქართულში მეტად იშვიათია, XI საუკუნიდან კი ერთბაშად მატულობს, თუმცა მომავალი დროის გამოხატვის ძირითად საშუალებად ერთხანს კვლავ კავშირებითი მწკრივი რჩება.

ასე, მაგალითად, გიორგი მთანმიდლის თხზულებაში „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ (XI ს.), როგორც ა. შ ა ნ ი ძ ე აღნიშნავს, ასპექტის ახალ სისტემაზე გა-

<sup>1</sup> მაგალითები მოგვაქვს უკანასკნელი გამოცემიდან: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964.

დასვლისა და მყოფადის ცალკე მწკრივად გამოყოფის პროცესი უფრო წინ არის წაწეული: „ნათლად ჩანს, რომ დაწყებულია ზმნისწინის მიერ მოპოვება მაპერფექტივებული ძალისა და ამ ნიადაგზე I სერიის სამი ძველი მწკრივისაგან ახალი მწკრივების გამოყოფა: ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრის მწკრივებად მიდის, უზმნისწინონი კი – ანმეოს წრისად. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის საყოველთაო მოვლენა. ძირითადად ამ საკითხში გ. მთაწმიდელი ძველ ნორმებს მისდევს... მაგრამ უეჭველია, რომ მომავალი დროისა და თხრობითი კილოს ფუნქცია აქვს ზმნებს ამ წინადადებაში: პირველად სულთა თქუენთა ნ ა ი ნ ყ მ ე დ თ და მონასტერი უნესოდ გ ა ვ ა (68, 6-8)“.<sup>1</sup>

იმავე გამოკვლევაში ა. შ ა ნ ი ძ ე ს მოყვანილი აქვს მყოფადის მწკრივის სხვა ნიმუშებიც ზემოხსენებული თხზულებიდან: გ ა უ ჯ მ ე ნ (95, 4); უკუეთუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ გ ა ი ს ჯ ე ბ ი თ , უკუეთუ კულა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღმრთისაგან, ვითა მის საუკუნოასა განკითხვისაგან გ ა ნ ე რ ე ბ ი თ (68, 9-12); იგინცა შ ე ნ უ ხ დ ე ბ ი ა ნ (83, 7).

დაახლოებით ასეთივე სურათია გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“, რომელიც აგრეთვე XI საუკუნის ძეგლია (დანერილია არა უგვიანეს 1068 წლისა)<sup>2</sup>. აქ გვხვდება ახლებური მყოფადის შემდეგი მაგალითები: უკუეთუ უგუნურებით წელ-ვყო, კადნიერებისა ბრალსა შ თ ა ვ ვ ა რ დ ე ბ ი (104, 11); აქა მ ო გ ც ე მ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გ თ ხ ო ვ (161, 18); რაჟამს ერთგვის გვცნობი-ეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მ ი ვ დ რ კ ე ბ ი თ , თუ ღმერთსა უნდეს (178, 24).<sup>3</sup>

მოჰყავს რა ეს მაგალითები, თხზულების ენის მიმოხილვისას ნ. გ ო გ უ ა ძ ე აღნიშნავს: „ანმეოს ფორმის მყოფადისეული გაგებით ხმარება ძალზე იშვიათია; ეს თითო-ოროლა ნიმუში შეიძლება მხოლოდ იმისთვის გამოვიყენოთ, რომ ვთქვათ: მყოფადის წარმოების ჩანასახი „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიც“ ჩანსო“.<sup>4</sup>

თუ „იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრებასა“ და „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ახლებური მყოფადის ფორმები მხოლოდ თითო-ოროლა მოიპოვება, დაახლოებით იმავე პერიოდისა და ისეთვე მოცულობის ძეგლში – ქართული პატერიკის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში<sup>5</sup> ამგვარი ფორმები რამდენიმე ათეულს აღწევს. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

არს დღე ერთი, შვილნო, წელიწადსა შინა, რომელ უკუეთუ მას დღესა შინა ვინმე იპოოს შრომასა შინა, ფრიად გ ა ნ მ დ ი დ რ დ ე ბ ი ს . . . უკუეთუ მოვიდეს დღე იგი კურთხეული და იპოვნეთ თქუენ უდებ და უქმ დღესა მას და არა გპოვნეს თქუენ დღე-

<sup>1</sup> ა. შანიძე. გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳიმეს ცხოვრების მიხედვით: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳიმესი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 3), თბილისი, 1946, გვ. 75.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 228.  
<sup>3</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (X-XV სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967.

<sup>4</sup> ნ. გოგუაძე. „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ენა: ფილოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1964, გვ. 37.

<sup>5</sup> შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა, თბილისი, 1968.

მან მან მოსწრაფებით შრომასა შინა, უწყოდეთ, რამეთუ შრომა და ჭირი თქუენი ყოვლისა მის წელინდისა ცუდად იქმნების, და ვერ განმსდიდრებთ (I, 19).

კულა სხუასა ჟამსა ინება მთავარებისკოპოსმან მისლვად მისსა და წარავლინა პირველად, თუ გა - ძი - უღებსა კარსა ბერი. ხოლო ბერმან მიუმცნო და ჰრქუა მას: უკუეთუ მოხვდე, განგიღებ, და უკუეთუ შენ განგიღებ, ყოველთა განუღებ (II, 4).

რაჟამს მოვიდეს კაცსა ზედა განსაცდელი, მაშინ ყოვლით კერძოვე განმრავლებიანი მის ზედა ჭირნი და გულის-კლებანი (VII, 11).

ესეზომსა შრომასა ვიქმთ სასუფეველისათვს ცათაჲსა, და ვიმკვდრებთ - მება მას? (X. 16. შდრ. იქვე: მე მრწამს, რამეთუ და ვიმკვდროთ).

სული მსგავს არს წყალსა, უკუეთუ განსწმედდე, კეთილად გამოდის წმიდად, უკუეთუ უღებ ჰყო და მიაქციო მიწა და ნებ ზედა, უჩინო იქმნების და წარწყმეების (X, 22).

უკუეთუ კულა ძირი არა გამოჰნახო და არა აღმოჰფხურა, და შტოთა რაჲზომცა ჰკაფდე, იგი სხუასა მორჩსა გამოიღებს (X, 32).

უკუეთუ არა ვყო სიტყვსაებრ ბერისა, წინა - აღუდგები ღმერთსა (OX, 41).

და თუ გრქუას შენ, ვითარმედ და ისჯები, ნულარა იქმ საქმესა მას (XI, 33).

შემინდვე, მამაო, რა აღვდგები, ვიდრე არა წარხვდე შენ (11, 7).

უკუეთუ ღმერთი არა შეგუენევის, წყალი ჩუენ არა გუაქუს (III, 23).

დაღაცათუ მკუდარი აღადგინოს მრისხანემან მონაზონმან, ღმერთი არა შეინირავს მისგან (X, 6).

უკუეთუ არა დაიჭიროს კაცმან გულის-სიტყუაჲ ესე, ვერ წინა აღუდგები ის ვნებათა (I, 5).

ნუ მოიგებ ყოლადვე ესევითარსა რასამე, რამეთუ უკუეთუ მოვიდეს მპარავი ანუ ავაზაკი სენაკსა შენსა, იწმაროს რამე შენისა ჭურჭლისაგან, რამეთუ ესე ყოველი აღმოუგდებს სინანულსა გულისაგან და ჴსენებასა სიკუდილისასა (II, 15) და ა.შ.

ამავე თხზულების ენაში გვხვდება მყოფადისაგან ნაწარმოები ხოლმეობითის მწკრივის ფორმებიც.

გარქუ თქუენ, მით არა შეგიქმ, რამეთუ ვიცოდე, ვითარმედ არა შესწუხდე - ბოდეთ, ხოლო მისდა თუმცა არა მექმნა, შეწუხებოდა, რამეთუ აქუნდა გულისკლება და იტყოდა, ვითარმედ ბერსა რამე ასმია ჩემთვის (X, 7).

როგორც ვხედავთ, აწმყოს წრის მწკრივებისაგან მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის პროცესი ამ ძეგლში უფრო შორს არის წასული და ახალი სისტემა მომავალი დროის (თხრობითი კილოს) გადმოსაცემად საკმაოდ ხშირად იხმარება. მაგრამ იმავე ფუნქციით გაცილებით უფრო ხშირად მაინც კავშირებითის ფორმები გვხვდება, ე.ი. ძველი სისტემა ბატონობს.

საერთოდ სავარაუდებელია, რომ მყოფადს თავდაპირველად მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, განსაზღვრულ სინტაქსურ კონსტრუქციებში მიმართავდნენ, ერთ დროს მისი ხმარება ალბათ გარკვეულ სტილისტურ მოვლენებთანაც იყო დაკავშირებული, მაგალითად, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ ძველ ძეგლებში

მყოფადი განსაკუთრებით ხშირად დასტურდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც მთავარი წინადადების შემასმენლად წარმოგვიდგება ზმნა მყოფადის ფორმით, დამოკიდებულისა კი – კავშირებითის ფორმით (მაგალითები იხ. ზემოთ: ჩუენ მოვსნყდებიოთ, უკუეთუ ეგე ეგოს ცოცხალი; ყოველი, რომელი და იმ – და ბლებდეს თავსა თქსსა, იგი ამაღლდების; არა აღვდგები, ვიდრე არაწარხვდესენ; და სხვა).

საფიქრებელია, რომ მყოფადის მწკრივის დამკვიდრებას სალიტერატურო ქართულში და მისი ხმარების სფეროთა გაფართოებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საერთო მწერლობამ, რომელიც ნაკლებად იზღუდავდა თავს ძველი გრამატიკული ნორმებით და უფრო ბუნებრივ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას ემყარებოდა. ის ფაქტი, რომ „ვისრამიანისა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ ენაში მყოფადის მწკრივი გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე იმავე ეპოქის სასულიერო მწერლობის ძეგლთა ენაში, თავისთავად მეტყველებს. მართალია, საერო მწერლობის ეს ძეგლები, სამწუხაროდ, შედარებით გვიანდელი ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ გადამწერლებს არ შეეძლოთ მათი ენის არსებითად შეცვლა. ეს განსაკუთრებით ითქმის პოეტური ხელოვნების ისეთ შედეგებზე, როგორიცაა „ვეფხის-ტყაოსანი“. „ვეფხის-ტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ერთ მხატვრულ ყალიბში ჩამოსხმული პოეტური ქმნილებაა, რომლის ტექსტში ყოველგვარი ჩარევა, გარდა ენობრივი ნორმებისა, პოეტური ნორმების გათვალისწინებასაც მოითხოვს. გრამატიკული ფორმის შეცვლას შეიძლება მოჰყვეს მხატვრული ფორმის დარღვევა, რისი შეწყნარებაც შეუძლებელია. ასე, რომ, პოეტური ფორმა ზოგჯერ განსაზღვრავს ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის კანონზომიერებას „ვეფხის-ტყაოსანში“.

ვნახოთ, რა ვითარებაა „ვეფხის-ტყაოსანში“ მომავალი დროის გადმოცემის მხრივ. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „ვეფხის-ტყაოსანში“ უფრო ჩვეულებრივია ძველებური ფორმა მყოფადისა, მაგალითად, „მეწავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო“ და შემდგომი, თუმცა ახალი წარმოების შემთხვევებიც არის. მაგ., „დღეს არა, ხვალე მოვკვდები“.<sup>1</sup>

მართალია, მომავალი დროის თხრობითი კილოს აღსანიშნავად „ვეფხის-ტყაოსანში“ კავშირებითი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მყოფადი, მაგრამ ეს უკანასკნელიც არ არის იშვიათი. ზოგჯერ ორივე მწკრივი ერთ ფრაზაშია მოქცეული:

უსენ მითხრა: „არ მინახავს ძოღანითგან მეფე ჩვენი.

მივაზირებ, ნავალ, ვნახავ, ვუდარბაზო, ვუძღვნა ძღვენი (1163, 2-3);

ახლებური მყოფადის ფორმები პოემაში იმდენჯერ გვხვდება, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამ მხრივ მისი ენა ახალ საფეხურს წარმოგვიდგენს. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, როცა მომავალი დრო მყოფადის მწკრივით არის გამოხატული:

მივენევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ჟლეტად,  
ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, და იმაღვის მეტის-მეტად (216, 3-4);

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): სასკოლო სახელმძღვანელოში – „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ, ილ. აბულაძემ, მე-13 გამ., თბილისი, 1854, გვ. 303.

ყრმამან უთხრა: „თუ მიჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ,  
სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ,  
არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ;  
რაცა ჩემგან ეამებ ის, ვაამებ და შევიყვარებ (279);  
ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:  
შენ შენი მშვილდი და გარჩენს, შენთა ისართა პირები,  
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები,  
მაგრა, თუ მოვკვდე, გაზრდილო, ვისგანლა დავიტირებ ი? (824);  
ქმარი რამიგრძნობს, მოცამკლავს, ვერლარა მომეფარებ ის  
(1151, 3);

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,  
თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა (1194,  
1-2);

შენ მკვდარსა ვნახავ, დავინვი, ვითა აბედი კვესითა (1301, 3);  
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა (1302, 4);  
უთხრა: „ძმაო, რა გარდის დის შენგან ჩემსა ჭირნახულსა!  
ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!  
თუ ვერა ვიქმსანადელსა შენსა, შენთვის განზრახულსა,  
არავნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა“ (1471) და .შ.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ უკვე გვხვდება არა მარტო ზმნისწინა-  
ნი მყოფადი, არამედ მყოფადის მნიშვნელობით იხმარება ზოგჯერ უზმნისწინო ფორ-  
მებიც (მიჩვენებ, მიგრძნობს, ეამების, ვაამებ...). აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ  
ზმნისწინიანი ფორმებიც ანმყოს და არა მყოფადის შინაარსს ატარებენ; მაგალითად:

ან მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწავს ცეცხლი ცხელი (663, 4);  
რად სატანას ნაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა (874, 4);  
ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმამისწვდებ ის ცათამდის (952, 1);  
ფერხთა ეხვევის, აკოცებს, აღარ შეხედავს ზეწელად (1484, 2) და სხვა.  
ასეთი მაგალითები „ვეფხისტყაოსანში“ შედარებით მცირეა.

საინტერესო სურათს გვიჩვენებენ ის ფუძემონაცვლე ზმნები, რომელთაც წინათ  
ანმყოს გაგება ჰქონდათ, შემდეგ კი მყოფადში გადაირიცხნენ (ჰკითხავს, იტყვის, ნა-  
ხავს, მოვა და სხვანი). ეს ზმნები „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება როგორც ახლანდე-  
ლი, ისე მომავალი დროის გაგებით, ე.ი. ხან ანმყოს მწკრივს განეკუთვნებიან, ხან  
მყოფადს. მაგალითად, მსგავსად ძველი ქართულისა, ანმყოა:

რას თქვი, რას იტყვი, არ მესმის (85, 1);  
ავთანდილ იტყვის: „დავინყო კადრება საუბნარისა“ (66, 3);  
მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა (957, 1);  
მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა?“ (64, 4);  
ვეფხისტყაო აცვია, ცუდად უჩნს სტავრა-ნახლები,  
აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწავს ახალ-ახლები (690, 3-4);  
ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან (326, 1);  
ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა, მოჰხრის ტანსა (1514, 2);

ასმათს უც ხორცი ირმისა, ი ქ მ ს მასპინძლობა-კვეთასა (1497, 2) და სხვ.

პარალელურად გვხვდება მაგალითები, სადაც მსგავს ფორმებს მყოფადის გაგება აქვთ:

მისსა ვერ ი ტ ყ ვ ი ს ქებასა ყოველი ბრძენთა ენები (658, 1);  
ასრე არ სჯობდეს, არ გ ე ტ ყ ვ ი , ნუ მეჭვ რასაცა თნებასა (880, 4);  
თუ ნახო, ჩემი უამბე, გ კ ი თ ხ ა ვ ს ამბავსა ძმისასა (947, 4);  
კვლა მ ო ვ ა ლ , გ ნ ა ხ ა ვ პირითა არ მტერთა საწუნელითა (735, 2);  
რაცა მ ო ვ ა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცთების (1035, 2);  
უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ ი ქ მ ს კარგა? (163, 2) და სხვანი.

ზოგჯერ ანმყო და მყოფადი ფუნქციურად ახლოს დგანან და თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ასეთ შეთხვევაში ძნელი სათქმელია, საშუალო ქართულის რომელიმე ფორმა ახლებურ მყოფადად უნდა მივიჩნიოთ, თუ ძველი სახის ანმყოდ. მაგალითად, რუსთველის ცნობილ ფრაზაში – „მოშიარე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ – ი ტ ყ ვ ი ს ანმყოდაც შეიძლება იქნეს გაგებული და მყოფადადაც. ასევე ძნელი სათქმელია, ანმყოა თუ მყოფადი ისეთი ფორმები, როგორცაა ნ ა ი ყ ვ ა ნ , ა ლ უ ფ ხ ვ რ ი , გ ა ს ნ ი რ ა ვ ს , ცნობილ სტროფში:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა (951) და სხვა.

სავარაუდოა, რომ მსგავს შემთხვევებში ზოგჯერ მაინც მყოფადის შინაარსი იგულისხმებოდეს, მაგრამ ასეთი საჭოჭმანო მაგალითების ჩაუთვლელადაც „ვეფხისტყაოსანში“ ახალი სისტემა ხმარების სიხშირით თითქმის უტოლდება ძველს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში, სადაც მყოფადი და კავშირებითი დღესაც ენაცვლებიან ერთმანეთს, ძველად კავშირებითი უფრო ხშირად გვხვდებოდა. ასე, მაგალითად, პირობითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი ძველ ქართულში ჩვეულებრივ კავშირებითში იდგა, ზოგჯერ კი გვხვდებოდა აგრეთვე ანმყოში ან ხოლმეობითში: „პირობითობის თ უ და უ კ უ ე თ უ კავშირების შემცველი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შესაძლებელია შეგვხვდეს კავშირებითის (I ან II), ანმყოს, ხოლმეობითის მწკრივთა ფორმებში. არ ჩანს წარსული დროის (წყვეტილი, უწყვეტელი, თურმეობითი) მწკრივები“.<sup>1</sup> მყოფადის მწკრივის გაჩენის შემდეგ, საშუალო ქართულში, იწყება მყოფადის გამოყენება ზემოხსენებულ შემთხვევაშიაც (თუკი პირობა მომავალში უნდა შესრულდეს), მაგრამ პირველ ხანებში მაინც კავშირებითი სჭარბობს, შემდგომ კი უფრო და უფრო ხშირდება მყოფადის ხმარების შემთხვევები და დღეს უკვე კავშირებითი შედარებითი იშვიათია.

<sup>1</sup> ფ. ერთელიშვილი. რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 105.



„ვეფხისტყაოსნისათვის“ უკუეთუ / უკეთუ კავშირი საერთოდ უცხოა, თუ კავშირიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება კი პოემაში გვხვდება 150-მდე შემთხვევაში. აქედან მომავალში შესასრულებელი პირობა იგულისხმება 100-ზე მეტ შემთხვევაში. მათ შორის 40-ზე მეტ მაგალითში გვხვდება მყოფადის მწკრივი:

თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი...  
კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი (240, 2-4);  
ან რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა და მომორჩილდე ბი,  
რასაცა ეძებ, მიჰხვდები, უცილოდ არ ასცილდები;  
თუ არ მომიხმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა ცრემლსა ჰმილდები (254, 1-3);  
ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შეცამრჩებიან (347, 4);  
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმო ბ, ლხინი რა დასათმო ბია (956, 4) და ა.შ.

როგორც ვთქვით, ასეთია 40-ზე მეტი მაგალითი, დანარჩენებში კი ზმნა კავშირებითი დგას (მათ შორის სჭარბობს II კავშირებითი, იშვიათია I კავშირებითი და მხოლოდ ორიოდეჯერ გვხვდება III კავშირებითი); მაგალითად:

მოშიარე არ ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი (15, 1);  
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა (37, 2);  
ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევიერთო რაცა ქმარი...  
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი (133, 1-3);  
ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ ნაწყმიდოს (906, 3);  
დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდე ბოდე (924, 4);  
ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ჰღვრიდე (937, 3);  
კვლაცა ვჰკადრე, მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს,  
ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს! (532, 1-2) და ა.შ.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ მომავლის შინაარსის შემცველ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება როგორც მყოფადი, ისე კავშირებითის მწკრივები, მაგრამ სჭარბობს ეს უკანასკნელი. მათ შორის შეფარდება დაახლოებით ასეთია: 40% – მყოფადი 60% – კავშირებით.

კიდევ უფრო ხშირად გვხვდება კავშირებითები პირობითს (ან დროის გარემოებითს) დამოკიდებულ წინადადებაში, როცა კავშირი (თუ, რომ) გამოტოვებულია; მაგალითად:

მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ჭნების (126, 2);  
არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე (157, 4);  
მკვდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე (307, 3);  
ხვარა ზმშა და ჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალთა?  
სხვა მეფე და ჯდე სინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია? (565, 3-4);  
სწყუროდე ს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი? (919, 1) და სხვა.

შეადარეთ საპირისპირო მაგალითები, სადაც დამოკიდებული წინადადების შემასმენლად წარმოდგენილია ზმნა მყოფადის ფორმით:

არ დაამეხსენებ, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა (544, 4);

არ შ ე მ ი ჰ ყ რ ო ბ ს , არ დავდგები (737, 3);

არ გ ა მ ი შ ვ ე ბ ს , გავიპარვი, წავალ მათგან შეუგებლად (750, 1) და სხვანი.

კავშირებითი და მყოფადი პარალელურად იხმარება აგრეთვე რა კავშირიან დროის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში, როცა იგი მომავალ დროს გადმოგვცემს. ასეთია „ვეფხის-ტყაოსანში“ სულ 5 წინააღება. აქედან 49 წინადადებაში მომავლი დრო გადმოცემულია კავშირებითით:

რა ვარდმან მისი ყვავილი გ ა ა ხ მ ო ს , დ ა ა მ ქ ნ ა რ ო ს ა ,

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35, 2-3);

რა აქიმი დ ა ს ნ ე უ ლ დ ე ს , რაზომ გინდა საქებარი,

მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვებარი (662, 1-2);

რა მ ო გ შ ო რ დ ე , მახსენებდი (785, 1);

რა მ ი ს ქ ი რ დ ე ს , მაშინ უნდან გონებანი გონიერსა (1191, 4);

რა გ ა თ ე ნ დ ე ს , არ დავდგები (1372, 1) და მისთანანი.

ამის საპირისპიროდ მყოფადი დასტურდება მხოლოდ 7 წინადადებაში:

რა ღრუბელი მ ი ე ფ ა რ ვ ი ს , მზე ხმელეთსა დააჩრდილებს (713, 3);

არ გამიშვებს, გავიპარვი, რა იმედი გ ა რ დ მ ი ნ ყ დ ე ბ ი ს (796, 3);

ქმარი რა მ ი გ რ ძ ნ ო ბ ს , მო-ცა-მკლავს (1151, 3);

(იხ. კიდევ: 742,3; 848,2; 989,3; 1475,1).

როგორც ვხედავთ, ასეთ სინტაქსურ კონსტრუქციებში კავშირებითა ხმარება გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მყოფადის მწკრივისა, ეს არც არის გასაკვირი. მყოფადის მწკრივს, ისევე როგორც ყოველგვარ ენობრივ ფორმას, თავისი ფუნქციები ერთბაშად არ შეუძენია, მისი გამოყენების არე დროთა განმავლობაში თანდათან ფართოვდებოდა; დღეისათვის მყოფადს უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი ფუნქციები მოეპოვება, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა მას კავშირებითი შეიძლება ენაცვლებოდეს. ითქმის როგორც „თუ არ დ ა გ ე მ ო რ ჩ ი ლ ო ნ , გაუჯავრდი“, ასევე „თუ არ დ ა გ ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ი ა ნ , გაუჯავრდი“, „ღმერთმა ერთი რად ა ც ხ ო ნ ო ს , თუ მეორე არ ნ ა ნ ყ მ ი დ ო ს “ და „ღმერთი ერთს რად ა ც ხ ო ნ ე ბ ს , თუ მეორეს არ ნ ა ნ ყ მ ე დ ს “ ; „როცა მ ო გ შ ო რ დ ე , გამიხსენე“ და „როცა მ ო გ შ ო რ დ ე - ბ ი , გ ა მ ი ხ ს ე ნ ე “ და ა.შ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში კავშირებითს განსაკუთრებული გამძლეობა გამოუჩენია, გვიან დაუწყია თავისი პოზიციების დათმობა, ალბათ იმიტომ, რომ პირობითი თავისი შინაარსით ახლოს დგას კავშირებითთან, ხშირად იგივე ითქმის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შესახებაც.

შეიძლება დავასკვნათ: გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, სადაც კავშირებითისა და მყოფადის მონაცვლეობა დღემდე გრძელდება, „ვეფხის-ტყაოსანში“ კავშირებითი საგრძნობლად სჭარბობს მყოფადს, დანარჩენ შემთხვევებში კი მომავალი დროის თხოვითი კილოს გადმოსაცემად დახლოებით თანაბრად გვხვდება როგორც კავშირებითის მწკრივები (განსაკუთრებით II კავშირებითი), ისე მყოფადი. ამრიგად, ახალი სისტემა ამ დროისათვის უკვე ისე მძლავრია, რომ იგი აშკარად მეტოქეობას უწევს ძველს.

შედარებით იშვიათად გვხვდება ახალი სისტემა „ამირანდარეჯანიანში“. აქ მომავალი დროის გადმოსაცემად მყოფადის ხმარების ნიმუშია მაგალითი, დამონმებუ-

ლი ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ: „ანუ მ ო ვ კ უ დ ე ბ ი მათ თანავე და ანუ ვიწსნე იგინიცა“<sup>1</sup>. როგორც ამ ძეგლის გამომცემელი ლ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, „XVII-XVIII საუკუნეების ცხრამეტი ნუსხიდან ჩვიდმეტში დასტურდება მ ო ვ კ უ დ ე ბ ი ფორმა. სხვადასხვა წარმომავლობის ხელნაწერებში რომ ეს ახალი წარმოების ფორმაცა და ცული, საეჭვოს არ უნდა ხდიდეს მის თავდაპირველობას ჩვენს ძეგლში“<sup>2</sup>. მკვლევარს იქვე მოჰყავს მომავალი დროის ახლებურად გამომხატვის სხვა ნიმუშებიც:

იგი ნადიმად ზის და იცის დასტურად, რომე შენ მ ო ჰ კ უ დ ე ბ ი (145, 3);

თუ ქნას ღმერთმან და აჯობოს დარეჯანისძემან, ჩ ა ვ ი ც უ ა მ ძონეულსა, და ვ ე ჯ დ ე ბ ი ოქრო-ქსოვილთა საჯდომთა. და თუ სძლიონ ცოდვათა ჩემთა და აჯობოს იმა მესისხლემან, ჩ ა ვ ი ც უ ა მ იმა შავთა და და ვ ე ჯ დ ე ბ ი საჯდომთა შავთა და აღარა მინდა საწუთრო (684, 5-13);

თუ რა მოგაჴსენო, და ა გ ი მ ძ ი მ დ ე ბ ი ს ო ? (267, 1);

გავგზავნოთ კაცი ნოსარ ნისრელსა თანა, რომელსა მოენერა, ვითა „მოვალ და ასულსა შენსა შ ე ვ ი რ თ ა ო “ (76, 9-10);

მაგრამ ამგვარი მაგალითების რიცხვი „ამირანდარეჯანიანში“ დიდი არ არის, მომავალი დროის გამომხატვის ძირითად საშუალებას კავშირებითი წარმოადგენს.

გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება მყოფადის მწკრივი „ვისრამიანში“, სადაც ამ მხრივ დაახლოებით „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი სურათი გვაქვს. მოვიტანოთ ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს:

შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩუენ არა ნ ა გ უ ე კ ი დ ე ბ ი ს ... აქამდინ მე ქალი არა მიშობია და თუ ან მომეცეს, უღონოდ თქუენ მ ო გ ა ჴ ს ე ნ ე ბ ე ნ (36, 32-96)<sup>3</sup>;

საწუთრო ასრე ნასკუთა შ ე ჰ კ რ ა ვ ს , რომელ ათასი ცნობა და გონება იყოს, ველარ გ ა ჴ ს ნ ი ს (37, 13-15);

ნუ შ ე ი ქ ი რ ვ ე ბ ზითევსა, ოქროსა, თუალსა პატიოსანსა და მარგალიტსა, მით რომელ მე ეგე მინდა არა ზითვითა. მაგას ერთსახე ნებირად გ ა ვ ზ რ დ ი და და ვ ი ქ რ ა ვ . და ყუელასა ჩემისა საჭურჭლისა კლიტესა ჴელთა შ ე ვ ჰ ვ ე დ - რ ე ბ და შენცა ეგ ზომსა თუალსა, ოქროსა და მარგალიტსა გ ა მ ო გ ი გ ზ ა ვ ნ ი , რომელ, თუ გნადდეს, ერთი ქალაქი ოქროისა ააგო და ზღუდენი თუალისანი უყო. შენ თუით განაღამცა საპატიოდ და ა გ ი ქ ი რ ა ვ და თქუენ ქუეყანასა მამულობით, მორჭმით და აზატად და ა გ ი ნ ე რ . ვიროს ძმისაებრ და ვ ი ქ ი რ ა ვ და ჩემის გუარისა ცოლსა მ ი ვ ს ც ე მ და მას ეგრე ვ ე მ ზ ა ხ ე ბ ი , რომელ საუკუნემდი თქუენისა სახელისა საჴსენებელი იყოს (43, 20-29);

მ ო მ ც ე მ სიხარულსა და მაშინვე წ ა მ ა რ თ მ ე ვ ! თუ უკუდავებასაცა შ ე მ ა ს უ ა მ , მაშინვე ერთსა ჴიქასა ნაღველსა უღონოდ მ ო მ ც ე მ (137, 3-5) და მრავალი სხვა.

<sup>1</sup> ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 280.

<sup>2</sup> ლ. ათანელიშვილი. მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ (ენობრივი მიმოხილვა): მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბილისი, 1976, გვ. 071-072.

<sup>3</sup> ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბილისი, 1962.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მყოფადი და კავშირებითის მწკრივები მომავალი დროის თხრობითი კილოს გაგებით პარალელურად იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ კავშირებითის ხვედრითი ზონა თანდათანობით მცირდებოდა, მყოფადისა კი შესაბამისად მატულობდა. ასე, მაგალითად, „ველმნიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.)<sup>1</sup> მყოფადი კიდევ უფრო ხშირია, ვიდრე „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ (შესაძლოა ეს ნაწილობრივ ძეგლის სპეციფიკურ ხასიათსაც მიეწოდოს, მაგრამ ანალოგიური ხასიათის ადრინდელ ძეგლებში მყოფადის მწკრივი იშვიათად დასტურდება)<sup>2</sup>, ხოლო „რუსუდანიანში“ კავშირებითის ხმარება თხრობითი კილოს ფუნქციით უკვე ძალზე იშვიათია და მომავალი დროის გამომხატვის ძირითად საშუალებას მყოფადი წარმოადგენს: „ზმნაში ასპექტის გამომხატვა არსებითად ახალი ქართულისებურია, თუმცა იშვიათად ძველი ფორმებიც გვხვდება“.<sup>3</sup>

„რუსუდანიანში“ ზმინისწინიანი ფორმები ანმყოს გაგებით თითქმის აღარ გვხვდება (გარდა მიმართულების აღმნიშვნელი ზმნებისა), მყოფადთან ერთად საკმაოდ ხშირად დასტურდება ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის მწკრივებიც.

ბოლოდროინდელი კვლევა-ძიების თანახმად, „რუსუდანიანი“ XVII საუკუნეზე ადრე ჩანს შექმნილი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მყოფადის წრის მწკრივები ამ დროისათვის ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულია. მაგრამ მყოფადის ფუნქციით კავშირებითი ჯერ კიდევ შეიძლება შეგვხვდეს. საგულისხმოა, რომ მომავალი დროის გამომხატვის ორივე ეს საშუალება ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით, ერთსა და იმავე ფრაზაშია ც კი გვხვდება; მაგალითად:

ვნახოთ საეტლონიო, თუ ანუ ჩვენ მ ი ვ ი დ ე თ უზიანოდ შინა და ანუ მშობელნი ჩვენნი და სახლეულნი და ა გ ვ ხ ვ დ ე ბ ი ა ნ ო მშვიდობითო (405, 4)<sup>4</sup>;

წახდეს – ამასთან თქვენც თავს ნუ და ზ ო გ ა ვ თ ო , და გ ა კ ე თ დ ე ბ ა და – ესეც გ ა რ და ი ხ დ ი ს ო (413, 22);

ოთხჯერ ომში გ ა უ ქ ი რ დ ე ბ ა , ასე რომე ღმთისაგან კიდე მისი სიცოცხლე არავის ეგონოს; ერთხელ წამლისაგან ასრე გ ა ხ დ ე ბ ა , რომე სამს დღეს უსულოდ იდვას, განა ყველასაგან ღმერთი და ი ფ ა რ ა ვ ს -მეთქი (419, 15);

სანამ შენ შინ მიხვიდოდე და იქაურს საქმეს დაიურვებდე და კიდევ აქ მოხვიდოდე, მე კი მ ო ვ კ ვ დ ე ბ ი ო და რაღას მ ა რ გ ე ბ თ , რომ კიდევ მოხვიდეთო (477, 2);

რომელმან ლომმან ჭაბუკმან ინებოს ამ გავსილისა მთვარისა ჯუფთობა, სხვას მონიფულობას ნურას ე ც დ ე ბ ა , თვარა არცა რა ამ კლდეს გ ა ე წ ყ ო ბ ა და ვერცა გამდელს შ ე უ ა (547, 6) და სხვა.

XVII საუკუნიდან მოკიდებული, კავშირებითი მყოფადის ფუნქციით კანტიკუნტადლა გვხვდება, თუმცა ძველი სისტემის ნაშთები საერთოდ კიდევ დიდხანს შემორჩა ენას და გამონაკლისების სახით დღევანდლამდეც კი მოაღწია.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი. ველმნიფის კარის გარიგება, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1920.

<sup>2</sup> ქართული სიმართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965.

<sup>3</sup> ი. გიგინეიშვილი, „რუსუდანიანი“ (გამოკვლევა, ერთვის გამოცემას), გვ. XXVI.

<sup>4</sup> რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

საინტერესოა, რომ ცნობილი ქართველი გრამატიკოსი გაიოზ რექტორი 1789 წელს დაწერილ გრამატიკაში საჭიროდ თვლის დამოძღვროს მკითხველი, მყოფადის ფორმები იხმარეთ და არა კავშირებითიო: „ნუ იტყვ: მე შემდგომად და ვ ლ ი ო , ნ ა რ მ ო ვ ი დ ე , არამედ: მე შემდგომად და ვ ლ ე ვ , ნ ა რ მ ო ვ ა ლ და სხუანი“ (გაიოზ რექტორის გრამატიკა, §257). რომ ამ პერიოდში კავშირებითს ჯერ კიდევ იყენებდნენ მყოფადის ფუნქციით და მყოფადის პარალელურად, ეს კარგად ჩანს თეიმურაზ ბაგრატიონის წერილებიდან აკადემიკოს მარი ბროსესადმი;<sup>1</sup> მაგალითად:

რააცა ჩემგან მონანერები ი ყ ო ს ხოლმე, კარგად, გულსმოდგინებით ნ ა ი - კ ი თ ხ ე ვ დ ე ორჯელ და სამჯერ და რომელსაც სიტყვას ანუ აზრს ვერ გ ა ი გ ო - ნ ე ბ დ ე , მ ო მ ნ ე რ დ ე , უფრო ადვილათ გ ა ნ გ ი მ ა რ ტ ე ბ და ნათლად გ ი - ჩ ვ ე ნ ე ბ და ცხადად... ზოგს დასაბეჭდს მე გ ა მ ა მ ა რ თ ვ ი ნ ე ბ დ ე და ეგრეთ დააბეჭდინე, რომ ან მე და ან თქვენ არავინ დაგვზრახოს, რომ ფრთხილნი არ არიან ლიტერატურაშიო (გვ. 24);

და როდეს მოცალეზულ ვ ი ქ მ ნ ე , გ ა რ დ ა ვ თ ა რ გ მ ნ ი ამას ქართულად, რათა ქართველთაცა წარიკითხონ ღირსსახსოვარისა მის კაცისა საქებელნი საქმენი სახსოვრად მისსა (გვ. 26).

მსგავს მაგალითებს შეიძლება შევხვდეთ კიდევ უფრო გვიან, XIX საუკუნის 60-იან წლებშიაც. მაგალითად, 1863 წელს ჟურნალ „ცისკარის“ რედაქციის ერთ-ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ:

ამ სტატიის ავტორსა ვსთხოვთ, როდესაც სტატიას გ ზ ა ვ ნ ი დ ე ს დასაბეჭდავთ, მდაბიურის ანუ გასაგონის ენით და ს ნ ე რ დ ე ს , მაშინ უფრო და უ - მ ა დ ლ ე ბ თ ამ გვარის სტატიის გამოგზავნისათვის<sup>2</sup>.

ერთ-ერთ ცნობილ ხალხურ ლექსში, რომელიც „სხვათა მოჯამაგრობას“ ეხება და, მაშასადამე, არც ისე შორეულ წარსულში უნდა იყოს შექმნილი, იკითხება:

თუ კურდღელი და ი ქ ი რ ო ,  
ტყავი – შენ, ხორცი – ჩვენაო,  
და თუ მელასა და ი ქ ე რ ,  
ხორცი შენ, ტყავი – ჩვენაო.

ამ ლექსში ერთსა და იმავე კონსტრუქციაში ერთ შემთხვევაში ნახმარია კავშირებითი (და ი ქ ი რ ო ), მეორეში – მყოფადი (და ი ქ ე რ ).

მყოფადისა და კავშირებითის პარალელური ხმარება დამახასიათებელია აგრეთვე გიორგი ლეონიძისათვის; მაგალითად:

ვიდრე ვ ნ უ რ ა ვ დ ე მნიფე რქანითელს,  
გულში სევდა ვერ გ ა ხ ე ლ მ ნ ი ფ დ ე ბ ა .

ანდა:

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი, გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1964.

<sup>2</sup> რედაქციის შენიშვნა, ჟურნალი „ცისკარი“, 10, 1863, გვ. 155.

როგორც ორაგულს კასპიის ზღვაში  
არაგვის ჩქერი მოეწყურება,  
ნაპირს ასკდება დაჭრილი ქვაში  
და შეუღებონ მკერდი წყლულებმა,  
ისე ვისწრაფი შენდა მარადლე,  
მამულო, დაჭრილ სულისკვეთებით.<sup>1</sup>

ამგვარი მაგალითები იმდროინდელი ვითარების ანარეკლია, როცა მყოფადი და კავშირებითი თავისუფლად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დღეისათვის ამგვარი შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე კონსტრუქციაში პარალელურად იხმარება ორი სხვადასხვა მწკრივის ფორმა, ნორმალურად არ მიიჩნევა. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია შემდეგი შემთხვევა: შექსპირის „მეფე ჰენრი მეექვსის“ ერთი ადგილი ქართულად ასეა თარგმნილი:

რომ ან მთლიანად დავიბრუნო ჩემი ღირსება,  
ან აქ საქმეთა კეთებაში მოვნახავ შევებას.

ამის გამო რეცენზენტები საგანგებოდ შენიშნავენ: აქ დრო შეუთანხმებელია<sup>2</sup>. ცხადია, აქ დრო კი არ არის შეუთანხმებელი, მომავალი დროის გადმოსაცემად ფრაზის ერთ ნაწილში კავშირებითია ნახმარი (დავიბრუნო), მეორე ნაწილში – მყოფადი (მოვნახავ), რაც დღეს უკვე ყურს ეხამუშება.

ძველი ვითარების ანარეკლია ისიც, როცა თანამედროვე ქართულში ანმცოს ფუნქციით გვხვდება ფორმები, რომელთაც ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ დროის გაგება იცვალეს და ანმცოდან მყოფადში გადაინაცვლეს (ნახავს, ჰკითხავს, იტყვის, მოვა და სხვანი). მაგალითად, ანმცოა და არა მყოფადი ჰკითხავს ვაჟას „ბახტრიონის“ შემდეგ ფრაზაში:

ათრთოლებლის ხმით ჰკითხავს  
უცნობი უცნობს დიაცსა:  
– ვინა ხარ, ნეტარ, დედილო?  
ვისას, რას მოსთქვამ ზიანსა?<sup>3</sup>

იქვე უწყვეტლის და არა ხოლმეობითის მნიშვნელობით გვხვდება ჰკითხავდა:

გულს იმჯილავდა, ჰკითხავდა  
ნანგრევებს ცრემლის დენითა.<sup>4</sup>

ამგვარი ფორმები ძველი მნიშვნელობით დაცულია მთის კილოებში და აქედან შესულან ისინი ვაჟას ენაში. ძველი ვითარება ზოგჯერ დასავლურ კილოებშიაც არის დღემდე შემორჩენილი. მაგალითად, გურულში ზმნა მუა (მოვა, მოვალს) გამოხატავს ჩვეულებრივ მომავალს. მაგრამ ზოგჯერ ახლანდელ დროსაც გვიჩვენებს, ანმცოს გაგებით იხმარება: „არ გასულა დიდი ხანი და დეინახეს, მდევი მუა“ (= მოდის).

<sup>1</sup> გ. ლეონიძე. შოთას გულიდან გამოვიძერწე (ლექსი): გაზ. „კომუნისტი“, 23, IX, 1967.

<sup>2</sup> მ. ზაალიშვილი, თ. ჯანგულაშვილი. კეთილი შენიშვნები: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 7.1, 1966.

<sup>3</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1934, გვ. 143.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 142.

ამგვარი მაგალითების რიცხვი შეიძლება კიდევ გაგვეზარდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ მომავალი დროის გამოხატვის მხრივ ძველი სისტემის ანარეკლი ახალ ქართულში აქა-იქ ჯერ კიდევ იჩენს თავს. მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისებია, ლიტერატურულ ნორმად კი დიდი ხანია იქცა მომავალი დროის გადმოცემა მყოფადის მწკრივით.

ამგვარად, ანმყოს ზმნისწინიან ფორმებს მომავალი დროის შინაარსი დაუკავშირდა ძველ ქართულში თავდაპირველად ნ უ ნანილაკიან უკუთქმით ბრძანებითში. ძველ ქართულშივე გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როცა ზმნისწინიანი ანმყო, ნაცვლად კავშირებითისა, იხმარება მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად.

XI-XIII საუკუნეთა მანძილზე ანმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა თანდათანობით დაკარგეს ახლანდელი დროის გაგება და გამოყენებულ იქნენ მომავალი დროის თხრობითი კილოს აღსანიშნავად. ამით მყოფადი უკვე დამოუკიდებელ მწკრივად იქცა. ამ მწკრივის ფორმები გაიჩინეს უზმნისწინო და ფუძემონაცვლე ზმნებმაც.

მყოფადმა თანდათანობით წაართვა კავშირებითს მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვის ფუნქცია. XVI საუკუნიდან კავშირებითი ამ ფუნქციით იშვიათადლა გვხვდება მყოფადი საბოლოოდ იმარჯვებს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მყოფადის ჩამოყალიბების პროცესი ამ დროისათვის ძირითადად უკვე დამთავრებულია.

**ბაქარ გიგინეიშვილი**

**კაუზატივის ფუნქცია და კარგული სუფიქსი  
ზმნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში**

კაუზაციის გაგებაში ენათმეცნიერთა შორის ერთსულოვნება არაა. ამაზე საგანგებოდ არ შეეჩერდებით. მხოლოდ იმის აღნიშვნა მიგვაჩნია აუცილებლად, რომ ჩვენ ამ ტერმინს მისი ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ, ე.ი. ყველა იმ შემთხვევაში, როცა მიზეზ-შედეგობრივ მიმართებასთან გვაქვს საქმე. ამიტომ, ბუნებრივია, აქ იგულისხმება კონტაქტურ-კაუზატიური მნიშვნელობანიც<sup>1</sup>, რომელთა გამიჯვნა ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ზმნათა მნიშვნელობისაგან ყოველთვის ადვილი როდია.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ზოგიერთი ზმნური ფორმა, რომელიც, ჩვენი აზრით, ოდინდელი კაუზატიური ფუძეებიდან უნდა იყოს ნაწარმოები. კაუზატივის მანარმოებელს ფუნქცია დაუკარგავს და ზოგჯერ ძირს შეზრდია, რის გამოც ჩამოყალიბებულა უღლების ახალი პარადიგმა. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში, ზმნებს კაუზატიური მნიშვნელობა დაკარგული აქვთ. კაუზატიური მნიშვნელობის დაკარგვის შემდეგ უნდა მომხდარიყო ამგვარი ფორმებიდან სხვადასხვა ქცევის ფორმათა წარმოება, აგრეთვე პრეფიქსული ვნებითებისა.

**1. აღტყინება, ტყინება** („ანთება“, „გზნება“) ზმნაში გამოიყოფა **ტყინ** ფუძე, რომელიც პრეფიქსული ვნებითის ფორმებშიც გვხვდება:

ხოლო გუამი დაინუვინ ფიცხლისა მისგან სიმჭურვალისა და სული **ეტყინებინ** ცეცხლითა ცოდვისათა, რომელ უქმნიედ წინაჲსწარ. მ. სწ. 140, 29.

... **აღეტყინა** გული ჩემი და თირკუმელნი ჩემნი იცვალნეს. ფს. 72, 21 Ⴎ

**აღეტყინის** იგი ვითარცა ნაძეძი. Sin – 50, 15 r.

სუფიქსური ვნებითი მარტივ ფუძეს **ტყ-**ს ემყარება:

არამედ მოავლინოს უფალმან საბაოთ შენსა მას პატიოსნებასა ზედა უპატიოებაჲ და დიდებასა შენსა ზედა ცეცხლი აღგზებული **ალატყდებოდის**. ეს. 10, 16(0).

...მაყულოანსა **ალატყდების** ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეინუების. გამ. 3, 2(0).

ხოლო გესმოდინ-ლა ბრძოლანი და ჳმაჲ ნყობათაჲ, ეკრძალენით, ნუ **ალატყდებით**. . . მთ. 24, 6 C (D – ნუ შესძრწუდებით)

ცეცხლი **ალატყდა** გულის-წყრომისგან ჩემისა II შჯ. 32, 22.

პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითი გვარის ფორმების შედარება ცხადყოფს **ტყინ** ფუძის სირთულეს და **-ინ** ელემენტის აფიქსობას, მაგრამ **ტყინ** ფუძე მთლიანადაა შესული მიმდებარე ფორმაში **მო-ტყინ-არე** „ანთებული“, „აღგზნებული“;

<sup>1</sup> ამ ტერმინს ვიყენებთ იმ მნიშვნელობით, როგორც ის ნახმარი აქვთ ი. გენაძეს, ნედიალკოვსა და ა. ხოლოდოვიჩს (იხ. Типология каузативных конструкций, Морфологический каузатив. Ленинград, 1969, 148-150).



ცეცხლი მოტყინარწ დაშრიტის წყალმან. ზირ. 3, 33(0).

და დაადგინა მოტყინარწ მახზლი იქცევისი. . . შეს. 3, 24 AKS.

მოქმედებითი გვარის ფორმებში გამოვლენა -ინ ელემენტისა ბუნებრივია: ალატყინა ცეცხლი ლამპართა შინა. მსაჯ. 15, 5.

ეშმაკი ლიქნით და ვერაგობით გუანვეს ნებასა მისსა და უკუეთუ ვერ მიდრიკოს გონება ჩუენი ნებასა მისსა, ალატყინის ჩუენ შორის ცოდვაჲ, ვითარცა ცეცხლი. მ. სნ. 69, 6.

ალატყინა ფორმა კაუზატიური შინაარსისაა ისევე როგორც ალადგინა, დაანვინა და სხვ. ამ მნიშვნელობის დაკავშირება ა-ინ ცირკუმფიქსთან ძნელი არ არის, მაგრამ თავდაპირველი სახითაა თუ არა წარმოდგენილი ძირეული მორფემა? ვფიქრობთ, აქაც, ისევე, როგორც ტყდომა-ში ტყ მიღებულია ტხ-საგან<sup>1</sup>, რომელიც, თავის მხრივ, სრული გახმოვანების მქონე ტყხ ძირის რედუცირებული სახეა. ალტყხა ძველ ქართულ ძეგლებში ნახმარია „ალშფოთების“, „ალელვების“, „ალგზნების“ მნიშვნელობით:

ალტყხეს ერთი და ქალაქებნი იგი სიტყვთა მით. საქმე მოც. 17, 8.

და იყოს ალტყხაჲ მათ შორის დღესა მას ეგვპტისასა, რამეთუ აჰა ესერა მოვალს. ეზეკ. 30, 9(0); L; შფოთი.

ღელვანი იგი ალტყხილნი უშჯულოებისანი დააყუდნეს. სინ. მრ. 218, 13.

ალტყხა-დან წარმოშობა სუფიქსური ვნებითის ფორმები: ალტყდების, ალტყდა და სხვ. ტყხ ფუძეში ჯერ მომხდარია სინკოპე, ხოლო ამის შედეგად წარმოქმნილი ქართულისათვის არაბუნებრივი ტხ კომპლექსი შეცვლილია ჰარმონიული ტყ ფონემური ჯგუფით. ასევე ჩანს წარმოქმნილი ალტყინება: \*ალ-ა-ტყხ-ინ-ა → \*ალ-ა-ტხ-ინ-ა → ალ-ა-ტყ-ინ-ა. ალტყხა და ალატყინა ფორმების ერთდროული არსებობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ალტყხა ზმნას დაეკისრა სემანტიკურად რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობის გადმოცემა: ალტყინება კონკრეტულად „ანთებას“ ნიშნავს და ითქმის უმეტესად ცეცხლზე ან ნივთზე, ხოლო ალტყხა – უპირატესად ადამიანებზე ითქმის და მათს აღელვებას ნიშნავს. თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა ალტყინება, ალტყინებული ზოგჯერ ადამიანის მიმართაც იხმარება, მაგრამ კონკრეტულ მნიშვნელობას „ანთება-დანვისას“ ინარჩუნებს.

იყვნენ წარმართნი ალტყინებულ, ვითარცა ეკალნი ყანობირსა შინა. ეს. 33, 12 (მოსკ. ბიბლია), შდრ. ოშკური: დამწუარ.

მეორე მხრივ, საგულისხმოა ის, რომ ალტყხა-სა და ალატყინა-ს შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც მოკლა-ს და მოაკუდინა-ს შორის. ალტყხა და მოკლა კონტექსტებში მკვეთრად არ უპირისპირდება ალატყინა-სა და მოაკუდინა-ს, როგორც არაკაუზატივი კაუზატივს, მაგრამ აშკარაა, რომ მათი სრული გათანაბრება მაინც არაა მართებული: ალატყინა და მოაკუდინა, განსხვავებით ალტყხა-სა და მოკლა-საგან, კაუზატიურ შინაარსს ინარჩუნებს, რაც მათს ფუძეში -ინ სუფიქსის მქონეობითაა გამოწვეული.

2. წყენა, წყინება. ეს ზმნა იხმარება „შენუხების“ მნიშვნელობით:

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953. გვ. 23.

... ევედრებოდა მას ფრიად, რაჟთამცა ბრძანა საკრველთაგან განტევებაჲ მისი, ვითარ ფრიად **ანყინა**, ბრძანა განტევებაჲ საკრველთაგან ოდენ. შუშ. X, 21.

ამისთვის მე ჯერ მიჩნს, რაჟთა არას **ვანყინებდეთ** მათ, რომელნი-იგი წარმართთაგანნი მოქცეულ არიან ღმრთისა მიმართ. საქმე მოც. 15, 19 (L: **ვაურვებდეთ**)

ხოლო ხედვიდეს, რამეთუ, ვითარ-იგი უნდა მყუდროებით ცხორებაჲ, ვერ იყოფებოდეს, ამისთვის რამეთუ **ანყინებდიან** მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი... ი.-ე. 25, 11.

.. .უსაჯო მას, რაჟთა არა მოვიდოდის და **მანყინებდეს** მე ლ. 18, 5 C.

ძველ ქართულში ამავე ზმნას მეორე ახლომდგომი მნიშვნელობაც აქვს – „თავის მობეზრება“, „მონყენა“, მაგრამ როგორც არნ. ჩიქობავა და კ. ჰ. შმიდტი ვარაუდობენ, მათ სხვადასხვა შესატყვისები აქვთ ზანურში და ამდენად სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან. კერძოდ, **წყენ/წყინ** ძირს „შენუხების“ მნიშვნელობით უკავშირებენ ჭან. **წყ-უნ-** და მეგრ. **წყ-უნ** ფუძეებს, რომლებსაც „ტკენის“ მნიშვნელობა აქვთ, ხოლო ქართ. **წყენ/წყინ-ს** „მონყენის“ მნიშვნელობით განიხილავენ ფუძეში **წყი-დ** და ჭანური **ჭკინ-დ** („დალა“) ფუძის შესატყვისად მიიჩნევენ<sup>1</sup>. ამიტომ ჩვენ ამჯერად მხოლოდ პირველ **წყენა-ს** განვიხილავთ. არნ. ჩიქობავა ქართულ წყენ-ფუძეში გამოყოფს „საკაუზატივო“ (ბრჭყალები ავტორისა) **-ენ** სუფიქსს, ჭანურში კი შესაბამისად **-უნ** სუფიქსს, რომელიც, მისი აზრით, „ფუძის სანარმოებელი აფიქსია (საკაუზატივო!)“<sup>2</sup>. ა. შანიძე აგრეთვე შესაძლებლად მიიჩნევს **წყენ/წყინ** ფუძის დაშლას, ოღონდ **-ენ** სუფიქსი მას გარდაუვალ ზმნათაგან გარდამავალ ზმნათა მანარმოებლად მიაჩნია<sup>3</sup>. მსგავსი მოსაზრება **-ენ** სუფიქსის შესახებ (ოღონდ არა **წყენ-** ფუძეში) გამოთქვა ვ. თოფურია: მან **-ენ** სუფიქსი მიიჩნია ერთ-ერთ უძველეს სანარმოებელ ბოლოსართად მოქმედებითი გვარის ზმნათა წყებაში<sup>4</sup>. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ არც ერთ მკვლევარს, ვინც სცადა **წყენ-/წყინ-** ფუძის დაშლა, არ უცდია **-ენ/-ინ** სუფიქსის გამოყოფა დაესაბუთებინა.

ჰ. ფოგტის აზრით, **ვანყინებ** და **ვატყინებ** ფორმებს არ მოეპოვებათ შესაბამისი გარდაუვალი ფორმები<sup>5</sup>.

რა გვადლევს საფუძველს, რომ ხსენებული ფუძე დავშალოთ, გვხვდება თუ არა მისი კომპონენტები ერთმანეთისაგან მონყვევით და სხვ. **-ენ** მიმდევრობა შეიძლება სხვა ზმნებთანაც დავადასტუროთ, მაგრამ გვაქვს თუ არა **-ენ/-ინ-ის** გარეშე **წყ-** მსგავსი მნიშვნელობით? თუ **წყ-** არ დაიძებნა სხვა კომბინაციაში, მაშინ **წყენ-/წყინ-** ფუძის დაშლა საეჭვო იქნება.

ჩვენი აზრით, ის ამოსავალი ოდენობა, რომელსაც უნდა დართოდა **-ენ/-ინ** ელემენტი, არის **წუხ-**, რომელიც წარმოდგენილია არა მარტო საშუალო გვარის **წუხ-ს**, არამედ მოქმედებითი გვარის **ანწუხებს**, **შეანწუხა** ზმნაში და მისგან ნანარმოებ ფორმებშიც. პროცესი ასე წარმოგვიდგება: **\*წუხ-ინ → \*წხინ წყინ: წუხ-ს → \*ანწუხ-ენ-ს/ანწუხ-ინ-ა → \*ანწხენს/\*ანწხინა → აწყენს/აწყინა**. **-ენ/-ინ** სუფიქსის დართვა ინ-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 339-400; K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der sudkaukasische Grundsprache. Wiesbaden, 1962, S. 156-157.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.

<sup>3</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.

<sup>4</sup> ვ. თოფურია, შრომები, III, თბილისი, 1979, გვ. 44-45.

<sup>5</sup> H. Vogt, Suffixes verbaux en georgien anciens. NTS, XIV, 1947, p. 159.

ვევს უ-ს ამოღებას და **ნხ** არაბუნებრივი მიმდევრობის წარმოქმნას, რომელიც ქართული ენის ფონოლოგიური სტრუქტურის შესაბამისად ავტომატურად გარდაიქმნება **ნყ**-დ. შეიძლება **ნხ** მიმდევრობის სხვაგვარი დაძლევაც, კერძოდ **ცხ** კომპლექსის წარმოქმნა. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს **მერცხალი** (←\***მერნხალი**; შდრ. მეგრ. **მარჭიხლო/მაჭირხოლი**), რომლის ეტიმოლოგია ტ. გუდავას ეკუთვნის<sup>1</sup>.

ამრიგად, **წყენ/წყინ-** ფუძისათვის ამოსავალია **წუხ** ძირი, რომელმაც **-ენ/-ინ** სუფიქსის დართვის შედეგად ჯერ სინკოპირება, ხოლო შემდეგ ასიმილაცია განიცადა. მაგრამ არის კი ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი უ-ს სრული ამოღება? მართალია, ამგვარი შემთხვევები შედარებით იშვიათია, მაგრამ არის უ-ს სრული ამოგდების უეჭველი ფაქტები. სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებულია ძირითადად უმარცვლო უ-ს დაკარგვის შემთხვევები: **ალექმისა, გამოუთქმელად, წითლდეს** (შდრ. **დასწუთა**), **შენყდომილ, მწყდარი** (შდრ. **მწყუდარი**), რომელსაც ამასთანავე, ფაკულტატიური ხასიათი აქვს ან, ზოგჯერ, შეიძლება გადამწერის შეცდომას მიეწეროს; მაგალითად: **ლაწრითა, მკდრისა, მაშრალთა** და სხვა<sup>2</sup>. ივ. იმნაიშვილს აქვს მარცვლოვანი უ-ს სინკოპის შემთხვევებიც სიტყვებში **შურდლისა, ფარდლისა**<sup>3</sup>. ვფიქრობთ, ამას შეიძლება დაემატოს: **ქსელი** ← \***ქუსველი** (შდრ. **ქუსავს**: და **ქუსავს** მათ გამო რააცა-იგი ჰნებავს მამასა. J – 44, 209 r), **მჭელი** (\***მუჭელი**) „თავთავი“, (შდრ. **მუჭიე**), **დაყუდნება** (← \***დაყუდუნება**)<sup>4</sup>.

**წუხ** ზმნას აქვს სხვა კაუზატიური კორელატიც. ესაა **ანუხებს**. ეს ფორმა ჩვენი აზრით, უფრო გვიანდელია, ვიდრე **ანყენს/ანყინა**, რადგან იგი უკვე ხელახლანაწარმოები **წუხ-** ძირისაგან და რამდენადაც ფონეტიკური ცვლილებები არ განუცდია, ამიტომ ამოსავალ ფუძესთან გრამატიკული კავშირიც არ გაუნწყვეტია.

**3. სმენ-/სმინ-** ფუძე იხმარება როგორც კაუზატიური მნიშვნელობის ფორმებში, ისე არაკაუზატიურში, სადაც ის ოდინდელი კაუზატივის სემანტიკის მიჩქმალვის შედეგადაა გადასული.

**მასმინე** მე გალობაჲ და სიხარული და იხარებდენ ძუალნი მდაბალნი ფს. 50, 10 C.

ყოველსავე კეთილად იქმს: ყრუთა **ჰასმენს** და უტყუთცა ჰატყუებს... ჰაემ. 378, VII, 37.

**გასმინენ** თქუენ ჴმაჲ ებნისაჲ მის ჩუენისაჲ, რავდენ ძალგუედვა. სინ. მრ. 110, 32.

. . .ერთად სახედ დაჰბეროს და განგებულად **გასმინოს** და ტკბილადითა მით ჴმითა და სასმენელითა მით სიტყვთა ყოველნი შემოგუეკრიბნეს. . . სინ. მრ. 110, 36.

თქუენ **ისმინეთ** იგავი ესე მთესვარისაჲ . . . მთ. 13, 18.

ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი **ისმინის** და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი გულსა თესსა. მთ. 13, 20 DE.

რომელმან თქუენი **ისმინოს**, ჩემი **ისმინა**. ლ. 10, 16 C.

<sup>1</sup> ტ. გუდავა, **მერცხალი**, იკე, ტ. XIV, თბილისი, 1964.

<sup>2</sup> მ. ძიძიშვილი, **ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში**, 1960.

<sup>3</sup> ივ. იმნაიშვილი, **ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია**, ტ. I., ნაწ. II. თბილისი, 1971.

<sup>4</sup> თ. ცქიტიშვილი *ყდუნ* ფუძეში სახეებით სამართლიანად ხედავს *ყუდ* ძირის შეკუმშულ ვარიანტს, რომლის გამოვლენა გამოწვეული უნდა იყოს *-უნ* სუფიქსის დართვით (თ. ცქიტიშვილი, *ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები*, თბილისი, 1976, გვ. 300-301). ჰ. ფოგტის აზრით, *დაყუდნება* არის მიღებული *დაყუდნებისაგან* (H. Vogt, *Suffixes verbaux en georgien ancien*. NTS, XIV, 1947, p. 64).

**-ენ/-ინ** ელემენტი **სმენ-** ფუძეში მარტივად გამოიყოფა **სემ-/სმ-** ძირის შემცველ ფორმებთან შეპირისპირებით, რომლებიც, როგორც წესი, ობიექტური ნყოფისაა<sup>1</sup>.

...ოდეს **გესმეს** შენ, ვითარმედ უფალმან მისცა ქანქარი, ნუ ჰგონებ ამას შეკრებისათვის ოქროსა გინა ვეცხლისა. სინ. მრ. 249, 19.

ჭირსა ჩემსა მალხინე, მიწყალე მე, **შეგესემინ** ლოცვისა ჩემისა. ფს. 4, 2 ტ.

ჴმაჲ ჰრამაჲთ **ისმა** ტირილისა და გოდებისაჲ. მთ. 2, 18.

ამას **ესმა**, ვითარმედ იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეად. ი. 4, 47 DE.

ძირი განსახილველი ზმნისა ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი **სემ-** და **სმ-** ით. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, ქართულში დადასტურებული **სემ-** ამოსავალია ყველა ქართველური ენისათვის, ოღონდ მისი ზანური და სვანური შესატყვისები დაცული არაა (ზან. \***სამ-** და სვან. \***სემ-**). ეს აიხსნება უხმოვნო **სმ-** ფუძის გავრცელებით, რომელმაც ზანურში **სიმ-** მოგვცა [მ ელემენტის მარცვლოვნობის ხარჯზე (# C – V) პოზიციაში და შემდეგ ანალოგიით ინტერვოკალურ პოზიციაშიც გადაინაცვლა (მა-ა-სიმ-ე-[ნ], ი-სიმ-ინ-ს ფორმებში). სვანურში ხმოვანთა შორის კანონზომიერადაა წარმოდგენილი **სმ-** ვარიანტი: მე-**სმ-**ი „მესმის“<sup>2</sup>. **-ენ/-ინ** ელემენტის რაობაზე არაფერია ნათქვამი.

ამკარაა, რომ **-ენ/-ინ** ამ ზმნაშიც იმავე დანიშნულების მქონეა, როგორისაც **წყენა** და **აღტკინება** ზმნებში, ე.ი. კაუზატივის მორფემაა. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ **სმენა** ზმნაში მისი ამგვარი ფუნქციით გამოიყენება უფრო ხანგრძლივი ტრადიციის მქონეა და არ შემოიფარგლება საკუთრივ ქართული დროული სიღრმით. ეგვევ **-ინ** ელემენტი ზანურსა და სვანურშიც იჩენს თავს. მეგრულში **-ინ** თავს იჩენს ისეთ მიმღეობურ ფორმაში, რომელიც კაუზატიური ზმნიდან ჩანს ნაწარმოები: **ენსმასიმინაფალი** „შემსმენი“, „დამბეზლებელი“, „ენის მიმტანი“. **მასიმინაფალი** ზუსტი შესატყვისია ქართულში თეორიულად დასაშვები ფორმისა \***მსმინებელი**. მიმღეობის მანარმოებელი ამ მეგრულ ფორმაში არის **მ-ალ**, ფუძეა **სიმ-ინ**, რომელიც კაუზატიურ **-ინ** ელემენტს უნდა შეიცავდეს. **-ინ** კაუზატივის საწარმოებლად თანამედროვე მეგრულში მხოლოდ რელიქტის სახით არის ცალკეულ ფორმებში შემორჩენილი. სვანურში **-ინ** დარჩენილია ამ ზმნის მასდარში **ლი-სმინ-ე**, აგრეთვე მყოფადის მიმღეობაში **ლე-სმინ-ე** - მოსასმენი“. ფუნქცია კაუზატივისა ამ ელემენტს ზანურ-სვანურში დაკარგული აქვს, მაგრამ მისი არსებობა სამსავე ქართველურ ენაში იდენტური მნიშვნელობის მქონე ძირთან და ქართულში მისი ფუნქციის გარკვეულობა შესაძლებელს ხდის საერთოქართველურ დონეზე ცალკე \***სემ-** და ცალკე \***სმ-ინ** ფუძეების რეკონსტრუქციას.

**4. შეშინება.** პირველი ფორმები (როგორც კაუზატიური, ისე არაკაუზატიური) აუცილებლად **შინ-** ფუძეს ემყარება:

უკუეთუ უმეტეს რაჲმე ვიქადო ჴელმნიფებისა ამის ჩუენისათვის..., არა მრცხუენოდის, რაჲთა არა გეგონოს, ვითარმედ **გაშინებ** რასმე თქუენ წიგნებითა ამით. II კორ. 10, 8-9.

<sup>1</sup> H. Vogt, Suffixes verbaux en georgien ancien. NTS, XIV, 1947, p. 59.

<sup>2</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 121.

...გულისაგან შენისა შენ სტყუვი ამათ შინა, რამეთუ ყოველნი **გუაშინებენ** ჩუენ... ნემ. 6, 9 B.

**შეეშინა** ელიას და წარვიდა უდაბნოდ. სინ. მრ. 213, 24.

ნუ შეძრუნდებინ გული თქუენი, ნუცა **ეშინინ**. ი. 1427 D.

მამისაგან თვისისა და დედისა თვისისა **შეიშინეთ**. ლევ. 19, 3 გ.

ქართული გასუბსტანტივებული მასდარი **შიში** მიჩნეულია \***სი-შ-ი**-საგან მომდინარედ<sup>1</sup>. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, უნდა დავუშვათ ისეთი ზმნური ფორმების არსებობა ადრინდელ ქართულში, რომელთა ძირი **-ინ** სუფიქსით გართულებული არ იყო და მარტოდენ **შ**-ს სახით იყო წარმოდგენილი.

**5.** ძველ ქართულში **ძინ-** ზმნური ფუძე ორი ახლომდგომი მნიშვნელობით იხმარება. პირველი მნიშვნელობა წარმოდგენილია შემდეგ სემანტიკურ ჯგუფში: **შემატება, დამატება, დართვა, ზედ-დადება, დანვენა, დატოვება, დარჩენა**. მაგალითები:

ბოროტსა ზედა ბოროტსა **დასძინებ** A – 1105, 142v.

...უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა სხუაჲ ხუთი ქანქარი **შევსძინე**. მთ. 25, 20 C.

და მეყსეულად წარვიდა, რომელმან იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნა მას ზედა და **შესძინა** სხუაჲ-ლა ხუთი. მთ. 25, 16 C.

ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი **შეგეძინოს** თქუენ. ლ. 12, 31.

... ყოველი პირი მისი ნუთხისა დადინებითა განილეოდა და ყოვლით კერძო ენისა მისისა ზესთა სიმძიმისა აქუნდა განსივებაჲ, ვიდრემდის სრულიად უსიტყუელად და უჭმრად ორდანოჲ იგი დაშთომილ იყო და იყო **ზედა-დაძინებულ** მოუთმენელთა მათ სალმობათა მისთა ვერვისსა თხრობაჲ იგი ტკივილთა მისთაჲ. ქუთ. 5, 545 v – 546r.

და აღდგა შუვალამეს ოდენ, მომპარა ყრმაჲ იგი ჩემი მწართაგან ჩემთა, და მწევალსა მეძინა, და **დააძინა** უბეთა თვისთა და ყრმაჲ იგი თვისი მომკუდარი შემოაწვინა უბეთა ჩემთა. III მეფ. 3, 20(0).

ბერძნ. ἔχισμασεν „დანვინა“, „დააძინა“

სომხ. չզնցույց „ „

რუს. положил

არა **დააძინოთ** სხეული მისი ძელსა ზედა, არამედ დაფლვით დაჰფალთ იგი მას დღესა შინა. . . II შჯ. 21, 32გ.

პარალელური რედაქცია, წარმოდგენილი H – 885 ხელნაწერთა და მისი მიმყოლი ნუსხებით, იძლევა ასეთ იკითხვისს: არა **დაუტეოთ**.

ამ მნიშვნელობის გარდაუვალი კორელატი („დარჩენა“) წარმოდგენილია შემდეგ მაგალითში:

არა **დაიძინოს** სასყიდელმან მორენისამან. ლევ. 19, 13 გ.

ბერძნ. μη χιμωθήσεται „არ დაიდვას“, „არ იდოს“. „დანვენა“,

<sup>1</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23. H. Vogt, Grammaire de la langue georgienne, Oslo, 1971, p. 150.

„დანოლა“ იგულისხმება შემდეგ მაგალითებში:

იყო **დაძინებასა** მისსა. მსაჯ. 16, 14 გ (შდრ. B: **დაანვინა** იგი (დალილა). პირველ **დაძინებამდე** მათდა. ისუ ნ. 2, 8 გ (შდრ. S: ვიდრე დანოლადმდე მათა).

ძოვდენ და **დაიძინონ**. სოფ. 3, 13(0) შდრ. B: ძოვდენ და **დანუებოდიან**.

**დანოლა** და **დაძინება** მნიშვნელობით ახლოა ბევრ ენაში (მათ შორის: ბერძნულში, სომხურში, მეგრულ-ჭანურში). ამიტომ მნიშვნელობათა ამ მნიშვნელობათა გამოიწვევა **დაძინება-ძილი-სვან** საკმაოდ ძნელია, მაგრამ შესატყვისობანი ქართველურ ენათა შორის უეჭველს ხდიან იმ ფაქტს, რომ ქართულ **ძინ-** ფუძეში შერწყმულია ისტორიულად განსხვავებული ორი ოდენობა. ერთია ქართული **ძინ-** („მატება“ და მისი ჯგუფი), მეორე კი – **ძინ/ძილ-** („დაძინების“ მნიშვნელობით); პირველი უნდა უკავშირდებოდეს ქართულსავე **ძ-** ძირს (**ძ-ე-ს** ფორმაში)<sup>1</sup>. ასეთი კავშირი პირველად არნ. ჩიქობავამ ივარაუდა, მაგრამ იქვე უარყო, რადგან **ძეს** და მისი მეგრ.-ჭან. შესატყვისი **ძ-უ-ნ**, მისი აზრით, **ღევს** ფორმისგან მომდინარეობს, **ძინ-** კი ასეთი წარმოშობისად ვერ მიიჩნევა<sup>2</sup>. კ. ჰ. შმიდტისათვის **ძ-ს** **ღ-**სგან მომდინარეობა, რომელსაც ის იზიარებს, დამაბრკოლებელი არაა<sup>3</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ღ-**სგან **ძ-**ს მომდინარეობა **ძეს** ფორმაში, ხოლო **ძინ-** ფუძეში **ძ-**ს თავდაპირველობა მათი დაკავშირებისათვის ნამდვილად დამაბრკოლებელია. მაგრამ საქმე ისაა, რომ **ძ-**ს მომდინარეობა **ღ-საგან** აუცილებელი არაა გავიზიაროთ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ **ძ-**ს **ღ** ენაცვლება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს: სავსებით დასაშვებია აქ სუბლექტივიზმი ანუ ფუძეთა მონაცვლეობა ვივარაუდოთ, რაც ქართულისათვის უცხო არაა (შდრ. **უვის-ესუა, არს-იყო** და სხვა). მით უფრო, რომ არ ჩანს რეალური მიზეზი **ღ→ძ** გადასვლისა ქართულში. **ღევს** ფორმას რატომ უნდა მოეცა **ძეს/ძევს** ნათელი არაა: **ღ-**ს აფრიკატიზაცია ქართულს არ ახასიათებს. ქართული **ძეს** რომ **ძ-**ს შემცველი იყო ჯერ კიდევ საერთო-ქართველურ პერიოდში, ამას ადასტურებს შესატყვისობა:

ქართ. **ძ-ე-ს/უ-ძ-ს**: ზან: **ძ-უ-(ნ)** „ძევს“: სვან. **ზ-ი** „ძევს“ (შდრ. **ხაზ** „აძევს“).

ფონემური ფარდობა ქართ. **ძ**: ზან. **ძ**: სვან. **ზ** კანონზომიერია და ამოსავლად \***ძ** ფონემას გულისხმობს<sup>4</sup>.

**დაძინება/შეძინება** სავსებით დასაშვებია **ძ-ე-ს** ზმნასთან დავაკავშიროთ და მის კაუზატიურ ფორმად ან საზედაო სიტუაციის გამომხატველად მივიჩნიოთ: „დააძინა“-სთვის ამოსავალი იქნებოდა მნიშვნელობანი: „დადვა“, „დაადვა“, „დაანვინა“.

**6. ძილ-/ძინ-**. ერთგვარი მნიშვნელობის მქონე ქართული **ძილ-** და **ძინ-** ფუძეების მიმართება ასახსნელია. როგორც ცნობილია, **ძილი** ასეთ შესატყვისებს იძლევა ზანურში:

<sup>1</sup>ჰ. ფოგტს არა აქვს დაკავშირებული ერთმანეთთან *შესძინა* და *დააძინა* ფორმები. იგი თვლის რომ ამ ზმნას (*ესძინებ*) არა აქვს ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები და შესაძლოა *-ენ/-ინ* აქ ძირის კუთვნილება იყოს (H. Vogt, Suffixes. . . 61).

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

<sup>3</sup> K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der sudkaukasische Grundsprache. Wiesbaden, 1962, S. 104.

<sup>4</sup> გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 24–25.

ქართ. **ძილ-ი**: მეგრ. **ჯირ-ა** „ძილი“: ჭან. **(ნ) ჯირ-**

ეს ფარდობა ძირის პირველ თანხმონად სულ სხვა ფონემას გვაგვარაუდებინებს (სისინა-შიშინა \*ძ1-ს, ან შიშინა \*ჯ-ს, როგორც ამას კ. ჰ. შმიდტი ფიქრობს<sup>1</sup>).

**ძილ-** ფუძეს ზოგი მკვლევარი დაუშლელად მიიჩნევს და მისი დაკავშირება **ძინ-** ფუძესთან, რაც თითქმის ყველასთვის უდავოა, ახსნილია ქართულში **ლ~ნ**, ზანურში კი **რ~ნ** მონაცვლეობით<sup>2</sup>.

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართ. **ძილ-**, ზან. **ჯირ**. ფუძეები იმავე ძირის შემცველია, რომელიც ქართ. **ძინ-სა** და ზან. **ჯან/ჯინ-ში** გვაქვს, განსხვავება მხოლოდ სუფიქსებშია<sup>3</sup>, ოღონდ ამ სუფიქსთა ფუნქცია არაა მითითებული. კ. ჰ. შმიდტი აგრეთვე შლის აღნიშნულ ფუძეებს: **ძ-ილ-ი** (←\*ძ-ინ-ი), **ჯ-ირ-**, **ჯ-ინ-**, **ჯ-ან-**<sup>4</sup>. სუფიქსთა კვალიფიკაცია არც მასთანაა მოცემული. საინტერესოა, რომ კ. ჰ. შმიდტი შესაძლებლად მიიჩნევს ქართულ და ზანურ ძირებთან სვანური **უჟ** („ძილი“) ფორმის დაკავშირებას. თავკიდურ **უ-**ს ის განიხილავს როგორც პროთეტულ ხმოვანს<sup>5</sup>. ეს მოსაზრება საყურადღებო ჩანს. მართლაც, ცალთანხმონიანი თავისუფალი ფორმა ძნელი წარმოსადგენია. ამიტომ მას შეიძლებოდა საყრდენი ხმოვანი გასჩენოდა. ოღონდ ანალოგიური შემთხვევები უნდა დაიძებნოს. რაც შეეხება **ძილ** და **ძინ** ქართულ ფუძეებს და მათს ზანურ შესატყვისებს, მათი დაშლა სავსებით შესაძლებელია: პირველი უნდა წარმოადგენდეს გასუბსტანტივებულ მასდარს **ტირილი-ს** ტიპისას, ხოლო მეორე კაუზატიურ ფუძეს **ძ-** ძირისაგან, ე.ი. გვაქვს **ძ-ილ** და **ძ-ინ**. **ძ-ილ-ი** გარდაუვალი ზმნის მასდარი უნდა ყოფილიყო, **ძ-ინ-ებ-ა** კი – მისი კაუზატიური, გარდამავალი ფორმა. ზან. **ჯ-ან** ფუძე ქართულისათვის ამოსავალ **\*ძ-ენ-** კაუზატივს შეესატყვისება, ხოლო **ჯ-ინ** – ქართულ **ძ-ინ-ს**. პირველი გამოიყენებოდა დრო-კილოთა I სერიაში, მეორე კი – II სერიაში; ამგვარად:

ქართ. **\*ვ-ა-ძ-ენ** „ვაძინებ“ – **ვ-ა-ძ-ინ-ე**

ზან. **ვ-ო-ჯ-ან-ქ** – **დო-ვ-ო-ჯ-ინ-ი**

ძალზე საყურადღებოა სვანურში **უჟ** ძირისაგან ნაწარმოები ანალოგიური წყვილის არსებობა (კაუზატივს აქ მისი ერთ-ერთი უძველესი ნიშანი – **უნ** აწარმოებს):

სვან. **ლი-ჟჟ-ე** „ძილი“, „спать“ – **ლი-ჟჟ-უნ-ე** „დაძინება“, „усыплять“.

როგორც დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, კაუზატივის ოდინდელი ფორმანტები შეუხორცდნენ ძირებს და მივიღეთ მთლიანი **ძინ-/ჯინ-** ფუძეები, რომლებიც გამოყენებული იქნა არაკაუზატიური ფორმების საწარმოებლად: ქართ. **დაიძინა, იძინებს, სძინავს**; მეგრ. **ჯანუ(ნ)** „წევს“, ჭან. **ქოდიჯინუ** „დანვა“. მეორე მხრივ, შეუხორცდა ძირს მასდარის სუფიქსებიც – **ილ/-ირ** და ახალი **ძილ-** და **ჯირ-** ფუძეებიდან წარმოიქმნა ფორმები: ქართ. **უძილარი**, ჭან. **უნჯირუ** „უძილოდ“ და სხვ.

<sup>1</sup> K. H. Schmidt, Studien . . . S. 60, 15, 251.

<sup>2</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. 238. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა . . . , გვ. 312.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 434–435.

<sup>4</sup> K. H. Schmidt, Studien . . . S. 152.

<sup>5</sup> იქვე.

## ეთერ გეურქოვა

### კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში

(იბეჭდება შემოკლებით)

კაუზატივის, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორიის, ჩამოყალიბება და-კავშირებული უნდა იყოს ზმნის პოლიპერსონალიზმთან. ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიპერსონალურ ენებში კაუზატივის წარმოება სინთეზურია – კატეგორიის მანარმოებელი მორფოლოგიური ელემენტი ზმნის ფუძეში გვხვდება; მონოპერსონალურ ენებში კი კაუზატივის წარმოება აღწერილობითია (ეს დებულება ვრცელდება ჩვენთვის ცნობილ ყველა ენაზე), ე.ი. ქართველურსა და აფხაზურ-ადიღეურში, როგორც პოლიპერსონალურ ენებში, კაუზატივის სინთეზური წარმოებაა ნიშანდობლივი, დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში კი ანალიზური წარმოებაა.

#### კაუზატივის წარმოება ძველ ქართულში

ძველ ქართულში კაუზატივი მკვეთრად ჩამოყალიბებული ზმნური კატეგორიაა. იგი ჩვეულებრივ გვხვდება გარდამავალ სამპირიან ზმნებში. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ კატეგორიის არსი გულისხმობს სამი პირის – სუბიექტის, ირიბი და პირდაპირი ობიექტების – მიმართებას: სუბიექტი აიძულებს ირიბ ობიექტს იმოქმედოს პირდაპირ ობიექტზე.

კაუზატივის წარმოება ძველ ქართულში ნაწილობრივ ემთხვევა სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში არსებულ მდგომარეობას. ადგილი აქვს სხვაობასაც. ძველი ქართული კაუზატივის მანარმოებლად იყენებს **-ევ** სუფიქსს, შედარებით იშვიათად **-ინ-**ს; -ევი სუფიქსი უცხოა, როგორც კაუზატივის მანარმოებელი. მაგალითები:

„ყავ რაეცა გნებავს რ შენ თანა არს ეშმაკი, რ **გაქმნევს** მაგას“ (კიმ. I, 145, 18). „რამეთუ უჯეროსა **გუაქმნევდა** ჩუენ ჰამანი“ (ესთერ. 8). „რომელსაცა სული **ათქუმევდა**“ (პარხ. 86a). „აღდეგ და გამოუცხადე თავი შენი მათ რათა გულისწმა-ყონ ძალი მისი, რომელი **აქმნევს** მათ ეშმაკი ბოროტსა“ (აპოკრ. 35, 38). „და ვითარცა ვერარაჲ სხუაჲ **ათქუმი**ა მაშინ ჰრქუა მას პატრეაქმან: ნამოდევ და ნირე დღეს ჟამი“ (ლიმონარი, 67, 8). „უბრძანა მეფემან და **შეაქმნია** ლუსკუმამ ოქროსაჲ და ვეცხლისაჲ“ (კიმ. I, 165, 10). „ნუუკუე **გაქმნიოს** ბოროტი“ (პარხ. 3, 30). „და იგი არს მამამ ჩემი და დედა ჩემი, რომელმან **მაქმნიოს** მე საქმე კეთილი“ (ქრისტინა, 185, 19). „მაშინ დააჯერის მათ და **ათქუმის** ესევითარი და მსგავსი ამისი მრავალი“ (სწავლ. 46, 17). „...და თვისა მონასტრისა, ბარალამ წმიდისათვის **დანერინა** და წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივ უპყრა“ (ლიტ. ქრესტ., I, 206, 44). „და **მოაღებინა** ნაგევთავან სკორც მყრალი“ (ბალავარ. 43, 7). „მოვიდა მიქაელ და წარმოგადგინა შენ და **თაყუანის** **გაცემინა** შენ ღმერთსა“ (ლიტ. ქრესტ., I, 5, 21). „და ოდეს მოუწოდა მიქაელ და ყოველთა **თაყუანის** **გაცემინა**...“ (ლიტ. ქრესტ., I, 5, 24). „რათამცა ყოველნი კაცნი **თაყუანის** **აცემინნეს** კერპთა“ (ლიტ. ქრესტ., I, 168, 12). „კუალად განაგდეს ბაღს და შეაყენნეს კაცნი და **თაყუანის** **აცემინნეს** ცეცხლსა“ (ლიტ. ქრესტ., I, 168, 15). „და **თაყუანის** **ვაცემიე** იგი პატიოსანსა ჯუარსა...“ (ლიმონარი 51, 5).



კაუზატივის მანარმოებლად **-ინ**-ის გამოყენების შემთხვევები სულ შვიდი მაგალითითაა დადასტურებული. აქედან – ხუთი ერთი და იმავე რთული ზმნის ფუძიდან. **-ინ**-თან შედარებით **-ევ** სუფიქსის გამოყენების არე უფრო ვრცელია.

ქართული დიალექტებიდან ხევსურული (ნანილობრივ გურულიც) ძველ ქართულს უახლოვდება. აქ კაუზატივის მანარმოებლად ჩვეულებრივია **-ევ** (რაც უცხოა ბარის დიალექტებისათვის), **-ინ**-ის ხმარება შედარებით შეზღუდულია, **-ევი** კი საერთოდ არ გვხვდება. მაგ.:

„უძახებდ თავის ამხანიგ ეშმაებს, **დაამკვედ** ყანათ“ (ხევს. 21, 21). „დასტურვლოსნებ სრუ იმის ცდაში არიან, რო **ათქმივან** რაჲ“ (ხევს. 9, 20). „თუ დალაჯა, მაშინ ის ჯურუმს **გადაჯდევს**“ (ხევს. 12, 9). „თვერ დარტყით კარქათო, მაშვინ იმასაც ქი **დამარტყმიებთ**, რომელცხაია დასარტმელი“ (გურული, 425, 6 ქვ.).

ბარის დიალექტები კაუზატივის მანარმოებლებით სალიტერატურო ქართულს უახლოვდება. ამ დიალექტებში კაუზატივის მანარმოებელი სუფიქსია **-ინ** და **-ევი**. მაგალითები:

„რკინის დუქარდი **გაკეთებინე**“ (ქართლ. 283, 1). „ჯალათს თავი უნდა **გაგაგდებინოთ**“ (ქართლ. 326, 32). „იმ ქალმა ერთი წყარო **გაკეთებინა**, იმ წყაროს თავზე თავის სურათი **დააკიდებინა**“ (კახური, 187, 15–16). „ორთავ ხელებში **მამაგდებინა** შენი თავი და გაჩვენებ შენ სეირსაო“ (კახური, 188, 18). „რაც შენ ოქრო-ვერცხლი გაქ, სულ ჩემ კოშკში **ამაზიდინეო**“ (კახური, 206, 24).

**-ინ** სუფიქსით მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. იგი სალიტერატურო ქართულსა და ბარის დიალექტებში კაუზატივის კატეგორიის მანარმოებლებს შორის ყველაზე პროდუქტიული სუფიქსია.

რაც შეეხება **-ევი** სუფიქსს, მისი ხმარება **-ინ**-თან შედარებით უფრო შეზღუდულია. იგი გვაქვს თითქოს მაშინ, როდესაც უშუალო გზის ფორმებში **-ავ**, **-ევ** სუფიქსი დასტურდება, მაგ.:

„სუ თითით **გვარჩეინებენ** თესლს“ (ქართლ. 277, 8), (ვარჩ-ევ – ვარჩ-ევი-ებ).

„**დააღეინებ**ს თავის დასა მზის პირის ნაბანსა“ (ქართლ. 283, 2), (ვლ-ევ – ვალ-ევი-ებ).

„**წიხლი** სდრუზა და **კბილები ჩაამტვრეინა**“ (ქართლ. 302, 38), (ვამტვრ-ევ – ვამტვრ-ევი-ებ).

გვაქვს გამონაკლისებიც:

„...**მოაჭრეეინებს** ამ ჭანდარ“ (კახური, 196, 19), (ჭრის – აჭრ-ევი-ებ-ს). „... **ძალეებიც გადაახნეეინა**“ (კახური, 203, 8 ქვ.), (ხსნის – ახსნ-ევი-ებ-ს). „... **ორთავე თვალი დაეთხრეეინე**“ (ქართლ. 319, 19), (სთხრის – ათხრ-ევი-ებ-ს).

ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ვეფხისტყაოსანი. როგორც გარდამავალი პერიოდის ძეგლში, მასში დაცულია ძველი ქართულის ნორმები, შესულია აგრეთვე ახალი: გვხვდება როგორც **-ევ**, ისე **-ინ** და **-ევი** სუფიქსები:

„იმენდი მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა,  
საუბართა და საქმეთა ვითა ძლივ **ვათქმევ** ენასა“<sup>1</sup>.

„დიდსა სისხლსა ვერ **შეგაქნევ** ვერ ვიქნები შუა კედლად“.

„თუ დარბაზს მივა იგი ყმა შვილთა **დამაჭმევს** პირითა“.

„მოვიდეს, **გააშვებინეს** დიდი ხვარაზმთა მფლობელი“.

<sup>1</sup> ყველა მაგალითი მოყვანილია ვეფხისტყაოსნის O (K – 205) ხელნაწერიდან.

**ქართული სალიტერატურო ენის  
ისტორიის საკითხები**

---

„გავგზავნე ყოლგნით ლაშქარნი ალაფი ავალებინე,  
ერთობ სავესენი მოვიდნენ თავიცა ვალალებინე,  
სისხლსა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევალებინე,  
არ ვბრძოლე კარი ქალაქთა უომრად გავალებინე“.  
„ალარ ვის მოვაკვლევივინებ მეფე არს ნალმართვეული“.  
„ბუქსა იკრას აქნევივინეთ ყოვლი საქმე ჩემგან ქნილი“.  
„მან ათქმევივინოს ნუთუ რა, ჩვენცა ვცნათ გაცხადებული“ და სხვ. მრავალი.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, ძველ ქართულში (პარალელურად დიალექტებსა და ვეფხისტყაოსანში) კაუზატივის მანარმოებლებად გვხვდება **-ევ, -ინ, -ე-ვინ** აფიქსები. ძველი და საშუალო ქართულისათვის და მთის კილოებიდან ხევსურული-სათვის (ნაწილობრივ გურულისთვისაც) ჩვეულებრივია კაუზატივის მანარმოებლად **-ევ**, შედარებით ახალი ჩანს **-ინ** და **-ე-ვინ**. ამას სათანადო მაგალითები გვაპარაუდებინებს. ბარის დიალექტები სალიტერატურო ქართულის მსგავსად იყენებენ **-ინ, -ე-ვინ** სუფიქსებს.

როგორც ვიცით, ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა; მასში თითოეული მორფოლოგიური ნიშანი გარკვეული ფუნქციის მქონეა. ერთ აფიქსს ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება ერთზე მეტი დანიშნულება ჰქონდეს ან, პირიქით, ერთი კატეგორიის სანარმოებლად ორი და მეტი აფიქსის გამოყენება მეორეული მოვლენაა<sup>1</sup>. ამიტომაც კაუზატივის კატეგორიის განხილვისას ისმება კითხვა: რას უნდა გამოენვია მანარმოებელთა სიმრავლე? როგორი სახე ჰქონდა ამ კატეგორიას ჩამოყალიბებისას? რომელი მანარმოებელია სპეციფიკური, თავდაპირველი?

ზემოთ მოყვანილი მაგალითების ანალიზისას ცხადია, რომ კაუზატივის კატეგორიის წარმოებაში სუფიქსებთან ერთად არანაკლებ როლს ასრულებს პრეფიქსი. ეს იმაში მდგომარეობს, რომ პრეფიქსის (კერძოდ **ა-პრეფიქსის**) გარეშე კაუზატიური ზმნა არ გვხვდება. პრეფიქსის როლი ამ კატეგორიის წარმოებაში არ უნდა გამოვრიცხოთ (როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული).

ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეიძლება არ მოვიშველიოთ ქართველური ენები და არ გავვლოთ პარალელი კაუზატივის კატეგორიის წარმოებასთან ამ ენებში. მაგალითები:

ზანური:	ო-ზუმ-ავ-ამ-ს	ქართ.	ა-ზომ-ვ-ინ-ებ-ს
	ო-კვათ-ავ-ამ-ს		ა-ჭრ-ევ-ინ-ებ-ს
	ო-თას-ავ-ამ-ს		ა-თეს-ვ-ინ-ებ-ს
სვანური:	ხ-წ-ჭმ-უნ-ე	ქართ.	ა-თიბ-ვ-ინ-ებ-ს
	ხ-წ-წდ-უნ-ე		ა-ხდ-ევ-ინ-ებ-ს
	ხ-წ-გმ-უნ-ე		ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს

ზანურისა და სვანურის კაუზატიურ ზმნებში **ა-პრეფიქსის** კანონზომიერი შესატყვისი ხმოვანი დასტურდება. ქართველური ენების კაუზატიურ ზმნებში კანონზომიერი შესატყვისი სწორედ პრეფიქსებში დგინდება. ზანურში ამ კატეგორიის მანარმოებლად სუფიქსთან ერთად პრეფიქსიც არის აღიარებული<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, არა-

---

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. I, თბ., 1950, გვ. 031.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 157.

ფერი შეუშლიდა ხელს, თუ ასეთივე მანარმოებლები (ე.ი. პრეფიქს-სუფიქსი) იქნებოდა გამოყოფილი ქართულსა და სვანურშიც. შესატყვისობის თვალსაზრისით სუფიქსები გვიჩვენებენ მკვეთრ გადახრას, რაც უნდა მეტყველებდეს მათ მეორეულობაზე.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ძველი ქართული ენის ძეგლების განხილვა. ძველ ქართულში კაუზატივის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების გვერდით გვაქვს მარტივი, ოდენ პრეფიქსული კაუზატიური ფორმები. ძველი ქართული-სათვის ოდენ პრეფიქსული წარმოება გვეჩვენება უფრო ნიშანდობლივი და სპეციფიკური (რაოდენობრივადაც ეს წარმოება გაცილებით სჭარბობს პრეფიქსულ-სუფიქსურს). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს როგორც კონსტრუქციით, ასევე შინაარსით წმინდა კაუზატიური ზმნები. მაგ.:

**„დაგამორჩილნა** მდინარენიცა ქრისტემან, ღმერთ-შემოსილო დიდო თევდოსი“ (მოძრ. 221,4). „და დედამან ფებრონია **შეანყნარა** წმიდასა მას უმანკოთ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა“ (ხანძთელის ცხოვრ. ივ, 25). „... და თანა კაცნი **წარმოიყვანნა** შესასწავლად“ (ხანძთელის ცხოვრ. ივ, 6). „ხოლო მეფე განმხიარულდა სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა და ფრიადი სარწმუნოება და სიყუარული **დაამტკიცნა** გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარჯეთისათა...“ (ხანძთელის ცხოვრ. კე, 21). „ხოლო მან სიმდაბლით **დაარწმუნა** წმიდასა მას თავისა თვისსა სწავლაჲ სწორად სხუათა მათ მამათა“ (ხანძთელის ცხოვრ. მ, 1). „და განთიად **მოახილვა** ყოველი სანახები ხანძთისაჲ“ (ხანძთელის ცხოვრ. ზ, 37). „ხოლო მონაზონი იგი ამბა მოდისტოს, რომელი წარველინა პატრიაქსა შეკრებად ბერძენთა ლაშქრისად, რათა შემენე ეყვნენ ჭირსა მათსა, **დააჯერა** მათ მოსლვაჲ“ (ნარტყ. იერუს. იე, 8). „ქალსა ვის-მე საწყალობელსა, რომელსა იგი მათ დღეთა ოდენ ეშვა ყრმაჲ, აღუთქუეს ფასი და **დაარწმუნეს** მას, რათა **შეასმინოს** იგი მეფისა“ (ნარტყ. იერუს. ნდ, 23). „და მოციქული იტყჳს: „ყოველი დაემორჩილოს ქრისტესა, გარნა მამაჲ რომელმან **დაამორჩილა** მას ყოველი (სახე ალთქუმისაჲ, 346, 9). „ესრეთ იქმნა ნეტარი გრიგოლი მადლსა მოციქულობისასა და ერნი აურაცხელი მოსტაცნა ეშმაკსა და **შეანყნარნა** ქრისტესა“ (კიმ. I, 131, 34). „სპარსნი და არაბნი მან მოაქცინა ცეცხლისა მსახურებისაგან და ღმერთსა **შეანყნარა**“ (ლიტ. ქრესტ., I, 236, 34). „რამეთუ თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი **დავამონე**, რათა უმრავლესნი შევიძინე“ (I კორინთელთა მიმართ, 9, 19). „მონაზონებითა **დაამორჩილე** მას გონებაჲ“ (მოძრ. 223, 34). „სულსა **დაამონე** განზრახვაჲ ჯორცთაჲ“ (მოძრ. 222, 40). „განდგომილნი **დაამორჩილნა** მამასა“ (მოძრ. 392, 21). „... ვითარმედ ძილსა დავეყრენით და ძილი საუკუნოჲ **დავუაძინოს** ჩუენ“ (სინური მრ. 153, 3). „... **დაამონებს** თავსა თვსსა დედათა (მამათა სწავლ. 110, 26). „ან ოდეს ესე გულისწმა-გიყოფიეს, **დააჯერე** სულსა შენსა მოთმინებაჲ (მამათა სწავლ. 12, 35).

აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ ამავე ძეგლიდან მეორე მაგალითი, რომელშიც არ ჩანს გაშუალებული მოქმედება. ეს ზმნა ორპირიანია, უშუალო გზის:

„ან უკუე ისწრაფე, რომელ **დააჯერო** ღმერთი და არა კაცნი“ (მამათა სწავლ. 10, 13). (შემთხვევითი არ უნდა იყოს ორპირიანი გარდამავალი (უშუალო გზის) და სამპირიანი კაუზატიური ზმნის ფორმების დამთხვევა).

**„შეაძრწუნე** წყალთა ბუნებაჲ, უფალო, მოსლვითა შენითა“<sup>1</sup> (მოძრ. 199, 28). „და მათ აიძულეს რა დასჯდეს საშუალ მათსა და დიდითა ვედრებითა **დააჯერეს** ყოფად ესე“ (Q – 16,

<sup>1</sup> საინტერესოდ მიგვაჩნია ამ წინადადების პარალელურად შემდეგი წინადადებების განხილვა: „წმამამ შენმან **შეაძრწუნა** ქუესკნელი“ (მოძრ. 385, 37). „ვერ **შეაძრწუნა** ნეტარო იაკობ სიქადულმან“ (მოძრ. 331, 17).

გვ. 5). „მცირეთა ყრმათა დაასწავლნა ზეპირით უმრავლეს ფილოსოფოსთა ძუჭლთა ნიგნნი (Q – 16, გვ. 3). „ხ~ მე ვითარცა ვხედავ არცაღა თავი თვისი გიყუარს. უგონურებითა შენითა რამეთუ მოაძულე იგი სულსა წმიდასა“ (ი. ბოლნელი, 83, 29). „კურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგამტკიცა შენ დღეს შვილებაჲ ნოდებად სახელი შენი ისრაჴლსა შოვრას“<sup>1</sup> (რუსთ. 4, 14) და სხვ.

მაგალითები ვეფხისტყაოსნიდან:

„სამეფოსა ვაპატრონოთ სახელმწიფო შევანახოთ.

არ ამოვწყდეთ მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“ (O (K –205) ).

„ერთმანეთსა შეგამეცნე თავი შენი შევაყუარო“ (M(Q –1075) ).

„თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგანონე“ (M (Q –1075) ).

„მოუკოცნე ყოვლი ასო თავი ამაღ მოვაძულე“ (M(Q –1075) ).

ვეფხისტყაოსანში კაუზატივის ოთხივე მანარმოებელი დასტურდება. როგორც გარდამავალი პერიოდის ძეგლი, რომელშიც ერთმანეთის პარალელურადაა მოცემული როგორც სახელის, ასევე ზმნის ძეგლი და ახალი ფორმები, ამ მხრივაც მეტად ანგარიშგასაწევია.

ამრიგად, ძველ ქართულში კაუზატივის წარმოების ორი ტიპია ნიშანდობლივი: ოდენ პრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური, სადაც პრეფიქსი უცვლელია, სუფიქსებად კი განსხვავებული ოდენობებია გამოყენებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აგლუტინაციური ტიპის ენისათვის ასეთი მოვლენა მეორეულია. ერთი კატეგორიის აღსანიშნავად ნიშანდობლივია მხოლოდ ერთი მანარმოებელი. მანარმოებლის გართულება სუფიქსებით შემდგომ პერიოდს ეკუთვნის.

კაუზატივის პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილება უნდა იყოს. ეს ფენა აკავშირებს ქართულს სხვა ქართველურ ენებთან. ამას ის გვაგარაუდებინებს, რომ პრეფიქსი გვხვდება ამ კატეგორიის დამოუკიდებელ მანარმოებლად, ჩვეულებრივია სუფიქსებით წარმოებისასაც და, რაც მთავარია, ქართველურ ენებში საერთო კანონზომიერება კაუზატიური ფორმების წარმოებისას, სწორედ პრეფიქსებში დგინდება. რაც შეეხება სუფიქსებს, მათი მეორეულობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. კაუზატივის ფუძის გართულება სუფიქსებით შეიძლება უკავშირდებოდეს ანმცოს ფუძის ჩამოყალიბებას.

მაგალითები მოყვანილია ერთი და იმავე ძეგლიდან. ზმნები ფორმის თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, განსხვავება პირებშია. ორივე შემთხვევაში ზმნა გარდამავალია; პირველ შემთხვევაში – სამპირიანი, კაუზატიური; ორ დანარჩენ შემთხვევაში – ორპირიანი, უმუალო გზის. ასეთი შემთხვევები არაა იშვიათი ძველ ქართულში. თვით ფაქტი მეტად ანგარიშგასაწევია.

შ ე ნ ი შ ე ა: „დარწმუნა“, „შეაძრწუნა“ ფორმებში -უნ სუფიქსს ვერ გამოვყოფთ, როგორც კაუზატივის მანარმოებელს, რადგან ის პასიურ ფორმებშიც დასტურდება „შეძრწუნდა“, „დარწმუნდა“ (ლ. კიკნაძე). აქ კაუზატივის მანარმოებელია პრეფიქსი.

<sup>1</sup> ამ მაგალითთან დაკავშირებით აკ. შანიძე იქვე აღნიშნავს: „მოსალოდნელი იყო „დაგამტკიცა“ ან არა და „დაგამტკიცა“ ზმნა სამპირიან ფორმად უნდა გავიგოთ“. ამ ზმნის სამპირიანი ფორმები ძველ ქართულში დასტურდება; ისინი კაუზატივის შინაარსის მატარებელნი არიან.

## სარჩევი

რედაქტორისგან .....	5
<b>ივანე ჯავახიშვილი</b>	
ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის .....	7
<b>აკაკი შანიძე</b>	
ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში .....	28
<b>აკაკი შანიძე</b>	
უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო .....	41
<i>ლიტარატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული     ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში</i> .....	41
<i>ჰაემეტობა ადიშის სახარებაში</i> .....	54
<b>არნოლდ ჩიქობავა</b>	
ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის .....	59
<b>გიორგი როგავა</b>	
ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის .....	74
<b>რუბენ ენუქაშვილი</b>	
ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის ქართულში .....	81
<b>არნოლდ ჩიქობავა</b>	
მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში .....	84
<b>დამანა მელიქიშვილი</b>	
ინკლუზივ-ექსკლუზივის კეტეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში .....	118
<b>თეიმურაზ მეტრეველი</b>	
ინკლუზივ-ექსკლუზივის კეტეგორიისათვის ძველ ქართულში .....	126
<b>ვარლამ თოფურია</b>	
ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში .....	143
<b>ილია აბულაძე</b>	
ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X სს-ის ძეგლების მიხედვით .....	150
<b>გიორგი როგავა</b>	
მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში .....	164
<b>ელენე ნიკოლაიშვილი</b>	
მესამე სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის -(ნ)ენ-ით შეცვლის ისტორიისათვის .....	168
<b>გიორგი გოგოლაშვილი</b>	
მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნარიან მანარმოებელთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის .....	183
<b>ავთანდილ არაბული</b>	
სპორადულად გამოვლენილ მესამე პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში .....	187

<b>ფარნაოზ ერთელიშვილი</b>	
-დ/-ნ(-ენ) ვნებიტობის სუფიქსტა გენეზისის საკიტხისათვის .....	194
<b>ლამარა ნოზაძე</b>	
პრეფიქსული და სუფიქსური ვნებიტების ურტიერთობისათვის ქართულში .....	207
<b>ლელი ბარამიძე</b>	
ვნებიტი გვარის ზმნათა ანმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში .....	216
<b>ეკატერინე ოსიძე</b>	
„ლაღად-ყო“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში .....	233
<b>ჭოლა თევზაძე</b>	
რთული ზმნები ძველ ქართულში .....	239
<b>ზურაბ ჭუმბურიძე</b>	
მყოფადის ნარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში .....	250
<b>ბაქარ გიგინეიშვილი</b>	
კაუზატივის ფუნქციადაკარგული სუფიქსი ზმნათა ერთ ნყებასთან ძველ ქართულში .....	272
<b>ეთერ გეურქოვა</b>	
კაუზატივის ნარმოება ქართულში .....	280

გამომცემლობის რედაქტორი  
გარეკანის დიზაინი  
კომპ. უზრუნველყოფა

**მაია ეჯიბია**  
**თინათინ ჩირინაშვილი**  
**ხათუნა ბადრიძე**

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179  
Tel. 995 (32) 25 14 32  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)